

გამომცემლობა

ფირდოსი ჩიქვანაძე

※

# ჩვენთვის კიდევ შენია

※

## ლირიკა

※

„საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1968

გ[1
899.962.1.092[ბარათაშვილი ნ]
ჯ 417

# ავტორისაგან

ეს წიგნი მონოგრაფიული გამოკვლევაა და თითქმის ყველაფერს შეიცავს, რაც ჩვენ 1935 წლიდან დღემდე დიდ ქართველ პოეტს — ნიკოლოზ ბარათაშვილს კრიტიკული ნარკვევების სახით მივუძღვენით.

გამოკვლევა — „ბარათაშვილი და ლერმონტოვი“ დაიწერა 1935 წლის აპრილში და „მნათობმა“ მთლიანად გამოაქვეყნა 1936 წელს (№ 5—6). „მერანიც“ იქვე დაიბეჭდა ბარათაშვილის გარდაცვალების ასი წლისთავზე. „ბარათაშვილი და თანამედროვეობა“, აგრეთვე „ბედი ქართლისა“ დაიბეჭდა „კრიტიკული ეტიუდების“ პირველი ტომის 1958 წლის გამოცემაში.

წიგნის მთლიანობისათვის ახლად დაიწერა „ბარათაშვილი — დიდი ქართველი რომანტიკოსი“, „ცხოვრება ბარათაშვილისა“, „ბარათაშვილის პოეზიის ფილოსოფიური პრედიკატები“ და „ბარათაშვილის ლირიკული გმირი“, რომლებიც წიგნში პირველად აქ იბეჭდება.

ჩვენი მიზანი იყო — ბარათაშვილის გენიალური შემოქმედება მონოგრაფიულად შეგვესწავლა, და თუ ნაწილობრივ მაინც შევძელით დასახული ამოცანის გადაწყვეტა, მიუდგომელმა მკითხველმა განსაჯოს!

22/VII-67
თბილისი



თავი I

## ცხოვრება გარათაშვილისა

გენიოსის ცხოვრების ჭეშმარიტი აღწერა ისევე რთულია, როგორც მისი შემოქმედების მეცნიერული ანალიზი. ამიტომ ბიოგრაფებმა არანაკლები ენერგია მოანდომეს ჰომეროსისა და რუსთაველის, შექსპირისა და ბაირონის, გოეთესა და შილერის პიროვნების დახასიათებას, ვიდრე კრიტიკოსებმა ან ესთეტიკოსებმა მათივე ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლას. გენიოსის პიროვნება და გენიოსის შემოქმედება ორი საკვირველი ფენომენია, ორივე საოცრად დაკავშირებული ერთმანეთთან, მაგრამ ზოგჯერ ასევე საოცრად დაშორებული ერთმანეთისაგან. საკმარისია შექსპირის მაგალითი. თუმცა ვის შეუძლია აჰტკიცოს, რომ ბაირონის ან ლერმონტოვის ცხოვრება და შემოქმედება ერთ რადიუსში არ თავსდებოდეს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი არამარტო დიდი პოეტი-რომანტიკოსია, არამედ, ისეთი რანგის შემოქმედი, რომელსაც მხოლოდ ერთი სახელი შეიძლება ეწოდოს — გენიოსი! სხვა რომ არავინ ჰყოლოდა, საქართველოს პოეტური

კულტურის პრედესტინაციას ისტორიაში ორი სახელიც ეყოფოდა — რუსთაველი და ბარათაშვილი. მაგრამ შეხედეთ ქართველი პოეტების პანთეონს: შალვა ელიოზიშვილი, ჩახრუხაძე, თეიმურაზი და არჩილი, ბესიკი და გურამიშვილი, გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე, აკაკი და ვაჟა... შემდეგ მთელი პლეადა შესანიშნავი პოეტებისა, რომელსაც გალაკტიონ ტაბიძის საოცარი ტალანტი აცისკროვნებს. საქართველო მართლაც პოეტების ქვეყანაა და ბარათაშვილი მისი ერთერთი ოზოლი მარგალიტი. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ასეთი ადამიანის ცხოვრება, როგორც უკვდავი პოეტური ქმნილებების ავტორისა, ყოველთვის იყო უსაზღვრო ინტერესის საგანი, თუმცა ქართველის შეგნებას ასევე ყოველთვის აწუხებდა ბიოგრაფიული მასალების სიმცირე. რა დიდია ბარათაშვილის შემოქმედება, და რა ხანმოკლეა მისი არამარტო სიცოცხლე, ცხოვრებისეული გზაც. ჩვენ გული გვტკივა, რომ ცოტა ვიცით ბარათაშვილის ბიოგრაფიიდან, მაშინ, როცა დიდი პოეტის ცხოვრება ყოველთვის გვიზიდავს უმნიშვნელო წვრილმანებითაც. როგორი მასალა არ უნდა მივიკვლიოთ, ჩვენ მაინც მეტი გვინდა ვიცოდეთ და ყოველთვის უკმაყოფილო ვრჩებით, როცა, სადღაც მოსახვევთან, გზა წყდება და ბოლოს ველარ ვხედავთ. ამიტომ ნუ გაგვიკვირდება, თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებაში წვრილმანებს ასე დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ მისი პირველი და მომდევნო ბიოგრაფები.

მაგრამ რა არის ბიოგრაფია?

მარტოოდენ თარიღები, დოკუმენტები, მოგონებები და მათი ქრონოლოგიური დალაგება?

არა, ეს მხოლოდ მარმარილოს ზოდებია, რომლებმაც უმშვენიერესი ქანდაკების სახე უნდა მიიღონ ხელოვანის გრძნეულ ხელში. ამ თარიღებით, დოკუმენტებით, მოგონებებითა და მათი ქრონოლოგიურ ასპექტში განჭვრეტით, ეპოქის სრულ გააზრებასთან ერთად, ბიოგრაფმა ადამიანის პიროვნება, მისი სახე, მისი სული უნდა გვიჩვენოს, მისი შინაგანი „მე“ გაახსნას, თუ სურს ნამდვილად ცხოვრები

მეცნიერული აღწერა მოგვცეს და არა ცალკეული ფაქტების სტატისტიკური ანგარიში. მაშინ მისი შრომა ნამდვილად შეიძლებს დაგვიხატოს პიროვნება, რომლის შეცნობაც გვსურს, და აღარ დაემსგავსება იმ ყუთს, სადაც ყოველგვარ ქაღალდს ჩაჰყრიან ხოლმე.

ჩვენ გვსურს მივუახლოვდეთ მაინც ბარათაშვილის ცხოვრების იმგვარ აღწერას, რომ პოეტის პიროვნება, სახე, სული, შინაგანი „მე“ შეძლებისამებრ გამოვაჩინოთ, ხოლო შემოქმედება სრულად განვიაზროთ. ამისათვის ყურადღებით მოვეკიდებით პოეტის ცხოვრებიდან არამარტო „მსხვილმან ფაქტებს“, არამედ, „წვრილმან შემთხვევებსაც“, ვინაიდან ორივე ერთი დიდი პიროვნების არსებას შეეხება.

შეიძლება ზოგიერთს წვრილმან საკითხად მოეჩვენოს, მაგალითად, პოეტის, როგორც ადამიანის, ამქვეყნად მოვლინების ზუსტი თარიღი, დავა იმის შესახებ, თუ როდის, რომელ წელს ან თვეს დაიბადა ნიკოლოზ ბარათაშვილი. მაგრამ მეცნიერული კვლევა-ძიებისა და ანალიზისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბიოგრაფიის ყველა ნაწილის სიზუსტეს, რათა სრულად შევიცნოთ მწერლის პიროვნება, ხოლო ამ გზით — მისივე მხატვრული შემოქმედების ვრცელი სამყარო. განა დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმის გარკვევას, თუ რა ასაკში დავკარგეთ ბარათაშვილი ან როდის დაიწერა მისი პოეტური შედევრები?

## 1

ნიკოლოზ ბარათაშვილი თბილისში დაიბადა 1816 წლის 22 ნოემბერს*. დედამისი ეფემია — დიმიტრი (ზურაბ) ორბელიანის ასული, გრიგოლ, ზაქარია და იღია

---

* ყველაზე სარწმუნო თარიღად ეს მიგვაჩნია ბარათაშვილის ახლო შვგობრისა და ერთერთი პირველი ბიოგრაფის — კონსტანტინე მამაცაშვილის მასალებზე დაყრდნობით (იხ. უფრო დაწვრილებით სოლომონ ცაიშვილის შენიშვნები იონა მეუნარგიას „ქართველი მწერლების“ I ტომში, 1954 წ., გვ. 466—467). ამ თარიღს იცავს აგრეთვე ბარათაშვილის ბიოგრაფიის ცნობილი მკვლევარი ი. ბალახაშვილი 1967 წელს გამოცემულ წიგნშიც: „ბარათაშვილის ცხოვრება“, გვ. 72.

იერბელიანების უსაყვარლესი და, ყოფილა დიდადშეჩვენებული ქალი, რომლის ყველა საუკეთესო თვისება ჩვენს მომავალ პოეტსაც გადასცემია. მამაც თავის დროზე კარგად ცნობილი. განათლებული და შეძლებული თავადი იყო — მელიტონ ნიკოლოზის ძე ბარათაშვილი, რომელსაც რუსული ენა მშვენივრად სცოდნია და ამიტომ თარჯიმნად დაუწყია მუშაობა კავკასიის იმდროინდელ მთავარმართებლებთან (ერმოლოვი — 1816—1827, პასკევიჩი — 1827—1831 წლები). თავისი პირველი შვილისათვის მელიტონს მიუცია საკუთარი მამის სახელი — ნიკოლოზი, მაგრამ ოჯახში შეურქმევიათ ტატო, რომელსაც პოეტს გარდაცვალებამდე უწოდებდნენ ახლობლები და ნათესავები. ერთერთ ბოლო წერილსაც მ უ რ უ თ ი დ ა ნ, სიკვდილამდე ორი თვით ადრე გაგზავნილს მ ა ი კ ო ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა დ მ ი, ბარათაშვილი ხუმრობით აწერს: „შენი მარადის ერთგული თუნდ ტატო და თუნდ ნიკოლოზი“.

პოეტის ერთერთი პირველი ბიოგრაფი — იონა მ ე უ ნ ა რ გ ი ა ასე აგვიწერს პოეტის მამის — მ ე ლ ი ტ ო ნ ი ს პიროვნებას: „ნიკოლოზის მამა, მელიტონ ბარათაშვილი — კავალერიის თეთრ მუნდირში ჩამრგვალებული, ჯმუხი ქართველი თავადი, — კავკასიის მთავარმმართველების ერმოლოვის და პასკევიჩის დროს მთავარსამმართველოს თარჯიმანი იყო. ეს ის დრო იყო, როდესაც ახლად ჩამოთესილ მთავრობასა და საზოგადოებას შორის თარჯიმანს დიდი ადგილი ეჭირა. ჩვენში ჯერაც არ დავიწყნიათ სახელები იმ დროის თარჯიმნებისა: ბებუთოვის, ენიკოლოფოვის და ფალავანდოვისა. შემდეგში მელიტონ თბილისის მაზრის მარშალი იყო და ხშირად გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლიც“*. ის ყოფილა კარგი მმეტყველი, ქართული მწერლობის შესანიშნავი მცოდნე, მეტისმეტად ანჩხლი, დიდად ხელგაშლილი და სტუმართმოყვარე.

როცა მელიტონის ხ ა ს ი ა თ ზ ე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ იგი წარმომადგენელია ბ ა რ ა თ ა შ ვ ი-

---

* ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 191.

ლების ძველი საგვარეულოსი, რომელიც საქართველოში ოდითვე განთქმული ყოფილა. შემთხვევით არ წერდა იონა მეუნარგია: „ბარათაანთ გვარს შესანიშნავი მწერალი ემართა. იმ მოდგმათა რაზმს, რომელიც მოჰყვა ბარათას და ჯამბაკურის ჩამომავალთა მას შემდეგ, რაც ესენი ძველთა-ძველად გადმოსახლდნენ საქართველოში „ვიდრე ხუთი ათასითა ოდენ მეკომურისა კაცითა“, იმ მდიდარს და პოხიერ სისხლს, რომლის შორეულმა ტალღამ მისცა ჩვენს მწერლობას ნიკო ბარათაშვილი, არა ერთი კაცი გამოუჩენია საქვეყნოდ განთქმული სამშობლოს ერთგულებითა და ვაჟკაცობით. დრო იყო, როცა თითო ბარათაშვილი თითო ჯარად უღირდა საქართველოს *. ეს „თითო“ კაცი თვით მელიტონ ბარათაშვილმა მოიხსენია თავის საგვარტომო ნუსხაში, რომელიც მან 1820 წლის 16 ოქტომბერს წარუდგინა საქართველოს თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს თავადის წოდებაში მისი დამტკიცებისათვის (რუსეთთან საქართველოს შეერთებასთან დაკავშირებით ხელახლა მოხდა თავად-აზნაურთა წოდებაში დამტკიცება)**. ნუსხაში ყველაზე შორეულ წინაპრად მოხსენიებულია თავადი მელიქსედეკ ბარათაშვილი (მე-16 საუკუნე), შემდეგ რევაზი (რომელსაც „ტალავრის დარბაზი“ წყალობით უბოძა თემურაზ მეფემ, მე-17 საუკუნე), შერმაზანი (რევაზის შვილი), ლუარსაბი (მე-17—18 საუკუნეები), ნიკოლოზი (იგივე ნინია, მე-18 საუკუნე, მელიტონის მამა), ბოლოს თვით მელიტონი ორივე შვილით (ნიკოლოზი და ალექსანდრე. ეს უკანასკნელი 1821 წლის 10 ნოემბერს გარდაიცვალა, წლისა და 7 თვის ასაკში)***.

ამ წინაპართაგან ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეა რევაზ ბარათაშვილი, რომლის შესახებაც საინტერესო ცნობა გამოაქვეყნა პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ. რევა-

---

* იონა მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 191.

** დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. გიორგი ჯიბლაძე, „ილია ჭავჭავაძე“, 1966 წ., გვ. 34—38.

*** „მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ“, გვ. 147—148, აგრეთვე „ლიტერატურის მატიანე“, 1940 წ., № 1—2, გვ. 398, გ. ლეონიძის წერილი.

ზი დაკავშირებული ყოფილა თეიმურაზ პირველთან, როგორც მეფის ერთგული ქვეშევრდომი. როცა ქართლში თეიმურაზ პირველის განდევნის შემდეგ ტახტს იკავებს ქაიხოსროს ძე იმამადის რჯულზე მოქცეული როსტომი, მის წინააღმდეგ 1646 წელს ეწყობა შეთქმულება, რათა ბოლო მოუღონ გაჭირვებულ მეფეს. მაგრამ, როგორც ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე წერს, შეთქმულება გაუცია სომხითის მელიქს, დამარცხებულა, და როსტომის მძვინვარე შურისძიებას ბევრი მსხვერპლი მოჰყოლია (ზოგი დააღრჩევს, როგორც, მაგალითად, კათალიკოსი, ხოლო ზოგს თვალები დასთხარეს). რევაზს მოუსწრია და კახეთში შეუფარებია თავი მეფე თეიმურაზთან. მაგრამ უბედურებას მაინც ვერ გადარჩენია. „თეიმურაზის საიდუმლო დავალებით, იმერეთისაკენ ფარულად მიმავალი რევაზი საკუთარმა სიძემ, როსტომის მომხრე როინ ჯავახიშვილმა ქართლში ვერაგულად შეიპყრო და როსტომს წარუდგინა. რევაზს აღმოაჩნდა როსტომის საწინააღმდეგო თეიმურაზის საიდუმლო წერილები იმერეთის მეფესთან და გამძვინვარებულმა როსტომმა რევაზ ბარათაშვილს თვალები დასთხარა. „რა როინის ჯალაბმან ძმა ნაჯა თვალებდათხრილი, ქმარი გაუშვა, ჩოხანი ჩაიცვა და რა ცოცხალნი იყვნენ, ქმარი თვალით აღარ იხილა ძმის დაჭირვება ჯავრითა“, გადმოგვცემს ფარსადან გორგიჯანიძე (ისტორია, 46)... 1647 წელს, ალბათ ზემოდმოხსენებულ რევაზის ერთგულების გამო თეიმურაზს უწყალობებია მისთვის დარბაზი შულავერში, შუა ბოლნისის მოურაობა, და ნაძალადევად სხვისგან წართმეული მკვიდრი მამულები: რაზაანთ ქალაქი(?) (რუსულ თარგმანში «Разаант караки»), მუსრეთიანი, ჭობევანი, ძველი დმანისი, თეკეფამი (Текепами), მიჯა და ყველა ის მამულები, რასაც რევაზის მამა და ბიძა ჰფლობდნენ თავისი გასავალ-გამოსავლით მთაში თუ ბარში. ეს მამულები სამხრეთ საქართველოსი — ძველ საბარათიანოს ფარგლებში შედიოდა“*.

---

* გ. ლეონიძე, „ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო“ „ლიტერატურის მატიანე“, 1940 წ., № 1—2, გვ. 399. თეიმურაზის წყალობის სიგელის ტექსტი იხ. შ. ჩხეტიას „მასალებში ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ“, 1945 წ., გვ. 141—142.

ამ მამულების ნაწილი (მაგალითად, „ტაბლავრის დარბაზი“) შემდეგ ეკუთვნოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პაპას — ნინიას და მამას — მელიტონს.

ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტებით მტკიცდება, რომ მელიტონი დაბადებულა 1795 წელს, ე რ ე კ ლ ე მ ე ფ ი ს სიძის ნიკოლოზ (ნინია) ბარათაშვილის ოჯახში. მამამისი, როგორც გიორგი ლეონიძემ მიაკვლია, 1810 წელს „თან გაჰყოლია პეტერბურგში გადასახლებულ ბატონიშვილ თეიმურაზს, როგორც ნათესავი და მის ამალაში ჩარიცხულა“*. ნინია ყოფილა ერეკლე მეფის სიძე, ძალიან ენამოსწრებული კაცი, რომლის შესახებაც „ლუკა ისარლოვს შემოუნახავს გადმოცემა, თუ როგორ დაუსჯია იგი ფიზიკურად მეფე გიორგი მე-XIII-ეს, მისი მეფობის საწინააღმდეგო ლაპარაკისათვის“**. ნინიას კარგად ცოდნია რუსული, და მელიტონიც, რუსეთში ნამყოფი, ამ ენას, როგორც უკვე მივუთითეთ, ზედმიწევნით ფლობდა.

მელიტონს უსწავლია თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში***, სადაც შემდეგ თავისი შვილი ნიკოლოზი მიაბარა. პოეტის მამის 1833 წლის ფორმულარული სიიდან ირკვევა, რომ მელიტონი ძართლაც 1795 წელს, თბილისზე ა ღ ა მ ა ჰ მ ად-ხ ა ნ ი ს შემოსევის წელს არის დაბადებული (და არა 1794, როგორც პ. ინგოროყვა წერს), ვინაიდან კითხვაზე — „წ ლ ო ვ ა ნ ე ბ ა?“ — შემდეგი პასუხია გაცემული: ო ც დ ა თ რ ა მ ე ტ ი****. დანარჩენ პასუხებს რაც შეეხება, მელიტონი საკუთარი ხელით შევსებულ ფორმულარულ სიაში წერს, რომ თ ე ქ ვ ს მ ე ტ ი წლის იყო, როცა მთავარმართებლის კანცელარიის თარჯიმნობიდან 1811 წლის 6 აპრილს ებოძა პ რ ო პ ო რ შ ჩ ი კ ო ბ ა, 1813 წლის 7 ნოემბერს

---

* „ლიტერატურის მატიანე“, 1940 წ., № 1—2, გვ. 398. გ. ლეონიძის წერილი — „ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო“.

** იქვე, გვ. 398.

*** იხ. პ. ინგოროყვას ბიოგრაფიული ნარკვევი ბარათაშვილის თხზულებათა 1945 წლის გამოცემაში, გვ. XIV.

**** აქაც და ქვემოთ ვსარგებლობთ მელიტონ ბარათაშვილის ფორმულარული სიით, რომელიც მოთავსებულია შ. ჩხეტიას „მასალებში ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ“, 1945 წ., ტ. I, გვ. 160.

კოდპორუჩიკობა, ხოლო 1817 წლის 19 დეკემბერს — პორუჩიკობა. ორი წლის შემდეგ, სამსახურში წარმატების გამო, უფლება მისცეს ეტარებინა «Мундир общий кавалерийский легкой кавалерии». ეს მოხდა 1819 წლის 24 ოქტომბერს. რამდენიმე თვის შემდეგ, 1820 წლის 17 მაისს მელიტონს ნება დართეს 200 მანეთი ხელფასი მიეღო არა ასიგნაციებით, არამედ, ვერცხლის ფულით. 1822 წლის 19 აპრილს ებოძა კაპიტნის ხარისხი.

მთავარმართებლის კანცელარიაში 13 წლისა და ოთხი თვის მუშაობის შემდეგ, 1824 წლის პირველ აგვისტოს მელიტონი დანიშნეს ელიზავეტპოლის (განჯის) პოლიციმეისტრად, სადაც დაჰყო დაახლოებით 2 წელი და 3 თვე (მელიტონი ძალიან ზუსტია, ყველგან მიუთითებს წლებს, თვეებსა და დღეებსაც კი; ჩვენ, რა თქმა უნდა, ვაჭრგვალებთ). ეს არის ის საბედისწერო ქალაქი, სადაც 21 წლის შემდეგ მისი გენიოსი შვილი ტატო დაიღუპა.

სამსახურში შეუჩერებელი აღმავლობა ამ წლების მაჟძილზე ბრწყინვალე თავადს არსად არ ღალატობს. განჯაში წარმატებას მიაღწია: 1826 წლის 7 ოქტომბერს დაინიშნა მაზრის უფროსად, მაგრამ ამ თანამდებობაზე დიდხანს არ უმუშავნია. 1827 წლის 19 ოქტომბერს გაათავისუფლეს და თითქმის წელიწადნახევარს უმუშევარი იყო. მხოლოდ 1829 წლის 17 მარტს დანიშნეს გენერალ-მაიორ ბაგრატიონ-მუხრანსკისთან განსაკუთრებულ მიმდობილობათა შემსრულებლად. 1832 წლის 2 მარტს კი მელიტონს ებოძა მაიორობა და წლიური ხელფასი დაენიშნა 900 მანეთი ვერცხლით. დაახლოებით ცხრა თვის შემდეგ, 1833 წლის 1 იანვარს მელიტონს ირჩევენ თბილისის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლად. საგულისხმოა, რომ იმ დროს, როცა თბილისის გამოჩენილი მოღვაწენი ყაზარმებში არიან დაპატიმრებულნი (1832 წლის დეკემბერში), მელიტონი წარმატებას ღებულობს, ეტყობა იმის გამოც, რომ შეთქმულებასთან მას არათუ რაიმე კავშირი არა აქვს, არც თანაუგრძნობს, მიუხედავად იმისა, რომ უფროსი ვაჟი ტატო ორ კვირას დაპატიმრებუ-

ლი იყო ეჭვის მიტანით (სოლომონ დოდაშვილთან ახლო ურთიერთობისათვის).

ფორმულარული სიიდან ისიც ირკვევა, რომ 1833 წლამდე მელიტონ ბარათაშვილი არავითარი ორდენით დაჯილდოებული არ ყოფილა. ხოლო კითხვაზე — გქონდათ, თუ არა განსაკუთრებული დავალებები და როგორ შეასრულეთო, — უპასუხებს: ელიზავეტპოლში ჩემი მოვალეობის „ზუსტი და ჭარმატებითი“ შესრულებისათვის გენერალ ერმოლოვ ს ა გ ა ნ 1829 წლის 17 მარტს მივიღე „ქების ატესტატი“, ხოლო გენერალ-ადიუტანტ პანკრატიევისაგან, რომელიც მაშინ კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბის უფროსად მუშაობდა, 1832 წლის 11 აპრილს — «похвальное предписание».

ასეთივე ქება დაუმსახურებია მას 1811 წლის 6 აპრილს — გენერალ ტორმასოვისაგან; 1814 წლის 31 იანვარს — გენერალ რტიშჩევისაგან; მისგანვე — 1816 წლის 12 ოქტომბერს, სპარსეთთან გულისტანში ზავის დადების დროს; 1827 წლის 28 მარტს — გენერალ ერმოლოვისაგან. ყველა ისინი, სხვადასხვა დროს, კავკასიას მართავდნენ.

საგულისხმოა, რომ მელიტონ ბარათაშვილის ეს ფორმულარული სია დამოწმებულია თვით კავკასიის მთავარმართებელ ბარონ როზენის მიერ (პასკევიჩის შემდეგ კავკასიას მართავდა 1831—1837 წლებში), საიდანაც ირკვევა, რომ პოეტის მამას უმსახურია უზადოდ, ბეჯითად და გულმოდგინედ, განუწყვეტელი შრომით, „შეურყეველი ზნეობრივობით“, ყოფილა „სასარგებლო და ერთგული აღმსრულებელი სამსახურის საქმეებში“. უთუოდ მამის ეს ხასიათი გამოჰყვა შვილსაც, ვინაიდან ნიკოლოზ ბარათაშვილი სწორედ ამ თვისებებით გამოირჩეოდა სამსახურში, რასაც ჩვენ ქვემოდ შევეხებით.

რა ხდება 1833 წლის შემდეგ, რა ცნობები გვაქვს მელიტონის შესახებ?

1834 წელს ქაიხოსრო ორბელიანი ბრალს სდებს მელიტონს, როგორც თბილისის თავად-აზნაურობის წინამძღოლს, თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, მაგრამ

სენატს პოეტის მამის გამამართლებელი გადაწყვეტილება გამოაქვს*.

მომდევნო 1835 წლის იანვრის ბოლოს, თუ თებერვლის პირველ რიცხვებში, მელიტონი მძიმედ დაავადდება. სიკვდილს ძლივს გადაურჩება. და სწორედ ამ დროს (მარტი ან აპრილი), როცა ცოტა მომჯობინდა, შვილს უარს ეუბნებიან სწავლის გაგრძელებაზე — ურჩევენ სამსახურში შევიდეს. დაახლოებით ამ პერიოდში ხდება მისი დაჯილდოება სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით. წლის ბოლოს, 27 დეკემბერს, მელიტონი ახალი სამწლიანი ვადით (1836—1839 წლები) აირჩიეს თბილისის თავად-აზნაურობის წინამძღოლად, თითქმის ერთხმად: 68 ამომრჩეველიდან მხოლოდ ერთმა მისცა წინააღმდეგი. ერთი კვირის შემდეგ ხდება მისი დამტკიცება ამ თანამდებობაზე.

1837 წლის 7 ოქტომბერს თბილისში ჩამოდის მეფე ნიკოლოზ პირველი, რომელმაც დიდი პუშკინი იმსხვერპლა (1837 წლის იანვარში გარდაიცვალა). მეფეს თარჯიმნად მიჰგვარეს მელიტონ ბარათაშვილი ნიკოლოზთან ერთად. ეტყობა, მონარქს ძალიან მოსწონებია მამა-შვილი, უკანასკნელი ორდინარეცად გამოუცხადებია, ხოლო შემდეგ ვერცხლის მედალიც უბოძებია**.

გავიდა სამი წელი, რაც მელიტონი თავად-აზნაურობის წინამძღოლი იყო, და 1839 წლის 17 იანვარს არღუთინსკი-დოლგორუკოვთან ერთად, იგი პატაკს აძლევს საქართველოს გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს ორბელიანს, რომ საქმეებს გადააბარებს თავის შემცვლელს. ოთხი დღის შემდეგ კი, 1839 წლის 21 იანვარს მოხსენებას უწერს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობის შემსრულებელ გენერალ ახლესტიშევს და

---

* მ. ხელთუბნელი, „ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების თარიღები" („ლიტერატურის მატიანე", 1940 წ., № 1—2, გვ. 530). დანარჩენ ცნობებსაც მელიტონის ცხოვრების შემდგომ წლებზე აქედან მოვიტანთ, სხვა ცნობების წყაროს კი ცალკე მივუთითებთ.

** იხ. „მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ". 1915 წ., ტ. I, გვ. 264.

სთხოვს შესაფერ სამსახურს* ამ თხოვნას იგი უმეორებს გენერალ ბეზაკს, იმავე წლის 6 ოქტომბერს; თან აცნობებს, რომ არსებობს ვაკანსია ელიზავეტპოლის (განჯის) უფროსისა, მაგრამ, ბეზაკის დადებითი წარდგინების მიუხედავად, მელიტონი მაინც უმუშევარი რჩება**. ოჯახი მძიმე მდგომარეობას განიცდის, და პოეტის მამა, ეტყობა, მოთმინებას ჰკარგავს, რომ სამსახურს არ აძლევენ. მიზეზი შეიძლება იყოს მისი მეტისმეტი ანჩხლი ხასიათი (გავიხსენოთ, რომ მან გუბერნატორის მდივანს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა — მაგრად სცემა თავად-აზნაურობის წინამძღოლად ყოფნის დროს).

მიუხედავად ამისა, 1840 თუ 1841 წელს მელიტონ ბარათაშვილსა და დავით ბაგრატიონ-მუხრანსკის „წარჩინების ნიშანზე“ დასაჯილდოებლად ადგენენ, ხოლო მოხსენებაში ძალიან მაღალ შეფასებას აძლევენ მის ღვაწლსა და დამსახურებას.*** მაგრამ, თავიდანვე გაჭიანურებული საქმე (1834 წლიდან) დროულ გადაწყვეტას მაინც ვერ ღებულობს და კვლავ იწერება არაერთი თხოვნა, თუ მიმართვა.****

დიდი ვალების გამო, უმუშევრად დარჩენილ მელიტონის ქონებას, 1843 წელს აღწერა ემუქრება, ხოლო ამავე წლის 6 აპრილს იწერება საქართველო-იმერეთის საგუბერნიო სამართველოს მოხსენება აღწერის შეჩერების შესახებ. ერთი წლის შემდეგ, 1844 წლის აპრილ-მაისში მელიტონს სასამართლო დავა აქვს სტეფანე ისარლიშვილთან, მაგრამ სამმართველო უარს ეუბნება საჩივარზე.

მძიმე მატერიალურსა და სულიერ მდგომარეობაში ჩაყარდნილი მელიტონი გამალებით ეძებს შესაფერ სამუშაოს, მაგრამ ყველგან უარს ეუბნებიან. 1844 წლის 16 ოქტომბერს იგი თხოვს გენერალ ნეიდჰარტს მისცეს

---

* იხ. „მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ“, 1945 წ., ტ. გვ. 210—211.

** იქვე, გვ. 214—215.

*** იქვე, გვ. 251—253.

**** იქვე, გვ. 256—257, 258.

შვსაფერი სამუშაო. ისევ უარია პასუხად. მიზეზად ასახელებენ შემდეგს: «Так как его высокопревосходительство Александр Иванович (ნეიდჰარტი—გ. ჯ.) не изволил изъявить согласие на определение князя Баратова к какой либо должности, по прикосновенности его к делу о беспорядках по здешнему дворянскому депутатскому собранию и по Тифлисской дворянской опеке, допущенных во время занятия им должности предводителя».*

ეს წელი მძიმე იყო ბარათაშვილების ოჯახისათვის. მარტის ბოლოს თუ აპრილის დასაწყისში ტატო პირველად შეიქნა სერიოზული ავადმყოფი, სიკვდილს ძლივს გადაურჩა. რამდენიმე თვის შემდეგ მელიტონმა ვალებით გაათხოვა ქალიშვილი ეკატერინე (19 ივნისს). ხოლო ოქტომბერში მას დამბლა დაეცა. ოჯახი კიდევ უფრო აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა.

მაგრამ, ყველაზე საბედისწერო იყო 1845 წლის ოქტომბერი, როცა დაიღუპა ნიკოლოზი — ბარათაშვილების „ოჯახის ერთადერთი ბურჯი", — როგორც მთავარმართებელი ვორონცოვიც აღნიშნავდა თავის 1845 წლის 11 დეკემბრის განკარგულებაში.** დამბლადაცემულ მელიტონს განჯაში წასვლაც აღარ შეეძლო და იგი სამარეში ისე ჩავიდა, უსაყვარლესი შვილის საფლავი არასოდეს უნახავს.

შემდეგ ფულადი დახმარება შვილის დაკარგვის გამო, 1849 წლის დასაწყისში მეუღლის — ეფემიას გარდაცვალება, თბილისიდან მუდმივ საცხოვრებლად სოფელში წასვლა და 1860 წელს გარდაცვალება, — ასეთია, მოკლედ, ცხოვრების გზა, რომელიც პოეტის მამამ, ერთ დროს გულადმა მებრძოლმა შილდასა და ახალციხეში, რუსეთის მეფისა და მისი ნაცვლების ნიჭიერმა თარჯიმანმა, ქართველი თავად-აზნაურობის წინა-

---

* იხ. „მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ", 1945 წ., ტ. I, გვ. 297.

** იქვე, გვ. 351.

ძძოლმა მელიტონ ბარათაშვილმა განელო. როგორც მის შვილს — გენიოს პოეტს, ისე მელიტონს დიდი სულიერი ღელვა ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად ყოველთვის თან ახლდა.

თუ ამ მშრალ ცნობებს უფრო ღრმად ჩავწვდებით, მელიტონის პიროვნება ტრაგიკულად უფრო წარმოგვიდგება, ვიდრე დალხინებულ თავადად, რომელიც დროსა და ცხოვრებას განუწყვეტელ ქეიფში ატარებს. როგორც იონა მეუნარგია წერს, „ყველა ღირსებასთან მელიტონს ერთი საშინელი თვისება ჰქონდა: მეტის-მეტად ანჩხლი იყო და ჩყვირალა. ივანე კერესელიძემ გვიამბო: მელიტონ თავის სადგომში რომ გააბამდა ყვირილს ანჩისხატის გვერდით, თეკლე ბატონიშვილის სახლში გვესმოდა, კანტორის პირდაპირ. მის გულფიცხობისაგან მთელს მის სახლობას არაერთხელ ცხარე ცრემლი უღვრია და მწარე პური უჭამია. ერთხელ, ბაზრის მარშლად ყოფნის დროს, იმან გუბერნატორის სეკრეტარი გალახა, რომელმაც რაღაც ქაღალდის მოძებნის უარი უთხრა“. იმასაც გადმოგვცემენ, რომ მელიტონი მკაცრად ექცეოდა თავის უნიჭიერეს შვილს; სახლში ტატოს „ჯოჯოხეთი“ ჰქონია მამის უხასიათობის გამო, როგორც იონა მეუნარგია გვიმტკიცებს. საერთოდ, მელიტონი უცნაური, უეჭველად ახირებული კაცი ჩანს, და მისი ოჯახური ცხოვრებაც ამითვეა განპირობებული. ის არ უყურებს, თუ რა შეიძლება ვალებში აგდებს მთელ მის ოჯახს. 1838 წლის 22—24 ივნისს ორი დოკუმენტი იწერება მისი კუთვნილი მამულის („ტალავრის — დარბაზის“) შესაფასებლად. ლაპარაკია იმ მამულზე, რომელიც მელიტონის შორეულ წინაპარს — რევაზ ბარათაშვილს 1643 (თუ 1647?) წელს წყალობად მიუღია ერთგულებისათვის თეიმურაზ მეფის სიგელით*. მესამე დოკუმენტი შედგენილია იმავე

---

* „მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ“, ტ. I, 1945 წ., გვ. 209 და 141, აგრეთვე გ. ლეონიძის წერილი „ლიტერატურის მატიანეში“, 1940 წ., № 1—2, გვ. 399.

წლის 16 ივნისს, თვით მელიტონის ხელმოწერით, რომელშიაც ნათქვამია, რომ „ტალავრის—დარბაზის“ აღწერისას თავის რწმუნებულად ნიშნავს აზნაურ თამაზ უქმაზოვს, თუმცა თონ კი შეფასებას არ ესწრება.* ეს მამული ბორჩალოში ყოფილა, და უნდა ვიფიქროთ, რომ გაიყიდა კიდეც. მაგრამ, რა ფასიც არ უნდა აეღო, ოჯახის ეკონომიური საქმეები მაინც ვერ მოგვარებულა, რასაც შემდეგი ფაქტები გვიდასტურებენ: თუ დავუჯერებთ იონა მეუნარგიას ჩანაწერს (ეჭვის მიტანა კი გამორიცხულია), პოეტის მეგობარს ალექსანდრე საგინაშვილს დაუდასტურებია, რომ ბარათაშვილს ზოგჯერ თვითონვე უხდებოდა მამის ვალები გადაეხადა. „—მელიტონი, ტატოს მამა, ტფილისის მაზრის მარშლად იყო. აგრეთვე გუბერნიის წინამძღოლადაც, — უთქვამს ალექსანდრე საგინაშვილს. — ფართოდ გაშლილი ოჯახი ჰქონდა. მისი სუფრა მუდამ დატვირთული იყო და მთელს ტფილისში ნაქები სიუხვით. მაგრამ მალე სიღარიბეში ჩავარდა. ტატოს, მამის მიერ აღებული ვალი ბევრჯერ გადაუხდია“.**

გარდა ამისა, მამულის გაყიდვიდან ექვსი თვის შემდეგ, 1839 წლის 17 იანვარს მელიტონი თბილისის მაზრის თავად-აზნაურობის სადეპუტატო საკრებულოს საქმეებს აბარებს არღუთინსკი-დოლგორუკოვს, ხოლო ოთხი დღის შემდეგ გენერალ ახლეტიშევს თხოვს: ექვსი წელი ვიყავი თბილისის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი; ჩემს მოვალეობას მთელი მონდომებით ვასრულებდი; ახლა მოხსნილი ვარ ამ თანამდებობიდან და გთხოვთ მომცეთ ვაკანტურ ადგილზე სამსახური «чину и способностям моим соответствующую».*** საქმეს არც ეს შველის და როცა თავის უფროს ქალიშვილს (ეკატერინეს) ათხოვებს, ქორწილი-

---

* „მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ“, ტ. I, 1945 წ., გვ. 209 და 141, აგრეთვე გ. ლეონიძის წერილი „ლიტერატურის მატიანეში“, 1940 წ., № 1—2, გვ. 210.

** ლიტერატურის მატიანე, 1940 წ., № 1—2, გვ. 386.

*** „მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ“, შედგენილი პროფ. შ. ჩხეტიას მიერ. I, 1945 წ., გვ. 211. შემდგომში ამ წიგნს ასე მოვიხსენიებთ: „მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ“.

სათვის საჭირო ფული მელიტონს არა აქვს. ამიტომ „ბრწყინვალე თავადი“ მოწყალებას თხოვს ცოლისძმებს (ზაქარია და გრიგოლ ორბელიანებს). ეს იყო 1844 წელს, როცა პოეტი აცნობებს ბიძას — ზაქარია ორბელიანს 1844 წლის 15 აპრილს: „კატო დავნიშნეთ წარსულ კვირას რევაზ ერისთავზედ; და ქორწილსაც საამაღლებოდ ვაპირებთ. დიდად მიხარიან. ბიჭიც კარგია და ოჯახიც კარგი აქვს“.* მეორე წერილშიც, რომელსაც თარიღად 1844 წლის 10 მაისი უზის, ბარათაშვილი სწერს ზაქარია ორბელიანს: „კატოს ქორწილი საპეტრეპავლობოდ გვექნებაო“.** გრიგოლ ორბელიანსაც მისწერა 23 მაისს: „ვიცი გიამება, კ. დავნიშნეთ რ. ე.-ზედ. რუსულად არის ნათქვამი (იქნება ქართულადაც იყოს და მე კი არ ვიცი) сужженаго конемъ не объедешь. ქორწილი საპეტრეპავლობოდ გვექნება. იქნება არც კი იცოდე, როდის არის ეს დღე. — ექვს კვირა უკან, то-есть: 29 іюня“***.

ასეთ პირობებში ათხოვებენ პოეტის დას, ერთ დროს შეძლებული ოჯახი კი, ახალგაზრდობაში მელიტონის დაუსრულებელი ნადიმების წყალობით, მძიმე მდგომარეობაშია, საქორწინო ფული არა აქვს, ცხადია, არც სამზითვო. შეუძლებელი იყო ბარათაშვილს ყოველივე ეს მძიმედ არ განეცადა, ოჯახის გაჭირვება გულთან არ მიეტანა.

მაგრამ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. ვიდრე პოეტის სულში ჩავიხედავდეთ, მივმართოთ მის ბიოგრაფებს, რომლებმაც პირველი ცნობები შემოგვინახეს.

## 2

დღემდე კონსტანტინე მამაცაშვილი პოეტის პირველ ბიოგრაფად არის მიჩნეული, თუმცა მისი ნარკვევი, უაღრესად დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, მოგონებას უფრო ჰგავს, ვიდრე ბიოგრაფიულ გამოკვლევას. მაგრამ მაა-

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები. 1922 წ., გვ. 107.

** იქვე, გვ. 109.

*** იქვე, გვ. 111.

ზე ადრე ანალოგიური მასალა დიმიტრი ყიფიანს შეუკრებია. მამაცაშვილის ნაშრომი დათარიღებულია 1881 წლის 29 სექტემბრით, ხოლო დიმიტრი ყიფიანის წერილი შვილისადმი — ნიკოლოზისადმი (რომელმაც მამას სთხოვა წერილობით ეცნობებინა რაც იცოდა პოეტის შესახებ) 1865 წლის 5 აპრილით. ამგვარად, ჯერჯერობით, დიმიტრი ყიფიანის ეს წერილი უნდა მივიჩნიოთ პირველ წერილობით წყაროდ ბარათაშვილის ბიოგრაფიისა.

ნიკოლოზის კითხვაზე — იცნობდი თუ არა ბარათაშვილსო, დიმიტრი ყიფიანი შვილს უპასუხებს: „ვიცნობდი მას ძალიან ახლო... ჯერ ერთი — სიცოცხლეში მას სხვანაირად არ ეძახდნენ, თუ არა ტატო ბარათაშვილი“. შემდეგ კი მოთხრობილია, რაც ჩვენმა სასიქადულო მოღვაწემ ბარათაშვილის, მისი მშობლებისა და ნაცნობ-მეგობრების შესახებ იცოდა.

გავეცნოთ ამ ცნობებს.

პოეტის „მამას — მელიტონ ბარათოვს არა ჰქონდა არავითარი მამული, არავითარი საკუთრება და საკმაოდ დიდ ოჯახს იგი ინახავდა მხოლოდ ჯამაგირით, რასაც იღებდა მხარის უფროსთა თარჯიმნის წოდების მიხედვით, დაახლოებით 900 მან.“, — წერს დიმიტრი ყიფიანი.* სამწუხაროდ, აქ ერთი რამ სიმართლეს არ შეეფერება: მელიტონს, როგორც თავად, საკუთრება, მამულები საკმაოდ ჰქონდა, მაგრამ ყველა ისინი ვალებში გაჰყიდა. დიმიტრი ყიფიანს ან ისა აქვს მხედველობაში, რომ ბოლოს ეს მამულები ბარათაშვილებს აღარ ეკუთვნოდათ, ან კიდევ, მათი გაყიდვის შესახებ ალბად არაფერი იცოდა. ჩვენ ზემოდ დავინახეთ, თუ რისი მფლობელი იყო პოეტის მამა და რა გადაურჩა მის წრეშეუწერელ ნადიმებს. რაც შეეხება მელიტონის ხელფასს, დიმიტრი ყიფიანის ცნობა სიმართლეს შეეფერება და სადაო არ არის.

ძალიან საინტერესოა, თუ როგორ აღწერს დიმიტრი ყი-

---

* დიმიტრი ყიფიანის ეს წერილი მოთავსებულია „ლიტერატურის მატიანეში“, 1940 წ., № 1—2, გვ. 409—411. ყველა მომდევნო ამონაწერი აქედან მოგვყავს და ამიტომ გვერდებს აღარ მივუთითებთ.

ფიანი თავისი სკოლისდროინდელი ახლო მეგობრის გარევნობას.

მელიტონის ერთადერთი ვაჟი ნიკოლოზი იყო „პატარა, ტანდაბალი, — წერს ყ ი ფ ი ა ნ ი, — ნოღაცხვირიანი, მაგრამ მეტისმეტად ცოცხალი, მხიარული, მოსწრებული, თანაც მეტისმეტად უანგარო, მიუხედავად გაჭირვებისა ყველაფერში, და ყოველთვის მზადმყოფი დახმარებოდა გაჭირვებულს რითაც კი შეიძლებოდა. აღზრდა-განათლება მიიღო არცთუ ბრწყინვალე: კეთილშობილთა ყოფილ სასწავლებელში იგი ჩამორჩებოდა მე მგონია ორი კლასით ასაკის გამო; მერე ვადავიდა გიმნაზიაში და გამოვიდა, მგონია, მე-5 კლასიდან; გამოვიდა იმისათვის, რათა სამსახურში შესულიყო და რათა თავისი ჯამაგირით რამოდენადმე შეემსუბუქებინა მამისათვის ოჯახის შენახვა.

უფროსები იცნობდნენ მას, როგორც შესანიშნავ მოცეკვავეს ლეკურისას, რასაც იგი აზრით ჰმოსავდა.

მეგობრები იცნობდნენ მას, როგორც საუცხოო ამხანაგს, რომელიც ყოველთვის აცოცხლებდა საუბარს, იცინოდა, აცინებდა, ენამახვილობდა, ართობდა და იპყრობდა ხანდახან ყველას ყურადღებას თავის ნაწარმოებებზე. მისი ლექსები იკითხებოდა ყოველთვის ამხანაგთა და ნათესავთა წრეში. მისი მოასაკენი ყველაზე ხშირად ჩემთან იკრიბებოდნენ (როცა მარტოხელა ვიყავი) და აი, აქ იყო ხოლმე იგი განსაკუთრებით თავის კალაპოტში“.

ამ საინტერესო ცნობების შემდეგ, დიმიტრი ყ ი ფ ი ა ნ ი მოგვითხრობს, თუ რა გ ო ნ ე ბ ა მ ა ხ ვ ი ლ ი იყო პოეტი ჭაბუკობიდანვე, როგორ მ ო ს წ რ ე ბ უ ლ ა დ ოხუნჯობდა ხოლმე საზოგადოებაში და რამდენად მისი ხუმრობა ზუსტად ხვდებოდა სამიზნო წერტილს. „ერთ-ერთ საღამოზე, — მოგვითხრობს ყიფიანი, — იმ ჩემ მარტოხელურ საღამოთა შორის, რომელშიაც ხანდახან მონაწილეობას ჩვენი წინამორბედი თაობის ადამიანებიც იღებდნენ, როგორც მაგალითად: განსვენებული ა ნ დ რ ი ა ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე და თითქმის განსვენებულთა სწორი—სახელოვანი ისფლათუნ (ე. ი. პლატონ იოსელიანი—გ. ჯ.), ანდრია ხერხეულიძემ შემდეგი კითხვა მისცა მომხიარულე კომპანიას: ამბობენ, ბერძნებში ყველას თავთა-

ვისი ღ-თი ჰყავდაო და ერთი მითხარით, ვირების ღ-თი ვიღა იყოო! ტატოს სიცილი წასკდა იმ მწვავე მახვილი სიტყვის გამო, რომელმაც თავში გაუელვა, მაგრამ უმალვე სერიოზული სახე მიიღო და, მიუთითა რა პლატონზე, სთქვა, რომ ამაზე მას უნდა ვკითხოთო: „ჩვენში ხომ ეგ არის ბ ო გ ო ს ლ ო ვ ი (ბოგ ოსლოვ)! ახლა კი მთელმა კომპანიამ იგრიალა ჰომერული სიცილით. პლატონი გაჯავრდა ხუმრობა-გაშვებით და ყველას მან „დურაკები“ გვიწოდა. — „ეგ კიდევ მადლობა ღმერთს, უპასუხა სიცილით ტატომ, — რაც უნდა იყოს, ის ხომ არ ითქმის, რომ ჩვენ შენი გავლენის ქვეშ ვიყვნეთ!“ მას იქით ამ ვაჟბატონს კარგა ხანს სხვა სახელი არა ჰქონდა, თუ არა ბოგ ოსლოვ“.

პოეტი ხშირად ახლო ნათესავებსაც მოსწრებულად გაეხუმრებოდა ხოლმე. გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი სადმი 1841 წლის 28 მაისს გაგზავნილ ცნობილ წერილში, ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ასე სწერდა ბიძას: „შევიტყეთ, რომ თურმე ფრანციცულს ჰსწავლობ. ერთმა ქალმა შემოგითვალა: „სპარსულად ნათქვამიაო: ოც და ათ წელიწადს უკან რომ კაცი ჩონგურს ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო“.* მეორე წერილში, იმავე ადრესატს, 1841 წლის 18 ოქტომბერს ატყობინებს: „ჩვენს დ ი დ ს პლატონს (პლატონ იოსელიანს — გ. ჯ.) ძილში კატა დაჰსწოლოდა ბაკენბარდზედ და ასე გაეთელა, რომ ველარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა. ვურჩევთ რომ მოიპარსოს, მაგრამ არ გვიჯერებს. ეს აკლდა ამიც ფილოსოფოსურს სახეს!“** სევდითა და ოხვრა-გოდებით სავსე წერილშიც მ ა ი კ ო ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა დ მ ი, 1842 წლის 31 ოქტომბერს, პოეტი ოხუნჯობას კვლავ არ ივიწყებს: „თუ ნინუცას, ანუ, (რადგან ჯავრობენ ზოგიერთი ქალები) ანნა ივანოვნას წიგნი მისწერო, ან შენ თითონ ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ დიდად ვწუხვარ, რომ აღარ გ ა ც ი ე ბ ს თქო“.*** ბი-

---

* ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 93.

** იქვე, გვ. 95. ხაზი ავტორისაა.

*** იქვე, გვ. 102. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

ძასაც ეხუმრება 1843 წლის 21 აგვისტოს გაგზავნილ წერილში: „კნიაზი ჭავჭავაძე (ალბათ ალექსანდრე — გ. ჯ.) თავისის კნეინათი მარტყობს იყვნენ ჯვარობას. ამათ დასტაში იყვნენ სავარსამიძის ცოლი, სიერიჩის ცოლი და ბეზაკის ცოლი, ეს კი მუხრავანიდგან გადმოვიდა, ამ ზაფხულს იქ იდგა, უქმროდ. არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამომძვრალიყავ და მუხრავანში, იმის ოთახში, შუაღამისას დაბადებულიყავ?“* პოეტი არც თავის თავს ივიწყებს: 1844 წლის 23 მაისს გრიგოლ ორბელიანს სწერს: „ჩვენი ყმაწვილები და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაჭერად წამოვიდნენ. ქალები მე დამრჩა. მოუსვი ბიჭო! ამისთანა ფართე ოკეანე არც ერთს ხომალდს არ უცხვედრია“.** იქვე ვკითხულობთ: „სიზარმაცეში ან უნდომობაში ნუ ჩამომართმევ ამდენს ხანს წიგნის მოუწერლობას. — დრო არა მქონდა. შენ გაიცინებ, რასაკვირველია, იტყვი შენ, ჰიანჰველავ, რა საქმე გაქვსო. კიდეც ამისთვის არა მცალიან, რომ ჰიანჰველავარ; ყოველთვის ჩემზედ მეტი და დიდი უნდა ავიკიდო“.*** 1845 წლის 23 აგვისტოს მურუთიდან ბაბალე საგინაშვილს სთხოვს: „თუ მწერ, რაც იცი და არ იცი სულ მამწერე; ხომ იცი აქ ძნელად შევიტყობ მანდაურს (თბილისის—გ. ჯ.) ჰორებს.—თუმცა შენ ჰორი არ გიყვარს, მაგრამ ჩემის გულისთვის, ვიცი, რომ გაიგონებ განგებ და მასიამოვნებ... ბევრი რამ მაქვს მოსაწერი, მაგრამ ერთს სიტყვასაც არ მოვწერ, მინამ საკუთარი წიგნი არ მამივა ჰორაჰურაებით სავსე“.**** მაიკო ორბელიანსაც, ასე ერთგული ძმური გატაცებით რომ უყვარს, 1845 წელს ნახიჩევნიდან ეხუმრება: „მაიკო, ეს რისგან არის, რა კი შენ მაგ ქალაქში ჩამოხვალ ქართლითგან, მაშინვე ჰორაობა უნდა გაჩნდეს?“ „ერთი შემატყობინე,

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 105. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 111. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

*** იქვე, გვ. 111. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

**** ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945 წ., გვ. 95. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

რატომ ეგ შენი ქაჩალი ძმა წიგნს არა მწერს, ივანე!» კიდევ არ დავემდურები, ამიტომ, შენის ძმის წყალობით, რაც ტვინი ჰქონდა, ისიც ყაბახზედ დააბნია!«* მანანა ოარბელიანსაც გადაჰკრავს: ახალგაზრდები იმიტომ არ ვახსენდებით, რომ „ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცი წლის კაცები არიან!«**

ასე ძლიერი იყო ბარათაშვილის სარკაზმი იმ წრეში, სადაც მისი „პოეტური ნიჭი განვითარდა". მსოფლიო მედევრების გვერდით, ამ წრეში იგი ქმნიდა აგრეთვე სახუმარო თხზულებებსაც, რომლის ერთერთი ნიმუში, ჩვენამდე მოღწეული, მისი ნაწერების კრებულებშიაც შევიდა.

ეს არის ლექსი „ელენეს და მაროს", რომელიც პირველად დავით კარიჭაშვილმა აღმოაჩინა, 1916 წელს გამოაქვეყნა და შემდეგი მინაწერი გაუკეთა: „ვინ არის ელენე, არსაიდგან ჩანს, ხოლო მარიამის გვარი კი ცხადდება იმავე კრებულიდგან (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების № 5190 ხელნაწერი კრებული, რომელშიაც ეს ლექსია შეტანილი — გ. ჯ.), სადაც მოთავსებულია ოთხი კუპლეტი, რომელთა ქვეშ მოწერილია მარიამ ფალავანდოვისა. მარიამ ფალავანდოვისას ეს კუპლეტები დაუწერია მის შესახებ დაწერილის ლექსების პასუხად. აქ პირდაპირ ჩანს, რომ იგი პასუხს აძლევს მიხეილს და ტატოს, რომელნიც თავიანთ ლექსებში შეხებიან მის ხნოვანებას".*** რომ გავიგოთ, თუ რას წარმოადგენს ეს ლექსი ან რამდენად გონებამახვილურია, ზედმეტი არ იქნება გავიცნოთ თვით მარიამ ფალავანდოვის ის ნაწარმოები, უშუალოდ ბარათაშვილს რომ შეეხება. ეს არის ლექსი „ტატოს", რომლის პირველი ოთხი სტრიქონი ასე იკითხება:

„პალატაში ჯდომითა ხანი მოგმატებია,
ფეოდორის ყურებით სევდა გაგხშირებია,

---

* ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945 წ., გვ. 118—119. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 119, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

*** ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 149. კომენტარები.

სათვალეცა თქვენ გშვენისთ, ყავარჯენიც ხელშია,
ჩვენ არ ვწუხვართ ამ ხანსა, ვაი თქვენი ბრალია".*

უთუოდ ამ ლექსის პასუხად არის დაწერილი ბარათაშვილის ორკუპლეტიანი „ელენეს დამაროს", რომლის სრული ტექსტი აქვე მოგვყავს:

„მე რად მაყვედრით ფედოროვს, თქვენვე მოგხვდებათ სიძედა,
არც იმაზედ ხართ უმცროსი, რაღას დაჰსცინით ხანზედა;
თუნდა კნეინა სოფიოს ჰკითხეთ — რამდენი წლისა ხართ;
მაგას რომ ქმარი შეურთავს, დაბადებული ყოფილხართ!
თუარემ მეც გატყობთ სიბერეს, წელიწადებსა ნუ იკლებთ;
გაგთეთრებიათ თმებიცა, ტყუილად ზეთებს აბრალებთ;
პაპუნა შვილი თქვენი ყმა თქვენი ლალაცა ყოფილა,
იმისი თქმითა მარიამ ოცდაათისა ყოფილა".

ჩვენ არ ვიცით ყველა ნიუანსი, რომლებზედაც ბარათაშვილის ეს სახუმარო ლექსია დაწერილი; რომ ვიცოდეთ, მისი სარკაზმი გაცილებით უფრო ძლიერი იქნებოდა. მაგრამ, რაც არის, მაინც კარგად გვაგრძნობინებს ავტორის გონებამახვილობას, მისი იუმორის სისხარტესა და მოსწრებულობას.

აქედანაც კარგად ჩანს, რომ ბარათაშვილი ბუნებით არ ყოფილა კარჩაკეტილი ადამიანი. როგორც ქვემოდ დავინახავთ, პოეტი ახლოს იდგა თავისი დროის საზოგადოების ყველა წრესთან, მაგრამ სკოლის მეგობრების არიფიონი ყველაზე მეტად იზიდავდა მის სულიერ სამყაროს. მათ შორის ბევრი იყო ნიჭიერი, განათლებული კაცი, რომელთაც კარგად ესმოდათ, თუ რას წარმოადგენდა ა პ ო ლ ო ნ ი ს მადლით ასე ეხვად დაჯილდოებული მათი საყვარელი მეგობარი.

როგორც დიმიტრი უფიანი დასძენს, ბარათაშვილის „პოეტური ნიჭი ამ წრეში განვითარდა; აქ იგი კითხუ-

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 150. კომენტარები. ფეოდორი ალბათ თედორე გავრილენკოა, რომელიც მრჩეველად მუშაობდა ბარათაშვილთან ერთად, ან შეიძლება იყოს ზაქარია ფეოდოროვი (მდივანი), ან კიდევ პალატის მწერალია მიხეილ ფეოდოროვი.

ლობდა პირველად თავის ლექსებს; აქ იგი ისმენდა შენიშვნებს, რასაც თითოეული გამოსთქვამდა გულწრფელად და იქვე იგი კითხულობდა ამ ლექსებს შესწორების შემდეგ. ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს შენიშვნები ეხებოდა მხოლოდ იმას, რაც ხელს შეუწყობდა აზრის გარკვევას, ან უფრო რელიეფურად გამოთქმას. — თბილისში იგი ყველგან დაიარებოდა და ყველგან მას ისე იღებდნენ, როგორც ღვიძლ ნათესავს.

მაგრამ გაჭირვებამ აიძულა იგი მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე წასულიყო ელისავეტპოლში, სადაც ერთი წლისა თუ წლინახევრის შემდეგ ჰავამ იმსხვერპლა*. დაუჯერებელი იქნებოდა, რომ მშობლები უფრო ნაკლებად დამწუხრებულიყვნენ მასზე, ვიდრე მისი მეგობრები და ნაცნობები; მაგრამ მე მგონია — ეს ასე იყო. — არ ვიცი, გინახავს თუ არა როდისმე კნიაჟნა ბარათოვა, რომელიც დავით ჭავჭავაძის ოჯახთან ერთად ტყვედ ჰყავდა შამილს. იგი ღვიძლი დაა ტატოსი — და ისინი გარეგნობით ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. — მშობლებმა კიდევ ბევრ წელს იცოცხლეს მის შემდეგ (ეს ცნობაც ზუსტი არ არის: პოეტის დედა ე ფ ე მ ი ა გარდაიცვალა დაახლოებით ს ა მ ი წ ლ ი ს შემდეგ — 1849 წლის 4 თებერვალს, ხოლო მ ე ლ ი ტ ო ნ მ ა შეტხანს იცოცხლა — 1860 წლის დეკემბერში გარდაიცვალა — გ. ჯ.) — ახლა ცოცხალია მხოლოდ ორი და; ერთი მათგანი ცოლად ჰყავს დიმიტრი ვიზიროვს ოსიაურელს; მეორე — ბარათოვსვე; მესამე ჰყავდა რევაზ ერისთავს, — რომლისაგანაც მიეცა კოლია, დათიკოსთან (დავით ყიფიანთან — გ. ჯ.) რომ იზრდება, — და გარდაიცვალა.

აი, ყოველივე ის, რის გახსენებაც შეძელი შენი ცნობისმოყვარეობისათვის, ჩვენს პოეტ ნიკოლოზ ბარათოვზე. — ის წრე, რომელშიაც იგი ტრიალებდა, — თუ გამოვაკლებთ ხერხეულიძეს და პლატონს — შესდგებოდა მთლად პოეტე-

---

* დიმიტრი ყიფიანი ცდება: ბარათაშვილი არა „ერთი წლისა თუ წლინახევრის შემდეგ", არამედ, სამთვენახევარში დაიღუპა: განჯაში გაეგზავნა 1845 წლის ივნისის მეორე ნახევარში და გარდაიცვალა იმავე წლის 9 ოქტომბერს.

ბისაგან; მაგრამ მათი ნაწარმოებები არ შენახულა, ან შენახულია ერთადერთ წიგნაკში, სადაც ეს მათ ჩასწერეს და აჩუქეს, როგორც კრებული, მანანა ორბელიანს, რომელიც მათ გულღიად იღებდა და, როგორც პატივცემული დედაკაცი, ახალისებდა მათ ამგვარი შრომისათვის. ეს წრე დაიშალა ტატოს სიკვდილის გამო და ეს პოეტები ყველანი გადაიკვნენ საქმის კაცებად, რომლებშიაც ძნელი წარმოსადგენია ახლა, თუ ოდესმე შევრდომილი იყო სხივი პოეზიისა. მაგრამ ქართველები, სულ ოდნავ მცოდნენი წერა-კითხვისა, მაშინ მაინც ყველა პოეტი იყო, ახლა — სულ სხვაა".

ამ ცნობებში ყველაზე ძვირფასია იმის აღნიშვნა, რომ ბარათაშვილი არამარტო ტრიალებდა თავის ტოლ-ამხანაგთა და მეგობართა წრეში, მათ არამარტო უკითხავდა ლექსებს, არამედ, ხელმძღვანელობდა კიდეც. ამიტომ, როცა პოეტი გარდაიცვალა, წრე დაშლილა, ის წრე, რომელიც უთუოდ ავრცელებდა ბარათაშვილის ლექსებს, ხელნაწერებს ამრავლებდა, რაკი მაშინ პერიოდული ორგანო არ არსებობდა. ჩვენ დაწვრილებითი ცნობები არა გვაქვს ამ წრის შესახებ, არც ის ვიცით, ზოგიერთის გარდა, კიდევ ვინ იყვნენ მისი წევრები. მაგრამ, პოეტები რომ ყოფილან და შემდეგ, როცა შთამაგონებელი მოჰკლებიათ, ლექსების წერაზე ხელი აუღიათ, თავისთავად მრავლისმთქმელია. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ბარათაშვილი განდიდებული იყო თავის მეგობართა შორის, როგორც ყველაზე ნიჭიერი, საიმედო ხელმძღვანელი და სულიერი მეუფე.

ასეთია ის ცნობები, რომლებიც დიმიტრი ყიფიანმა შეპოვინახა თავის საყვარელ მეგობარზე.

## 3

კიდევ უფრო ვრცელი, შედარებით ახალი მასალების შემცველია 1881 წელს დაწერილი კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონება. აქაც აღნიშნულია, რომ პოეტის მამა „ძველიტონი იყო ქართულს ენაზე გაზრდილი და განათლებული

კაცი, კარგი მოლაპარაკე, ზედმიწევნით მცოდნე ქართული ლიტერატურისა. იმის სახლში ნახავდით ძველს სწავლულ ქართველებს. იმათ შორის თითქმის ყოველ დღე მელიტონთან დაიარებოდა მღვდელი ეგნატე იოსელიანი (მამა ჩვენის მწერლის პლატონ იოსელიანისა). ეგნატე იოსელიანმა ჩინებულად იცოდა ქართული და სომხური ლიტერატურა, იყო ღრმად მოხუცებული, გაზრდილი მეფის სასახლეში და მნახველი ჩვენის საქართველოს ცხოვრებისა წარსულს საუკუნეში, მეფის ირაკლიდგან მეფის გიორგის გარდაცვალებამდისინ.

მელიტონის სახლში ხშირად დადიოდნენ პოეტი (ღენ. ლეიტენანტი) ალექსანდრე ჭავჭავაძე, ორნი ძმანი ნიკოლოზ და მიხეილ ფალავანდიშვილები, სოლომონ მეითარი-თარხნიშვილი, გიორგი და ალექსანდრე საგინოვები (დისწულნი მელიტონისა) და ბევრი მაშინდელის დროის განათლებულნი ქართველნი. თ. მელიტონ ბარათაშვილი რამდენჯერმე იყო ამორჩეული მარშლათ თფილისის უეზდში... ნიკოლოზ ბარათაშვილის მამას უყვარდა კარგი ცხოვრება, სიუხვე და პურმარილობა; იმისი სადილები განთქმული იყო თფილისში".*

მამაცაშვილი შემდეგ მოკლედ აღწერს ბარათაშვილის გარეგნობას, მიუთითებს, რომ იგი იყო ფხიზელი ყმაწვილი, ცნობისმოყვარე, „მიმღები ყოველივე კეთილის შთაბეჭდილებისა". ამ კეთილს ყველა, ვინც პირადად იცნობდა ჩვენს პოეტს ან რაიმე ურთიერთობა ჰქონია მასთან, ცალკე აღნიშნავს, როგორც ბარათაშვილის ერთერთ მკაფიოდ გამოკვეთილ დამახასიათებელ თვისებას. და განა მისი პირადი წერილები, მისი შემოქმედება, სხვათა მოგონებებს თავი რომ დავანებოთ, ყველგან „კეთილი შთაბეჭდილებით" არ გამოირჩევა? უჩივის დროს, რომელიც ულმობლად სპობს მის იდეალებს, ებრძვის შავ ბედს, თუ ბოროტ სულს, უკმაყოფილებას გამოსთქვამს რო-

---

* ლიტერატურის მატიანე, 1940 წ., № 1—2, გვ. 402. მთელ წერილს უკავია 402—406 გვერდები. დანარჩენ ციტირებას აქედან მოვახდენთ და ამიტომ გვერდებს აღარ მივუთითებთ. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

მელიმე პიროვნების მიმართ, თუ გონებამახვილობს, ბარა-
თაშვილი უველგან საოცრად კეთილი ჩანს
როგორც ადამიანი, მოქალაქე და მოაზ-
როვნე.

მაგრამ ეს შემდეგ.

ახლა ისევ მოგონებათა ფურცლებს უნდა მივუბრუნდეთ.

მამაცაშვილი გადმოგვცემს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში შეუყვანიათ 1827 წლის სექტემბრიდან. ქართული წერა-კითხვა რვა წლისას უკვე სცოდნია, როგორც თვითონვე უთქვამს. ერთმანეთი მათ პირველად გაუცვნიათ 1828 წელს, როცა მამაცაშვილი შესულა „საკეთილშობილო სასწავლებელში, პირდაპირ მესამე კლასში (რადგანაც გორში უეზდის სასწავლებელში გავათავე სწავლაო)".

თუ როგორი იყო მოსწავლე ტატო ბარათაშვილი, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მამაცაშვილის შემდეგი დახასიათებით: მომავალი პოეტი „კარგათ სწავლობდა, უმეტესად განსხვავებული იყო ამხანაგებში თავისი ძხიარულის ხასიათით, სიმარდით. პირველი მოტანცავე იყო საკუთრად ლეკურისა, უველასაგან საყვარელი ამხანაგი". უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იმ გარემოებასაც, რომ ორივე მეგობარი პოეტისა — დიმიტრი ყიფიანი და კონსტანტინე მამაცაშვილი თითქმის ერთნაირად ახასიათებენ ბარათაშვილს, როგორც ნიჭიერს, კარგი ხასიათის, კეთილი ზნის ამხანაგს, რომელიც ტოლებში თავიდანვე გამოირჩეოდა. უველა ეს თვისება ბარათაშვილს ბოლომდე შერჩა.

მამაცაშვილის მოგონებაში შემდეგ ვკითხულობთ: „მე წავედი რუსეთში 1831 წელს, პეტერბურღში, კურსი შევასრულე და არტილლერიის აფიცრათ მოვედი 1837 წელსა თფილისში. ნიკოლოზ ბარათაშვილი დამხვდა ახალს გიმნაზიაში კურს შესრულებული (1835 წელსა) და მსახურობდა სტოლნაჩალნიკად პალატაში (Палата уголовного и гражданского суда). ძველი ჩვენი ამხანაგური მეგობრობა განვაახლეთ დიდის სიამოვნებით. ნიკოლოზს სიკვდილამდისინ

ჰქონდა შეუცვლელი მეგობრული კავშირი თავის ამხანაგებთან. იმათ შორის ჩემთანაც".

ბარათაშვილის პიროვნებაში ასე ხშირი ხაზგასმა ამხანაგური გრძნობის სისპეტაკისა, შემთხვევითი არ არის. ჩვენ ქვევითაც არაერთგზის ვიქნებით მოწმენი, თუ რა უანგარო, თავდადებული იყო ბარათაშვილი, როგორც მეგობარი. მაგრამ მისი დრო ბევრს როდი იძლეოდა ნამდვილად საქმიანი მეგობრობისათვის. თვით მამაცაშვილი იგონებს: „იმ დროს თფილისში არაფერი გასართობი ადგილი არა გვქონდა: არც კონცერტები, არც კლუბები.

ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად საღამოზე ყრილობა. ხშირად მოვიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან თ. ლევან ივანეს ძე მელიქოვთან, ხან სადილათ გარეთ უბნის ბაღებში. ჩვენი დროს გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვადასხვა ჩვენს გარემოებაზედ... ქართული დარბაისლური მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა, ვისაც სურდა ქალალდს თამაშობდა, ნარდს, ჭადრაკს. ქალალდის თამაშობაში ხანდისხან ნიკოლოზ ბარათაშვილიც მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას, მერმე მეგობრული ვახშამი და ვახშმის შემდეგ სეირნობა მთვარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბაღშიაც (მაშინ მთელი თფილისი შემორტყმული იყო ბაღებითა, მთელი სოლოლაკის უბანი ბაღები იყო)".

ეს ნამდვილად კოლორიტული სურათია მე-19 საუკუნის 20-იანი წლების თბილისისა, როცა ბარათაშვილის გენია ფრთების გაშლას იწყებდა. თუ რა იყო იმდროინდელი თბილისი, მეფისნაცვლის მთავარი რეზიდენცია კავკასიაში, ან რა სულიერი საკვები შეიძლებოდა მიეცა მას ახალგაზრდა თაობისათვის, რომელიც დაიბადა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ამ სიტყვებითაც კარგად ჩანს.

მაგრამ ეს ფუჭი, ამაო დროსტარება ახალგაზრდა კაცებისა, ხშირად დაირღვეოდა ხოლმე. ერთერთი ასეთი დარღვევა დაკავშირებულია ბიძა-დისწულის კონფლიქტთან. ლაპარაკია ბარათაშვილის დუელზე ილია ორბე-

ლიანთან, რომელიც ლევან მელიქიშვილისა და ნიკო ერისთავის გადმოცემით ასე კოლორიტულად არის აღწერილი პოეტის ბიოგრაფიულ მასალებში. მკვლევარ სოლომონ ცაიშვილის ვარაუდით ამ ფაქტს ადგილი უნდა ჰქონებოდა „1841 წლის შემოდგომაზე“. თვით დუელის ადგილი არავინ იცის, მაგრამ ის გარემოება, რომ სეკუნდანტები, დუელიანტებთან ერთად, ჩავიდნენ „დანიშნულ ადგილისაკენ ფეხით“, მიგვითითებს თვით ქალაქის რომელიმე ახლომდებარე გარეუბანზე. ეს თავგადასავალი ბარათაშვილის ბიოგრაფს ასე აქვს გადმოცემული. „...მაღალაშვილი ენამახვილი კაცი თურმე იყო და ხშირად დასცინოდა პოეტის ბიძას ილია ორბელიანს. დაცინვაში ხანდახან ბარათაშვილიც წაეხმარებოდა მაღალაშვილს. ორბელიანმა დიდხანს ითმინა დაცინვა, მაგრამ ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა გადასწყვიტა პირველსავე კრებაში ჩხუბი აეტეხნა იმათთვის და მაღალაშვილი გამოეთხოვა ხმალში. საუბედუროდ, პირველ კრებაზე მაღალაშვილი არ მოვიდა და ორბელიანმა ჟინი ბარათაშვილზე ამოიყარა. ის დისწულობით არ დაერიდა ამ უკანასკნელს და დუელში გამოითხოვა. იქ მყოფ ამხანაგებს, სხვათა შორის ლევან მელიქიშვილს, უნდოდა ხუმრობაში გაეტარებინათ ეს გამოთხოვა, მაგრამ რომ ვერ მოხერხდა შერიგება, სეკუნდანტები აირჩიეს. ილია ორბელიანმა ყაბარდოელი ატაჟუკინი და ბარათაშვილმა მაღალაშვილი. დანიშნეს დრო, ადგილი და გაემგზავრნენ ორივე დუელიანტი და მათი სეკუნდანტები ერთად, ფეხით. პირობა დასდვეს, ვინც ცოცხალი და უვნებელი გადარჩებოდა, იმას უნდა დაზიანებული მიეყვანა ჭირისუფლებისათვის ან მკვდარი, ან ცოცხალი. გზაზე ლევან მელიქიშვილმა დაუწყო გამხნევება ბარათაშვილს. ეს რომ ორბელიანმა გაიგონა, იწყინა და უთხრა მეგობარს:

— მე კი არ გებრალები, ლევან?

— არა, არ მებრალები, იმიტომ რომ შენ ხარ მიზეზი ამ დუელისა, — უპასუხა მელიქიშვილმა.

მივიდნენ დანიშნულ ადგილზე, გაზომეს ნაბიჯები, გასტენეს დამბაჩები და დააყენეს მოპირდაპირენი.

ილია ორბელიანი მაღალი, მაღალ ადგილზე, ბარათაშვილი

დაბალი, — დაბალ ადგილზე და სეკუნდანტის ხმაზე ერთი, ორი, სამი — მოწინააღმდეგეთ ჩამოუშვეს ჩახმახი. იგრიალა ბარათაშვილის დამბაჩამ. ორბელიანის ფალიაში მხოლოდ წამალი ამოიწვა. ორბელიანს ეგონა, რომ მოატყუეს და ჩაჰბერა სული დამბაჩას. მაგრამ რა ნახა გატენილი იყო, მოითხოვა ხელახლა გაემართათ. მეორეჯერ გავარდა დამბაჩა და ბარათაშვილი წაიქცა... ორბელიანს ეგონა, რომ მოკლა და სასოწარკვეთილი მივარდა თავის დისწულს, დასწვდა და შიშით ჩაღებულმა მოავლო ხელი მწოლარეს ჯიბის ახლოს.

— აი! ქიშმიში მაქვს, ქიშმიში! ჯიბიდან არ ამომაცალო! — დაიძახა უეცრად განგებ წაქცეულმა ბარათაშვილმა.

— უი, შენ დაგწყევლოს... შე შეჩვენებულო, გული რად გამიხეთქეო, — იყო ხმა ორბელიანისა!

თურმე სეკუნდანტებს, როცა ორბელიანმა თავისი არ დაიშალა, ერჩია დამბაჩები უტყვიოდ გაეტენათ და პირველი სროლის შემდეგ, რომ საიდუმლო არ გამოაშკარავებულიყო, მაღალაშვილმა წასჩურჩულა ბარათაშვილს: გავარდებოდა თუ არა დამბაჩა, უთუოდ წაქცეულიყო. ორბელიანმა ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ასე ბედნიერად გადაურჩნენ სიკვდილს ორივე ბიძა-დისწული"*.

საერთოდ, დუელი მე-19 საუკუნეში გამონაკლისი არ არის. ილია ჭავჭავაძესაც კი რამდენიმე (8—9) დუელი ჰქონდა**. რუსეთის საუკეთესო პოეტები — პუშკინი და ლერმონტოვი სწორედ დუელში დაიღუპნენ, ხოლო გრიბოედოვი სიკვდილს ნეკის დაზიანებით გადაურჩა. მაგრამ, თუ რუსული მწერლობის ეს ტიტანები გარეწარ უცხოელებთან, უკეთეს შემთხვევაში, განაწყენებულ ამხანაგებთან დუელიანტობდნენ, ბარათაშვილი, როგორც ვნახეთ, მკვიდრი ბიძის დუელიანტია, იმ ბიძისა, რომელიც მას ძალიან უყვარდა, რომელთანაც ერთად სწავლობდა, რომელმაც ერთერთმა პირველმა ინახულა შემდეგ მისი საფლავი და ცხარე ცრემლით დაიტირა.

---

* ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, ტ. I, 1954 წ., გვ. 206—207.

** დაწვრილებით იხ. გიორგი ჯიბლაძე, „ილია ჭავჭავაძე", 1966 წ., გვ. 82—84.

მაგრამ ყოველთვის როდი ხდებოდა ამგვარი „დარღვევები“. ახალგაზრდების ფუჭი დროსტარება, როგორც კონსტანტინე მამაცაშვილი გვიდასტურებს, ირღვეოდა ხოლმე საქმიანი საუბრებით, ქვეყნის ჭირვარამზე ფიქრითა და ოცნებით. ნიჭიერი ყმაწვილები, რომლებსაც გონების თვალი უკვე გახელილი ჰქონდათ, რომელთაც გუშინდელ დღესავით ახსოვდათ არამარტო 1832 წლის კატასტროფა, არამედ, ერეკლეს უკანასკნელი გაბრძოლებაც კრწანისთან და საქართველოს შეერთება რუსეთთან, გულისტკივილით შეჰყურებდნენ სამშობლოს ბედს და ცრემლებსაც აფრქვევდნენ მის აწმყოზე. ეროვნული გრძნობის მხრივ ეს უეჭველად იყო დაკავშირებული მღელვარე განცდებთან, როგორც გარდატეხის, ახალი ყოფის სრულიად ბუნებრივი შედეგი. მისი რამდენიმე კონკრეტული ფაქტი, უფრო ადრინდელს ამჟამად თავი რომ დავანებოთ, გადმოცემული აქვს კონსტანტინე მამაცაშვილს, რომელიც თავის მოგონებაში წერს: „ხშირად გვჭონდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ: ერთ საღამოს ბარათაშვილის სახლში გადავწყვიტეთ, რომ რადგან არა გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ V-ის საუკუნიდგან დაწყებული, თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია იმ საუკუნისა; პლატონ იოსელიანს მიანდვეს დაწერა ძველის საუკუნოების ისტორიისა ქრისტეს წინათ და შემდეგ 5-ს საუკუნემდისინ. მაშინ ძნელი იყო ამისთანა საქმის აღსრულება, რადგანაც მშრომელნიც ცოტანი ვიყავით და საქართველოს ისტორიის მატიანები დაფანტული იყო, არც ძველი საეკლესიო გუჯრები, არც ბევრი საინტერესო გრამატები თავად-აზნაურების სახლებში, მარტო მატიანეთ იყო „ქართლის ცხოვრება“.

ყველა ამგვარ ეროვნულ-კულტურულ წამოწყებაში ბარათაშვილს აქტიური მონაწილეობა მიუღია. მაგრამ მისი მღელვარე გული კიდევ უფრო ძლიერად ფეთქავდა სამშობლოსათვის. ამას გვიდასტურებენ შემდეგი სიტყვები მამაცაშვილისა: „მახსოვს ერთ ივლისს ღამეს, 1838 წელს, მე და ტატო წავედით სასეირნოთ გარეთუბანს (ეხლანდელი გოლოვინის პროსპექტი). ტატო ძალიან

მხიარულად იყო და თავისებურად მშვენივრად ხუმრობდა; მერმე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზე და ტრაგიკულს დასასრულზე მე-18 საუკუნისა, მეფის ირაკლის მოხუცებულობის გამო უღონობაზედ, ჩვენის თფილისის წახდენაზედ, 1795 წელსა, 12 სექტემბერს და სხვ...

ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს ყოველთვის მოცინარს და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა:

— ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა! და ოხვრით დაუმატა:

— ვაი ჩვენო ქართლის ბედო!

დიდხანს დავდიოდით თავ-ჩაღუნულნი და მოწყენილნი...“

ეს ეპიზოდი, მსგავსად ზემოდ აღწერილი პირველი სურათისა, ძალიან კოლორიტულად გადმოგვცემს გასული საუკუნის 20—40-იანი წლების დამახასიათებელ ყოფას. მაგრამ, კიდევ უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს თვით ბარათაშვილს, როგორც თავისი დროის შვილს, სამშობლოს ბედზე მწარედ დაფიქრებულს. პატრიოტსა და მოღვაწეს.

აქ უნებლიედ გვახსენდება არტურ ლაისტის მშვენიერი სიტყვები, თუ რას ნიშნავს ან როგორ განიცდიან დიდი ადამიანები სამშობლოს ოდისეას: „საქართველოსა დამოუკიდებლობის დაკარგვა, — წერს ლაისტი, — უეჭველია, მეტად ადარდებდა ბარათაშვილსა და რაც უფრო უფიქრდებოდა, მით უფრო ჰღრმავდებოდა მასში ის განწყობილება. სწორედ ასეთმა განწყობილებამ დააწერინა ადამ მიცკევიჩს შესავალი სიტყვები თავის პოემა „პან თადეუშე“-სა: „ოჲ სამშობლო, შენა ხარ, როგორც ჯანის სიმრთელე: მხოლოდ იგი გაფასებს ძვირად, ვინც დაგკარგა!“* სრული ჰეშმარიტებაა და ეს მართალი სიტყვები მთელი ძალით წარმოგვიდგებიან ბარათაშვილის პატრიოტულ ლექსებსა და ეპიკურ პოემაში — „ბედი ქართლისა“. საერთოდ, ქართულმა რომანტიზმმა სამშობლოს დამოუკიდებლო-

---

* არტურ ლაისტი, „საქართველოს გული“, 1927 წ., წიგნი მეორე, გვ. 21. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

ბის დაკარგვა ძალიან მძიმედ გახიცადა, რასაც ბარათაშვილის გარდა, ნათლად მოწმობენ ალექსანდრე ჭავჭავაძის, გიორგი ერისთავის, ვახტანგ, ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანების ლექსები, რომ აღარაფერი ვსთქვათ ბატონიშვილების პოეზიაზე, რომელიც ძირითადად ამ თემით არის შთაგონებული. მომდევნო პერიოდშიც ქართული ლიტერატურა ხსენებულ საკითხს პასუხს აძლევს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას მაღალ-პოეტური შედევრებით. და მათ შორის უაღრესად კოლორიტული სახით დგას ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც „ახალი ქართლის“* ორიენტაციის ყველაზე ძლიერი, პირველი მესიტყვე. როცა ამას ვლაპარაკობთ, ისიც სრულიად უეჭველია, რომ მხოლოდ ასე ძლიერი პატრიოტული გრძნობის კაცს და მხოლოდ მას შეეძლო დაეწერა უმშვენიერესი თხზულება „ბედი ქართლისა“, ჩვენი პოეზიის ეს ერთერთი უბრწყინვალესი მარგალიტი. თუ ამას მიუმატებთ ბარათაშვილის დიდ პოეტურ ტალანტს, რომელიც ბავშვობიდანვე იწვრთნებოდა, ადვილი წარმოსადგენია „ბედი ქართლისას“ ის წარმატება, რომელიც პოემამ ხელნაწერშივე მოიპოვა.

მაგრამ ამის შესახებ ქვევით ვილაპარაკებთ. ახლა კი უნდა შევეხოთ საკითხს, თუ როდის დაიწყო ბარათაშვილმა ლექსების წერა, ვინაიდან, შემოქმედის გასაგებად ამას გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ბიოგრაფები ყოველთვის დიდი მონდომებით სწავლობდნენ გოეთეს, ბაირონის, შელის, პუშკინის, ლერმონტოვის ადრეულ შემოქმედებას, როგორც აუცილებელს მთავარისა და ძირითადის გასაგებად.

როგორც მამაცაშვილი გვიდასტურებს, ბარათაშვილმა „ადრე დაიწყო ლექსების წერა. ზოგიერთი ლექსები დაწერილია მაშინ, როდესაც სასწავლებელში იყო. ბევრი მისი დაწერილი ლექსები დაკარგული არიან,

* ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ურთიერთობა. აგრეთვე „ახალი ქართლის“ საკითხი იხ. ჩვენს მონოგრაფიაში — „ილია ჭავჭავაძე“, 1966 წ., „შესავალი“ და „ილია ჭავჭავაძის ლექსები“.

რადგან დაბეჭდვა იმათი მაშინ არ შეიძლებოდა"*. ვინ იცის, შესაძლოა ამ ლექსთა შორის, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ, მარგალიტებიც იყო, როგორც პუშკინისა და ლერმონტოვის, ბაირონისა და შელის ადრინდელ ქმნილებებში.

არის კიდევ ერთი სამწუხარო ფაქტი, რომელსაც უფრო დაწვრილებით უნდა შევეხოთ. ეს არის პოემა „ი ვ ე რ ი ე ლ ნ ი ს" საკითხი, დღემდე პრობლემად ქცეული.

კონსტანტინე მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი გადმოგვცემს: მე მახსოვს ბარათაშვილის „დიდი პოემა, რომელიც ჩემთან წაუკითხავს — „ივერიელნი". ამ პოემაში იყო აღწერილი ჩვენი აჰყვავებული ცხოვრება 10, 11 და 12 საუკუნოებისა. ამ ლექსების გადაკეთება უნდოდა, რომელნიც ისეც მშვენიერი იყო".

ამის მეტი არაფერი აქვს ნათქვამი მამაცაშვილს. მაგრამ ის გარემოება, რომ მას თვითონვე მოუსმენია ეს პოემა, რომელშიაც აღწერილი ყოფილა ძველი საქართველოს ყოფა სამი საუკუნის მანძილზე, დიდი ინტერესის შემცველია. გენიოსის შემოქმედების ყოველი სტრიქონი ჩვენთვის ძვირფასია და მით უფრო გულისტკივილს იწვევს „დიდი პოემის", ისიც მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ს დაკარგვა. ჩვენ ზუსტად არც ის ვიცით: „ივერიელნი" ადრე დაიწერა, თუ „ბედი ქართლისა". შეიძლება მხოლოდ ვარაუდი წამოვაყენოთ, რომ ის უფრო ადრე უნდა შეექმნა ბარათაშვილს, და ყ მ ა წ ვ ი ლ ო ბ ი ს დ რ ო ი ს ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი უნდა იყოს, ადრინდელ ლექსებთან ერთად დაკარგული.

თავისთავად საოცარია ამ პოემის ბედი. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი ს გარდა, სხვებიც ადასტურებენ, რომ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს მ ა რ თ ლ ა ც ჰ ქ ო ნ ი ა პ ო ე მ ა „ი ვ ე რ ი ე ლ ნ ი", რომელიც ძველი საქართველოს (10—12 საუკუნეების) ცხოვრებას აღწერდა. მეგობარ-ახლობელთა შორის წ ა უ კ ი თ ხ ა ვ ს კიდეც, მაგრამ არ იქნა და დღემდე არ მოხერხდა მისი აღმოჩენა. საკითხი დიდიხანია აწუხებს ქართველოლოგიას, ყველა ეძებს და ვერავინ პოულობს. ჯერ კიდევ ადრე, გასული სა-

---

* ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

უკუნის 80-იან წლებში ამ საკითხს შეეხო ცნობილი ისტორიკოსი ზაქარია ჭიჭინაძე. როგორი სავალალოდაც არ უნდა იყოს მისი ცნობა, დღეს განსაკუთრებული ინტერესის შემცველია და ამიტომ მას მთლიანად მოვიტანთ.

1885 წელს გამოცემულ თავის პატარა ბროშურაში — „ნ. ბარათაშვილი“ ზაქარია ჭიჭინაძე (მთაწმინდელი) წერდა: „1878 წ. თბილისში გაიყიდა გიორგი ჩიქოვანის მდიდარი ბიბლიოტეკა, ეს წიგნები იყიდეს იარმუკის მეწვრიმლებმა, ფუთობით. ეს წიგნები მეც ვნახე, საიდამაც ამოვარჩიე რამდენიმე ხელთ ნაწერი წიგნები და ვიყიდე, ეს ხელთ ნაწერი წიგნები ახლა წერა-კითხვის სამართველოს ეკუთვნის, რადგანაც ჩემი მრავალ რიცხოვანი ხელთ ნაწერი წიგნების ბიბლიოტეკა მათ დაუთმე. ამ ჩიქოვანის წიგნებში ძალიან ბევრი სიგელ-გუჯრები იყო, მეთვრამეტე საუკუნის დოკუმენტები, გორელის პატრი ტულუკაანთ დავითასაგან ნათარგმნი თომა კემფელის წიგნი, მრავალიც სხვა ხელთ-ნაწერები, ამას გარდა, რომში დაბეჭდილი ქართული წიგნები და იმასთანავე მოხსენება პატრი ტულუკაანთ დავითასი, თუ მან რა წვალებით არ დაარსა რომში ქართული სტამბა 1751 წ. და თუ როგორის წვალებით არ სთარგმნიდა ლათინურიდამ წიგნებსა და ბეჭდავდა ქართულათ. ამავე წიგნებში მე მოვიპოვე ბარათაშვილის ლექსები, რაც კი დაბეჭდილნი არიან. ამავე ძველს წიგნებში ერია ერთი ძველი რაღაც პოემა, რომელიც „ივერიელთა“ სახელწოდებით იწყობოდა, მაგრამ ბოლოზე კი არ ჰქონდა მიწერილი დამწერის სახელი. ეს პოემა 20 კაპ. მაძლია მეწვრიმალემ. მაგრამ მე ფული აღარ მეყო და ვიდრე მეორედ ჩავიტანდი და ვიყიდდი, იქ უკვე სხვას ეყიდნა. მაშინ არ ვიცოდი თუ ვისი იყო ის პოემა, ან ის მაინც მცოდნიყო, რომ ბარათაშვილსაც დაუწერია ერთი ლექსი, სახელწოდებით „ივერიელნი“, მაშინ, როგორ დავკარგავდი მას, მაგრამ ეს მე არ ვიცოდი. ვინ იცის, იქნება ბარათაშვილისაც იყო, იქნება არა“.*

* ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 16—17. ტექსტი მოგვყავს უცვლელად. ზაქარია ჭიჭინაძის ეს ბროშურა სავსეა სტილისტურ-ორთოგრაფიული და კორექტურული შეცდომებით. ტექსტს ყველგან მაინც უცვლელად მოვიტანთ.

ძალიან სამწუხარო ფაქტია. თუ მართლაც ასე ტრაგიკულად დაიღუპა ბარათაშვილის „ივერიელნი“. მაგრამ აქ ერთი რამ ძალიან საეჭვოა: 1878 წელს ბარათაშვილი უკვე დიდად პოპულარული პოეტი იყო. 1875 წელს. ზაქარია ჭიჭინაძის მიერ აღწერილ შემთხვევამდე სამი წლით ადრე, პირველად გამოიცა ცალკე წიგნად ბარათაშვილის ლექსები, რომლებიც 1852 წლიდან მოყოლებული ქართულ პერიოდიკაში იბეჭდებოდნენ. საზოგადოება არამარტო იცნობდა ბარათაშვილს, როგორც პოეტს, არამედ. აღტაცებული იყო მისი შემოქმედებით, რუსთაველის შემდეგ მას აყენებდა პირველ რიგში, და შეუძლებელია, თუ პოემა „ივერიელნი“ გიორგი ჩიქოვანის ბიბლიოთეკასთან ერთად იყიდებოდა, არავის ეცნო იგი, მით უფრო, თვით ალექსანდრე ჩიქოვანს, რომელიც ბარათაშვილს ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდა. ასე რომ, ზაქარია ჭიჭინაძის ცნობა დაუჯერებელი ჩანს, ხოლო თუ მართლა ის მოხდა, როგორც აღწერილია, მაშინ გულისტკივილის მეტი რა გვეთქმის. საერთოდ კი, პოემა „ივერიელნის“ საკითხი მანამდე ვერ გაირკვევა, ვიდრე მისი თვით ტექსტი არ აღმოჩნდება. რომ ის ნამდვილად იყო, სრულიად უეჭველია. ამიტომ ძიება უნდა გაგრძელდეს. იქნებ ოდესმე აღმოჩნდეს და გაამდიდროს ქართული მწერლობა!

პოემა „ივერიელნის“ გარდა, ძალიან საინტერესოა, აგრეთვე, მამაცაშვილის ის ცნობა, რომელიც ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ შეეხება. მოგონებაში ვკითხულობთ: „1839 წელს გამოვიდა სულ სხვა მიდრეკილებით პოემა „ბედი ქართლისა“, რომელმაც უკვდავი გახადა ნიკოლოზ ბარათაშვილი. ეს პოემა, რომელშიაც არიან გამოხატულნი მეფე ერეკლე, იმის მრჩეველი ბრძენი სოლომონ ლეონიძე, ერი ქართლ-კახეთისა და სხვა, თავის მაღლის და ღრმა ჰაზრით, პატრიოტულის გრძნობით და მშვენიერის სტილით შემდეგ „ვეფხის ტყაოსნისა“ შეუდარებელია და უპირველესია აქამდისინ ქართულს ლიტერატურაში.

სხვა სულ რომ არაფერი დაეწერა ნიკოლოზ ბარათაშვილს, იმის სადიდებლად საკმაო იყო ერთი პოემა „ბედი ქართლისა“.

აგრეთვე პატარა პოემა „მირბის, მიმაფრენს უგზო უკვლოდ ჩემი მერანი“ და სხვა პატარა ლექსები იმავე ჰაზრისა და მიდრეკილებისა არიან, როგორც „ბედი ქართლისა“.

თანამედროვე ნიკოლოზ ბარათაშვილისა რუსეთში იყო მ. ლერმონტოვი, თითქმის ერთი ხნისა. იმათ აქვს მსგავსება პატრიოტულ აღტაცებულ გრძნობაში და ერთი ლტოლვილება, რომ გამოეხატათ პოეზიაში თავიანთი სამშობლოს აწმყო; მაგრამ მაშინ იმისთანა დრო იყო, რომ პატრიოტობა ორგულობათ მიაჩნდათ. ჩემი ჰაზრით პოემა „ბედი ქართლისა“ თუ მაღლა არ დგა ლერმონტოვის ლექსებზე, არას-დროს არ ჩამოუვა“*.

ყველაფერი ეს სავსებით სწორია, მამაცაშვილი აქ სავსებით მართალია. ის არამარტო აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ამგვარი პოემა, რომელსაც ასე მაღალი, ღრმა აზრი ჰქონდეს, ბრწყინავდეს თავისი პატრიოტული გრძნობითა და მშვენიერი სტილით, მეორე არ არის ჩვენს მწერლობაში, არამედ, იმასაც მართებულად მიუთითებს, რომ უკვდავებისათვის ბარათაშვილს „ბედი ქართლისაც“ ეყოფა. მიუმატეთ ამ პოემას „მერანი“, „სულო ბოროტო“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, საერთოდ, ყველაფერი ის, რაც ბარათაშვილის ჯადოქრულ ყალამს შეუქმნია, და თქვენ აღარ დაფიქრდებით იწამოთ, რომ მამაცაშვილი მართალია, როცა ჩვენს პოეტს დიდი ლერმონტოვის გვერდით აყენებს. რაც შეეხება ამ ორ პოეტს შორის პარალელებსა და პოეტურ ნათესაობას, ჩვენი წიგნის სპეციალურ თავში გვექნება დახასიათებული, როცა ბარათაშვილისა და ლერმონტოვის შემოქმედებას ერთმანეთს შევუჯერებთ.

---

* მამაცაშვილი კიდევ ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის: ის თურმე პირადად იცნობდა ლერმონტოვს და რამდენჯერმე შეხვედრია მას. აი, თვით მამაცაშვილის სიტყვები: „მე დაახლოვებით ვიცნობდი ლერმონტოვს 1840 წ., მთელი წელიწადი ლაშქარში ერთად ვიყავით, ჩაჩანში ხშირად მქონია იმასთან დროს გატარება და ლაპარაკი. 1841 წელს პიატიგორსკში დუელში მოკლა ლერმონტოვი თავის ამხანაგმა მარტინოვმა“.

შეუძლებელია უყურადღებოდ დავტოვოთ ის მითითებაც, რომ ბარათაშვილი, ლერმონტოვთან ერთად, პატრიოტია და მისი შემოქმედება აღსავსეა სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულით. აწმყოს მხატვრული ჩვენების პარალელურად, ბარათაშვილი და ლერმონტოვი წარსულსაც გვიხატავენ, მაგრამ ორივე შემთხვევაში პატრიოტიზმის პოზიციაზე დგანან და არსად მას არ შორდებიან. თუმცა ის პატრიოტიზმი, რომელსაც ორი ერის ეს ორი გამოჩენილი შვილი იცავდა, მაშინ მართლაც „ორგულობად“ იყო მიჩნეული გაბატონებულ ოფიციალურ წრეებში, ხოლო ხალხის მოწინავე, ყველაზე ჯანსაღი ნაწილი ქება-დიდებას უმღეროდა. ამითაც უნდა აიხსნას ბარათაშვილისა და ლერმონტოვის დიდი პოპულარობა, ტალანტის აღიარებასთან ერთად, საზოგადოების ფართო წრეებში.

დანარჩენი ცნობები, რომლებიც კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონებაში გვხვდება, შემდეგია: „მამა ნიკოლოზისა თბილისში ცხოვრებამ შეიყვანა დიდს ვალებში, შემდეგ კარგის ცხოვრებისა ჩავარდა სიღარიბეში და მოხუცებაში, მამულები ვალში გაეყიდა, ამის გამო ნიკოლოზს, არა თუ შემწეობა ჰქონდა სახლიდგან, თითონ ეწეოდა სახლსა თავისი მცირე ჯამაგირიდგან... დაუცხრომელ შრომაში და სამსახურში 1845 წელს ზაფხულში გახდა ავად განჯის ცუდს ციებითა და აგვისტოში 21-ს გარდაიცვალა.

გვამი ნიკოლოზ ბარათაშვილისა არის დამარხული ელიზავეტპოლში, პატარა, რუსის ეკლესიის გალავანში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ბუნებით ნიჭიერი, აღიზარდა იმისთანა საზოგადოებაში, რომელსაც დიდი მოქმედება და გავლენა ჰქონდა იმის პოეტურის მიდრეკილებაზედ. მე მგონია, ყველაზე მეტი ზედ მოქმედება ჰქონდა იმაზედ ბიძას, ჩვენს პოეტს თ. გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანს.

როცა ნიკოლოზ ბარათაშვილი სასწავლებელში იყო, ჩემს დროს იცვამდა ქართულად, როგორც სხვანი იმის ამხანაგები; მე მახსოვს ნიკოლოზ ჩაცმული ბუზმენტით მორთულ ჩოხაში, დიბის ახალუხით, თავზედ პატარა ქართული ჩაკეცილი ქუდით. ქართულად რომ იტყვიან, კოხტურად ჩაცმული, შემდეგ სამსახურში რუსულად იცვამდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო შუათანა ტანისა, ჩინებული ტანადი, ცოტა პირხმელი, ცოცხალი შავის თვალებით, წაბლის ფერის თმით, სახე საგანგებოთ მიმზიდველი (ქართულათ რომ იტყვიან მარილიანი). თფილისში ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლობა სცხოვრობდა ანჩხატის ქუჩაზედ, ქვითკირის სახლებში, პირდაპირ ეხლანდელი ანჩხატის დეკანოზის დიმიტრი მესხიევის სახლისა".

მამაცაშვილის ამ ცნობებს, საჭიროა რამდენიმე შენიშვნა გავუკეთოთ.

მელიტონ ბარათაშვილის ხელგაშლილი ცხოვრებისა და მისი დიდი ვალების შესახებ ზემოდაც იყო საუბარი. მაგრამ შვილის — ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს გარდაცვალების შემდეგ, რომელიც მამას ეხმარებოდა თავისი მწირი შემოსავლიდან, მ ე ლ ი ტ ო ნ ი კიდევ უფრო მ ძ ი მ ე მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ში ჩავარდა, რამაც იგი აიძულა თ ბ ი ლ ი ს ი ს გ ა ს ც ლ ო დ ა და საცხოვრებლად ს ო ფ ე ლ ი აერჩია. ამიტომ არის, რომ გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი პირად წერილებში ძალიან ხშირად გვხვდება საუბარი მელიტონისა და ეფემიას გაჭირვებულ მდგომარეობაზე. საკმარისია მხოლოდ რამდენიმე ადგილი მოვიტანოთ გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილებიდან, რომლებიც ბარათაშვილის გარდაცვალების ერთი წლის შემდეგ -- 1846 წელს დაიწერა. ორივე წერილი ჯუნგუთიდან ეგზავნება ი ლ ი ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს — გრიგოლისა და ეფემიას ძმას. პირველ წერილში, რომელიც დათარიღებულია 1846 წლის 1-ლი ივლისით, გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი სწერს თავის ძმას: „ეს ფული (ათი თუმანი, ოთარ ქობულიშვილის ქვრივი მეუღლის ბარბარესათვის მიცემული — გ. ჯ.) შენ ნუ მომიკვდები, ეფემიასთვის მინდოდა, და ამ წყეულმა დედაკაცმა გამომტაცა ხელიდამ... ასე, რომ ეფემიას ვეღარ გაუგზავნი; ეგებ შენ, ჩემო ილიკო, ხუთის თუმნით მაინც შეეწიე".* მეორე წერილში, იმავე წლის 29 ივლისის თარიღით. გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი სწერს: „ჩემო ილიკო, რაღა ჩემგან გინდა დარიგება, რომ ჩვენს საბრალო ეფემიას უნდა შეეწიო ხოლმე შენის შეძლებისამებრ. — ჩვენის მეტი ვინღა ჰყავს საწყალსა ნუგე-

---

* გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, ტ. I, 1936 წ., გვ. 126.

შად“.* ეს სტრიქონებიც ნათლად გვიჩვენებენ, თუ რა გამოუვალ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი პოეტის მთელი ოჯახი, რომელიც მელიტონის მარტოოდენ პენსიის ამარა დარჩენილი, ახლო ნათესავების მოწყალებას შეჰყურებდა.

ეს მოწყალება, ეტყობა, მუდმივი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან, ერთი წლის შემდეგაც, 1847 წლის 8 მარტს, გრიგოლ ორბელიანი ასეთ წერილს უგზავნის გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ დას: „ჩემო საყვარელო დაო ეფემიავ! ამა წერილთან ერთად გიგზავნი ხუთს თუმანსა, გთხოვ მიიღო და არ დამემდურო სიმცირისათვის. ღ-თი მოწყალეა, თუ რამ მებადება, არა დავიშურებ შენთვის. — გაიმაგრე გული სასოებითა ღთისადმი, რომლისა ბრძანებასა ვერა ვინ გადუვალს, და რომელსაცა არა ჰნებავს მომატებული ეწუხარება და სასოწარკვეთილება. ევედრე ღთსა და მან განჰკურნოს მწუხარება შენი“.**

მაგრამ მელიტონისა და ეფემიას მწუხარების განკურნება არც ლოცვა-ვედრებას შეეძლო, არც ნათესავების ნიერ გამოგზავნილ ხუთ-ათ თუმნებს. მატერიალური ხელმოკლეობის გარდა (ეს ნახევარი უბედურება იყო), უმთავრეს წარმოადგენდა სასოწარკვეთილება: თხუთმეტი შვილიდან ოჯახს უკვე ჰყავდა დაკარგული ხუთი ქალი და ხუთი ვაჟი, ხოლო უკანასკნელი ცოცხალი (ასაკით კი უფროსი) მეექვსე ვაჟიშვილი ნიკოლოზ (ტატო) დაუტირებელი მიიცვალა ელისავეტპოლს. ცხრა წლის მანძილზე მიცვალებული ცხრა შვილის გატანა ოჯახიდან, ცხადია, ყოველმხრივ დაღს დაასვამდა, მშობლებთან ერთად, პოეტის სულიერ ქვეყანას, პოეტისა, რომელიც რვა დაბმის სიკვდილ-დაკრძალვას პირადად ესწრებოდა. ყოველივე ის, რაც მელიტონის ოჯახში მოხდა, საბედისწერო იყო, და ჯერ კიდევ საშუალო ხნის ეფემია, მხოლოდ 49 წელს მიღწეული, წუთისოფელს გამოასალმა.

---

* გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტ. I, 1936 წ., გვ. 128.

** ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 244.

ასე ტრაგიკული იყო ბარათაშვილების ოჯახის ხვედრი. რაც კარგად ჩანს გრიგოლ ორბელიანის წერილიდანაც ძმისადმი, ჯერ კიდევ ადრე, როცა ნიკოლოზი ცოცხალია, ნახიჩევანში მუშაობს, მელიტონსკი დამბლაა ქვს დაცემულიო. 1845 წლის 19 იანვარს გრიგოლ ორბელიანი, რომელმაც სიძის მძიმე ავადმყოფობა შეიტყო, ჯუნგუთიდან სწერს თავის ძმას ზაქარიას: „...ილიასაგან (ილია ორბელიანი— გ. ჯ.) მომივიდა წიგნი, რომელშიაც მაცნობებს მელიტონის დამბლობასა. შენი მტერი შეწუხდეს ისე, როგორც მე, ამ ამბითა, რა უნდა ჰქმნას სიყრმითვე ეფემიამ, რით შეინახოს ესოდენი წვრილი შვილები, სრულიად ღატაკად დაშთომილნი, ტატოც ნახჩევანში წასულა ლევანთან ერთად. — ამდენს ჩვენის თავის ვაი ვაგლახს ესღა გვაკლდა; რა უყოთ ან როგორ შევეწიენეთ უსახლკაროსა, უპუროსა, უტანისამოსოს ჩვენს დასა? ეს ფიქრი მაგიჟებს სრულიად, ნეტავი მოვუკვდე და ამდენს სიგლახაკეს მოვრჩე“.* ამის შემდეგ, როცა ძმა სასოწარკვეთით ჰგოდებს, რაღა გასაკვირია, თუ ეფემია, რომელმაც შვილის სიკვდილიდან სულ მალე—1847 წლის 11 ივნისს საყვარელი ძმა ზაქარიაც დაჰკარგა, განწირული მოსთქვამდეს: „ღმერთმან ჩემისთანა ცეცხლი ნურავის მოავლინოს ორის საშინელის უბედურებისაგან ამ შეჩვენებულის წყეულის სოფლისა სიყრმითგან სულ უბედურათ განმატარებინა ჩემი სიცოცხლე. ამ მწუხარებაში მყოფს აღარც მერჩის თვალი და აღარც ყურით მესმის. ხელის ცახცახიც მაქვს.“** მგონი სავსებით ნათელია, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა მელიტონის ოჯახი პოეტის სიცოცხლეშიც და მით უფრო მისი გარდაცვალების შემდეგ.

მეორეს მხრივ, მამაცაშვილი მართალია, როცა გრიგოლ ორბელიანის გავლენას აღნიშნავს ნიკოლოზ ბარათაშვილზე. მაგრამ ეს იყო შემოქმედების პირველ ხანებში, შემდეგ კი დისწული თვითონვე ახდენდა გავლენას სახელოვან ბიძაზე, საერთოდ,

---

* გრიგოლ ორბელიანი, წერილები, 1936 წ., ტ. I, გვ. 106.

** იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938 წ., № 25. წერილი პირველად გამოაქვეყნა პოეტმა-აკადემიკოსმა იოსებ გრიშაშვილმა.

უფროსი თაობის მწერლებზე, რასაც ჩვენ, საგანგებოდ ქვემოთ შეეხებით.

მამაცაშვილის მიერ მოცემული ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩაცმულობის აღწერა (მოწაფეობის დროს და სამოქალაქო სამსახურში), აგრეთვე, გარეგნობისა, ზუსტი იყო, როგორც ჩვენ შემდგომ დავინახავთ, როცა სხვათა ჩვენებებს მოვიტანთ. სწორად არის აგრეთვე მითითებული, რომ ერთ დროს ბარათაშვილები ცხოვრობდნენ ანჩისხატის უბანში მთელი ოჯახით.

ასეთი იყო ის პირველადი ცნობები, რომლებიც დიმიტრი ყიფიანმა და კონსტანტინე მამაცაშვილმა ბარათაშვილის ცხოვრებაზე შემოგვინახეს.

## 4

მაგრამ, როგორც მკითხველი ადვილად შეამჩნევდა, სრულიარ არის არც დიმიტრი ყიფიანისა და არც კონსტანტინე მამაცაშვილის წერილები. არცერთი მათგანი პოეტის ბიოგრაფიას არ წარმოადგენს. ისინი მხოლოდ მოგონებანია და ისიც ფრაგმენტული ხასიათისა. მიუხედავად ამისა, ორივეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც პირველ უშუალო ცნობებს ბარათაშვილის ახლომცნობთაგან. გარდა ამისა, ორივემ ზოგიერთი ისეთი რამ გვითხრა, რასაც ვერსად ვერ მივაკვლევდით. ამიტომ მათ დღემდე შეინარჩუნეს დიდი მნიშვნელობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიულ მასალებში, თუმცა, ვიმეორებთ, ორივე ფრაგმენტული ხასიათისაა და მხოლოდ ნაწილობრივ გვიხატავენ დიდი პოეტის ცხოვრებას. შემდეგი დროის მკვლევარებმა შეავსეს ეს ხარვეზები, ახალი ფაქტები მიაკვლიეს, მაგრამ ჩვენ მაინც მეტი გვინდა ვიცოდეთ, თუნდაც იმის შესახებ, როგორ სწავლობდა მომავალი პოეტი, რა ინტერესები ამოძრავებდა, ვინ იყვნენ მასწავლებლები ან რას ასწავლიდნენ.

ამიტომ ახლა გავეცნოთ ქრონოლოგიურად ბარათაშვილის მესამე ბიოგრაფს, თუმცა, არსებითად ის პირველი ბიოგრაფია, ვინაიდან უფრო სრული აღწერა პოეტის ცხოვრებისა სწორედ მის სუსტ კალამს ეკუთვნის. ეს არის ზაქარია ჭიჭინაძე, რომელიც შემდეგი სიტყვებით გვიხასიათებს პოეტის

ბავშვობას: „ბარათაშვილი ექვსი შვიდი წლის გამხდარა თუ არა მაშინათვე მისთვის შინაურად დაუწყებინებიათ სწავლა, სწავლა, რასაკვირველია წერა-კითხვა, ლოცვები, ქართული ძველი ზღაპრები და სიმღერები. შემდგომ ამის იგი მიუციათ მაშინდელს კალოუბნიანთ სკოლაში, ამ სკოლაში დიდი ხანი არ დარჩენილა ბარათაშვილი, მიზეზი ამისა ის ყოფილა, რადგანაც ეს სკოლა იმ დროს თფილისში მეორე სკოლა იყოო, პირველ კეთილ-შობილთ სასწავლებელი და მეორე ეს, სადაც მომეტებული ნაწილი აზნაურის შვილები სწავლობდნენო; ამ სკოლაში სასწავლებლად თავადის შვილები იშვიათათ აძლევდნენ თავიანთ შვილებსაო, ამიტომ ნიკოლოზ ბარათაშვილიც მალე გაიყვანეს თურმე. ამ სასწავლებელში მასწავლებლად სოფრონ მღვდელი ყოფილა, ხშირად დავით რექტორიც დადიოდა, მღ. ქართველოვი (გრამატიკოსი) და იმ დროს სხვა გამოჩენილნი პირნიც. სკოლა სწორედ ახლანდელს კალოუბნის ეკლესიის მახლობლივ ყოფილა. შაგირდები თურმე ეზოში შეგროვდებოდნენ, ზაფხულში კარში სწავლობდნენ და ზამთარში დარბაზში. ამ სკოლის მასწავლებელნი თავის დღეში არც პურსა და არც წყალს არ ყიდულობდნენ, შაგირდები რომ პურს მიიტანდნენ, ოსტატი გამოართმევდა იმ პურს, გადასტეხდა შუაზე, ნახევარს თითონ დაიტოვებდა და ნახევარს შაგირდს მისცემდა. ახლა შუადღისას, დაუძახებდა შაგირდებს: სათითაოდ ზოგს კოკას მისცემდა, ზოგს ლიტრას, დაირეკამდა ყმაწვილებსა წყალზე წასასვლელათ და თვითონ მასწავლებელიც თან მიჰყვებოდა. ასე, რომ ხშირად ნიკოლოზ ბარათაშვილიც ყოფილა ამ ყმაწვილობაში".*

კიდევ არის ერთი ცნობა, რომ იმდროინდელი წესების მიხედვით ბარათაშვილს გამდელად ჰყოლია გლეხის ასული მაია (ნონია ზავრაშვილის ქალი)**.

---

* ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი", 1885 წ., გვ. 5.

** როგორც ფიქრობენ, 1836 წლის 16 იანვარს დაბადებული, მაიას უკანონო შვილის — მარიამის მამა შეიძლება მელიტონი იყო („ლიტერატურის მატიანე", 1940 წ., № 1—2, გვ. 534—535, არკადი ხუნდაძისა და მ. ხელთუბნელის ვარაუდი). ჩვენ ეს გვეეჭვება, ვინაიდან მელიტონის ფორმულარულ სიაში მისი დახასიათების დროს უფროსები გამოჰყოფენ ბოლმე პოეტის მამის „შეურყეველ ზნეობრივობას".

მაგრამ, როგორი იყო ბარათაშვილი უმაწვილობაში, რა მიდრეკილებები ჰქონდა, რა ინტერესი, როგორ იზრდებოდა, სად ატარებდა თავისუფალ დროს?

ყველა ამ კითხვაზე მასალები იკრიბებოდა ძალიან გვიან, როგორც ვნახეთ, დაიწყო 80—90-იან წლებში, იმ დროს, როცა პოეტის პირად ნაცნობთაგან, რომლებსაც შეეძლოთ უტყუარი ცნობები მოეწოდებინათ, ბევრი აღარ იყო ცოცხალთა შორის. ამიტომ ყველა მასალა, რომელიც ჩვენამდეა მიკვლეული ან მოღწეული, უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ, როგორადაც არ უნდა გვეეჭვებოდეს.

გადმოგვცემენ, რომ უმაწვილობაში ბარათაშვილს ჰყვარებია ცხენზე ჯდომა, ბურთაობა და სირბილი. ყველაფერში „მეტის მეტი ჩქარი ყოფილა, ამხანაგებში კი ჭინჭყლიანი... ეს ჭინჭყლიანობა და ამასთანავე მედიდურობა იქიდამ უნდა დაბადებულიყოს მასში, რადგანაც მას ერთობ ფაქიზათ უყლიდნენო, როგორც სიყმის შვილს, შინაურებსაც დიდად ჰყვარებიათ, განსაკუთრებით დედას. პატარაობის დროს, ბარათაშვილს ქართული ტანთ-საცმელი სცმია, თვით სკოლაშიცა, თეთრი მაუდის ჩერქესკა, თავადური პატარა ლურჯი ქუდი, პატარა ხანჯალი, ვერცხლის ქამარი — ბუზმენტიან. გარდა ამაების შემოსილი ყველა იმ ნივთებით, როგორათაც მაშინდელს თავადის პატარა შვილებს რთავდნენ და აცმევ-ხურავდნენ. პანსიონში პანსიონის მუნდერი სცმია. — საკეთილშობილო სკოლაში ბარათაშვილი მეტისმეტად კარგად სწავლობდა, უმეტესად განსხვავებით იყო ამხანაგებში“...*

ამგვარად, ბარათაშვილი ჯერ შინაურ განათლებას ღებულობს (წერა-კითხვის, ლოცვების, ზღაპრების, სიმღერების შესწავლა), შემდეგ მოსწავლეა კალოუბნის სკოლისა, საიდანაც კეთილშობილთა სასწავლებელში გადადის. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, 1830 წლიდან გიმნაზიად გადაკეთდა. თუ რომელ წელს მიაბარეს ჩვენი მომავალი პოეტი კალოუბნის სკოლაში, ცნობილი არ არის, გარდა იმისა, რომ იონა მეუნარგია ამბობს: შვიდი წლის შეიყვანესო, მაშასადამე, 1824 წელს. სავარაუდოა, აგრე-

---

* ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 6—7.

თვე, ცნობა, რომ კეთილშობილთა სასწავლებელში იგი მიუციათ 1826 ან 1827 წელს; გიმნაზიის მოწაფე კი გახდა, ბუნებრივია, 1830 წელს. კურსი გიმნაზიისა პოეტმა შეასრულა 1835 წელს. ამ დროს ის იყო 19 წლის ყმაწვილი, კარგად მომზადებული და რუსულ ენას მშვენივრად დაუფლებული.

პოეტის პირველდაწყებითი განათლების შესახებ, გარდა იმისა, რაც უკვე მოვიტანეთ, იონა მეუნარგია დასძენს, რომ კალოუბნის სამრევლო სკოლაში, ბარათაშვილის მიბარებამდე, „10—12 წლის წინათ სწავლობდა გრ. ორბელიანი“, მისი სახელოვანი ბიძა დედის მხრივ. კალოუბნის სკოლაში დაუდვა ნიკოლოზ ბარათაშვილმა „პირველი საფუძველი იმ კარგს ენას და წერის კილოს, რომლითაც მდიდარია ყველაფერი, რაც რამ დაუწერია მის მარჯვენას. ლოცვანი, დავითნი, ჟამნი, სამოციქულო, სახარება, ე. ი. ათასი წლის ქართული ენა, რომლითაც გულმხურვალედ ულოცნია ქართველ კაცს, უქია და უდიდებია შემომქმედი, გამოუხატნია უაღრესი და უდიდესი თვისი სულის მოძრაობა. შეიქმნენ ქვაკუთხედად მისი მომავლის მსახურებისა ქართულ მწერლობისადმი. ნუ დაეძებთ იმას, თუ როგორ, ან რას ასწავლიდნენ ამ სკოლაში, რადგანაც მხოლოდ პირველდაწყებითი სწავლა მიიღო პოეტმა აქ. ასწავლიდნენ აქ სამღვთო წიგნებს, სიტყვიერებას, ასწავლიდნენ მამაპაპურად, პატრიარქალურად... რაც უნდა იყოს, მადლი იმ სასწავლებელს, რომელმაც ქართული ენის სიყვარული ჩაუნერგა გულში ორ ისეთ მწერალს, როგორიც არიან გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი“.*

ჰეშმარიტად მადლი იმ სასწავლებელს, რომელსაც ქართული კულტურის მატიანეში ყოველთვის სასახელოდ დარჩება, რომ ჩვენს ორ უბრწყინვალეს პოეტს პირველად აუხილა გონების თვალი და კეთილშობილური გრძნობა გაუღვივა სამშობლო საქართველოსადმი.

რაც შეეხება პოეტის შემდგომ ეტაპს სწავლა-განათლებაში,

---

* იონა მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. 33. 193.

ჩვენ უკვე ვიცით. რომ ბარათაშვილი უნიჭიერესი მოწაფე იყო, ტოლ-მეგობართა შორის ცოდნით ყოველთვის გამოირჩეოდა. კეთილშობილთა სასწავლებელსა და შემდეგ გიმნაზიაში მას ასწავლიდნენ იმ დროს ცნობილი პედაგოგები, ხოლო ზოგიერთი მათგანი—გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. საკმარისია დავასახელოთ სოლომონ დოდაშვილი (1805—1836), რომელმაც რუსეთში პირველმა გამოსცა 1827 წელს „Логика,"* იყო ფილოსოფიისა და ქართული მწერლობის ღრმა მცოდნე, რედაქტორი პირველი ქართული ჟურნალისა — „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", აგრეთვე სახელმძღვანელოების ავტორი. მაგრამ ბარათაშვილი გაეცნობოდა არამარტო იმ წიგნებს, რომლებიც დოდაშვილს უკვე გამოცემული ჰქონდა, არამედ, ჟურნალსაც — „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", სადაც მისი მასწავლებლის წერილები იყო მოთავსებული, მათ შორის ერთერთი პირველი ცდა ქართული მწერლობის მოკლე ისტორიისა. ეს ჟურნალი ხომ ერთადერთია, რომელიც მშობლიურ ენაზე პოეტმა ბეჭდური სახით იხილა და წაიკითხა. დოდაშვილი სრულიად ახალგაზრდა დაიღუპა ციმბირში, სადაც 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო იყო გადასახლებული, და სადაც გერცენმა ინახულა.

ასე დიდი მოღვაწე ასწავლიდა ყმაწვილ ბარათაშვილს ქართულ ენასა და გრამატიკას. როგორც ლევან მელიქიშვილის ნაამბობის მიხედვით იონა მეუნარგია გადმოგვცემს, „დოდაშვილმა თვითონ შეადგინა შეგირდებისათვის გრამატიკა — გრეჩის წიგნი გადმოაკეთა — და დაიბეჭდა თუ არა, გასცა კლასებში ბრძანება, ეყიდნათ მისი თხზულება. ბრძანება ყველამ აღასრულა ბარათაშვილის გარდა. ამას ფული ვერ ეშოვნა. როცა ავტორი—მასწავლებელი შემოვიდა კლასში და კმაყოფილებით გადახედა შეგირდებს, რომელთაც წინ ეწყოთ მისი ახალი თხზულება, შენიშნა, რომ ბარათაშვილს წიგნი არ ჰქონდა.

---

* «Курсъ философии. Часть первая, Логика. Сочиненіе Соломона Додаева-Магарского». СПБ. 1827.

— ბარათაშვილო!

— ბატონო!

— მამა შენი რა არის, ლოტრანგია თუ ქართველი?

— ქართველი გახლავთ, შენი ჰირიმე.

— მაშ, რატომ წიგნი არ უყიდნია? წადი და მოახსენე: თუ დღესვე წიგნი არა გქონია, კლასში არ შემოგიშობ.

მეტი რა ღონე იყო, ამ ულტიმატუმმა შეაშინა პოეტის მამა და აყიდვინა იმას ერთი ვაი-ვაგლახით დოდაშვილის „სწორმეტყველება“.*

ეს ერთი მეტად დამახასიათებელი შტრიხია არამარტო ბარათაშვილისდროინდელი სწავლა-განათლებისა ან პოეტის ოჯახური მდგომარეობისა, არამედ, თვით დოდაშვილის პიროვნებისაც.

ამ ასპექტში უნდა გავიხსენოთ სოლომონ დოდაშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის დამოკიდებულების ზოგიერთი ფაქტი. გარდა იმისა, რაც უკვე ვთქვით, საინტერესო მასალებია მოცემული ზაქარია ჭიჭინაძის ჩვიდმეტგვერდიან ბროშურაში, რომელიც 1919 წელს დაიბეჭდა, შემდეგი სათაურით: „სოლ. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი „ფარული საზოგადოების“ წინაშე და ნიკ. ბარათაშვილის პოეზიის იდეის აღორძინება ქართულ მწერლობაში“. იგი დაწერილია გაუმართავი ენით, სავსეა კორექტურული შეცდომებით, მაგრამ, რამდენადაც ავტორს ბარათაშვილის მომსწრეთაგან არაერთი ცნობა შეუკრებია, რომლებიც სიმართლეს არ არიან მოკლებულნი, უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ.

ბროშურის დასაწყისში მოცემულია სოლომონ დოდაშვილის, როგორც თავდადებული ქართველი პატრიოტის დახასიათება, გაგონილი მის ახლონაცნობთაგან. მათ განუცხადებიათ, რომ „სოლომონ დოდაშვილი იყო უდიდესი მამულიშვილი, უდიდესი ქართველი მოქალაქე... მას თავისი სამშობლო საქართველო უყვარდა თავის თავზედ უფრო მეტათ და გატაცებით... მას დიდათ ენატრებოდა საქართველოს ერის განათლება, ამაღლება და დაწინაურება ისე, როგორც საქართველო

---

* იონა მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ. ტ. I, გვ. 194.

ოდესმე ყოფილა კულტურულად დაწინაურებული, თუნდ „ოქროს საუკუნეში“.*

როცა პეტერბურგს სასწავლებლად იმყოფებოდა, სოლომონ დოდაშვილს ახლო კავშირი დაუმყარებია გადასახლებულ ბატონიშვილებთან. თურმე „მათ უქადაგებდა საქართველოს სიყვარულს, ქართველი ერის ამაღლებას,** ძველ კულტურას და ღირსებას. ერთხელ პატარა ბატონიშვილს დავითს (ბაგრატ ბატონიშვილის ვაჟს — გ. ჯ.) ასეთი სიტყვით მიმართავს:

ბატონიშვილებს ეს ჯერეთ აღუწერს საქართველოს ერის ისტორიას, ქართველი ერის გონებით ამაღლებას, დაწინაურებას, მეცნიერულათ, ფილოსოფიურათ, ხელოვნურათ და სხვათა. მერე აღწერს არაბთაგან საქართველოს დაპყრობას, შემდევ დროს, არაბთაგან განთავისუფლებას. მერე კითხვას აძლევს ასე:

პატარა დავით: მერე, იცით ვინ გაანთავისუფლა არაბებისაგან ჩვენი საყვარელი საქართველო? შენმა თანამოსახელე დავითმა, რომელსაც შემდეგ ქართველებმა დავით აღმაშენებელი უწოდეს“.***

ამგვარი საუბრებით, ეტყობა, სოლომონ დოდაშვილი პატრიოტულ გრძნობას უძლიერებდა ყმაწვილ ბატონიშვილებს და საქართველოში დაბრუნების შემდეგაც განაგრძობდა სოკრატულ დიალოგებს. იგი „დიდს ზეგავლენას ახდენს იმ დროის ქართველს მოწაფეებზე, მის წრეებში დაიარებიან ნ. ბარათაშვილი, დ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი, ე. ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი და ბევრი სხვანი, მათ უნერგავს ყველას მამულის შვილობის და საქართველოს აღორძინების სიყვარულს, მათ ყოველ კრებაზე ს. დოდაშვილი ლაპარაკობს მარტოთ საქართველოს შესახებ, ქართველების დაწინაურებასა და ამაღლებაზედ“.****

---

* იხ. ზ. ჭიჭინაძის დასახელებული ბროშურა, გვ. 1, შემდეგ ჩვენ მხოლოდ გვერდებს მივუთითებთ.

** ტექსტს, როგორც აქ, ისე სხვაგან ვასწორებთ, სადაც აუცილებლად საჭიროა.

*** დასახელებული ბროშურა, გვ. 2.

**** იქვე, გვ. 5.

სოლომონ დოდაშვილს, გარდა იმისა, რომ 1828 წელს თბილისში მოუწყვია სტამბა, დაუწყია „თბილისის უწყებათა“ გამოცემა, შემდეგ ჟურნალისა, ფართო მუშაობა გაუშლია, აგრეთვე, მოსწავლე ახალგაზრდობაში. როგორც ირკვევა, თავისი „წრეებისა“, თუ „ამხანაგობის“ კრებებს იგი „მართავდა ხან თავის სახლში, გოლოვინის პროსპექტზედ, სადაც დღეს არტისტული თეატრია (ამჟამად რუსთაველის თეატრი — გ. ჯ.). იქვე ჰქონია სტამბა და რედაქციაც“.* ამ წრეებში ყოფილან: ალექსანდრე ჩიქოვანი, ვახტანგ, გრიგოლ და ალექსანდრე ორბელიანები, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლუკა ისარლიშვილი, ფილადელფოს კიკნაძე, სემინარიის მოწაფე ტარასი მესხიშვილი, ვინმე თაზიშვილი, სოფრომ მესხიშვილი, სოლომონ რაზმაძე და მრავალი სხვა.** ალბად ერთი წრე არ იყო, როგორც ზაქარია ჭიჭინაძე შენიშნავს, უფრო საფიქრებელია რამდენიმეს არსებობა.

ის გარემოება, რომ სოლომონ დოდაშვილი თავის ბინაზე მართავდა კრებებს, დადასტურებული აქვს აგრეთვე იმ ადამიანს, ვისაც ზაქარია ჭიჭინაძე სულ არ იხსენიებს. ეს ადამიანია ისეთი დიდი ავტორიტეტი, როგორიც იყო დიმიტრი ყიფიანი. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო, როგორც ცნობილია, დიმიტრი ყიფიანი დააპატიმრეს 12 დეკემბერს, ხოლო ერთი დღის შემდეგ, 13 დეკემბერს მან თავის პირველ ჩვენებაში აღნიშნა***, რომ იგი სკოლის მეგობრის — მასწავლებელ ზაქარია ავთანდილოვის მეშვეობით დაუკავშირდა შეთქმულთა წრეს 1831 წლის ნოემბრიდან. როგორც სამართლიანად შენიშნავს სიმონ ხუნდაძე, არც ერთი და არც მეორე შეთქმულების აქტიური მონაწილე არ ყოფილა****, მით უფრო ასეთი ვერ იქნებოდა ნიკოლოზ

---

* იქვე, გვ. 10.

** იქვე, გვ. 11.

*** ეს მასალა მაშინ უცნობი იყო, და ზაქარია ჭიჭინაძეს, ცხადია, მისი გამოყენება არ შეეძლო.

**** იხ. დ. ყიფიანი, „მემუარები“, 1930 წ., ს. ხუნდაძის შენიშვნები, გვ. 171.

ბარათაშვილი. რომელიც ყველაზე უმცროსი იყო, ორი წლით მაინც (დიმიტრი ყიფიანი 18 წლისაც არ იყო შესრულებული, როცა შეთქმულებას დაუკავშირდა). მაგრამ სამივე რომ შეთქმულებაში განდობილი იყვნენ, სრულიად უეჭველი ჩანს, თუმცა დიმიტრი ყიფიანი შეთქმულებასთან დაკავშირებით ბარათაშვილს არ იხსენიებს. მაგრამ იგი ადასტურებს, რომ იკრიბებოდნენ დოდაშვილის ბინაზე. „წარსული წლის მარტში, — აჩვენებს დიმიტრი ყიფიანი, — მასწავლებელმა დოდაშვილმა მიგვიწვია ჩვენ: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები (ძმები, ერეკლე მეფის შვილიშვილები თეკლეს მხრით—გ. ჯ.), გიორგი ერისთავი, ავთანდილოვი და მე, თავის სახლში ჩაიზე. იმ დროს ის ცხოვრობდა ახვერდოვის სახლში. მისგან ჩვენ წამოვედით საღამოს 8 საათზე: მე. ერისთავი და ავთანდილოვი; მე გზაში შევნიშნე, რომ ეს უკანასკნელნი ერთმანეთში რაღაცაზე ჩურჩულებდნენ და თითქოს ჩემდა გასაგონადაც სთქვეს ეს სიტყვები:

ერისთ. — არა, ჯერ კიდევ არ შეიძლება რომ მას ვუთხრათ.

ავთ. — ჰო, საჭიროა დავიცადოთ.

სთქვეს და კიდეც შეასრულეს. მაშინ იმათ ჩემთვის არაფერი არ გაუმჟღავნებიათ, მიუხედავათ ჩემი ხვეწნა-მუდარისა"*.

ამ ახალგაზრდებთან დაახლოებული ყოფილან პოლონეთიდან გადმოსახლებული პროფესორები, როგორც ეს დაუდასტურებიათ ლუკა ისარლიშვილსა და გრიგორიევს (ბარათაშვილთან ერთად მომუშავეს სამსახურში). ისინი „ქართველებში ერთ-თავად ქართველობაზედ ლაპარაკობდნენ, ანუ საქართველოს შესახებ. ამ პროფესორებთან ნ. ბარათაშვილიც ხშირად დადიოდა. პროფესორებმა მალე ქართული ენაც შეისწავლეს. იგინი ქართველ ოჯახებში ქართულად ლაპარაკობდნენ თურმე, ქართველთ აფხიზლებდნენ ყველას. ნ. ბარათაშვილზედ ერთობ დიდი გავლენა ჰქონდა როგორც ამ პროფესორებს, ისევე ს. დოდაშვილის პროპაგან-

---

* იხ. დ. ყიფიანი, „მემუარები", 1930 წ., ს. ხუნდაძის შენიშვნები გვ. 138.

დას... პოლონელ პროფესორებმა და ს. დოდაშვილმა ნ. ბარათაშვილს ცხოვრებაში სხვა მცნება მისცეს საღაღადებლად და შემდეგ იგი ამ მცნებას თავის პოეზიითაც სუფთათ და მკაცრათ იცავდა".*

როგორც ჩანს, ყოველივე ეს უთქვამს ლუკა ისარლიშვილს, ხოლო 85 წლის მოხუცს, მწიგნობარ გრიგორიევს განუცხადებია: „ნიკ. ბარათაშვილი ხაზინაში ჩემს პისმოვადიტელათ იყო. იგი ნიჭიერი კაცი იყო, ხშირათ დაიარებოდა იგი სოლომონ დოდაშვილთან და პოლონელ პროფესორებთან. პოლონელი პროფესორები ქართველს ოჯახებში დადიოდნენ, ქეიფობდნენ კიდეც და კარგს საგნებზედაც იცოდნენ ლაპარაკი. ნ. ბარათაშვილი ისეთი ყოჩაღი მელექსე იყო, რომ მის დროს მას ვერავინ შაედრებოდა ალ. ჭავჭავაძის მეტი. ნიკ. ბარათაშვილის დიდი ამხანაგი იყო ფილადელფოს კიკნაძეც. განა არა, ნიკ. ბარათაშვილს თავის მამაც კი ხშირათ ეტყოდა ხოლმე, რომ სოლ. დოდაშვილს და კიკნაძე ბერს თავი გაანებე, თორემ შენ გაითოკებიო.

მართლაც გამართლდა ეს სიტყვა. 1832 წ. ბარათაშვილიც გაჩხრიკეს. ვერაფერი უპოვნეს. მას ეს ამბავი წინეთ შაეტყო და თავის ლექსების ფიქრიც აქვნდა, რუსის მთავრობის, სულ დაეწო. ნ. ბარათაშვილი ცოტა ხანს იჯდა, ორი კვირა, მერე გაანთავისუფლეს".**

რაიმე ხელშესახები მასალა 1832 წლის შეთქმულებასთან ბარათაშვილის კავშირის უარსაყოფად, ჩვენ არ გაგვაჩნია. უფრო სარწმუნოა მტკიცება, რომ სოლომონ დოდაშვილმა ჭაბუკი პოეტი „ფარული საზოგადოების" წევრათ დიდის პატივის ცემით მიიღო.*** ისიც გასათვალისწინებელია, თუ როგორი გატაცებით უყვარდა თვით ბარათაშვილს თავისი სახელოვანი მასწავლებელი. მას „დიდათ აფასებდა", სახლშიც ყოველდღე ესტუმრებოდა, ასევე „რედაქციაში, სტამბაში და ყველგან, სადაც კი სოლ. დოდაშვილი იქნებოდა".**** ეჭვს არ იწვევს აგრეთვე, რომ სოლომონ დო-

* ზაქარია ჭიჭინაძის დასახელებული შრომა, გვ. 12—13.
** იქვე, გვ. 13.
*** იქვე, გვ. 14.
**** იქვე, გვ. 15.

დაშვილმა ჰაბუკი პოეტის გული ღრმა პატრიოტული გრძნობებით აღანთო. მართალი უთქვამს ვახტანგ ორბელიანს: „ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოიწურთნა სოლომონ დოდაშვილთან... თუ სოლ. დოდაშვილი არ ყოფილიყოს, მაშინ შეიძლებოდა არც ნიკ. ბარათაშვილი ყოფილიყოს. ნიკ. ბარათაშვილი იყო წმინდა სამთელი, რომელიც საქართველოს სიყვარულით ქართველი ერის წინაშე იწოდა"*. ეს დიდი სიყვარული მართლაც უწმინდესად არის გაცისკროვნებული ბარათაშვილის პოეზიაში.

არის კიდევ ერთი საინტერესო ცნობა, რომელიც გენერალ გრიგოლ გურულიდან მომდინარეობს. მას განუცხადებია: „ნიკ. ბარათაშვილი და მე ერთ სკოლის სკამზედ ვიჯექით. ნიკ. ბარათაშვილმა წინეთ შეიტყო, რომ შენ გაგჩხრეკეს. მას ბევრი ლექსები ჰქონდა რუსის მთავრობის წინააღმდეგ ნაწერი. იგი მალე წავიდა სახლში, მეც თან წამიყვანა, ყველა ეს ნაწერები ბუხარში შეყარა და ცეცხლს მისცა. ისიყო ეს დაიწო და გამჩხრეკავნიც მოვიდნენ. სასტიკათ გაჩხრიკეს ყველასფერი, მერე ნიკ. ბარათაშვილს სხვა და სხვა ლექსებს უჩვენებდნენ და ჰკითხავდნენ, რომ ეს ლექსი შენი დაწერილიაო? ნიკ. ბარათაშვილი ყველაფერზე უარს ეუბნებოდა.

ჩხრეკა გათავდა და ნიკ. ბარათაშვილს უთხრეს, რომ შენ დაპატიმრებული ხარ, როგორც სოლ. დოდაშვილის მეგობარიო. ნიკ. ბარათაშვილმა მიუგო, მე სოლ. დოდაშვილის მეგობარი კი არ ვარ, არამედ მე ვიყავ მისი მოწაფე და იგი მაკითხებდა რუსულ სახელმძღვანელო წიგნებსაო, ამას სხვებიც დაასაბუთებენო.

მალე წავიდნენ და ნიკ. ბარათაშვილიც თან წაიყვანეს. ამის შესახებ სკოლებშიაც იყო გამოკითხვა. ორი კვირის შემდეგ ნიკ. ბარათაშვილი გაათავისუფლეს"**.

ამგვარად, უეჭველი ჩანს, რომ ბარათაშვილი, მიუხედავად ჰაბუკური ასაკისა (15—16 წელი),

---

* ზაქარია ჭიჭინაძის დასახელებული შრომა, გვ. 16.

** იქვე, გვ. 17.

სოლომონ დოდაშვილის საშუალებით, დაკავშირებული იყო 1832 წლის შეთქმულებასთან; ამის გამო არა მარტო გაუჩხრეკიათ, არამედ, ორი კვირითაც დაუპატიმრებიათ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რაც პოემა „ბედი ქართლისაში“ გვხვდება კანცლერ ლეონიძის მსჯელობა ქვეყნის რესპუბლიკურ და მონარქისტულ მმართველობაზე, მაშინ გამორიცხული არ არის ამ იდეის 1832 წლის შეთქმულებასთან კავშირი. შეთქმულების მონაწილეთა შორის ხომ ორი ძირითადი მიმართულება აშკარად ჩანს — მონარქისტული და რესპუბლიკური. მათ შორის კამათს, ალბათ, არაერთხელ დაესწრებოდა ბარათაშვილი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მოისმენდა თვით სოლომონ დოდაშვილისაგან. ამის შემდეგ განა საკვირველია ბარათაშვილის მეგობართა ეჭვი, როცა ისინი ყოყმანობდნენ, რომ პოემას ცენზურა არ გაუშვებდა, ლაკუნებით დაბეჭდვა კი ყოველგვარ აზრს წაართმევდა ამ გენიალურ ნაწარმოებს.

ახლა მივუბრუნდეთ ისევ თბილისის გიმნაზიას და პოეტის მოწაფეობის წლებს.

დოდაშვილის გარდა, ბარათაშვილის მასწავლებლები იყვნენ: ნიკოლოზ დემენტიევი, ძალიან კარგი პედაგოგი, რომელმაც ჩვენს პოეტს რუსული ენა შეასწავლა, ფიზიკოსი შესტაკოვი, ცეკვების ოსტატი ალდადანოვი, აგრეთვე „ყორღანოვი, კაცი დიდად უნიჭო“, რომელმაც „გრამატიკა მარტო ზმნამდის იცოდა. ამის გამო მთელი წელიწადი სულ ამას იძახდა: „ზმნამდის გაიკვეთეთ“, „ზმნამდის გაიკვეთეთო“*. ცხადია, ყორღანოვის მსგავსი მასწავლებელი ბევრს ვერაფერს მისცემდა გონებაგახსნილ მოსწავლეებს, მაგრამ, ბედნიერება ის იყო, რომ მისი მსგავსნი, იმდროინდელი თბილისის ყველაზე დიდ სკოლას, შედარებით ცოტა ჰყავდა.

თუ რა წარმატებით სწავლობდა ბარათაშვილი შეგვიძლია იმ ფაქტითაც დავინახოთ, რომელიც ლევან მელიქიშვილმა გაიხსენა. მას დაუდასტურებია, რომ

---

* იონა მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 194.

„ბარათაშვილი ყველა საგანს კარგად სწავლობდა. ფიზიკის მასწავლებელმა შესტაკოვმა, რომელიც დროებით სადღაც წავიდა, მიანდო იმას და ლევან მელიქიშვილს განეგრძოთ მეტეოროლოგიური დაკვირვება, მისგან დაწყებული. ბარათაშვილი კარგად ასრულებდა მინდობილობას. სანამ ერთ უბედურ დღეს თერმომეტრი არ გაუტყდა. იმას უნდოდა სხვა თერმომეტრი ეყიდა. მაგრამ ფული საიდან უნდა ეშოვნა და პირშავად დარჩა მასწავლებელთანაო“*.

ბეჯითი სწავლის პარალელურად, მოწაფე ბარათაშვილი წარმოგვიდგება თითქმის ყველა იმ ადამიანური თვისებით, რაც სიკვდილამდე შერჩა. ენამახვილობა, გონიერება, მაღალი გემოვნება, მეგობართა სიყვარული, ეპიგრამებისა და კალამბურების სწრაფი მოსაზრება — ყველაფერი ეს მისი სულის შინაგანი სტიქიაა. ის დასცინის უნიჭობას, როცა ნიჭის სამოსელით ირთვება, ამხელს ოფიციალურ წრეს, რომელიც კარიერას ებღაუჭება და ერის ინტერესებს ივიწყებს. არის პირდაპირი და მოურიდებელი, უშიშარი და გამბედავი. მან სასაცილოდ აიღო სკოლის მეგობარი ვარლამოვი, რომელსაც პუშკინის „ევგენი ონეგინიდან“ რამდენიმე ადგილი უნიჭოთ ეთარგმნა. „ვარლამოვს თარგმანი არავისთვის ეჩვენებინა ჯერ, თუმცა არ მალავდა, რომ სთარგმნიდა პოემას, და თავისი რვეული ცხრაკლიტულში ჰქონდა შენახული. ბარათაშვილს იმდენი უცდია, რომ მოუპარავს ეს რვეული და ერთ დღეს, როდესაც მასწავლებელი ჯერ კლასში არ შემოსულიყო, წამოდგა და დააჩუმა ამხანაგები.

სუთ, ყური დამიგდეთ, ევგენი ონეგინი ვთარგმნე და მინდა წაგიკითხოთ.

ვარლამოვმა ყურები სცქვიტა და ბარათაშვილმა დაიწყო ხმამაღლა:

„ბიძა ჩემი დიდთა პატიოსანთა კანონთა:
როდესაც ხუმრობა გაშობით ავად გახდა...“

---

* იონა მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ. ტ. I, გვ. 195.

თქმა არ გაეთავებია, რომ ვარლამოვი მიეარდა მკითხველს. მასწავლებელი რომ არ შემოსულიყო ამ დროს კლასში და სიჩუმე არ ჩამოეგდო, იმ ხარხარში, რომელიც ატყდა ამ კითხვის დროს, ვარლამოვი ცემას უპირებდა ეშმაკ-პოეტს.*

თარგმანი, როგორც მკითხველი ადვილად მიხვდება, იმდენად უნიჭოა, რომ მისი ავტორი ვერასოდეს ვერ გახდებოდა ვერც ოდნავი რიგიანი მთარგმნელი, და მით უფრო ვერც პოეტი. ბარათაშვილის ბასრი მახვილი იმდენად გამგმირავი იყო, რომ მისი წყალობით ქართული მწერლობა ასცდა ერთ უნიჭო ლიტერატორს, ხოლო, თუ ჭკუა ჰქონდა, გ ა რ ს ე ვ ა ნ ვ ა რ ლ ა მ ო ვ ს მთელი სიცოცხლის მანძილზე მადლობა უნდა ეთქვა ერთგული მეგობრისათვის, რომელმაც ცხოვრების გზისაგან აცდენას გადაარჩინა. მისი ლექსები, გიმნაზიის „ყ ვ ა ვ ი ლ შ ი“ მოთავსებული, ისევე სუსტია, როგორც ციტირებული თარგმანი. ვარლამოვი კარგი მოხელე გამოვიდა, მაგრამ არა პოეტი.

გადმოგვცემენ მეორე შემთხვევას, რომლის გამო ჩვენი ყმაწვილი პოეტი „კინაღამ არ გამორიცხეს სასწავლებლიდან“.

საქმის ვითარება ასეა აღწერილი: კეთილშობილთა სასწავლებელში ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს დაუწერია ლექსი, რომელშიაც აუგად მოუხსენიებია იმდროინდელი ზოგიერთი ოფიციალური პირი. ლექსს მიუღია აშკარად მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ხასიათი. დაუწყიათ დამნაშავეთა ძიება. უნდა ვიცოდეთ, რომ ლექსის ავტორის გარდა, საქმის მონაწილენი სხვებიც იყვნენ — ბარათაშვილის სკოლის მეგობრები. მაგალითად, ლევან მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ს იგი გადაუწერია, ხოლო პეტრე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ს — ფოსტალიონის ჩანთაში ჩაუდევს და მისამართიც მიუწერია — თავადაზნაურობის წინამძღოლს.

---

* ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 195. შეადარეთ, მართლაც რა სასაცილო და რა უნიჭო თარგმანია:

«Мой дядя самых честных правил,
Когда не в шутку занемог»...

მთარგმნელს ტექსტის წაკითხვაც არ ეხერხება, იდიომებზე წარმოდგენა არა აქვს, ცხადია, ის ვერც ერთ სტრიქონს სწორად ვერ თარგმნიდა პუშკინის უკვდავი ქმნილებიდან, პოეზიას რომ თავი დავანებოთ.

ფალავანდიშვილს გადაეცესო. მთავრობის მიერ გამოცხადებულ ძიებას შედეგიც მოჰყოლია. კვალისათვის მიუგნიათ და იმავე საღამოს სასწავლებელში მოულოდნელად მისულან: „ჟანდარმის აფიცერი, პროკურორი, პოლიციის უფროსი... ამხანაგებმა კაცი აფრინეს ტატოსთან (ტატო თუძცა პახსიონში იყო, ღამ-ღამე შინ მიდიოდა). მაგრამ მთავრობამ სულ ყველაფერი შეიტყო და საქმე ასე დაბოლოვდა: მთავარმართებლის როზენის ბრძანებით, დამნაშავენი: ნიკო ბარათაშვილი და პეტრე ბაგრატიონი, გაეგზავნენ თავიანთ მშობლებთან დასასჯელად. ამ ბრძანების თანახმად, ტატო წაუყვანეს მის მრისხანე მამას. პროცესია ამგვარად მიდიოდა: წინ მიდიოდა დამნაშავე. იმას უკან მისდევდა გუვერნიორი და გუვერნიორს დარაჯი „როზგით“. ადვილად წარმოსადგენია, რაც დღე დაადგებოდა ამ თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ვოლტერს თავის სატირისათვის. იმის სიხარულით, რომ შვილი სკოლიდან არ გამოურიცხეს, მამამ კინაღამ სული არ ამოართვა, იმდენი სცემა“.*

ამ ფაქტებთან არის დაკავშირებული „ივერიაში“ მოთავსებული წერილიც „ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი ტფილისის კეთილ-შობილთა სასწავლებლის IV კლასში“. ავტორს იგი დაუწერია ბარათაშვილის ამხანაგის გიორგი მიხეილის ძე ანდრონიკაშვილის ნაამბობის მიხედვით, რომელიც მაშინ 73 წლის ყოფილა. წერილში ვკითხულობთ: „ბარონ როზენი, საქართველოს მთავარ-მართებელი, ჩამოვიდა თუ არა ტფილისში, დააარსებინა კეთილშობილთა სასწავლებლის პანსიონი** და IV კლასის მოსწავლეთა შორის თავის ადიუტანტად აღიარა აწ განსვენებული თ. ლ. ი. მ.-ლი (ლევან მელიქიშვილი—გ. ჯ.). მისს ამხანაგებს მეტად გულს დააკლდათ, ნამეტნავად ტატოს. ამხანაგის განშორება. სახელოვანმა ახალგაზრდა ტატომ თავისი გულისწყრომა ბარონ როზენზედ წარმოაცალიერა თავის ცხარე წერილში, დაბეჭდა იგი პეტრე ბაგრატიონის (თავის ამხანაგის)

---

* იონა მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 197.

** კეთილშობილთა სასწავლებელი პანსიონით იმყოფებოდა სასახლის და ატამანის ქუჩებს შორის, სომხების ქამოევის საყდარს ქვემოთ. (ავტორის—პ. ცხვიღოელის შენიშვნაა— გ. ჯ.).

ბეჭდით ლაქაზედ და ყაზახს, იმ ხანად ფოსტის მატარებლის ხელში წერილების გასინჯვის დროს — ჩვენ სახელზე წერილი ხომ არ არის-რაო, — ჩაუდო ჩუმად დავთარში. როზენი აენთო ამისთანა შეურაცხებისათვის, დანიშნა გამოძიება და ბეჭდით აღმოაჩინეს ტატოს ბრალიანობა. ტატომ, როგორც იმავე თავით დიდსულოვანმა, წარბიც არ შეიხარა: პეტრე ბაგრატიონი დაარიგა, ეთქვა — „ბეჭედი ჩემია, მაგრამ მე არა ვიცი-რა, უთუოდ მომპარეს და ისე დაჰკრეს ლაქზედაო“; თვით იდო თავს დანაშაული და ყოველივე დაწვრილებით აღიარა გამოძიების წინაშე და არავინ ამხანაგთაგანი დანაშაულში არ გაჰრია. ტატო ორი კვირით დაამწყვდიეს ცალკე (карцеръ) რკინის ცხავ გადაკრულ სარდაფში და ამ ხნის განმავლობაში ამხანაგნი ჩუმად უზიდავდნენ საუკეთესო საჭმელ-სასმელს, დაქრთამულის მოსამსახურის ხელით. ორის კვირის შემდეგ — კი უნდა სამასი წკეპლა (როზგი) დაეკრათ. გამოარჩიეს ასი შეგირდი და მათგან სამ-სამი უნდა დაეკრა. გაროზგვის წინად მადლიანმა მასწავლებელმა (III და IV კლასებში წერისა და გეოგრაფიისამ) შეგირდებს ასწავლა როზგის დარტყმა ისე, რომ ტატო არ გაემწვავებინათ. ეს მასწავლებელი იყო პაველ ივანიჩ შიპულინი. დანიშნულ დღეს მოსამსახურეებს მიჰქონდათ როზგები; მათ შემდეგ დანარჩენ მოსამსახურეებს მიჰყვანდათ ტატო და ბოლოს კი — მასწავლებელნი ასი შეგირდით. ტატო გაროზგეს დედმამის თვალწინ, განსვენებულ გრ. ორბელიანის სახლის მახლობლად (ორბელიანთ უბანში იდგა ძელიტონ ბარათაშვილი). გაროზგის დროს მელიტონი დასძახოდა — „მაგრა დაჰკათ მაგ საძაგელსო!“ დედა — კი იხვეწებოდა — აპატიეთო. ტატო—კი ამხნევებდა დედას — მე ამით ვერ მომკლავენ და ენას ვერ მომჭრიანო. გაროზგვის დროს ტატოს კრინტიც არ დაუძრავს. ისევ პანსიონში დარჩა. ერთის წლის შემდეგ ტატომ შეუგდო აივანზე ბარონ როზენს სამასხარო ნახატი, რომელზედაც ბარონი აბუჩად იყო აგდებული. ეჭვი მიიტანეს ტატოზედ და ამისათვის გამორიცხეს სასწავლებლიდამ“*.

ასე მიდიოდნენ ბარათაშვილის მოწაფეობის

---

* „ივერია“, 1893 წ., 18 აპრილი, № 79.

წ ლ ე ბ ი, რასაც პარალელურად თან სდევდა მძიმე ოჯახური მდგომარეობა. მხედველობაში გვაქვს არამარტო მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი მხარე, რომლის შესახებაც უკვე ვილაპარაკეთ, არამედ, ის მძიმე სულიერი კატაკლიზმები, რომლებსაც თითქმის ყოველწლიურად განიცდიდნენ მელიტონის ოჯახის წევრები. როგორც მოვიხსენიეთ, ათი და-ძმა ზედმიყოლებით გაასვენეს ამ ოჯახიდან; მთელი ორი ათეული წლის მანძილზე სიკვდილი, პანაშვიდები, დამარხვა, ისევ პანაშვიდები პირდაპირ სულს უხუთავდა მთელ ოჯახს. 1819 წელს, როცა ჩვენი პოეტი სამი წლის იყო, გარდაიცვალა დ ა ვ ი თ ი (8 თვისა), 1821 წელს — ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე, 1824 წელს — გ ი ო რ გ ი, 1825 წელს — ბ ა რ ბ ა რ ე, 1826 წელს — დ ა რ ი ა, 1831 წელს—ე ლ ე ნ ე, 1834 წელს — ს ო ფ ი ო, 1836 წელს — მეორე დ ა ვ ი თ ი, იმავე წელს — მეორე ე ლ ე ნ ე, და ბოლოს, 1840 წელს — გ რ ი გ ო ლ ი*. სიკვდილმა პირდაპირ ხელი დარია მელიტონისა და ეფემიას ოჯახს, ხოლო, თუ როგორ იმოქმედებდა დაძმების განუწყვეტელი დაკარგვა უაღრესად მგრძნობიარე ბუნების ნიკოლოზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ზ ე, ადვილი წარმოსადგენია. მის პოეტურ სულს ბავშვობიდანვე უეჭველად დაღს ასვამდა სიკვდილის აჩრდილი, პირადი ხვედრით დამძიმებული, მაგრამ ის მაინც არ გაჰყოლია რომანტიზმში ლ ე ო პ ა რ დ ი ს სასოწარკვეთილ გოდებას, არც ნ ო ვ ა ლ ი ს ი ს მისტიკას. ს ე ვ დ ა დ ა ი მ ე დ ი, გ ო დ ე ბ ა დ ა ბ რ ძ ო ლ ა, პ ე ს ი მ ი ზ მ ი და ო პ ტ ი მ ი ზ მ ი მისი შემოქმედების მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა ს განასახიერებს. ეს მხარე ბარათაშვილის პოეზიისა იმდენად ძლიერია, რომ ქვევით ცალკე მოგვიხდება დავახასიათოთ. ახლა კი მოწაფეობის წლებში ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ლიტერატურული ცდების გასხენება გვინდა, რათა სრულად წარმოვიდგინოთ ბარათაშვილი — პ ო ე ტ ი-გ ი მ ნ ა ზ ი ს ტ ი.

## 5

მოღწეულია ცნობები, რომ ბარათაშვილი თანამშრომლობდა ა ლ მ ა ნ ა ხ ში, რომელსაც სცემდნენ გიმნაზიის მოსწავლე-

* დაწვრილებით იხ ი. ბალახაშვილი, „ბარათაშვილის ცხოვრება", 1967 წ., გვ. 72—88, მ. ხელთუბნელის წერილი „ლიტერატურის" მატიანე", 1940 წ., № 1—2, გვ. 517—564.

ნი, აგრეთვე ჟ უ რ ნ ა ლ შ ი — „Цветок Тифлисской гимназии". ორივე ორგანო ხ ე ლ ნ აწ ე რ ი ს სახით გამოდიოდა. ის, რაც ჩვენამდე მოღწეულია, ახლაც შეგვიძლია ვნახოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში, და ზოგიერთი რამ უფრო ს რ უ ლ ად გავარკვიოთ, ვიდრე ეს ბარათაშვილის პ ი რ ვ ე ლ მ ა ბიოგრაფებმა შეიძლეს. მხედველობაში გვაქვს პოეტის თავდაპირველი ლექსები, რომლებიც ალმანახშია მოთავსებული და დღემდე არავის გაუხდია სპ ე ც ი ა ლ უ რ ი კვლევის საგნად, გარდა ზოგადი მითითებებისა ან პუბლიკაციისა.

როცა ამ ლექსებს ვეცნობით, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ისინი იწერებოდნენ გასული საუკუნის ოციანი წლების მიწურულსა და ოცდაათიანი წლების დასაწყისში. გარდა ამისა, მათი ავტორი ჯერ კიდევ მ ო ს წ ა ვ ლ ი ს მერხზე ზის, სწავლობს ძველ ქ ა რ თ უ ლ პ ო ე ტ ი კ ას მამუკა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს, ანტონ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ს, ევგენი ბ ო ლ ხ ო ვ ი ტ ი ნ ო ვ ი ს, იოანე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს ნაშრომებში გადმოცემული თეორიისა და მასალების დ ო ნ ე ზ ე. ჰქონდა თუ არა ყველა ეს ნაშრომი ბარათაშვილს, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ის გარემოება, რომ მას სოლომონ დ ო დ ა შ ვ ი ლ ი ასწავლიდა, თავისთავად მრავლისმთქმელია. სწორედ დოდაშვილია გზით ბარათაშვილს შეეძლო ქ ა რ თ უ ლ ი პ ო ე ტ ი კ ის მასალები შეესწავლა, საკუთარი ცდებიც ძოეხდინა, თუმცა. ესეც რომ არ ყოფილიყო, ნიჭიერ ყმაწვილს, დიდი პოეტური სულით დაჯილდოებულს, აგრეთვე, ალექსანდრე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს ა და გრიგოლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ თ ან, უკვე ცნობილ მწერლებთან დაახლოებულს, შეუძლებელია ქართული ლექსის ტ რ ა დ ი ც ი უ ლ ი ფ ო რ მ ე ბ ი იმ დროს კარგად შეთვისებული არ ჰქონებოდა. ალმანახში მოთავსებული ლექსები გვარწმუნებენ, რომ ეს ნამდვილად ასე იყო.

გავეცნოთ ქართული ლექსის ზოგიერთ ამ ფორმას, შემდეგ კი თვით ბარათაშვილის ალმანახისეულ თხზულებებს.

ერთერთი ძველი ფორმა ქართული ლექსისა იყო ი ა მ ბ ი კ ო, რომელიც უმთავრესად ს ა ს უ ლ ი ე რ ო პოეზიაში იხმარებოდა: „წმინდათ წერილში ბეურია და ვისაც გინდა, იქიდამ შეიტყობო", — წერდა „ჰ ა შ ნ ი კ ის" ავტორი მ ა მ უ კ ა

ბარათაშვილი. ანალოგიურ თვალსაზრისს გამოსთქვამდა ევგენი ბოლხოვიტინოვი, ხოლო იოანე ბატონიშვილი კიდევ უფრო დაწვრილებით განმარტებასა და უხვ მაგალითებს იძლეოდა.

„რაჲ არს იამბიკო და ვითარის გვარისა?“ — ეკითხება პეტრე ლარაძე იოანე ხელაშვილს და ასეთ პასუხს ღებულობს:

„იამბიკო არს გვარი ბერძული ლექსისა, რომელიც უფრორე იხმარება საღმრთოთა წერილთა შინა, აგრეთვე გალობითა შინა, შესხმისათვის და საფლავსა ზედა დასაწერელად და ესე ვითართა. ხოლო ესე შედგება თორმეტისა ხმოვანითა ასოთი, ხოლო უხმოსა თორმეტიდამ თხუთმეტამდის და ოცამდისაც მოითხოვს სიტყვის გვარისამებრ. ესე შედგება ხუთ სტრიქონად და რომელისამე ბოლო, ვისაც ნებავს, შაირსავით მოიყვანს მსგავსსა, ვისაც ნებავს შერეულად და გაუწყობრად ბოლოს სიტყვებსა, გარნა უნდა იცოდეს ძილის-პირი „ლოცვამან ანნა“ და სამსახეობა გალობით“.*

იამბიკოს ამ განმარტების შემდეგ მოტანილია მაგალითები, როგორც შაირული დაბოლოებებით, ისე მაჯამური და შერეული.

თუ რა მძიმეა იამბიკო, შეგვიძლია დავინახოთ შემდეგი ნიმუშებით:

I

„აღმოსავალსა სამთენოსა სამოთხე,
ყვავიღ-მრავალნი, ბევრნი, არა სამ ოთხე,
ღვთივ-სწავლითისა, გვიქმენ ისე, სამოთხე,
არაერთკუთხედ, უფროს ღამებრ სამოთხე;
სულთ მაგრილობელ, რტო-ფურცლოვან სამოთ ხე“.**
(ანტონი)

II

„ეთეროვნისა სპერასა განსმენილი,
მზის ქვეშე მნათი, მეორე მზე ქართველთა,

* იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, 1936 წ., ტ. I, გვ. 262—283.

** იქვე, ტ. I, გვ. 284.

ყოელთ მაარსისა დედისა თვისებათა,
ცხებულთაგანი, ცხებულთა დედოფალი.
მწველთა სიავთა გვირგვინად საჯთ იჳაელებს".*

(ნიკოლოზ ორბელიანი)

სხვა მაგალითებს „კალმასობიდან" აღარ მოვიტანთ, საჭირო აღარ არის, ვინაიდან აქედანაც კარგად ჩანს, თუ რა მძიმეა იამბიკო. ის იწერებოდა ხუთი სტრიქონით. მაგრამ იყო გამონაკლისიც. თეიმურაზ ბაგრატიონი, რომელიც იამბიკოს ვრცელ განმარტებას იძლევა, აღნიშნავს, რომ „თვითეული ტაეპი იამბიკოსი თორმეტმარცვლიანი არის. იამბიკო უფრო ხშირად ხუთტაეპოვანნი იქმნებიან, ოდესმე ოთხტაეპოვანნი, სამტაეპოვანნი; ხუთს ტაეპზედ მოძატებულნი, დიახ, ძვირად იქმნება იამბიკოს თვითეული ლექსი. იამბიკონი ქართულსა ენასა შინა თქმულნი უმეტესნი ურიფმოდ არიან (რომელი დაბოლოებანი ლექსთა მათთანა არა თანახმა არიან ურთიერთისა), ხოლო რომელნიმე იამბიკონი რიფმოვან არიან".**

იამბიკოს ამ განმარტების შემდეგ, თეიმურაზ ბაგრატიონს მოჰყავს მრავალი მაგალითი, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ ორს მოვიტანთ სანიმუშოდ:

I

„სთქვა ვინმე ესე ოქროს მოყვარეთამან:
მთნავს წვეთი სეისა, ვიდრე ჳური სიბრძნეთა,
რომლისა მიმართ სთქვა ვინმე გონიერმან:
ცვარი სიბრძნისა ჩემდა ვიდრე ზღვა სეისა".

(გრიგოლ ნაზიანზელი)

II

„ქალწულთა შორის, დედა, ხოლო დედათა
ქალწული მხოლო, ახალი მზესა ქვეშე
ანნას საშოსა, გამხსნელი კრულებისა

* იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, 1936 წ., ტ. I, გვ. 284.
** თეიმურაზ ბაგრატიონი, „გვარინი ანუ საზომო ქართულისა ენისა სტიხთა", წიგნში: „ქართული პოეტიკის ქრესტომათია", 1954 წ., გვ. 71—72.

მისსა წმიდასა, გენათლიასა იშვებს
მრჩობლთა სოფელთა, გარე შემცველი სფერი“.
(იოანე პეტრიწი)

ასეთია იამბიკოს ძველი განმარტებები და მაგალითები, რომლებიც გიმნაზიელ ბარათაშვილს უეჭველად ეცოდინებოდა. მაგრამ საჭიროა შემდეგი დამატებაც: არ უნდა დავივიწყოთ, რომ „იამბიკოს ტაეპნი, როგორც თეიმურაზ ბაგრატიონი წერს, თანასწორედ, საშუალოზედ არ განიყოფება. დაწყებიდან ტაეპსა მძიმემდის ხუთი მარცვალი აქვს მარადის და მძიმიდან ბოლომდის შვიდი მარცვალი“.

იამბიკოს გარდა, რომელიც ძველ ქართულში ერთ-ერთი ძირითადი ფორმა იყო, გვხვდება თეჯლისი. მისი დახასიათება იოანე ბატონიშვილს მოცემული აქვს „ქალმასობაში“, სადაც ვკითხულობთ: „თეჯნიშიც არის ერთი გვარი თათრული სიმღერისა, შერეულის ლექსით დაბოლოებული ოთხტრიქოვანი და სამი მუხლის ბოლონი თანასწორნი და უკანასკნელნი პირველის მსგავსი, ესრეთ:

„ხმა სირინოს, ღაწვ-ღულამბარ-წინამოს,
დამქროლო ნიაო, არვედ ეარე,
მზე აპოლოს დისკო უძღვენ წინამოს.
შვიდთა მთენთა ერთი ხლებად ეარე.
თეთრთა ზღვათა შავნი ნავნი მანავნი,
ესრეთ ვჰგონებ, მან განავნა მანავნი,
არ იკადრა ლიმენს ტევრი მან ავნი.
ძვირად სადმე საფარდულად ეარე!“ •

ეს თეჯლისი ბესარიონ გაბაშვილს ეკუთვნის და ჩვენ მთლიანად აღარ მოგვყავს, ვინაიდან უკვე ნათელია ლექსის ფორმა, რომელიც ბარათაშვილისათვის ნაცნობი იყო.

მაგრამ, საიდან ვიცით, რომ გიმნაზიის მოწაფე ბარათაშვილი იცნობდა ქართულ პოეზიაში დიდიხნის წინათ

---

• იოანე ბატონიშვილი, „ქალმასობა“, 1936 წ., ტ. I, გვ. 298.

დამკვიდრებული ბერძნული და სპარსული ლექსთწყობის ამ ფორმებს — იამბიკოს და თეჯლისს?

ვიცით თვით მისი ადრინდელი ლექსებით, რომლებიც ხელნაწერ ალმანახშია მოთავსებული და რომლებსაც შეფასება ახლა უნდა მივცეთ.

მაგრამ, ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ალმანახს, ეტყობა, მოსწავლეთაგან ყველაზე წარჩინებულ პოეტად სწორედ ბარათაშვილი ჰყავს; ამიტომ, პირველი ლექსი, გრიგოლ ორბელიანის თარგმანის შემდეგ, მის კალამს ეკუთვნის, ყველა ნაწარმოები ორიგინალურია, ხოლო, მიხეილ თუმანიშვილი, უმთავრესად, თარგმანებითა და მეორე რანგით კმაყოფილდება. ეს ფაქტი, თავისთავად, იმაზე მეტყველებს, რომ ბარათაშვილმა ქართულ პოეზიაში შემოსვლათავიდანვე პირველი ხმით დაიწყო.

ახლა გავეცნოთ გიმნაზიელი პოეტის ალმანახისეულ ლექსებს.

ბარათაშვილის დღემდე ყველაზე ადრინდელი ლექსია „ვარდი და ია", რომელიც ალმანახის პირველ განყოფილებაში („პოეზია აპოლოგიური") გრიგოლ ორბელიანის მიერ რუსულიდან თარგმნილ „ვირსა და ბულბულს" მისდევს; ასე რომ, იგი პირველ ლექსად უნდა მივიჩნიოთ თვით მოსწავლეთა ნაწარმოებებს შორის. რომლებიც აქვეა მოთავსებული (შემდეგ მიდის მოწაფეთაგან მიხეილ თუმანიშვილის თარგმანი, ისევ ნიკოლოზ ბარათაშვილის საკუთარი, მიხეილ თუმანიშვილის თარგმანი, კვლავ ბარათაშვილის საკუთარი და ა. შ.). ბარათაშვილის ეს ლექსი, ეტყობა, უმაწვილობის ასაკში დაწერილი ნაწარმოებია, რომელსაც ორიგინალური ფორმა აქვს. ამ ფორმას ქვემოდ დავახასიათებთ, ლექსი კი ეს არის:

### ვარდი და ია

უტყვსა მინდორსა, მწვანოვანსა, ნაზარდი,
ნაზად შეხრილი, გაფურჩქვნილი მუნ ვარდი

ხანცა იღიმვის, ხანცა ნაზობს წუნარადი,
პსეკერს რხევით წუაროს, მოწანწკარეს ტანადი.
ზეფირო-მჭროლე, განმაგრილე, მღელვარე,
მსუბუქად ჰქროდა, ყვავილი ამაელვარე;
იაც სოსნადა, ნარნარადა, მდგომარე
ვარდის ახლოსა, უკლებლობსა მარადი.
ვარდი ამაყი იტყვის წუნარი, მცინარი:
იავ, წვრილ ძირავ! ნახე, შენთან ვინ არი:
ვით თავისუფლობ, ვითა ლაღობ, აქ მდგარი?
რად არა იცი, მეტრფის კაცად კაცადი?
ეამან თმენა, სრულ მოსმენა ინება:
ვარდი ჭარითა ბორბალითა იძრცენება —
მაშინ შიშველი, გაფლიდული იხრება,
ეტყვის იასა: აწ ეგრძენ ჩემი ნაბადი".*

სამწუხაროდ, როგორც ამ ლექსს, ისე დანარჩენსაც ალმანახში თარიღი არ უზის. ჩვენამდე მოღწეული დედნებით

---

* საქ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, № 2684. ეს ლექსი, ისევე როგორც ბარათაშვილის ყრმობისდროინდელი სხვა ლექსები, 1945 წლის გამოცემაში თვითნებური რედაქციითაა შეტანილი. პირველივე სტრიქონში უხეში შეცდომაა დაშვებული: „მწვანოვანის" ნაცვლად „მწუკნოვანი" (!) წერია. დიდხანს ვაკვირდებოდით ბარათაშვილის ალმანახისეულ ერთადერთ წყაროს, მაგრამ ვერ იქნა და „მწუკნოვანი" ვერ ამოვიკითხეთ. სწორედ ამ სიტყვამ მიგვიყვანა აზრამდე — ყველაფერი შეგვედარებინა. შევადარეთ და მკითხველს გზადაგზა ვუჩვენებთ რა მოხდა. ვთქვათ, „გაფურჩქვნილისა" და „მოწანწკარეს" შემდეგ სასვენი ნიშანი მძიმე დაუსვამთ, რაც ალმანახში არ არის; მეხუთე სტრიქონი—„ზეფირო-მჭროლე. განმაგრილე, მღელვარე" წინწკლებშია ჩასმული, თითქოს მიმართვა იყოს, და ბოლოშიც აღტაცების ნიშანი უზის — ეს უკვე ტექსტის უმართებულო წაკითხვაა. დამახინჯებულია აზრი, რომ მჭროლავი, განმაგრილებელი და მღელვარე ზეფირი, ყვავილთათვის ელვარების მიმცემი, მსუბუქად ჰქროდაო. 1945 წლის გამოცემის რედაქცია კი ამ სტრიქონებს თიშავს ერთმანეთისაგან, აზრს წყვეტს და უაზრობას იწვევს. სულ ამოგდებულია „ჯანი" სიტყვაში — „ჰქროდა", ხოლო სიტყვა „ლაღობის" შემდეგ — სასვენი ნიშანი მძიმე. ვარდის სიტყვებიც — „იავ, წვრილ ძირავ!.." ბოლომდე — „კაცად კაცადი?" ისევ წინწკლებშია ჩასმული, რაც ალმანახის ტექსტში არ გვხვდება. სიტყვა „იძრცენების" შემდეგ წერტილია და არა ტირე, ხოლო „იხრება" მძიმე აქვს დასმული, უკანასკნელი ოთხი სიტყვა კი —„აწ ეგრძენ ჩემი ნაბადი" ისევე წინწკლებშია ჩასმული. ჩვენი პუბლიკაცია წარმოადგენს ბარათაშვილის ტექსტის უცვლელად აღდგენას.

თარიღდებიან მხოლოდ „ვარდი და ბულბული“, აგრეთვე „შემოღამება მთაწმიდაზედ“, ისეთი ლექსები კი, როგორიცაა „ვარდი დაია“, „ნარგიზი და ყაყაჩო“, „კავკასიური მოთხრობა“ დღემდე უთარიღოდ რჩებიან. ბარათაშვილის თხზულებათა 1945 წლის გამოცემის რედაქციამ სამივე ნაწარმოებს 1833 წელი დაუსვა თარიღად, მაგრამ ეს მეტად სავარაუდოა. უმჯობესი იქნებოდა 1832 წელი დაეწერა პირველი ორისათვის, ხოლო „კავკასიური მოთხრობა“ მათგან ერთი წლით წინ გადმოეწია. რაც შეეხება ნამდვილად დათარიღებულ ნაწარმოებებს, ორივე ლექსი, როგორც „შემოღამება მწათმიდაზედ“, ისე „ვარდი და ბულბული“, პირველი ვარიანტებია („ვარდი და ბულბული“, შემდეგ უფრო ლაკონიური სათაურით შეცვლილი — „ბულბული ვარდზედ“, იწყება სიტყვებით: „ბულბული ვარდს შეაჯდა და ეტყოდა მსტვინ'ავი“. როგორც ვხედავთ, ეს პირველი სტრიქონი, მსგავსად თითქმის მთელი ლექსისა, ბარათაშვილმა საფუძვლიანად გადაამუშავა, როგორც „შემოღამება მთაწმინდაზედ“ და სხვა თხზულებანი).

ახლა დააკვირდით თვით ნაწარმოებს: ჯერ გამოუცდელი, ყრმა პოეტი მშვენივრად ახერხებს, მიუხედავად იმდროინდელი ლექსის მძიმე ფორმისა, ძალიან ლაკონიურად, თან ნათლად და გასაგებად აამეტყველოს თხზულების შინაარსი. ტიალ მინდორზე ამოსული, ნაზად შეხრილი და გაფურჩქვნილი ტანადი ვარდი ხან იღიმება, ხან წყნარად ქეცლუცობს და რხევით დასცქერის მოწანწკარე წყაროს. მქროლავი, განმაგრილებელი, მღელვარე ზეფირი, ყვავილებს რომ აელვარებს, მსუბუქად ჰქრის. ნარნარა იაც იქვე დგას, ვარდის ახლო, მაგრამ ტანად ვარდთან შედარებით პატარაა. ამით გაამაყებული ვარდი, მართალია წყნარად, მაგრამ დაცინვით მიმართავს იას: რა გალაღებს, როცა, ხედავ, შენთან ერთად ვინა დგას! ის, ვისაც ეტრფის ადამიანი, და ეს რატომ არ იცით! იამ გადაწყვიტა მოეთმინა ყველაფერი, ბოლომდე მოესმინა. ის ხედავს, რომ ძლიერი ქარი თანდათან ფრცქვნის ტანაშოლტილ ამაყ ვარდს. ბოლოს, სრულიად შიშველი, თავისი გაჭირვებით ფლიდად ქცეული ვარდი მისკენ იხრება და სინა-

ნულით ეუბნება: ახლა კი ვიგრძენი, თუ რა იყო ჩემი სამოსელიო.

ეს ლექსი თავიდან ბოლომდე სიმბოლურია, ხოლო მის ალეგორიულ ხასიათს თვით ცხოვრების მორალურ სამყაროში შევყავართ. განა ჩვენ ცოტა გვინახავს ცხოვრების მიერ დროებით განდიდებული ადამიანი, რომელიც ბარათაშვილისეული ვარდის მსგავსად, სიამაყის დროს, ირონიით დაბლა დასცქეროდა თავის მოძმეს?! და განა ცოტა გვინახავს იასავით მომთმენი ადამიანი, რომელსაც ამგვარი დამცირება აუტანია, საბოლოო გამარჯვება კი მას დარჩენია?! ყრმა ბარათაშვილს, ეტყობა, ადრევე ჰქონდა შეთვისებული ამგვარი ცხოვრებისეული ფილოსოფია, რასაც შემდეგ პოეტმა კლასიკურად დასრულებული, ღრმად გააზრებული ფენომენის ადექვატური სახე მისცა.

მაგრამ, რა პოეტიკური ფორმაა გამოყენებული ამ ლექსში — „ვარდი და ია“?

აქ არ არის მარტოოდენ იამბიკოან თეჯლისი. ჰაბუკი პოეტი აერთებს ორივე ფორმას — ბერძნულ იამბიკოს სპარსულ თეჯლისთან და ორივეს შედარებით ამსუბუქებს, რითაც ჰქმნის ორიგინალურ ლექსწყობას. მისი ლექსი თორმეტმარცვლოვანია, როგორც იამბიკო, აგრეთვე ოთხსტრიქონიანი და გარითმული, რაც ზოგჯერ დაშვებული იყო. გარდა ამისა, თორმეტი ხმოვანი თანაბრად არაა რის განაწილებული, პირველი ხუთი ხმოვანი მძიმემდეა, შემდეგ კი დანარჩენი შვიდი. ეს, როგორც ვხედავთ, იამბიკოა, მაგრამ სად არის თეჯლისი?

იქ, სადაც პოეტი სამი სტროფის ბოლოსრითმავს, ხოლო მომდევნო მეოთხეს ყველა დანარჩენ მეოთხე სტრიქონს უფარდებს. მთელი ლექსი — „ვარდი და ია“ ასეა დაწერილი და ბარათაშვილი აქ უეჭველად იჩენს პოეტურ შემართებას, იმ დროისათვის ძალიან მნიშვნელოვან გაბედულებას. ტრაფარეტულად ის არ მიჰყვება არც ბერძნულ, არც სპარსულ ლექსწყობას.

მოსწავლე ბარათაშვილის მეორე ლექსს, რომელიც

ალმანახშია მოთავსებული, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, შემდეგი სათაურით აქვს: „ნ ა რ გ ი ზ ი და ყ ა ყ ა ჩ ო“. როგორც აღვნიშნეთ, თარიღი არც ამ ლექსს უზის.
მოვიტანოთ მთლიანად:

ნარგიზი და ყაყაჩო

ველსა ტურფასა, საამურსა, ხმა ისმის
ხანცა ბულბულთა, ხანცა სირთა, ხანც ისმის
ბუჩქთ ზედ ნიავი, მომფრინავი, და ისმის
წყაროო მგზავრთაგან, მაშვრალთაგან მტკბარადა. —
ყვავილი ორი, მუნ მდგომარი, ღაღაენებს,
ყაყაჩო ნაზად, ალისფერად ბიბინებს,
ნარგიზსც ჰრწყამს წყარო, ჰქრის ზეფირო ანცადა. —
ნარგიზმან შლილმან, ყვითლად მოსმან ფურცელი
გარდაიშალა, განაყვითლა მან ველი;
ჰრქვა ყაყაჩოსა, ალისფერსა: ხარ ჭრელი,
მითაც არ მშვენი, ხარ მოხრილი ავადა. —
ყაყაჩო შეჰხდა, განიფურჩქნა სუნნელად;
ჰრქვა ნარგიზსა, მოკამათესა, ნელნელად:
შეუნიერება გარეგანი არს მართლად
უშინაგანოდ ფუჭი ყოვლგან მარადა“.*

---

* საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, № 2684. ამ ლექსის პუბლიკაციის დროსაც 1943 წლის გამოცემაში შეცდომებია დაშვებული. თუ რედაქცია სწორად იქცევა, როცა მეორე სტრიქონის ბოლოში (გვ. 69) სასვენ ნიშან მ ძ ი მ ე ს აგდებს (ჩვენც ასე მოვიქეცით, ვინაიდან იქ ალმანახისეული მძიმე აშკარად ზედმეტია, გადამწერლის შეცდომაა და უაზრობას იწვევს), სამაგიეროდ, სრულიად გაუგებარია, თუ რატომ არის შეცვლილი ბარათაშვილისეული ორჯერ ნახმარი სიტყვა „ზ ე ფ ი რ ო“ სიტყვით — „ზ ე ფ ი რ ი“. გასული საუკუნის 30—40-იან წლებში ეს სიტყვა სწორედ ასე იხმარებოდა, მისი „ო“-თი დაბოლოვება მიმართვას სრულებით არ ნიშნავდა („ო“-ს მიმართვის ფორმით გაგებამ ის გამოიწვია, როგორც ვნახეთ, რომ „ზეფირო-მჭროლო“ მიმართვად წარმოიდგინეს, ამიტომ წინწკლებში ჩასვეს, აღტაცების ნიშანიც დაუსვეს და ტექსტი უაზრობამდე მიიყვანეს). ბარათაშვილზე გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი „ზეფიროს“ წერდა, „ზ ე ფ ი რ ო ს ი ქარია ერთიო“. მაგრამ, კიდევ უფრო გაუგებარია რედაქციის მოქმედება, როცა წერს: „ხელნაწერში მეორე სტროფი (სიტყვის შემდეგ— „ანცადა“—გ. ჯ.) წარმოდგენილია სამ ტაეპად. შეიძლება ერთი სტრიქონი გადამწერს გამორჩაო“ (გვ. 69). არა, უფალო, გადამწერს სწორედ აქ

უკანასკნელი ორი სტრიქონი, სადაც მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ი ს ბარათაშვილისეული - კონცეფციის პირველი გამოკრთომა გვაქვს, ჩვენთვის ძვირფასია, ვინაიდან, ეს აზრი, ო რ გ ვ ა რ ი მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ი ს ა — მოჩვენებითი (გ ა რ ე გ ა ნ ი) და ნამდვილისა (შ ი ნ ა გ ა ნ ი), პოეტმა შემდეგ კლასიკური პოეტური ფორმით გამოხატა ლექსში — „რ ა დ ჰ ყ ვ ე დ რ ი კ ა ც ს ა“ („სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს“, „მშვენიერება ნ ა თ ე ლ ი ა, ზეცით მრსული“, „თვით უკვდავება მ შ ვ ე ნ ი ე რ ს ა ს უ ლ შ ე მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ს“, „მას ცისა სხივით აცისკროვნებს მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ა და უ კ ვ დ ა ვ ე ბ ი თ აგვირგვინებს ჰ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა!“).*

მაგრამ ამ ლექსში არანაკლებ საყურადღებოა მ ე ო რ ე მ ო მ ე ნ ტ ი. თუ „ნარგიზი და ყაყაჩო“, მსგავსად პირველი ნაწარმოებისა, ი ა მ ბ ი კ რ ს ა და თ ე ჯ ლ ი ს ი ს ორიგინალურ სინთეზს წარმოადგენს, სამაგიეროდ, აქ გვხვდება ის ახალი, რაც „ვარდსა და იაში“ არა გვაქვს. ეს არის მ ა ჯ ა მ ა, გამოყენებული პირველსავე კუპლეტში, როცა „ი ს ი ს“ ჯერ წარმოდგენილია ს ი მ ე ნ ა ს თ ა ნ დაკავშირებული აზრით, ხოლო შემდეგ დ ა ლ ე ვ ა ს ქ („დ ა ნ ს მ რ ს წყარო მგზავრთაგანთ“, ე. ი. მგზავრები წყაროს წყალს სვამენ) გულისხმობს. ამგვარად, ორივე ნაწარმოები ნათლად მეტყველებს, რომ გიმნაზიელი პოეტი ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ბრმად კი არ წერს ლექსებს, არამედ, გარკვეული ა ზ რ ი თ ა და ასევე გარკვეული მ ი ზ ნ ი თ, შეაქვს რა ქართული პოეზიის პრაქტიკაში ახალი ე ქ ს პ ე რ ი მ ე ნ ტ ი.

---

არაფერი გამორჩენია, პირიქით, პოეტი პირდაპირ გადადის აზრის ლოგიკურ განვითარებაზე.— ზეფირის ანუ ქროლვის შედეგად ნარგიზი ფურცელს შლის, მაგრამ თქვენ თვითონ კი ნამდვილად გამოგრჩათ. ბოლო ოთხ სტრიქონში ერთი — „ჰ რ ქ ვ ა ნ ა რ გ ი ზ ს ა ; მ ო კ ა მ ა თ ე ს ა ნ ე ლ ნ ე ლ ა დ“, რამაც აზრი გასწყვიტა და უაზრობა შექმნა იქ, სადაც ლექსის კვინტ-ესენცია მთავრდება. იქვე სიტყვა „გ ა რ დ ი შ ა ლ ს“ ნაცვლად წერია „გ ა რ დ ი შ ა ლ ა“ და მარცვალი ნაკლები გამოდის. გარდა ამისა, სიტყვაში „შ ე ჰ ხ ე დ ა“ ისევ ამოგდებულია „ჰ ა ნ ი“, ხოლო ზეით წინწყვლებშია ჩასმული სიტყვები: „ხარ პრელი, მითაც არ მშვენი; ხარ მოხრილი ავადა“. რა საჭირო იყო ასეთი რედაქციაც?

• დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. გიორგი ჯიბლაძე, „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა“, 1940 წ., გვ. 135—137.

მაგრამ სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მესამე ნაწარმოებში.

ეს არის პოემის მსგავსი გრძელი ლექსი, შემდეგი სათაურით: „კავკასიური მოთხრობა". გავეცნოთ ამ ლექსსაც მთლიანად;

### კავკასიური მოთხრობა

ბადრი მთავარე* კავკასსა მოჰფენს;
აულ და სტანცი მყუდრობს მთის დამრეცს;
მხოლოდ ვაჟკაცი ყაზახი ჰზისა,
მარტოდ უძილო ტალავარს თვისსა.
ამაოდ ზიხარ, ყაზახო, ფიქრით,
ჟამთა მიმჰსთვალი გულისა ძგერით;
ამაოდ უჰვრეტ სარკმლით ნაკადსა,
იღუმალული სატრფოს ნახვასა.
დაჰსდგა ჟამიცა ნახვის საწადი,
უკაბარდლოდ არს ისევ ნაკვდი,
სადც** ბედნიერ ჰქმნა პირველ ნახვითა

---

* დედანში იკითხება „მთავარე", მაგრამ ეს გადამწერლის შეცდომაა. იქვე, ალექსანდრე ორბელიანის ლექსში ეწოდება „მთოვარე", თუმცა ტექსტში „მთვარე" ხმარება. თვით ბარათაშვილი მომდევნო პერიოდის ლექსებში ხმარობს: „მთავარე" („ბულბულე-ვარდზედ"), „მთოვარე" („ქეთევან"), „მთოვარე" („შემოღამება მთაწმიდაზედ"), „მთავარე", „მთვარე თ", „მთოვარემც" (სამივე ფორმას ერთ ლექსში — „ღამე უაბახზედ"). პოემაში — „ბედი ქართლისაჲ" ნახმარია „მთოვარე". ამგვარად, იმ დროს იხმარებოდა „მთოვარე" და „მთვარე". მაგრამ ბარათაშვილის თხზულებათა 1945 წლის გამოცემაში (გვ. 70) „მთვარე" უცვლელად დაუტოვებიათ, მარცვლის შესივსებად კი ფოჩხილებში ჩაუსვამთ თვითნებურად მიმატებული სიტყვა „შუქს" და სტრიქონი ასე „გაუმართავთ": ბადრი მთვარე (შუქს) მოჰფენს", რაც ტექსტის დამახინჯებულ წაკითხვაა. გამოცემის რედაქცია რომ დაკვირვებოდა, იმას მაინც შეამჩნევდა, თუ როგორ ბრღვევა შავთელური ლექსის მარცვალთა წყობა: 5+5-ის მაგიერ 7+3 გამოდის, რაც სხვაგან არსად არ გვხვდება. საერთოდ, ეს გამოცემა ბარათაშვილის ყრმობის-დროინდელი ლექსები, როგორც ვნახეთ, დამახინჯებულად გამოქვეყნდა.

** დედანში არის „სადაც" და მარცვალი ზედმეტია. ეს უკვე გადამწერლის შეცდომაა, ამიტომ ჩვენ ვასწორებთ; 1945 წლის გამოცემის რედაქციას ეს ზედმეტმარცვლოვანი სიტყვა კი (გვ. 70) არ გაუსწორებია, მიუხედავად იმისა, რომ ლექსი მახინჯდება.

მის მტანჯველ ქალმან სიყვარულითა;
სადაც ბრმად ქმნილმან ქალისა ნდომით,
ჰფიცა რომ განჰსდგეს სარწმუნოებით,
მაჰმადიანთა ჰსჯული მიიღოს,
რომ ტურფა ფათი ჩქარად შეირთოს. —
ჰსჴვრეტს იგი ნაკადს, სარკმელს მდგომარე
ჰხედავს მყის, რომე ტალავრის არეს
დგას კაბარდელი, მჭმუხი, ფერ-ნაკლულ,
ფარჩვნიერ ღართით, ყაბალახჩაცმულ.
იგი ძმა იყო კაბარდინკის მის,
ადრითვე ყუნაქ მცნობარს ყაზახის;
იგი მიჰსწვდა მათს ფარულს სიყვარულს:
გლახ კაბარდინკას ჰურის ცთუნებელს.
ჩემს დასა ელი? უთხრა ყაზახსა:
იგ ვერღა მოვა წყლისთვის ნაკადსა,
მაგრამ შენ მიეც შერთვის ფიცი მას:
აბა რას იტყვი?.. აღსრულდეს — დრო არს.
ჰსცან, რომელ ასულს მოგიცდით სამს დღეს;
თუ დაივიწყებ, ყაზახო, ჰსჯულს* შენს —
მინდა გაცნობო — მოვედი შენთან —
რომელ თვით ფათი აქმნება შენთან.
მსწრაფლ განჰქრა იგი, რა რქვა ყაზახს ეს,
ვის სინიდისი ჰქეჯნიდა სამს დღეს,
თუ ვით უმუხთლოს ჰსჯულსა წმიდასა?
ან ვით მოაკლდეს მშვენიერს ფათსა?
უკვე სამმან დღემ განვლო ესია,
როს მას დატანჯულს სევდა ესია,
შუაღამისას ჰსწყევიდა თვის მხვედრს,
დაცემულია მარტოდ სარეცელს;
დაჰკრეს მის კართა და მანც გააღო:
კაბარდინელი პარკითურთ იყო;
ვით ღამე ბნელი, მხეცებრ საზარი,
ბუტბუტებს ჩუმათ, თვალთ მაელვარი.
სამსახურს ახლავს ყუნაქს ჩემი და,
ჰსთქვა და სარეცლის პირდაპირ დაჰსდგა,
მოჰხსნა პარკს პირი, ყაზახის ფეხთან
აღმოიღო მყის ფათის თავი მან.
ქალს უპატივოდ არ აქვს სიცოცხლე;
შენ პატივი და სიცოცხლე ჰსტაცე —
აწ ჰკოცნენ მასა, თუნდ ყოველს ჟამსა,
მშვიდობით, ღმერთმან მაგიერ გყოსა!

---

* ალმანახში იკითხება „ჰ ს ჯ უ ლ ს ა“, მაგრამ ზედმეტია.

მდუმრად დაჰსცქერდა ყაზახი თავსა,
აბრიალებდა მხეცებრ თვალებსა;
დაეცა მის წინ მუხლთა მოდრეკით,
მკვდარსა ცოცხალი შეეხო ბაგით...
ბრწყინვენ ყენწერნი სრულ კავკასისა;
დღეს, როს წინაშე ჭოშის სახლისა.
შეკრბენ ყაზახნი, და ნახეს აკლდა —
ყაზახი ერთი, იგ ახალგაზრდა!"*

ლექსს მიწერილი არა აქვს, რომ იგი თარგმანია, მაშინ, როცა ალმანახის სხვა თხზულებებს, თუ ისინი თარგმანს წარმოადგენენ, გაკეთებული აქვს შენიშვნა: „რუს". (ე. ი. რუსულიდან) ან პირდაპირ — „რუსულით". ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბარათაშვილის ეს ლექსი თარგმანიარ უნდა იყოს, თუმცა სიუჟეტი ზოგადად მოგვაგონებს, ვიმეორებთ, მხოლოდ მოგვაგონებს პუშკინისა და ლერმონტოვის კავკასიურ (აღმოსავლურ) ნაწარმოებებს.

მაგრამ უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს საკითხი.

---

* საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, № 2684. ამ ნაწარმოების პუბლიკაცია 1945 წლის გამოცემაში სავსეა დამახინჯებებით. აღარაფერს ვამბობთ „ჰანების" ამოგდებისა და წინწკლების დამატებაზე. ეს, ეტყობა, რედაქციის სისტემად ჰქონდა გადაქცეული. მაგრამ, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ შემდეგი დამახინჯებები: 71-ე გვერდზე „მცნობარს" აკლია „სანი", ნაცვლად „შეითვისა" წერია „შენთვისა", სიტყვა „სამს" ისევ აკლია „სანი", გამოთქმა „როს" იკითხება, როგორც „რომ", დამახინჯებულია მთელი ორი სიტყვა— „თვალთ მაელვარე" დაბეჭდილია უაზროდ — თვალი მელვარი", „უენწერნის" ნაცვლად „კენწერნი" (გვ. 72), ხოლო 70-ე გვერდზე „ჟამთა მიმჰსთვალი" შეცვლილია „ჟამსა მივოს თვლით". როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენს პუბლიკაციაში ყველა ეს შეცდომა გასწორებულია.

P. S. თურმე 1945 წლის გამოცემის რედაქციასაც თავისი შეცდომები გაუსწორებია, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი. ეს გასწორება რედაქციისა ჩვენ მაშინ ვნახეთ, როცა ტექსტების შედარება მოხდენილი გვქონდა და ჩვენი დასკვნები გაკეთებული. გასწორებულია შეცდომების ერთი შესაშვედი, გარდა ამისა, თვით ბარათაშვილის ყრმობის ლექსები ხომ შეცდომებით სავსე დარჩა? ვაცხადებთ, რომ ეს რედაქტორის ბრალი არ არის. მიზეზი სხვაა.

ჯერ უნდა დადგინდეს, იმ პერიოდში, როცა გიმნაზიელთა ალმანახი შეადგინეს (ან როცა დაიწერა „კავკასიური მოთხრობა“, არაუადრეს 1832 წლისა), ბარათაშვილი იცნობდა თუ არა დიდი რუსი პოეტების ხსენებულ თხზულებებს? თუ იცნობდა, როგორია მისი კვალი „კავკასიურ მოთხრობაში“?

დავიწყოთ ლერმონტოვით, რომლის კავკასიური პოემები ასეთი თანრიგით დაიბეჭდნენ: „ჰაჯი აბრეკი“ 1835 წელს, „ბიბლიოტეკა დლია ჩტენიას“ XI ტომში; „მწირი“— 1940 წელს, ლექსების კრებულთან ერთად; „დემონი“ — უფრო ადრე, 1856 წლიდან; „ჩერქეზები“ — უფრო გვიან, 90-იან წლებში! იგივე ითქმის პოემაზე „კავკასიის ტყვე“ და ა. შ. ამგვარად, სრულიად გამორიცხულია ლერმონტოვის პოემებს გავლენა ბარათაშვილის ამ ნაწარმოებზე, ვინაიდან 1833—34 წლებში, როცა ეს ალმანახი ჩვენი ვარაუდით, შედგენილიქნა, ლერმონტოვის სახელი რუსულ მწერლობაში ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, და ბუხებრიცია, იმ დროს არც ბარათაშვილი იცნობდა მას.

მაგრამ პუშკინი, მისი ბრწყინვალე ალმოსავლური პოემები? ისინი ხომ 20-იანი წლებიდანვე უაღრესად პოპულარულნი იყვნენ მთელი რუსეთის იმპერიაში? გარდა ამისა, პუშკინის მოგზაურობამ კავკასიაში, კერძოდ, თბილისის ინტელიგენციასთან შეხვედრამ კიდევ უფრო გაუთქვა სახელი დიდ პოეტს, რომელსაც, ეჭვი არ არის, ერთხელ მაინც ნახავდა ბარათაშვილი, უკვე ცამეტი-თოთხმეტი წლის ყმაწვილი და ამ მოღაწეთა ღვიძლი შვილი. ესეც რომ არ იყოს, პუშკინს იმდროინდელი ქართველი ინტელიგენცია ძალიან კარგად იცნობდა, როგორც პოეტს, ამიტომ, შეუძლებელია მისი პოემები, მაგალითად, „ყაჩაღი“, „ბახჩისარაის შადრევანი“, ყმაწვილ ბარათაშვილს არ სცოდნოდა. მით უმეტეს, რომ ხელნაწერ ალმანახში, სადაც ბარათაშვილის „კავკასიური მოთხრობაა“ მოთავსებული, არის პუშკინის „კავკასიის ტყვეს“ პირველი ქართული თარგმანი მიხეილ თუმანიშვილისა. თარგმანი შესრულებულია პირველი თავის იმ ადგილიდან, სა-

დაც პუშკინი თავისი გმირის დახასიათებას განაგრძობს სიტყვებით:

«Свершилось... целью упования
Не зрит он в мире ничего.
И вы, последние мечтанья,
И вы сокрылись от него».

ამ ადგილიდან მიხეილ თუმანიშვილის თარგმანი ასე იწყება:

„გარნა სხვა რიგათ განესაზღვრა მას თვისი ბედი:
სიზმარებ უკვლოდ განეშორა ტკბილი იმედი,
და თქვენც სატრფონო, ღრუბლებანო უკანასკნელნო,
თქვენცა განშორდით, შეიქმენით მისთვის უჩინო!
მიცაყრდნობილი კლდეზედ თავით იგი მოელის
რათა მიმწუხრის ბინდბუნდთანა დაასკვნეს მარადის
ყვავილნი მისის სიცოცხლისა ბინდმოსილისა
დაჰნატრის აჩრდილს და სიგრძეს სამარისასა“.

თარგმანი თავდება სიტყვებთან: «И бури немощному вою с какой-то радостью внимал». თუმანიშვილის თარგმანის ბოლო სტროფები ასეთია:

„და ანაზდეულ დაუშვებდა წვიმა სეტყვითა,
ან ოქრო ღრუბელთ მოსილი ცა ბრწყინავდა გაელვებითა,
და ნიაღვარნი კლდეთ დაჰსთხრიდნენ, ქვათა დაგლეჯდნენ
ყრუ ყრუ წრიალით მხრიდგან აღელვებითა მდინარეობდნენ —
ხოლო ტყვე მარტოდ ავდრის შემდეგ მთის ყენწეროდგან
შხის მობრუნებას მოელოდა დაუდგრომელად,
ქარიშხლისა უღონოსა სიგრიალესა“.

პუშკინის სიცოცხლეშივე შესრულებული ეს თარგმანი სტატიაში დანაცვერი უტოლდება დიდი

ცნ. მეცნ. აკად. ვ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, № 2684.

რუსი პოეტის ულამაზეს ლექსს, მაგრამ ძვირფასია, როგორც პირველი ცდა მისი ქართული ამღერებისა; ამავე დროს, იმის დამადასტურებელია, რომ ბარათაშვილი და მისი ამხანაგები (ვარლამოვის გარდა), დიდ რუს პოეტს ძალიან კარგად ახლოს იცნობდნენ და კიდევაც თარგმნიდნენ. მაგრამ, ბარათაშვილის „კავკასიური მრთხრობა“ არ ატარებს კვალს, რომ პუშკინის ხსენებული ჰოემების გავლენით იყოს დაწერილი ან რომელიმე ადგილის თუნდაც ნებისმიერ თარგმანს წარმოადგენდეს.

**6**

სამივე ლექსი, ბარათაშვილის უეჭველად ყრმობისდროინდელი ნაწარმოები, გამსჭვალულია ბუნებისადმი სიყვარულით და ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან კარგად ვიცით, რომ ბუნება პოეტს ბავშვობიდანვე ძალიან უყვარდა. სხვაგვარად ის ვერც ადრე, ვერც უფრო გვიან ვერ შეიძლებდა ასე მიმზიდველად გადმოეცა ქართული პანორამებისა თუ პეიზაჟების კოლორიტი. რადა ღირს მარტოოდენ მთაწმინდის, მტკვრის და არაგვის ხეობათა საკვირველი აღწერები, ის ნიუანსები, რომლებიც მხოლოდ ბარათაშვილის პოეტურმა არსებამ შეიგრძნო და მხატვრული ფანტაზიის პალიტრამ წარმოსახა. ყველაზე მეტად სარწმუნოა ლევან მელიქიშვილის ცნობა, რომ ახლო მეგობრები „ვერის წყლისპირად“ დადიოდნენ „ხშირად и предавались мечтам“..., რომ „საუკეთესო ლექსებს ის ბუნების წიაღში წერდა“ «Лучших стихов он писал в при (роде)»“.* ასე იქცეოდნენ რომანტიკოსი პოეტები და ბარათაშვილის ფანტაზიაშიც ბუნების უშუალობას თვით ბუნება განაპირობებს.

გავიხსენოთ რა მიმზიდველად ლაპარაკობს ბარათაშვილი

---

* იხ. სოლომონ ცაიშვილის შენიშვნები იონა მეუნარგიას ცალკე წიგნში: „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“, 1945 წლის გამოცემა, გვ. 71. ლევან მელიქიშვილის ნაამბობი მეუნარგიას უბის წიგნაკიდან. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

ქართული ბუნების საოცარ სილამაზეზე, როცა წერილს უგზავნის თავის ბიძას — ზაქარია ორბელიანს. 1844 წლის 15 აპრილს პოეტი სწერდა: «Дай мне маленькое, независимое состояніе, я бы сейчасъ оставилъ и светъ и людей съ ихъ ненасытностью, и мирно и покойно провелъ бы патріархальную жизнь въ лоне простой природы, столь величественной и прекрасной въ нашемъ отечестве».* საგულისხმოა, რომ ქართული ბუნება პოეტისათვის ასე დიდებული, გრანდიოზული, ამაღლებული, მშვენიერია და გასაკვირი აღარ არის, რომ სწორედ მისმა კალამმა შეიძლო საოცარი შთაგონებით წარმოესახა მშობლიური ქვეყნის საკვირველი სილამაზენი, მათ შორის მთიულეთისა.

აქ უნდა გავიხსენოთ სოფიო თარხნიშვილის ერთი ცნობა, რომელიც ბალახაშვილს მოჰყავს: მელიტონის ახლო ნათესავი — ქეთევან საგინაშვილი ცოლად ჰყოლია მიხეილ გაბრიელის-ძე ყაზბეგს — ალექსანდრე ყაზბეგის მამას. თურმე „მიხეილ ყაზბეგი ძალიან ლამაზი, თვალტანადი კაცი იყო. პირველად შეირთო საგინაშვილის ქალი, რომელიც ძალიან ჭკვიანი, კეთილი, ლამაზი ქალი იყო და იმ დროისათვის ნასწავლიც. ნიკოლოზ ბარათაშვილი ზაფხულობით მასთან ცხოვრობდა და ბევრი თავისი ლექსები ყაზბეგში დასწერა".** როგორც ცნობილია დარიალის ხეობის, ყაზბეგის მყინვარის ჯადოსნურმა სილამაზემ გაუძლიერა პოეტური ფანტაზია გრიბოედოვს, პუშკინს, ლერმონტოვს, ტოლსტოის, გრიგოლ ორბელიანს, და რა გასაკვირია, თუ ბარათაშვილის შთაგონებაზეც უშუალო გავლენა მოეხდინა. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ შესაძლოა ბარათაშვილის „გულქვა თანამედროვეთათვის" მისი „ნაზი სიყვარული ბუნებისა ნაკლებ გასაგები იყო... მაშინ რო-

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 106—107.

** ი. ბალახაშვილი, „ბარათაშვილის ცხოვრება", 1967 წ., გვ. 300—301.

ცა ჩვენ მის ლექსთა ლირსებას სწორედ ბუნების სილამაზის სულიერ განწყობილებასთან ნაზ შეხამებაში ვპოვებთ", — როგორც არტურ ლაისტი ამბობდა*. სრულიად უეჭველია, რომ ბარათაშვილს „ბუნებაში თავისი სამშობლო უყვარდა. მასში არ ეძიებდა გრანდიოზულ, დიდებულ სურათებს, არამედ სტკბებოდა შედარებით პაწია სანახაობით, როგორც არაგვისა და მტკვრის ნაპირებით ანუ მთაწმინდითა. ბარათაშვილამდე არც ერთ ქართველ მგოსანს არ უწერნია საქართველოზე ასეთი წმიდის სიყვარულით, არავის გადმოუნთხევია გულითგან ასეთი თბილი, ნაზი გრძნობა ამ სიყვარულის გამოსახატავად."** ეს სიყვარული პოეტმა თავდაპირველად ყრმობის დროინდელ ლექსებში გამოამჟღავნა, ხოლო შემდეგ მათ მისცა უშუალობით გამთბარი საოცრად რაფინირებული სახე.

მაგრამ რას წარმოადგენს ყრმა პოეტის „კავკასიური მრთხრობა"?

შინაარსის მხრივ ნაწარმოები მთლიანად შეიძლება მოთავსდეს ფარვატერში ორიენტალისტური, რომანტიკული აღმოსავლური პოემებისა, რომლებსაც ჩვენ ვიცნობთ ბაირონის, პუშკინის, ლერმონტოვის თხზულებათა სახით. დაუწერელი აღმოსავლური კანონების სისასტიკეზე ტრადიციული წარმოდგენა აქაც უცვლელია; გადაწყვეტილია ტრაგიკული წმინდა ანტიკური მაღალ ასპექტში, როცა ძმა დასა ჰკლავს და იღუპება ორივე, შეყვარებული. ფატის ადა ყაზახის სპეტაკ სიყვარულს აღსრულება არ უწერია ორიდიდე ბარიერის გამო: რელიგიურ ანტაგონიზმს ემატება კანონის ულმობელობა. ორივე ბარიერი შედეგად გვაძლევს შეურაცხყოფილი ყაბარდოელი ძმის მიერ ღვიძლი დის მოკვლას, ხოლო ამ ნიადაგზე შეყვარებული ყაზახის დაღუპვასაც — იგი თავს იკლავს.

რაც შეეხება თვით ფაბულის განვითარებას, ბარათა-

---

* არტურ ლაისტი, „საქართველოს გული", 1927 წ., წიგნი შვიდი, გვ. 22.

** იქვე.

შვილმა რომანტიკული პოემებისათვის დამახასიათებელი ბუნების აღწერაც გამოიყენა და დიალოგებიც, ისევე, როგორც მოქმედ გმირთა სულიერი გრადაციების ჩვენებას გვერდი არ აუარა. ამიტომ „კავკასიური მოთხრობა" მთლიანად რომანტიკულ ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ, რომელშიაც სპარსული პოეზიის ტრადიცია სავსებით გამჭრალია — მისი აღარც თემა ჩანს, და აღარც ფორმა.

ფორმის მხრივ „კავკასიური მოთხრობა" ათმარცვლოვანი ლექსია, სადაც ყოველი ორი სტროფი ერთმანეთთან გარითმულია. რა არის ეს, რა პოეტიკურ ფორმასთან გვაქვს საქმე?

„კავკასიური მოთხრობის"პოეტიკურ ფორმას ეწოდება შავთელური, რომელსაც ჭაბუკი პოეტი პირველად მიმართავს თავის ადრინდელ შემოქმედებაში. ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია ბარათაშვილის მხატვრული აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით, რომ ჩვენ გვინდა უფრო დეტალურად შევეხოთ საერთოდ შავთელურს, როგორც ერთერთ საყვარელ ფორმას პოეტისათვის.

როგორც დავინახეთ, პირველი ორი ლექსი — „ვარდი და ია", „ნარგიზი და ყაყაჩო" არსებითად (ფორმით, შინაარსით) განსხვავდება „კავკასიური მოთხრობისაგან". გარდა ამისა, პირველი ორი მცირე მოცულობისაა. ხოლო „კავკასიური მოთხრობა" შედარებით გრძელი ლექსია, რომელიც მინიატურულ პოემას წარმოადგენს. მართალია, სამივე ნაწარმოებში აშკარად ჩანს ბარათაშვილის პოეზიისათვის საერთოდ დამახასიათებელი მისწრაფება დახვეწილი, ნათლად გამოკვეთილი სიუჟეტისაკენ, მაგრამ იგი კიდევ უფრო სრულყოფილია „კავკასიურ მოთხრობაში", როგორც მცირე მოცულობის პოემაში. ისიც უეჭველია, რომ პირველი ორი ლექსი ადრინდელია და წინ უსწრებს „კავკასიურ მოთხრობას", რომელშიაც ავტორი უფრო დაოსტატებული, გაზრდილი ჩანს, როგორც შემოქმედი. ამიტომ ის ახერხებს არა მარტო თემა შესცვალოს წინა ორი ლექსისა, არამედ, მისთვის სრულიად ახალი პოეტიკური ფორმა — შავთელური გამოიყენოს. ეს ფორმა კი ერთერთი უძველესი იყო ქართულ პოე-

ზიაში, მოყოლებული იოანე შავთელის დროიდან, როცა „ა ბ დ უ ლ მ ე ს ი ა“ დაიწერა თ ა მ ა რ ი ს კარზე და რომელსაც (შავთელს) ასე მაღალ შეფასებას აძლევს „ი ს ტ ო რ ი ა თ ა დ ა ა ზ მ ა თ ა“ უცნობი ავტორი.

ბარათაშვილი, რომელიც ძველ ქართულ ლიტერატურას სპეციალურად სწავლობდა, ჰაბუკობისდროიდანვე იცნობდა შავთელურს თ ე ო რ ი უ ლ ა დ და პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ. ამიტომ, თუ პირველ ორ ლექსში, როგორც აღვნიშნეთ, ჩანს მისი გაბედული შემართება დასძებნოს ქართული ლექსის ახალი შესაძლებლობანი, დაუჯერებელია ჰაბუკი პოეტი მარტო ამით დაკმაყოფილებულიყო და წ ი ნ ს ვ ლ ა არ ეცადა. არა, ეს შეუთავსებელი იქნებოდა მისი დაუდგრომელი შემოქმედებითი ბუნებისათვის. სცადა კიდეც და პირველად გამოიყენა ის ფორმა — შ ა ვ თ ე ლ უ რ ი, რომლითაც უფრო გვიან დაიგალობა ისეთი შედევრები, როგორიცაა „ძ ი ა გ . . ს თ ა ნ“, „ხ მ ა ი დ უ მ ა ლ ი“, „ს ა ყ უ რ ე“, „თ ა ვ ა დ ი ს ჰ . . . ძ ი ს ა ს უ ლ ს ე კ . . . ნ ა ს“, „შ ე ნ ი დ ა ლ ა ლ ნ ი“, „შ ე ვ ი შ რ ო ბ ც რ ე მ ლ ს ა“, „რ ო ს ბ ე დ ნ ი ე რ ვ ა რ“ და მთელი პოემა „ბ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა“. ყველა ეს ნაწარმოები დაწერილია სწორედ შ ა ვ თ ე ლ უ რ ი თ და პ ო ე ტ ი კ უ რ ი ფ ო რ მ ი ს მხრივ მათი წინამორბედია „კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი მ ო თ ხ რ ო ბ ა“. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს უკანასკნელი მინიატურული პოემაა, მაშინ, ცხადია, მან უეჭველად დიდი როლი შეასრულა პოეტისათვის შევთელური ფორმით არამარტო ლექსების, არამედ, „ბ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ას“ შექმნაში. ამიტომ ბარათაშვილის სამივე ალმანახისეული ნაწარმოები მის თხზულებათა კრებულებში ისევე უნდა შევიდეს, როგორც ადრინდელ ლექსებს დიდი პოეტებისა, მაგალითად, ბ ა ი რ ო ნ ი ს ა და გ ო ე თ ე ს ი, პ უ შ კ ი ნ ი ს ა და ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი ს ა, მკვლევარები უყოყმანოდ ათავსებენ აკადემიურ გამოცემებში.

## 7

ახლა ვნახოთ რა არის მოთავსებული ხელნაწერ ჟურნალში— «Цветок Тифлисской гимназии».

ჟურნალის გამოცემას შედგომიან 1835 წელს. სულ გამოუციათ ხუთი ნომერი, მაგრამ ფაქტიურად ოთხ კრებულთან გვაქვს საქმე, ვინაიდან მე-4 ნომრის მარტოოდენ 8 ფურცელია (16 გვერდია) მოღწეული, ისიც შავად ნამუშევარი. პირველი ნომერი დათარიღებულია 1835 წლის 1-ლი მაისით; იქვეა შენიშვნა, რომ „ყვავილი“ გამოვა ყოველ თვეში ერთხელ, რომ იგი შედგენილია „из классныхъ упражнений“*. მაშასადამე, რაც იქ არის მოთავსებული, წარმოადგენს თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა „საკლასო სავარჯიშოებს“, თუმცა მომდევნო ნომრებს ასეთი შენიშვნა აღარა აქვთ. ჟურნალის შინაარსში, რომელიც დართული აქვს უკანასკნელ მე-5 ნომერს, სამგზის იხსენიება ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც ავტორი შემდეგი ნაშრომებისა: „Письмо изъ деревни“, „Отрывокъ изъ Грузинского романа: „Висс-Рамиани“, აგრეთვე, მეცნიერულისა — „О папской власти“, რომელიც თურმე ორი თავისაგან შედგებოდა: „О возвышении Папизма“ და „О падении его“.

მაგრამ ბარათაშვილის არც ერთი ეს თხზულება ჟურნალში არა ჩანს. „წერილი სოფლიდან“ მოთავსებული უნდა ყოფილიყო პირველ ნომერში, რომლის 10 ფურცელი (20 გვერდი) ჩვენამდე მოღწეულია ლაკუნებით (გარეკანისა და პირველი ორი გვერდის შემდეგ მიდის პაგინაცია 21-დან — 36 გვერდამდე). თუ გავითვალისწინებთ „ყვავილის“ სხვა ნომრების საშუალო მოცულობას (მე-2 ნომერი შეადგენს 64 გვერდს, მე-3 —74, ხოლო მე-5—77, გარდა ამისა, პირველი ნომრის შინაარსის დართვას კი უკავია 4 გვერდი), მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ პირველ ნომერს აკლია 50 გვერდი მაინც და სწორედ ამ გვერდებზე იქნებოდა მოთავსებული ბარათაშვილის ის თხზულებანი, რომლებიც დაკარგული ჩანს. შემდეგ ნომრებში (მე-2, 3, 4, 5) მისი ნაწარმოები არ არის მოთავსებული, ვინაიდან პოეტმა გიმნაზია დაამთავრა დაახლოებით თვენახევრის შემდეგ და მოწაფე აღარ იყო. ისიც საგულისხმოა, რომ თუ პირველი

---

* საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მიხეილ თუმანიშვილის ფონდი, № 34.

ნომრის გარეკანს მისი სახელი ამშვენებს (ავტორები ალფავიტით ასე არიან ჩამოთვლილნი: თ. ანდრონიკაშვილი, თ. ნ. ბარათაშვილი, თ. მ. ბებუთოვი, გ. ვარლამოვი, ე. ვილემსი, ა. მონასტირსკი, ლ. მელიქიშვილი, ი. ტიტკოვი, თ. მ. თუმანიშვილი, კიდევ სხვა სამი გვარი ამოშლილია), მეორე ნომერში, ისევე როგორც დანარჩენებში, ბარათაშვილის გვარი აღარ გვხვდება ავტორთა შორის.

ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებასაც: თუ პირველი ნომრის წარწერა გვაუწყებს, რომ „ყვავილი შედგენილია“ „Изъ классныхъ упражненій“, შემდეგ, მე-2, მე-3 და მე-5 ნომრებში იგი აღარ გვხვდება, სამაგიეროდ, თვითეულ მათგანს გაკეთებული აქვს ნ. კუკოლნიკის ეპიგრაფი ლექსად:

«И что такое школа, объясните!
Отсутствіе талантовъ самобитныхъ, —
Посредственныхъ художниковъ толпа, —
Рядъ подражаній, неудачь, — вот школа!»...

კუკოლნიკის ამ სიტყვების ეპიგრაფად გამოყენებას შეიძლება ორგვარი აზრი ჰქონდა: დაემტკიცებინა, რომ თბილისის გიმნაზია ასეთი არ არის, რომ მისი მოწაფეები ნიჭიერები არიან, სხვას კი არ ბაძავენ, თვითონვე ჰქმნიან მხატვრულ ნაწარმოებებს, ან კიდევ ის, რომ ყრუდ მაინც გაეკრიტიკებიათ იმდროინდელ სკოლაში სწავლების დოგმატიკური წესები, რომლებიც ხელს უწყობდნენ არა ნიჭიერი ახალგაზრდების, არამედ, პირველ ყოვლისა ბრმად შემსრულებელი მოხელეების აღზრდას. ჩვენ გული გვტკივა, რომ ამ ჟურნალში მოთავსებული გენიოს ბარათაშვილის ადრინდელი შრომები დღემდე დაკარგულია, იქნებ ვინმემ ამოიღო, მიისაკუთრა და საშუალება მოგვისპრ ოდესმე მათი ხილვისა?

აქ უკვე წყდება ბარათაშვილის ადრინდელი ნაწერების ნუსხა და ჩვენ პირდაპირ უნდა შევუდგეთ მისი ცხოვრების მომდევნო პერიოდის დახასიათებას.

მაგრამ, ვიდრე ამ საქმეს შევუდგებოდეთ, ერთი საინტერესო ცნობაც გვინდა წარმოვადგინოთ.

პოეტის მიერ ჩვენამდე მოღწეული ავტოგრაფებით ირკვევა, რომ ბარათაშვილი თვითონვე ამრავლებდა საკუთარ ნაწერებს, კრებულებად ადგენდა ხოლმე, როგორც ხელნაწერ გამოცემას, უგზავნიდა ახლობლებს (მაიკო ორბელიანს, ეკატერინე ჭავჭავაძეს და სხვ.), გარდა ამისა, ლამაზად ჰკრავდა და წიგნის სახეს აძლევდა. ყოველ მათგანს იგი აწერდა საკუთარ სახელსა და გვარს წოდების მითითებით.

მაგრამ, ჰქონდა თუ არა პოეტს ფსევდონიმები?

მხოლოდ ერთ მათგანს შევეხებით.

ბარათაშვილის ფსევდონიმები, როგორც ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებით ირკვევა, ყოფილა „მირიან ივერი“ (მოწერილი აქვს რამდენიმე ლექსს), აგრეთვე „მირიან ივერიელი“, რასაც ქუთაისის მუზეუმის ერთი ხელნაწერი კრებული ადასტურებს.* თუ რატომ აიღო პოეტმა ეს ფსევდონიმი, გასაგები უნდა იყოს, როგორც მისი პატრიოტული სულის არჩევანი. „ივერიელნისა“ და „ბედიქართლისას“ ავტორს, უთუოდ ეხმაურებოდა მირიან მეფის ისტორიული ადგილი ქართველი ერის ცხოვრებაში, აგრეთვე, დავიწყებული არ ექნებოდა ბიძის — გრიგოლ ორბელიანის პათეთიური სიტყვები „სადღეგრძელოში“, სადაც მირიან მეფე (ჩვენი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნის პირველი ნახევარი) განდიდებულია, ვინაიდან მის სახელს უკავშირდება ქრისტიანობაში ქართველთა მოქცევა. ლეონტი მროველი ისეთი პანეგირიკით ამკობს „მეოცდაოთხე მეფე მირიანს“, რომ გამოჰყავს თითქმის მთელი იმდროინდელი საქართველოს ერთმეფედ, რომელიც „მეფობდა... მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს დაეგრს“.** ჭაბუკობიდანვე (იგი შვიდი წლის მოუ-

---

* დაწვრილებით იხ. ბალახაშვილი, „ბარათაშვილის ცხოვრება“. 1967 წ., გვ. 164—167.

** „ქართლის ცხოვრება“, 1955 წ., ტ. I, გვ. 65. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

ყვანიათ სპარსეთიდან საქართველოში) მირიანი იჩენს გულადობასა და მოხერხებულობას მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში; ეს არის ის მირიანი, „რომელმან ჟამსა სიბერისა მისისასა იცნა ღმერთი დამბადებელი, და შეიწყნარა სახარება მოციქულთა წმიდისა ნინოს მიერ, და იქმნა აღმსარებელ წმიდისა სამებისა და თაყუანისმცემელ ჯუარისა პატიოსნისა“*. როგორც ლეონტი მროველი გადმოგვცემს, მირიანს ორი მიზეზი მიუღია ქრისტიანობა: მისი მეუღლის ნანას მორჩენისა (თითქოს წმიდა ნინომ შეულოცა) და მზის დაბნელებისაგან თავდახსნისათვის. „ქართლის ცხოვრების“ ეს და სხვა ცნობები როგორც მირიანის, ისე ქართველების ქრისტიანობაში მოქცევის შესახებ ბარათაშვილს რომ წაკითხული ჰქონდა, მტკიცებას არ საჭიროებს. მით უფრო გამორიცხული არ არის, რომ მას წაეკითხა გრიგოლ ორბელიანის გვერდით წლების მანძილზე ცხოვრების დროს პოემა „სადღეგრძელოს“ ის ადგილი, სადაც მირიან მეფე ასეა განდიდებული:

„ქრისტეს ნათელით განათებული,
მეფე მირიან ჰბრწყინავს გვირგვინით,
ჯვარისა ძალით გარე-მორტყმული,
შეპმუსრავს კერპთა მათის ბომონით!
და განჰკრა ახლის აღთქმისა ძალით
ძველის ივერის ბნელი რწმუნება;
ქართველთ მოხედეს ცას სიხარულით
და საუკუნო ჰსცნეს მუნ ცხოვრება!..“**

ყოველივე ის, რაც უკვე ითქვა, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბარათაშვილმა „მირიან ივერი“ და „მირიან ივერიელი“ ფსევდონიმად აირჩია არა შემთხვევით, არამედ, სავსებით შეგნებულად. ამიტომ, ისიც უეჭველია, რომ მისი „ივერიელნი“ საქართველოს ისტორიის ღრმა ცოდნით იქნებოდა დაწერილი.

---

* „ქართლის ცხოვრება“, 1955 წ., ტ. I, გვ. 64. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

** გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 91, ხაზი ჩვენია—გ. ჯ.

უეჭველად მშობლიური ისტორიის სწორედ ღრმა ცოდნით მიიქცია პოეტმა ბარათაშვილმა 1842 წელს საქართველოში ჩამოსული, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტ ი. თ. ფრიცშეს ყურადღება. ამ საკითხზე პროფ. მიხეილ ჩიქოვანმა 1945 წელს ძვირფასი მასალა მიაკვლია ლენინგრადში და სპეციალური წერილიც გამოაქვეყნა „კომუნისტში“ (№ 192). საკუთარი კვლევა-ძიების გარდა (ფრიცშე ქიმიკოსი იყო), მარი ბროსეს დავალებით მას უნდა შეეკრიბა ქართული წიგნები და ხელნაწერები. როცა პეტერბურგში დაბრუნდა, ფრიცშემ აკადემიას წარუდგინა სპეციალური მოხსენება, რომელშიაც აღნიშნა, რომ „ერთმა ახალგაზრდა ქართველმა პოეტმა, რომლის ნაცნობობის შესაძლებლობა მეტფილისში მქონდა, თავადმა ბარათაშვილმა თანხმობა განაცხადა, თუ ეს აკადემიის სურვილი იქნება, პირველად დაემზადებინა ნუსხა მისთვის ცნობილი ხელნაწერებისა, და შემდეგ, იმის მიხედვით, რასაც აკადემია ამოირჩევდა, დაემზადებინა მათი ასლები“.* 1843 წლის 11 იანვრის თარიღით წარდგენილი ეს მოხსენება აკადემიის სათანადო განყოფილებას ორი დღის შემდეგ — 13 იანვარს განუხილავს და დაუდგენია: „ბ-ნმა ადიუნქტმა ფრიცშემ განყოფილებას წარმოუდგინა 3 წიგნაკი, დაბეჭდილი ტფილისში ქართულ და სომხურე ენებზე, და თავის მოხსენებაში განაცხადა, რომ ხელნაწერების შეძენა, რომელიც ბ-ნმა ბროსემ დაავალა, ვერ შეძლო. ერთმა ახალგაზრდა ქართველმა პოეტმა თ-დმა ბარათოვმა, რომელსაც ის გაეცნო, დაივალა აკადემიისათვის შეადგინოს ყველაზე მნიშვნელოვან ხელნაწერთა ნუსხა და გადააღებინოს ასლები იმ ხელნაწერებისა, რომელთა შეძენასაც აკადემია მოისურვებდა... ბ-ნმა ბროსემ თხოვა განყოფილებას მიიღოს ეს წინადადება და თხოვოს ბ-ნ ფრიცშეს მოა-

---

* მოჰყავს პროფ. მ. ჩიქოვანის პუბლიკაციით (იხ. „ლიტერატურული ძიებანი“, 1946 წ., ტ. III, გვ. 147). ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

გონოს თ-დ ბარათოვს მის მიერ აღთქმული კეთილი დაპირება".*

თითქოს ყველაფერი ნათელია, უდაოდ ჩანს, რომ ეს „ახალგაზრდა ქართველი პოეტი... თავადი ბარათაშვილი" — ნიკოლოზია, „ბედი ქართლისას" ავტორი, რომელსაც 1842 წელს ყველა ახლობელი, პოეზიის მცოდნე, პოეტად იცნობდა, მის ლექსებს სალონებსა და შეკრებებზე კითხულობდნენ, ხოლო არცერთი სხვა ბარათაშვილი (ბარამი, ვანო, ზაალი, გიორგი, ლეონიდე, რევაზი, როგორც სოლომონ ცაიშვილი ჩამოთვლის),** პოეტად არ იხსენიება. ვინც ლექსებსა წერს, ყველას როდი შეერქმევა პოეტის სახელი. 1842 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ავტორიტეტი, პოპულარობა, ისტორიული ღირსება („ბედი ქართლისა" უკვე სამი წლის დაწერილი და გავრცელებულია) საკმაოდ ცნობილი იყო. როცა ფრიცშე თბილისში ჩამოვიდა, ბარათაშვილიც დედაქალაქში იმყოფებოდა. ამიტომ, შეუძლებელია, ფრიცშე, რომელსაც ბროსეს დავალება ჰქონდა ქართული ბეჭდური წიგნები და ძველი ხელნაწერები შეეძინა, ისეთ კაცს არ შეხვედროდა, როგორიც ბარათაშვილია. საინტერესოა დამთხვევაც: ეტყობა, ბარათაშვილს მართლაც დაუწყია წიგნების შეგროვება, და ამიტომ არის, რომ სწორედ 1842 წელს, 31 ოქტომბერს, იგი თბილისიდან მადლობას უხდის მაიკო ორბელიანს, რომელმაც „რახაელის წიგნი" გამოუგზავნა, თან თხოვს: „რადგანაც ეს პირობა აღასრულე, იმედი მაქვს, ახლა, რომ მეორეც (წიგნი—გ. ჯ.) არ დაგავიწყდებაო".*** ამიტომ ფრიცშეს მოხსენებაში იგულისხმება პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი**** და არა რომელიმე სხვა, ვინც საშინაო ლექსებს წერდა ბარათაშვილებიდან,

* მომყავს პროფ. მ. ჩიქოვანის პუბლიკაციით (იხ. „ლიტერატურული ძიებანი", 1946 წ., ტ. III, გვ. 149.

** იხ. მისი შენიშვნები იონა მეუნარგიას „ქართველი მწერლების" I ტ. 1954 წლის გამოცემაში, გვ. 478.

*** ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 100. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

**** ამ საკითხზე იხ. აგრეთვე პროფ. მ. ჩიქოვანის პასუხი (პედინსტიტუტის „შრომები", ტ. V. 1948 წ., გვ. 102—109).

ხოლო ისტორიკოს სულხან ბარათაშვილის შეპირისპირება აქ სრულიად გამორიცხულია. ზაქარია ფალავანდიშვილის წერილებში მოხსენებული „ახალგაზრდა ბარათოვი“ შეიძლება მართლაც სულხანია, მაგრამ რა შუაშია ფრიცშეს მოხსენება? აქ ორ სხვადასხვა ფაქტთან გვაქვს საქმე.

ამგვარად, ნიკოლოზ ბარათაშვილის კავშირი რუსეთის აკადემიასთან სრულიად უეჭველია.

ამ აზრს ის გარემოებაც განამტკიცებს, რომ სწორედ იმ პერიოდში, როცა ბარათაშვილი აკადემიას უკავშირდება, იქმნება ქართველ მოღვაწეთა წრე თბილისისათვის პირველი ბიბლიოთეკის დასაარსებლად, ბიბლიოთეკის ორგანიზატორთა შორის იხსენიება ჩვენი პოეტი, როგორც ერთერთი ფუძემდებელი. დიმიტრი ყიფიანი ასე გადმოგვცემს ხსენებული ბიბლიოთეკის თავდაპირველ ისტორიას: „მე ვიყავი მთავარ-მართველობის კანცელარიის განყოფილების უფროსი და ერთხელ, საჩსახურის საქმის მოხსენების შემდეგ, ევგენი ალექსანდრეს ძეს გოლოვინს (კავკასიის მთავარმართებელი 1837 წლიდან 1842 წლამდე; რუსთაველის პროსპექტი 1922 წლამდე მის სახელს ატარებდა — გ. ჯ.) გამოუცხადე რამდენიმე ჩემი ტოლ-ამხანაგის სურვილი, რომ გვინდოდა დაგვეარსებინა კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა და დაგვრთავდა თუ არა ამის ნებას.

რა რომ მივიღე იმის მხრივ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, სრული თანხმობა, მეორე შემთხვევის დროს წარვუდგინე მას „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წესდების პროექტი და როგორც კი მოაწერა ზედ: „ვამტკიცებ. გოლოვინი“. — აღარ დაგვიყოვნებია ჩვენი სურვილის განხორციელებას შევდგომოდით“.* ამის შემდეგ დიმიტრი ყიფიანი ჩამოთვლის ბიბლიოთეკის დამაარსებლებს და 21 კაციდან მეათე ადგილზე იხსენიებს ჩვენს პოეტს (მეათე ადგილს, ცხადია, მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან თვით გრიგოლ ორბელიანიც კი მეოცე ადგილზეა, უალფავიტოდ):

---

* დიმიტრი ყიფიანი, „მეჰუარები, 1930 წ., გვ. 104—105.

„გუბ სეკრ. თ-დი ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი, ქართველი დიდებული პოეტი, ქ. ელისავეტპოლში გარდაცვლილი“.* 1842 წელს დაარსებული თბილისის პირველი ბიბლიოთეკის გამგე 1848 წლამდე ყოფილა თვით დიმიტრი უიფიანი, რომლის ბინაზეც მოუთავსებიათ მაშინდელი დროის ეს ერთადერთი კულტურული დაწესებულება.

როგორც ვხედავთ, ბარათაშვილი 40-იან წლებში ძოწინავე ქართველი საზოგადოების ცენტრში დგას არა მარტო როგორც შემოქმედი-პოეტი, არამედ, საზოგადო მოღვაწეც, და რა გასაკვირია, რომ სწორედ მისთვის დაეკალებინათ ოუ̈ეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლობა.

მაგრამ გადავხედოთ პოეტის ცხოვრებას კანცელარიის უბრალო მოხელის თანამდებობაზე, რაკი ჯერჯერობით სხვა მასალა მისი მეცნიერული მოღვაწეობისა ჩვენ არა გვაქვს.

## 9

თუ როგორ წარიმართა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ბარათაშვილის ცხოვრება, ზაქარია ჭიჭინაძეს ასე აქვს აღწერილი: „სწავლის გათავების შემდეგ ახალგაზრდა ნიკო ბარათაშვილი პირ-და-პირ შინ დატრიალებულა. მცირე ხნის შემდეგ — ის შესულა სამსახურში მაშინდელს საქართველოს უზენაეს სამართველოში (Экспедиция суда и расправы верховнаго Грузинскаго правительства, შემდეგ Палата уголовного и гражданскаго суда“). როგორც მისი ნაცნობები ამბობენ, 1837 წ. ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვე სტოლნაჩალნიკათ ყოფილა ამავე სასამართლოში. უეჭველი საგანია, რომ ბარათაშვილი ერთ წელიწადში ვერ იშოვნიდა სტოლნაჩალნიკობას, ამიტომ უეჭვოდ ვერწმუნდებით, რომ იგი სწავლის გათავების შემდეგ პირველს წელიწადსვე უნდა შესულიყო სამსახურში. ნიკოლოზ

* დიმიტრი უიფიანი, „მემუარები“, 1930 წ., გვ. 105. ხაზგასმა დიმიტრი უიფიანს ეკუთვნის.

ბარათაშვილს ერთობ კაი მეგობრობა ჰქონია ამხანაგებთან, როგორათაც სამსახურში მყოფებთან, აგრეთვე გარეშე მეგობრებთანაც, ყოველთვის და ყოველგან ნიკოლოზ ბარათაშვილი პატივ-ცემული პირი ყოფილა, ყველას დიდი სიყვარული ჰქონიათ მისი, სკოლიდამ გამოსვლის შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილს ევროპული ტანთ-საცმელი ჩაუცვამს, ჩალის ქუდი დაუხურნია, ასე ჩაცმულ დახურული ერთხელ კერესელიძესაც უნახავს ანჩხატის ეზოში"*.

ასე გვესახება პოეტი პრაქტიკული ცხოვრების პირველ წლებში.

გიმნაზიადამთავრებული ბარათაშვილი 1837 წლის თებერვალში სწერდა თავის ბიძას გრიგოლ ორბელიანს: „აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდაირასპრავაში.** წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мне въ радужныхъ мечтаніяхъ, და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხუალმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და თუ არ ინვალიდის კომანდაში სხუაგან არ მიგიღებენო, მაშინ, როდესაც ფეხი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს ასე, რომ ჩემებურად კიდეც ვჰხტი და კიდეც ვტანცაობ. მაგრამ რადგანაც შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, ვჰსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურებისაგამო, მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი, ჩემს თხოვნაზე, ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება მე ვეღარც კი გა-

---

* ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი", 1885 წ., გვ. 8—9.

** ექსპედიცია მოთავსებული იყო ბარათაშვილის იქ მუშაობის დროს იმ შენობაში, რომელიც ჩვენს დრომდე შემოინახა ერეკლეს მოედანზე, № 11.

ვაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?" ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში"...*

იმედებდამსხვრეული პოეტი, როგორც ვხედავთ, იძულებული იყო მისი სულისა და შინაგანი მოწოდების წინააღმდეგ დათანხმებოდა უბრალო მოხელის თანამდებობას, თუმცა ეს ნიშნავდა საკუთარი დიდი შემოქმედებითი ძალების უმიზნოდ დაკარგვას.

ისტორიულმა დოკუმენტებმა ისიც შემოგვინახეს, თუ როგორ დაიწყო პოეტმა მუშაობა უბრალო მოხელის სკამზე.

სამსახურში შესვლისთანავე (1835 წლის 6 ნოემბერი, დამტკიცება, კანცელარისტად გაფორმდა 1836 წლის 11 იანვარს), იმ დროს არსებული წესების მიხედვით, ბარათაშვილს 1836 წლის 4 ივლისს ჩამოართვეს ხელწერილი, რომ „როგორც აქამდე არ ეკუთვნოდა, ისევე შემდეგ არ მიეკუთვნება საიდუმლო საზოგადოებას".** მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა. დაახლოებით ორი წლის შემდეგ, 1838 წლის 19 მაისს ბარათაშვილი ისევ ხელს აწერს ერთგულებაზე ფიცის ოფიციალურ ქაღალდს.*** ამგვარი „ფიცის" ხშირი ჩამორთმევა, ალბათ, განსაკუთრებით საჭირო იყო იმდროინდელ საქართველოში, ვინაიდან მეფის მთავრობას დავიწყებული არ ჰქონდა 1802 წლის შეთქმულებისა, 1804 წლის მთიულეთის, 1810 წლის იმერეთისა და 1812 წლის კახეთის ცნობილი დიდი აჯანყებების, დასავლეთ საქართველოს (გურია-იმერეთი) 1819 — 1820 წლების აჯანყებების, უფრო უახლოესი 1832 წლის შეთქმულების ამბები. მას ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა მოხელეთა ერთგულება და მცთი ლოიალობის მხრივ სრული გარანტია.

და ბარათაშვილიც ერთგულად მუშაობდა. ბეჯითობასთან ერთად, ის ყოფილა მეტად სამართლიანი, ობიექტური კაცი, რომელიც საქმეებს დიდი სინდისიერებით

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 89.

** „მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ", I, 1945 წ., გვ. 192.

*** იქვე, გვ. 208.

წარმართავდა. ზაქარია ჭიჭინაძე წერს: „სამართველოში ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთობ სამართლიანად განაგებდა, ქაღალდების გადაწერა ერთობ მალე იცოდა, არა საქმეს არ გააჩერებდა დიდ ხანს. ამის დროს კი ერთობ მოდებული იყო საქართველოში მოქრთამობა, ხალხი ახალ სამართალს და სამართველოს წესებს არ იცნობდა და იმ დროის მოხელენი კი რასაც მოისურვებდნენ იმას ჩადიოდნენ. განსაკუთრებით ქრთამების აღება და გლეხთა შევიწროება. ბარათაშვილი კი ამაებისაგან ერთობ შორს მდგარა და როგორც გამიგია, ამან არც ქრთამის აღება იცოდა და არც სხვა რამ ამისთანაო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აი სწორეთ ასეთი ერთგულება უნდა გამხდარიყო მიზეზათ ბარათაშვილის ქვემო ქვეყნებისაკენ გამწესებისა. ერთმა მოხუცებულმა, რომელიც ბარათაშვილს კარგად იცნობდა, განმარტა, რომ ბარათაშვილი კაი ხასიათის იყო. ამის სიტყვით ცხარე შეხედულება კი ჰქონია. მოსამსახურეებს თავს არ უყადრებდა, ლაპარაკში ან სხვა რამეში, თუმცა ხშირად არც მათ შეაწუხებდა ხოლმე, რომ აი ეს მომიტანე და აი ისაო. მაგალითად: როგორც პირის დაბანა, ჩექმების დაწმენდა და სხვანიო. მოსამსახურებთან თავის გაყადრება და ლაღობა კი არ სცოდნია, მაგრამ მის ნაცვლად სხვებრ არ იყო მედიდური. სხვა თავადისშვილებივით ამას არ უყვარდა კნიაზ! კნიაზის! ძახილი და მათებრ თავის გამოჩენა. მეორეც განმარტა: ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის მეგობრებში ჩინებული ხუმარა ყმაწვილი იყო, უყვარდა ოხუნჯობა, სეირნობა, განსაკუთრებით ობაში, სიონობას, ანჩხატობას, ქაშუეთობას, მამადავითობას და კვირაცხოვლობას, ღამის თევას უსიკვდილოთ დაესწრებოდა, თავის ამხანაგებით მთელს ღამეს ლხინითა და ქეიფით გაატარებდნენ. სიმღერებიც ჰყვარებია, განსაკუთრებით ალექსანდრე ჭავჭავაძის და ბესიკის, მაგრამ მღერა კი არ სცოდნია“.*

და ამგვარი მაღალი ბუნების ადამიანი პირად ცხოვრებაში უბედური იყო. ჯერ კანცელარისტი-რეგისტრატორი, შემდეგ სტოლნაჩალნიკი და ბოლოს მაზრის უფროსის თანაშემწე — ასეთია მოკ-

* ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 9—10.

ლე სამსახურებრივი გზა ჩვენი გენიოსი პოეტისა მკვდარი კანცელარული მიწერ-მოწერა, გახუნებული ქაღალდების გროვა, მოხსენებითი თუ დასკვნითი ბარათების შედგენა მომჩივანთა საქმეებზე, როცა ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, ეჯუბოვის შესახებ, 1840 წლის 17 სექტემბრის თარიღით) თითქმის ერთ ნაბეჭდ თაბახს შეადგენს..* მსხვერპლად იწირავდა დიდ ტალანტს, რომელსაც ბედმა პრაქტიკულ ცხოვრებაში მარტოოდენ მოხელის სკამი არგუნა. გენიალური ლექსების წერა და კანცელარული ქაღალდების შედგენა, მაღალი საკაცობრიო ფიქრები და დამნაშავეთა დევნა საოცრად კონტრასტული მოვლენებია და ბარათაშვილის მთელი შეგნებული ცხოვრება ამ წინააღმდეგობათა ხლართში დაიფერფლა. ერთსა და იმავე წელს, ვინ იცის, იქნებ ერთსა და იმავე დღეს არის დაწერილი ბარათაშვილის უკვდავი ლექსები: „სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი“, „ჩემი ლოცვა“, „აღმოჰხდა მნათი აღმოსავალს“ და ვეებერთელა საკანცელარიო ბარათი ვაჭარ ავეტიქ ეჯუბოვის გაკოტრების თაობაზე, აგრეთვე უამრავი უწყებრივი ქაღალდი. ესბედის დაცინვა იყო და პოეტი, მიუხედავად ამისა, საოცარი გულმოდგინებით, სისწრაფით, კეთილსინდისიერებით ასრულებდა თავის მოვალეობას. როგორც მოხელე, წერდა და გადაწერდა ხოლმე კანცელარიის ქაღალდების გროვას.

აქ უნებლიედ გვახსენდება ნოვალისი.

ბარათაშვილიც ისევე ერთგულად მუშაობდა მოხელის სკამზე, ისევე გულმოდგინედ წერდა და გადაწერდა ხოლმე კანცელარიის დამქავებულ ქაღალდებს, როგორც გერმანელი რომანტიკოსი ფრიდრიხ ჰარდენბერგი — ნოვალისი (1772—1801). სატრფოს ნაადრევმა სიკვდილმა ნოვალისს პრაქტიკულ ცხოვრებაზე თითქოს ხელი ააღებინა, მაგრამ მხოლოდ ლექსებით, ნამდვილად კი იგი პატარა თანამდებობის კიდევ უფრო ზუსტი, თან დიდი ამსრულებელი გახადა. არის რაღაც საერთო ამ ორი ახალგაზრ-

---

* იხ. დოკუმენტი № 88, პროფ. შ. ჩხეტიას მიერ შედგენილ მასალებს წიგნში — „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1, 1945 წ., გვ. 229—245.

და რომანტიკოსს შორის, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობაში საოცარ მონდომებას იჩენდნენ, ხოლო სამარეში ჰაბუკები ჩაესვენენ. ორივე ერთ ასაკში დაიღუპა — 29 წლისა და ორივეს დიდი შემოქმედებითი პოტენცია მხოლოდ ნაწილობრივ აღსრულდა.

კიდევ ერთი რამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ: საზოგადოებრივი ყოფა, გარემო და ნაცნობ-მეგობართა წრე, რომელშიაც პოეტს ცხოვრება უხდებოდა, ბარათაშვილის პიროვნების ჩამოყალიბებაზე უფრო მეტ გავლენას ახდენდა, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანის მიმართ შეიძლება ვიფიქროთ. მაღალი გონებით, უაღრესად მგრძნობიარე გულითა და ფაქიზი სულით დაჯილდოებული ბარათაშვილი ყველაფერს ორგანიულად განიცდიდა, ყველაფერზე რეაგირებას ახდენდა, როგორც მისი მშვენიერი პირადი წერილები გვიდასტურებენ. ლექსები ხომ ინტიმის ყველაზე მაღალ რანგში გადასული ღაღადისია. ამ შედევრებიდან ბევრი რამ შეგვიძლია გავიგოთ პოეტის პირად ცხოვრებაზე.

## 10

სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ბარათაშვილის სატრფიალო გატაცებას ჩვენი ლიტერატურის მკვლევარები დიდ ყურადღებას აქცევენ, ვინაიდან ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება თვით პოეტის მხატვრულ მემკვიდრეობას. იხსენიებენ 1836 წელს, როცა 20 წლის ბარათაშვილს შეჰყვარებია ვინმე ნ. ო-ი, რომელსაც მიუძღვნა ლექსი „მიუვარს თვალები მიბნედილები". მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ხელთუბნელი, ლექსი დაწერილია 1842 წელს, „მაშასადამე, ეს ლექსი ან ნიკ. ბარათაშვილის პირველ გატაცებას არ ეხება, ან და არსებობდა კიდევ პირვანდელი ვარიანტი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია".* ისიც დაუჯერებელია, რომ 20 წლის ასაკამდე ბარათაშვილს, ნაზი სულისა და ძლიერი ვნებათა-ღელვის ახალგაზრდას, სატრფო არ ჰყოლოდა.

---

* „ლიტერატურის მატიანე", 1940 წ., № 1—2, გვ. 535.

მაგრამ, ვინ არის ეს ნ. ო.?

ლევან მელიქიშვილი მას იხსენიებს ნინოდ, ხოლო მეუნარგია უფრო შორს მიდის—„ეკატერინე ჭავჭავაძისა, ნინო ორბელიანისა. ნინო გრიბოედოვისა. მისი დელფინა და სხვანი ერთი ერთმანეთზე უკეთესნი შეადგენდნენ მისთვის დაულეველს წყაროს პოეზიისასო". საიდან აიღო იონა მეუნარგიამ ეს ცნობა, რომ ნ. ო. — ნინო ორბელიანია? ან ვინ არის ეს ნინო ორბელიანი? არავინ იცის, ვერავინ გაარკვია, მაგრამ ერთი რამ სრულიად უეჭველი ხდება: ლექსში — „ღამე ყაბახზედ", რომელიც 1836 წელს არის დაწერილი, ბარათაშვილს ნათქვამი აქვს, რომ სეირნობის დროს „უეცრად მარჯვნივ" ქალთა ჯგუფში დაინახა „თეთრ-კაბიანი", რომელმაც პოეტს „მიჰხადა მსწრაფლად ცნობანი" და „გრილი გული" ცეცხლზე უფრო ძლიერად აღუგზნო. ეს ქალი მას ადრეც უნახავს, შემდეგ აღარ შეხვედრია და მხოლოდ ახლა მოვლენია „კრძალვით ვით ქურციკი ვეფხვთა შორისა". ლამაზ ასულსა და პოეტს შორის იმართება დიალოგი, რომელსაც ჩვენ სხვა ადგილას დაწვრილებით განვიხილავთ.

თვით ეს ფაქტი, უმშვენიერესი ლირიკული პოეტური ინტონაციით გადმოცემული, ბარათაშვილს დადასტურებული აქვს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ პირად წერილშიც და სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ მხატვრული ფანტაზიის შედეგი კი არ არის, სავსებით რეალური შემთხვევაა. როცა ამ ლექსს ბიძას უგზავნიდა, პოეტი სწერდა: „ამ წარსულს ზაფხულში (ე. ი. 1836 წელს — გ. ჯ.), ერთს მშვენიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმან შუენებამ, სატრფოთ მარაქამ, მათმან უწინდელებრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატკბეს სახედველი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება! კოჯრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერწმუნენით, თქვენ მომაგონდით, მაშინ მომაგონდა: „გაცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს". და მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ღამეს უთუოდ აღვწერ და გავუგზავნი ძია გრიგორის მეთქი, და კიდეც აღვასრულე: მით უფრო ჩქა-

რად, რომ ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს კაეშანი".* როგორც ეხედავთ, პროზულ ტექსტშიც ისეა აღწერილი ის ღამე ყაბახზე, როგორც ლექსში, და ჩვენ არ შეგვიძლია პოეტს არ დავუჯეროთ, რომ იმ „წარსულ ზაფხულში" მას მიჯნურობისაგან პირველად დაესო გულის კაეშანი, პირველად განიცადა სიყვარულის ძალა სერიოზულად. ლაპარაკია ღრმა, წარუვალ სიყვარულზე და არა გატაცება-მოწონებაზე, რისი შემთხვევებიც პოეტს ადრე უეჭველად ექნებოდა.

ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ერთი წლით ადრე დაწერილი ლექსი „ქეთევან", რომლის შესახებაც საინტერესო ცნობა გამოაქვეყნა გიორგი აბზიანიძემ. 1940 წლამდე არავინ იცოდა, თუ ვინ არის ამ ლექსის ობიექტი, მთვარიან ღამეში მდინარე ქსნის პირას ჩონგურზე რომ მოსთქვამს უიმედო სიყვარულის შესახებ. „სპეტაკ საცმელზე" მას შვენის „გიშრისა თმანი ნაშალნი", არის „ჰაეროვანი", „ნაქები გულით", „ნაქები მშვენიერებით". როგორც ირკვევა, ლექსის ობიექტი პოეტური ფანტაზიით კი არ არის შექმნილი. სავსებით რეალური პიროვნებაა — ქეთევან შალვას ასული ერისთავი, მეუღლე ელიზბარ შანშეს ძე ერისთავისა"**. ქეთევანის ქალიშვილს ნიკო ქობულაშვილს ასეთი ჩვენება მიუცია ჩვენი მკვლევარისათვის: „დედა ჩემი 1907 წელს გარდაიცვალა (დაბადებულა 1819 წელს — გ. ჯ.)... იგი სიყმაწვილეში ტფილისში ხშირად ჩამოდიოდა ბიძასთან, ყაფლანთან... დედა დიდი მეგობარი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილისა. იგი მოიგონებდა ხოლმე: ტატო ძალიან მხიარული იყოვო. როცა ქალები ვიყავით და ნარდს ან ლოტოს ვთამაშობდით უცებ ხან ჭუდს გადმოგვიგდებდა ფანჯრიდან და ხან ბაყაყს, ერთს წივილ-კივილს მოვყვებოდით, ვიტყოდით: ალბათ ტატო მოვიდაო! მერე თვითონ შემოყვებოდა და გვეტყოდა: „აბა მეჭორეებო, მიიმბეთ რა ჭორები იცითო"... როგორც სჩანს ნ. ბარათაშვილი გატაცე-

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 90.

** ლიტერატურის მატიანე, 1940 წ., № 1—2, გვ. 380, გ. აბზიანიძის წერილი — „ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის გენეზისი".

ბული იყო დედაჩემით. დედა გვიკითხავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს და გვეტყოდა, რომ ლექსი „ქეთევან“ მ. მომიძღვნაო... ტატოს დედაჩემისათვის უჩუქებია „ვეფხისტყაოსანი“, ამ წიგნს ფერადი სურათები, ორნამენტები ჰქონდა მოყოლებული ყოველ ფურცელზე, უჩუქებია აგრეთვე თავისი ლექსების წიგნი. ტატოს ხელნაწერი ლექსების წიგნი, დედას ძალიან უყვარდა და ბოლოს გადასცა დავით ერისთავს, დრამატურგს... „ვეფხისტყაოსანი“ კი დაგვეწვა, როცა ჩვენ სახლი დაიწვა... დედას არ ნდომებია მამა ჩვენის, ელიზბარ ერისთავის შერთვა, მაგრამ მდიდარი კაცი ყოფილა და მშობლებს ძალად გაუტანებიათ“.*

ამ ფაქტს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ „ქ ე თ ე ვ ა ნ შ ი“ ბოლო ორი სტრიქონი, როგორც გიორგი აბზიანიძე სამართლიანად შენიშნავს, ო რ გ ვ ა რ ი რედაქციითაა ჩვენამდე მოღწეული. გ უ ნ ი ა ს ე უ ლ ვარიანტში მართლაც წერია „ე ლ ი ზ ბ ა რ ი ს ა ზ ვ ი რ თ ე ბ ში“, ხოლო სხვაგან (გავრცელებულ ტექსტშიაც) — „ა მ ი რ ბ ა რ ი ს ა ზ ვ ი რ თ ე ბ შ ი“. პოეტმა, სრულიად უეჭველია, თავდაპირველი ვარიანტი იმიტომ შეცვალა, რომ ა დ რ ე ს ა ტ ი ბოლომდე ა რ გ ა ე მ ჟ ღ ა ვ ნ ე ბ ი ნ ა, მით უფრო, როცა გამოთქმას — „მხოლოდ ისმოდა სახელი ე ლ ი ზ ბ ა რ ი ს ა ზ ვ ი რ თ ე ბ შ ი“ — ქეთევანის მეუღლე აშკარა დ ა მ ნ ა შ ა ვ ე დ გამოჰყავდა.

მაგრამ, რატომ ხდება ასე? ქეთევანი ხომ არ დაღუპულა, პირიქით, 1907 წლამდე ცხოვრობდა? რატომ ამბობს პოეტი— „ქ ე თ ე ვ ა ნ შ უ ა ქ ს ა ნ შ ი ა მ ა რ ა დ შ ე ე რ თ ო, ღ ე ლ ვ ი ლ ი“, ე. ი. თავი დ ა ი ხ ს ნ ა, დ ა ი ღ უ პ ა და მიზეზი ე ლ ი ზ ბ ა რ ი (შემდეგ ამილბარით შეცვლილი) ა რ ი ს ო?

ერთადერთი ახსნა შეიძლება მხოლოდ ამგვარი იყოს: რაკი ქ ე თ ე ვ ა ნ ს, ახალგაზრდა ლამაზ ქალს, ა რ ს უ რ დ ა ცოლად გაჰყოლოდა ე ლ ი ზ ბ ა რ ს, ამ ფაქტს უეჭველად თან მოჰყვებოდა ჰ ო რ ე ბ ი, როგორც ყოველთვის ხდება ანალოგიური შემთხვევების დროს, მით უფრო იმდროინდელი თბილისის საზოგადოებაში, რომელსაც თვით ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ახასიათებდა სიტყვებით: თბილისში ახლა „ბ ე ვ რ ი ჰ ო რ ი ა-

* „ლიტერატურის მატიანე“, 1940 წ., № 1—2, გვ. 381. გ. აბზიანიძის წერილი — „ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის გენეზისი“.

ნობაამო". უთუოდ გავრცელდებოდა ჭორი, რომ ქეთევანმა თავი დაიხრჩო ქსანში (შეიძლება იმასთან დაკავშირებითაც, თუ ეს სცადა ქეთევანმა), ხოლო ამ სამწუხარო ამბავს ბარათაშვილი უმალ გამოეხმაურა, მაგრამ, ბოლოს, რაკი სიმართლე შეიტყო, მარტოოდენ ელიზბარი შესცვალა ამირბარით, დანარჩენი კი უცვლელად დასტოვა, როგორც პოეტური შთაგონების ნაყოფი.

ასე რომ, ქეთევანი პოეტის ერთ-ერთი პირველი გატაცებაა, ვიდრე გამოჩნდებოდა ყაბახის „თეთრ-კაბიანი" ასული.

ეს ქალი შეიძლება იყოს ფრანგი დელფინა ლაბიელი, რომლის შესახებაც პოეტის მეგობრები მიუთითებდნენ და ასე ბევრი დაიწერა ბიოგრაფიულ ნარკვევებში. თუ მართალია ლუკა ისარლიშვილის ცნობა, რომ ბარათაშვილს „უყვარდა ფრანცუზის ბამბაჩნიკის* ქალი დელფინი, ძალიან უყვარდა ეს ქალი. ერთხელ გაებუტა და მაშინ დასწერა: „რად მრისხანებ"... თუ ამგვარი ლექსი", მაშინ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ თარიღების ზუსტად დამთხვევას.

ფაქტების შეჯერება კი ასეთ სურათს იძლევა: 1836 წლის ზაფხულში ბარათაშვილი ყაბახზე სეირნობის დროს მეორედ ხედავს „თეთრ-კაბიან" ასულს, რომელმაც „წარუღოგონება". 1837 წლის თებერვალში ამის შესახებ გულწრფელად ატყობინებს საყვარელ ბიძას — გრიგოლ ორბელიანს. იმავე 1837 წელს იწერება ლექსი „ჩემს ვარსკვლავს" (ანუ „რად მრისხანებ", როგორც მას ლუკა ისარლიშვილი უწოდებს). ლექსში მართლაც ჩანს გაბუტული მიჯნური, რომელსაც პოეტი დიდი კდემამოსილებით ამკობს. ამ ლექსს ჩვენ ცალკე განვიხილავთ ბარათაშვილის ლირიკული გმირის დახასიათების დროს. მაგრამ რა დაემართა მეორე ლექსს, რომელსაც ეწოდება „ასტრა" და რომლის შესახებაც ბარათაშვილი

---

* აქ მართლაც ბამბაჩნიკი უნდა იყოს და არა ბაშმაჩნიკი, როგორც ეს გაარკვია სოლომონ ცაიშვილმა. დაწვრილებით იხ. ი. ბალახაშვილი. „ბარათაშვილის ცხოვრება", 1967 წ., გვ. 197.

განმარტებას აძლევდა მიხეილ თუმანიშვილს? იქნება „ასტრა", გაგზავნილი მიხეილ თუმანიშვილისათვის წინადალში, მართლაც არის იგივე ლექსი „ჩემს ვარსკვლავს", როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს?

არა, იგივე არ არის, ვინაიდან თვით მიხეილ თუმანიშვილის პასუხი ლექსად „ასტრა" ისეთ საკითხებს აყენებს, რომლის საბაბს „ჩემი ვარსკვლავი" არ იძლევა. თუ ბარათაშვილის „ასტრაში" სიტყვა ასტრას მაგიერ „ვარსკვლავი" ან „მთიები" ნახსენები იყო, მაშინ პოეტის განმარტება ზედმეტი ჩანს, რომ „ასტრა" ფრანგული სიტყვაა და „მთიებს" (ვარსკვლავს) ნიშნავსო. მაშასადამე, „ასტრაში" არც მთიები ყოფილა ნახსენები და არც „ვარსკვლავი". ლექსში კი „ჩემს ვარსკვლავს" პირდაპირ არის ნახსენები — „რად მრისხანებ, ჩემის ბედის ვარსკვლავო?", ხოლო „ასტრა" სულ არ არის ნახსენები. თუ სათაური იყო, მაგრამ პოეტმა შემდეგ შესცვალა „ჩემი ვარსკვლავით", მაშინ ერთერთ ხელნაწერს მაინც შერჩებოდა. „მთიები" კი პირდაპირ არის არამარტო ნახსენები, არამედ სწორედ ამ სიტყვით იწყება პირველი სტრიქონი ლექსში — „კ. დ. ჩ.", რომლის ხელნაწერი ჩვენამდე არ მოღწეულა. ამიტომ, უფრო საფიქრებელი იყო ეს ლექსი მიგვეწინა „ასტრად", ვიდრე „ჩემს ვარსკვლავს"", თუმცა უფრო სარწმუნოა „ასტრა" სხვა ლექსია, რაკი მისი წაკითხვის შემდეგ, ვიდრე ბარათაშვილის განმარტებას მიიღებდა, მიხეილ თუმანიშვილს ასეთი კითხვები აღეძრა: კაცთათვის უცნაურო ასტრავ, სადაური ხარ, საიდან მოხვედი, ან რისთვის? სულიერი ხარ, თუ უსულო? ეს არავინ იცის და შენი სახელიც არავის სმენია. მკითხველთათვის მარად უცნაური ხარ, მოფრენილი შორეული ქვეყნიდან. წადი შენს დამწერთან, გაიგე შენი სახელი და შემდეგ ყველა წაგიკითხავსო.

ახლა დავაყენოთ პრობლემა: შეეძლო თუ არა მიხეილ თუმანიშვილს ასეთი კითხვები აღძვროდა ლექსების — „ჩემს ვარსკვლავს" ან „კ. დ. ჩ."-ს წაკითხვის შემდეგ? ვიმეორებთ, არცერთი მათგანი ანალოგიური კითხვების საბაბს არ იძლევა და ბარათაშვილის „ასტრა" სულ

სხვა ნაწარმოებად ჩანს, რასაც მიხეილ თუმანიშვილის საპასუხო ლექსიც „ასტრა“ გვიდასტურებს. მაგრამ ამ დებულებას კიდევ უფრო განამტკიცებს თვით ბარათაშვილის წერილი თუმანიშვილისადმი.

აქ ერთი მომენტიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ: თუმანიშვილის „ასტრა“ დაწერილია წინანდალში 1838 წლის 15 ივლისს, მაშასადამე, ბარათაშვილის საპასუხო წერილის დაწერამდე 20 დღით ადრე (წერილს თარიღად უზის 1838 წლის ექვსი აგვისტო). ეს იმას ნიშნავს, რომ თუმანიშვილმა თავისი „ასტრა“ დაწერა მარტოოდენ ბარათაშვილის „ასტრას“ საფუძველზე და მისმა კითხვებმა შემდეგი განმარტება მიაცემინა თვით ბარათაშვილს (პასუხი რუსულად არის დაწერილი): „Спасибо, братъ, за письма—за удовольствіе. Последнее изъ нихъ читали мы съ Захарйемъ Орбеліановымъ. Это было критика, или лучше, посланіе къ сочинителю «ასტრა». Прекрасно! Только, кажется онъ не достигнетъ цели, то есть, ты не узнаешь, кто это неведомое ასტრა. Это тайна сочинителя. Онъ писалъ ни для тебя, ни для света; писалъ для нея одной; она его понимаетъ и онъ этимъ доволенъ. Чтожъ ему больше? Нужды нетъ, понялъ ли ты его, или нетъ? Мы все знаемъ только, что предметъ украшаетъ стихи. А если хочешь знать одно только значеніе слова «ასტრა», то это очень просто: оно взято съ французского astre, которое по нашему, ძმაო თავყანა, значить მთიები. — ასე, ჩემო ბატონო!*“

ამ განმარტების შემდეგ ირკვევა, რომ თვით ლექსში ასტრას მეტი სხვა სახელი — არც ვარსკვლავი და არც მთიები ხსენებული არ ყოფილა, ხოლო „ჩემს ვარსკვლავსა“ და „კ. დ. ჩ.“-ში ორივე გვხვდება. ამიტომ ბარათაშვილის „ასტრა“ არ არის არც „ჩემს ვარსკვლავს“ და არც „კ. დ. ჩ.“ ლექსი უნდა მივიჩნიოთ სამუდამო დაკარგულად ან ჩვენამდე ჯერ კიდევ მოუღ-

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 92—93. ხაზი ყველგან ბარათაშვილისაა.

წევლად. იქნებ თვით დელფინას ჰქონდა შენახული თავის ქაღალდებში? მაგრამ, სად არის დელფინა ლაბიელის არქივი? არის კი სადმე? რატომ არა ჩანს უფრო საიმედო და ჩვენს ხელთ არსებულ მიხეილ თუმანიშვილის არქივში, რაკი „ასტრა“ პირველად მას გაეგზავნა და თვით ბარათაშვილის თხზულებანიც ადრე არაერთხელ გადაუწერია პოეტის ამ ერთგულ მეგობარს (ალმანახი, ჟურნალი „გიმნაზიის ყვავილი“)? ამ კითხვებზე შეიძლება მომავალმა გასცეს პასუხი.

დელფინა ლაბიელი შემდეგ გათხოვილა,* და ბარათაშვილსაც, ეტყობა, ახალი გატაცება დაეუფლა. ამ გატაცების საგანი იყო ულამაზესი ეკატერინე ჭავჭავაძე, ქართული პოეზიის ერთერთი ბრწყინვალე შთაგონება ნინა გრიბოედოვასთან ერთად. ეს ორი და — ეკატერინე და ნინა მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდანვე ქართული საზოგადოებისა და მისი სულიერი კულტურის მშვენებას წარმოადგენდნენ. მათ შესახებ ბევრია დაწერილი როგორც ქართულ, ისე რუსულსა და საზღვარგარეთის ლიტერატურაში. ეკატერინე ჭავჭავაძეს, ვიდრე იგი სამეგრელოს მთავრინა გახდებოდა, პოეტი იცნობდა ბავშვობიდანვე (ასაკითაც ტოლნი იყვნენ), მაგრამ ერთ დღეს პოეტი პირდაპირ „გაგიჟებულა“ „კატინკას“ (ეკატერინას) სილამაზით. გავიხსენოთ ლევან მელიქიშვილის ერთი ცნობა: „ბარათაშვილი იყო თურმე მიწვეული საგინაშვილის სიდედრთან საღამოზე და იქიდან შემოვარდა ყაფლან ორბელიანთან, საცა დაუხვდა მას ლევან მელიქიშვილი... „ლევან! ლევან! გავგიჟდი! მეტი არა ვარ! ეკატერინა იქ არის და მისმა საყურეს თამაშმა გადამრია! ღვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესს“. და იმ საღამოს. სახსოვრად დასწერა ლექსი „საყურე“...**

---

* დაწვრილებით ლაბიელების (მამის, დედის, ორი ქალიშვილის) შესახებ იხ. ი. ბალახაშვილის წიგნში — „ბარათაშვილის ცხოვრება“, 1967 წ., გვ. 196—205.

** ი. მეუნარგია. ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა, წიგნში: ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ LXVIII.

ასე დაიწერა ლირიკული შედევრი „ს ა ყ უ რ ე“, უეჭველად, ასევე უშუალო შთაბეჭდილებით „თ ა ვ ა დ ი ს ჰ...ძ ი ა ა ს უ ლ ს ე კ...ნ ა ს“ და „ნ ა.., ფ ო რ ტ ე პ ი ა ნ ო ზ ე დ მ ო მ ღ ე რ ა ლ ი“. პირველი ორი ლექსის თარიღი ცნობილია — 1839 წელი, ხოლო მესამესი არა, მაგრამ, უეჭველია ისიც ხსენებულ პერიოდშია შექმნილი. ამ ლექსებს ჩვენ ცალკე განვიხილავთ ბარათაშვილის შემოქმედების ანალიზის დროს, მაგრამ აქ შემდეგი უნდა დავსძინოთ: ე კ ა ტ ე რ ი ნ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე თითქმის ძალით გაათხოვეს სამეგრელოს მთავარ დ ა ვ ი თ ლ ე ვ ა ნ ი ს ძ ე დ ა დ ი ა ნ ზ ე 1839 წლის 18 მაისს, მაშასადამე, ხსენებული ლექსები დაწერილი უნდა იყოს ამ დრომდე. რაც შეეხება ლექსს — „ს უ ლ ი ო ბ ო ლ ი“, რომელიც დათარიღებულია აგრეთვე 1839 წლით, უეჭველად დაიწერა მაისის შემდეგ, როცა ე კ ა ტ ე რ ი ნ ა გათხოვდა, ხოლო მიტოვებულმა პოეტმა იგრძნო სულით საშინელი დაობლება. მომდევნო ლექსი — „სატრფოვ, მახსოვს“, დაწერილი 1840 წელს, პირდაპირი გაგრძელებაა ლექსისა — „ს უ ლ ი ო ბ ო ლ ი“ არამარტო განწყობილებით, არამედ, მწვავე განცდების მსგავსი სიტყვიერი გამოხატულებითაც. პოეტმა ღრმად განიცადა სატრფოს დაკარგვა, ხოლო ე კ ა ტ ე რ ი ნ ე მ ბოლომდე შეინახა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი სიყვარულის გრძნობა. სხვანაირად ვერ ავხსნით, რომ იგი სათუთად უვლიდა ბარათაშვილის მიერ მისთვის გაგზავნილ ლ ე ქ ს თ ა კ რ ე ბ უ ლ ე ბ ს, ამავე დროს, აქაც და პეტერბურგშიც ხშირად უკითხავდა ხოლმე თავის შვილებს.

ამიტომ გვგონია, რომ თუ ეკატერინე ჭავჭავაძეს ვიგულისხმებთ, სიმართლეს არ უნდა გამოხატავდნენ არტურ ლ ა ი ს ტ ი ს სიტყვები: „ან, იქნებ, მისმა სასურველმა, ქედმაღალმა კეკლუცმა უარჰყო იგი, როგორც მერი ჩავორთმა ბაჲრონი, დაუწოდა „კოპლი ბიჭი“. ანუ, იქნებ, სუსტი იყო იგი და ულამაზო, როგორც ჯაკომო ლეოპარდი, და ამ ნაკლმა გაჰრიყა მისგან კეკლუცი, რომელზედაც გული შეუვარდა“.* არა. მერი ჩ ე ვ ო რ ს ი ვ ი თ არ უარუყვია ე კ ა ტ ე რ ი ნ ე ჭ ა ვ ჭ ა-

---

* ა რ ტ უ რ ლ ა ი ს ტ ი, „საქართველოს გული“, 1927 წ., წიგნი მეორე, გვ. 20—21.

ვაძეს „ქართველი ბაირონი“, და არც ბარათაშვილი მოქცევია მას დიდი ინგლისელი პოეტის მსგავსად. „მერანის“ ავტორი არც სუსტი იყო, არც ულამაზო, როგორც იტალიელი ლეოპარდი. ყველაფრის მიზეზს წარმოადგენდა ის პირობები, რომლებშიაც პოეტს არსებობა უხდებოდა, აგრეთვე ის, რაც თვით არტურ ლაისტმა შენიშნა: ბარათაშვილს „ნაადრევ სიყრმითგანვე ჰხვდა მძიმე ცხოვრება. ბედნიერება გაურბოდა მას და ალბათ სიყვარულის ბედნიერებაც“*. მართალია, როგორც ლაბიელი, ისე ეკატერინე მისი ბედნიერების ვარსკვლავებად ვერ იქცნენ, მაგრამ ორივემ აპოლონის მადლი უხვად მიაფრქვია გენიოს ჭაბუკს და საოცარი ძალის ლირიკული შედევრები დააწერინა. პირადი ბედნიერების ნაცვლად, ბარათაშვილმა მათი სილამაზით მიიღო უკვდავი შემოქმედებითი კათარზისი.

ვინ იყო სატრფოთაგან იმედგაცრუებული პოეტის შემდეგი გატაცების საგანი? ბოლოს და ბოლოს, 24—25 წლის კაცს ხომ უნდა ეპოვა ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი?

ლაპარაკობენ ფალავანდიშვილის ქვრივზე, რომელიც ცოლად გაჰყოლია ოფიცერ კონსტანტინე დადიანს. რას იზამ: მაშინ პოეტის დაფნის გვირგვინზე მეტად ოფიცრის დეზები ფასობდნენ. ხვდა კი, საერთოდ, ბარათაშვილს ცოლ-ქმრული სიხარული?

არა, მას არ ღირსებია ეს ბედნიერება და 29 წლის კაცი ისე ჩავიდა სამარეში.

## 11

მაგრამ, გარდა უკვე მოხსენიებული პირებისა, ვინ იყვნენ ის ადამიანები, ქალები და კაცები, რომლებთანაც პოეტს ურთიერთობა უხდებოდა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე?

ზაქარია ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ „ბარათაშვილის ახლო მეგობარ პირებად ვ. ორბელიანს ასახელებენ, ლევან მე-

* არტურ ლაისტი, „საქართველოს გული“, 1927 წ., წიგნი მეორე, გვ. 20.

ლიქოვს, გრ. ორბელიანს, კ. მამაცაშვილს, გრ. რჩეულოვს (თამარ ბატონიშვილის დამწერი), პ. იოსელიანს, ალექს. ჭავჭავაძეს, გიორგი ერისთავს და სხვათაც მრავალთ უმაღლესთ პირთა, რომლებთანაც მისვლა მოსვლაც ჰქონია, განსაკუთრებით ალექსანდრე ჭავჭავაძესთან. გამოგონია, რომ ბარათაშვილმა თავის პოემა „ბედი ქართლისა“ ალ. ჭავჭავაძის სახლის ბანზე წაიკითხაო. ეხლა რომ პარიჟის სასტუმროა“.*

ნუთუ მარტო ამ წრეში უხდებოდა ჩვენს გენიოსს ცხოვრება?

არა, მშობლებისა და დების გარდა, რომლებიც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, ბარათაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გრიგოლ, ილია, ზაქარია, ალექსანდრე, ვახტანგ, ყაფლან, მანანა და მაია ორბელიანებთან. ბევრი მათგანი მისი ნამდვილი შთაგონება იყო. სახელოვანი ბიძა გრიგოლ ორბელიანი ჰაბუკისათვის პოეტურ მეტრსაც წარმოადგენდა, შემდეგ კი, ძალიან მალე, საკუთარი გზით წავიდა. მეორე ბიძა ზაქარია — განათლებული კაცი იყო, მასთან ურთიერთობა პოეტს უეჭველად ბევრ რამეს შესძენდა. მესამე ბიძა — ილია ტოლი იყო დისშვილისა, გულადი მებრძოლი და მისმა ტყვეობამ შამილთან პოეტს განმაცვიფრებელი „მერანი“ დააწერინა. ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, ცნობილი ქართველი მწერლები, რომლებმაც ცხარე ცრემლით დაიტირეს ბარათაშვილის უღვთო სიკვდილი, თავიანთი პოლიტიკური მრწამსით, რაც ასე მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული და 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებული, პოეტზე უნებლიე გავლენას მაინც იქონიებდნენ. რაც შეეხება ყაფლან ორბელიანს, რომელიც ბავშვობიდანვე უყვარდა ბარათაშვილს და თავის ადრინდელ ლექსში — „ღამე ყაბახზედ“ ასე კოლორიტულად წარმოგვიდგინა, იმდროინდელი საზოგადოების ეშხი იყო: ჩინებული მომღერალი, მოსწრებული სიტყვის კაცი, დიდად მომლხენი და მეგობარი. ყაფლანი ბარათაშვილის ლექსებსაც მღეროდა თურმე (მაგალითად, „სულო ბოროტოს“ და სხვ.),

---

* ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 15.

სოლო გრიგოლ ორბელიანს მისადმი ღრმა სიყვარული სიკვდილამდე გაჰყვა.

რაკი აქ, ყაფლან ორბელიანის გამო, სიმღერაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ბარათაშვილი, რომელსაც სიმღერა და ინსტრუმენტზე დაკვრა არ ეხერხებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, „პირველი მოცეკვავე იყო“, ახლო ყოფილა დაკავშირებული იმდროინდელ ცნობილ სპარსელ მომღერლებთან — სათარასა და ჯაფარასთან (ორივეს სახელს პოეტი თავის წერილებში იხსენიებს, თან დასძენს, რომ პირველი უკეთესი მომღერალია). მაგალითად, 1845 წლის 9 თებერვალს პოეტი ნახიჩევნიდან სწერდა მაიკო ორბელიანს: „ილაჯი წაიღეს მაგ ჯაფარას ქებით (თბილისში ჩამოსულ ჯაფარას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მსმენელებზე — გ. ჯ.), ვისიც წიგნი მოგვივიდა, მაგის ქება ეწერა. — ნეტა ყველასათვის აგრე მალე როგორ გაგიჟდებით? — მაგის ამბავი ჩვენ გვკითხოთ: ეგ სულეიმან ხანმა გარდმოიყვანა სპარსეთიდგან, ორი დღე და ღამე აქ ჩვენთან იდგნენ, რაც ჰუნარები ჰქონდა სულ აქ დაასრულა.

ეგ რომელი ამბობს, რომ სათარასა სჯობსო? ეტყობა კარგი სმენა ჰქონია. — მე გეტყვით: ეგ უფრო ნაკითხია სათარაზედ, მაგრამ სათარასათვის ღმერთს ხმა მიუცია და თანაც დაუტანებია, რომ მაგისთანა ხმა აღარა ვის ექნებაო! ერთი ორივეს სახე ნახეთ, ერთი კაცია, მეორე ჯოჯოხეთის მაშხალა“.*

პოეტი აქაც ამჟღავნებს მისთვის დამახასიათებელ კეთილშობილებას: სათარა ყველაზე მეტად უყვარს, მოსწონს, მაგრამ ჯაფარას ღირსებასაც (მეტი ნაკითხიაო) აღ მალავს. შემდეგ კი, როცა გონჩა-ბეგუმის ამბავს ჰყვება, მაიკოს აცნობებს: „ამ ლექსს (გონჩა-ბეგუმის ლექსს— გ. ჯ.) დავაწერინებ და თავის თარგმანით გამოგიგზავნითო“. ქვევით ისევ სათარა და ჯაფარა იხსენიება: „მგონია სათარამ ეს ხმა უნდა იცოდეს, კარგი ხმა არის! ერთი ხმა

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 118. მოგვყავს ოდნავ შეცვლილი მართლწერით.

არის კიდევ ძალიან სასიამოვნო, ჯაფარამაც იცის და სათარამაც, როცა შეხვდეთ, ასე უთხარით; რომ ე ი, მ უ ს ე ლ მ ა ნ ნ ა მ ა რ ი ხ ა ნ ჯ ა ლ ზ ა ნ ი, იმღეროს“.*

ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს იმდენად მოსწონდა ს ა თ ა რ ა, რომ 1844 წლის 29 ივნისს, როცა კ ა ტ ო ახალგორში გაათხოვეს, თან წაუყვანია ქორწილის მონაწილეთ. პოეტი იმავე წლის ივლისის ბოლოს თუ აგვისტოს დასაწყისში ასე სწერდა ზ ა ქ ა რ ი ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს: „კატოს ერთი თვეც არის ჯვარდავწერეთ. — კარგი ქორწილი გარდვიხადეთ. მეორე დღესვე წაიყვანეს კატო. ერთი ღამე და მეორე დღეს სადილად ჭაიხოსრო მუხრანსკისას ვიყავით. კარგათ დაგვიხვდა. — იქიდგან ახალგორს წავედით. — ოძისს რომ მივუახლოვდით, სადაც ბიძინა ერისთავი სდგას, ლევან ერისთავი თავადებით. აზნაურებით და იმერეთის მგალობლებით მოგვეგება; ჩვენთან იყვნენ მანანა თავის ქალით, მაიკო, ყაფლან, მიხაკო. ალექსანდრე სუმბათოვი — მეჯვარე. რომ დაბინდდა შევედით ახალგორს. — სასახლე ჭრაქებით იყო გაჩახჩახებული. მეიდანი მაშხალებით; ამ დროს ახალი არქიერი, წულუკიძე. კატოს დედამთილის ძმა აქ იყო და მგალობლები იმისნი იყვნენ... დაჰკრეს ზურნას, სათარას სიმღერა (თანა გვყვანდა), თოფის სროლა და ხალხის ჭდევა და ყვირილი საუცხოო სანახავს წარმოადგენდა“.** თუ გავითვალისწინებთ, რომ ქორწილი თითქმის ორ კვირას გაგრძელებულა (პოეტი მ ა მ უ კ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ თ ა ნ ერთად შემდეგ გორსაც ხლებია ე ს ტ ა ტ ე ე რ ი ს თ ა ვ ი ს შვილის ნათლობის გამო „ელიზბარის სახლებში“, აგრეთვე ასულა ატენს), უნდა ვიგულისხმოთ, რომ ს ა თ ა რ ა ს გვერდიდან არ მოიშორებდა.

ამ პირების გარდა, ცხადია, ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ძალიან ახლო იყო დაკავშირებული მ ა ნ ა ნ ა და მ ა ი ა ორბელიანებთან. პირველის განთქმულ სალონში პოეტი ხშირად კითხულობდა თავის ნაწარმოებებს, ხოლო, თუ რას წარმოადგენდა ეს სალონი, კარგად შეგვიძლია დავინახოთ გ რ ი-

---

* ნ, ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 118. ხაზგასმა ბარათაშვილისაა.

** იქვე, გვ. 112—113.

გოლ ორბელიანის 1846 წლის 18 თებერვლის თარიღით გაგზავნილი წერილითაც. პოეტი მანანა ორბელიანს სწერდა: „თქვენი განბრწყინვალებული სალონი სავსეა ანგლიჩნებით, ფრანცუზებით, ჰინდოელებით; ჭეშმარიტად მშურს მათი ბედნიერება და ვამბობ, ნეტავი მათ რიცხვში მეც ვიყო“.*

ასე სწერდა თბილისიდან დაშორებით თემირხანშურაში მყოფი გრიგოლ ორბელიანი მანანას და გასაგებია მისი ოხვრა, როცა ვიცით, რომ უცხოელების გარდა, ამ სალონში იკრიბებოდნენ იმდროინდელი ქართველი საზოგადოების რჩეულნი, რომ აღარაფერი ვთქვათ დიდ რუს მოხელეთა შესახებ, რომლებიც მანანა ორბელიანის სახლში ხშირი სტუმრები იყვნენ (მაგალითად, მეფის ნაცვალი გრაფი მ. ს. ვორონცოვი). სწორედ ამ სალონში გადაწყდა პირველი საფუძველი ჩაჰყროდა გიორგი ერისთავის ორ სახელოვან პირმშოს: ქართულ თეატრსა და ჟურნალ „ცისკარს“.

ბარათაშვილის პირადი წერილებიდან ვიცით, თუ რა დიდი სულიერი მეგობარი იყო მისთვის სილამაზითა და მოხდენილი ცეკვით განთქმული მაია ორბელიანი (ლევან მელიქიშვილის საცოლე, რომლიდანაც მას ერთადერთი ვაჟიშვილი დარჩა). არავისთან ისე გულახდილი არა ჩანს პოეტი, როგორც მაია ორბელიანთან. მას ანდობს გულისა და სულის თითქმის ყველა საიდუმლოებას. არ ერიდება თავის ნათესავ ქალს გაუმჟღავნოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალები, ყველაზე ინტიმური გრძნობები, უგზავნოს ლექსები და გადაწერილი კრებულები. მაია ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს არამარტო ნათესაობა, უმწიკვლო და-ძმური სიყვარული აერთებდა. არამედ, მაღალისული, ასევე მაღალი ადამიანობა. სწორედ ის, რაც თვით პოეტს ნათქვამი აქვს თავის კლასიკურ ლექსში: „მხოლოდ კაეშირი ესრეთთ სულთა ჰშობს სიყვარულსა“, ეს კი „მშვენიერი სულია“, რომელიც უკვდავების ნავთსაყუდრად ქცეულა.

---

* გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტ. I, 1936 წ., გვ. 119.

ამ ადამიანთა გარდა, ბარათაშვილს ახლო მეგობრობა ჰქონდა სკოლის ამხანაგებთან. ბევრი მათგანი შემდეგ ცნობილი საზოგადო მოღვაწე გახდა. მათ შორის უნდა დავასახელოთ დიმიტრი ყიფიანი — მე-19 საუკუნეში სინიდისისა და სიწმინდის განსახიერება. მას ეძღვნება აკაკი წერეთლის ჯადოსნური „განთიადი“, რომელშიაც ლექსის ადრესატი „რაინდად“ და „თავდადებულ“ ადამიანად არის შერაცხული. დიმიტრი ყიფიანი დიდად აფასებდა ბარათაშვილის ნიჭს და შემთხვევითი არ არის, რომ პოეტის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ მას საკუთარი ხელით გადაუწერია (ალბათ გამრავლების მიზნით), პოემა „ბედი ქართლისა“.*

ნიჭით, ტალანტით, ადამიანობით ბარათაშვილი ყველა თავის ახლობელსა და მეგობარს ხიბლავდა. როგორც ზაქარია ჭიჭინაძე წერს, მართალია ბარათაშვილს „უმაღლესი სწავლა არ მიუღია, მაგრამ იმ დროის ქართველ ყმაწვილებში თითქმის პირველი ყოფილა. ამ ხნის განმავლობაში და საქართველოში ყოფნის დროს, ბარათაშვილის უმთავრესი საგანი და სატრფიალო სიყვარული შესახებ ქართულ მწერლობაზე ყოფილა. არსად ისე კრება არ გათავდებოდა თურმე, რომ იქ ბარათაშვილს მშობლიურ მწერლობაზე ლაპარაკი არ ჩამოეგდო, მწუხარებით არ განემარტა იმ დროის შესახებ და არა ეთქვარა. ეს მის წერილებიდანაც ჩანს. იმ შეუბრუნებელს დროში, როდესაც ბარათაშვილი თავის „ობოლი სულივით“ იმყოფებოდა და ნაღვლით სავსე დამზერდა თავის უთვისტომობასა და მარტოობას, ამ დროს მას ისეთი თანამედროვე მეგობარ მწერლები ეხვივნენ გარსა, რომელნიც განვითარებულნი იყვნენ ათას ნაირს კუმშაძღრულ კილოიანს გემოვნებებში და ნათელი ზღვის სიყვარულებში იკარგებოდნენ. საკვირველია ჭეშმარიტათ ის, თუ როგორ გამოიწურთნა ბარათაშვილმა ის ნიჭი და მიმართულება, რომლითაც ყოველი მისი ლექსის სტრიქონი გამსჭვალულია. ამის დროის ქართველები ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, რომ მათ ქეიფების

---

* საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, № 1430.

შეტი სხვა არა მიაჩნდათრა ამ ქვეყანაზე. მე შევიტყვე, რომ ბარათაშვილს დაახლოებული მეგობრობა ჰქონია იმ დროის საქართველოში მყოფ პოლშელ პროფესორებთანა. ეს პროფესორები პოლშელთა ამბოხების გამო საქართველოში იქმნენ გამოდევნილნი, რომელთა დამნაშაობის გამო ვარშავის უნივერსიტეტიც დახურეს და ეს პროფესორებიც დამნაშავეთ იცნეს. იძახიან, რომ ამ პროფესორებს ხშირად უსადილნიათ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლში და ხშირათაც უსაუბრიათ ხოლმე. ბარათაშვილიც დადიოდა ამ პროფესორებთან და მათისავე ჩაგონებით და არჩევით რუსულ წიგნებსაც კითხულობდაო. უეჭველია, რომ ბარათაშვილს ბელინსკის სტატიებიც შეხვდებოდა წასაკითხავათ".*

თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ბარათაშვილს საქართველოში მყოფ პოლონელ პროფესორებთან, ჩვენ ზემოდ უკვე დავახასიათეთ. შეიძლებოდა ცალკე შევხებოდით მის კავშირს ცნობილ პოლონელ პოეტ ფადეი ზაბლოცკისთანაც. მაგრამ, ეს საქმე დიდი ხანი არ არის, რაც გაკეთებულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში** რამდენადაც საშუალებას გვაძლევენ არსებული მასალები, და ამიტომ დაწვრილებით აღარ შევეხებით. მხოლოდ იმას მივუთითებთ, თუ რამდენად დიდი ავტორიტეტი უნდა ჰქონებოდა ახალგაზრდა პოეტს, რომ ზაბლოცკის, რომელიც იმ დროს ასე ცნობილი იყო რუსეთსა და საქართველოში, მეგობრობა ჰქონოდა ბარათაშვილთან. ზაბლოცკი ახლო იცნობდა ბელინკის, მის წრეში იყო გაერთიანებული სტუდენტობის დროს, ხოლო დაპატიმრების შემდეგ კავკასია მიუჩინეს საცხოვრებლად. 1838 და 1839 წლებში ზაბლოცკიმ ორჯერ დიდი პატივისცემით მოიხსენია ბარათაშვილი მიხეილ თუმანიშვილისადმი გაგზავნილ წერილებში. მარტო ამ ფაქტით შეიძლება ბევრი რამ წარმოვიდგინოთ ბარათაშვილის გონებრივი

---

* ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი", 1885 წ., გვ. 18—19.

** იხ. ლევან ასათიანის წერილი — „ნ. ბარათაშვილი და პოლონელი პოეტი ზაბლოცკი", „ლიტერატურული საქართველო", № 20, 1936 წ., მ. ხელთუბნელი, „წარსულიდან", 1938 წ., ი. ბალახაშვილი, „ბარათაშვილის ცხოვრება", 1967 წ., გვ. 174—185.

საზრდოს შესახებ, ვინაიდან ზაბლოცკის (დაიბადა 1813 წელს, გარდაიცვალა 1847 წელს) ბელინსკის წრეში აუმაღლდა ის თავისუფლებისმოყვარე სული, რომლითაც პოლონეთიდან მოსკოვს ეწვია და რომელმაც ბელინსკის დააკავშირა.

ახლა გავარკვიოთ ის საკითხი, თუ რამდენად შეიძლება დავუშვათ; რომ ბარათაშვილი იცნობდა ბელინსკის ნაწარმოებებს?

წინასწარ უნდა განვაცხადოთ: ეს არ არის არც გამორიცხული და არც გასაკვირი. ბელინსკი სწორედ იმ დროს, როცა ბარათაშვილი ცხოვრობდა, თავისი დიდების მწვერვალზე იყო ასული, ხოლო იმდროინდელი პერიოდიკა, სადაც „ბობოქარი ბესარიონი“ იბეჭდებოდა, საქართველოშიც აღწევდა. ლერმონტოვის ლექსებიც ალბათ ამ პერიოდიკით გაიცნო ჩვენმა პოეტმა. შეუძლებელია მის გონებამახვილობას და ლიტერატურულ ინტერესს ისეთი გიგანტი ვერ შეემჩნია, როგორიც ბელინსკი იყო. ნუთუ შეიძლება დავუშვათ, რომ თბილისამდე არ აღწევდა „Библиотека для чтения“, საიდანაც 1841 წელს ბარათაშვილმა თარგმნა გერმანელი მწერლის — ლეიზევიცის განთქმული ტრაგედია „იულიუს ტარენტელი“, არ აღწევდა, აგრეთვე „მოლვას“ არცერთი ნომერი, არ მოდიოდა არც „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“, საერთოდ არაფერი, სადაც ბელინსკი ბეჭდავდა თავის სახელგანთქმულ წერილებს? ბელინსკის მაშინ მთელი რუსეთის მოწინავე საზოგადოება კითხულობდა, ოფიციალურ წრეებს თავი რომ დავანებოთ, და დაუჯერებელია, რომ ბარათაშვილს თავისი დიდი თანამედროვის არცერთი წერილი არ ჰქონებოდა წაკითხული.

გარდა ამისა, დავიჯეროთ, რომ ისეთმა მეცნიერმა კაცმა, როგორიც პეტრე ბარათაევი იყო, ან ზაბლოცკიმ არაფერი უთხრეს ჩვენ პოეტს ბელინსკის შესახებ? ბარათაშვილს ხომ ახლო კავშირი ჰქონდა რუსეთში განათლება მიღებულ მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევთან (ბარათაშვილი), რომელიც მისი ნათესავი იყო. მიხეილ ბარათაევი ცნობილი პიროვნებაა არამარტო საქართველოში (ცხოვრობდა 1784—

1856 წლებში, იყო სიბირსკის თავად-აზნაურობის მარშალი, დეკაბრისტებთან დაახლოებული კაცი, 1839 წლიდან მუშაობდა საქართველოში საბაჟოების გამგედ — 1844 წლამდე, იმავე წელს გამოსცა წიგნი — „Нумизматические факты Грузинского царства", რომელიც დიდად მოუწონებია იმდროინდელ ევროპელ ისტორიკოსებს).

ბარათაევი ძალიან კარგი შეხედულებისა ყოფილა ჩვენს პოეტზე. „მიხ. ბარათაევს ახლობელი დამოკიდებულება ჰქონდა პოეტის მამის ოჯახობასთან. თავისი წიგნი გამოუგზავნა მელიტონს პეტერბურგიდამ და წერილიც მოსწერა 1846 წ. სექტ. 30 (ოქტ. 12). სთხოვდა, თქვენი შენიშვნები მომწერეთ ჩემი წიგნის შესახებო. წერილში რამდენიმე სტრიქონი პოეტსაც შეეხება, რომლის გარდაცვალება არ სცოდნია ბარათაევს: „ბეტის მეტად გამახარებდა ჩვენი საერთო საყვარელი თ. ნიკოლოზ მელიტონის-ძე, თუ თავის უხვის ცოდნითა და ნიჭით შეავსებდა თავის მოხუცი პაპის პირველ ნაშრომს, განსაკუთრებით ისეთის ამბების მოთხრობით, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ბარათაშვილების მხცოვან ოჯახის წინაპრები".*

აქ ორი მომენტი იქცევს ჩვენს ყურადღებას: ბარათაშვილის „უხვი ცოდნისა და ნიჭის" აღიარება ისეთი მეცნიერის მიერ, როგორიც წერილის ავტორია, და იმის ხაზგასმა, რომ პოეტი „საერთო საყვარელია". მით უფრო ხამწუხაროა, როცა „მოხუცმა პაპამ" ერთი წლის შემდეგაც არ იცის, რომ მისი საყვარელი ნათესავი, „უხვი ცოდნითა და ნიჭით" დაჯილდოებული ახალგაზრდა კაცი, ცოცხალთა შორის აღარ იმყოფებოდა, და იქ, განჯაში, ნათესავებს მოშორებული, უცხო მიწაში სადღაც განისვენებს. მაგრამ, ნუ ვუსაყვედურებთ: მას არავითარი ბრალი არ მიუძღვის; მიზეზი იყო ის, რომ ბარათაშვილს ყველგან ასეთი ტრაგიკული ბედი თანა სდევდა პირად ცხოვრებაში. სამაგიეროდ, შემოქმედებამ დიდების მწვერვალზე აიყვანა.

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 144—145.

ნუთუ მიხეილ პეტრეს-ძე ბარათაევი, მოწინავე კაცი, ლიტერატურის საკითხებზე მსჯელობის დროს ბელინსკის არ მოიხსენიებდა? ეს დაუჯერებელია. რაკი ბარათაშვილი იცნობდა პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედებას, მას აუცილებლად წაკითხული ექნებოდა ბელინსკის რამდენიმე წერილი მაინც.

როგორც ბოლო წლებში გაირკვა, ბარათაშვილს ნაცნობობა ჰქონია აგრეთვე გენერალისიმუს სუვოროვის შვილიშვილის ალექსანდრე არკადის ძე სუვოროვისა, რომელიც თბილისში ხანგრძლივად ცხოვრობდა (დაახლოებით 1826—1837 წლებს შორის), დეკაბრისტი იყო, ქართული შეისწავლა და 1862 წელს მეგობრული დახასიათება გაუწია პეტერბურგში მცხოვრებ ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძეს. არის ერთი საყურადღებო ფაქტიც. გრიგოლ ლეონიძის დადიანის (კოლხიდელის) წერილიდან ჩანს, რომ ალექსანდრე სუვოროვი 1847 წელს, 6 აპრილს მიწვეული ყოფილა თბილისში ეკატერინე ჭავჭავაძის შვილის — ნიკო დადიანის (დაიბადა 1847 წლის 4 იანვარს) ნათლობის მონაწილე სტუმართა შორის.* ეტყობა ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან, ხოლო ამ გზით უეჭველი ნაცნობობა ექნებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილთან, მით უფრო, რომ ჩვენი პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლებში მას ახლო კავშირი ჰქონია იმდროინდელ ცნობილ ქართველ პირებთან. როგორც ნამდვილად „კეთილი გულისა“ და დიდი განათლების მქონე ადამიანი, ის შეუძლებელია თბილისში იმ დროს ისე ცნობილ კაცს არ დაკავშირებოდა, როგორიც ყველგან მყოფი, ყველგან მომლხენი და ყველასათვის საყვარელი ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო. წრე, სადაც სუვოროვს ცხოვრება უხდებოდა საქართველოში, ბარათაშვილისათვის უაღრესად ახლო-

---

* ამ საკითხზე და თვით ალექსანდრე სუვოროვზე დაწვრილებით იხ. ი. მეუნარგიას „ქართველი მწერლების“ I ტომის 1954 წლის გამოცემაში სოლ. ცაიშვილის კომენტარები, გვ. 489—490; ირ. ანდრონიკაშვილი, „საქართველო მ. ლერმონტოვის შემოქმედებაში“; აგრეთვე ალ. ქუთელიას და ვლ. ზაქბახიძის წერილები 1953 წლის „ლიტერატურული საქართველოს“ 41 და 42 ნომრებში.

ბელს წარმოადგენდა, ხოლო მელიტონ ბარათაშვილის პურმარილიან ოჯახს შესაძლოა სტუმრადაც მიეწვია სახელოვანი გვარიშვილი. ისიც საფიქრებელია, რომ მოწინავე კაცს, კულტურულსა და განათლებულს, ყოფილ დეკაბრისტს ადვილად შეეძლო საერთო ენა გამოენახა ახალგაზრდა ქართველ რომანტიკოსთან.

აქ აღარაფერს ვამბობთ პოეტის დამოკიდებულებაზე ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებთან, რაკი უკვე გვქონდა საუბარი.

მაგრამ, ამ ცნობილ ადამიანთა გარდა, ბარათაშვილს ცხოვრება უხდებოდა პალატის ჩვეულებრივ მოხელეთა გვერდით, რომლებიც ყოველდღიური საქმეებით იყვნენ გართულნი და „მაღალი მატერიები“ სულ არ აინტერესებდათ. თვით ბარათაშვილი ამბობდა მათ შესახებ: «Круг чиновников не выгоден для образования нравственности».* გენიოს კაცს საერთოდ ეძნელება ყოფნა იმ წრეში, რომელთანაც არაფერი აკავშირებს, მოქალაქეობრივი მოვალეობის გარდა. ბარათაშვილიც რომ ამგვარ მდგომარეობაში იყო, სრულიად უეჭველია. ეს მტკიცდება არამარტო ზოგადი მოსაზრებით, მისი ტიპის გენიოსთა ანალოგიებით, არამედ. პირველ ყოვლისა, თვით პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობით. იგი სულით ობლობას გრძნობდა მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე და ჭაბუკი კაცი საფლავშიც სულით ობოლი ჩავიდა. რამდენიმე წელი იმუშავა მან პალატაში ისეთი მოხელეების გვერდით, როგორიც იყვნენ: ვასილი ილინსკი (პალატის თავმჯდომარე), ალექსი ფილიპოვი (მოადგილე); მრჩევლები: თედორე გავრილენკო, იაგორ სარაჯიშვილი; მსაჯულები: კონსტანტინე ორბელიანი, ისაია ტერ-გრიქუროვი; მდივნები: ივანე სურგუნოვი, ივანე სოფრონსკი; მაგიდის უფროსები: მიხეილ ხაბლოვსკი, ზაქარია ფედოროვი. ელისე ბესპალი, მიხეილ რევუცკი, სოლომონ ვარზელოვი, ნიკოლოზ სოფრონსკი, ანდრო ბაჟანოვი, მიხეილ პოტიომკინი; არქივარიუსი ლეონტი გალუზევსკი; მთარგმნელი დიმიტ-

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., ჩვენია — გ. ჯ.

რი კოლუბანსკი; მაგიდის უფროსის თანაშემწენი: ნიკოლოზ ავალოვი, დავით ერიცოვი, ივანე ჩალეევსკი, ვასილ საარუნი, სიმონ შიშნიაშვილი, გარსევან ვარლამოვი; პალატის მწერლები: ისაკი გურგინბეგოვი, ივანე სავიცკი, მიხეილ არღუთინსკი-დოლგორუკი, იოსიპ განჟაევი, ალექსანდრე ხითარიშვილი, ნიკოლოზ ტარანენკო, მიხეილ არღუთინსკი, ნიკოლოზ ლომიძე, დავით პარესოვი, იაგორ არეშევი, იაგორ მირიმანოვი, იაგორ სემიონოვი, ლევან ელიმირზოვი, ივანე სვიაჟინინი, პოლიკარპე გალკინი, მიხეილ ფედოროვი.* ეს არის პალატის 40 თანამშრომელი, და მათ შორის, მაგიდის უფროსებში, ითვლება ჩვენი გენიოსი პოეტი. არც ერთ მათგანს, ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს გარდა, თავი არაფრით გამოუჩენია. ცხონა იყვნენ და დარჩნენ მოხელეებად, შესაძლოა ისიც ვერ იგრძნეს, რომ მათ გვერდით გენიოსი კაცი იტანჯებოდა. რომელიც უაღრესად პროზაული, კანცელარიის მკვდარი ქაღალდების შედგენის პარალელურად, პ ო ე ტ უ რ ი შ თ ა გ ო ნ ე ბ ი თ ცხ. სავსე და მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს ქმნიდა. მაგრამ შეუძლებელია მათ ბრალი დავდოთ, რომ ეს ვერ გაიგეს. უფრო სამწუხაროა მეორე მხარე: ზოგიერთი მათგანი ალბათ ღრმა მოხუცებულობაში მიიცვალა, როცა ბარათაშვილის სახელი მთელ საქართველოს მოეფინა და მაინც სტრიქონი არ დაუწერიათ მოგონებისა, თუმცა ისინი ცუდად როდი ადგენდნენ საჩივრებს, დავის, ყიდვა-გაყიდვის ათასგვარ ფორმულებითს ბარათს. პოეტის ცხოვრებიდან ერთი შტრიხიც რომ აეწერათ, თუნდაც ყველაზე უნიჭო კანცელარული ენით, ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფაქტი იქნებოდა ბარათაშვილის ბიოგრაფიაში.

მაგრამ წარსულს ვერავინ გაასწორებს, მით უფრო, როცა ვიცით, თუ რა მწირი მასალა დაგვიტოვეს, ორი-სამი კაცის გამოკლებით, იმ ადამიანებმა, რომლებიც ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ-

---

* გვარები ამოწერილია თვით ბარათაშვილის მიერ შედგენილი სიიდან შემდეგი სათაურით: „Список чиновникам, находящимся на службе в Грузино-Имеретинской палате уголовного и гражданского суда к 1-му января 1843 года". (იხ. „მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ", ტ. I, 1945 წ., გვ. 266—269).

ოან სულიერადაც ახლო იდგნენ, მაღალი ლიტერატურული გემოვნებითაც შეეძლოთ მისი ცხოვრების აღწერა და ვალდებულიც იყვნენ ეს გაეკეთებინათ.

დანარჩენებს რაც შეეხებათ, მათგან ზაქარია ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე მ მხოლოდ ერთი ცნობა შემოგვინახა: „ბარათაშვილის ერთმა თანამედროვე პირთაგანმა, რომელიც მას კარგად იცნობდა, განმარტა: რომ მე და ბარათაშვილი ერთად ვმსახურობდითო, ის ჩემს ხელ ქვეითად იყოვო, „სუდ ი რასპრავაში“ ვმსახურობდითო. ეს სამართველო რომ აქციეს პალატად (Палата Уголов. Гражд. суда) იქ იყო, შემდეგ ამისა 1844 წელსა ნიკოლოზ ბარათაშვილი ნახჩევანში გაგზავნესო. დაუმატა ამანვე — „ბარათაშვილი შესანიშნავი კაცი იყო, კარგი მოლექსე, მამისავებ ცხარე კაცი იყო, მაგრამ კეთილობაც დიდი აქვნდა“. ამ მოხუცმა მხოლოდ წელიწადები ვერ მოიგონა და ვერ განსაზღვრა“.*

ეს არის სულ, რაც ჩვენ ბარათაშვილის დროინდელ კანცელარისტთაგან შევიტყვეთ, თუ აღარ მოვიხსენიებთ გ რ ი გ ო რ ე ვ ს, რომელსაც 85 წლის ასაკში ბარათაშვილის დახასიათება მიუცია ზაქარია მთაწმინდელისათვის.

## 12

როცა ბარათაშვილი მიიცვალა, მისი ახლობლების წრიდან თბილისში ბევრი არ იმყოფებოდა. ბიძა — გ რ ი გ ო ლ ორბ ე ლ ი ა ნ ი თემირხანშურაში იდგა თავისი ბატალიონით. ე კ ა ტ ე რ ი ნ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, როგორც თვით გრიგოლ ორბელიანი სწერს კონსტანტინე თარხნიშვილს 1845 წლის 18 მაისს, წასულია სამეგრელოში, ნ ი ნ ო — ბორჯომში იმყოფებოდა; ხოლო ე ლ ე ნ ე ორ ბ ე ლ ი ა ნ ი-ჭ რ ი ს თ ა ვ ი ს ა — ატენში.** ამიტომ ბევრმა გვიან გაიგო პოეტის გარდაცვალება, მათ შორის თვით ბიძამ — გრიგოლ ორბელიანმა. ეტყობა დისწულის გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ მან არ იცის, რომ ტ ა ტ ო ცოცხალი აღარ არის. ავადმყო-

---

* ზ. მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ი, „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 19.

** გ რ ი გ ო ლ ორ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, ტ. I, 1936 წ., გვ. 112.

ფობა, როგორც ჩანს, შეუტყვია, მაგრამ, გამოჯანმრთელება რა კი აღარ აცნობეს, 1845 წლის 12 ნოემბერს მიუწერია უმცროსი ძმის — ი ლ ი ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა თ ვ ი ს: წერილებს რომ ხანდახანაც არა მწერ, აღარ გესაყვედურები, არც ოჯახის ამბავი მინდა გამაგებინო, მაგრამ ტ ა ტ ო ს ა მ ბ ა ვ ი, ჩ ე მ ი გ უ ლ ი თ ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ს ტ ა ტ ო ს ა მ ბ ა ვ ი მ ო მ წ ე რ ე, ც ო ც ხ ა ლ ი ა თ უ მ კ ვ დ ა რ ი? უ ც ნ ო ბ ლ ო ბ ა მ კ ლ ა ვ ს; შენ მიხაკოსათვის (მიხეილ ორბელიანი — გ. ჯ.) მოგეწერა ტ ა ტ ო ს უიმედოდ ავადმყოფობა, ამანაც წიგნი არ მაჩვენა, ისე ზეპირათ მითხრა, მაგრამ ასე მითხრა, რომ თითქმის მკვდარი უნდა იყოს. — ახ, ეს დამალვა რა არის? — თუ მიხაკოს ჰსწერ, მე რაღა ვარ? — აქაურმა ცხოვრებამ, ძაღლის ცხოვრებამ და ამ უცნობლობამ ტატოსათვის ჯე ავათ გამხადეს; ეს ექუსი დღეა ვწევარ გარიაჩკითა მიხაკოსთან. — თუ ხატი გრწამს მომწერე ტ ა ტ ო ს ამბავი სიწრფოებით და მასუკან — რადგანაც შენთვის დიდი შრომაა — ნუღარ მოიწერები"...•

მიუწერიათ კიდეც, ნოემბრის ბოლოს (29 რიცხვში), მაგრამ დეკემბრის პირველ რიცხვებამდე შეშფოთებული ბიძა ტრაგიკულ ბარათს ვერ მიიღებდა, რაკი თემირხანშურაში იმყოფებოდა.

ნათესავების გარდა, ყველა ნაცნობი და ახლობელი გლოვობდა პოეტის უდროოდ გარდაცვალებას, მათ შორის ალექსანდრე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ო ჯ ა ხ ი, გიორგი ე რ ი ს თ ა ვ ი, ალექსანდრე და ვახტანგ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ე ბ ი, ლევან მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, მამუკა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, რომელიც თავის თავს დამნაშავედ თვლიდა, რომ ბარათაშვილი განჯაში მისი თხოვნით წავიდა, ლუკა ი ს ა რ ლ ი შ ვ ი ლ ი, მიხეილ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დიმიტრი უ ი ფ ი ა ნ ი, თვითეულის ჩამოთვლა აქ შეუძლებელიცაა. ყველასათვის საყვარელ ადამიანს, ცხადია, ყველა დაიტირებდა, მაგრამ ტირილი მიცვალებულის ნუგეში როდია, იგი მხოლოდ ცოცხალთა შვებაა.

გარდაიცვალა, უდროოდ დაიღუპა გენიოსი პოეტი მოხელის სკამზე, იმ დროს, როცა ჯერ კიდევ 29 წელი არ შესრუ-

• გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტ. I, 1936 წ., გვ. 118. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

ლებოდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბარათაშვილმა თითქმის 10 წელი გაატარა ყოვლად უმადურსა და მისთვის შეუფერებელ მოხელეობაში, რაც მას დიდ დროს, ასევე დიდ ენერგიას ართმევდა (გავიხსენოთ, რომ მას ყოველთვის „სამსახურში მიეჩქარება“, სულ „ფაციფუცშია“ საქმეების გამო, ბიძას — ზაქარია ორბელიანსაც სწერს: «Что и не лень писать — это доказывают занятия мои по службе»), მაშინ ადვილი წარმოსადგენია შემოქმედებისათვის რამდენი წელი ჰქონდა უდროოდ დაღუპულ ჩვენს პოეტს. და იგი მიიცვალა სწორედ იმ პერიოდში, როცა ჰაბუკობის ასაკიდან გამოდიოდა, რასაც გულახდილად ატყობინებდა მაიკო ორბელიანს 1845 წელს: „აღარც მე მცალიან ვის თვისმე; ახლა მე ჩემი თავი ხელმწიფობას და საზოგადოებას შევსჰძღვენ; სულ ხომ უმაწვილობა არ იქნება... თქვენც გეყოფათ ბუზების ხოცვაო“*. ეს იყო მზადყოფნა დიდი შემართებისათვის, მაგრამ უდროოდ დაიღუპა გენიოსი კაცი და ჩვენ გულისტკივილით ვკითხულობთ უმაღლეს ბრძანებულებას, რომელსაც თარიღად უზის 1345 წლის 21 დეკემბერი, ბრძანებულებას, სადაც ნათქვამია: «Указ Его Императорского Величества Самодержца Всероссийскаго из Грузино-Имеретинской Казенной Палаты Тифлисскому уездному Казначейству. По указу Его Императорскаго Величества Казенная палата по журналу в 20 дней сего декабря состоявшемуся Приказали: Во исполнение предписания Его Сиятельства Наместника Кавказскаго, на основании 277 ст. устава о пенсиях тома 3, издания 1842 года и предписания Г. Министра финансов от 6-го Марта 1841 года, предписать Тифлисскому Уездному Казначейству, следующие семейству умершаго помощника Елисаветопольскаго уездного начальника Губернскаго секретаря Князя Николая Баратова, отцу его Майору Мелитону Баратову, матери и трем сестрам в единовременное пособие годовое его жалование 750 р. а за вычетом 10% в пользу увечных

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 116. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

75 руб. остальные затем шесть сот семьдесят пять руб. сер. отпустить под собственную их расписку или того кому они доверят из общих доходов, на счет Главного Казначейства и записать расходом по департаменту полиции исполнительной Министерства Внутренних дел».*

ასევე გულისტკივილით ვკითხულობთ მ ე ლ ი ტ ო ნ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს წერილს, 1845 წლის 16 ოქტომბერს გ-გზავნილს დიმიტრი ა ლ ე ქ ს ი-მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს: „მაღალ ღირსო მამავო დეკანოზ დიმიტრი! უმდაბლესათ ქთხოვთ ახლათ გარდაცვალებულისა ჩემის შვილის ნიკოლოზის პანაშვიდი შვიდი წირვა თქხოვთ გარდუხადოთ შესრულების შემდგომად. ამის საწირავს მოგართმევთ, — რომელზედაც ხელს ვაწერ".** და იმავე თვის 30-ს მ ე ლ ი ტ ო ნ ს გადაუხდია 7 მანეთი შვილის საწირავად.

ასე უბრალოდ, ჩვეულებრივ მომაკვდავთა მსგავსად, რომლებსაც ქვეყნისათვის სრულებით არაფერი შეუძენიათ, დამთავრდა გ ე ნ ი ო ს ი პ ო ე ტ ი ს ოცდაცხრაწლიანი ცხოვრების გზა და არავინ იცის ვინ ე ს წ რ ე ბ ო დ ა ნათესავთაგან მის დაკრძალვას შორს, განჯაში, ან ტიროდა თუ არა მათგან ვინმე, თუნდაც ერთი ადამიანი ახლადგათხრილ საფლავთან. მარტო ის ვიცით, როგორც ბიოგრაფებმა უეჭველად გაარკვიეს, რომ აღსარება უთქმევინებია მღვდელ სტეფანე ვ ე რ დ ე რ ე ვ ს კ ი ს და დაკრძალვის წესიც მას აუგია. მგონი ვერცერთი ნ ა თ ე ს ა ვ ი ბარათაშვილის დაკრძალვას ვერ დაესწრო, გარდა იქ მყოფი რ ა მ დ ე ნ ი მ ე ქართველისა. დაკრძალვა მოხდა 11 ოქტომბერს, გარდაცვალებიდან ორი დღის შემდეგ, ხოლო ა ვ ა დ მ ყ ო ფ ი მ ე ლ ი ტ ო ნ ი პანაშვიდის გადახდას 16 ოქტომბერს თხოვს დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილს. უნდა ვივარაუდოთ, რომ შვილის დაკარგვა ოჯახმა მხოლოდ ე რ თ ი კ ვ ი რ ი ს შემდეგ გაიგო.

მაგრამ რ ო გ ო რ დაიღუპა პოეტი, რა ვ ი თ ა რ ე ბ ა შ ი, სად?

---

* ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 244.

** იქვე, გვ. 243.

ბარათაშვილის უკანასკნელი დღეების ზუსტი აღწერა არა გვაქვს. ის ადამიანები, რომლებიც მის გვერდით იმყოფებოდნენ, სრულებით არ ცდილან შეენახათ პოეტის შთამომავლობისათვის, თუ სად ან რა ვითარებაში გარდაიცვალა ქართველი გენიოსი. ამიტომ ცდილობდა გიორგი ლ ე ო ნ ი ძ ე გაერკვია ეს საკითხი და რაიმე კვალისათვის მიეგნო. პოეტის ბიოგრაფიის ერთ ნაწილში, რომელსაც ეწოდება: „ს ა დ გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი?", ლ ე ო ნ ი ძ ე წერდა: „ჩვენ ვიცით, რომ ნ. ბარათაშვილი სიკვდილის წინა თვეებში ცხოვრობდა მურუთში. ასე, უკანასკნელი მისი წერილები: (მაიკო ორბელიანისადმი და ბაბალე და ლევან საგინაშვილებისადმი) დათარიღებული — პირველი 10 აგვისტოთი, მეორე —23 აგვისტოთი დაწერილია მურუთში. მურუთი განჯიდან 14 კილომეტრზე დაშორებული მთაში, ძველი სააგარაკო ადგილი იყო განჯისა (ელისავეტპოლი), რადგან განჯა ცხელი ადგილია, განჯის შეძლებული მოსახლეობა მურუთში გადიოდა საჰაეროდ.

ბარათაშვილსაც უკანასკნელი ზაფხული (1845 წ.) მურუთში გაუტარებია.

საინტერესოა, სად გარდაიცვალა პოეტი თვით განჯაში, თუ აგარაკზე — მურუთში? რადგან სექტემბერი, როცა პოეტი ავად გახდა განჯისთვის ცხელ თვედ ითვლება, ამიტომ ვფიქრობთ, იგი მურუთიდან განჯას ჯერ არ უნდა ჩამოსულიყო. ამას გარდა ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტიც. ბარონ ა. პ. ნიკოლაიმ ბარათაშვილის სიკვდილის თითქმის წინა დღეს, სახელდობრ, 5 ოქტომბერს (პოეტი კი გარდაიცვალა 9 ოქტომბერს) განჯაში ინახულა ის ბინა, სადაც პოეტი ცხოვრობდა, მაგრამ ნიკოლაის იმ ბინის მობინადრეები — მამუკა ორბელიანი, რომელიც მაშინ განჯაში არ იმყოფებოდა, — და თვით ნ. ბარათაშვილი თავისს დღიურში ნახსენები არა ჰყავს. დღიურის მიხედვით კი ვიცით, რომ ნიკოლაი სწორედ მათ სადგომში გაჩერდა. იგი ასწერს კიდეც ამ ბინას: „საშინელი ქოხ-მახიაო" („affreux bouge"). 5 ოქტომბერს კი ბარათაშვილი სასიკვდილო აგონიას განიცდიდა და შეუძლებელია. ნიკოლაის კრინტი მაინც არ დაეძრა, რომ იმ ბინაში, სადაც ის გაჩერდა, ადამიანი კვდებოდა. სხვა არა იყოს, მოსაკვდავის სახლში ბინად იგი არც გაჩერდებოდა, მით უმეტეს ბარათა-

შვილის ბინა, სადაც ნიკოლაი გაჩერდა, აპარატამენტებს კი არ წარმოადგენდა, არამედ ეიწრო „ქოხ-მახს“.

ამიტომ, ვფიქრობთ, შესაძლოა ბარათაშვილი გარდაიცვალა მურუთში, სადაც მან ზაფხული გაატარა და საიდანაც მძიმე ავადმყოფობის და ჯერ კიდევ სიცხეების გამო, შეიძლება ვერ მოახერხა განჯას ჩამოსვლა“.*

მაგრამ, ბარათაშვილი, რომელიც იმ დროს მართო იყო დარჩენილი, რაკი მაზრის უფროსი მამუკა ორბელიანი თბილისსა და ახალციხეს იმყოფებოდა, მურუთში მართლა დასასვენებლად მიდიოდა, როგორც ამას გიორგი ლეონიძე და მიხეილ ხელთუბნელი ფიქრობენ?

სწორედ ამ საკითხით დავინტერესდით და 1967 წლის 9 აგვისტოს მწერალ ნიკოლოზ აგიაშვილთან ერთად გავემგზავრეთ კიროვობადში (ყოფილი განჯა). ბარათაშვილის საცხოვრებელი სახლისა (ახლა მისივე სახელობის პატარა მუზეუმის) და ნიზამის დიდი მავზოლეუმის დათვალიერების შემდეგ მეორე დღეს ავედით მურუთში, რომელიც ასე ტრაგიკულად დაუკავშირდა ქართველი გენიოსის სახელს.

ტრაგიკულად-თქო რომ ვამბობთ, მარტოოდენ მურუთი როდი გვაქვს მხედველობაში. საერთოდ, განჯა თავიდანვე მისთვის ისეთივე უბედურება იყო, როგორც ნახიჩევანში გამგზავრება, თუმცა პოეტს ეგონა — რაკი განჯა შედარებით ახლოა, მამამისიც ადრე იქ მუშაობდა, უკეთესი ადგილი იქნებაო. მაგრამ, პირიქით გამოვიდა. თუ ნახიჩევანის შესახებ ბარათაშვილი სწერდა მაიკო ორბელიანს 1844 წელს: „ჩვენი აქ ცხოვრება, სწორე გითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნების მეტი არა არისრაო“, ბაბალე საგინაშვილისადმი წერილში მურუთიდან (1845 წლის 23 აგვისტოს) განჯას „უდაბურ ადგილს“ უწოდებს. ცოტა ქვევით იმასაც აღნიშნავს, რომ განჯაში ყველაფერს (თბილისის ამბებს) მოწყვეტილია, „თუ ღმერთი არ შემეწია, გავსულელდები ამდენს თარაქამებშიო“.** მეორე წერილში, რომელიც

* „ლიტერატურის მატიანე“, № 1—2, 1940 წ., გვ. 424—425.

** ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, 1845 წ., გვ. 95. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

ალექსანდრე საგინაშვილს ეგზავნება, პოეტი თითქოს ეხუმრება ადრესატს, მაგრამ თვითონვე აგრძნობინებს, რომ ეს ხუმრობა ნაძალადევია — „ტყუილად ვხუმრობ; скучно, грустно“, — დასძენს ლერმონტოვის ცნობილი სიტყვებით.

თუ განჯაში ასე გრძნობდა თავს, რაღა იქნებოდა მურუთში, სულ პატარა, მცირემოსახლეობიან სოფელში, სადაც ბარათაშვილს, ეტყობა, სამსახურის გამო ასვლა და რამდენიმე დღით დარჩენაც უხდებოდა. ან კი რა გასაკვირია: გენიოს პოეტს იმდროინდელი თბილისიც ვერ უკმაყოფილებდა სულიერ მოთხოვნილებას (გაიხსენეთ მისი სიტყვები: «...в нашем скучном от жаров, душном от пыли, городе нет ничего любопытного»... „...ტფილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის“), ხოლო განჯასა და მით უფრო მურუთში რა უნდა ეპოვნა?

მაგრამ, ვიდრე მურუთის აღწერას შევუდგებოდეთ, გავეცნოთ იმ სახლს, სადაც ჩვენი გენიოსი ცხოვრობდა და საიდანაც ის მიემგზავრებოდა ხოლმე ამ სოფლისაკენ.

ქალაქ განჯას მართლაც ორ ნაწილად ყოფს მდინარე და ერთ ნაწილს, ყველაზე ძველს, „სომხური“ ეწოდებოდა (მეორეს კი „მუსლიმანური“). მე-11—12 საუკუნეების განთქმული პოეტის ნიზამის საფლავიც ძველ, „სომხურ“ ნაწილში ყოფილა და ახლა იქ გენიოსი მწერლის უდიდესი მავზოლეუმია გაკეთებული. ბარათაშვილსაც ბინა ამ „სომხურ“ ნაწილში ჰქონია.

სახლი, რომელშიაც პოეტი ცხოვრობდა და სადაც მისი პატარა მუზეუმია მოთავსებული ერთ ოთახში, მდებარეობს ახლანდელ ჯაფარიძის ქუჩაზე (№ 60). გალავანს მიკრული აქვს მემორიალური დაფა, რომელიც გვაუწყებს, რომ ეს ნაგებობა არის „ჯავათ ხანის კანცელარიის არქიტექტურული ძეგლი XVII საუკუნისა“. თავის დროზე ნაგებობა ალბად რამდენიმე ოთახისაგან შედგებოდა, რასაც ნანგრევთა ნაშთები გვიდასტურებენ, ახლა კი მხოლოდ ერთი ოთახია დარჩენილი, დაახლოებით 20 კვადრატული მეტრისა. დაუჯერებელი ჩანს, რომ აქ ყოფილიყო მაზრის უფროსის, მისი თანაშემწის, კანცელარიის აპარატის სამუშაო

ბინა და აქვე ეცხოვრა თვით უფროსს თანაშემწესთან ერთად. რაც შეეხება მამუკა ორბელიანის წერილს, რომელშიაც ის უდასტურებს კ. თარხნიშვილს, რომ ჩემს ბინასთან იყო მაზრის უფროსის კანცელარიაო,* ისე უნდა გავიგოთ, რომ იქვე ახლოს იყო კიდევ სხვა რაღაც ნაგებობა, რომელიც ახლა აღარ არის. მით უფრო მტკიცდება ეს ეჭვი, რომ ბარონი ნიკოლაი, რომელიც 1845 წლის 5 ოქტომბერს აქ იყო, მას „საშინელ ქოხმახს“ უწოდებს. შეიძლება მხოლოდ საცხოვრებელი იყო, ორი ოთახისაგან შემდგარი, და ორი კაცი (უფროსი და მისი თანაშემწე) ცხოვრობდა? თუ სამუშაო ადგილიც აქ იყო, ადვილი წარმოსადგენია რა უნდა ყოფილიყო მაზრის უფროსის კანცელარიაც და საცხოვრებელი ბინაც. ალბათ აქ, სწორედ ამ პატარა, 20 კვადრატული მეტრის ოთახში გარდაიცვალა ჩვენი ბუმბერაზი პოეტი, და ახლა იქ მისივე სახელობის მინიატურული მუზეუმია, რასაც თანამედროვე ადამიანს აუწყებს გალავნის კედელზე მიკრული მემორიალური დაფა: „აქ 1845 წელს ცხოვრობდა დიდი ქართველი პოეტი ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი“. ეს წარწერა გაკეთებულია აზერბაიჯანულად და რუსულად, მაგრამ არ არის იმ ენაზე, რომლითაც გენიოსმა პოეტმა თავისი უკვდავი ლექსები დაიმღერა.

მურუთი 22 კილომეტრზეა განჯიდან. სოფელი, რომლის მოსახლეობა ძველადვე სომხური იყო, მაღალ მთაზეა გაშენებული და ზღვის დონიდან 1350 მეტრზე მდებარეობს.

საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის მასალებით დასტურდება, რომ სოფელი მურუთი 1845 წელს შედიოდა ელისავეტპოლის მაზრის აირიუმის უბახში, იყო მესამე თანრიგის სოფელი, რომელშიაც სახაზინო გლეხების ექვსი კომლი ცხოვრობდა. ელისავეტპოლის მაზრის აირიუმის უბანი შედგებოდა 17 სოფლისა და 605 კომლისაგან. უბნის მამასახლისად 1845 წლის აპრილში

* იხ. „ლიტერატურის მატიანე“, 1940 წ., № 1—2, გვ. 365, მ. ხელაუბნელის წერილი.

ითვლებოდა ვინმე ბაირამალი იმამ ყული ოღლი, რომელსაც კეთილად არ იხსენიებენ, რაკი ტყეში გავარდნილი ზოგიერთი ყაჩაღი მისი ახლობელი ყოფილა და მათთვის მფარველობა გაუწევია.* ბარათაშვილს კი სწორედ ამ ყაჩაღების დევნა ეკისრებოდა.

ვერ ვიტყვით, რომ მურუთი საზაფხულო რეზიდენცია ყოფილიყო მაზრის უფროსის ან იმდროინდელი წარჩინებული პირებისა. ვერ ვიტყვით იმიტომ, რომ ძნელად მისადგომია, ახლაც ადვილი არ არის იქ მისვლა. სოფელს არავითარი კვალი არ ემჩნევა, რომ დიდკაცობას ოდესმე ის საზაფხულო დასასვენებელ ადგილად ჰქონებოდეს მიჩნეული. იქ არ ყოფილა თითქმის არცერთი ისეთი ძველი ნაგებობა, რომელიც მაზრის უფროსის ან არისტოკრატიის საზაფხულო საცხოვრებლად გამოდგებოდა. ორმა მოხუცმა (ერთმა 90, ხოლო მეორემ 100 წელს გადაცილებულმა) არ დაგვიდასტურეს, რომ მურუთი ოდესმე „აგარაკი“ ყოფილიყო. თუ ვინმე მიდიოდა დასასვენებლად, ეს სხვა საქმეა. როგორც ყველა მაღალმთიან სოფელში, აქაც ჰაერი ჯანსაღი და საამურია, წყალი ცივი და გემრიელი, რაც მათ მიიზიდავდა. მაგრამ გეოგრაფიული მდებარეობა სოფლისა იმდენად რთულია, რომ მურუთი „აგარაკი“ ვერ გახდებოდა ამ სიტყვის ფართო გაგებით, მით უფრო, რომ განჯას მეორე მხრიდან ეკვროდა ადვილად მისასვლელი, ჯანსაღი ჰაერითა და ცივი წყლით მდიდარი სოფლები, რომლებიც ახლა „აგარაკებია“ და რიწყასავით განთქმული ტბის — „გიოკ-გიოლისაკენ“ მთებში მიმავალ გზაზე მდებარეობენ. ამიტომ, ვერსია, რომ თითქოს ბარათაშვილი მურუთში საზაფხულოდ (ან დასასვენებლად) ადიოდა, როგორც 1845 წლის საბედისწერო სექტემბრის თვეს, სრულიად უსაფუძვლოა და უარყოფილ უნდა იქნას, როგორც მარტოოდენ სასურველი ფანტაზია. მით უფრო, რომ იმ საბედისწერო სამთვენახევარს,

---

* იხ. ЦГА, ф. 16, Д. 8335, Л.Л. 140 об., 212; об. ф. 112. оп. 2. Д. 20160. л. 9. მასალების მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ ა. იოვიძეს.

ბარათაშვილს, მარტოდ დარჩენილს, დ ა ს ა ს ვ ე ნ ე ბ ლ ა დ ა რ ე ც ა ლ ა, და როგორც ახლადდანიშნულს, არც დაასვენებდნენ. ეს სრულიად უეჭველია, ვინაიდან პოეტის მამის — მ ე ლ ი ტ ო ნ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ფორმულარული სიიდან ირკვევა, რომ კავკასიის იმდროინდელი მთავარმართებლობა დიდ ყურადღებას აქცევდა, თუ ვინ და რამდენ ხანს ისვენებდა წლის მანძილზე. ამიტომ შეჰქონდათ ფორმულარულ სიებში სპეციალური კითხვა „სარგებლობდით თუ არა შვებულებებით წელიწადში ორჯერ მეტად?“ მ ე ლ ი ტ ო ნ ი ს ა თ ვ ი ს აც ასეთივე კითხვა მიუციათ 1833 წელს ფორმულარულ სიაში, რაც ტრაფარეტად იყო ქცეული, და პოეტის მამას უარყოფითი პასუხი გაუცია: „ა რ ვ ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ დ ი ო“.* საგულისხმოა, რომ ფორმულარული სიის მომდევნო კითხვაც შვებულების საკითხს შეეხება, და ასეა ჩამოყალიბებული: „ცხადდებოდით თუ არა შვებულებიდან ვადაზე და ვადის გადაცილების შემთხვევაში ადგენდით თუ არა კანონიერ დამამტკიცებელ საბუთებს მისი მიზეზის შესახებ; შვებულებაში ყოფნის დროს ჩვენებით?“ ამ კითხვაზეც მ ე ლ ი ტ ო ნ ს არა მარტო უარყოფითი პასუხი აქვს გაცემული, არამედ, აღნიშნავს, რომ განჯაში მუშაობის დროს (1824 წლის 1-ლი აგვისტოდან 1827 წლის 19 ოქტომბრამდე), ს ა მ წ ე ლ ზ ე მ ე ტ ი ხ ნ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი მ ა ს ს ა ე რ თ ო დ შ ვ ე ბ უ ლ ე ბ ა ა რ ჰ ქ ო ნ ი ა — „В отпусках не был“ — ასეთია მისი ლაკონიური პასუხი. და თუ ისეთი დამსახურებული კაცი, როგორიც მაშინ მ ე ლ ი ტ ო ნ ი იყო, რომელსაც მეფის მთავრობაში ნამსახურობის უკვე 23 წლის სტაჟი ჰქონდა, სხვა ღირსებებს თავი რომ დავანებოთ, ს ა მ ი წ ლ ი ს მ ა ნ ძ ი ლ ზ ე ე რ თ ხ ე ლ ა ც ა რ ყ ო ფ ი ლ ა შ ვ ე ბ უ ლ ე ბ ა შ ი, ცხადია, ახალბედა პოეტს მით უფრო ვერავინ მისცემდა უფლებას ს ა მ ი თ ვ ი ს მ უ შ ა ო ბ ი ს ა თ ვ ი ს შვებულებით (დ ა ს ვ ე ნ ე ბ ი თ) ესარგებლა.

ამგვარად, გ ა ნ ჯ ა შ ი (დ ა მ უ რ უ თ შ ი) ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს დ ა ა ს ვ ე ნ ე ბ ა (შ ვ ე ბ უ ლ ე ბ ა),

---

* იხ. მელიტონ ბარათაშვილის ფორმულარული სია, წიგნში: „მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ“, 1945 წ., I, გვ. 162—163.

ჩვენს მიერ ნაჩვენები მიზეზების გამო, სრულიად გამორიცხულია. 1843 წლის 13 აგვისტოს შედგენილ საკუთარ ფორმულარულ სიაში კითხვაზე—„Не был ли в отпусках, а если был, то когда именно и на сколько времени, и являлся ли на срок к должности?“ ბარათაშვილის პასუხი ასეთია: „Не был“. ყოველივე ამის ძეძდეგ ნათელია, თუ როგორი დასვენება (ან შვებულება) ექნებოდა ბარათაშვილს განჯაში სამნახევარ თვეს მუშაობის მანძილზე.

მაშინ როგორ მოხდა, რომ ივნისიდან ოქტომბრამდე განვლილ სამ თვეში ბარათაშვილი სამჯერ მაინც იმყოფებოდა მურუთში, საიდანაც წერილები გამოუგზავნა ალექსანდრე საგინაშვილს, მაიკო ორბელიანს, ბაბალე საგინაშვილს, შეიძლება სხვა პირებსაც, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული არ არის?

სულ „უბრალო“ მიზეზის გამო.

ძნელად მისადგომი მურუთი ტყეშია შეჭრილი და ერთი მხარის გარდა, ირგვლივ სულ ტყე აკრავს. ყაჩაღები, რომელთა შეპყრობაც ჩვენს პოეტს ევალებოდა, უკეთეს თავშესაფარს ვერ იპოვიდნენ, ვიდრე ეს ადგილები და ეს ტყეებია. თუ ისინი ტყიდან სოფელში ჩამოვიდოდნენ, ადვილად შეამჩნევდნენ საფრთხეს, რაკი გზა კარგად ჩანს, და შეიძლებდნენ უმალ ისევ ტყისათვის მიეცათ თავი, რათა სამშვიდობოზე გასულიყვნენ. ამიტომ, მურუთი, როგორც ყაჩაღთა თავშესაფარი, ამავე დროს უნდა ყოფილიყო ის ადგილი, სადაც იგეგმებოდა მათ შესაპყრობად შემუშავებული ღონისძიებები. სრულიად უეჭველია, რომ ბარათაშვილი მხოლოდ ამ მიზნით ადიოდა მურუთში და არა „დასასვენებლად“. დასვენებისა და დროს გატარებისათვის მას სხვა ადგილები შეეძლო მოენახა ან დილიჟანში, ან კიდევ „გიოკ-გიოლისაკენ“ მიმავალ გზაზე, უფრო ადვილად მისადგომ მთიან სოფლებში, სადაც ჯანსაღ ჰაერთან ერთად ცივი წყაროებიც იყო. მაგრამ ის საბედისწერო სამთვენახევარი, რომელიც პოეტმა განჯის მაზრაში გაატარა, დასვენების საშუალებას როდი აძლევდა. პირიქით, ორიოდე დღისა და ავადმყოფობის გარდა, როგორც მისი სამსახურებრივი საქმეები გვიდასტურებენ,

პოეტი თავაუღებლად მუშაობდა, ეტყობა აღარც შემოქმედებისათვის ეცალა. ამიტომ იყო, რომ პირადი წერილებისა და მოხსენებების გარდა, მას არაფერი დაუწერია და განჯის მემორიალში ლექსები სულ არ ჩანს.

მაგრამ უფრო ახლოს გავეცნოთ მურუთს.

როცა სოფელში შევედით, ირგვლივ შემოგვეხვივნენ მერუთელები, დიდი და პატარა, სიამოვნებით გვაძლევდნენ პასუხს ყოველ კითხვაზე, თავსაც ძალას ატანდნენ — რაც იცოდნენ ან გაეგონათ — ყველაფერი ეთქვათ ჩვენთვის.

ერთმა მოხუცმა ქალმა, რომელიც 90 წელს გადაცილებულია, მაგრამ ნათლად აზროვნებს და გამართულად ლაპარაკობს, გვიამბო:

—მე ვარ თაკუი გრიგოლის ასული ჯალადიანი-პეტროსიანისა. მამაჩემი გარდაიცვალა 1914 წელს — 100-ზე მეტი წლის ასაკში. იგი დიდხანს იყო მურუთის მამასახლისი. მისგან გამიგონია: ვინც განჯიდან დიდი უფროსები მოდიოდნენ, ღამეს ჩემს სახლში ათევდნენ. ერთხელ საქმეზე ამოვიდა განჯის ერთერთი დიდი კაცი, რომელიც ავად გამიხდა. განჯიდან ჩამოვიდნენ სხვებიც და უვლიდნენ. რამდენიმე დღე იავადმყოფა, ყველა მოწიწებით უხდიდა ქუდს. როცა გამორჩა, ისევ განჯაში დაბრუნდა, მაგრამ მალე გარდაიცვალა. კარგი კაცი იყო და ყველას გული დაგვწყდაო.

ახლა გავიხსენოთ განჯის ეკლესიის მღვდლის — მძინარაშვილის ნათქვამი, რომელიც იონა მეუნარგიას თავის ნაშრომში მოჰყავს: „პოეტი მთაში სადღაც წასულა უაჩაღების დასაბერად და იქ გაციებულა. ერთხანს მორჩენილა, მაგრამ ხელახლა გამხდარა ავად, რადგანაც უდროო დროს ერთობ ბევრი ცივი ლუდი დალია“*.

როგორც ვხედავთ, ფაქტების დამთხვევა ძალიან საგულისხმოა და უყურადღებოდ მისი დატოვება არ შეიძლება.

---

* იხ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. XXXV. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

ჩემს კითხვაზე — ხომ არ ახსოვს იმ გარდაცვლილი კაცის სახელი, გვარი, თანამდებობა, ეროვნება — მოხუცმა ქალმა ხელი ჩაიქნია — დიდი კაცი რომ იყო განჯისა, ეს ვიცი მამაჩემის ნაამბობით, მაგრამ სხვა არაფერი მსმენია. მამაჩემი ხშირად იგონებდა ამ ამბავს და ყოველთვის გულისტკივილითო.

აქ ერთ მომენტსაც უნდა მიექცეს ყურადღება: თუ მურუთის საეგებიო მამასახლისი 1914 წელს, როცა გარდაიცვალა, 100 წელს გადაცილებული იყო, მაშინ ის ასაკით, დაახლოებით, ბარათაშვილის თანატოლი ყოფილა. არის ძეორე მომენტიც: მამასახლისის თანამდებობაზე დიდხანს მუშაობა, სოფლის მოსახლეობის მხრივ მისადმი პატივისცემით მოპყრობა მთელი სიცოცხლის მანძილზე უთუოდ იმას მეტყველებს, რომ ეს კაცი, როგორც ადამიანი, კარგი უნდა ყოფილიყო და მაზრის უფროსის თანაშემწეს შეიძლებოდა იგი დაეახლოებინა. თუ სამი თვის განმავლობაში ჩვენი პოეტი სამჯერ მაინც ეწვია მურუთს, საქმეების გარდა, აქ უთუოდ პირადი მომენტიც თამაშობდა გარკვეულ როლს. ახალგაზრდა კაცებს, ასაკითაც ტოლთ, კარგ ადამიანებსა და საქმითაც დაკავშირებულთ, ბევრი რამ შეიძლებოდა საერთო ჰქონებოდათ.

მაგრამ ისეთ პატარა სოფელს, როგორიც მურუთია, ნ კომლისაგან შემდგარს, საერთოდ ჰყავდა მამასახლისი? შეიძლება რომელიმე მეზობელი სოფლის მამასახლისს ევალებოდა მისი ხელმძღვანელობა და ცალკე უფროსი აღარ ჰყავდა? ეს ეჭვი მით უფრო გაგვიძლიერდა, რომ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის მასალებში მურუთის არცერთი მამასახლისი არ იხსენიება.

მივმართეთ აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივს, საიდანაც მივიღეთ შემდეგი ცნობა: «В материалах архива за 1845 год сведений о старшинах не имеется. Но в документальных материалах фонда Елизаветпольского уездного полицейского управления имеется список юзбашей и старшин Айрумского участка, Елизаветпольской губернии от 22 декабря 1843 года, в котором

значится старшиной селения Мурут Оган Газаров, избранный обществом в 1841 году».*

აქედან ორი რამ ირკვევა: ჯერ ერთი, 1843 წლის ბოლომდე მურუთის მამასახლისია 1841 წელს არჩეული კაცი, მეორეც, 1845 წელს ის აღარ უნდა ყოფილიყო და შეეცვალა სხვას, მაშასადამე, მურუთს ჰყოლია ცალკე მამასახლისი. მაგრამ ვინ? იქნებ მართლაც ის, ვის შესახებაც ზევით ვლაპარაკობდით?

დავათვალიერეთ ჯალადიანის სახლი, რომელიც ახლა ანდრონიკ ავაქის ძე პეტროსიანს, ამ მოხუცი ქალის ვაჟიშვილს ეკუთვნის. სახლი ორსართულიანია. პირველი სართული თლილი ქვითაა აშენებული, ძველია, ხოლო მეორე სართული ხისაა, შემდეგ დაშენებული. პირველ სართულში სამი ოთახია, ბუხრით. საინტერესოა, რომ ბუხარი უბრალოარაა, ოდესღაც მოჩუქურთმებული ყოფილა. ჩანს ეს სახლი მართლაც შეძლებულ ოჯახს ეკუთვნოდა, ვინაიდან წინათ აქ მხოლოდ გომურები ყოფილა და ამ ფონზე ჯალადიანის სახლი ნამდვილად გამონაკლისი იქნებოდა.

ახლა გასარკვევია ერთი საკითხი: 1845 წელს იყო თუ არა გრიგოლ ნერსეს-ძე ჯალადიანი მურუთის სოფლის მამასახლისი? თუ აღმოჩნდება, რომ ნამდვილად ასეა, მაშინ იბადება შემდეგი ვერსია:

1845 წლის 23 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე, მთელი თვე ბარათაშვილი სადმე დასასვენებლად წასული კი არ არის, დაუღალავად მუშაობს, ავაზაკებს დევნის, ძარცვა-გლეჯის, აგრეთვე მკვლელობის საქმეებს პროკურორთან ერთად იკვლევს, რამდენიმე პირს აპატიმრებს და ყველა ამ საქმეზე პატაკებს უგზავნის ამიერ-კავკასიის მთავარმართველობას. დასვენება კი არა, მიუხედავად დაძაბული მუშაობისა, სწორედ აგვისტოში ბარათაშვილი ღებუ-

---

* ЦГИА, ф. 410, оп. 1, д. 18, л. 8 об. ამ ცნობის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ ჩემს მეგობარს მ. ა. ალი-ზადეს და არქივის დირექტორს შ. გ. რზაევას.

ლობს პირველსა და უკანასკნელ, ერთადერთ მითითებას სამსახურის ხაზით. ის დაუღალავად მუშაობს: 23 აგვისტოს ხელს აწერს პატაკს მისკინლიში მცხოვრები მწყემსის უსუფ ალავერდიოღლის უცნობი პირის მიერ მძიმედ დაჭრის შესახებ (ხელრთვა, როგორც პროფ. შ. ჩხეტია ადასტურებ, ბარათაშვილის ავტოგრაფია, ხოლო ტექსტი დაწერილია უვაროვის ხელით); 31 აგვისტოს ბარათაშვილის ხელმოწერით თბილისში იგზავნება პატაკი ერევნელების — ალიაქფერ მაშადი ჰასან-ოღლისა და მაშადი მამედ შახ უსეინ-ოღლის სოფელ აიურიუმთან ახლოს სამი უცნობი პირის მიერ გაძარცვაზე, რის შესახებაც პოეტს შეუტყვია 18 აგვისტოს, იმავე დღეს გაუცია განკარგულება საქმის გამოსაძიებლად და მძარცველთა შესაპყრობად; 13 სექტემბერს ბარათაშვილი, რომელსაც ერთი თვის სიცოცხლეც აღარა აქვს დარჩენილი, საქართველო-იმერეთის საგუბერნიო სამმართველოს უგზავნის პატაკს, რომელშიაც ვკითხულობთ: «Высочайшее повеление об увеличении, определенного статьею 2033 тома 10 свода законов гражданских (издания 1842 года), срока, на подачу в полицию прошений, о насильном и самовольном завладении по Закавказскому краю, об'явлено жителям Елисаветпольского уезда окончательно 30 минувшего мая»; 20 სექტემბერს პოეტი საკუთარი ხელით წერს პატაკს ამიერ-კავკასიის მთავარმმართველობისადმი იმის შესახებ, რომ 18 აგვისტოს სოფელ კარადაღლის მცხოვრებმა იმამ-ვერდი იმამ ყული-ოღლიმ მოჰკლა სოფელ მოლა-აბასლის მცხოვრები მამადა მუსტაფა-ოღლი და რომ მკვლელი დაპატიმრებულია, მოთავსებულია ადგილობრივ საპყრობილეში, ხოლო იმავე დღეს მან გასცა ბრძანება საქმის გამოსაძიებლად და მოკლულის გვამის შესამოწმებლად; ხუთი დღის შემდეგ, ბარათაშვილი უკანასკნელად უგზავნის პატაკს ამიერ-კავკასიის მთავარმმართველობას იმის თაობაზე, რომ დაახლოებით სამი კვირის წინ, სოფელ სარლიარის მცხოვრებლებმა ქეჩი-ნაბიმ და შატლი ჯაფარ ქალბალაი ირზა-ოღლიმ დაჭრეს ერთმანეთი. ქეჩი-ნაბი გარდაიცვალა და

საიდუმლოდ დამარხეს, ხოლო ჯაფარი ცოცხალია, მაგრამ ავად არის. მივიღე თუ არა ეს ცნობა ადგილობრივი პროკურორისაგან მხოლოდ 23 სექტემბერს (მან კი საიდუმლო შეიტყო დაგვიანებით), მასთან ერთად გავემგზავრე შემთხვევის ადგილზე და დამნაშავეთა შეპყრობამდე დავაპატიმრე სოფლის მამასახლისი, რომელმაც დაჰფარა ეს საქმე, აგრეთვე საქმესთან დაკავშირებული რამდენიმე პირი და თვით ჯაფარა*.

ამდენი საქმით დატვირთული კაცი, ცხადია, მურუთში დასასვენებლად ვერ მოიცლიდა. საქმისათვის კი ბარათაშვილი სექტემბერში ნამდვილად მივიდა მურუთს, იქ ავად გახდა, მაგრამ გამორჩა. რაკი მამუკაორბელიანი — მაზრის უფროსი ადგილზე არ იყო, პოეტმა აღარ დააყოვნა, მომჯობინებისთანავე ის განჯისაკენ გაემართა და აპირებდა ისევ მუშაობას შედგომოდა. 25 სექტემბერს, როცა ხელი მოაწერა მოხსენებითს ბარათზე, რომელიც თბილისში გამოაგზავნა, ყაჩაღების სადევნელად მურუთს წასული, ოქტომბრის პირველ რიცხვებში (ალბათ, ერთი კვირის შემდეგ) ისევ განჯაშია, მაგრამ 4 ოქტომბერს მისი ავადმყოფობის გამო პატაკს გოროდნიჩი თავადი სავარსამიძე აწერს ხელს.

რა მოხდა?

მურუთიდან უკან დასაბრუნებელი გზა, როგორც ვთქვით, ცუდია და ნაავადმყოფარ კაცს გაუჭირდებოდა მისი გავლა, მით უფრო, რომ მთიდან დაშვების შემდეგ განჯამდე მას მოუხდებოდა უდაბნოს მსგავსი ტიტველი, მტვრიანი და სიცხიანი ველების გავლა. თუ გზაზე ან განჯაში მან „ზომაზე მეტი“ ცივი ლუდი დალია და ისევ გაცივდა, რამაც ავადმყოფობის შებრუნება გამოიწვია, მაშინ სრულიად უეჭველია, რომ პოეტი განჯაში გარდაიცვალა და ის საეკლესიო ჩანაწერი, რომელიც მკვლევარმა ბალახა-

---

* „მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ“, 1945 წ., ტ. I, გვ. 343.

შვილმა მიაკვლია, უეჭველად გვეუბნება, რომ ბარათაშვილი სწორედ განჯაში დაიღუპა, იმ სახლში, სადაც ცხოვრობდა.

მაგრამ, რა ავადმყოფობით მიიცვალა პოეტი? „ხ უ რ ვ ე ბ ი თ“ (горячка). განჯის „ა ვ თ ვ ი ს ე ბ ი ა ნ ი მ ა ლ ა რ ი ი თ“, „ც ი ე ბ-ც ხ ე ლ ქ ბ ი თ“ (лихорадка), თუ რომელიმე სხვა სნეულებით? ნამდვილად არავინ იცის, მაგრამ უფრო „ხ უ რ ვ ე ბ ას“ იხსენიებენ, თუმცა ეს „ხურვება“ ხშირად სინამდვილეში ფ ი ლ ტ ვ ე ბ ი ს ა ნ თ ე ბ ა ს ნიშნავდა. ჩვენ გვგონია უფრო ფილტვების ანთება უნდა ყოფილიყო, ვინაიდან, იმ დროს, როცა სიცხის დაწევის მხოლოდ პრიმიტიული საშუალებები არსებობდა, შებრუნებული ფილტვების ანთებისაგან თითქმის არავინ რჩებოდა. ბარათაშვილი კი სწორედ შ ე ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ი ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ბ ი თ დ ა ი ღ უ პ ა.

ახლა ვიკითხოთ: იყო თუ არა 1845 წელს ჯალადიანი მურუთის მამასახლისი?

ეს უნდა გაირკვეს. მაშინ ის ნაამბობი, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ, დადასტურდება, ნამდვილად გვეცოდინება, რომ პოეტი განჯაში გარდაიცვალა და არა მურუთს.

ბარათაშვილის არც დ ა ღ უ პ ვ ი ს ზუსტი ა ღ წ ე რ ა გვაქვს, არც პ ო რ ტ რ ე ტ ი. მისი ძვირფასი სახე ჩვენ მხოლოდ ნაცნობთა აღწერის მიხედვით უნდა წარმოვიდგინოთ და და ამით დავკმაყოფილდეთ.

ამიტომ ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის ცნობილი გამოცემის ფაქტიურმა ხელმძღვანელმა ს ა მ ს ო ნ ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა მ უეჭველად ღირსსახსოვარი საქმე გააკეთა, როცა პოეტის დისშვილის — გიორგი ვეზირიშვილისა და ნ. დ. ერისთავის თანდასწრებით ჩაიწერა ბ ა რ ბ ა რ ე ვ ე ზ ი რ ი შ ვ ი ლ ი ს ნაამბობი. ეს მოხდა 1915 წლის 6/19 დეკემბერს. ბაბალე ვეზირიშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ღ ვ ი ძ ლ ი დ ა იყო. შეუძლებელია მას კარგად არ ჰქონოდა დამახსოვრებული თავისი საყვარელი ძმის სახე, ხასიათი, ჩაცმულობა, ზოგიერთი პირადი ნიუანსი, ოჯახური ცხოვრების დეტალები. სრული წარმოდგენა რომ მივიღოთ, თუ როგორი იყო ცხოვრებაში პოეტი და როგორ შერჩა დის მეხსიერებას უდროოდ დაკარგული ძმის ხსოვნა, თავი რომ დავანებოთ სხვა ინტერესს, ამ მცირე ნაამბობს მთლიანად მოვიტანთ:

„ნიკო ბარათაშვილის მამა მელიტონი, — იგონებს პოეტის და, — ეხლა რომ ეკზარხოსის მოედანია, იქ ცხოვრობდა, ორბელიანების ნამზითევ სახლში, არქიელის სახლის ცოტა იქით. სახლი ერთსართულიანი იყო, ბანიანი, როგორც ყველა სახლი მაშინ, რვა ოთახისაგან შესდგებოდა. უკან პატარა ეზო ჰქონდა, წინ პირდაპირ ქუჩაზე გამოდიოდა. ეს ადგილი ეხლა მანთაშევისაა და იქ სხვა სახლია აშენებული. მელიტონის სახლის გვერდით ცხოვრობდა ქეთევან ბატონიშვილი, დედა ალექსანდრე (პუპლა) ორბელიანისა. შემდეგ მელიტონი სამების ეკლესია რომაა. იქ ცხოვრობდა შიო მღვდლის სახლში.

მელიტონი ფიცხი, მაგრამ მეტად კეთილი კაცი იყო, საუცხოო მოსაუბრე, მჭევრმეტყველი, კარგად იცოდა გარდა ქართულისა რუსული, სომხური და თათრული ენები და ხშირად თარჯიმნობდა მეფის მოადგილესთან. ხელმწიფე რომ ჩამოვიდა ტფილისში, მელიტონს სთხოვეს თარჯიმანობა. მელიტონის სახლის კარი მუდამ ღია იყო, სტუმრობა უყვარდა, ბევრი ხალხი დადიოდა. მარშლის არჩევნებსა და სხვა საზოგადოებრივ საქმეებში მხურვალე მონაწილეობას იღებდა და მის სიტყვას დიდი გასავალი ჰქონდა. მისი კანდიდატი იმარჯვებდა ყოველთვის.

მელიტონის ოჯახობა დაახლოვებული იყო უფრო ორბელიანებთან: მანანა ორბელიანთან, იოსებ და გრიგოლ ორბელიანებთან: განსაკუთრებით კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახობასთან, რომელიც ცხოვრობდა ჭავჭავაძისა და გოლოვინის ქ. კუთხეში, სადაც ახლა არაფელოვის სახლია.

მელიტონის სახლში ხშირად შეიკრიბებოდა სამღვდელოება: ანჩისხატის დეკანოზი დიმიტრი ალექსი-მესხიშვილი, ძალიან განსწავლული კაცი, საუცხოო მცოდნე ქართულის წერისა, მ. დავით კანდელაკი, მ. ეგნატე იოსელიანი, მამა პლატონისა, თვითონ პლატონი და სხვ.

მელიტონი 18 წლისა იყო და ეფემია 15-ისა ჯვარი როდ დაიწერეს. პირველი შვილი ნიკო იყო. სულ მელიტონს 14 შვილი ჰყავდა*, 8 ქალი და 6 ვაჟი, მაგრამ გარდა ნიკოსა და

* დოკუმენტებით კი მტკიცდება, რომ 15 შვილი — ექვსი ვაჟი და ცხრა ქალი. როგორც ზემოთ უკვე მიეუთითეთ.

ოთხის ქალისა სუყველანი პატარები დაიხოცნენ, სამ წლამდის. ქალები გათხოვილნი იყვნენ ეკატერინე — ერისთავზე, ბარბალე — ვეზირიშვილზე, ნინო — ბარათაშვილზე და სოფიო — სუმბათაშვილზე

მელიტონის ცოლი მეტად მოსიყვარულე ქალი იყო, ოჯახს მუდამ თავს დასტრიალებდა. ლამაზი იყო, მაღალი, ქერა, ქართულად ეცვა, გულპირ ამოჭრილი კაბა. შვილებს თვითონ აწოვებდა ძუძუს. ოჯახში გამდელად ჰყავდა მაია (გორელი), რომელსაც ყველა დიდს პატივსა სცემდა...

ნიკო ძალიან მალხაზი, მარდი იყო და მიმზიდველი სახის. შუათანა ტანის, არც გამხდარი, არც მსუქანი; წაბლის ფერი თმა, ბუდეშურად მოყვანილი თვალები; წარბები შეერთებული; წვერულვაშს იპარსავდა. იცვამდა ევროპიულს სამოქალაქო ტანისამოსს. იმპერატორი ნიკოლოზ პირველი რომ ჩამოვიდა ქალაქში, ნიკოს ქუდაჯა ეცვა, — ქუდაჯა ჟოლოსფერისა ბეწვ-მოვლებული, ახალოხი ციაგი მკრთალი, შალვარი შავი მაუდისა, წაღა თეთრი ქართული, წვეტიანი. ხელმწიფეს ძლიერ მოეწონა ნიკო და უთხრა: შენ ჩემი ორდინარეცი ხარო!

სახლში წიგნი ბევრი ჰქონდათ. ნიკო საუცხოვოდ ჰკითხულობდა საღვთო წერილს. ჰქონდათ სხვა და სხვა საკრავები: დაირა, დიპლიპიტო, ჭიანური, თარი, სანთური. ნიკომ არ იცოდა დაკვრა, მაგრამ სიმღერა და მუსიკა ძლიერ უყვარდა. ასეთი მხიარული იყო. რომ ვერავინ შეატყობდა, მწერალიაო. ყოველ ლხინზე სათარას მოიყვანდა. მთელი ქვეყნის გასათხოვარი ქალების ამბავი დაწვრილებით იცოდა. უყვარდა ნათესავობა და მუდამ დღე მათში დადიოდა. ნიკოს ახლობელი ამხანაგები იყვნენ გრიგოლ, ილია, ზაქარია, ივანე, ალექსანდრე ორბელიანები. ხშირად დადიოდა აგრეთვე ნიკოსთან მიხეილ ბარათელის ძე თუმანიშვილი...

მელიტონი გარდაიცვალა ოსიაურში და იქვეა დასაფლავებული; ხოლო ეფემია ასაფლავია ქვაშვეთის ეკლესიაში და წარწერაც აქვს..."*.

---

* იხ ნ. ბარათაშვილი ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 242—243.

ეს ნაამბობი ფრიად მნიშვნელოვანი შენაძენია ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის, ვინაიდან მასში თითქმის ყველაფერი ზუსტია და ეჭვს არაფერი იწვევს, გარდა შვილების რაოდენობისა. თავდაპირველად სად ცხოვრობდნენ ბარათაშვილები, ვინ იყვნენ მისი მეზობლები, როგორი იყო შელიტონი, როგორც ადამიანი, მისი გავლენა საზოგადოებაზე, ვისთან იყო მეტად დაახლოებული, ვინ იკრიბებოდა მათთან, რამდენი წლის იყვნენ პოეტის მშობლები, როცა დაქორწინდნენ, როგორი იყო ეფემია, როგორც ქალი, როგორც დედა, ტატოს გარეგნობა, ჩაცმა-დახურვა, მისი ორდინარეცად გამოცხადება ნიკოლოზ პირველის მიერ, საღვთო წერილითა და მუსიკით გატაცება, რა საკრავები ჰქონდათ, სათარასთან პირადი ურთიერთობა და მხიარულება, ახლო კავშირი ნათესავ-მეგობრებთან, სად არიან დაკრძალულნი მშობლები — ყველაფერი ეს დადასტურებულია არსებითად პირველი წყაროებით. ბარბალე ვეზირიშვილის ნაამბობი გენიოსი ძმის შესახებ ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია, ვინაიდან სხვათა მოგონებების სიმართლის დადასტურებაში იგი პირდაპირ ორიენტირის როლს ასრულებს.

გადავხედოთ ამ მოგონებათა ერთ ნაწილს, რომელიც პასუხს გვაძლევს ბარათაშვილის ბიოგრაფიის მრავალ საკითხზე.

დიმიტრი ყიფიანის მეუღლე — იაგორ გაბრიელის-ძე ჭილაშვილის ასული, კოტე ყიფიანის ჩანაწერის მიხედვით, ასე იგონებს ბარათაშვილს: «Нико называли Тато, был большой друг моего Димитрия и все время пропадал у нас с утра и до поздней ночи, и обедал у нас и ужинал, только не ночевал. Он был низенъкаго роста, чистое лицо и маленькие черные усики. Волосы на голове всегда стриг под гребенку. Не любил длинных волос. Говорил скороговоркой и был очень живой. Был не разговорчив, всегда нахмуренный. Он готов был молчать целый день, если бы с ним не заговаривали».*

* იხ. ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 245.

ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით ბარათაშვილის ხასიათისა და გარეგნობის შესახებ, აქ კიდევ უფრო გასრულადებულია. ბარათაშვილი, რაკი ყველა აღნიშნავს, ტანმაღალი არ იყო, წმინდა, კრიალა სახე ჰქონია, თმები დაბლად შეკრეჭილი, პატარა ულვაშები, აჩქარებით მოლაპარაკე ყოფილა და ძალიან მოძრავი—ვერცხლის წყალივით, როგორც ჩვეულებრივად ამბობენ ხოლმე. ლაპარაკის დიდად მოყვარული არა ჩანს, მთელი დღე შეეძლო მდუმარედ ყოფილიყო, თუ სალაპარაკოდ არ გამოიწვევდნენ. მისი სახის მოღუშულობაც მრავლისმეტყველია, მით უფრო, როცა ვიცით რა სულიერი ღელვა ჰქონდა, რა პირადი ცხოვრება.

და არის კიდევ ერთი შტრიხი, რომელიც ამთლიანებს ბარათაშვილის სახის გარეგნულობას.

სამსონ ფირცხალავა სადმი წერილში. კოტე უფიანი დასძენს: „პოეტის და სოფიო, როგორც დედა ჩემი ამბობდა, ძალიან ჰგავდა თავის ძმას ნიკოს, ისე რომ, სოფიოს ულვაშები რომ დაეხატა თავის ტუჩებზედ, ვერ გაარჩევდით, ეს მართლა სოფიო არის თუ ნიკო ბარათაშვილიო.

«Вот уговорите кн. Софию сняться в фотографии, — გვეტყოდა ხოლმე ჩემი დედა, — пригделяйте ей усики и наденьте ей сюртук и будет у вас портрет поэта»*.

ეს არის ის სოფიო, რომელიც ბარათაშვილთა უკანასკნელი ასული იყო, დაბადებული 1841 წელს, და გვიან გათხოვილი ვასილ სუმბათაშვილზე. პოეტს ძალიან ჰყვარებია თავისი პატარა დაიკო და პირად წერილებშიც საალერსო ზედმეტი სახელით — „აპლიპუტილა“ იხსენიებდა ხოლმე. მაგალითად, 1843 წლის 21 აგვისტოს ბარათაშვილი სწერდა გრიგოლ ორბელიანს: „მამამ, ფეფომ, კატომ, ბაბალემ, ნინუცამ და აპლიპუტილამ მოგიკითხესო“**. ვინაიდან სოფიო ნამდვილად ძალიან ჰგავდა თავის უფროს ძმას, აგრეთვე ილია ორბელიანი, დაგეროტიპულ სურათში,

---

* იხ. ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 245.

** იქვე, გვ. 106, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

დანარჩენი დებიც ბევრ რამეში ემსგავსებოდნენ პოეტს, გარდა ამისა, ოთხივე დის ფოტოგრაფიული გამოსახულება ჩვენამდე მოღწეულია, ახლა საჭიროა ერთი რამ გაკეთდეს: მიხეილ თუმანიშვილის ცნობილი ესკიზის, პოეტის თანამედროვეთა აღწერების, ილია ორბელიანისა და ბარათაშვილის დების პორტრეტების ანალიტიკურ-სინთეტიკური მეთოდით აღსდგეს „მერანის“ ავტორის ძვირფასი სახე. ფერწერის ჩვენმა უზადო ტალანტმა ლადო გუდიაშვილმა ამ გზით უკვე შექმნა პრეცედენტი და შესანიშნავი პორტრეტი მოგვცა. იგი დიდად უახლოვდება სინამდვილეს. თუ ქართული მხატვრობის სიამაყე — ლადო გუდიაშვილი უფრო ღრმად განიაზრებს ყველა დეტალს,. ყველა ნიუანსს, მთელ მასალას, რომელიც ამჟამად ჩვენს ხელთაა, და მცირეოდენ კორექტივს შეიტანს თავის ბრწყინვალე ნახატში, საშვილიშვილო საქმეს გააკეთებს — მოგვცემს ბარათაშვილის უტყუარ, ნამდვილ პორტრეტს. ეს უნდა გააკეთოს აგრეთვე დიდად შთაგონებულმა ხელოვანმა უჩა ჯაფარიძემ.

დაგეროტიპული პორტრეტის საკითხი კი ჩვენ საბოლოოდ მიგვაჩნია გადაწყვეტილად. მას ვეღარ ვიპოვით. ყველაფერი, რაც ამ საკითხზე ბარათაშვილოლოგებმა მოიკვლიეს, იმედს თანდათან უფრო გვიკარგავდა, ვიდრე გვაძლევდა.

გადავხედოთ ამ საკითხის ისტორიას.

ყველა მკვლევარის* მიერ გამოვლენილი მასალა ერთად რომ შევკრათ, შემდეგ სურათს მივიღებთ: ბარათაშვილის დაგეროტიპული სურათი, 1842 წელს გადაღებული, მართლაც არსებობდა. იგი იყო ერთადერთი და ბოლოს ჰქონია პოეტის დას ნინოს, როგორც იონა მეუნარგია წერს. მაგრამ ყოფილა აგრეთვე პორტრეტი (ალბათ არადაგეროტიპული, არამედ, რომელიმე მხატვრის მიერ დახატული), საკუთრება პოეტის დის ეკატერინე ერისთავისა, რასაც აღნიშნავენ გრიგოლ ორბელიანი და ლუკა

---

* ზ. ჰიჰინაძე, ი. მეუნარგია, გ. ლეონიძე, პ. ინგოროყვა, ს. ცაიშვილი, მ. ხელთუბნელი, ი. ბალახაშვილი და სხვ.

ისარლიშვილი. მაგრამ 1876 წელს, პოეტის გარდაცვალებიდან 31 წლის შემდეგ, როცა პირველად დაიბეჭდა ცალკე წიგნად ბარათაშვილის ლექსები და სცადეს მისთვის პორტრეტი დაერთოთ, ვერც პირველი აღმოაჩინეს, ვერც მეორე. წიგნი ისე გამოვიდა, რომ ავტორის პორტრეტი არ ახლდა. თუ სად დაიკარგა „კოლა ერისთავის დედის“ — ეკატერინეს საკუთრება — არავინ იცის, თვით გრიგოლ ორბელიანმა სთქვა — „არ ვიცი რა უყოო“. დაგეროტიპული პორტრეტი კიილია ჭავჭავაძეს 60-იანი წლების დასაწყისში გამოურთმევია პოეტის დის — ნინოსათვის, გადაუცია გადასაღებად, მაგრამ 70-იან წლებში, როგორც იონა მეუნარგია წერს, იგი „დაღუპულა იმ საშინელ ცეცხლში, რომელმაც გადაბუგა გოლოვინის პროსპექტის სახლები, მათ შორის დუბელირის ფოტოგრაფიაც“. გარკვეულია, რომ დაგეროტიპული სურათების გაკეთება თბილისში დაიწყო 1845 წელს, ხოლო მანამდე ფერწერულ პორტრეტებს ამზადებდა ამ საქმის საკმაოდ კარგი ოსტატი იაკობ იონათამიშვილი. ეკატერინესეული პორტრეტი, ალბად, მის მიერ იყო შექმნილი და, ცხადია, ზუსტი იქნებოდა. რაც შეეხება ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გავრცელებულ პორტრეტს — ბარათაშვილი ქულაჯაში, იგი ყალბია, ალექსანდრე ციციშვილის ოდნავ შეცვლილ სახეს წარმოადგენს, როგორც მკვლევარებმა აბზიანიძემ და ბალახაშვილმა გაარკვიეს*, ამიტომ ახლა უკვე აღარ ჭვეუნდება.

დაგვრჩა ერთადერთი გზა: ის, რომლის შესახებაც ზემოდ ვლაპარაკობდით. მხოლოდ ამ გზით უნდა შევქმნათ ბარათაშვილის პორტრეტი და პროტოტიპად გამოვიყენოთ თვით პოეტის დის — სოფიოს ფოტოგრაფიული სახე, რომელიც ჩვენამდე მოღწეულია. ეს ყველაზე უფრო მიახლოვებული იქნება სინამდვი-

---

* ი. ბალახაშვილი, „ბარათაშვილის ცხოვრება“, 1967 წ., გვ. 14—18.

ლესთან, რაც სპეციალისტთა ექსპერტიზამ უნდა დაადასტუროს.

რაც ითქვა, დიდიხნის წინად დაწერილი გვქონდა, როცა გამოქვეყნდა ბარათაშვილის ახლადაღმოჩენილი სავარაუდო პორტრეტი.* იგი აღმოჩენილა კონსტანტინე ივანეს ძე ბარათაშვილის საოჯახო ალბომში, 27 ფოტოგრაფიულ სურათთა შორის. ყველა სურათს, გარდა ამ ერთისა, ვინაობა მიწერილი ჰქონია (საგულისხმოა, რომ იქ არის ორი პორტრეტი ალექსანდრე საგინაშვილისა, რომელსაც ბარათაშვილმა მურუთიდან წერილი გამოუგზავნა გარდაცვალების წინა დღეებში). მხოლოდ ამ ერთ პორტრეტს არ ჰქონია გამეღავნებული ვინაობა და მისთვის მიუწერიათ, რომ უცნობი პირია.

ჩვენ არ დავემყარეთ გაზეთში გამოქვეყნებულ (რეტუშირებულ) პორტრეტს და იმავე დღეს, მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად, მოვახდინეთ ორიგინალის ანალიზი. ყველა სხვა მასალასთან შეჯერებამ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნებამდე:

1. პორტრეტი გადაღებული უნდა იყოს არა უგვიანეს 80--90-იანი წლებისა და შესაძლოა დაგეროტიპულის ასლსაც წარმოადგენდეს, თუმცა ამის კატეგორიული ფორმით მტკიცება ძნელია.

2. მსგავსება შეინიშნება მთელი რიგი არსებითი ნიშნის მიხედვით: თვალებისა და ცხვირის მოყვანილობა („მოგრძო თვალები, ცხვირისაკენ დახრილი", „ნოღა ცხვირი"), მოკლედ შეკრეჭილი თმა (წაბლისფერი). სახე პირხმელი, მოთეთრო, წვერი არა აქვს, საშუალო სისქის ტანი, „შავი ცაცხალი თვალები", მოგრძო, „შნოიანი სახე", — ყველაფერი ეს უეჭველად ამეღავნებს სიახლოვეს როგორც სოფიოსა და ნინოს, ისე მიხეილ თუმანიშვილის ესკიზის სახესთან. საგულისხმოა, რომ სურათზე გამოსახულ ყმა-

* იხ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელის დ. შუღლიაშვილის წერილი — „ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტისათვის" (გაზეთი „კომუნისტი", 1968 წ., 26 იანვარი, № 21 (17.017).

წვილ კაცს აცვია სწორედ ევროპული ტანსაცმელი.

3. მაგრამ, განსხვავებაც უეჭველი ჩანს: არ იგრძნობა „ხშირი წარბები ერთმანეთთან გადაზრდილი", შეერთებული; თუ მარცხენა თვალი ცხვირისაკენ ოდნავ დახრილია, მარჯვენა არ არის ასეთ მდგომარეობაში (მაშასადამე, „ბუდეშურად მოყვანილი" არ არის); ულვაში უფრო გრძელია, ვიდრე მოკლე (ბარათაშვილი ულვაშს მხოლოდ ზოგჯერ ატარებდა, ისიც მოკლეს); შუბლი ბრტყელი, უფრო ფართო ჩანს, ვიდრე ეს ახასიათებს მის დებს, ილია ორბელიანის პორტრეტს. აგრეთვე მიხეილ თუმანიშვილის ესკიზს. ამ უკანასკნელთა შუბლი ზევით ცოტა გადახრილი ჩანს, რაც პორტრეტში სრულებით არ იგრძნობა, პირიქით, სწორედ აქ არის რადიკალური სხვაობა: მრგვალის მაგიერ, შუბლი ბრტყელია.

4. როცა ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წელი აღინიშნა, იუბილეს ესწრებოდა პოეტის დის სოფიოს (აპლიპუტილას) ვაჟიშვილი—გიორგი ვასილისძე სუმბათაშვილი (1881—1957), რომელიც ძალიან ჰგავდა (პირდაპირ ტიპიურად) ბარათაშვილების დებისა დაბიძის (ილია ორბელიანის), აგრეთვე მიხეილ თუმანიშვილის ესკიზის სახეს. მას შუბლიც მრგვალი ჰქონდა. გიორგი ლეონიძე ხშირად ამბობდა მაშინ: ბარათაშვილი უთუოდ ასეთი იქნებოდაო. მისი სახე არ უახლოვდება ახლად გამოქვეყნებულ პორტრეტს.

5. ბარათაშვილების ოჯახიდან იკონოგრაფიული ფონდი მუზეუმში შესულია 1946 წელს, როცა იქ მუშაობდა პოეტი—აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე. შეუძლებელია მას ნახული არ ჰქონოდა ეს ფონდი, მით უფრო, რომ ყველაფერს, რაც ოდნავ უახლოვდებოდა პოეტის წარსულს, ლეონიძე დიდი გატაცებით ეძებდა. საიუბილეო კომიტეტში ჩვენი ერთად მუშაობის დროს (მე მდივანი ვიყავი, ის კი თავმჯდომარის მოადგილე), ხშირად ღამეები გვითევია არამარტო ტექსტებსა და მოგონებებზე, არამედ, იკონოგრა-

ფ ი უ ლ მასალებზეც. ეს თანამშრომლობა ბარათაშვილის შემოქმედრეობის საკითხებში ჩვენ იუბილეს დამთავრების შემდეგაც გავაგრძელეთ. მაგრამ არასოდეს ის პ ო რ ტ რ ე ტ ი მას არ უჩვენებია, რომელიც ახლა ხელთა გვაქვს. ერთხელ მოგვიტანა ჯ ო ხ ზ ე დ ა ყ რ დ ნ ო ბ ი ლ ი ლ ა მ ა ზ ი უ მ ა წ ვ ი ლ ი კ ა ც ი ს პ ო რ ტ რ ე ტ ი, ეგონა — ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ა ო (კოჭლობა, მიმზიდველობა), მაგრამ შემდეგ რ ო მ ე ლ ი ღ ა ც ჰ ა ვ ჰ ა ვ ა ძ ე აღმოჩნდა. მეორედ წარმოგვიდგინა აზერბაიჯანის არქივში აღმოჩენილი ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა კ ა ც ი ს ს უ რ ა თ ი. მასზე გამოსახული იყო გასული საუკუნის 40—50-იანი წლების აზერბაიჯანში ყაჩაღების წინააღმდეგ მებრძოლი, და იფიქრა: ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ც გ ა ნ ჯ ი ს მ ა ზ რ ა შ ი ყ ა ჩ ა ღ ე ბ ს ე ბ რ ძ ო დ ა და შ ე ი ძ ლ ე ბ ა ე ს მ ი ს ი პ ო რ ტ რ ე ტ ი ი ყ ო ს ო. კომისიამ არც ეს სურათი მიიღო. ამიტომ ეჭვი გვეპარება ახლადგამოქვეყნებული პორტრეტი ლ ე ო ნ ი ძ ე ს არ ენახა და ზომები არ მიეღო პუბლიკაციისათვის.

ყველა ეს ეჭვი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ახლადგამოქვეყნებულ პორტრეტს, მაგრამ, თუ ასე მონდომებით გაგრძელდება ძიება, უფრო სარწმუნოა, მხატვრის მიერ შესრულებულ სურათს მაინც მივაგნოთ და საზოგადოების საუკუნოვანი წყურვილი დავაკმაყოფილოთ.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოიძებნება სხვა მასალები, თუ როგორი იყო პოეტის სახე, გარეგნობა, ხასიათი და ზოგიერთი მკაფიოდ გამოკვეთილი ნიუანსი. მთლიანობისათვის ჩვენ ეათ სრულად მოვიტანთ, რომ თვით მოგონებებს უშუალობა არ დავუკარგოთ, ხოლო მკითხველს საშუალება მივცეთ თვითონაც იქონიოს მსჯელობა ამ ფაქტზე.

ბევრი რამ არის საგულისხმო, მაგალითად, ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს უახლოესი მეგობრის — ლუკა ი ს ა რ ლ ი შ ვ ი ლ ი ს მცირე მოგონებაში. იონა მეუნარგიასათვის ი ს ა რ ლ ი შ ვ ი ლ ს უთქვამს:

„—ნიკო ბარათოვი და მე ერთად ვსწავლობდით. გიმნაზია ერთად გავათავეთ 1834 წ.* ჩვენი ქართულის ოსტატები იყვ-

* შეცდომაა. უნდა იყოს 1835 წელი — გ. ჯ.

ნენ სოლომონ დოდაევი და ეფრემ ალექსეევ-ცესხიევი. უველა ლექსს მე მიკითხავდა. ხნით მე უფროსი ვიყავი. ვკითხულობდით „ვეფხის-ტყაოსანს“ და მთელი ადგილები ზეპირად ვიცოდით. ვკითხულობდით აგრეთვე „ვისრამიანს“, ჩახრუხაძეს, ალ. ჭავჭავაძეს. იდგა დიმიტრი ორბელიანის ცოლის სახლში, на площ. Экзарха, большой дом... იდგა დედმამასთან. მამა თარჯიმანი იყო; უყვარდა ფრანცუზის, ზაშმაჩნიკის (?) ქალი დელფინი*, ძალიან უყვარდა ეს ქალი. ერთხელ გაებუტა და მაშინ დასწერა: „რად მრისხანებ“... თუ ამგვარი ლექსი.

— მანანა ორბელიანის სალონი იყო, საცა „ცისკრის“ გამოცემასა და ქართულ თეატრს მიეცა დასაწყისი. აქ იკრიბებოდნენ და კითხულობდნენ ლექსებს: ტატო (ნიკო ბარათაშვილს ასე ეძახდნენ), გიორგი ერისთავი, ბირთველიჩი (მიხეილ თუმანიშვილი — გ. ჯ.), მაღალაშვილი, ხანდახან ყიფიანი და სხვა...

— ბარათაშვილი გიმნაზიაშივე ეპიგრამებს სწერდა და ბევრს იმღურვებდა. მამა ცუდი ხასიათისა იყო და წაკიდებული ჰყავდა...

— ერთხელ მარტყოფში ვნახე და მშვენიერი ლეკური ითამაშა. ილიკო ორბელიანმა (ბიძამ) დუელში გამოითხოვა, ლევანი სეკუნდანტი იყო და შეარიგა.

— ბარათაშვილს პორტრეტი დარჩა, მაგრამ ვისთან იპოვება ჯერ არ ვიცით. ერთი კოლას დედასა ჰქონდა და რა უყო არ ვიცი. ისე: მოთეთრო სახისა იყო. პირხმელი, შავი ცოცხალი თვალებით, წაბლისფერი თმით, საშუალო ტანისა და სისქისა, ხშირი წარბები ერთმანეთთან გადაღობილი ჰქონდა. მოგრძო თვალები ცხვირისაკენ იყო დახრილი. წვერს არ ატარებდა. ხშირად ულვაშსაც. სახე შორიდან შნოიანი, ახლოდან ცოტა დაღმეჭილსა ჰგვანდა. იცვამდა ბუზმენტიან ჭულაჯას. უფრო ხშირად სერთუკი ეცვა. საგრძნობლად კოჭლობდა, მაგრამ მაინც ბევრს დარბოდა“.**

პოეტის სახის დაახლოებით ამგვარივე აღწერა აქვს მოცე-

---

* ამ საკითხს ადრე ცალკე შევეხეთ, როცა ბარათაშვილის სატრფიალო გატაცებები დავახასიათეთ — გ. ჯ.

** „ლიტერატურის მატიანე“, 1940 წ., № 1-2, გვ. 387—388.

ბული ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელმაც მასალები ბარათაშვილის პირად ნაცნობთაგან შეაგროვა. მისი წარმოდგენით, „ნიკოლოზ ბარათაშვილი მოთეთრო სახის კაცი ყოფილა, სახით გრძელი, შორიდამ მარილიანი შესახედი, ახლოდან კი დაჭყანული (ეს კი შეცდომაა — „ახლოდან ცოტა დაღმეჭილი“ ამას არ ნიშნავს — გ. ჯ.). შავი თვალებით, წაბლის ფერის თმით, ტანით შუათანა, საშუალო სისქისა. ტანზე ევროპიულათ სცმია, გრძელი შავი სერთუკი, დიდი და სქელი პალტო, შავი მაუდის ჩინოვნიკური ქუდი, ხანდისხან ჩალის ქუდსაც იხურავდა. ქუდს ყოველთვის ერთნაირს ხმარობდაო. ეკლესიაშიც ჰყვარებია სიარული და ხშირათაც ეზიარებოდა ხოლმე, მოძეტებულად ანჩხატის და ყაფლანიანთ ეკლესიებშიდადიოდაო“*.

არის კიდევ სხვა მასალები, რომლებიც ავსებენ ბარათაშვილზე ჩვენს წარმოდგენას. მაგალითად, ძალიან საინტერესო და საგულისხმოა ის გარემოება, რომ გონებამახვილი, სხარტი, ყოველგვარი ნაკლის მოურიდებლად გამკილავი ბარათაშვილი იმათაც კი ჰყვარებიათ, ვისაც ზოგჯერ მწარე სიტყვით თავს დაესხმოდა. ეს დაუდასტურებია იონა მეუნარგიასათვის გრიგოლ დადიანს:

„— პლატონ იოსელიანს ძალიან მოსწონდა ნიჭიერი ნ. ბარათაშვილი და წინასწარმეტყველის ნიშნით სულ იმას გაიძახოდა:

— ეს კარგი გამოვაო“**.

ამას ამბობდა ის კაცი, რომელიც ბარათაშვილმა ერთხელ მოთმინებიდან გამოიყვანა, როცა მას სარკასტულად „ვირების ღმერთი“ უწოდა, როგორც ზევით უკვე გვქონდა აღნიშნული.

მაგრამ პოეტის ახლო მეგობარს — დიმიტრი ყიფიანს, რომელსაც ეს ფაქტი თავის წერილში აქვს აღნიშნული, უფრო გვიან კვლავ გაუხსენებია და სიტყვიერად უთქვამს იონა მეუნარგიასათვის:

„— ერთხელ, ერთს შეყრილობაზე ბევრი ყმაწვილი კაცები

---

* ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 30.

** „ლიტერატურის მატიანე“, 1940 წ., № 1-2, გვ. 387.

ვიყავით. საუბარმა მოიტანა და ბაბო ხერხეულიძის მამამ იკითხა: ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ე, ბერძნებს რო ყველაფრის ღმერთი ჰყოლიათ, ნეტავი, ვირების ღმერთიცა ჰყავდათ? ტატო ბარათაშვილმა სხარტულად მიუგო:

ეს პლატონს უნდა ჰკითხოთ, ის არის ბოღ-ასლოვიო და პლატონ იოსელიანისაკენ მიუთითა".*

ბარათაშვილის დაუდგრომელი, შეურიგებელი ხასიათის ერთი საინტერესო შტრიხია გახსნილი იასე ანდრონიკაშვილის ნაამბობშიც. იონა მეუნარგიას ჩანაწერის მიხედვით, იასე ანდრონიკაშვილს გაუხსენებია:

—„კნიაზ" ერისთავის ქორწილზე ბევრი ხალხი იყო. ივან მალხაზიჩი"** მეორე ოთახში იყო და იქ ჰქონდა გაშლილი სუფრა. ქეიფი გაიმართა. ოროველა და სხვა ბევრი სიმღერები შემოსძახეს.

— თქვე, დურაკებო, ბრიყვებო, ხელმწიფე მომკედარა, რა გემღერებათო, — დაიყვირა მალხაზიჩმა. ტატო ბარათაშვილი დიდი ყანწით ღვინოსა სვამდა და უცბად:

— ვინ ხელმწიფე, მისი დედაც მ..

— Арестовать!

ტატო გამოხტა გარეთ, შეჯდა ცხენზე და მოჰკურცხლა".***

ეს ფაქტი მოგონებულიც რომ იყოს, ბარათაშვილის ხასიათსა და განწყობილებას მაინც გამოხატავს, თუმცა დაუჯერებელი ან შეთხზული აქ არაფერი ჩანს.

ზოგიერთ მოგონებაში ძალიან ნაცნობი ფაქტებია ხშირად გახსენებული, მაგრამ მნიშვნელოვანია, რაკი ისეთ დიდ ადამიანს შეეხება, როგორიც ბარათაშვილი იყო. მაგალითად, პოეტის ახლო მეგობარი—ბიძინა ჩოლოყაშვილი იგონებს:

„ნიკო ბარათაშვილი ბევრს დარბოდა. ბევრგან არც კი იღებდნენ სიყვარულით: „უთხარით, შინ არ არის-თქო".

— უყვარდა ფალავანდოვის ცოლი. ამ ქალმა კი კონსტანტინე დადიანი ირჩია.

---

* „ლიტერატურის მატიანე", 1940 წ., № 1—2, გვ. 385—386.

** ანდრონიკაშვილი — შენიშნავს სოლომონ ცაიშვილი.

*** „ლიტერატურის მატიანე", 1940 წ., № 1—2, გვ. 385.

— თელავში უნდა გამწესებულიყო, ტროიკაც მოიყვანეს წასასვლელად, როდესაც მამუკა მოვიდა.

— ჯერ ნახჭევანში იყო ლევანის პომოშნიკად, რომელიც გაგზავნილი იყო „უეზდის ნაჩალნიკად“, მერე მამუკას „პომოშნიკად“ დანიშნეს განჯაში.

— ყაჩაღების დევნის დროს გაციებულა. ის იყო უნდა მორჩენილიყო, რომ ერთბაშად ბევრი ლუდი არ დაელია სიცხეში მყოფს, ხელახლა გაცივდა და მოკვდა, დამარხულია იქვე, განჯაში.

— ფეხი პატარაობისას ჰქონდა ნატკენი“*.

არის კიდევ ერთი ცნობა, რომელიც პოეტის ცხოვრების ისეთ მხარეს ეკუთვნის, რომელსაც თითქმის არავინ შეხებია. ეს არის ბარათაშვილის დაოჯახების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ პოეტს თაყვანისმცემლები ქალთა შორის არაერთი ჰყოლია და თვითონაც გატაცებული იყო ზოგიერთი მათგანით, ცოლი არ შეურთავს. სხვა მიზეზებთან ერთად, მისი ოჯახური მდგომარეობაც გარკვეულ როლს თამაშობდა უთუოდ. მაგრამ, იყო თუ არა მომენტი, როცა ბარათაშვილი სერიოზულად ფიქრობდა ცოლი შეერთო? ამ საკითხზე ერთადერთი ცნობა არსებობს და იგი ზაქარია ჭიჭინაძეს ეკუთვნის: „ზოგი ერთთაგან გამიგონია, — წერს მთაწმინდელი, — რომ ბარათაშვილმა ადრიდგანვე დაიწყო და შეუდგა ცოლის შერთვის საქმესო, ორი სამი წელიწადი სულ თავის შესაფერს ქალს ეძებდა, მაგრამ ხშირად ამორჩეულსაც სტოვებდაო, რადგანაც შინაური გარემოება ნებას არ აძლევდაო, უკანასკნელს დროს კი, როდესაც მას ქვემო ქვეყნებისაკენ გზავნიდნენ, მაშინ კი გარდასწყვიტა შერთვაო, მაგრამ სხვა და სხვა უცაბედათ მოსულმა შემთხვევებმა იგი დააბრკოლეს და ამ ჯერათაც ასცდა ცოლის შერთვაო. ამ შემთხვევების შემდეგ კი, ცოტა ხანს რომ მაინც დარჩენილიყო საქართველოში, ის უეჭველათ შეირთავდაო. ბარათაშვილის მამასაც ჰსურვებია ძალიან, რომ თავისი შვილი ნიკოლოზი დაჰგვირგვინებინა“**.

---

* „ლიტერატურის მატიანე“, 1940 წ., № 1-2, გვ. 385.

** ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი“, 1922 წ., გვ. 19—20.

მაგრამ ბარათაშვილი 29 წლის ასაკში ისე მიებარა უცხო მიწას, რომ ცოლის შერთვაც ვერ მოასწრო, მ ე მ კ ვ ი დ რ ე არ დარჩენია. მის მემკვიდრედ ქართველ ხალხსა და ყველა კულტურულ ერს შერჩა გენიალური შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, რომელმაც არა მარტო უკვდავჰყო პოეტის სახელი, არამედ, ქართული მწერლობაც განადიდა. ამას ჩვენ ქვევით დავინახავთ, როცა ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის ანალიზს შევუდგებით.

კიდევ ერთი საინტერესო საკითხია, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ ქართული რომანტიზმის უაღრესად კოლორიტულ წარმომადგენლებს — ბიძა-დისშვილს — გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ა და ნიკოლოზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს.

## 14

მიუხედავად იმისა, რომ გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ მ ა თითქმის ვერავითარი დახმარება ვერ გაუწია თავის უნიჭიერეს დისწულს, ეს უკანასკნელი მას ძ ა ლ ი ა ნ უ ყ ვ ა რ დ ა. ჯერ კიდევ 1834 წელს შორსმყოფი ბიძა პოეტისა სწერდა ძმას ი ლ ი ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ქალაქ ეალკიდან: „ტატიკოს ჩემმაგიერ აკოცე, უთხარი რომ წერილი მოიწეროს და თავისი ანბავი შემატყობინოს“*. ეს ჩვეულებრივი ილოკითხვაა და განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ სხვა მაგალითები უეჭველად ამტკიცებენ ბიძა-დისწულს შორის კ ე თ ი ლ გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ს ა და ს უ ლ ი ე რ მ ე გ ო ბ რ ო ბ ა ს. სხვანაირად ვერ ავხსნით ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ხშირ მიმოწერას გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ თ ა ნ და საკუთარი ლექსების პ ი რ ვ ე ლ ა დ მისთვის გაგზავნას.

შემთხვევითობად ვერ ჩაითვლება, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩვენამდე მოღწეული თექვსმეტი პირადი წერილიდან, ნ ა ხ ე ვ ა რ ი ს ა დ რ ე ს ა ტ ი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ა. არც ის არის შემთხვევითი, რომ პირველი წერილი, დათარიღებული 1831 წლის 3 სექტემბრით, როცა მომავალი პო-

* გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „წერილები“, ტ. I, 1936 წ., გვ. 15.

ეტი მხოლოდ 15 წლისაა, რუსულ ენაზე ეგზავნება ბიძას პეტერბურგში, ხოლო სულ ბოლო — მერვე ბარათი, 1844 წლის 23 მაისს დაწერილი, იმავე ადრესატს. ეს იყო განუწყვეტელი მიმოწერა ბიძა-დისწულს შორის, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ბარათაშვილის პირველი წერილის მიზეზი თვით ბიძაა, მას გამოუგზავნია დისწულისათვის ბარათი პეტერბურგიდან, ხოლო ბარათაშვილს პასუხი მიუწერია. ახლა დავაკვირდეთ წერილების თარიღებს: პირველი დაწერილია, როგორც ვთქვით, 1831 წლის 3 სექტემბერს, მეორე — 1837 წლის თებერვალში, მესამე — 1841 წლის 28 მაისს, მეოთხე — 1841 წლის 18 ოქტომბერს, მეხუთე — 1842 წლის 2 მაისს, მეექვსე — 1842 წელს (სავარაუდოა), მეშვიდე — 1843 წლის 21 აგვისტოს, მერვე — 1844 წლის 23 მაისს. ქრონოლოგიით მეექვსე ბარათი ნაწყვეტს წარმოადგენს და ჩვენამდე მთლიანი სახით არ არის მოღწეული. ყველა ამ წერილში ნათლად ჩანს ბარათაშვილის გულწრფელი, დიდი სიყვარული ბიძისადმი, გარდა ამისა, წერილთა უმრავლესობას ან ლექსები აქვს დართული, ან ლიტერატურული მსჯელობანი.

ასე ხანგრძლივი მიმოწერა და უცვლელი სიყვარული ბარათაშვილისა ბიძისადმი შეუძლებელი იქნებოდა, რომ ამ უკანასკნელს თვითონაც ძლიერად არ ჰყვარებოდა დისწული, მისთვის ნათესაურ სიახლოვესთან ერთად, სულიერი კავშირის სითბოც არ ეჩვენებინა. ამიტომ, სრულიად უეჭველია, რომ გრიგოლ ორბელიანის განუწყვეტელი, მჭიდრო, უაღრესად ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბარათაშვილთან და ამ უკანასკნელს იგი თავის ლიტერატურულ სუზერენად მიაჩნდა. ზაქარია ჭიჭინაძეც ადასტურებს, რომ „გრ. ორბელიანს ერთობ ჰყვარებია პატარა ნიკოლოზი. საკეთილშობილო სკოლიდამ თითქმის ყოველ დღე გრ. ორბელიანთან დადიოდა, სადილათ მასთან რჩებოდა, სადილის შემდეგ საღამოზედ მიდიოდა თავიანთ სახლში, ანჩხატის უბანში. ერთხელ ყაბახზე ცხენს აჭენებდა თურმე, ამ დროს ცხენს ერთობ მარცხად გადმოუგდია, მაგრამ ვნებით კი არ უვნია. გრ. ორბელიანსაც ხშირად მიჰყვანდა თურმე სასეირ-

ნოთ, როცა კი წავიდოდა სადმე სასეირნოთ. დღესაც ცოცხალნი არიან ის პირნი, რომელთაც კარგად ახსოვთ ნიკოლოზ ბარათაშვილის მისვლა-მოსვლა თ. გრ. ორბელიანთან"*.

არის სხვა ცნობაც გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, გარდა იმისა, რაც ჩვენ მათი პირადი წერილებიდან ვიცით. უკვე ღრმად მოხუცებული გრიგოლ ორბელიანი, იონა მეუნარგიას ჩანაწერის მიხედვით, ასეთ დახასიათებას აძლევდა გენიოს დისწულს:

„— ბარათაშვილი, ჩემი დისწული, იყო დიდად ნიჭიერი ყმაწვილი. ის მსახურობდა პალატაში; ბევრი სირბილი უყვარდა. ცოტას კოჭლობდა. ერთხელ ილინსკიმ რევიზია გაუკეთა და ყველაფერი რიგზე რომ ნახა, უთხრა თურმე В таком роде продолжайте бегать, сколько вашей душе угодно.

ის ეხვეწა მამას, რომ უნივერსიტეტში გაეგზავნა, მაგრამ მამამ არ ჰქნა. მოკვდა განჯაში, საცა ასრულებდა правителя канцелярии-ს თანამდებობას. სიკვდილის ჟამს 26 თუ 27 წლისა იყო. დაიმარხა იქაურს ციხეში. იმისი პორტრეტი კოლა ერისთავის დედასა ჰქონდა და არ ვიცი რა უყო.

— სამჯერ დამეღუპა ჩემი დღიურები. ერთხელ დონში ჩავცვივდით და კინაღამ მეც დავიხრჩვი; მეორეჯერ, როცა ავარიის ხანი ვიყავი შამილის დროს. უცებ წინანდალში შემხვდა გამოქცევა და ტანისამოსები და წიგნები იქ დამეკარგა. მესამეჯერ, გამჩხრიკეს, როცა პოლიტიკური ორგულობა შემწამეს და სხვა წიგნებთან ერთად ჩემი მესამე და უკანასკნელი დღიურებიც დამეკარგა. შემდეგ ბევრი ვიხვეწე, ბევრი ვიმუდარე, მაგრამ არავინ ყურადღება არ მომაქცია და დღესაც დაკარგულად ვთვლი იმ წიგნებსა და დღიურებს".**

შესაძლოა სწორედ იმ სამ დღიურში ჰქონდა, ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ მაინც ნათქვამი გრიგოლ ორბელიანს თავის საყვარელს დისწულზე? ყოველ შემთხვევაში, ქართველ მკითხველს გული სტკივა, რომ სახელოვანმა ბიძამ, ისიც პოეტმა, სახელოვან დისშვილზე, რომელმაც გენიალური

---

* ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი", 1885 წ., გვ. 6—7.

** „ლიტერატურის მატიანე", 1940 წ., № 1-2, გვ. 383—385.

ლექსები არაერთხელ გაუგზავნა მას, ასე ცოტა მასალა დაგვიტოვა ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის. მაგრამ, ვიმეორებთ, ეს არ უნდა აიხსნას დისწულისადმი ნაკლები სიყვარულით ან უყურადღებობით. საყვედური მხოლოდ სხვა მხრივ უნდა ეუთხრათ გამოჩენილ სარდალსა და კიდევ უფრო გამოჩენილ პოეტს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი სიტყვები, რომლებიც ზაქარია ჭიჭინაძეს მოჰყავს. ერთხელ თურმე, ზაქარია ჭიჭინაძესთან საუბარში, „გრიგოლ ორბელიანმა განმარტა: შესანიშნავი ყმაწვილი იყო ბარათაშვილი, უდროვოთ გაფუჭდა, უმურაზოთ. ნიკოს სეირნობაც უყვარდა, თამაშობაშიაც ხშირად წავიდოდა ხოლმე თავის ამხანაგებით ნარიყალისკენ, კრწანისის ბაღებისკენ, მამადავითის მახლობლივ დროებას ატარებდნენ ხოლმე. იმას რომ ეცოცხლა შესანიშნავი მოლექსე იქმნებოდაო"*.

იქნებოდა? მაგრამ, რომ უკვე იყო, ნუთუ 80-იან წლებამდე ვერ შეიგნო ლიტერატორმა ბიძამ? თუ ეს სიტყვები მართლაც გრიგოლ ორბელიანისაა, მაშინ საძწუხაროა, რომ მას, რომელსაც მოეთხოვებოდა დისწულის მემკვიდრეობისათვის ეზრუნა, ღრმად შეესწავლა და უდროოდ დაკარგული კაცის დამსახურებული შეფასების გზა გაეკვალა, ასეთ მოსაზრებას გამოსთქვამდა. თუ იმას გულისხმობდა, რომ ბარათაშვილი, მეტი რომ ეცოცხლა, მეტს დასწერდა, მისი სახელი უფრო განდიდებული იქნებოდაო, ეს სხვა საქმეა. იქნებ ზაქარია ჭიჭინაძემ, თავისი სუსტი კალმით, სწორად ვერ ჩაიწერა პოეტის ბიძის სიტყვები? სხვები ხომ, მაგალითად კონსტანტინე მამაცაშვილი, ბარათაშვილს ლერმონტოვის გვერდით აყენებდა და დიდი პოეტის სახელისათვის მარტოოდენ „ბედი ქართლისა" მიაჩნდა საკმარისად, რომელსაც რუსთაველის პოემის შემდეგ პირველი ადგილი მიაკუთვნა ქართულ მწერლობაში? ანალოგიური აზრები სხვებმაც გამოსთქვეს 70-იან წლებში, რა-

---

* ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი", 1885 წ., გვ. 14. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

საც ჩვენ ქვემოთ გავეცნობით. გრიგოლ ორბელიანს უველაზე უკეთ უნდა სცოდნოდა, რომ მისი გენიოსი დისშვილი საფლავშიც გენიოს პოეტად ჩავიდა.

მაგრამ, ეტყობა, ბევრი თანამედროვე ბარათაშვილს მარტოოდენ გარეგნული ქცევის მიხედვით აფასებდა. ამას გვაფიქრებინებს ზაქარია ჭიჭინაძის მონოგრაფიაში ის ადგილი, სადაც ვკითხულობთ: „ზოგიერთა განმარტვით, სადმე რომ კრება ყოფილიყოს და იქ ბარათაშვილი დაწრებიყოს, ეს მაშინათვე თავისებურს ოხუნჯობას ასტეხდაო! ამის სიტყვა პასუხი და ყოველი აღმონაქშენი თურმე მეტის მეტის სისწრაფით იფინებოდა მაშინდელს ცუდუღელა და ხასიათით ზარმაც ქართველობაში. ვუნდა ვსთქვათ, რომ მაშინდელს მდიდართ პირებთან პირველ ხანებში ბარათაშვილიც ერთობ ახლოს მდგარა, ესეც მათსავებ ყოფილა გატაცებული ეშხიანის თვალებისაგან, ბროლის ღაწვებისაგან და წითელი და თეთრი უმარილით დათუთხნილი სახეებისაგან, ამას თურმე ერთის ქალის ჭორი მეორესთან მიჰქონდა, მეორეს მესამესთან და ამ მიტან მოტანიო ხშირად საშინელ ჭორებსაც სტეხავდაო. რაისა გამო გ. ერისთავმა აი ამაზე დასწერა თავის ლექსებშიო, რომ „აი ჩვენი მეჯორე კიდევა შემოვიდაო“ და სხვანი. ესევე საგანი სწორედ უეჭვოთ აღიარა ვ. ორბელიანმა, ამან განმარტა: ჩვენ როგორ მოვიფიქრებდით, რომ იმ ცუღლუტს, მეჭორეს და ქალების ამყოლს ნიკოლოზ ბარათაშვილს ისეთი ნიჭი და პოეტური ძალა გამოეჩინა, რაც შემდეგ აღმოსჩნდა მასშიო, ზოგნი იმასაც უწყიან, რომ ამ გვარი ჭორიკანობა, ცუღლუტობა და ცელქობა ბარათაშვილში დიდხანს არ გასტანაო. იგი მალე მოისპო მასში და მაშინდელის ქართველთ ბედოვლათურს ყოფა ქცევას ერთობ მალე აუქცია გზაო“*.

მაგრამ ყოველთვის ფხიზელი, გონებამახვილი, ენამოსწრებული პოეტი ბევრი მისი თანამედროვის თვალში დიდხანს მხოლოდ ასეთად დარჩა. ამიტომ გვხვდება მოგონებებში ასე არაეპიზოდურად იმის ხაზგასმა, რომ ბარათაშვილი ცელქია, ოხუნჯი, ხუმარა, მწარე სიტყვებიც იცის, თუ სა-

---

* ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 12.

ცილო რამ შენიშნა, არავის ინდობს. შესაძლოა ზოგი რამ გადამეტებულია, შეთხზულიც, შესაძლოა მცირეცაა, და ჩვენამდე მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია მოღწეული. მაგრამ, როგორადაც არ უნდა იყოს, ნიჭიერ კაცს ყოველთვის ექნებოდა უკმაყოფილების გრძნობა იმ ოფიციალურ წრეში, რომელიც არაფრით ბრწყინავდა, მით უფრო, რომ ეპოქა, დრო, მისი გენიალური გონებისა და სპეტაკი სულის სრულ ანტიპოდს წარმოადგენდა. უკმაყოფილებას არსებულით, ამასთან პირადი უბედობით, პოეტი ხშირად გამოხატავდა სარკაზმში, ოხუნჯობასა და ირონიაში. მისთვის ეს აგრეთვე იყო მოზღვავებული ენერგიის ხარჯვაც და გართობაც. განა ბარათაშვილის მსგავს მწერლებს იგივე არ ემართებოდათ? პუშკინსა და ლერმონტოვს იგივე არ ახასიათებთ? რაც შეეხება ევროპულ მაგალითებს, მთელი გამოკვლევა შეიძლება დაიწეროს. და ამ მხრივ ბარათაშვილი გამონაკლისი არ არის. ამიტომ სარწმუნოა, რასაც ზაქარია ჭიჭინაძე ერთგან შენიშნავს: „გამიგია, რომ სწორედ ასეთივე ოხუნჯობა შემთხვევიათ ერთხელ მგზავრობის დროს. ბარათაშვილისა და ერთსაც სხვას აუტეხნიათ განძრახ, რომ იოსელიანი (პლატონ იოსელიანი — გ. ჯ.) გიჟიაო, საცა მივიდოდნენ თურმე, მიკიტანხანაში, ან ფოშტებში, მოსამსახურეთ ეუბნებოდნენ, რომ აგერ აის აწოწილი ულვაშმოპარსული და დიდს საყელოიანი კაცი გიჟია და უფრთხილდით, რომ არა დაგარტყათრაო. მთელს მგზავრობაში, იოსელიანს თურმე ერთობ ერიდებოდნენ მიკიტნის მსახურნი, საცა კი იოსელიანი მოითხოვდა რამეს, მოსამსახურე რომ მიუტანდა, შორიდან მიაწოდებდა და შეშინებული გაქცევით მოშორდებოდაო. ბარათაშვილი და თავის მეგობარი კი შორიდგან უცქეროდნენ სეირს და იცინოდნენ თურმე. იოსელიანს წინეთ კი ვერ შეუმცნევია ესა და შემდეგ კი შეუტყვია ყველაფერი, მიჰყოლია და ბარათაშვილი და თავის ამხანაგი საკმარისად დაულანძღავს. იოსელიანს ძალიან ბევრი უჯავრია ამაზე, თავისებურის ენის კილოთი და ლათინური და ბერძნულ ფრაზებით“*.

---

* ზ. მთაწმინდელი, ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 13—14.

ყოველივე ის, რაც ითქვა, ჯერ კიდევ არ არის ბარათაშვილის შესახებ გავრცელებული სრული ცნობები. პოეტის ცხოვრებაში, ისევე, როგორც სიკვდილის შემდეგ, ეტყობა ამგვარი მითქმა-მოთქმა საზოგადოებაში უეჭველად იყო. მაგრამ, რა ზღვა გრძნობა და უმაღლესი აზრები ბორგავდნენ გარეგნულის მიღმა მის შინაგან არსებაში, მხოლოდ ზოგიერთმა ახლობელმა თუ იცოდა. ამიტომ, როცა ბარათაშვილის ლექსები საზოგადოებაში გავრცელდა, ბევრს გაჰკვირვებია კიდეც მისი პოეზიის სევდიანი კილო და ფილოსოფიური ხასიათი. ვერ წარმოედგინათ, რომ ასე დაუდგრომელი, სწრაფად მოძრავი, აჩქარებულად მოლაპარაკე, მოქეიფე, მომლხენი, ობუნჯი და კალამბურების ოსტატი კაცი საოცარი ღრმა აზრებით იყო სავსე, იძირებოდა სევდისა თუ ურვა-წუხილის ოკეანეში. მაგრამ, ვინც ახლო იყო პოეტთან, ვინც იცნობდა მას არამარტო გარეგნულად, არამედ, შინაგანი არსებით, მისთვის ბარათაშვილი თავიდანვე დიდი პოეტი ჩანდა, უბადლო გამომთქმელი. ამიტომ ის კი არ გაოცებულა, პირიქით, აღტაცებით მიეგება უებრო თხზულებათა ავტორის განდიდებას.

დრო კი, როცა ბარათაშვილი ცხოვრობდა, სრულებით არ იყო ხელსაყრელი დიდი პოეტისათვის. მწერლობა, ლექსების წერა, მეორეხარისხოვან საქმედ ითვლებოდა. გართობას, დროსტარებას მეტი გასაქანი ჰქონდა, ვიდრე დიხჯსა და სერიოზულ ლიტერატურულ მოღვაწეობას. ვანა ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი, ეს ორი დიდი წინამორბედი ბარათაშვილისა, სხვებს რომ თავი დავანებოთ, უმთავრესად ანტრაქტებში არ წერდნენ თავიანთ შთამაგონებელ ლექსებს? იმ დროს, როცა ბარათაშვილი ლიტერატურულ მოღვაწეობას იწყებდა, ქართულ ოჯახებში იშვიათად როდი უკრძალავდნენ პოეზიით გატაცებულ ახალგაზრდებს ლექსების წერას; ეუბნებოდნენ — არ-ჩების შედგენა ისწავლეთო. იმასაც გადმოგვცემენ, რომ „მრავალჯერ, ბარათაშვილს თავის ზოგიერთი საკუთარი ლექსებიც უარიუყვია ხოლმე, რომ ეს და ეს ლექსი მე არ დამიწერიაო. რასაკვირველია იმ შემთხვევაში, როცა უფროსნი

ჰკითხავდნენ, რომ შენ ლექსებს სწერავო? იმ დროში ასე იყოვო, განმარტა ვახტანგ ორბელიანმა, ახალგაზრდობისაგან ლექსების წერას კი არ საჭიროებდნენ, არამედ აპელაციების წერასო. ერთხელ გაჯავრებულმა ბიძა ჩემმა მოხვეტა ჩემი ქაღალდები, ლექსები და სულ ბუხარში შეყარა, ცეცხლი წაუკიდა და მე კი დამიყვირა რომ ამის წერას კი ნუ სწავლობ, აპელაციების წერა ისწავლეო. ამაების წერას მაშინ მიტომ საჭიროებდნენ, რომ თავად აზნაურობაში დიდი დავიდარაბები იყო ატეხილი. ჩხუბი და საჩივრები, მაშინდელი მშობლებიც თურმე სულ იმას ეჩხუბებოდნენ შვილებს, რომ რუსული ისწავლეო, სკოლის მასწავლებლებსაც სულ იმას ეხვეწებოდნენ თურმე, რომ ჩვენ შვილებს ქართული ენის სწავლება შინაც ეყოფათ. მართველობა ამისთანა თხოვნებს ყურადღებას არ აქცევდა და ყველგან ასწავლიდნენ ქართულს ენას"*

ეს მართლაც ასე იყო და განა მისი გამოძახილი არ არის გიორგი ერისთავის კომედიებში; კერძოდ, „დავასა" და „გაყრაში?" ამგვარ პირობებს როდი შეეძლოთ დიდი პოეტებისათვის შთაგონება გაეძლიერებინათ.

მაგრამ არის ზოგიერთი კურიოზიც.

მე არ ვიცი, მაგალითად, რამდენად მართალია კოტე ყიფიანი, როცა იგი ლაპარაკობს ბარათაშვილის დებზე. ხოლო, თუ მართალია, მაშინ პარადოქსალურია ისტორიისათვის, რომ ბარათაშვილის დებმა თავიანთი გენიოსი ძმის კონგენიალური ლექსები არ იცოდნენ. შეიძლება ამის შიზეზი ნაწილობრივ მაინც ის იყოს, რაზედაც ზემოდ ვლაპარაკობდით? კოტე ყიფიანი კი სერიოზულად ამტკიცებდა: „მე თვითონ ბარათაშვილი არ მახსოვს და იმის დებს კი ყველას კარგად ვიცნობდი და ძალიან მიკვირდა, რომ ამ დებმა არც ერთი ლექსი თავიანთი ძმისა არ იცოდნენ და როდესაც იმათთან ჩვენ ვაქებდით და ვადიდებდით ჩვენს პოეტს, ისინი როგორღაც უნდობლად იღიმებოდნენ ხოლმე"**.

იქნებ ეს იყო მოკრძალება? მაგრამ დებს არ შეიძლება არ სცოდნოდათ, რომ მათი ერთადერთი, საყვარელი ძმა

---

* ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი", 1885 წ., გვ. 7—8.

** იხ. ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 245.

ბავშვობიდანვე ლექსებს წერდა, ახლობლებში კი თხულობდა, ცნობილი იყო, როგორც პოეტი და დაუჯერებელია მისი არცერთი ლექსი არ სცოდნოდათ.

ბარათაშვილმა კი ნამდვილად ადრე დაიწყო ლექსების წერა — ეს სრულიად უეჭველია. ჩვენ რომ არავითარი მასალა ან ცნობა არ გაგვაჩნდეს, მაინც შეიძლებოდა გვეფიქრა, თუ როდის დაიწყებდა ლიტერატურულ ვარჯიშს ქართული პოეზიის ლევიათანი. სულ პირველ ლექსებში ჰაბუკი პოეტი უკვე დიდი ოსტატი ჩანს. და განა ოსტატობა ერთბაშად იწყება, წინასწარი მომზადების გარეშე? არა, ბარათაშვილმა მოწაფეობის წლებშივე დაიწყო ლიტერატურული ვარჯიში, როგორც პუშკინმა და ლერმონტოვმა, გოეთემ და ბაირონმა, ტიკმა და შამისომ. მოწაფეობის წლებიდან ჩვენ არა ერთი მისი ლექსი განვიხილეთ. პირველ ნაწარმოებად მაინც ვთვლით 1833 წლით დათარიღებულ ლექსს, რომელიც უკვე 17 წლის ყმაწვილის კალამს ეკუთვნის. მაგრამ ამგვარ ლექსს პირველად ვერცერთი გენიოსი ვერ დაწერდა, თუ მას წინასწარ ლიტერატურული ვარჯიშის სკოლა არ ექნებოდა გავლილი, როგორც უკვე ვნახეთ.

უყურადღებოდ ვერც იმ გარემოებას დავტოვებთ, რომ, თუ ამ ლექსს დედანში თარიღად 1833 წელი უზის, შემდეგ ავტორს იგი გადაუსწორებია 1834 წლად. პოეტის ავტოგრაფები, რომლებიც ახლა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება, ნათლად გვიდასტურებენ, რომ ბარათაშვილი, საერთოდ, ხანგრძლივად მუშაობდა ლექსებზე, დაწერის შემდეგ აუმჯობესებდა არა მარტო ცალკეულ სიტყვებს, მთელ ფრაზებსაც. ამიტომ. სიმართლეს შეეფერება ზაქარია ჭიჭინაძის შემდეგი სიტყვები: „მამაცაშვილი სწერს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილმა ადრე დაიწყო ლექციების (უნდა იყოს ლექსების — გ. ჯ.) წერაო. ზოგიერთი ლექსიები (ტექსტი ყველგან უცვლელად მოგვყავს — გ. ჯ.) დაწერილია მაშინ, როდესაც ის სასწავლებელში იყო, ბევრი იმის ლექსები დაკარგული არიაო. რადგან მაშინ ბეჭდვა არ იყო ჩვენშიო. ლექსების შესახებ ლ. ისარლოვმაც განმარტა, რომ ბარათაშვილი ლექსებს

სკოლაშივე სწერდაო. ბარათაშვილს ბევრი თავის ლექსები ისარლოვისათვისაც წაუკითხავს. მე ბევრისაგან გამიგია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს ბევრჯერ უთქვამს, რომ „ბედი ქართლის“ შინაარსი სკოლაში ყოფნის დროს დამებადა თავშიო, მე იქვე განვიზრახე ამის დაწერა, რამდენიმეჯერ დავწერე კიდეც, მაგრამ არ ვაჩენდი, ვიდრე გვარიანად არ შევამუშაებდიო“.*

ამგვარი „შემუშავება“ ყველა გენიოსის დამახასიათებელია, ხოლო მისი საჭიროება თეორიაშიც არაერთგზის დასაბუთებულა, რასაც ჰორაციუსისა და ბუალოს ტრაქტატები გვიდასტურებენ. პირველი მოითხოვდა ცხრა წელიწადი ემუშავა ავტორს თავის პოემაზე, მეორე კი ზუსტ თარიღებს არ ადგენდა, მაგრამ ნაწარმოების ხანგრძლივ დამუშავებას კატეგორიულად აწესებდა. ისიც გავიხსენოთ, თუ როგორ ამუშავებდნენ ვარიანტებს ლუთერი და ტოლსტოი, შექსპირი და გოეთე. ლუთერმა „ბიბლიის“ თარგმანი მეორე გამოცემისათვის საფუძვლიანად შეასწორა, ტოლსტოი „ომსა და მშვიდობას“ კორექტურაშიც კი ხელახლა უწერდა მთელ გვერდებს, შექსპირმა პასაჟები და გმირთა სახელები გაასწორა „ჰამლეტის“ მეორე ვარიანტში, ხოლო გრიბოედოვმა თავისი გენიალური კომედია რამდენჯერმე თვითონვე გადაწერა. ორიგინალზე დიდი ავტორების მუშაობა მთელი შემოქმედებითი ლაბორატორიაა, რომლის შესწავლა მათივე ლიტერატურული მემკვიდრეობის არსებით პრობლემებს გვირკვევს.

ბარათაშვილიც ამგვარად „მუშაობდა“ ორიგინალებზე, აუმჯობესებდა და ხვეწავდა ლექსის ყოველ სტრიქონს, როგორც გენიოსი ოსტატები. ამიტომ, როცა მის შემოქმედებას კკითხულობთ, ჩვენ ვგრძნობთ საოცარ სიღრმეს, ბუნებრივობას, სისადავეს, გვგონია, თითქოს ავტორმა ყველაფერი ერთი ამოსუნთქვით დაწერა. ნამდვილად კი მის თვითეულ ნაწარმოებში კოლოსალური შრომაა ჩაქსოვილი, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს შრომა გენიოსის შრომაა და არა რომელიმე რივი-

---

* ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 7.

თი მწერლისა, რომელიც უნიჭო ნაწარმოებს ისევე უნიჭოდ ასწორებს.

ასე „მუშავდებოდა“ ბარათაშვილის ლექსები გენიოსი ავტორის ხელში, უეჭველად ასე „დამუშავდა“ პოემა „ბედი ქართლისა“, ხოლო მათი ბრწყინვალე წარმატება რომ ამ ფაქტორმაც განაპირობა, მგონი საეჭვო არ უნდა იყოს.

ბარათაშვილის ლ ე ქ ს ე ბ თ ა ნ ერთად, პოემას „ბ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა“ ნამდვილად დიდი წარმატება ჰქონდა ხელნაწერშიც. ამიტომ გასაკვირი აღარ არის, რომ მის გადაწერას ავტორის სიცოცხლეშივე აწარმოებდნენ არამარტო ისეთი რანგის მოღვაწენი. როგორიც ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი ა (პოემა გადაუწერია. როგორც თვითონვე ამბობს. 1840 წელს, ხოლო 1843 წელს მისი ქებაც ლექსად მიუწერია სრულ ტექსტზე*, არამედ, უკვე ცნობილი პირები. დიმიტრი ყ ი ფ ი ა ნ ს „ბედი ქართლისა“ გადაუწერია 1847 წელს, ქ ვ ი შ ხ ე თ შ ი, ფართო, მოზრდილ რვეულზე. ეს რვეული იწყება ალფრედ მ ი უ ს ე ს დრამის — „ბ ა ბ ა ლ ე ს თ ი თ ი ს ტ ა რ ი ს“ თარგმანით, შემდეგ მისდევს ლექსი — „ქ ვ ი შ ხ ე თ ი ს მ თ ა ზ ე“ (დაწერილი 1847 წლის 24 აგვისტოს), კიდევ რამდენიმე სხვა ნაწარმოები და „ბ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა“**. ისიც საინტერესოა, რომ არქაისტი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ბარათაშვილის „მდაბიო ქართულის“ მიუხედავად, პოემა „ბ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა ს“ ქება-დიდებას უძღვნის და აღფრთოვანებით წერს:

„ბედო ქართლისავ, გვიმტკიცებ: ტფილისს მაჰმადხანს — მომსვრელსა;
მუნ ციხის კართა განღებულთ — იუდით... აღსაფხრობელად.
მეფის ირაკლის მხნეობას, სიბრძნით ქართველთვის მზრუნველად;
სოლომონ მსაჯულს, და სხვათ გვამთ... ერთგულ მამულის მკობელად.
მშვენიერს შემკობილობით, მოგვითხრობთ ჰაზრთა — გალობით,
გალობა შენი — დაბღალულს(?) გულს ჰბალთავს,—შენის სალმობით;—
გულთა მხილავი! გულთ ჰხედავს, გულია მსხვერპლათ თანხმობით,
რადგანაც დედათა აწვე... ჩრდილოდსა ქარიშხალობით. —
ვინცაა შენი მწერავი, ჯერია ეძღვნას მადლობა;
ნიჭთ, ღვაწლთ, მოლექსეთ, ჰაზრთათვის, უჩნს დია უცხო ზრდილობა,

---

* ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 17—18.

** საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი № 1430.

თუმცა მდაბიო — ქართული, ჰმეტობს აქ ზოგან თქმელება;
გარნა უცხოა, კარგია — ამ გვარ მამული შვილობა".

თ. გ. ჩიქოვანი"

1843 წ. ქ. თფილისი. იქვე მიწერილი იყო შემდეგი:

„ლექსი ესე „ბედი ქართლისა ჯერეთ 1840 წ. მჭონდა გადაწერილი და შემდგომ რა სრულიად გადავწერე, მაშინ ჩემ ბიერ წარწერილი ლექსი ნიკ. ბარათაშვილზე აქვე ზედა დავსწერე"**.

მარტო ეს ფაქტი მოწმობს, თუ რამდენად პოპულარული იყო ჭაბუკი ბარათაშვილი, როგორც პოეტი, ნასწავლ თანამედროვეთათვის, და რამდენად მისი პოემა „ბედი ქართლისა" ხელნაწერშივე ხიბლავდა ქართველთა გულს. ლექსი, რომელიც ჩვენ ეს-ესაა მოვიტანეთ, უეჭველად პოეტური რეცენზიაა და მასში საგულისხმოა შემდეგი მომენტები: ალექსანდრე ჩიქოვანი აქებს პოემის შინაარსს, მის ფაბულასა და სიუჟეტს; უწოდებს მას მშვენიერს აზრებითა და ოსტატობით. აზრები პოემისა ქართველის გულს ღრმად ხვდება და გრძნობებით აღსავსეაო. ავტორი მადლობის ღირსია, რომ ასეთი პოემა დაგვიწერა, სადაც ჩანს მისი ნიჭი, ღვაწლი, პოეტური (ლექსალური) ოსტატობა, მაღალი აზრები და საუცხოო განათლება (აღზრდა). მართალია, ავტორი უმთავრესად „მდაბიო ქართულით" წერს და არა ანტონ კათალიკოსის ენით, მაგრამ მისი მამულიშვილობა ნამდვილად მშვენიერია, კარგია, მაშასადამე, მისაბაძიაო.

მთელი რეცენზიაა, მოკლე, მაგრამ გულწრფელი და არაერთი სიმართლის მთქმელი. საინტერესოა, აკითხებდნენ თუ არა ბარათაშვილს მისადმი მიძღვნილ ამგვარ ლექსებს? ყოველ შემთხვევაში, მას რომ ექნებოდა მოსმენილი პანეგირიკები საკუთარი მისამართით, სრულიად უეჭველია, რადგან სახლებსა და მანანაორბელიანის სალონში წაკითხული მისი ლექსების ქება ხშირად გაისმოდა, როგორც ეს ზემოთ უკვე ვნახეთ.

---

• შეცდომაა. უნდა იყოს ალექსანდრე ჩიქოვანის (იხ. ლ. ნანიტაშვილი, „ჟურნალ „ცისკრის პოეტები", 1967 წ., გვ. 19).

•• ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი", 1885 წ., გვ. 17—18.

თუ ასე იყო ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში, როცა მისი არცერთი ნაწარმოები არ დაბეჭდილა და მხოლოდ ხელნაწერებით ვრცელდებოდა იმდროინდელი საზოგადოების შედარებით ვიწრო წრეში, შემდეგ სურათი მთლიანად შეიცვალა. მომავალმა, ბარათაშვილის ლექსების გამოქვეყნებისთანავე, უდროოდ დაკარგულ გენიოს პოეტს უკვდავება გვირგვინი დაადგა. ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ბარათაშვილს უკვდავი უწოდეს, სხვა საზოგადოებას რომ თავი დავანებოთ, ხოლო 80-იან წლებში ზაქარია ჭიჭინაძემ ბარათაშვილი მე-19 საუკუნის ყველა მწერალზე მაღლა დააყენა. მან პოლემიკა გაუმართა პოეტის ისეთ ცნობილ ბიოგრაფს, როგორიც იონა მეუნარგია იყო, და უკმაყოფილო ტონით აღნიშნა: „აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი საყურადღებო ამბავი, რომელიც უეჭველია უყურადღებოთ არ დარჩება. ჩვენგან გულით პატივცემულ ბ. იონა მეუნარგიამ გიორგი ერისთავის ცხოვრებაში ნ. ბარათაშვილი თითქმის ალექს. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანს და გ. ერისთავს შეადარა, მის ყოველ სტრიქონში აშკარათ გამოისჭვრიტება ესა! ჩვენ გავახსენებთ ბ. მეუნარგიას, რომ ბარათაშვილის მგზავს ტყუილათ ეძებს მის თანამედროვე პირებში: იმის გვერდით, ვერც ერისთავები და ვერც ორბელიანები იავის დღეში იდგილს ვერ დაიკავებენ. ასევე უმართებულოდ მოიქცნენ ერთხელ „ივერიაში“-, რომელსაც ნ. ბარათაშვილს გვერდით ამოუყენეს და თითქმის შეადარეს კიდეც „ბაღჩასარაის“ მთარგმნელი და რამდენიმე გვარიანი ლექსის დამწერი მიხ. თუმანიშვილი“*.

ეს სიტყვები სიმართლეს გამოხატავენ და შეუძლებელია ავტორს არ დავეთანხმოთ. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ იმიტომ, რომ არა თუ მიხეილ თუმანიშვილი, რომელიც საშუალო ნიჭის პოეტია საუკეთესო შემთხვევაში, არამედ, მე-19 საუკუნის ვერცერთი მწერალი, ვერც

* ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი, 1885 წ., გვ. 29. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

წინამორბედი და ვერც შემდგომი დროისა, ბარათაშვილს გვერდით ვერ ამოუდგება, როგორც ხელოვანი.

ბარათაშვილი მეორე ადგილზე დგას რუსთაველის შემდეგ, მაგრამ პირველი ადგილი უკავია ყველა დანარჩენ ქართველ მწერალთა შორის. ვერც შავთელი და ჩახრუხაძე, ვერც თეიმურაზ პირველი და არჩილი, ვერც ბესიკი და გურამიშვილი, ვერც ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი მას ვერ შეედრებიან როგორც პოეტური ძალით, ისე მხატვრული შემეცნების დიაპაზონით. თვით ილია, აკაკი, ვაჟა აღიარებდნენ ბარათაშვილს, როგორც რუსთაველის შემდეგ ყველაზე დიდ პოეტურ მეტრს. ისტორიული პრედესტინაცია ყოველთვის მკაცრია, ხოლო მისი უარყოფა ძნელია ვინმემ იკისროს.

მაგრამ ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ბარათაშვილის გენიალურ ნაწარმოებთა ისტორიული ხვედრი. „1851 წ. ბარათაშვილის სახელს სახსენებლათაც არ ახსენებდნენ, მხოლოდ 1852 წ. კი გ. ერისთავმა ლექსი დაბეჭდა „ცისკარში“ ბარათაშვილის გარდაცვალებაზე, სადაც ის სტირს ახალგაზრდა პოეტის დაკარგვას, და ამის შემდეგ დიმ. ყიფიანმა მოიხსენია მაშინდელს „კავკაზის“ ნომრებში, და ამავე დროს მ. თუმანიშვილმაცა თავის „კავკაზის“ ორს ფელეტონში. დიმ. ყიფიანმა და თუმანიშვილმა ბარათაშვილი ახალ პოეტათ აღიარეს. 1857 წ. შემდეგიდამ კი ცოტათი დაუწყეს მას ყურადღების მიპყრობა და 1858 წ. „ცისკრის“ ნომერში დაიბეჭდა. არც შემდეგ დასტოვა ამ ჟურნალის რედაქტორმა უყურადღებოთ და მრავალჯერ ნატვრით ეძებდა და ბეჭდავდა ბარათაშვილის ლექსებს. „ცისკარს“ გარდა შემდეგ იბეჭდებოდა კიდევ 1863 წ. „საქართველოს მოამბეში“, 1873 წ. „კრებულში“ და ამ უკანასკნელს ჟამს 1882 წ. „იველრიაში“ — ხუთი ლექსი, რომელნიც მეუნარგიამ აღმოაჩინა ალ. ჭავჭავაძის ქალის ქაღალდებში.

ბარათაშვილის ლექსების ბეჭდვა მართალია 1852 წ. იწყება. მაგრამ 1875 წლამდის მისი ლექსების კრება ცალკე არავის ენახა გამოცემული. ბოლოს, ძლივს, როგორც იქმნა ხსე-

ნებულს წელიწადს კი ბარათაშვილის ლექსები გამოსცეს ცალკე წიგნათ. გამოცემაში შეიტანეს ყველა ის ლექსები, რაცკი მოპოვებულ იყვნენ მინამდის და დაბეჭდილნი სხვა და სხვა ჟურნალებში, გარდა ერთის ლექსისა, სახელდობრ „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“. ეს ლექსი პირველად 1858 წ. „ცისკარში“ დაიბეჭდა, ამავე ნომერში და ამავე ლექსთან დაბეჭდილია ორი კიდევ სხვა ლექსი, ყველა ამ ლექსებს სათითავოთ მოწერილი აქვს ბოლოზე „კნ. ნიკოლოზ ბარათაშვილი“. ამ ნომრიდან ორი ლექსი კი გადმოუბეჭდიათ და მესამე „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“ კი დაუტოვებიათ. ამის შესახებ მე შევიტყე, რომ ვითომც ეს ლექსი ბარათაშვილის არ არისო. მაგრამ ვინც კი წაიკითხეს ყველამ სთქვეს პირ უთვნელად, რომ სწორეთ ბარათაშვილის უნდა იყოსო, თუ არა და მის სრულს სახელსა და გვარს რაღას უზამთო. ამის შესახებ კი ვკითხე „ცისკრის“ რედაქტორს ივ. კერესელიძეს. მან მითხრა, რომ ეს ლექსი მე საკუთარის ბარათაშვილის ხელთნაწერიდამ გადმოვბეჭდეო, რომელი ხელთნაწერიც კუთვნილებისამებრ ისევ თ. გრ. ორბელიანს დავუბრუნეო. ამ გვარი შენიშვნების შემდეგ არ ვიცით რა ვსთქვათ ამ ლექსის შესახებ. ამას გარდა, წინანდელს გამოცემაში არ გადმობეჭდეს იმ სათაურებით ყველა ის ლექსები, რა სათაურებითაც თვით პოეტს დაუტოვებია. მაგალითად 1858 წ. „ცისკარში“ დაბეჭდილს ერთ ლექს სათაურათ აწერია „გალობა სიტურფისა“, ცალკე გამოცემაში კი სამი ჯვარი უზის! როგორც ეს ლექსი ისევე სხვაც ბევრია ასე სათავურ შეცვლილები. მეორე გამოცემა 1879 წ. იქმნა გ. ჩარკვიანისაგან. გამოცემა პირველ გამოცემიდამ გადმოიბეჭდა რაისა გამო იმავე დრო „ობზორშიაც“ შენიშნეს. ამავე შენიშვნაში სამაგალითოდ რუსულათ გადათარგმნილი ლექსიც დაიბეჭდა „მადლი შენს გამჩენს“. თარგმანი რაფ. ერისთავს ეკუთვნის“*.

სხვა ადგილას ავტორი დასძენს: „1852 წ. რომ გ. ერისთავმა „ცისკრის“ გამოცემა დაიწყო, ამ დროს ნიკო ბარათაშვილის ნაწერები „ცისკრის“ რედაქციაში გარდაუცია დასა-

* ზ. მთაწმინდელი, „ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 30—31.

ბეჭდათ; ამ დროის „ცისკრის“ ზოგიერთ წიგნებში დაბეჭდილია რამდენიმე ლექსი, 1853 წლის ბოლოს კი, რაკი „ცისკარი“ დახურულა, ბარათაშვილის ლექსები და ლეზევიცის ტრაგედია «Юлий Тарентский» გრ. ორბელიანისათვის გადაუციათ. რამდენიმე ხნის შემდეგ, რაკი „ცისკრის“ განახლებაზე ლაპარაკი დაუწყვიათ ივ. კერესელიძეს და ალ. ორბელიანს მიუღია და ლეზევიცის ტრაგედია კი საგინოვის პირველ მეუღლესთან ყოფილა დატოვებული. რამდენიმე ხნის შემდეგ ალ. ორბელიანს გრ. ორბელიანისათვის დაუბრუნებია ბარათაშვილის ნაწერები და 1857 წ. როცა კერესელიძემ „ცისკრის“ გამოცემა დაიწყო, მაშინ თითო თითო ლექსი ურთმევია, საკუთრივ ბარათაშვილის ხელთ ნაწერებიდამ და „ცისკარში“ უბეჭდავს. ხელთ-ნაწერს-კი ისევ უბრუნებდა ხოლმე გ. ორბელიანს. რადგანაც ამის სურვილი ჰქონია, რომ ბარათაშვილის ხელთნაწერები დაეცვა“*.

ასეთი იყო გენიოსი პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის ისტორიული ხვედრი.

## 16

ახლა ვნახოთ რა დაემართა ბარათაშვილის საფლავს.

დაახლოებით 48 წელი განისვენებდა პოეტის ნეშტი განჯის მიწაში. არაერთი ცდა სამშობლოში მისი გადმოსვენებისა უშედეგოდ მთავრდებოდა. შთამომავლობა ვერ აპატიებს პოეტის ახლო ნათესავებს, რომ მათ 1893 წლამდე ვერ შეიძლეს ტრაგიკულად დაღუპული გენიოსი იმავე წელს თუარა, მომავალ წელს მაინც მშობლიური მიწისათვის მიებარებინათ. 1893 წელს კი აღსრულდა ერის ოცნება. ილია ჭავჭავაძის ინიციატივამ და ზრუნვამ რეალური შედეგი გამოიღო. მთავრობამ დიდი ყოყმანის შემდეგ დააკმაყოფილა პოეტის ახლო ნათესავების (ბარბარე ვეზირიშვილის, სოფიო სუმბათაშვილის, ნინო ბარათაშვილის — პოეტის დების, აგრეთვე გიორგი ილიას-ძე ორბელიანის — ბიძაშვილისა და ნიკო ერისთავის — დისშვილის) თხოვნა.

* ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 15—16.

ოფიციალურად საკითხი პირველად დააყენა გაზეთმა „დროებამ“ გასული საუკუნის 80-იან წლებში, იმ დროს, როცა პირველად გამოიცა 1876 წელს ბარათაშვილის თხზულებათა კრებული. მაგრამ საკითხის დაყენებას რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

დაახლოებით 15 წლის შემდეგ. გაზეთი «Новое обозрение» ბეჭდავს წერილს, რომელშიაც „მოთხრობილი იყო ბარათაშვილის საფლავის მეტად უმწეო და უნუგეშო მდგომარეობა. კორესპონდენტი სხვათაშორის იუწყებოდა, რომ ქალაქის ადმინისტრაციას განზრახვა აქვს, ეკლესიის გალავანში, სადაც ბარათაშვილი იყო დაშარხული, ქუჩა გაიყვანოსო“.*

ამ ცნობამ შეაშფოთა იმდროინდელი მოწინავე საზოგადოება.

«Новое обозрение»-ს წერილის შემდეგ ილია ჭავჭავაძის „ი ვ ე რ ი ა“, 1891 წლის 9 ივლისს, 143-ე ნომერში ათავსებს ა. ფ-ლ ი ს (ალექსანდრე ფრონელის — გ. ჯ.) შემდეგ სტატიას: „ბედნიერი აზრი მოუვიდა ქართველს საზოგადოებას; ერმა არ დაივიწყა თავისი ერთგული მამულიშვილის საფლავი და დღეს, თუმცა-კი გვიან, მაგრამ მოისურვა მისი ძვირფასი გვამი დაესაფლავებინა იმ წ მ ი ნ დ ა მ თ ა ზ ე დ, სადაც მოღვაწეობდნენ ძველად საუკეთესო მამულისშვილნი სამწერლო ასპარეზზედ, სადაც მრავალს სისხლი დაუთხევია მამულისათვის, იმ მთაზედ, რომელიც უტყუარი მოწმეა ჩვენის შავბედითის წარსულისა და სადაც განსვენებული პოეტი, ჭაბუკობის დროს, ხშირად ეძლეოდა მწარე და გულსაკლავს ფიქრებს.

მკითხველი, უეჭველია, მიხვდებოდა, რომ ჩვენა ვლაპარაკობთ სახელოვანს და ყველა ქართველისაგან ცნობილს პოეტ, ნ ი კ ო ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ზ ე დ.

სიკვდილმა უდროოდ გამოგვაცალა ნიჭიერი, ახალგაზრდა პოეტი. მუხთალმა, დაუნდობელმა ბედმა შეიშურა ქართველის ბედნიერება და არ დააცალა პოეტს, რომ მისი პოეტური

---

* ი. ბალახაშვილი, „ბარათაშვილის ცხოვრება“, 1967 წ., გვ. 348 — 349.

ნიჭი, ვარდსავით გადაშლილ-გადაფურჩქვნილი დასაწყისშივე, დაყვავილებულიყო შემდეგისთვის: ბედმა ეს მტრობაც არ გვაკმარა. მღელვარებითა და გრძნობით შემკობილს პოეტს, სამშობლოსათვის გულდათუთქულს ახალგაზრდას, უკუღმართმა ბედმა შორს, უცხო ქვეყანაში გაუთხარა სამარე და მით მოაკლო თანამემამულეთა შეუშრობელს ცრემლს.

თითქმის ორმოცის წლის განმავლობაში პოეტის საფლავი იყო მივიწყებული, იასა და ვარდის მაგიერ, ვინ იცის, რამდენი მტვერი დასდებია პოეტის გვამს ამ ორმოცის წლის განმავლობაში და რამდენი უცხო ადამიანის ფეხს გადაუვლია მისს საფლავზე!

დღეს, ჩვენდა სასიამოვნოდ ერმა განიზრახა, თავისი მოვალეობის აღსრულება და ისტორიულის დანაშაულის გამოსწორება, განიზრახა პოეტის ძვლები მიაბაროს მშობელს მიწას, იმ მიწას, რომლისთვისაც ბარათაშვილს ასე მძლავრად და მხურვალედ უძგერდა გული და უცემდა მაჯა.

დიაღ, შემოდგომისათვის ნიკო ბარათაშვილის გვამს გადმოასვენებენ და მის ძვლებს დაასაფლავებენ წმინდა დავითის ეკლესიის გალავანში. ეს გადაწყვეტილი საქმეა. მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია, ვაღიაროთ, რომ რამდენადაც სასახელოა და სათაყვანებელი ჩვენთვის ბარათაშვილის სახელი, იმდენად მის გვამის გადმოსვენება განჯიდამ ტფილისში და შემკობა საფლავისა პირველს ხანში გვირგვინებით და შემდეგ ძეგლით, შესამჩნევი უნდა იყოს და რაც შეიძლება კარგი და ბრწყინვალე. სასურველია საერო პოეტის ცრემლის დაყრაში მთელმა ერმა მიიღოს მონაწილეობა ასე იქნება, თუ ისე, ფულის შეგროვებით, დეპუტაციების გამოგზავნით ტფილისში დასაფლავების დროს და სხვ.

საქართველოს სხვა-და-სხვა ქალაქებიდან, ბათუმიდან, თელავიდან და აგრეთვე ბაქოდან, უკვე მოგვდის წერილები, ფულის შეგროვება განვიზრახეთ და არ ვიცით, ვის მივმართოთ და ან სად გავგზავნოთო. ბარათაშვილის სახელობაზე მოსული ფული დროებით ინახება ჩვენის გაზეთის რედაქციაში, რომელიც მაშინვე გადაეცემა გამგე კომიტეტს, რაკი-ღა

უკანასკნელი დაარსდება და რომელსაც დაავალებენ დასაფლავების მოწყობას, პოეტის ნაწერების ძვირფასად გადმოცემას და სხვ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ამ საგანს და თავისს მცირეოდენს წვლილს არ დაიშურებს საქმის რიგიანად მოწყობისათვის"*.

და მართლაც, თითქმის ნახევარსაუკუნოვანი უყურადღებობის ყინული გალღვა. სამი თვის შემდეგ, „ი ვ ე რ ი ა მ" კვლავ მოათავსა წერილი განჯიდან — „ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს გ ვ ა მ ი ს გ ა დ მ ო ს ვ ე ნ ე ბ ი ს გ ა მ ო", რომელშიაც ვკითხულობთ: „ამ რამდენისამე თთვის წინად დიდი ლაპარაკი ასტყდა, როგორც თქვენს გაზეთში, ისე კერძოდაც, ბარათაშვილის გვამის გადასვენებისა და სამშობლოში დასაფლავების შესახებ, რადგანაც ის საყდარი ინგრევა და გალავანზედ-კი, სადაც ასაფლავია დაუვიწყარი პოეტი, ქუჩა უნდა გაიყვანონ ახალის გეგმით.

ეს იყო მიზეზი, რომ ფონდი შესდგა თქვენს რედაქციაში, ბარათაშვილის სახელობაზედ, საჭირო ფულის შესაკრებად. ზოგმა ნათესავებმაც იკისრეს შესამჩნევი ხარჯი გაეწიათ, მოთავეებსაც ასახელებდნენ, რომელთაც პატივი უნდა ეცათ და მონაწილეობა მიეღოთ გადმოსვენების საქმეში (მაგალითად: ერთმა რკინის გზის მოხელე ქართველმა ავქ. ცაგარელი დაასახელა რკინის გზაზედ მოხელე ქართველების წარმომადგენლად).

ეს იყო და ეს. როგორც თითქმის ყველა ჩვენში დაწყებული საქმე, ესეც დავიწყებას მიეცა. ჩვენ მაინც აგრე ვიცით: ჯერ დავიწყებთ და შემდეგ დავივიწყებთ ხოლმე. რა იყო მიზეზი დავიწყებისა, არც ვიცი და ამის გამოკვლევას არც შევუდგები. მხოლოდ ამას-კი ვიტყვი და მოვაგონებ როგორც ბარათაშვილის თაყვანისმცემელ ქართველს საზოგადოებას, ისე პოეტის ნათესავებსაც, რომ თუ ჰსურთ და უნდათ მიცვალებულის გვამის სამშობლოში გადასვენების დაგვიანება აღარ იქნება, რადგანაც, როგორც განჯის ეკლესიის მთავარმა ბ-ნმა ტატიშვილმა მიამბო, რომელ მიცვალებულ-

* „ივერია", 1891 წ., № 143, 9 ივლისი. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ქ.

ღაც ამ ერთს თთვეში არ გამოუჩნდება პატრონი, იმათს გვამი ამოიღებენ და ერთად დაასაფლავებენ ახალს სასაფლაოზედაო. ერთად რომ ვთქვი, ეს იმას-კი არა ჰნიშნავს, რომ ერთს სასაფლაოზედ იქმნებიან დასაფლავებულნი, არამედ იმას, რომ ერთს საფლავში აირევა ჩვენის დაუვიწყარის ბარათაშვილის ძვლები სხვა უპატრონო მიცვალებულების ძვლებთან.

ამიტომ კიდევ ვიმეორებ, რომ დროა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და თუ არ მოხერხდა რაიმე მიზეზით აქედგან გადასვენება, განჯაში მაინც დაიმარხოს ცალკე, რომ, სხვა არა იყოს-რა, ვიცოდეთ, სად განისვენებს ჩვენი უდროოდ წუთისოფელს გამოსალმებული პოეტი.

იმედია, ვისიც მოვალეობაა და ჰსურთ ამ საქმეში მონაწილეობის მიღება, არ დაიგვიანებენ და დროზედ შეუდგებიან საქმეს, რადგანაც, როგორც წინადაცა ვსთქვი, ერთის თვის შემდეგ გვიან-ღა იქნება.

თუ ეხლაც ყური არ შეიბერტყა ქართველობამ, ჰაშინ ჩვენ, რკინის გზის სადგურ განჯის მოსამსახურენი, იძულებულნი ვიქნებით ვუპატრონოთ მოძმეთაგან უყურადღებოდ დატოვებულს ძვირფასს ნეშტს ჩვენის დაუვიწყარის პოეტისას და ცალკე დავასაფლაოთ აქვე განჯაში მაინც. იმედია, ქ. განჯაში მცხოვრები და მყოფი ქართველობაც ხელს მოგვიმართავს და მხარს მოგვცემს"*.

ეს წერილი, ეტყობა, გულში მოხვდა იმდროინდელ საზოგადოებას და, ორი დღის შემდეგ, „ივერიამ" ა. ფრონელის ახალი მასალა გამოაქვეყნა, რომელშიაც კიდევ უფრო განვითარებულია განჯელი კორესპონდენტის დასკვნა. ფრონელი სავსებით ეთანხმება მას და მოურიდებლად სრულ ჭეშმარიტებას წერს: „მართლაც-და, ბ-ნ დოლიძისა არ იყოს, რა უბედურება და ღვთის წყრომაა ასეთი აპილპილება პირველად ყოველ საქმეში და შემდეგ ჩაქრობა, განელება ბურბუშელასავით! რა უბედურებაა ასეთი გულგრილობა, უთაურობა და უგრძნობლობა. ნუთუ ასე მოვუძლურდით სულით,

---

* „ივერია", 1892 წ., №№ 213, 9 ოქტომბერი. წერილის ავტორია სოლომონ დოლიძე. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

ისე მოვეშვით ხორცით, რომ ეს ადვილად მოსახერხებელი საქმეც-კი ვეღარ შეგვისრულებია? სად არიან ან ნათესავნი განსვენებულის პოეტისა, ან პოეტის ნიჭის პატივის-მცემელნი? განა ისეთი რა გაგვიჭირდა, რომ ეს საღმრთო და წმიდა მოვალეობაც-კი ვერ შეგვისრულებია?

რამდენადაც ჩვენ ვიცით, ამ საქმისათვის ყველაფერი მზად იყო. ფული ორმოც თუმნამდის შეიკრიბა ჩვენს რედაქციაში; ორთავ გუბერნატორებს — განჯისასა და ტფილისისა — დეპეშა-რთვა გამოსთხოვეს გვამის გადმოტანისა, დასასაფლავებელი ალაგიც შეიგულეს მთაწმინდის ეკლესიის გალავანში, და მაშ რაღამ დააბრკოლა საქმე? ორმოცი თუმანი სრულიად საკმარისია დეპუტატების გასაგზავნად განჯას პოეტის გვამის ღირსეულად გადმოსვენებისა, პოეტის ძვირფასის ფერფლის გვირგვინებით შესაკობისათვის. მაშ რაღა უცარავს ხელს ამ ჩვენს საერთო და საეროვნო საქმეს?!

არაფერი, იმ წყეულისა და უბედურის დაუდევრობის გარდა, რომელიც ლამის ამ ბოლოს დროს ჩვენის ერის საზოგადო სენად გადაიქცეს. გული შეუწუხდება, ვინც ღრმად ჩაუფიქრდება ამ სამწუხარო გარემოებას. ნუთუ შველა აღარ არის, ნუთუ შეუძლებელი გახდა კვლავ გამოვიფხიზლოთ, თვალი მოვიფშვნიტოთ და მკვდრეთით აღვდგეთ?

ჩვენ არ გვგონია, რომ ყოველივე ძალა დაშრეტილიყოს ჩვენს ერში; არა გვგონია, რომ ჩვენი ხალხის მაჯა აღარა სცემდეს მცირედად მაინც და სამუდამოდ აპირებდეს შეწყვეტას. ჯერ კიდევ გვწამს, რომ ეს ძალა საკმაოდ მოიპოვება, რომ იგი დღეს მხოლოდ მიბინარებულია და, თუ ვეცდებით, კვლავ იჩენს თავს, კვლავ დაიწყებს მოქმედებას.

მაშ იმედი ვიქონიოთ, რომ ყოველი ჩვენგანი, დიდი თუ პატარა, ამ მოკლეს ხანში შეასრულებს თავისს მოქალაქეობრივს მოვალეობას; ამ მოკლე ხანში, იმიტომ რომ ერთის თთვის უკან გვიანღა იქნება. იმედი ვიქონიოთ, ყველა გულწრფელად და მხნედ შეუდგება საქმეს და მით გადიხდის ზნეობრივს ვალს განსვენებულის პოეტის სახელის წინაშე. სხვათა ქვეყანაში განგებ აზვიადებენ რომლისამე მამულიშვილის ღვაწლს, ადგამენ გვირგვინს გმირისას და ქვეყანას ყურს

უჭედავენ, ასეთი სახელოვანი გვყოლია ან და გვყავსო. ღვთით, ჩვენთვის ასეთი თვალთმაქცობა საჭირო არ არის. მთელი ჩვენი წარსული ცხოვრება სავანეა გმირთა და ქვეყნისათვის თავდადებულთა. განსვენებული ჩვენი პოეტი ნ. ბარათაშვილიც ერთი იმ მადლით მოსილთაგანი იყო, რომელსაც სწევდა ცეცხლი სამშობლო ქვეყნის გაბედნიერებისა. ვალი გვაქვს, წმიდა ვალი, პატივი ვსცეთ მის სახელს, პატივი ვსცეთ მის ფერფლს, ღირსეულად გადმოვასვენოთ მისი ნეშტი და, თუ გულში ჩაგვრჩენია მისი სანელი, მისი ფერფლიც დავამკვიდროთ სამშობლო „მდელოთა შორის“*.

როგორც იქნა, აღსრულდა ქართველი ერის ეს დიდი ნატვრა და დელეგაცია 1893 წლის 22 აპრილს განჯაში გაემგზავრა.

მაგრამ ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან გადმოსვენებამდე ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე, ილია ჭავჭავაძის „ივერამ“ 18 აპრილის ნომერში (79) პირველ გვერდზე, ზევით, ჩარჩოში შემდეგი განცხადება მოათავსა: „კვირას, 25 აპრილს, გადმოსვენებულ იქმნება განჯიდგან ტფილისს ნეშტი პოეტის თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ეუწყებათ ეს ამბავი განსვენებულის ნათესავთა და პატივისმცემელთ, რათა მობრძანდნენ ამ დღეს, დილის 9½ საათზედ, რკინის გზაზე ეკაზალზედ, საიდგანაც ნეშტს წაასვენებენ დიდუბეს, მღვთისმშობლის ეკლესიაში“**.

ეს განცხადება მთელ კვირას იბეჭდებოდა გაზეთის ერთსა და იმავე ადგილზე, რომ უკლებლივ ყველას შეეტყო პოეტის ძვირფასი ნეშტის სამშობლოში გადმოსვენება. გარდა ამისა, თვითეულ ნომერში რედაქცია ათავსებდა რაიმე მასალას ან ცნობას ბარათაშვილზე. 18 აპრილის გაზეთში, მაგალითად, დაბეჭდილია პ. ცხვილოელის წერილი — „ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი ტფილისის კეთილ-შობილთა სასწავლებ-

---

* „ივერია“, 1892 წ., 11 ოქტომბერი, № 215. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** „ივერია“, 1893 წ., 18 აპრილი, № 79. ხაზგასმა რედაქციას ეკუთვნის.

ლის IV კლასში“, შემდეგ, 24 აპრილის ნომერში — ცნობა, რომ საბელმწიფო თეატრში წაკითხული იქნება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები. რაც შეეხება 25 აპრილის ნომერს, როცა პოეტის ნეშტი თბილისში მოასვენეს, იგი მთლიანად ეძღვნება ბარათაშვილს (მეოთხე გვერდზე რამდენიმე აუცილებელი განცხადების გარდა). ნომერში დაბეჭდილია მ ე ვ ე ლ ე ს (დავით მიქელაძის) წერილი — „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, ნ. დადიანის ლექსი — „ნ. ბარათაშვილის გადმოსვენებაზე“, იწყება პუბლიკაცია იონა მეუნარგიას ვრცელი ბიოგრაფიული ნარკვევისა, რომელიც შემდეგ მთელი თვის მანძილზე გაგრძელებებით ქვეყნდება, პაატას მოზრდილი წერილი — „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია“, დომინიკა ერისთავის ლექსი — „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილს“, სილოვანის ლექსი — „ნიკოლოზ ბარათაშვილის სახსოვრად“, „პრო ფ. ალ. ცაგარელის აზრი ნ. ბარათაშვილზე“. შ. ვეზირიშვილის წერილებიდან ნაწყვეტები (ეს წერილები ადრე იბეჭდებოდა „ივერიის“ 1889 წლის 247, 249, 250, 251 ნომრებში), გიგლოს ლექსი — „ნ. ბარათაშვილზედ“, აგრეთვე თ. რაზიკაშვილის ლექსი — „ნ. ბარათაშვილის ნეშტს“. იქვე მოთავსებულია 24 აპრილს გაგზავნილი ორი დეპეშა გაზეთის საკუთარი კორესპონდენტებისაგან: „გაჯა. ეს არის ეხლა ავხადეთ სამარე პოეტისა, პოლიცმეისტრისა და მრავალის ხალხის თანდასწრებით“; „დუშეთი. დუშეთის ქართველობა გულითა და სულით მანდ არის და თავს იდრეკს პოეტის ბარათაშვილის, ამ ქართველთა ერის სიქადულის — ნეშტის წინაშე“.

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძის „ივერია“ ვალში არ დარჩენილა დიდი პოეტის ნათელი ხსოვნის წინაშე.

მაგრამ „ივერიის“ მომდევნო ნომრებშიც გრძელდებოდა ბარათაშვილისადმი მიძღვნილი სხვა მასალების პუბლიკაცია. 27 აპრილს „ივერიამ“ გამოაქვეყნა იონა მეუნარგიას ბიოგრაფიული ნარკვევის გაგრძელება და ვრცელი ინფორმაცია — „დასაფლავება დიდუბეში ნ. ბარათაშვილის ნეშტისა“. ინფორმაციაში სრულად შევიდა ილია ჭავჭავაძის ცნობილი სიტყვა, აგრეთვე სიტყვა

დ. ბაქრაძისა, და იმის აღწერა, თუ ვინ გამოაგზავნა ის 80 ძვირფასი გვირგვინი, რომელთა უმრავლესობას თვით ბარათაშვილის ლექსებიდან აღებული სტრიქონები ამშვენებდნენ. „ივერიამ" დაბეჭდა აგრეთვე ფოთის, კავკავის, ყვირილისა და თელავის დეპეშები, რომ დიდძალი ხალხის თანდასწრებით პანაშვიდები გადაუხადეს უდროოდ დაღუპული პოეტის ნეშტს. მთელი საქართველო ასე დიდი პატივისცემით მოეპყრო ბარათაშვილის ნათელ ხსოვნას და რაც სიცოცხლეში დააკლო, ახლა შეძლებისამებრ მაქსიმალურად მიუზღო. ეს იყო ხალხის ხმა თავისი დიდი ეროვნული პოეტის განდიდებისა და არა ზრუნვა ოფიციალური მთავრობისა, რომლის მოხელეები სულ სხვაგვარად აფასებდნენ ამ ისტორიულ აქტს*.

იმ დროისათვის თურა გრანდიოზული სახეძი ღო ბარათაშვილის ნეშტის თბილისში დაკრძალვამ, კარგად არის აღწერილი „ივერიის" ფურცლებზე, სადაც ეკითხულობთ: „დასაფლავება დიდუბეში ნ. ბარათაშვილის ნეშტისა. კვირა დილას, 25 აპრილს, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ტფილისის რკინის გზის ვაგზალზე, საცა მოელოდნენ ნ. ბარათაშვილის ნეშტს განჯიდამ. ვაგზლის არე მარესა და თვით მისასვლელ

---

* დიდი უკმაყოფილების ტონით არის დაწერილი თბილისის ქანდარმთა სამმართველოს უფროსის წერილი, 1894 წლის 7 მარტის თარიღით, იმის გამო, რომ „ქართველებმა ხელახლა წამოაყენეს მივიწყებული საკითხი განჯიდან თბილისში ქართველი პოეტის ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებისა", რომ მათ „განსაკუთრებული მიზნით მოითხარეს მიწიდან რაღაც ძვლები (sic! ჟანდარმთა უფროსი ამასაც კადრულობს — გ. ჯ.) და ეროვნული პოეტის ნეშტის სახით გადმოასვენეს თბილისში, სადაც ამ ნეშტს მიეგება მრავალათასიანი საზოგადოება და დიდი პატივით და მოწიწებით მიაბარეს მიწას", რომ „კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა. არა თუ ყველა წოდების პირნი ეცილებოდნენ ერთმანეთს მის წაღებაში, არამედ ქალებიც კი ცდილობდნენ როგორმე რამდენიმე ნაბიჯზე კუბოს გასვენებაში მონაწილეობა მიეღოთ. დედებს მოეყვანათ თავისი პატარა შვილები, აჩოქებდნენ კუბოს წინ და თაყვანს სცემდნენ კუბოს, როგორც წმინდანის ნეშტს" (ამონაწერი მოგვყავს პ. ინგოროყვას მიხედვით. იხ. მისი თხზულებათა კრებული, 1963 წ., ტ. I, გვ. 361).

მოედანზე ჭედვა იყო, იმოდენა საზოგადოებას მოეკრიბა თავი. რკინის გზის ბაქანზე იდგა შემოსილი ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გორისა ალექსანდრე არქიმანდრიტებითა და სამღვდელოებით. აქვე იყვნენ წარმომადგენელნი ქართველ ინტელიგენციისა და მაღალის საზოგადოებისა, თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, დეპუტაციები სხვა-დასხვა ქალაქებისა და დაწესებულებათა გვირგვინებითა პოეტის კუბოს შესამკობად. 9 1/2 საათზე მოვიდა მატარებელი და ვაგონიდამ გადმოასვენეს კუბო ძვირფასის ნეშტით. კუბოს მოჰყვნენ პოეტის ნათესავი, ღვიძლი ბიძაშვილი თ. გ. ი. ორბელიანი და სხვა პატივცემულნი ქართველნი, რომელნიც გაგზავნილნი იყვნენ განჯას. მცირე პანაშვიდის გარდახდის შემდეგ ნეშტი გამოასვენეს ვაგზლიდამ სამგლოვიარო „წმიდაო ღმერთო“-ს გალობითა. აქ, ვაგზალთან, ამოდენა ხალხმა მუხლი მოიდრიკა და პატივი სცა დიდებულის მგოსნის ცხედარს. შემდეგ ეს აუარებელი და ზღვა ხალხი დაიძრა და გაემართა ლიტანიით დიდუბისაკენ. ამფიონი შემკული იყო ძვირფასის სხვა-დასხვა გვარის გვირგვინებით. კუბო ხელში ეჭირათ: ხან ქალებს, ხან ახალგაზრდობას, ხან ნათესავებსა და ისე მიასვენებდნენ. გზა-გზა რამდენიმე ხორო გალობდა: ხორო ქალებისაც, სასულიერო სემინარიის შეგირდებისაც, სათავადაზნაურო სკოლის მოწაფეთა და მ. შარაძისა, ბ.-ნ ფ. ქორიძის ხელმძღვანელობით. ქალების ხორო შეედგინა ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის კურს-დამთავრებულ შეგირდებისაგან მღვდელს მამა ვ. კარბელაშვილს. როცა ლიტანია მიუახლოვდა ეკლესიას, ხალხმა კვლავ მოიდრიკა მუხლი, მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ წარმოსთქვა შესაფერი და გრძნობით სავსე სიტყვა. თვით ეკლესიაში სიტყვა სთქვა ზიარების დროს მღვდელმა ცინცაძემ.

ფოტოგრაფმა რამდენჯერმე გადაიღო სურათი პროცესიისა. წირვის გათავების შემდეგ საფლავზე გადახდილ იქნა კვლავ მცირე პანაშვიდი და წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა. სიტყვები და ლექსები წარმოსთქვეს თ. აკაკი წერეთელმა, თ. ილ. ჭავჭავაძემ, კნ. ნ. ორბელიანისამ, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ლოლუამ, ქუთაისის დეპუტატმა დ. ბაქრაძემ, გ. წერე-

თელმა, სომეხთა ახალგაზრდა პოეტმა ბ-ნმა თუმანიანცმა, თ. ბიძინა ჩოლოყაშვილმა და სხვ"*.

ქართველმა ხალხმა ასე დიდი ეროვნული გლოვით მიაბარა ბარათაშვილის ნეშტი მშობლიურ მიწას.

მაგრამ მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ზრუნვა ბარათაშვილზე ამით არ დამთავრებულა.

ილია ჭავჭავაძის „ივერია" ცდილობდა ყოველმხრივ შეეწყო ხელი პოეტის ნაწერების რაც შეიძლება სრული გამოცემისათვის. 1893 წლის 11 მაისის ნომერში (97) ეკითხულობთ: „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიიღო პოეტის

თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის

მემკვიდრეთაგან განსაკუთრებული უფლება მის ნაწერების გამოცემისა. ამ საზოგადოების გამგეობა სთხოვს უმორჩილესად ყველას, ვისაც კი მოეპოვება ჯერ კიდევ დაუბეჭდავი მისი ლექსები, წერილები, ნათარგმნები და სხვა, ანუ საკუთარის მის ხელით დაწერილი რამ, თუნდაც იგი დაბეჭდილიც იყვეს, ინებონ და გამოგზავნონ საზოგადოების კანცელარიაში (სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლა № 126). ნაწერების დაბეჭდვის შემდეგ ყველაფერი უკანვე დაუბრუნდებათ პატრონებს".**

მაგრამ ეს განცხადება „ივერიამ" მარტო ერთ ნომერში როდი მოათავსა. დიდხანს ბეჭდავდა პერიოდულად (მაგალითად, 30 მაისის, 1 და 2 ივნისის ნომრებში), თუმცა რეალური შედეგი, როგორც ჩანს, არ მიუღია. უფრო ეფექტური აღმოჩნდა ბარათაშვილის ფონდი, ვინაიდან ყველა ცდილობდა, ვისაც ოდნავ შეძლება ჰქონდა შეწირულების სახით მონაწილეობა მიეღო პოეტის ნეშტის გადმოსასვენებლად და ძეგლის დასადგმელად თანხების შეგროვებაში. ამიტომ არის, რომ „ივერიის" 1893 წლის ნომრე-

---

* „ივერია", 1893 წ., 27 აპრილი, № 86.

** „ივერია", 1893 წ., № 97. ხაზგასმა ყველგან რედაქციას ეკუთვნის.

ჰი ხშირად ბეჭდავენ ცნობებს, თუ ვინ რამდენი შეიტანა ბარათაშვილის ფონდში.

მაგრამ, რ ო გ ო რ ი პ ო ვ ე ს პ ო ე ტ ი ს ს ა მ ა რ ე იძ დროისათვის გავერანებულ სასაფლაოზე?

იონა მეუნარგიას ასე მოჰყავდა „ივერიის“ მოამბის ცნობა:

„მეკუბოვე შეუდგა მიწის მიყრა-მოყრას, კუბო თითქმის აღარ შენახულიყო. იპოვეს მხოლოდ მისი მოსართავი ბუზმენტის რამდენიმე ნაწყვეტი. მისივე გაყოლებით ჩონჩხიც უსვენა უმთავრესი ნაწილებით ანუ სახსრებით, დაუმიწებელი. ტანთ-საცმელისა აღმოჩნდა სერთუკის ოთხი თითბრის ფოლაქი მძიმედ ჟანგმოდებული და დამპალი მაუდის ნაგლეჯებზე დაკიდებული. უცხო და საინტერესო იყო ერთი მაუდის ნაფლეთთაგანი, როგორც სჩანდა, სახელოსი, ზედ სამოქალაქო უწყების მუნდირის ოქრომკედის კანტი და მასზედ კიდევ ფოლაქი. ფეხსაცმელისა კი იპოვეს ცალი ლანჩა, ცალი ქუსლი და ცალი საპირე ყელითურთ, როგორც სჩანდა, ძველებური ქართული სამოგვის წაღისა, რადგან შესაკვრელი თასმები ზედვე ჰქონდა...

კუბო, ტანსაცმელი და ჩონჩხის წვრილი სახსრები სრულიად გახრწნილიყო, ამის მიზეზად ამბობენ აკაკის ხეს, რომელიც იქვე ყოფილა დარგული და რომლის ძირზედაც დღეს პატარა ყლორტებიღაა ამოხეთქილი, აი ამ ხეს რწყავდნენ თურმე და წყალი-კი კუბოს თავს იწურებოდა, რის გამოც კუბოსა და გვამის გახრწნა მოსწრაფებულა ორმოცდარვა წლის წინათ მიცვლილის გვამთან შედარებით, და ხეს-კი ფესვები დაუყრია. ამოიტანეს კუბო და ფრთხილად შეუდგნენ ნაწილების ამოკრეფას. თავის ქალა დაუშლელი იყო. უმთავრესი სახსრები, როგორც ზედა ისე ქვედა ტანისა, გაუხრწნელი და შეუშუსვრელი იყო და განსვენებული მგოსანი, როგორც იქ დამსწრე ერთმა ექიმმა სთქვა, მოსული ვაჟკაცი ყოფილა. თავის ქალაც ამასთანავე საკმაოდ დიდი იყო. წვრილის სახსრებისა ზოგიერთი ნამტვრევი-ღა აღმოჩნდა. ძვლები რომ ამოკრიფეს, მერმე ის მიწაც ამოიღეს, ჩონჩხის გაყოლებით რომ იყო, ყოველივე აღმოჩენილი ნაშთი გვამისა, ტანსაცმელისა თუ კუბოსი, დაიკრძალა კუბოს შუა უჯრაში,

მხოლოდ ორიოდე უბრალო ფოლაქი და აგრეთვე ის ფოლაქიც, რომელსაც სახელოს ოქრომკედის კანტი. შერჩენოდა, ალექსანდრე ჭყონიამ ჩაიბარა"*.

მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა განჯაში წასული დელეგაციის წევრის ალექსანდრე ჭყონიას წერილი, რომელიც „ივერიამ" 28 აპრილის ნომერში მოათავსა, სათაურით: „როგორ ვიპოვნეთ ნეშტი ბარათაშვილისა". ავტორი ამბობს, რომ დელეგაცია განჯაში ჩავიდა 23 აპრილს დილით, მაგრამ იმ დღეს გუბერნატორს საფლავის გათხრის ნება არ დაურთავს — „უკეთუ ღამე ამოთხრილი დარჩაო ნეშტი, სამხედრო ყარაული უნდა დავაყენოთო და ამისი საშუალება არა გვაქვსო". მხოლოდ მეორე დღეს — 24 აპრილს, დილის 7 საათზე შედგომიან საფლავის გათხრას, პოლიცმეისტერის თანდასწრებით. ადგილობრივი მცხოვრებლებიც ბლომად შეკრებილან და ბოლომდე დასწრებიან გათხრის სამუშაოებს.

ალექსანდრე ჭყონიას წერილში არის ერთი ცნობა, რომელიც სინამდვილეს არ შეეფერება. ლაპარაკია იმის შესახებ, რომ გიორგი ორბელიანს დაბარებული ჰქონდა „პოეტის დებისაგან" თითქოს ბარათაშვილი განჯაში დაეკრძალოთ ადრე გარდაცვლილი თავისივე ძმის — გიორგის გვერდით, რომ განჯის ეკლესიის დეკანოზს მძინარა შვილს დაედასტურებინოს თვით პოეტის ერთერთი დის რაჰდენჯერმე ჩასვლა განჯაში და „პანაშვიდის გადახდევინება თავისი ძმებისათვის"**.

ჯერ ერთი, პორუჩიკი გიორგი ბარათაშვილი გარდაიცვალა 1823 წელს, როცა მელიტონი და ეფემია მხოლოდ 8 წლის შეუღლებულები იყვნენ. თვით მელიტონი იმ დროს 28 წლისა იყო და შეუძლებელია მას ისეთი ასაკის შვილი ჰყოლოდა (თუნდაც სხვა ქალთან), რომელსაც პორუჩიკობა უკვე ექნებოდა. ბარათაშვილს, რო-

---

* იონა მეუნარგია, „ქართველი მწერლები", 1954 წ., ტ. I, გვ. 234—235.

** „ივერია", 1893 წ., 28 აპრილი, № 87.

გორც ზემოდ ვნახეთ, მართლაც ჰყავდა ძმა — გიორგი, მაგრამ იგი დაიბადა 1824 წლის ივნისში, მოინათლა 9 აგვისტოს და მალე გარდაიცვალა. საგულისხმოა ერთი რამ: სწორედ 1824 წლის აგვისტოს პირველ რიცხვში მელიტონ ბარათაშვილი ინიშნება ელისავეტპოლის (განჯის) პოლიციმეისტრად. თუ ჩვილი ბავშვი გიორგი, რომელიც აგვისტოში ორი თვისა იყო, მშობლებმა განჯაში წაიყვანეს და იქ გარდაიცვალა, შესაძლოა იქვე დაკრძალეს. პოეტის დები, რომლებმაც გიორგი ორბელიანს უთხრეს — ტატო ადრე გარდაცვლილი მისივე ძმის — გიორგის ვარჯვნით ასაფლავიაო, ალბად, ეს ჰქონდათ მხედველობაში, ამ ძმების საფლავების სანახავად მიდიოდნენ ელისავეტპოლს და არა შეგვარე ბარათაშვილისა, რომლის კავშირი მელიტონის ოჯახთან არა ჩანს.

როგორ წარიმართა ბარათაშვილის საფლავის ძიება?

„რადგან ნათქვამი გვქონდა, — წერს ალექსანდრე ჭყონია, — რომ პოეტი დამარხულიაო თავის ძმის მარჯვნით, ამიტომ ამოვათხრევინეთ მიწა გიორგის გვერდით, სამხრეთისაკენ, რომელიც მარჯვენა მხარე უნდა ყოფილიყო მისი.

ამოვათხრევინეთ მიწა საკენ ნახევრის სიღრმეზე, მაგრამ დავრწმუნდით, რომ აქ არაფერი იყო. ვიფიქრეთ იქნებ ძმას მიუსვენეს პოეტის გვამიო და ამიტომ ამოვათხრევინეთ გვერდი გიორგის საფლავისა. აქ აღმოჩნდა ნეშტი, რომელიც ჯერ გვეგონა პოეტის ნეშტი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ აქ მდებარე მკვდარს სამხედრო მუნდირი ჰცმოდა და მხარზე ეპოლეტები ჰქონდა ციფრებით „21“ (ე. ი. 21 დივიზია), ცხადი იყო, რომ ჩვენ წავაწყდით გიორგის ნეშტს და არა პოეტისას. გიორგის საფლავი მაშინვე შევასწორებინეთ. უეჭველი იყო, რომ ვინც აჩვენა, რომ პოეტის გვამი დასაფლავებულიაო გიორგის მარჯვნით, იმას თავისი მარჯვენა ჰქონია სახეში, როცა ის მისულა გიორგის საფლავის წინაშე, რადგან მისავალი გზა მიიმართება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. დავაწყებინეთ მიწის თხრა გიორგის მეორე გვერდით, ჩრდილოეთისაკენ. ზევით აგური იყო დაგებული. იმედი მოგვეცა, რომ აქ აკლდამა უნდა იყოსო. მაგრამ, ცოტა ჩაღრმავდა ნათხარი, მიწა უფრო და უფრო მაგარი აღმოჩნდა. დრო ცოტაღა დარჩა. მუშებს

სულ ახალ და ახალს ვაყენებდით. სულ გამოცვალეთ 24 ჩუშა. ხალხი დაღონდა და იმედი დაეკარგათ ძვირფასის ნაშტის პოვნისა. ჩვენ-კი, რომელთაც მონდობილი გვქონდა ამ ნაშტის ქალაქში მოსვენება, ფერი გეცვალა და აღარ ვიცოდით, რა გვექნა, როგორ უნდა ჩავსულიყავით ტფილისში და რა პასუხი უნდა გაგვეცა იმათთვის, ვინც მომზადებულნი იყვნენ ხვალინდელ დიდ ამბისათვის და იმათთვის განსაკუთრებით, ვინც სხვა ქალაქებიდამ ჩამოსულიყვნენ. ცალკე გვრცხვენოდა ჩვენის შეცდომისა: როგორ დაგვემართა, რომ ჯერ საძებარი ნეშტი არ მოვძებნეთ და ისე გამოვაცხადებინეთ გადმოსვენების დღე? ამ საშინელ მდგომარეობაში რომ ვართ, დაჰკრა სამმა საათმა ნაშუადღევისამ. ახალ-ახალი უცხო ხალხი მოდის. მოვიდა აგრეთვე განჯის ვიცე-გუბერნატორი. ჩვენ ტფილისიდამ მოსულები იმის ფიქრში ვართ, გავგზავნოთ ახლავე თუ არა ტფილისში ტელეგრამა, რომ ხვალინდელი მზადება გადაიდვას. ამ ყოყმანში რომ ვართ, მიწა იმდენზე ამოთხარეს, რომ ხის ძირები, რომელიც თურმე ამაგრებდა მიწას, მოისპო. მიწას უფრო სირბილე დაეტყო. შევატყეთ, რომ საფლავისათვის ნათხარი მიწა დაიწყო. იმედი მოგვეცა, რომ აქ-კი უნდა იყოს ნეშტი დასაფლავებული. სრულდებოდა ოთხი საათი, როცა თითქმის ხუთი არშინის სიღრმეზე გამოჩნდა კუბო; მერე გამოჩნდა წაღების წვერები. მერე თავის და ტანის მთელი ძვლები. გვამს პირი ოდნავ მიბრუნებული ჰქონდა ჩრდილოეთისაკენ: ალბად ჩასვენების დროს გადაქანებულიყო თავპირი. გვამს ტანზე ეცვა სამოქალაქო ჩინოვნიკის ჩუნდირი. ოქრო-მკედით ნაკერი მუნდირისა და მაუდი ნაჭერ-ნაჭერ მოჰყვებოდა ხელს. კარგად შენახულიყო ქართულად შეკერილ წაღების ტყავი, ლანჩა და ქუსლები; მხოლოდ, როგორც ხელს ახლებდნენ, ერთმანეთს სცილდებოდა. ყველა დასახელებული ნივთები და მუნდირის ფოლაქები ცალკე წამოვიღეთ „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთსაცავში გადასაცემად. ექიმმა კეფა დაახლოებით გამოზომა. ანტროპოლოგიურად ბეჯითი გაზომვა არ მოხერხდა, რადგან არც ერთ ექიმს განჯაში არ ჰქონდა ამისათვის საჭირო ინსტრუმენტი.

ეჭვს გარეშე იყო, რომ ჩვენ მივაგენით სასურველს ნეშტს

უკვდავის პოეტისას. პოლიცმეისტერმა შესაფერი ოქმი შეადგინა და პირი გადმოქვცა ჩვენ. ყველანი ერთმანეთს ვულოცავდით მშვიდობით საქმის შესრულებას... შემდეგ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვეს დეკანოზმა მძინარაოვმა და ბ-ნმა ბაქრაძემ. ბ-ნმა დეკანოზიშვილმა თავისი ლექსი წაიკითხა კუბო ძვირფასის ნეშტითა განზრახული გექონდა ეტლით წამოგველო რკინის გზის სადგურამდე, რადგან სასაფლაოდამ იქამდის ოთხი ვერსია, მაგრამ იმ სადგურზე ქართველ მოსამსახურეებმა აღარ დაგვანებეს და კუბო ხელით წამოასვენეს სადგურამდის“*.

ასე იქნა მოპოვებული ჩვენი დიდი პოეტის ის ძვირფასი ნეშტი, რომელიც მშობლიური მთაწმინდის გრძნეულ მიწაში განისვენებს.

საინტერესოა ერთი გარემოებაც: ქართველ საზოგადოებას განზრახული ჰქონდა პოეტის ნეშტი, განჯიდან გადმოსვენების შემდეგ, მთაწმინდაზე დაეკრძალა. ასე წერდა, როგორც ზევით ვნახეთ, ილია ჭავჭავაძის „ივერია“ ჯერ კიდევ 1891 წლის ივლისს (№ 143). მაგრამ, ეტყობა, მეფის მთავრობამ ამის ნებაარ დართო ბარათაშვილის ჩირისუფლებს. ამიტომ პოეტის ნეშტი დაკრძალეს დიდუბის ეკლესიის მიწაში, სადაც იგი 45 წელზე მეტს განისვენებდა.

1938 წლის 15 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა თავისი უსაყვარლესი პოეტის ძვირფასი ნეშტი კვლავ ამოიღო საფლავიდან, ამჯერად კი უკანასკნელად, რათა სამუდამოდ მიებარებინა მთაწმინდის უკვდავი მიწისათვის. ბარათაშვილი დაიმარხა თავის „მამულში“, თავის „წინაპართ საფლავებს შორის“ და იგი დაიტირა მთელმა ქართველმა ერმა, რომელმაც ერთხელ კიდევ დაადასტურა „მერანის“ ავტორის უკვდავება.

შვიდი წლის შემდეგ, 1945 წლის ოქტომბერში, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან საგრძნობი იყო მეორე მსოფლიო

---

* „ივერია“, 1893 წ., 28 აპრილი, № 87.

ომის მძიმე ჭრილობები, ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა თავისი უსაყვარლესი პოეტის — ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავი. ბევრი რამ გაკეთდა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების უკვდავსაყოფად. მათი აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ერთი მომენტი მაინც უნდა გავიხსენოთ: მიკვლეულ იქნა ის ადგილი, სადაც პოეტმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა. ახლა იქ დგას სახლი, რომელსაც იუბილეს ჩამტარებელი რესპუბლიკური კომიტეტის სახელით ბემორიალური დაფა აქვს გაკეთებული წარწერით: „აქ ცხოვრობდა დიდი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი 1841—1845 წ.წ.“ სახლი დგას ჩახრუხაძის ქუჩაზე, № 17. ეს არის სწორედ ის ადგილი, რომლის შესახებაც პოეტი 1841 წლის 28 მაისს ატყობინებდა თავის ბიძას გრიგოლ ორბელიანს: „ჩვენც ახალს სახლებში გადავედით, ანჩის ხატის უბანში; უწინ რომ აბხაზი იდგაო“*. როცა ჩვენ, საიუბილეო კომიტეტის წევრები, მემორიალურ დაფას ვუკეთებდით ამ ძვირფას ადგილს, პოეტმა გიორგი ლეონიძემ, ბარათაშვილის მალმერთებელმა, კმაყოფილებით მითხრა: „კარგი საქმე გავაკეთეთ! ამიერიდან აქაც მოვალთ ბარათაშვილის საიუბილეო დღეებში მისი ხსოვნის პატივსაცემადო“. აქედან სულ ახლო იყო ექსპედიცია ერეკლეს მოედანზე, სადაც პოეტი რამდენიმე წელს მუშაობდა ჩვეულებრივ მოხელედ და პოეზიის უკვდავ შედევრებს ჰქმნიდა.

ბარათაშვილის უკვდავებას ვერც დრო მოერევა, და ვერც ის, რომ „იულიუს ტარენტელი“ ისევე დაიკარგა, როგორც პოემა „ივერიელნი“. ვინ იცის, იქნებ ზოგიერთი სხვა ლექსიც დაიღუპა და ჩვენამდე მოღწეული არ არის? თუმცა, გენიოსს როდი ესაჭიროება მრავლობა თავისი შემოქმედებისა, მაგრამ იმის დაკარგვა, რაც იყო, ტრაგედიაა. ჩვენი გულისტკივილი, რომ მეტი არა

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 94.

გვაქვს, მართალია, მის დიდ სახელს ვერავითარ ჩრდილს ვერ ყენებს, მაგრამ გვინდა მეტი გვქონდეს, მეტი ვიცოდეთ, ამიტომ უფრო მწარედ განვიცდით, როცა რაიმე გვეკარგება. იმედად მხოლოდ ისღა გვრჩება, რომ არცერთი ეს შემთხვევა — არც „ივერიელნისა“ და არც „იულიუს ტარენტელის“ დაკარგვა თვით ბარათაშვილის დიდებას ვერაფერს აკლებს.

ერთ ახალგაზრდა პოეტს, რომელმაც ბარათაშვილის ეკვდავება მოგზაურ, ღარიბ და უსახელო მენესტრელებთან პარალელით გამოხატა, მგონი ცუდად არ უოქვამს:

„სიკვდილი ალბად მენესტრელებზე
იყო გენიით დიდების მჩენი,
რომ პოეზიის მაგისტრალებზე
ისმოდეს ყველგან სახელი შენი!“

მენესტრელების მსგავსად, ბარათაშვილიც არაფრის მქონე იყო*, სიცოცხლის ბოლო წლებში მოგზაური, ერთი ადგილიდან მეორეზე რომ განუწყვეტლივ გადაჰყავდათ, თითქმის უსახელოდ მიდიოდა, მაგრამ ერთბა-

---

* ბარათაშვილს, გარდაცვალების შემდეგ, ვალად დარჩენია 245 მანეთი ვერცხლით, რომლის გადახდა დაუკისრებიათ ეფემიასათვის, რაკი მან ჩაიბარა შვილის „ქონება“ განჯაში 1846 წელს. მაგრამ ეფემიას ვალი ვერ გადაუხდია. ოთხი წლის შემდეგ ვორონცოვი, იმჟამინდელი მეფის ნაცვალი, 1849 წლის 31 დეკემბრის თარიღით მიწერილობას აძლევს სამოქალაქო მმართველობის უფროსს თავად ბებუთოვს, რომ ეფემიას გარდაცვალების გამო (1849 წლის 4 თებერვალს) შვილის ვალს პოლიცია, უფროსების ნებადაურთველად, ახდევინებს მამას — მელიტონსო. ვორონცოვი წერს: მართალია, ბარათაშვილს გარდაცვალების შემდეგ დარჩა უმნიშვნელო ქონება, მაგრამ დედისათვის გადაცემის დროს იგი აღმოჩნდა დამპალი და მოსახმარებლად გამოუყენებელი, ამიტომ არც ეფემიას, არც მელიტონს შვილის ქონება არ გამოუყენებიათ. ვინაიდან ბარათაშვილის ვალი სრულიად უიმედოა ხაზინისათვის (გაღარიბებულ მელიტონს სად შეეძლო ვალები ეხადა — გ. ჯ.), ანგარიშებიდან და ნარჩენი გადასახადებიდან ამორიცხეთო (იხ. „მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ“, 1945 წ., I, გვ. 361).

შად წამოიმართა, როგორც უკვდავი დიდი პოეტი*.

ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავება და დიდება ისტორიით დადასტურებულია, როგორც გარდუვალი ჰეშმარიტება.

ახლა უნდა შევუდგეთ ამ ჰეშმარიტების კონკრეტული ცხადყოფას, ბარათაშვილის დახასიათებას, როგორც პოეტისა, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში მთელი ეპოქა შექმნა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი გენიოსი შემოქმედია, მსოფლიო რომანტიზმის კორიფეთა შორის დგას, და ბუნებრივი იქნება, თუ თავდაპირველად შევეხებით მას, როგორც დიდ ქართველ რომანტიკოსს.

---

* 30-იან წლებში ბარათაშვილის შესწავლას ენერგიულად მოჰკიდა ხელი ჩვენმა მეგობარმა აკაკი ჰყონიამ წიგნით — „ნიკოლოზ ბარათაშვილი — პოეტი და მოქალაქე“, მაგრამ ნიჭიერ მწერალს არ დასცალდა კვლავ გაეგრძელებინა მასზე მუშაობა — მალე დაიღუპა ტრაგიკულად.

## თავი II

## ბარათაშვილი — დიდი ქართველი რომანტიკოსი

ქართულ პოეზიაში ნიკოლოზ ბარათაშვილის მოვლინება შესაძლოა ყველაზე მეტად ბედნიერი ვარსკვლავის აღმობრწყინვას შევადაროთ. როგორც ჩაუმქრალი მნათობი გააცისკროვნებს ხოლმე ჩვენს პლანეტას, ისე ბარათაშვილის გენიამ ახალი ბრწყინვალება შესძინა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიას. ეს იგრძნო არა მარტო მომდევნო თაობამ, რომელმაც პოეტს გენიოსის გვირგვინი დაუწნა, — ეს იგრძნო თვით ბარათაშვილის დროინდელმა პოეტურმა ფორუმმა, თუმცა მისი ბოლომდე დაფასება მაინც ვერ შეიძლო.

საოცარია გენიოსთა ხვედრი: ცხოვრებაში უბედო ადამიანები, ზოგჯერ ბედნიერები ხდებიან თავიანთი ღვაწლით, რომელიც წარუშლელად აღიბეჭდება მათივე მშობელი ერის სულიერი ქვეყნის მატრიცაზე.

ბარათაშვილი პირად ცხოვრებაში, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვნახეთ, ბედნიერი არ იყო, მაგრამ, როგორც შემოქმედი, ერთი უბედნიერესი პოეტური მეუფეა მსოფლიო ხელოვანთა შორის. მით უფრო სამწუხაროა, რომ იგი ძალიან ახალგაზრდა დაიღუპა და მისი შემოქმედება მოცულობით დიდი არ არის. მართალია, რაოდენობრივი სიდიდე ყოველთვის არ არის სიდიადის გამომხატველი, მაგრამ გოეთე, რომ ადრე დაღუპულიყო, „ფაუსტი“ არ გვექნებოდა, შილერი რომ კიდევ უფრო ახალგაზრდა დაეკარგა გერმა-

ნიას, „ვილჰელმ ტელი“ ვეღარ დაამშვენებდა მსოფლიო დრამატურგიის ისტორიას. ვინ იცის, რამდენი მარგალიტი პოეზიისა თან ჩაიტანა ბარათაშვილმა ობოლ საფლავში, მაგრამ, ის კი უეჭველია, რომ, თუ მეტს იცოცხლებდა, მშობლიურ ლიტერატურას კვლავ ბრწყინვალე შედევრებით გაამდიდრებდა.,

ბარათაშვილის მთელი მემკვიდრეობა 40 ლექსს, ერთ პოემასა და 15 პირად წერილს შეიცავს. თვითეულ მათგანს, როგორი კრიტიკული შენიშვნაც არ უნდა გაუკეთონ, ვერავინ უარყოფს, რომ გენიოსის ბეჭედი აზის. პირადი წერილებიც მაღალი რანგის პოეზიაშია გადასული, და სამწუხაროა, რომ ისინი იონა მეუნარგიას სათვალავშიც არ მიუღია, როცა წერდა: „სამწერლო ბაღაჟი ბარათაშვილისა ერთობ მჭატეა. სკოლის შესრულებიდან სიკვდილამდე — ათს წელში — იმას დაუწერია სულ 39 პატარა ლექსი (განა „მერანი“ „სულო ბოროტო“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოღამებაა მთაწმიდაზედ“, „ღამე ყაბახზედ“, „საფლავი მეფისა ირაკლისა“ პატარა ლექსებია? — გ. ჯ.) და ერთი პატარა პოემა“*. ჩვენ მართლაც უდიდეს სინანულს განვიცდით, რომ ბარათაშვილის გენიამ მეტი ვერ მოასწრო, მაგრამ უდიდეს სიამოვნებასაც გვანიჭებს მარგალიტების წაკითხვა, და გვიხარია, როცა პოეტის მოცულობით მცირე კრებულიდან მართოდენ დიდი პოეზია მეტყველებს. ჩვენ ვწუხვართ და ეგლოვობთ, რაკი დრომ ასე მოუსწრაფა სიცოცხლე ბარათაშვილს, მაგრამ იგივე დრომ ვერ შეიძლო თავისი მსხვერპლი-სათვის დიდი პოეტობა წაერთმია. იონა მეუნარგიას კი პირიქით ეგონა: „დრო მაინც რომ დასცლოდა, მეტი მაინც რომ ეცოცხლა იმას, ტალანტი ქართველის ცხოვრების სიფუჭეს სძლევდა და პატარა პოეტისაგან დიდი პოეტი დაღგებოდაო“**. როგორ? განა ბარათაშვილი, იმის გამო, რომ 40 ლექსისა და ერთი პოემის ავტორია — „პატარა პოეტია?“ მოგვეციო კიდევ ორი-სამი ასეთი „პატარა პოეტი“, მიეცით

---

* იონა მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 215. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 224.

სხვა ერებსაც და კაცობრიობა ორი-სამი საფეხურით მაინც ამაღლდება თავის მხატვრულ განვითარებაში. ბარათაშვილი „პატარა პოეტი" კი არა, დიდი პოეტი, გენიოსია რომლის მსგავსი ამ ქვეყნად მხოლოდ ერთეულები იბადებიან. ბარათაშვილი ისეთივე „პოეტური ვუნდერკინდია", როგორც ბაირონი და შელი, პუშკინი და ლერმონტოვი. ის, ვინც 18 წლის ასაკში დაწერს „ბულბულს ვარდზედ", 19 წლისა — „ქეთევანს", 20 წლისა ისეთ შედევრებს, როგორიცაა „შემოღამება მთაწმიდაზედ"", „ხმა იდუმალი", „ღამე ყაბახზედ", 21 წლისა — „ფიქრნი მტკვრის პირას", „ჩონგურს", „ჩემს ვარსკვლავს" — მეტი რომ არაფერი დაგვიტოვოს, მარად დიდ პოეტთა ოლიმპზე იქნება. ახლა ამას მიუმატეთ შემდგომ წლებში ისევ ძალიან ახალგაზრდა კაცის დაწერილი საოცარი „მერანი" და უმშვენიერესი პოემა „ბედი ქართლისა", რომლებიც ჩვენ ცალკე გვაქვს განხილული. განა ამას „პატარა პოეტი" შეიძლებდა. თუნდაც ასაკით საუკუნისათვის მიეღწია? და განა პატარა პოეტის შესახებ ვინმე გაბედავს თქვას, რასაც ქებით თვით იონა მეუნარგია ამბობს ბარათაშვილზე? „კარგად რომ ფარგმნოს კაცმა ბარათაშვილის ლექსები: „ჩემს მერანს", „სულო ბოროტო" და ბაირონის „დონ-ჟუანში" ჩაურთოს, ან, „ჩაილდ ჰაროლდში", არა მგონია დიდებული პოეტის ქმნილების ერთობა დაირღვესო"*. ჩვენც დავადასტურებთ — არ დაირღვევა, მაგრამ ვერც ერთი „პატარა პოეტი" ამას ვერ შეიძლებდა. ბარათაშვილის შედევრები კი, რომელიც გნებავთ დიდი პოეტის ლექსთა მეტოქეობას ადვილად უძლებს. თუ ასეა, მაშინ როგორღა ვირწმუნოთ, რომ მან „დიდ პოეტობას" ვერ მიაღწია, ვინაიდან ადრე გარდაიცვალა?

არა, მთელი ერის მართლაც უდიდესი ტრაგედია იყო, რომ ბარათაშვილი ძალიან ახალგაზრდა დაიღუპა, მაგრამ უდიდესი ბედნიერებაა, რომ მან ადრევე მოასწრო დიდი პოეტი გენიოსი გამხდარიყო.

მეორეს მხრივ, არც იმ დებულებათა გაზიარება შეგვიძლია, თითქოს ბარათაშვილს ბუნების „მხოლოდ ლირიული

---

* იონა მეუნარგია, „ქართველი მწერლები", 1954 წ., ტ. I, გვ. 227.

მხარე და არა პლასტიური მშვენიერება".* ჰქონდეს ეჭვგნებული, რომ თითქოს „მისმა კალამმა მხატვრობისა არა იცის რა".** მართალია, რომანტიზმმა ბუნების ლირიული განცდა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა, სუბიექტურიზმის პრიზმაში გვაჩვენა ყველაფერი, რასაც ადამიანის თვალი ხედავდა, ყური ისმენდა, გრძნობა ითვისებდა, გამონაკლისს არც ბარათაშვილი წარმოადგენს, მაგრამ პლასტიკურობა (ალბად, მხატვრული აღწერაა ნაგულისხმევი) რომ თითქოს მას არ ჰქონდეს, მიუტევებელი შეცდომაა. განა ბუნების პლასტიკური ჩვენება არა გვაქვს ბარათაშვილის ალმანახის ან მომდევნო პერიოდის პირველივე ლექსშიც — „ბულბული ვარდზედ", რომელიც 18 წლის ყმაწვილის კალამს ეკუთვნის და რომელშიაც ქართული პეიზაჟი ეგრე მოსიბლავად არის გადმოცემული? აბა, რა არის ეს, თუ არ ქართული ბუნება, ქართველი კაცის თვალით დანახული: ჭალებზე დაფენილი ბნელი ღამე, ნელი ნიავის ქროლვა, ბულბულის გალობა; შემდეგ სდუმს ბულბული, მაგრამ აღმოხდება მთვარე და ვარდიც სურნელების მიმოფენას იწყებს. კიდევ ერთი სტრიქონი და ბუნების მშვენიერების აღწერა გრძელდება:

„აღმობრწყინდა მთიებიც და ფრთოსანთ მხიარული
გალობა ჰყვეს პაერში, განაღვიძეს ბულბული".

მართალია, აქ ჯერ კიდევ არ არის გრიგოლ ორბელიანისებური არც „ბუმბერაზ მთანი მაღალნი, აყუდებულნი ცათამდის", არც „წყალნი მთით დაქანებულნი ალმასებრ უფსკრულს სცვივიან", არ გვესმის „თერგის ღრიალი", ვერც თერგის სირბილს ვხედავთ, მაგრამ აქ არის ბუნების მშვენიერი პლასტიკური აღწერა, და აგვარი სურათები გვხვდება როგორც „ჩინარში", ისე სხვა ლექსებში — „შემოღამება მთაწმიდაზე", „ღამე უაბახჩედ", პოემაში „ბედი ქართლისა". მეუნარგიას არც ერთ მაიგანში ბუნების პლასტიკური აღწერა არ ეგულება. მაგრამ,

* იონა მეუნარგია, „ქართველი მწერლები", 1954 წ., ტ. გვ. 228.
** იქვე, გვ. 229.

საინტერესოა, რატომ არ დაასახელა „ქეთევან“, „ფიქრნი მტკვრის პირად“, სრულიად ყრმა პოეტის ეს პირველი ლექსები, რომლებშიაც ბუნების მშვენიერი პლასტიკური სურათები გვაქვს მოცემული? ნუთუ ბუნების პლასტიკური აღწერა არ არის „ქეთევანის“ პირველივე სტროფები:

„ზვირთები მოდუდუნებენ,
ჭალები ბუჩქნარეობენ.
ხშირნი ლამაზთა კიდეთა,
მჭეფრად მდინარის ქსნისათა“.

ეს მხოლოდ და მხოლოდ პ ლ ა ს ტ ი კ უ რ ი აღწერაა, მარტოოდენ მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა ა, პოეტური ფ ე რ წ ე რ ა ა და მასში სრულებით არა ჩანს ბარათაშვილისათვის ასე ძლიერად დამახასიათებელი ბუნების ლ ი რ ი კ უ ლ ი განცდა.

თითქმის იგივე სურათია „ჩინარში“, რომლის შესახებაც მკვლევარი შეცდომით წერს: „ისინი (ბარათაშვილის ლექსები — გ. ჯ.) მხოლოდ პოეტის სულის მდგომარეობას გვიხატავენ და არა კავკასიის ბუნების სიმდიდრეს და მშვენიერებას. პოეტს სწამს... რომ მტკვარი მიჯნურია ჩინარისა; რომ იმასავით, მთაწმინდაც არის... მწუხარ და სევდიანი; და მეტი არაფერი“.* უფრო აჩქარებული საეჭვო დებულება ამ საკითხში მკვლევართაგან არავის წამოუყენებია. ბუნების უმშვენიერესი აღწერანი ბარათაშვილის პოეზიაში, რითაც ასე მოხიბლული იყო ქართველი კაცი ყოველთვის, აქ დამცირებული და გაუფასურებულია.

დიდ პატივსა ვცემთ იონა მეუნარგიას, როგორც ბარათაშვილის ყველაზე სრული პირველი ბიოგრაფიის ავტორს, მაგრამ, რამდენადაც სწორად გადმოგვცა პოეტის ც ხ ო ვ რ ე ბ ა, იმდენად მართებული შეხედულებანი როდი განავითარა მისი გენიალური პ ო ე ზ ი ი ს მიმართ. შემთხვევითი არ არის, რომ მკვლევარმა ვერ შესძლო დაემთავრებინა ბარათაშვილის მხატვრული შემოქმედების ანალიზი. მისი კეთილისმყოფელი

---

* ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. გე. 224.

ან „დაუმთავრებლობას“ განმარტავენ მოუცლელობით, პრაქტიკული დატვირთულობით, მაგრამ მიზეზი სულ სხვაში უნდა ვეძიოთ. წინააღმდეგობანი, რომლებშიაც მკვლევარი მოექცა, მას არ აძლევდნენ საშუალებას ნაშრომი დაემთავრებინა. მაშინ ხომ უნდა გაერჩია დეტალურად „ჩინარი“. რომელშიაც მარტო „მრწამს რომ არს ენა...“ ამოიკითხა და უმშვენიერესი პლასტიკური სურათების არსებობა უარჰყო? მაგრამ დააკვირდით „ჩინარს“, სადაც ჩვენ ბუნების მართლაც ბრწყინვალე პლასტიკური სურათები გვაქვს; სადაც ლირიკულზე მეტად, მინორზე მეტად მაჟორი გვესმის, როგორც გრიგოლ ორბელიანთან, და გატაცებით ვუცქერით „კავკასიის ბუნების სიმდიდრეს“, საქართველოს უმშვენიერეს ხედებს:

„განმარტოებულს ფრიალოს კლდეზე სდგას ალვისა ხისა
ნორჩი ახალი,
მრავალ-შტოვანი, მაგრილობელი, ჰაეროვანი, ტურფა, მაღალი.
საამო არის მის ჩრდილში ოცნა და მისთა ფოთოლთ შრიალთა სმენა,
და წყალთ დუდუნზე უკუღმართისა ამა სოფლისა ჰირთა დათმენა!
მოქშუის მტკვარი, მოქრის ნიავი და შრიალითა არხევს ჩინარსა,
და გამოსცემენ საბიობასა, ტკბილის ოცნებით დამაძინარსა!
მრწამს რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის,
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!
ვითა მიჯნური სატრფოს ამაყსა, მტკვარი მას ნორჩსა ფერხთა
ეკლებისს,
და აღმოარხევს უფსკრულებიდამ, და აღელვილი კლდესა ეხლებისს!
მაგრამ ჩინარი, მაღლად მჩინარი, დგას მედიდურად და სიამაყით,
და მხოლოდ თავსა გარდმო-გარდიღებს სევდიანისა შერხევის სახით.
რამდენ-ჯერ ქარი შეარხევს საროს, იმდენჯერ მტკვარი უმეტეს
ოხრავს,
თითქოს სიშურით შეშფოთებული და კლდის პირებზე ზვირთთა
შემუსრავს“.

განა აქ ბუნების პლასტიკური აღწერა, მხატვრობა არ არის? განა აქ არ გვესმის გრიგოლ ორბელიანისებური გუგუნი უფსკრულებისა, მდინარის დაუდგრომელი ხმაური, საერთოდ, ბუნება მთელი თავისი დინამიური ყოფით, შინაგანი ბრძოლითა და სიმშვენიერით?

გვეტყვიან, ლირიკული აქაც ხომ არის, სუბიექტური აქაც ხომ აშკარად ჩანსო? დიახ, არის! დიახ, ჩანს! მაგრამ სწორედ ისევე, როგორც გრიგოლ ორბელიანთან: შელამდა, მარტო ვზი ჰმუნვით, ჩემი ჩივილი არავის ესმის, დადუმდა არე, მარტოოდენ გუშაგის ხმა ისმის და „წყალნი მთით დაქანებულნი ალმასებრ უფსკრულს სცვივიან, ოერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიანო".

მაგრამ „ჩინარი" გამონაკლისი როდია. „შემოღამება მთაწმიდაზედ" — ფილოსოფიური ლირიკის ეს ერთერთი უმშვენიერესი ლექსი საერთოდ, ბუნების უბრწყინვალეს პლასტიკურ სურათებს გვაძლევს, და ბარათაშვილამდე არავის ისე ჯადოსნურად არ უმღერია ამ კურთხეული მიწისათვის, როგორც ოცი წლის ყმაწვილ პოეტს. მთაწმიდა ქართულ პოეზიაში პირველად ბარათაშვილმა დაასახელა, და როგორღა შეიძლო, თუ მისი პლასტიკური სურათი არა აქვს მოცემული? განა თვით ლექსი მთაწმიდის პლასტიკური აღწერით არ იწყება? და განა ჩვენს ცნობიერებაში, როცა მთაწმიდას ვიხსენებთ, ბარათაშვილის ეს გენიალური სტროფები არ ცოცხლდებიან?

„ჰოი მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი,
დამაფიქვრელნი, ეერანანი და უდაბურნი,
ვითარ შვენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
ოდეს საღამოს, დაჰშთენ ამოს, ციაგნი ნელნი.
ვითარი მაშინ იდუმალობა დაისადგურებს შენს არემარეს,
რა სანახავი წარუტყუევს თვალთა მაშინ შენს ტურფას
სერზედ მდგომარეს!
ძირს გაშლილს, ლამაზს, ველსა ყვავილნი, მოჰფენენ ვითა
ტაბლას წმიდასა,
და ვით ეუნდრუკს, სამადლობელსა, შენდა აღმევენ სუნნელებასა."

როგორ, ეს ბუნების პლასტიკური აღწერა, მხატერობა არ არის? მგონი უფრო მეტია, ვიდრე შეიძლებოდა პლასტიკით, მხატვრობით შეფასებულიყო. გენიოსს თვალის ერთი შემობრუნება გაამხელს. ბარათაშვილს სწორედ ასეთი თვალი ჰქონდა. ის ხედავდა ისე, როგორც არავინ. ბევრს უნახავს მთაწმინდა, მაგრამ ჩვენ იგი მარტოოდენ

ბარათაშვილის თვალით შეცანით. განა ეს მხატვრობაზე მეტი არ არის?

ან, იქნებ, ესეც არ არის ბუნების პლასტიკური აღწერა:

„ხანდისხან ნელად მჭროლნი ნიავნი, ღელეთა შორის
აღმოკვნესოდენ";
„ჰსდუმდა ყოველი მუნ არემარე; ბინდი გადეკრა ცისა კამარას,
მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარას".

ყველგან სურათი საოცრად ნატიფი, გრძნეული და მკაფიოდ გამოკვეთილია. ბარათაშვილის გენიას ეხერხება ერთი სტრიქონით ბუნების მთელი სურათი დაგვიხატოს, როგორც ლექსში — „ღამე ყაბახზედ", რომელშიაც პოეტმა გვიჩვენა „მაისის ღამე, მიბუნდვილი, გრილი და აძო"; დაგვიხატა „ღამე, როს მთვარე შუქით მოჰფენს ყაბახსა და კოჯორი დაჰჭრის ნიავით";

„და მომდინარე ხან ზვირთთცემით, ხან ნელად მტკვარი,
მოოხრავს შორით, ვით მიჯნური, ჟამთ მოჩივარი".

რადა ღირს ბარათაშვილის თუნდაც ორი სტროფი ლექსიდან „ფიქრნი მტკვრის პირად", სადაც ჩვენი მშობლიური მტკვარი, თუნდაც უტყვი, ადამიანურად მმეტყველი გვეჩვენება:

„ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში ჰკრთის ლაჟვარდი ცისა კამარა".

ბარათაშვილი რაღაც საოცარი თვალით ხედავდა ქართული ბუნების პეიზაჟებს, ძალიან ახლოს და გამჭვირვალედ. მისი აისი მარტოოდენ კოსმიური ფენომენი არ იყო, არც ნატურაში გაშლილი ჩვენება. ის ხატავდა მზის აღმობრწყენას, როგორც შინაგანი ძალის აღმოფრქვევას:

„აღმოხდა მნათი აღმოსავალს, მზეებრ ცხოველი,
მცირითა შუქით გარდუყარა ცასა ღრუბელი,
დიდ სამქუხარო, საავდარო..."

მაგრამ, ლექსების გარდა, ბუნების უმშვენიერესი პლასტიკური სურათებია მოცემული პოემაში „ბედი ქართლისა",

რომელშიაც არაგვის ხეობა წარმოსახულია ქართველი კაცის გრძნობითა და სულით. ამ პოემას ჩვენ სპეციალურ თავში ცალკე გავარჩევთ, აქ კი მხოლოდ იმით დავკმაყოფილდებით, რომ მივუთითებთ ბუნების „პლასტიკური მშვენიერების“ წარმოსახვაზე, რაც საბოლოოდ გააქარწყლებს მითს, თითქოს ბარათაშვილმა „მხატვრობისა არა იცის რა“. მოვიტანთ სამ ადგილს, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, ვინაიდან ეს ნაწყვეტები განხილული გვექნება თვით პოემის დახასიათების დროს:

1.

„მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოჰსძახიან მთანი ტყიანნი,
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილს ჭალებს“.

2.

„მზე დამავალი მოჰფენს სიამეს
მთიულეთისა ხეობის არეს,
და ამ მშვენიერს არაგვის პირებს
ძველი ჩარდახი ზედ გარდმოჰყურებს“.

3.

„ამ დროს აღმოჰხდა ბადრი მთოვარე
და სიამითა მოჰფინა არე.
ცამ მოჰედილმა ვარსკვლავებითა,
მთისა ჰაერმან, საესემ შვებითა
და მთვარის შუქზე არაგვის წყალთა,
თავისუფლებით ჩამომჩხრიალთა
გულს აუშალეს დარდები ბატონს“...

ყოველივე ამის შემდეგ საბოლოოდ უნდა დავადასტუროთ, რომ ბარათაშვილი ბუნების წარმოსახვაში უდიდეს პლასტიკურობას აღწევს და ლირიკული მხარე ორგანულად აქვს შეერთებული პლასტიკურთან.

გარდა ამისა, არც ის მოსაზრების გამართლება შეიძლება,

თითქოს ბარათაშვილის ლექსების „უმეტეს ნაწილს... არც რითმა აქვს საქები და არც რიტმი", მიუხედავად იმისა, რომ პოეტი მდიდარია; თითქოს „ბედი ქართლისას" ან „ჩჩვილის" რითმები მოწმობენ, რომ „ხან-და-ხან ბარათაშვილის მუზასაც სძინავს".*

ყველაფრის მტკიცება შეიძლება, მაგრამ ბარათაშვილის „მუზას სძინავსო" — ვერავინ დაამტკიცებს. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ — სულ პირიქით ხდება, აქ მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ ამგვარი მაგალითებით შეიძლება ყველა პოეტის მუზას „ხან-და-ხან" მართლაც ეძინოს, და რატომ გვიკვირს, თუ ჰომეროსსაც თავის ერცელ პოემებში ჩაეყვინთებოდა ხოლმე, როგორც ჰორაციუსმა ერთხელ შეიშნა?

რაც შეეხება ბარათაშვილის რითმასა და რიტმს, ჯერ კიდევ სარგის გორგაძემ, ქართული პოეტიკის ერთერთმა ავტორიტეტულმა მკვლევარმა, 1917 წელს დაწერილ გამოკვლევაში — „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ფორმა" — დაასაბუთა, რომ ჩვენი დიდი პოეტის „ლექსი ღარიბი არ არის რითმით და არც რითმათა კომბინაციებით".** მაგრამ, როგორც ფორმალური პოეტიკის ერთგული, იგი საბოლოოდ მაინც ვერ გაექცა მეუნარგიას ძველ მტკიცებას. სარგის გორგაძემ დაწვრილებით გააანალიზა ბარათაშვილის ორმუხლიანი („ბარათაშვილური", „ბაიათი", „რუსთაველური", „ჩახრუხაული", „შავთელური") და სამმუხლიანი ლექსები („თეჯლისი", „მცირე ბესიკური", „დიდ ბესიკური"); აღნიშნა, რომ პოეტი ზოგჯერ ახდენს მარცვალთა მიმატება-დაკლებას, სიტყვების არაბუნებრივ დანაწილებას მუხლებში, ხმარობს არაბუნებრივ მახვილსაც და ყოველივე ეს „ტეხნიკურ-მუსიკალურ ნაკლად" მიაჩნია. ეს იყო საბედისწერო შეცდომა და იმის გაუგებლობაც, თუ რით არის ბარათაშვილი ასე ძლიერი. რატომ არის თვით სარგის გორგაძე, ამდენი

---

* იონა მეუნარგია, „ქართველი მწერლები", 1954 წ., ტ. გვ. 230—231.

** ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 232.

პოეტიკური ნაკლის „აღმომჩენი“, იძულებულია გულწრფელად სთქვას: „რუსთაველის შემდგომ ბარათაშვილი მაინც პირველ მგოსნად მიგვაჩნიაო“.* იმის გამორკვევა კი, თუ „რაშია დამარხული ამ მოვლენის საიდუმლოება? სად უნდა ეძებოთ ბარათაშვილის ლექსის მომხიბლაობის მთავარი მიზეზი?“** — მკვლევარმა სალიტერატურო კრიტიკას შიანდო.

სრულიად უეჭველია, რომ ლიტერატურულ კრიტიკას მართლაც გაცილებით მეტი შეეძლო დაესაბუთებინა ბარათაშვილის პოეტურ გენიაში, მეტად გამოეჩინა ლექსის სილამაზე, ვიდრე ფორმალური პოეტიკის დოგმატიკას, მაგრამ ფაქტები და დასკვნები, რომლებიც მეუნარგია — გორგაძეს მოჰყავდათ, ხელს უშლიდნენ მის ნორმალურ გაბედულებას.

და რას წარმოადგენდნენ ეს ფაქტები?

ჯერ დასახელებული იყო მარცვლის მიმატება („უბიწოო სიყვარული“; „გალიაშია დატყვევებული“; „ჰოდ, „ვაჲ“, „მდელოჲ“, სადაც ნახევარხმოვანი „ჲ“ ხმოვნად გვევლინება).*** შემდეგ მარცვალთა დაკლება („მ ტ ა ნ ჯ ჩემო“: „მ ი ს მხვედრმა“; „ი დ ა ყ ვ-დ ა ყ რ დ ნ ო ბ ი ლ“; „კ ე თ ი ლ მეფე“; „თ ვ ი ს სახელი“; „უბედურებაც ბ ე დ ნ ი ე რ აქვნდეთ“; „ყ ო ვ ე ლ ი ვ“; „გული ც ხ ო ვ ე ლ“; „ზოგან ტ რ ფ ი ა ლ“).**** ილუსტრირებული იყო აგრეთვე „სიტყვების არაბუნებრივი დანაწილება მუხლებში“ („ბულბული ვ ა რ დ-I-ზ ე დ მჯდარი“; „ზვირთები მ ო დ უ-I-დ უ ნ ე ბ ე ნ“; „ჰალები ბ უ ჩ ქ ნ ა-I-რ ე ო ბ ე ნ“; „მაინც გეტრფი, თუმცა ხ შ ი რ ა-I-დ ა მკლავო“).***** ბოლოს, არაბუნებრივი მახვილიც („მაგრამ მგოსანსა თურმე“ — გრამატიკის მიხედვით მახვილები უნდა იყოს ორმარცვლოვან სიტყვაში — ბოლოდან მეორე მარცვალზე (ბარათაშვილს კი პირიქითა აქვს — თავიდან — მეორეზე), ხოლო სამმარცვლოვანში — ბოლო-

---

* ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 235. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 235.

*** იქვე, გვ. 226.

**** იქვე, გვ. 226—227.

***** იქვე, გვ. 227—228.

დან მესამეზე (პოეტი აქაც პირიქით აკეთებს — თავიდან მესამე მარცვალზე აქვს მახვილი დასმული).

გარდა ამისა, დაწუნებული იყო ბარათაშვილის ლექსებში გაბატონებული არაერთი სამმარცვლოვანი და ერთმარცვლოვანი რითმა („არა-გვიანი" — „მთანი ტყიანნი"; „მოუთა-მაშებს" — „ატეხილ-ჭალებს"; „არ გაჰკივნოს" — „გადაჰკრავს ღვი-ნოს"). ისიც არ იყო დავიწყებული, რომ „ბარათაშვილის რითმებს სხვაგვარი ნაკლიც ახლავს. უმეტეს მათგანში ერთგვაროვნება მხოლოდ ხმოვან ბგერებსა და უკანასკნელი მარცვლის ერთს ან ორს თანხმოვანშია დაცული, რითმის დანარჩენი ფონეტიკური შედგენილობა კი ფრიად აჩრელებულია"*. საამისო მაგალითები მართლაც გვხვდება როგორც სამმარცვლოვან, ისე ორსა და ერთმარცვლოვან რითმებში (გორგაძეს მოჰყავს მხოლოდ შემდეგნი: „სოფელი"—„მოგელი", „ვჰფიქრობდი" — „ვიტყოდი", „ანკარა" — „კამარა", „უბედურება" — „თავი-სუფლება", „შიშია-ნობა" — „სახლობა" — ყველა სამმარცვლოვანია; „შემოკრ-ბითა" — „წყლუ-ლითა", „გასართ-ველად" — განსასვე-ნებლად", „მოუთა-მაშებს" — „ჭალებს", „ა-ტარა" — „მოი-ხმარა" — ორმარცვლოვანნი; „ცით" — „სია-ჭით", „სათქმე-ლად" — „ლო-ცვად" — ერთმარცვლოვანნი).

ეს მაგალითები მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებას ჰქმნიან. მაგრამ, თუ ამოწერას გავაგრძელებთ, ნუსხა შეიძლებოდა ათმაგად გადიდებულიყო. თვითეული მათგანი. ცალკე აღებული, ნამდვილად გვიდასტურებენ, რომ „ფონეტიკური შედგენილობა ფრიად აჩრელებულია", რითმისათვის აუცილებელი ერთგვაროვნება დარღვეულია. ლექსი კი მაინც ბრწყინვალე, საოცრად ძლიერი და ისე ოსტატური გამოდის, რომ ბარათაშვილს პირდაპირ აყენებენ რუსთაველის შემდეგ პირველ პოეტად.

მართლაც, რა არის ამის მიზეზი? შემთხვევითობა, კანონზომიერება, თუ ჩვენი ცდომილება ავტორიტეტის წინაშე?

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები 1922 წ., გვ. 234.

პირველი და მესამე სრულიად გამორიცხულია, მეორის დამტკიცებას კი ახლავე შევუდგებით.

ბარათაშვილი ქართული რომანტიზმის უველაზე კოლორიტული წარმომადგენელია და მის შემოქმედებაში სწორედ ამ ევროპული მიმდინარეობის უაღრესად მკაფიო ნიშნებს ვხედავთ. ევროპული რომანტიზმის ისტორიიდან ცალკე გამოყოფენ პრერომანტიზმს, როგორც გარდამავალ საფეხურს განმანათლებლობიდან რომანტიზმისაკენ, და მასში გულისხმობენ, სენტიმენტალიზმთან ერთად, იმ ახალ, რომანტიკული ყაიდის რომანს, რომელსაც ჰქმნიან მე-18 საუკუნის ინგლისელი მწერალი ჰორაციო უოლპოლი („ოტრანტოს ციხე-დარბაზი", გოტიკური ნაწარმოები, შუასაუკუნეების ცხოვრების აღწერა), ამავე საუკუნის ფრანგი ბელეტრისტი ჟაკ კაზოტი („შეყვარებული სატანა", ნახევრად ფანტასტიკური), და, როგორც ბაირონს უწოდებია — „ინგლისის უველაზე მდიდარი შვილი" უილიამ ბეკფორდი („ვატეკი", ორიენტალისტური რომანი, მთლიანად აღმოსავლეთის (არაბულ) ზღაპარზე დაწერილი).* სამივე ნაწარმოებში ფანტასტიკური ამბები სჭარბობენ და ევროპული რომანტიზმისათვის დამახასიათებელი ნიშნები აშკარად გვაგრძნობინებენ თავის თავს. ეს არის ის პრერომანტიზმი, რომელმაც დაუპირისპირა „ინდივიდუალური გრძნობა განმანათლებლური „გონების" უნივერსალურობას, გულუბრყვილო ბუნება და შეურყვნელი ზნეობანი „უბრალო ადამიანებისა" — სათავეში მდგომი ქალაქური ცივილიზაციის გარყვნილებას. XVIII საუკუნის კლასიციზმის გაბატონებულ ნორმებთან ბრძოლაში მან წამოაყენა ახალი ესთეტიკური ცნებები: „მშვენიერების" იდეალის ნაცვლად — „თვალწარმტაცი" ანუ „ორიგინალური", „დამახასიათებელი"; ანტიკურის, როგორც ხელოვნების უნივერსალური ნორმის ნაცვლად — „გოტიკური", „შუასაუკუნეობრივი"; „კლასიკურის" ნაცვ-

---

* სამივე რომანი გამოცემულია ერთ წიგნად: «Уолпол. Казот. Бекфорд. Фантастические повести». გამოსაცემად მოამზადეს ვ. მ ჟირმუნსკიმ და ნ. ა. სიგალმა. (1967 წ.).

ლად — „რომანტიკული“ თავდაპირველი მნიშვნელობით, რომელიც ახლოა „რომანულთან“ (ინგლისური romance-დან — „შუასაუკუნეების რაინდული რომანი“): „რომანტიკული“ თავგადასავლები, „რომანტიკული“ გრძნობები, ბუნების „რომანტიკული“ სურათები და ა. შ.

ინგლისში პრერომანტიზმი დაკავშირებულია იუნგისა და გრეის „სასაფლაოსებურ“ სენტიმენტალურ-მელანქოლიურ ლირიკასთან, სპენსერის, მილტონის, შექსპირის ლიტერატურულ აღორძინებასთან, რომლებიც დაეწყებულნი იყვნენ კლასიკური (უფრო სწორი იქნება კლასიცისტური — გ. ჯ.) გემოვნებებისა და ნორმების ბატონობის პერიოდში, ნაციონალური (შუასაუკუნეების) ძველი დროებისა და ხალხური შემოქმედებისადმი (პერსის ბალადები) მიმართვასთან“.* ამავე საქმეს აკეთებენ: საფრანგეთში რუსო („ახალი ელოიზით“), გერმანიაში — კლოპშტოკი და ჰერდერი, აგრეთვე „შტურმ უნდ დრანგის“ პოეტები.

ფოლკლორის, გოტიკური ხასიათის თავგადასავალთა და ფანტასტიკური ლეგენდების, აგრეთვე, გრძნობათა უშუალობისადმი სიყვარულმა რომანტიკოსებს ისეთი ლიტერატურული ძეგლები გააცოცხლებინა, რომლებიც კლასიცისტების მიერ სულ დავიწყებას იყო მიცემული. ბრწყინვალე მაგალითად შეიძლება დავასახელოთ გერმანელი რომანტიკოსების დამოკიდებულება ჰანს იაკობ კრისტოფ გრიმელსჰაუზენისადმი. მისი სახელგანთქმული რომანი „სიმპლიცისიმუსი“ პირველად 1669 წელს გამოვიდა, უდიდესი წარმატება მოიპოვა, მაგრამ კლასიციზმის სრული ბატონობის ეპოქაში დაეწყებას მიეცა. სწორედ ეს მშვენიერი „კომიკური რომანი“, რომელიც დიდი უშუალობითა და ცოცხალი ბუნებრივი სტილით აღწერს გულადი, მართალი, მაგრამ უაღრესად მიამიტი, გულუბრყვილო კაცის თავგადასავალს, ამხელს ომის საში-

---

* «Уолпол. Казот. Бекфорд. Фантастические повести». 1967 წ., გვ. 250. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

ნელ, ბარბაროსულ ხასიათს, წარმოადგენს ცხოვრების ღრმად გააზრებულ სურათებს იშვიათი გონებამახვილობით, — რომანტიკოსების გატაცების საგნად იქცა. გრიმელსჰაუზენის „სიმპლიცისიმუსს“ ყურადღება მიაქციეს გერმანული რომანტიზმის თეორიისა და პრაქტიკის ისეთმა დიდმა წარმომადგენლებმა, როგორიც იყვნენ გოეთე, ტიკი, შლეგელი, არნიმი, ძმები გრიმები, მეორეხარისხოვან მწერლებზე რომ აღარაფერი ვსთქვათ. გერმანელი რომანტიკოსები სპეციალურ ნაწარმოებებსაც კი თხზავდნენ „სიმპლიციანურ თემებზე“. გრიმელსჰაუზენის ერთი ცნობილი მკვლევარი მიუთითებს, რომ „სიმპლიცისიმუსის“ სიუჟეტებიდან, გერმანელ რომანტიკოსთა შორის, ყველაზე უკეთესი მოთხრობა არნიმმა დაწერა, ხოლო ამ მოთხრობებში ისინი თავიანთ გრძნობებს, აზრებს, ფიქრებსა და მისწრაფებებს აქსოვდნენო.* გრიმელსჰაუზენის რომანის უაღრესად ფოლკლორულ ხასიათს, უშუალობასა და ლამაზ სტილს, შეუძლებელი იყო რომანტიკოსთა მოწონება არ დაემსახურებინა. ეს მართლაც მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლია და შეიძლება გვერდით ამოვუყენოთ რაბლეს გარგანტიუას.

თუ ასე იყო პროზაში, საკუთრივ რომანტიზმმა ჯერ ევროპის, ხოლო შემდეგ მსოფლიო მასშტაბით სულ ახალი პოეზია შექმნა.

მაგრამ, ჯერ შევიცნოთ რომანტიკული ლექსის არსება. მისი ყველაზე სრული დახასიათება მოცემული აქვს ვიქტორ ჰიუგოს — ფრანგული რომანტიზმის ტიპიურ წარმომადგენელს.

როცა ვიქტორ ჰიუგო „კრომველის“ განოქმულ წინასიტყვაობაში, 1827 წელს რომ არის დაწერილი, ებრძოდა კლასიცისტურ ლიტერატურულ ნორმებს, მიუთითებდა: კლასიცისტური „პოეზია იყო აღწერითი, ეს (რომანტიკული — გ. ჯ.) უნდა იყოს მხატ-

---

* Ганс Якоб Кристоф Гриммельсгаузен, «Симплициссимус», 1967 წ., გვ. 488—489. გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ა. მოროზოვმა. არნიმის მოთხრობას ეწოდება „იზაბელა ეგვიპტიდან“.

ერობითი".* ჰიუგო კონკრეტულად ლაპარაკობდა დრამატიულ პოეზიაზე, მაგრამ მხედველობაში ჰქონდა მთელი კლასიცისტური ლიტერატურა. „ერნანისა" და „კრომველის" ავტორს არასოდეს არ მიუჩქმალავს ის დამსახურება, რაც კლასიცისტურ ლიტერატურას ჰქონდა, საერთოდ, ფრანგული ხელოვნების განვითარებაში. აქედან წარმოსდგებოდა მისი უდიდესი პატივისცემა ბუალოს, მოლიერის, კორნელის, რასინისადმი, თვით ლაფონტენის ჩათვლით. მაგრამ, ჰიუგოს მიაჩნდა, რომ ფრანგული კლასიციზმი გამოხატავდა გარკვეულ ეპოქას, გარკვეულ საზოგადოებას, კარგად ემსახურებოდა ორიევს, ახლა კი სხვა ეპოქაა, სხვა საზოგადოება, ორიევ დაბადა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ, მაშასადამე, განამანათლებლობამ, ბონაპარტეს ომებმა და შემდეგ რეაქციამ. ეს სხვა ეპოქა, ეს სხვა საზოგადოება სულ სხვა ინტერესებითაა გართული და მას სულ სხვა, სრულიად ახალი ხელოვნება ესაჭიროებაო. ეს ხელოვნება რომანტიკულია, ხოლო რომანტიზმი, რომლის ერთერთ დიდ წარმომადგენლად, მთელი სკოლის შემქმნელად, მას ბაირონი** მიაჩნდა, შატობრიანთან ერთად, არამარტო თემატიკურად, პოეტიკური კანონებითაც უპირისპირდება კლასიცისტურს. გარდა იმისა, რომ ერთი აღწერითია, ხოლო მეორე ფერწერითი, რომანტიკულ პოეზიას მოაქვს ახალი ლექსი, აღმოცენებული სულ სხვა პოეტიკურ ნორმებზე.

რა არის ან რით ხასიათდება რომანტიკული ლექსი?

„კრომველის" წინასიტყვაობაში, რომელიც ევროპული რომანტიზმის ერთერთ უბრწყინვალეს თეორიულ ნაშრომად არის აღიარებული, ჰიუგო ძალიან მკაფიოდ ახასია-

---

* Виктор Гюго, Собрание сочинений, 1956 г., т. XIV, გვ. 116.

** იქვე, გვ. 69, წერილი — „ლორდ ბაირონის შესახებ მისი სიკვდილის გამო", სადაც ვკითხულობთ; „ორივე ეს სკოლა (რომანტიკული — გ. ჯ.) ტყუპებია, წარმოშობილნი ერთიან საფუძველზე, გამოსულნი, ასე ვსთქვათ, ერთი აკვნიდან, წარმოდგენილნი, როგორც ჩვენ გვგონია, ევროპულ ლიტერატურაში ორი სახელგანთქმული გენიოსით — შატობრიანით და ბაირონით".

თებს ამ ახალ ლექსს. იგი „უნდა იყოს თავისუფალი, უშუალო, გულწრფელი, ყველაფრის გაბედულად გამომთქმელი ყალბი სიმორცხვისა და პრანჭვა-გრეხვის გარეშე; ლექსი, მსუბუქად და თავისუფლად რომ გადადის კომედიიდან ტრაგედიაზე, ამაღლებულიდან გროტესკულზე, რიგრიგობით ხან პოზიტიური, ხან სავსე პოეზიით, მაგრამ ყოველთვის მხატვრული და შთაგონებული, ღრმა და უშუალო, ფართო და ალალმართალი; ლექსი, რომელმაც იცის, როცა საჭიროა, დაამსხვრიოს ან გადაადგილოს ცეზურა, რათა შეალამაზოს თავისი ალექსანდრიული ერთსახეობა; ლექსი, უფრო მეტი პიდრეკილება რომ აქვს გადატანებისადმი, რომლებიც მას აგრძელებენ, ვიდრე ინვერსიებისადმი, რომლებიც მას აბნელებენ; ლექსი, ერთგული რითმისა, ამ მონა-დედოფლისა, ჩვენი პოეზიის ამ უმაღლესი მშვენიერებისა, ჩვენი მეტრიკის ფუძემდებლისა; ლექსი, რომელიც ამოუწურავია თავისი ბრუნვების სიმართლეში, შეუმჩნეველია თავისი სიკოხტავისა და ოსტატობის სიდუმლოებებში“.*

ყველა ეს თვისება, რასაც ჰიუგო აღნიშნავს, ახალ რომანტიკულ ლექსს ნამდვილად ახასიათებდა, ფორმათა მრავალფეროვნებასთან ერთად. რომანტიკოსებმა მართლაც დაამსხვრიეს წინამორბედი კლასიცისტური პოეტიკა, ალექსანდრიული ლექსის ჩაჭედილი წყობა, ლიტერატურული ენა მიუახლოვეს ხალხურ მეტყველებას და თავისუფლად მოექცნენ საკუთარ ზრახვათა პოეტურ გამოთქმას. ამიტომაც იყო, რომ ბაირონის პირველ შედევრებს ასე ულმობლად თავს დაესხნენ კრიტიკოსები, რომლებმაც უმალ იგი ოსიანისა და მაკფერსონის მიმბაძველად გამოაცხადეს, ხოლო ამ უკანასკნელთან ერთად მას მწარედაც დასცინეს. ძველ პოეტიკურ ნორმებს არღვევდნენ შელიც და მიუსეც, ალფრედ დე-ვინიც და ლამარტინიც, სენტ-ბევსა და თვით ჰიუგოზე რომ აღარაფერი ვსთქვათ.

ქართულ რომანტიზმში ამ საქმეს აკეთებენ ალექსანდ-

---

* Виктор Гюго, Собрание сочинений, 1956 г., т. XIV, გვ. 114—115.

რე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი, მაგრამ უველაზე ორიგინალური, უველაზე ძლიერი, ნამდვილად გენიის შარავანდედით მოსილი ნიკოლოზ ბარათაშვილია, რომელმაც მშობლიურ პოეზიას საბოლოოდ მოაცილა აღმოსავლური ლექსის მანტია, რათა იგი ისევ რუსთველურ (დამოუკიდებელ) ძირებთან დაებრუნებინა. და როგორც რომანტიკოსებს საერთოდ, ბარათაშვილს უველაზე მეტი აქვს შემოქმედებითი თავისუფლება.

სწორედ ამ შემოქმედებითი თავისუფლებით უნდა აიხსნას რომანტიკოსების, მათ შორის, პირველყოვლისა, ბარათაშვილის ლექსებში პოეტიკა-ლიცენციის ასე ხშირი შემთხვევები. პოეტიკა-ლიცენციით ისინი აღწევდნენ ლექსის ბუნებრივობასა და ხალხურ მეტყველებასთან მეტ კავშირს. ამიტომ არცერთი ის დარღვევა, რომლის შესახებაც ზემოდ იყო საუბარი, არ განეკუთვნება არც „ტექნიკურ-მუსიკალურ ნაკლს“ და არც „არაბუნებრივ“ მოვლენებს. უველა ისინი პოეტიკა-ლიცენციაა, ამავე დროს, ლექსის მთლიან არსებაში ორგანულად ჩაქსოვილი, თითქოს სხვაგვარად თქმა არც შეიძლებოდა. თუ „ესთეტიკურ-აფთიაქური“, როგორც დობროლუბოვი იტყოდა, საზომით არ მივუდგებით, ლექსის მთლიანი კონტექსტის წაკითხვაში არსად იგრძნობა ის „ნაკლი“, რომელსაც ტრადიციული პოეტიკა აღნიშნავს. აბა წაიკითხეთ ციტირებული ადგილები, სადაც მარცვალთა მიმატება-გამოკლება, სიტყვების არაბუნებრივი განაწილება მუხლებში, არაბუნებრივი მახვილებია, სადაც რითმების „ფონეტიკური შედგენილობა ფრიად აჩრელებულია“, წაიკითხეთ მთელი ლექსის შინაგანი აზრითა და რიტმით, და თქვენ დარწმუნდებით, რომ არცერთი ეს ნაკლი არ იგრძნობა, პირიქით, საოცარი მთლიანობით იკვრება ნაწარმოები, როგორც ერთი ძლიერი პოეტური ამოსუნთქვა. ეს არის ბარათაშვილის პოეზიის საიდუმლოება, რაც გენიაში მდგომარეობს, და რაც ტრადიციული პოეტიკის შეზღუდულ ნორმებში ვერ ეტევა,

ვინაიდან გენიოსს სხვისი დოგმა არ ესაჭიროება, იგი თვითონ ჰქმნის ხელოვნების კანონებს.

აქ უნებლიედ გვახსენდება ისევ ჰიუგო და მის მიერ გამოყენებული ორი ცნობილი ფაქტი.

როცა ლასკაზმა წმინდა ელენეს კუნძულზე ჰკითხა ინგლისელების ტყვედპყრობილ ნაპოლეონ ბონაპარტეს, თუ რატომ არ მიისაკუთრა პრუსიაში ყოფნის დროს ფრიდრიხ დიდის ხმალი, იმპერატორმა უპასუხა: „სულელო, — მე თვითონ მჭონდა ჩემი ხმალიო".

და მეორე, რითაც არსებითად მთავრდება „კრომველის" გენიალური წინასიტყვაობა. ეს არის არისტოტელეს ბრძნული სიტყვები: „თუ პოეტი ადგენს საგნებს, რომლებიც შეუძლებელნი არიან მისი ხელოვნების წესების თვალსაზრისით, ის უეჭველად შეცდომას ჩადის; მაგრამ ის აღარ იქნება შეცდომა, თუ ამ გზით აღწევს მიზანს, რომელსაც ისახავდა; რადგან მან იპოვა ის, რასაც ეძებდა".*

ვინ იტყვის, რომ ბარათაშვილი ყველგან არ აღწევდეს თავის მიზანს და პოეზიაში არ პოულობდეს იმას, რასაც ეძებდა? გარდა ამისა, რად სჭირდებოდა მას ბრმად გაჰყოლოდა სხვის მიერ დადგენილ წესებს, როცა თვითონვე ჰქმნიდა გენიალურ კანონებს? რად უნდოდა სხვისი, როცა თვითონვე ჰქონდა საკუთარი პოეტური ხმალი? მის მიერ დაშვებული დარღვევანი — არცერთი არ არის ნამდვილი დარღვევა, ვიმეორებთ, ეს მხოლოდ პოეტიკალიცენციაა, რომლის უფლება ყველა პოეტს მინიჭებული აქვს, განსაკუთრებით კი გენიოს ხელოვანთ.

ასეთ გენიოსებზე ჯერ კიდევ ლონგინმა სთქვა შესანიშნავად: გენიოსებს არაფრის ეშინიათ, ამიტომ ისინი წესების მხრივ, ხშირად დაუდევარნი არიან შემოქმედებაში, ხოლო საშუალო ნიჭის ადამიანებს ეშინიათ არაფერი შეცდეთ და რიგორისტის სიწმინდით იცავენ პოეტიკის კანონებსო. ჰომეროსს არაერთი „დარღვევა" აქვს, აპოლონ როდოსელს — თითქმის არცერთი, მაგრამ ვინ ისურვებდა ყოფი-

---

* Виктор Гюго, Собрание сочинений, 1956 г., т. XIV, стр. 131.

ლიყო უშეცდომო „არგონავტების“ ავტორი და არა „შეცდომებით სავსე“ ჰომეროსი, თუ არჩევანს მისცემდნენ? მსგავსი მაგალითები „ამაღლებულის შესახებ“ ტრაქტატის ავტორს მრავალი მოჰყავს და აქ აღარ გავიმეორებთ, რაკი მკითხველს შეუძლია ყველა ისინი იხილოს ჩვენს გამოკვლევაში ლონგინზე*.

ბარათაშვილი გენიოსია და არ შეიძლება მას ჩვეულებრივი საზომით მივუდგეთ. მისი საზომი მხოლოდ ერთია — გენიოსის მეტრი და გენიოსის ტალანტი. ამ ძირითადი საზომის უქონლობა ბადებდა იმ უმართებულო შეხედულებებს, რაც ჩვენ ზემოდ უკვე განვიხილეთ.

გენიოსი სულითა და გონებით მდიდარი ადამიანია. შეიძლება სხვა მხრივ ის ღარიბი იყოს, მაგრამ სულითა და გონებით — არასოდეს. სულით ასეთ მდიდარ ადამიანებზე დიდმა გოეთემ სადღაც სთქვა: „სულით მდიდარი ადამიანი თავის სიტყვიერ ქსოვილს ისე ქსოვს, რომ არ ზრუნავს, თუ რა ელემენტებისაგან შედგება იგი; სულით ღარიბი კი ადვილად ლაპარაკობს სუფთად, მას ხომ არაფერი აქვს სათქმელიო“. დიდი ოლიმპიელის ეს ღრმა აზრი ერთგვარად უახლოვდება ლონგინის სავსებით სწორ დეფინიციას და მთელ კონცეფციას ჰქმნის. თუ ამას დაემატება გოეთეს კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც შემდეგი ფორმულირებითაა წარმოდგენილი, რომ „არაფერია იმაზე ადვილი, თუ ყურადღებას მოაშორებ შინაარსს, უთვალთვალო მხოლოდ ერთს — მარტოოდენ გამოთქმასო“, — მაშინ სრულიად ნათელი გახდება ის, რასაც ჩვენ ვამტკიცებდით.

ბარათაშვილი გენიოსია, მაშასადამე, სულით მდიდარი ადამიანია და მას ყველაზე უკეთ მიუდგება გოეთეს დებულება, რომელიც ჩვენ ეს-ესაა მოვიტანეთ. ის თავისი სიტყვიერი ქსოვილის ფერადებს მართლაც ისე ჰქმნიდა, როგორც გოეთე ამბობს, და ამითაც უნებლიედ ამჟღავნებდა, რომ გენიოსია — სულით მდიდარი ადამიანი.

შეიძლებოდა აქ დაგვესვა წერტილი და სხვა საკითხზე გადავსულიყავით, რომ არ იყოს ახალი დაბრკოლებანი. ბარათაშვილი ისეთი რანგის შემოქმედია, რომელიც ყოველთვის

---

* პირველად დაიბეჭდა „მნათობში“, 1964 წელს, № 4.

იწვევს აზრთა შეხლა-შემოხლას, კამათსა და პოლემიკას. ასე რომ არ ყოფილიყო, ის არც იქნებოდა დიდი პოეტი.

და განა არის კიდევ სხვა, მიუღებელი შეხედულებანი, გარდა იმისა, რაც ზემოდ განვიხილეთ?

დიაღ, სამწუხაროდ, არის.

პირველყოვლისა ეს შეეხება მტკიცებას: „ჩვენს მერანს" არ არის სრულად ორიგინალური ლექსი ბარათაშვილის", „თავი და პირველი აზრი ლექსისა ეკუთვნის პოლონეთის დიდებულ პოეტს მიცკევიჩს".* ეს აზრი ჩვენ დიდიხანია უარვყავით. კრიტიკულ გამოკვლევაში — „მერანი" დავამტკიცეთ, რომ დიდი ქართული შედევრი „ჩვენს მერანს" თავიდან ბოლომდე ორიგინალურია, მას საერთო არაფერი აქვს (გარდა ზოგიერთი გარეგნული ნიშნისა) ადამ მიცკევიჩის „ფარისთან". რომ დაასაბუთონ — „მერანი" დაწერილია „ფარისის" გავლენითო, ეძებენ დოკუმენტებს — წაკითხული ჰქონდა თუ არა ქართველ რომანტიკოსს პოლონელი პოეტის შედევრი. და მასალებიც არის: ბარათაშვილის დროს არსებობდა „ფარისის" ორი რუსული თარგმანი — ორივე 1829 წელს დაბეჭდილი. უპირატესობას აძლევენ პ. პ. მანასეინის თარგმანს. ვიდრე ვ. ნ. შჩასტნისა, თან დასძენენ — სოლომონ რაზმაძის ქართული თარგმანიც 30-იან წლებში უკვე ცნობილი იყოო. ამას ემატება შემდეგი გარემოებაც: რუსული ლიტერატურის ცნობილი მასწავლებელი ნიკოლოზ დემენტიევი, რომელსაც ბარათაშვილი და მისი მეგობრები დიდი სიყვარულით ეპყრობოდნენ. ჩინებული დეკლამაციით უკითხავდა თავის მოწაფეებს მიცკევიჩის „ფარისსო". ბარათაშვილს ერთ დროს უყვარდა „გიმნაზიის დირექტორის დემენტიევის ქალიშვილი", რაც „ფარისის" პატივისმცემელთან მის სიახლოვეს მოწმობსო. ევროპული ლიტერატურა იცოდაო. სრულიად უეჭველია, რომ სოლომონ დოდაშვილის მოწაფე საბერძნეთისა და რომის ისტორიას, ისევე, როგორც რუსეთისა და საქართველოს წარსულს, პაპიზმის არსებას, ევროპულ ლიტერატურასა და ფილოსოფიას მართლაც კარგად

* იონა მეუნარგია, „ქართველი მწერლები", 1954 წ., ტ. I, გვ. 231. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

იცნობდა. აქ საკვირველი არაფერია. საოცარი მხოლოდ ის არის, რომ „მერანის“ პოლონური ძირიდან ამოზრდის ავტორებს, ერთი რამ ავიწყდებათ: ვის არ უსწავლია „ფაუსტი“, „ვერტერი“, „ჩაილდ ჰაროლდი“, „ევგენი ონეგინი“, ბევრს არაერთი ადგილი ზეპირად დაუხსომებია, მაგრამ მეორე „ფაუსტი“, „ვერტერი“, „ჩაილდ ჰაროლდი“, „ევგენი ონეგინი“ არ დაუწერია, გარდა უნიჭო მიმბაძველობისა. ლიტერატურის ისეთი შედევრები, როგორიცაა „ფარისი“ ან „მერანი“, მხოლოდ ერთხელ იწერება, და გავლენით ახსნა ერთის ან მეორის მოვლინებისა, არამარტო შეცდომად, დიდ ცოდვადაც უნდა ჩაითვალოს. სხვა საქმეა, როცა უნიჭო პოეტი ნიჭიერს ბაძავს, სუმაროკოვი — შექსპირს და ცდილობს მისი ნაწარმოებისადმი მიმსგავსებული შექმნას. ასეთი ფაქტებით ლიტერატურის ისტორია უფრო მდიდარია, ვიდრე ღარიბი. მაგრამ მათზე ლაპარაკიც არა ღირს. რაც შეეხება გენიოსებს, ისინი თავისუფალნი არიან მსგავსი ცდომილებისაგან. ბარათაშვილი უეჭველად იცნობდა მიცკევიჩის „ფარისს“, მაგრამ მისი გენიალური „მერანი“ სულ სხვა რანგის პოეტური შედევრია, რომელსაც ჩვენ თავის ადგილზე დაწვრილებით გავარჩევთ.

ქართული ლიტერატურის ბედნიერებაა, რომ ბარათაშვილი, რომელსაც უმაღლესი განათლება არ მიუღია, დიდად ნაკითხი, მრავალმხრივ ნასწავლი კაცი იყო. არიან უსწავლელი და ნასწავლი გენიოსები. „მერანის“ ავტორი ამ უკანასკნელთა ფალანგას მიეკუთვნება. მაგრამ მისი ძირითადი წყაროები ცოდნისა, უპირველესად, ქართული, თუმცა ევროპული და რუსული მწერლობა კარგად აქვს შესწავლილი. მართალია, ბარათაშვილის დროს ზოგიერთი ქართული დიდი ლიტერატურული ძეგლი მიკვლეული არ იყო, როგორც, მაგალითად, ცურტაველისა და მერჩულეს კლასიკური თხზულებანი. ამიტომ, ცხადია, ჩვენი პოეტი მათ არ იცნობდა, მაგრამ, დოდაშვილის მიწაფეს უეჭველად შესწავლილი აქვს ყველა ის მწერალი, რომელსაც მისი მასწავლებელი თავის კრიტიკულ-ისტორიულ ეტიუდში — „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა“ იხსენიებს. ყველაზე მეტად ბარათაშვილი აღ-

ზრდილიარუსთაველის პოეზიაზე, მისი პოემა მთლიანად გადაუწერია და მოუხატია კიდეც. „ვეფხის ტყაოსნის“ მადლიანი ნაკვალევი ხომ აშკარად იგრძნობა მის ლექსებში. თუ დავუჯერებთ ბარათაშვილის სკოლის მეგობარს ისარლიშვილს, მათ ზეპირად სცოდნიათ „ვეფხის ტყაოსნის“ „მთელი ადგილები“, გარდა ამისა, კითხულობდნენ „ვისრამიანს“, ჩახრუხაძეს („თამარიანი“ — გ. ჯ.), ალ. ჭავჭავაძეს. აღარაფერს ვამბობთ ბიბლიაზე, ძველი ქართული ისტორიული მწერლობის ძეგლებზე: „ქართლის ცხოვრება“ რომ ღრმად შესწავლილი არ ჰქონებოდა, ბარათაშვილი პოემა „ივერიელნს“ ვერ დაწერდა. მთელი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ქართულ ძირებზეა აღმოცენებული და მსოფლიო კულტურის ღრმა ცოდნით არის გაცისკროვნებული.

მაგრამ კმარა. ისევ კრიტიკას მივუბრუნდეთ.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ თავისი კრიტიკული შენიშვნების უმართებულობა იონა მეუნარგიამ უთუოდ თვითონვე იგრძნო შინაგანად და ამიტომ დასძინა: „მაგრამ... ბარათაშვილი მაინც ბარათაშვილია. რაც უნდა ძონძი ჩაიცვას ამ კაცმა. ის არის „ჩემს მერანის“ ავტორი, მას ეკუთვნის „არ უკიჟინო, სატრფოო“ — ჩემის ფიქრით, საუკეთესო ლექსი აოეტისა — და ამ ლექსების დამწერს, სხვა რომ არა დაეწერა რა, მაინც მეფე ეთქმის მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობისა. ის მცირე რამ ნაკლი, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, არას დააკლებს მის ბრწყინვალებას... ვენერა სიარულით იცვნესო, — უთქვამს ძველ მწერალს“.*

აქ ყველაფერი ჭეშმარიტია: ის, რომ „ბარათაშვილი მაინც ბარათაშვილია“, ძონძიც რომ ჩაიცვას, მაინც ბარათაშვილს გამოვიცნობთ, ვენერას მსგავსად, იმდენად გამოკვეთილი პოეტური ინდივიდუალობაა, რომ ბარათაშვილს, „მერანისა“ და „არ უკიჟინოს“ ავტორს, სხვას თუ არაფერს დაგვიწერდა, მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის მეფობას ვერავინ წაართმევდა; ისიც

* იონა მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. *, გვ. 231.

სრული ჰეშმარიტებაა, რომ მეუნარგიას შენიშვნებმა, რომლებიც აგერ 70 წელიწადზე მეტია იცის ქართველმა მკითხველმა, მართლაც ვერაფერი დააკლო ჩვენს გენიოსს. პირიქით, რაც დრო გადიოდა, ბარათაშვილის დიდება უფრო მეტი შარავანდედით იმოსებოდა. ისიც საგულისხმოა, რომ 1893 წელს, როცა „ივერიაში“ დაიწყო მეუნარგიას წერილის ბეჭდვა, როცა პოეტის ნეშტი განჯიდან თბილისში გადმოასვენეს, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სიტყვებში არსებითად გაბათილებულ იქნა კრიტიკოსის ყველა შენიშვნა. აკაკი წერეთელმა კი, პირველმა ქართველთაგან, ბარათაშვილი დააყენა რუსთაველის გვერდით, როცა სთქვა: „აქამომდე ჩვენ წარმოვიდგენდით თამარს თავზე ძლევა-მოსილ გვირგვინით, რომელსაც გვერდით უდგა ძლიერის ჩანგით საკადრისი მისი მწერალი რუსთაველი. დღეიდან უფრო დასრულებული იქნება ეს ხატი, მეორე გვერდით ედგომება ბარათაშვილი“. რუსთაველისა და ბარათაშვილის გვერდ-გვერდით დაყენება თამარის ძლევამოსილი გვირგვინის ფონზე, მგონი, სრულყოფილი ალეგორია კი არ არის მარტოოდენ, იმ ჰეშმარიტების ბოლომდე თქმაა, რომ ბარათაშვილი რუსთაველის ყაიდის გენიოსია და ამგვარ გენიოსს მართლაც ვერაფერს დავაკლებთ კრიტიკული შენიშვნებით, როგორც ჰომეროსსა და შექსპირს ვერაფერი წაართვეს უთვალავმა კრიტიკოსებმა; ვერაფერი წაართვეს იმიტომ, რომ ჰეშმარიტი გენიოსი ოლიმპის მწვერვალივით მაღლა დგას და ისრის სატყორცნად მისი შეწვდენა ნიჭიერ ადამიანებსაც არ შეუძლიათ. კიდევაც რომ მივწვდეთ, ისარი უკანვე გვიბრუნდება.

სწორედ ასეთი გენიოსები არიან რუსთაველი და ბარათაშვილი, დანტე და შექსპირი, გოეთე და ბაირონი, პუშკინი და ლერმონტოვი. მათ ისე ფართოდ შეახედეს კაცის თვალი გარესამყაროს, ისე ჩაახედეს საკუთარ „მეში“, ისე შეაგრძნობინეს ჭვენიერება და სილამაზე, ისე აუმაღლეს და გაუფაქიზეს ლტოლვილი სული, რომ სამუდამოდ იქცნენ არამარტო თავისი ერის, მთელი კაცობრიობის გულთამხილავ მომღერლებად.

სწორედ ამგვარ გენიოსებზე შეიძლება ითქვას დიდი ბალზაკის სიტყვები ოდნავი გადასხვაფერებით — საფრანგეთს თუ კაცობრიობით შეცვლით: დაიცავით გენიოსების ხელოვნებანი და ენა, ვინაიდან, როცა აღარ იქნებიან ჩვენი მატერიალური ინტერესები, ადამიანები იცოცხლებენ მათს ქმნილებებში, რომლებიც არასოდეს მოკვდებიან და, კაცობრიობა კიდევაც რომ გაჰქრეს, იტყვიან: „აქ იყო კაცობრიობა!“*

ჩვენც სრული უფლებით შეგვიძლია იგივე კთქვათ რუსთაველსა და ბარათაშვილზე. მათ სამუდამოდ უკვდავყვეს საქართველო და ქართული ენა, ორივე დაუკავშირეს მსოფლიოსა და კაცობრიობას!

ამიტომ იკითხეთ და დაიზეპირეთ რუსთაველი!

იკითხეთ და დაიზეპირეთ ბარათაშვილი!

ეს თქვენ სულიერად აღგამაღლებთ და გაგაკეთილშობილებთ.

როგორც ძველად ქართველი ვერ წარმოიდგინებოდა, თუ რუსთაველის პოემას ზიარებული არ იყო, ბარათაშვილზეც იგივე უნდა გავიმეოროთ. რუსთაველთან ერთად იკითხეთ და ისწავლეთ ბარათაშვილი — დიდი ქართველი რომანტიკოსი, რომლის პოეზიას არაჩვეულებრივი ძალა აქვს — მორალური და ესთეტიკური. ეს პოეზია იმდენად ღრმაა, იმდენად მშვენიერი, იმდენად ფაქიზი, იმდენად ნატიფი და ადამიანური, რომ კაცის გულს არამარტო ესალბუნება, სულსაც უმაღლებს.

სულის ამ ამაღლებას ვხედავთ ბარათაშვილის ლირიკულ გმირში, რომელსაც ახლა გავეცნობით.

---

* ბალზაკს ასე აქვს ნათქვამი; „მაშ დაიცავით ხელოვნებანი და ენა, ვინაიდან, როცა აღარ იქნებიან თქვენი მატერიალური ინტერესები, თქვენ იცოცხლებთ ჩვენს ქმნილებებში, რომლებიც არასოდეს მოკვდებიან და, ჩვენი ქვეყანა კიდევაც რომ გაჰქრეს, იტყვიან; „აქ იყო საფრანგეთი“ (იხ. ბალზაკის „წერილი XIX საუკუნის ფრანგ მწერლებს“, თხზულებათა კრებული, ტ. 24, გვ. 69, რუს. გამ.). წერილი დაბეჭდილია „რევიუ დე პარის“ 1834 წლის 2 ნოემბრის ნომერში.

თავი III

## ლირიკული გმირი ბარათაშვილისა

თუ საერთოდ რომანტიზმმა ფართოდ განავითარა ლირიკული ეანრი, გამონაკლისს არც ქართული და მით უფრო ბარათაშვილის პოეზია არ წარმოადგენს.

ლირიკა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სულის ყველაზე პრედიკატული სტიქია იყო. ეპიკურშიც ეს პოეტური სული თანაბრად ძლიერი გვეელინება, თუმცა ლირიკულს ჯერ კიდევ არ შორდება და თავის თავს მკაცრად გამიჯნულ თვითმყოფ ფენომენად არ გამოყოფს. ბარათაშვილს რომ მეტხანს ეცოცხლა, შეიძლებოდა ეს უფრო შესამჩნევად მომხდარიყო, თუმცა ძნელია ამის მტკიცება. ეს ვერ შეიძლო ბაირონმა, რომელმაც ბარათაშვილთან შედარებით ცოტა მეტი იცოცხლა და ვერც ოთხმოც წელს გადაცილებულმა გოეთემ. ეტყობა პოეზია ლირიკის პირმშოა და როგორი ეპიკური ფორმაც არ უნდა მიიღოს, ლირიკას ვერ გაექცევა. ისეთი ეპიკური პოეტებიც კი, როგორიც იყვნენ ჰომეროსი და ჰესიოდე, ვერ ახერხებენ ლირიკულს თავი დააღწიონ. სადაც პოეზიაა, იქ აუცილებლად შემოქმედის სუბიექტიცაა, და სუბიექტს, როგორადაც არ უნდა სცადოს დამალოს თავისი თავი, არ შეუძლია შინაგანი არსება რამდენადმე მაინც არ გაამჟღავნოს. ეს გამჟღავნება პოეზიაში უმალ ღებულობს ლირიკულ სახეს და ეპიკურში იჭრება, როგორც მისი მუდმივი მხლებელი. თუ ასეა ეპიკურისა და ლირიკულის, როგორც პოეტური ფენომენების შედარებით მკაცრი გამი-

ჯვნის დროს, კიდევ უფრო ნათელია ლირიკულის პრევალირება საწინააღმდეგო შემთხვევაში. ბარათაშვილი კლასიკური მაგალითია, როგორც ბაირონი და გოეთე, სხვა პოეტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

რას წარმოადგენს ბარათაშვილის ლირიკული გმირი, მთავარი მოქმედი სუბიექტი მისი პოეზიისა? რა ძირითადი ნიშნებით შეიძლება იგი დავახასიათოთ?

ლირიკული გმირი ბარათაშვილის პოეზიისათვით პოეტია, მაგრამ შემოქმედებითად ამეტყველებული და მხატვრულად გასრულადებული. ეს გმირი რომანტიკულია, როგორც ბელისა და ბაირონისა, ლამარტინისა და ლერმონტოვისა, მაგრამ სრულიად ორიგინალური, თვითმყოფი, ნაციონალურია, რომელშიაც ასე ორგანიულად დამკვიდრდა ზოგადკაცობრიული იდეაც და სულიც. ბარათაშვილის ლირიკული გმირი ისეთივე დიდი მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურაში, როგორც გენიოსი რომანტიკოსი პოეტებისა. ეს გმირი რომ გაიგო, საჭიროა იცოდე პოეტის არა მარტო შემოქმედება და ცხოვრება, არამედ, საქართველოს ისტორიული პირობები, რომლებმაც თავისებური გამოხატულება ჰპოვეს ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის სახით.

მოყოლებული კრწანისის ტრაგედიიდან 1795 წელს, როცა აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი ააოხრა, იმდროინდელი ქართველობა მწარედ განიცდიდა შექმნილ სიტუაციას. მოხუცი ერეკლე, რომლის დაუცხრომელი ენერგია ცდილობს ფერფლიდან კვლავ აღადგინოს თბილისი, გრძნობს, რომ საქართველოს ძლიერება გატეხილია და მას ვეღარ უშველის ირანიდან წამოსული ონავრის დაღუპვა. 1798 წელს ირაკლი გარდაიცვლება, ტახტზე ადის მისი ვაჟიშვილი გიორგი, ჭკვიანი, მაგრამ ავადმყოფი მეფე, რომელსაც ორი წლის შემდეგ მიწას მიაბარებენ და იწყება დაუსრულებელი ინტრიგები, როგორც შინაური, ისე გარეგანი, საქართველოს ტახტისათვის. მალე სამეფო ტახტი უქმდება, 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთს შეუერთებენ, წესდება ახალი მმართველობა და იწყება ახალი ისტორია.

მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახალი გზას ვერ იკაფავს

ძლიერი ოპოზიციის გარეშე, ამას ემატება ზოგიერთი მმართველის ძალმომრეობა, მოსახლეობის დაბალი ფენების აუტანელი მატერიალური გაჭირვება და საქართველოში იწყება აჯანყებები, მათ შორის მთიულეთისა — 1804 წელს, რომელშიაც ახალგაზრდა ალექსანდრე ჭავჭავაძეც ღებულობს მონაწილეობას.

პირველი სამამულო ომი, რუსეთში შემოჭრილი ნაპოლეონის დიდი არმიის წინააღმდეგ, თავისებურ გავლენას ახდენს ქართულ ყოფა-ცხოვრებაზეც.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ყურადღებამისაქცევია ერთი გარემოება: ბარათაშვილისა და მისი სკოლის მეგობართა მიერ გამოშვებული ხელნაწერი ალმანახიც ეხმაურება ნაპოლეონის შემოსევას რუსეთში. უცნობი ავტორის ლექსში, რომელიც სულ ოთხი სტროფია, ვკითხულობთ:

„როს ნაპოლეონ შვიდ მეფით, სამტეროდ ჩვენზედ მოვიდა,
ბრძოლისა გამო ჩვენისა, სირცხვილეული წავიდა“...*

თუ გიმნაზიის მოსწავლენი ასე ეხმაურებოდნენ ნაპოლეონის ლაშქრობას და მის დამარცხებას, ადვილი წარმოსადგენია როგორი რეაგირება იქნებოდა თვით საზოგადოებაში. არაერთი ქართველი ოფიცერი და გენერალი მამაცურად ებრძვის ნაპოლეონს, მათ შორის ბაგრატიონი და იაშვილი, ფანჩულიძე და ჭავჭავაძე.

ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ მეფის რუსეთი უფრო ენერგიულად მკვიდრდება საქართველოში. ქართველი თავადაზნაურები, ვინც რუსული იცის, ადგილობრივ სახელმწიფო სამსახურში შედიან. ძლიერდება კაპიტალი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რაც ბუნებრივად იწვევს ძველი ფეოდალური მეურნეობისა და ტრადიციულ ურთიერთობათა რღვევას. სამეფო ტახტისა და დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი მწვავდება. მკაფიო გამოხატულებას იგი პოულობს 1932 წლის შეთქმულებაში. მაგრამ შეთქმულება სასტიკად მარცხდება, მიზანს ვერ აღწევს.

* საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, № 2684. მართლწერას, ცხადია, ვცვლით.

იწყება რეპრესიები, იმდროინდელი ყველაზე ძლიერი ინტელიგენციის. ვინც შეთქმულების მონაწილე იყო (სოლომონ დოდაშვილი, ფილადელფოს კიკნაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, გრიგოლ, ვახტანგ, ალექსანდრე ორბელიანები და სხვ.) გადასახლება რუსეთის იმპერიის გუბერნიებში. კულტურის მოღვაწეს, ვინც საქართველოში დარჩა, გასაქანი არა აქვს, ვინაიდან ქართულ ენაზე არ არსებობს არც გაზეთი, არც ჟურნალი, არც კლუბი, არც თეატრი.

ზოგადად ასეთი იყო იმდროინდელი ისტორიული ვითარება, როცა ნიკოლოზ ბარათაშვილმა შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო.

ახლა ჩვენ გვსურს გადმოვსცეთ ბარათაშვილის ლირიკული გმირის ბიოგრაფია, და როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, როცა ადამიანის ცხოვრებას აღწერენ, ჩვეულებრივ მისი დაბადების თარიღს მიუთითებენ, ამჯერადაც ასე უნდა მოვიქცეთ.

ბარათაშვილის ლირიკული გმირი პირველად ჩნდება გასული საუკუნის 30-იან წლებში, როგორც ჩვენ ეს უკვე ვნახეთ ალმანახისეული ლექსების გარჩევის დროს. მაგრამ ნამდვილად იბადება 1833 წელს, როცა ბაიათის ფორმით იწერება ლექსი — „ვარდი და ბულბული“, შემდეგ წელს რომ ახალი ვარიანტის სახეს მიიღებს. ეს უკვე ლექსის საბოლოო რედაქციაა და მასში ბარათაშვილის ლირიკული გმირი მთელი თავისი არსების მხოლოდ ზოგიერთ ძირითად ნიშანს გაამჟღავნებს. ახალ ვარიანტში მას ეწოდება „ბულბული ვარდზედ“. ლექსის თემა ორიგინალური არ არის. აღმოსავლეთის პოეზიასა და აღორძინების ხანის ქართველი პოეტების (განსაკუთრებით თეიმურაზ პირველის) შემოქმედებაში ეს თემა იმდენად სრული სახითაა დამუშავებული, რომ ახლის თქმა თითქმის აღარ შეიძლებოდა. მაგრამ ბარათაშვილმა მას თავისებური პოეტური ასპექტი მისცა. აღმოსავლეთის პოეზიაში ვარდი ყოველთვის წარმოდგენილია, როგორც ობიექტი ბულბულის უსაზღვრო ტრფობისა. ამ მაგისტრალურ ხაზს არც ბარათაშვილი შორდება; მისი ბულბულიც, ვარდზე მჯდარი, შეჰყეფს თავის სატრფოს, სურს და მოელის მის გაშლას, მაგრამ დილით,

როცა გაეღვიძა, დაინახა დამჭკნარი ვარდი, ბულბულს „გული მოუკვდა“, თვალები ცრემლით აევსო, გული კი სევდით, ყველას მოუხმო და უამბო:

„განთიადით ღამედმდე
შევფრფინვიდი კოკრობას,
არ ვზოგავდი სიცოცხლეს,
უძილობას, გალობას;
მჭონდა მცირე წადილი,
ვერ მივხვდი კი ძნელობას:
მსურდა გაშლა ვარდისა,
არ ვჰფიქრობდი დაჭკნობას!“

მცირე წადილის ეს ვერმიწვდენა ბარათაშვილის პირადი ცხოვრებისა და პოეზიის ერთი ძირითადი გაბმული მოტივია, რომელიც ყოველთვის ღრმა სევდაში გადადის. ეს სევდა, მისი ლირიკული გმირის მუდმივი მხლებელი, კეთილშობილ ზრახვათა ულმობელ მსხვრევაზე აღმოცენდება ხოლმე. შემდეგ იგი მიიღებს პესიმიზმის სახეს და ფორმდება, როგორც საერთოდ რომანტიკული ლირიკული გმირის ზოგადი ბუნება თავისი მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ნიშნებით.

ამგვარივე იმედების მსხვრევა, წადილის ვერ მიწვდენა და უიმედობის აპოთეოზია „ქეთევან“, რუსთველურისა და ჩახრუხაულის შეერთებით დაწერილი, რომელიც 1835 წლით არის დათარიღებული. ქეთევანი ავი ენის ანუ ცილისწამების უდანაშაულო მსხვერპლია, თუმცა, შურის მიუხედავად, უბიწო სიყვარულის განსახიერებას წარმოადგენს. მას უკვირს, თუ როგორ შეიძლება ცილის ერთი დაწამებით გულისწორმა ამდენი ხნის სიყვარული გასწიროს. მაშინ რად ეფიცებოდა საუკუნო სიყვარულს. რად ალხენდა სატრფოს, თუ ასე უდროოდ მოჰკლავდა? რად მიიზიდა მისი უმანკო და უზრუნველი გული, თუ ასე დაუჭკნობდა ყმაწვილობის ჯერ კიდევ გაუშლელ ყვავილს?

და ბარათაშვილის ნორჩი ლირიკული გმირი, რომელიც ეს-ესაა ცხოვრების ზღვაზე ამტყდარ ქარიშხალს პირველად უდგება პირისპირ, გრძნობს მღვრიე ტალღების ხმაურს, თუმცა ჯერ კიდევ ბოლომდე არა აქვს შეგნებული მისი

ძალა, ხოლო ბოროტება შედარებით ნაკლები წინააღმდეგობის გზით აღწევს თავის მიზანს. სუსტი ობიექტი მარცხდება, მაგრამ დაიმედებულია, რომ იქ, სხვა სოფელში, უზენაესთან, მისი ცხოვრება გაგრძელდება. სატრფო შეიტყობს სიმართლეს, ბოროტებას ფარდა აეხდება და უდანაშაულო მსხვერპლი გამართლდება. ეს არის ბარათაშვილის ნორჩი ლირიკული გმირის ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ ი ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა, რომელიც სენტიმენტალურ ასპექტში რომანტიული მოსასხამით გვევლინება. იგი მისტირის ბოროტების უმანკო მსხვერპლს და მისი მძიმე ხვედრის თანამოზიარე ხდება.

მაგრამ რა არის იქ, იმ სხვა სოფელში, სადაც ყველა მიდის, უკან კი ამბის მომტანი არავინ ბრუნდება?

სამყარო ჩვენი არამარტო უ ს ა ს რ უ ლ ო ბ ი თ გვაოცებს, აუხსნელი ს ა ი დ უ მ ლ ო ე ბ ი თ ა ც გვიზიდავს, როგორც საკვირველებაში გაშლილი მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ი ს ა მ ე ფ ო. ამ სამეფოს ჭვრეტს ბარათაშვილის ნორჩი ლირიკული გმირი, რომელსაც მშობლიური მთაწმინდის ულამაზესი სანახებიდან მთელი სამყარო ეზმანება. ეს ზმანება ძლიერად შეატოკებს მისი მდიდარი სულის რაფინირებულ ხვეულებს და 1836 წელს იწერება საოცარი „შ ე მ ო ღ ა მ ე ბ ა მთაწმიდაზედ“ — არამარტო ქართული, მთელი მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი დამამშვენებელი შედევრი. ამ ჯადოქრულ პოეტურ ქმნილებაში სრულიად ჭაბუკი — ოცი წლის ბარათაშვილი პირველად გამოჩნდა, როგორც გ ე ნ ი ო ს ი, პირველად ეზიარა მხატვრული მეტყველების ოლიმპის მწვერვალს და პირველად დაიდგა თავზე ა პ ო ლ ო ნ ი ს უკვდავი გვირგვინი.

„შემოღამება მთაწმიდაზედ“ ბარათაშვილის პოეტური გენიის პირველი გამოღვიძება იყო. შემდეგ მას აღარ დაუძინებია და მისი ლირიკული გმირი, ბავშვობიდან გამოსული, ყმაწვილობის ასაკში შევიდა. მისი პოეტური თვალის წინაშე სულ სხვაგვარად გადაიშალა არამარტო მშობლიური მთაწმინდის უმშვენიერესი ადგილნი „დამაფიქვრელნი, ვერანანი, და უდაბურნი“, არამედ, ვარსკვლავებით მოჭედილი უსასრულო ცა და ა ზ რ ი ს მ ე რ ი დ ი ა ნ ე ბ ი პ ი რ ვ ე ლ ა დ მ ი ე ბ ჯ ი ნ ე ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ო ე ბ ი ს კ ო ო რ დ ი-

ბატებს. ადამიანი ხომ უხსოვარი დროიდან განცვიფრებული შესცქეროდა მის ზევით არსებულ უცნაურ ქვეყანას, რომელიც ღმერთად მიიჩნია და რომლისთვისაც თვით ღმერთი შექმნა. რელიგიის პარალელურად, მან შექმნა აგრეთვე ასტროლოგია და ასტრონომია. შემდეგ უარჰყო ღმერთიც, რელიგიაც და ასტროლოგიაც, როგორც სასტიკი ცდუნებანი. დაეყრდნო ასტრონომიას, როგორც მეცნიერებას, და მეცნიერების ტექნიკასთან შედარებით კოსმოსში შეიჭრა. კოსმოსის ათვისების გზაზე ადამიანმა უკვე გაარღვია გრავიტაციული ბარიერი და არღვევს ბიოლოგიურს. ეს უკანასკნელი უფრო რთული აღმოჩნდა, ხოლო, თუ რამდენად ხანგრძლივი დრო დასჭირდება, ჯერ ვერავინ ამბობს. კიდევ უფრო ძნელი იქნება სულიერი ბარიერის გარღვევა. სხვა პლანეტაზე გადამსხდარი ადამიანი სულით დიდხანს იქნება ჩვენი პლანეტის შვილი და „კოსმოსური სევდა“, რომელიც უეჭველად გაჩნდება, შესაძლოა სულ ახალი პოეზიის საგნად იქცეს. მაშინ უეჭველად დაიბადებიან „კოსმოსური სევდის“ პოეტები — ახალი მიუსეები და ლეოპარდები. ბარათაშვილები და ლერმონტოვები. მაშინ შემოწმდება რამდენად მარადიული იყვნენ ჩვენი ეთიკური ნორმები და ჰუმანიტარული პრინციპები, რომლებითაც დედამიწაზე ვცხოვრობდით. მაგრამ ეს შორეული მომავლის პრობლემაა. ბარათაშვილი კოსმოსს ჰვრეტდა ჩვენი პლანეტის მერიდიანებიდან, ჰვრეტდა. როგორც „მსოფლიო სევდის“ პოეტი, რომელსაც „კოსმოსური სევდის“ რაღაც აჩრდილი ეზმანებოდა. მაგრამ მოაზროვნე კაცი, ფხიზელი ანალიტიკური და დიდი პოეტური ხედვით დაჯილდოებული, გრძნობდა, რომ ადამიანის შემეცნება სუვერენულია, უსაზღვროების წვდენა მას არ შეუძლია. ბარათაშვილს, ცხადია, არ შეეძლო ეთქვა — სუვერენულიც არის და არასუვერენულიცო, ვინაიდან მისი დრო, იმდროინდელი ყოფა საამისოდ არავითარ საფუძველს არ აძლევდა, მას შეეძლო მხოლოდ ის გაეკეთებინა, რომ მშვენიერი მთაწმინდის რომელიღაც მოხერხებული ადგილი შეერჩია, იქ

რაიმეს მიყრდნობოდა ან მიწაზე წამოწოლილიყო და გენიოსის თვალები ცის უსაზღვროებისათვის მიეპყრო:

„ოჰ, ვით ყოველი ბუნებაც მაშინ
იყო ლამაზი, მინაზებული!
ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი
ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!
აწცა რა თვალნი ლაქვარდს გიხილენ,
მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ
და ჰაერშივე განიბნევიან!
მე, შენსა მჭვრეტელს, მავიწყდების
საწუთროება,
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა...
ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ
ამაოება...
მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი
განგებას ციურს!•

ბარათაშვილის ლირიკული გმირის ამ ახლადგაღვიძებულმა ფხიზელმა გონებამ იგრძნო, რომ აქაც ვერწვდენაა სურვილისა, აზრს არ შეუძლია თავისი მასშტაბებით უსაზღვროებას კიდე-განს მიუახლოვდეს, უკანვე უნდა დაუბრუნდეს საწუთროებას, თუმცა გულისთქმა მარადიულად რჩება ცის იქით სადგურის მაძიებელი. აქ ჰაბუკი პოეტი, სრულიად დამოუკიდებლად, პირდაპირ მიადგა კანტის ტრანსცენდენტალურისა და ტრანსცენდენტურის პრობლემას, რასაც ჩვენ ქვემოთ შევეხებით, როცა მთელ ლექსს ცალკე გავარჩევთ.

---

• სარგის გორგაძემ პირველმა დაწერა მონოგრაფიული გამოკვლევა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტიკის საკითხებზე. მიუთითა, რომ „შემოღამება მთაწმიდაზედ“ წარმოადგენს „მცირებესიკურისა და შავთელურის შეერთებასო“. ჩვენ ვიზიარებთ მის კლასიფიკაციას და მომდევნო ლექსების ანალიზის დროსაც ყველგან უცვლელად დავტოვებთ, მიუხედავად იმ კრიტიკული შენიშვნებისა, რაც ხსენებული გამოკვლევის მიმართ გავაკეთეთ ჩვენი მონოგრაფიის მეორე თავში, სადაც ბარათაშვილს ვახასიათებდით, როგორც დიდ ქართველ რომანტიკოსს. იხ. ს. გორგაძის წერილი: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ფორმა“, წიგნში — „ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები“, 1922 წ., გვ. 220—236.

ეს დაუცხრომელი სულის ძიება ბარათაშვილის ლირიკულ გმირს შემთხვევით არ გააგონებს საკვირველ იდუმალ ხმას, რომელიც ყოველ ადამიანს, წუთისოფელში შესვლისთანავე, ეზმანება, როგორც საკუთარი ხვედრი. მთელი ჩვენი არსება ისეა მოწყობილი, ადამიანს ყოველთვის ისე ესახება მომავალი, როგორც იდეალური, და არ არის კაცთა შორის თითქმის არცერთი, თუ მას ნორმალურად განვითარებული გონება აქვს, რომ იქ, სადღაც შორეულ დროში, წინ როს მოგველის, ბედნიერების ვარსკვლავს არ ვხვრეტდეთ. ადამიანს რომ ეს ბუნებრივი გრძნობა, ეს ბუნებრივი რწმენა არ ჰქონდეს მომავალში გამოუცნობი ხეტარებისა, საეჭვოა მან რაიმე გააკეთოს, საერთოდ რაიმეს ხელი მოჰკიდოს, რაიმე იმედით განიმსჭვალოს. ჩვენ ყოველთვის აწმყოში ვმუშაობთ, მაგრამ ყოველთვის მომავლის იდეალით.

და ბარათაშვილის ლირიკულ გმირსაც, გულში რომ „ჩუმი ნაღველი" შეჰპარვია, ესმის საკვირველი იდუმალი ხმა, რომელიც „ცხადად თუ სიზმრად" მხოლოდ ერთს ეუბნება: შენი ხვედრი ეძიე, იქნებ შენივე შესაფერი ბედი წილად გხვდესო. ასეა ნათქვამი 1836 წელს დაწერილ უმშვენიერეს ლექსში „ხმა იდუმალი", სადაც გამჟღავნებულია ყმაწვილობის დროიდანვე ეს საკვირველი, მაგრამ სავსებით ბუნებრივი ზმანება მომავალი ბედნიერებისა.

მაგრამ, რა ხდება? განა ბევრი მოიძებნება ადამიანთა შორის, რომელსაც ახდენოდეს მომავლის ზმანება, ის ჭაბუკობის-დროინდელი ოცნებანი, რომლებიც ასე გვიტაცებდნენ, გვიზიდავდნენ და გვიბიძგებდნენ წინ — აღთქმული ბედნიერებისაკენ?

შეიძლება ასეთ ბედნიერ ადამიანთა რიცხვი თითზე ჩამოსათვლელი იყოს, ხოლო იმედგაცრუებულთა არმია უთვალავი რომ არის, სრულიად უეჭველია. ამ დიდ არმიას მიეკუთვნება ბარათაშვილის ლირიკული გმირიც — ის ვერ პოულობს საკუთარ ხვედრს და „მით კაეშანს ვერღა იშორებს". ნუთუ ეს არის სინიდისის დევნის ხმა? — შექსპირის მსგავსად აყენებს კითხვას ბარათაშვილის ლირიკული გმირი, და შექსპირის მსგავსადვე უპასუხებს:

„მაგრამ მე ჩემში ვერ პპოვებ ავსა,
მისს საშფოთველოს და საქენჯნავსა?“

ბედისადმი მორჩილება, რაც ასე ნათლად ჩანდა წინა ლექსებით, შავთელურად დაწერილ „ხმა იდუმალში“ პირველად იცვლება, პირველად ირღვევა, და ბარათაშვილის ლირიკული გმირი პირველად იღებს მახვილს, თუმცა ჯერ კიდევ სუსტს, ულმობელ ბედთან შესარკინებლად:

„ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი,
ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი?
ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ,
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?
როს ვსცნა მე შენი საიდუმლობა,
როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?..“

მაგრამ აქ, როგორც ყოველგვარ ბრძოლაში ხდება ხოლმე, ჯერ მარტოოდენ ძალების მოსინჯვაა, მხოლოდ იმის გაგების ცდაა, თუ რას წარმოადგენს ის, ვისაც უნდა ებრძოლო. აქ მხოლოდ იმის ცდაა, რომ გაიგო მოპირდაპირის საიდუმლოება, მისი შესაძლებლობანი. აქ მხოლოდ გაღრმავებაა იმის შეგნებისა, რომ მომავალს, რომელსაც პოეტი „ცისარტყელისებური ოცნების“ სახით წარმოიდგენდა, ანგელოზთან ერთად, ეშმაკიც თანა სდევს, სიკეთეს ავი ებრძვის და ცხოვრება განუწყვეტელი ბრძოლაა ორ დაპირისპირებულ საწყისს შორის. პირადი ყოფა ბარათაშვილისა თვითონვე განუმტკიცებდა ამ აზრს; გრიგოლ ორბელიანის ხვედრი, 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ, რაც ასე მინიატურულად, მაგრამ დიდი პოეტური ოსტატობით დახატა შავთელურით დაწერილ ლექსში— „ძია გ...სთან“, მას უეჭველად ღრმა ფიქრებს აღუძრავდა „ავი ენის გესლზე“. და ყოველ მომდევნო ნაწარმოებში ნათლად ვხედავთ, რომ ბარათაშვილის ლირიკული გმირი თანდათან იმსჭვალება სევდით, უიმედობით, მისი ცნობიერება მწიფდება ცხოვრების სისასტიკის შეგნებით.

ამგვარ ვითარებაში ადვილად შეიძლებოდა პოეტს დაეკარგა სულიერი წონასწორობა, დაცემულიყო, აჰყოლოდა

ცხოვრების ათასგვარ ცდუნებას, მაგრამ ბარათაშვილის ლირიკული გმირი ყოველთვის ინარჩუნებს მაღალ ადამიანურ მორალს, სისპეტაკეს, სევდით ივსება, მაგრამ მხნეობასაც არ ჰკარგავს. მცირებესიკური ფორმით დაწერილი ლექსი „ღამე ყაბახზედ“ ერთი საუკეთესო მხატვრული შედევრია ამ აზრის დასამტკიცებლად. რა სპეტაკად გამოიყურება ბარათაშვილის ლირიკული გმირი, როცა ყაბახზე მოსეირნე ქალის მადლობას იმის გამო, რომ „ახლა მოდაა: „ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ“, თქვენ კი არ დამივიწყეთო, უპასუხებს: „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები ვერ მამიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები“.

მხოლოდ მაღალ ადამიანურ სულს შეუძლია ასე მარად ერთგული დარჩეს, როცა ირგვლივ ყველაფერი წარმავლობის, წუთიერი გატაცების, ფუჭი დროებისა და ამაოების მორევს დაუსაკუთრებია. ამ მაღალი სულითა და სისპეტაკით გვხიბლავს ბარათაშვილის ლირიკული გმირი, რომლის ფიქრთა სამყარო, ადამიანური ცხოვრების უწესრიგობით შეშფოთებული, დრტვინვასა და ურვა-წუხილს მისცემია. მისი კლასიკური ლექსი, ისევ მცირებესიკური ფორმით დაწერილი — „ფიქრნი მტკვრის პირად“, რომელიც 21 წლის ყმაწვილმა 1837 წელს დაიძღერა, კაცობრიობაზე აძ დრტვინვისა და ურვა-წუხილის ერთი უდიდესი მხატვრული ძეგლია მსოფლიო ლიტერატურაში. ჩვენ მას სხვა ადგილას გავარჩევთ უფრო დაწვრილებით, აქ კი მხოლოდ იმის მითითება გვსურს, რომ სევდით შეპყრობილი ბარათაშვილის ლირიკული გმირი, რომელსაც სუბიექტური სამყაროს ჭვრეტიდან ობიექტური მშობლიური ბუნებაც ანალოგიური სახით ეჩვენება, დიდი ოსტატობით ახერხებს კერძო ზოგადს დაუკავშიროს, საკუთარი ქვეყნის ტკივილი კაცობრიულა გადააწნას, ხოლო ამაო სოფლის აღსასრულის რწმენასთან ერთად, ადამიანური ცხოვრების ერთადერთ ჭეშმარიტი აზრიც იპოვოს. მართალია, ბარათაშვილი ამ შემთხვევაში მარტო არ არის. პრობლემის დაყენების მხრივ მსოფლიო ლიტერატურაში მას წინამორბედიც ჰყავდა და უკუმორბედიც. ამ პრობლემამ წარმოშვა „მსოფლიო სევდა“, რითაც ასე გაითქვა სახელი თითქმის ყველა ქვეყ-

ნის რომანტიკულმა სკოლამ. მაგრამ ბარათაშვილის „ძსოფლიო სევდა" სულ სხვა ასპექტსა და სულ სხვა ძიძართულებას ღებულობს. მისი ლირიკული გმირი „მსოფლიო სევდის" არტახებს წყვეტს, რათა სრული უიმედობის მერიდიანებიდან გამოვიდეს. ის არ რჩება არც ვერტერთან, არც ჩაილდ ჰაროლდთან. ფაუსტივით პრაქტიკული მოქმედების აქტიურობაში პოულობს კაცობრიული არსებობის უმთავრეს აზრს და ვილჰელმ მაისტერივით ცხოვრების საძსახური მიაჩნია ადამიანის ძირითად დანიშნულებად. ეს უეჭველად იყო გამბედაობა, რამაც შეძდეგ უფრო თავგამეტებული სახე მიიღო. სწორედ აქ პესიმიზმი ტოვებს საკუთარ თავს, უარყოფაში გადადის, ხოლო ეს უკვე დადებითი ნეგაციაა, რომელსაც არ შეუძლიასხვად იქცეს, თუ არ ოპტიმისტურ დეფინიციად.

მართლაც დიდი სული უნდა ჰქონებოდა პოეტს, რომ ჭაბუკური გონებით ასე ღრმად შეჭიდებოდა კაცობრიობის წყევლა-კრულვიან საკითხს, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, მაგრამ შეჭიდებოდა არა მხოლოდ საკუთარ ზრახვათა დასაკებლად, პირიქით, საერთოდ ადამიანებზე, მათ ცხოვრებაზე გოეთეს ვერტერივით და ბაირონის ჩაილდ ჰაროლდივით მწარედ დაფიქრებული. ამიტომ გვგონია, რომ „ფიქრნი მტკვრის პირად" იმპროვიზაციულად დაწერილი ლექსი არ არის, იგი ხანგრძლივი დაკვირვების, მრავალგზისი ანალიზისა და გონების მტანჯველ აზრთა გამუდმებული ურთიერთბრძოლის ბუნებრივი შედეგია. აქ ბარათაშვილის ლირიკული გმირი გვეელინება როგორც განმსჯელი სუბიექტი, ფილოსოფიურად მოაზროვნე. მაგრამ ოფლექსიის ბოლომდე მაღალ პოეტურ ფორმაში გამომთქმელი. და ყველა მისი აზრი — ქართველი კაცის აზრია, ქართველისა იმიტომაც, რომ ისინი კაბინეტში კი არ იწერება, კაბინეტი ყველგან კაბინეტია, არამედ, მშობლიური მდინარის ნაპირებზე, ქართული ბუნების წიაღში, ქართული ოდისეიდან მომდინარე, რაც თვით სისტემას აზროვნებისას გარეგნულადაც მკაფიოდ ვამოხატულ ეროვნულ კოლო-

რიტს აძლევს. ბრძნული აზრი ყველა ჭკვიან კაცს ყველგან შეუძლია გამოთქვას, მაგრამ, როცა ვიცით, თუ ვინ სად იპოვა კაცობრიობის გონების სალაროში შეტანილი განძი, ჩვეს უმალ მოვიხსენიებთ მას, როგორც, მაგალითად, ანტიკურს. და ცალკე გამოვყოფთ ხოლმე.

ბარათაშვილის ლირიკული გმირიც სწორედ ასევე გაშოირჩევა მსოფლიო ლიტერატურაში თავისი ხასიათით, აზროვნების წყობითა და ერთგვარი კოლორიტით, თუმცა ასევე ენათესავება ზოგადკაცობრიულს, როგორც გენიალური ფენომენი. ადამიანისა და კაცობრიობის არსებაზე ღრმად დაფიქრებული, იგი ხშირად იწვევს თავისთან არა რელიგიურ ან მეტაფიზიკურ სულებს, როგორც სხვა რომანტიკოსები, არამედ, მატერიალურ სულებს, რომლებიც მისთვის ყოველთვის გასაგნებულნი არიან და რომლებსაც სავსებით რეალური შესახებლობა გააჩნიათ. დიდ გოეთეს მსგავსად, ბარათაშვილი აქ მატერიალისტია, და არაფერი ისე არ სძულს, როგორც რეალურისაგან ვოწყვეტა. იდეალურსაც მხოლოდ მატერიალურის პრიზმაში ხედავს და დემატერიალური მარტოოდენ ოცნებაში წარმოუდგენია. ეს ოცნება ერთფეროვანი არ არის და არც შეიძლება იყოს. ოცნება ადამიანის მტანჯველი ან სანუკველი აზრის იდეალური ალმაფრენაა. რამდენიცაა ეს მტანჯველი ან სანუკველი აზრი, ოცნებაც იმდენივეა. ამ დებულებას საუკეთესოდ ადასტურებს ბარათაშვილის ლირიკული გმირი, რომლის ოცნებათა ციალში, მრავალფეროვნებასთან ერთად, მრავალაზრიანობას ვხედავთ.

აი, მოუხმობს იგი „ჩონგურს“, მტკვრის პირას მწარე ფიქრების შემდეგ, მოუხმობს, მაგრამ დიდბესიკური და შავთელური ზომით დაწერილ ამ ლექსშიც იგივე მეორდება: თუ მტკვრის ნაპირებმა სევდიან პოეტს, განქარვების ნაცვლად. ძძიმე ფიქრები აუშალეს, აქაც, სევდების უკუღრის მაგიერ ჩონგურის კაეშნიანი მოთქმანიც „სულს უფიქრებენ“. ძხიარული ხმა პოეტს ჩონგურისგანაც არ მოესმის, პირიქით, მის ყურთა სმენას მხოლოდ ძოკლული გულის ჩივილი ხვდება:

„შენნი მოთქმანი, კაეშნის ხმანი,
ხანცა ოხვრანი, ხანც ამოსკვნანი,
წარსულთა დროთა მოგონებითა
სულს აფიქრებენ!
ჰოი, ჩონგურო, ნეტავი ოდეს
ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს.
რომ უკუმყოდეს მე სევდიანსა გულისა სენი!
მაგრამ სად ვნახო შენი ღიმილი,
სიხარულითა გამოჩენილი?
მე შენგან მესმის მოკლულის გულის
ოდენ ჩივილი!“

და მთელი ცხოვრების მანძილზე ბარათაშვილის ლირიკულ გმირს ეს ჩივილი ესმის, ეს მოთქმა-გოდება, ეს ოხვრა-კვნესა; ვერსად იგი ვერ პოულობს „მხიარულ ხმას“, რათა დროებით მაინც უკუიყაროს „სევდიანმა გულისა სენი“. ვიმეორებთ, ვერსად იგი ვერ პოულობს „სიხარულით გამოჩენილ ღიმილს“, მაგრამ დააკვირდით: პოეტის ურვა-წუხილი. ესოდენ სუბიექტური ერთი შეხედვით, ყოველთვის სხვა, გარეგანი მიზეზითაა გამოწვეული: ლექსში — „ფიქრნი მტკვრის პირად“ — ადამიანური (საცობრიული) ცხოვრების ამაოებით, აქ კი „ჩონგურში“ — სამშობლოს მძიმე წარსულის მოგონებით.

მაგრამ, ხომ არ შეიძლება ყველაფერი უსასრულოდ გაგრძელდეს? ერთხელ მაინც სოფელსაც ხომ ბოლო მოეღება? რაკი ასეა, ნუთუ ამ ტანჯვას დასასრული აღარ უწერია?

ეს პრობლემა თუ ალტერნატივა ყოველთვის დგას ბარათაშვილის ლირიკული გმირის წინაშე და მისი გადაწყვეტა ასევე ყოველთვის ახალ ასპექტებს პოულობს სრულიად ორიგინალური ვარიაციებით. ერთი მათგანია იმავე 1837 წელს თეჯლისით დაწერილი უმშვენიერესი ლირიკული საგალობელი „ჩემს ვარსკვლავს“, რომელშიაც პირველად იხედება ღრუბლიანი ციდან გამოსული ილვარის მზის იმედიანი სხივი. ჩვენც პირველად ვხედავთ ბარათაშვილის სევდიან ლირიკულ გმირს თითქოს ლაღად მსუნთქავს, თითქოს მხიარულს, გალაღებულს, დაიმედებულს, მას ტრფობაც შესძლებია და ჭირთან შეჩვევაც, სიამის განცდაც და ეშხის ნაპერწკალთა მოლოდინიც. მთელი

ლექსი თითქოს ახალი, შინაგანი სიხარულის გამომხატველი ფურცელია პოეტის სულიერ ბიოგრაფიაში და ჩვენ აშკარად ვგრძნობთ მის ლხენას, თუნდაც მრისხანე ბედის ვარსკვლავით:

„რად მრისხანებ, ჩემის ბედის ვარსკვლავო?
მაინც გეტრფი, თუმცა ხშირადა მკლავო:
შეეთვისა სული შენსა მოღრუბლვას,
შეეჩვია გული სევდითა კრთოლვას!
ნუ გგონია, ბედსა მით დამიმწარებ,
რომ უეცრად ბუქით ნისლს მოიფარებ;
შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ,
როს მიბეუტვით ნისლით გამომინათებ.
რა სახითაც გინდა შენ მე მეჩვენო,
მაინც გიცნობ, მშვენიერის ცის მთენო:
ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,
მალხინებელ დაბინდულის გულისა!
მოციმციმდი, მოდი, გამომედარე,
შენგან ბნელი გული გამომიდარე;
კვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე,
ნაბერწკალნი ეშხისა მომაყარე“.

ეს პირველი ლექსია, სადაც ბარათაშვილის ლირიკული გმირის სატრფიალო მოტივი უველაზე სრულად გაიშალა, ვიდრე წინა ლექსებში, რომლებიც ჩვენ უკვე განვიხილეთ. და უეჭველად ამავე პერიოდს (1837 წელს) განეკუთვნება ლექსი „კ. დ. ჩ.“, რომელიც, ისევე როგორც „ჩემს ვარსკვლავს“, პოეტის სატრფოს — ფრანგ დელფინა ლაბიელს ეძღვნება. დელფინას შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ბარათაშვილის ცხოვრების აღწერაში, მაგრამ ამ ლექსზე კონკრეტულად არაფერი გვითქვამს. რომ ეს ნაწარმოები უთუოდ ბარათაშვილის კალამს ეკუთვნის, დამტკიცებასაც არ საჭიროებს. ლექსის იდეური მიდრეკილება, პოეტური სამკაული, ცალკეული ფრაზები, შინაგანი „მე“ თავიდან ბოლომდე ბარათაშვილურია. მარტო ერთი პოეტური ფრაზა: „ნეტარ რაჲ შეგქმნა უებრო ესოდენ ტურფა ქმნილება“, ან მეორე — „აღგინთებ სულსა სანთელად“ იმ დროს ქართულ პოეზიაში მხოლოდ ბარათაშვილს შეეძლო

ეთქვა. სავსებით ბუნებრივია, რომ „ჩემს ვარსკვლავში“ პოეტის შედარებით მოლხენილ სულს ასევე სიხარულით გუნდრუკი ეკმია ტრფობისა და მშვენიერებისათვის:

„მთიებო, სვეტო ნათლისა,
გიხილე გულის უფალად,
მშვენიერებამ მონა მქნა,
ტრფიალებას ვგრძნობ მე ვალად.
ნეტარ რამ შეგქმნა უებრო
ესოდენ ტურფა ქმნილება,
შენსა მიჯნურსა ახლა მრწამს
ნათლისა ხელოვნება.
დავიდევ გულსა ბედკრულსა
მე შენი მშვენიერება,
მას ჩემი გრძნობა, გონება
ეტრფიალება, ევლება,
მოშორებითა ტანჯული,
სულსა აღგინთებ სანთელად,
შეგწირავ მსხვერპლად სიცოცხლეს,
და გრძნობას მოსაგონებლად.
მთიებო, სვეტო ნათლისა,
გიხილე გულის უფალად,
მშვენიერებამ მონა მქნა,
ტრფიალებას ვგრძნობ მე ვალად“.*

მაგრამ ეს ტრფობა, ეს სიამე, მშვენიერების მონება, ეს ქალხინებელი გრძნობა, გულის გამოდარებისა და ეშხის ნაპერწკალთა მოლოდინი, ორივე ლექსში პარალელურად თანმდევია კ ო ნ ტ რ ა ს ტ ი ს ა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ პოეტი როდია მოშორებული ტანჯვას, სულის მოღრუბლვას, ბედის სიმწარეს, დაბინდულ გულს. ბარათაშვილის ლირიკული გმირი ამ კონტრასტის ჰარმონიული განსახიერებაა, და შემთხვევითი არ არის, რომ მომდევნო 1838 წელს იგი პოულობს ა ნ ა ლ ო გ ი ა ს მსოფლიო მასშტაბის დიდ

---

* ეს ლექსი ჟურნალ „ცისკრის“ 1862 წლის თებერვლის ფურცლებზე პირველად მიაკვლია და 1936 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ პირველად გამოაქვეყნა იაკობ ბალახაშვილმა. დაწვრილებით ამ საკითხის ისტორია იხ. მის წიგნში — „ბარათაშვილის ცხოვრება“, 1967 წ., გვ. 192—205.

კონტრასტულ ადამიანთან, რომელსაც ბონოპარტე ეწოდება.

დააკვირდით ბარათაშვილის ნაპოლეონს, საფრანგეთის სრულ ბატონ-პატრონს, მაგრამ მაინც უკმაყოფილოს თავისი შეუზღუდველი ხელმწიფობით. უკმაყოფილებაში, თუ მას ანალიტიკური გონების სხივი დაჰკრავს, ყოველთვის შეიძლება კმაყოფილების შეტანა. როგორც აქ, ნაპოლეონის არსება წუთიერად გაცისკროვნდება იმის შეგნებით, რომ სურვილი შეისრულა, სახელი გაითქვა „ქვეყნის საოცრად". მართალია, ეს კმაყოფილება მუდმივი არ არის, არც მტკიცეა, ზღვის ტალღასავით მერყეობია, უმალ მიებჯინება ხოლმე შინაგან დრტვინვას, რაკი აფორიაქებული სული გვამში ვერ ეტევა, მაგრამ იგი საუკეთესოდ გამოხატავს ადამიანის საერთო უმაძღრობას, როცა მის სხეულში დაუსრულებელი მოქმედების ცეცხლი გიზგიზებს. შინაგანი წინააღმდეგობანი, კონტრასტში გადასულნი, ღრღნიან ბონოპარტეს ბობოქარ არსებას, და არაფერს ისე სრულად არ შეეძლო გამოეხატა ნაპოლეონის სიდიადე, ამპარტავნობა, ეჭვი და რწმენა, ძალისა და სისუსტის შეგნება, როგორც ბარათაშვილის სიტყვებს: „ყამი ჩემია და ყამისა მე ვარ იმედიო". როცა ადამიანი ზედმეტად ხაზს უსვამს ხოლმე თავის დამსახურებას, ეს ხაზგასმა მის სისუსტეს, ეჭვს, საკუთარი ძალის ურწმუნოებას უფრო გვანიშნებს, ვიდრე ნამდვილ ღირსებას. ბარათაშვილმა გენიოსის მიხვედრით იგრძნო ნაპოლეონის ზვიადი ბუნებაც და დაუსრულებელ ეჭვად ქცეული მისი შინაგანი სისუსტეც. ფრანგული სახე სულ ქართული საღებავებით დახატა და მაინც ნაპოლეონის უნიკალური ფრანგული პორტრეტი შექმნა. უკეთესი ლექსი დიდ კორსიკელზე ჩვენ მსოფლიო პოეზიაში არ გვეგულება. ერთადერთია ცეიდლიცის „საჰაერო ხომალდი", რომელიც ბრწყინვალედ თარგმნა ლერმონტოვმა გასული საუკუნის 40-იან წლებში და რომელსაც ბარათაშვილის „ნაპოლეონთან" გვერდით დგომაც გაუჭირდება. ბარათაშვილის ლექსი ნაპოლეონის სრული პოეტური სურათია, მაგრამ არა მარტო გარეგნული, თვით შინაგანი არსების კიდევ უფრო ღრმად გამომხატველი. ახლა

დააკვირდით კონტრასტულ შედარებებს, რომლითაც ლექსი თავდება და ბონოპარტეს უნიკალური პორტრეტის ფერწერას უკანასკნელი წერტილი ესმება:

„ბევრი დღე გავა, რომ ჯერ ბევრი ვერ ვცნათ ჩვენ მისი!
თვითონ სიკვდილიც მას უებროდ აღმოგვიჩინებს:
დამჭრალი ცეცხლი და ზღვის ღელვა წარმოგვიდგინებს
მისს ცეცხლსა სულსა და ზღვა-გულსა განსაკვირველებს!"

ბარათაშვილს რომ ნაპოლეონის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ომები, თვით საფრანგეთის ისტორია ღრმად არ სცოდნოდა, ასე სწორად, ასე მეცნიერული სიზუსტით ვერც მის პიროვნებას გაიცნობდა, ვერც მის პორტრეტს დახატავდა. რადა ღირს დიდი კორსიკელის თუნდაც შინაგანი ვნებათა ღელვის საოცარი ბუნებრიობითა და იშვიათი დამაჯერებლობით წარმოსახვა. ლექსის ექსპოზიცია პირველივე სტრიქონით ერთბაშად წარმოგვიდგენს ბონოპარტეს გულზვიადობას — „ნაპოლეონმა გარდმოავლო თვალი ფრანციას", ხოლო შემდეგი სტროფი — მისივე უმაძღრობას — „დაჰსთქვა: „აბაო ხელ-ქვიფობამ რა შემიძინა?" მომდევნო ორ სტრიქონში პოეტი ახერხებს სურათის ერთი ძირითადი შტრიხის გასრულადებას—მუდამ გულაღრძნილი კაცის წამიერი ,,მაყოფილების ჩვენებას:

„და რა იხილა თვისს დიდების მსხვერპლი თვის წინა,
მისს მოღრუბლულს შუბლს შუჭი რაღაც გარდაეფინა".

თითქოს დამთავრდა ყველაფერი, მუდამ მაძიებელმა ბობოქარმა სულმა თითქოს მიაღწია ყველაფერს, რისთვისაც მთელი ცხოვრების მანძილზე ბორგავდა, თითქოს შეიგნო, რომ „ახლა კი ქმარა", სურვილი მიღწეულია.

„შევმოსე ძალით საყვარელი ჩემი საშვენად
და დაუმონე გულმტკიცენი მას სადიდებლად".

მაგრამ არა, დიად სულს მუდმივი უკმარისობა განუყრელად თან ახლავს, ის ვერსად ვერ ეტევა, თუმცა იმასაც ვერ ივიწყებს, რომ შესაძლოა ყველაფერი კატასტროფით

დამთავრდეს, ერთის დიდების გვირგვინმა მეორის თავი დაამშვენოს. ნაპოლეონის არსებაში ეს მუდმივი შინაგანი ჰიდილი, დრტვინვა და უსასრულო ეჭვი მართლაც რომ იყო, შესანიშნავად გაარკვიეს მისმა პრაველარიცხოვანმა ბიოგრაფებმა, მათ შორის ისტორიკოსმა ლასკაზმა. და ბარათაშვილის გენიამ მას უბრწყინვალესი პოეტური ძეგლი აღუმართა მცირებესიკურად დაწერილი „ნაპოლეონით“, რომელშიაც ეს ეჭვი შექსპირისებური ძალით გამოითქვა:

„მაგრამ ვინ იცის, იქნება რომ ბედსაც მოვჰსწყინდე,
და სხვა მან ჩემის სახელითა დააგვირგვინოს!..
არა, არა მრწამს, რომე ბედმა მე მიორგულოს:
მე მან გამზარდა და თვისს გაწვრთნილს რაღა მიხერხოს?“

არა, არა სწამს პირადი ბედის ორგულობა, იმდენად დარწმუნებულია მის სიკეთეში, მაგრამ ერთია რწმენა, მეორეა სინამდვილის ულმობელი ლოგიკა. ერთია შინაგანი წინააღმდეგობანი საკუთარ არსებაში, მეორეა ამ შინაგან წინააღმდეგობათა კონტრასტული დაპირისპირება გარეგან წინააღმდეგობებთან. ნაპოლეონში ეს ორმაგი წინააღმდეგობანი — შინაგანი და გარეგანი მთელი სისასტიკით იყრიდნენ თავს და, როგორი სიმტკიცეც არ უნდა გამოეჩინა, მათი ბოლომდე გაძლება გოლიათს აღარ შეეძლო. ამას გვიდასტურებს უკანასკნელი საოცარი „ასი დღის“ ბატონობა, როცა დიდ კორსიკელს ყველაფერი ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული, მაგრამ შინაგანმა წინააღმდეგობებმა მოულოდნელად ადრე დაუთმეს სარბიელი გარეგანს, რაც ბონაპარტემ ტყვეობაში თვითონვე აღიარა. იცოდა, თუ არ იცოდა ეს პოეტმა, სხვა საკითხია. შესაძლოა ბარათაშვილის გენიამ ინტუიტურად იგრძნო მისი უეჭველი არსებობა. ამიტომ გვხვდება „ნაპოლეონში“ არამარტო ბედთან ჰიდილი, როცა თვითდაჯერებულ იმპერატორს სურს შარავანდედი მოხსნას საკუთარ ბედს, რომელმაც მას „გვირგვინი დიდებისა“ დაუწნა, მაშასადამე, სურს ბედის მჭედელი თვითონვე გახდეს, ხოლო თვით ბედს დამსახურება წაართვას, არამედ, იმედების სრული მსხვრევაც:

„ვერა გაუძლებს ნაპოლეონ მეტოქეებსა!
რა გინდ ძლიერად, მეცნიერად, ვინ ხელმწიფებდეს,
მაინც მე იგი ვერ ვითვისო, ვერ ჩემოდნობდეს,
თვითონ სამარეც მეეიწროოს, თუ ტოლი მყვანდეს!“

აწმყოთი უკმაყოფილო რომანტიკოსებმა, რომლებიც წარსულში ეძებდნენ ძლიერ გმირებს, დიდების გვირგვინი დაუწნეს ბონოპარტეს გენიას, მასში დაინახეს საკუთარ იდეალთა ცოცხალი განსახიერება და ხოტბა შეასხეს კორსიკელის საკვირველ საქმეებს. ნაპოლეონი წლების მანძილზე იყო ევროპელი რომანტიკოსების შთაგონება, მაგრამ იმედებს ხშირად გულგაცრუება სცვლიდა, ხოლო გულ-გაცრუებას ისევ იმედები. გაიხსენეთ ბაირონი, გოეთე, შილერი, ბეთხოვენი და მათი დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი. ისინი ერთხანს აღტაცებულნი იყვნენ ბონოპარტეს გმირობით, მაგრამ შემდეგ გულგაცრუებულნი დარჩნენ. ბარათაშვილი, როგორც რომანტიკოსი, სულსხვა თვალით უყურებს კორსიკელს. მასში ხედავს ადამიანის ძლიერ სულთან ერთად მარად უკმაყოფილო არსებას, რომელსაც შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობანი მტანჯველად ძიძგნიან. ის დიდია, როგორც ადამიანი. მაგრამ უსაზღვროს სურვილთან შედარებით პატარაა, როგორც ადამიანური შესაძლებლობა. მის არსებაში ბევრი რამ უცნაური და ამოუცნობია. ეს კარგად იცის ბარათაშვილმა და ამიტომ მთავრდება მისი გენიალური ლექსი მრავლისმეტყველი მინიშნებით რომელიც ჩვენ ზემოდ უკვე მოვიტანეთ.

შინაგანი განცდის მხრივ არის რაღაც საერთო ბარათაშვილის ლირიკული გმირის კონცეფციასა და კორსიკელის მარად წინააღმდეგობებით აღსავსე უკმაყოფილებას შორის. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ უფრო ადრე, „ნაპოლეონის“ დაწერამდე ბარათაშვილის ლირიკულმა გმირმა წუთისოფელი „აღუსებელ საწყაულად“ მიიჩნია, ვერც ერთი ადამიანი ვერ იპოვა, რომელსაც გულმაძღრობა ეგრძნო ან ერთხელ ნატვრით მიღებული სიკეთე ეკმარებინა. ასე ემართებათ არა მარტო ჩვეულებრივ ადამიანებს, არამედ, უძლეველ მეფეებსაც, რომელთა შესახებ ლექს-

ში „ფიქრნი მტკვრის პირად“ ის არის ნათქვამი, რაც „ნაპოლეონშიც“ თავისუფლად შეიძლებოდა თქმულიყო, თუმცა ვარიაციებით მაინც იგივეა განმეორებული. ამ ორი ლექსის ფილოსოფიურ-იდეური კავშირი იმდენად აშკარაა, რომ, არავითარი ეჭვი არ არის, მათ შორის განვლილი დროის მიუხედავად, ვიგრძნოთ ორივეს ნათესაური სიახლოვე. მათში გამოთქმული კონცეფცია, ეტყობა, დიდხანს მწიფდებოდა ბარათაშვილის ლირიკული გმირის სულიერი ქვეყნისათვის და სწორედ ამან განაპირობა ორივე ლექსში ეს სრული იდენტიფიკაციაც.

ადამიანები ერთმანეთს ჰგვანან არა მარტო იმით, რომ ყველას ერთნაირად აქვთ თვალები და ხელები, თავი და ტანი, არამედ, იმითაც, რომ ყველას ერთნაირად შეაწუხებს ხოლმე არსებობის ისეთი ელემენტები, როგორიცაა სიცივე და სიცხე, ტკივილი და შიმშილი, წყურვილი და სნეულება. მაგრამ ეს ბიოლოგიისა და ფიზიოლოგიის სფეროა. არსებობის არანაკლებ ძლიერი—სოციალური სფერო, როცა ადამიანები რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არიან მჩაგვრელები და ჩაგრულები, მდიდარნი და ღატაკნი, უზრუნველნი და ზრუნვით წელგამწყდარნი. ეს ანტაგონიზმია, რომელიც ადამიანებს ერთმანეთისაგან თიშავს.

მაგრამ არის სულიერი სფერო, სადაც მსგავსნი დაახლოებით ერთნაირად იტანჯებიან, სულ ერთია, როგორია მათი მოქმედების რადიუსი, როცა საკითხი ყოფნა-არყოფნის, ფილოსოფიას ეხება და ამქვეყნიური არსებობის აზრი გაუმართლებელი ჩანს. მაშინ იბადება ის, რასაც პესიმიზმს უწოდებენ და რასაც იმდენი კონკრეტული სახე გააჩნია, რამდენიც ამგვარად მოაზროვნე ადამიანია. მაგრამ სახელი მაინც ერთი რჩება — პესიმიზმი, რომელსაც მრავალგვარი საფუძველი აქვს, ხოლო, თუ ერთია, ნათესაური მსგავსება აუცილებლად თავს იჩენს. შეიძლება ეს იყოს თვითეულისათვის სურვილის ვერწვდენა, უფრო მეტად კი ის კონტრასტი, რაც ერთსაც ახასიათებს და მეორესაც. რა ვუყოთ, რომ პირველის სურვილი სხვაა, ხოლო მეორესი კიდევ სხვა. ორივეს აწვალებს ვერწვდენა და ორივე საკუთარ ბედთან შეპირისპირებაში წინააღმდეგობის მწვავე ტკივილს გა-

ნაცდის. ამავე დროს, ორივე განასახიერებს გენიალურ ფენომენს. ერთიც და მეორეც იერთებს ისეთ ურთიერთგამომრიცხველ კონტრასტებს, როგორიცაა „დამჭრალი ცეცხლი“ და „ზღვის ღელვა“, „ცეცხლოვანი სული“ და ხღვა გული“. ამ შინაგანი ჰიდილის დროს ბარათაშვილის ლირიკულ გმირს აპოლონის მადლი ეელინება. როგორც ზეციურის მიწიერთან შემოერთება, და იგი დროებით ტოვებს ატანჯველი ფიქრების ოკეანეს, რათა წამიერად მაინც აფორიაქებული სული მოიბრუნოს. ამ დროს იწერება ქართული სატრფიალო ლირიკის ისეთი შედევრები, როგორიცაა „თავადის ჰ...ძის ასულს, ეკ...ნას“ და „საყურე“. ეს სდება „ნაპოლეონის“ დაწერიდან ერთი წლის შემდეგ — 1839 წელს.

თუ რა პირობებსა და რა ვითარებაში დაიწერა ეს ლექსები, დახასიათებული გვქონდა ბარათაშვილის ცხოვრების გადმოცემის დროს. ამიტომ აქ აღარ არის საჭირო მათი გახშეორება. ორივე ლექსი, როგორც სარგის გორგაძემ გაარკვია, ერთი ფორმითაა დაწერილი და ეს ფორმაა — შავთელური. ორივეში მიღწეულია მაღალი პლასტიკურობა, საოცარი სინატიფე. გამჭვირვალე გრძნობა, არაჩვეულებრივი სინაზე, დიდი პოეტური ოსტატობა, ხოლო ყოველივე ამას შარავანდედად ედგმება მშვენიერება, როგორც ტრფიალების მარადიული სიმბოლო. ახლა დააკვირდით მთელ ლექსს — „თავადის ჰ...ძის ასულს, ეკ...ნას“, რომლის ადრესატი სათაურშივე გამხელილია — ეს არის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული ეკატერინა, შემდეგ სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის მეუღლე, რომელმაც პოეტის ცხოერებაში დიდი როლი ითამაშა:

„ხმით მშვენიერით,
ტკბილის სიმღერით,
ჰაეროვანო სულს ელხინები;
თვალთ არონინებ,
გულს დააწყლულებ
და ღიმილითა ესალბუნები!
სადც ხარ, იმ არეს
მოჰფენ სიამეს, —
ეშენოდ მოპსცდეს მხიარულებაᲘ

შენის ენითა,
სავსე ლხენითა,
ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!
მახსოვს სიამით,
ოდეს ტკბილის ხმით,
ვარდსა და ბულბულს მოელხინარე:
პირმცინარითა,
სინარნარითა,
მგოსნის ყარიბს გულს ესხივმფინარე!“

ლექსის იმ ადგილს, სადაც ვარდსა და ბულბულზეა ლაპარაკი, ბარათაშვილი თვითონვე უკეთებს შენიშვნას: „ბულბული და ვარდი ლექსია სამღერალო ნათარგმნი რუსულიდამ ი.-ის ჭავჭავაძისაგან“. ეს ლექსი მართლაც თარგმნა ალექსანდრე ჭავჭავაძემ ო დ ო ე ვ ს კ ი დ ა ნ, და როგორც ლიტერატურული წყაროები მოწმობენ, ქართულ ენაზე მას თურმე შესანიშნავად მღეროდა ე კ ა ტ ე რ ი ნ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. ბარათაშვილს, რომელიც ასე ახლო იყო დაკავშირებული ჭავჭავაძის ოჯახთან, არაერთხელ ექნებოდა მოსმენილი ეს სიმღერა და ერთერთი ლხინის დროს ალბად ისეთი ძლიერი შთაგონება მიიღო, რომ უბრწყინვალესი ლექსით უკვდავყო წინანდლის ვარდობა.

მაგრამ აქ ერთი რამ არის საინტერესო: მთელი ლექსი სავსეა ღიმილით, აღტაცებით, სილაღით, სიხარულით, მშვენიერებით, ჰაეროვნებით, გულკეთილობით, ამქვეყნიური სიტკბოებით, ბოლო სტრიქონში კი კვლავ გამჭღავნებულია, რომ პოეტი ყარიბია, რომლის გულს ლექსის ადრესატი ესხივმფინარება. ბარათაშვილის ლირიკულ გმირს თავისი მძიმე ხვედრი აქ დავიწყებული არა აქვს, ჯერ კიდევ ახსოვს თავისი მარტოობა, თუმცა ლხინსა და გატაცებას ეძლევა. სამაგიეროდ, ასე აღარ არის მეორე ლექსში — „ს ა ყ უ რ ე“, სადაც პოეტი უკვე აღარაფერს გვეუბნება საკუთარ თავზე, გარდა იმისა, რომ შენატრის იმას, ვისაც ეღირსება ბედნიერება სულიერ მოიბრუნოს „უცხო საყურეს“ ჩრდილში:

„ვითა პეპელა
არხევს ნელნელა
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,
ასე საყურე,

უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.
ნეტავი იმას,
ვინც თავისს სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!
შენის შერხევით,
სიო-მობერვით
გულისა სიცხეს განიგრილებდეს!
ჰოდ, საყურეო,
გრძნობათ ამრევო,
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?
მუნ უკვდავების
შარბათი ვინ სვას?
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?"

როგორც პირველი, ისე მეორე ლექსი იმგვარი პოეტური ქმნილებანია, რომლებიც თითქოს არ საჭიროებენ კომენტარს, იმდენად ყველაფერი ნათელია თვითეულ მათგანში. მაგრამ დააკვირდით პირველ შედარებას: ულამაზესი ქალის საყურე შედარებულია პეპელასთან, საყურის აჩრდილი სპეტაკ შრო-შანთან და მთელი მხატვრული გამა ცოცხლად იშლება პლას-ტიკურ მოძრაობაში. ეს მოძრაობა თავისთავად ქმნის ორმაგ შედარებას—თვით სახეებისას და მათი ურთიერთდამოკიდე-ბულებისას, რაც სინატიფის უმაღლეს მწვერვალზეა აყვანილი. ყველაზე ნაზი სულის პოეტი თუ შეიძლებდა სატრფიალო გრძნობა ისე ფაქიზად, ჰაეროვნად გამოეთქვა, როგორც აქ არის მიღწეული: არც კოცნა, არც ამბორი, არც სხვა ტრაფა-რეტული სიტყვები ბარათაშვილს არ გამოუყენებია. მაგრამ ყველა ისინი გამოხატა უნატიფესი ალეგორიით, როცა ინატ-რა — „ნეტავი იმას, ვინც თავისს სუნთქვას შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდესო". განა ბევრი იქნება მსოფლიო პოეზიაში ამგვარი მარგალიტი, ასე უდიდესი სინაზით რომ ახერხებდეს ადამიანური ტრფობის გამოხატვას? ან ბევრი იქნება ლექსი, ასეთი უნაზესი პოეტური განცდით რომ ატკბობდეს ჩვენს უმაღლეს ესთეტიკურ გრძნობას? ერთეულები კი არის და ბარათაშვილის „საყურე" მათ შორის პირველ ადგილზე უნდა მოვათავსოთ.

ის წუთიერი თავდავიწყება მწარე ფიქრებისაგან და ტრფობის ალით გატაცება, რაც ამ ორ ლექსში ბარათაშვილის

ლირიკულმა გმირმა გვაგრძნობინა, უეჭველად ნიშნავს მის ცდას — განშორდეს „მსოფლიო სევდას“, დატკბეს ამქვეყნიური სილამაზით. ეს არ არის შემთხვევითი, ვინაიდან იმავე 1839 წელს პოეტი ქმნის თეჯლისით დაწერილ მშვენიერ ქმნილებას „ჩრდილი“, რომელშიაც დიდი უშუალობით შესტრფის ყრმას, მის უცნაურ ტიკტიკს, მის უზრუნველობას, დედის ალერსის მეტს რომ ვერაფერს გრძნობს, ნებივრობითა და ღიმილით სულდგმულობს, ხოლო ირგვლივ ყველაფერს შეუპოვრად ჭვრეტს. საკუთარ მწარე ფიქრებს დროებით მოშორებული პოეტი ხარობს, რომ ეს ჩვილი ყრმა ჯერ კიდევ არ ფიქრობს თავის ცხოვრებაზე, საწუთროს ვნებასაც არ განიცდის, ამ ქვეყნად თავისი მოვლინებით ალაღებს ბედნიერ მშობლებს და ლექსის ბოლო ოთხ სტრიქონში ბარათაშვილი მიმართავს ჩვილ ყრმას:

„იტიკტიკე ენითა უსუსურის,
იტიკტიკე, ვიდრე ჟამი დაგხარის,
ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი,
არ გიცვნია სოფელი მომღერალი!“

ამ მიმართვაში საყურადღებო ისიც არის, რომ პოეტმა თავისუფალ ყრმასთან დაკავშირებით სოფელს „მომღერალი“ უწოდა, თითქოს არ სურდა მისი წინასწარი დაბეზღება, რომ სოფელი ავიცაა, რაც თვითონვე არაერთგზის გამოსცადა. ეს ავი სოფელი ხომ პირველი მიზეზი იყო მისი სულით ობლობისა.

და ბარათაშვილის ლირიკული გმირი, დროებით განშორებული „მსოფლიო სევდას“, ისევ უბრუნდება მარტოობის ფილოსოფიას, იმავე 1839 წელს იწერება „სულიობოლი“, ერთი უბრწყინვალესი შედევრი საერთოდ რომანტიკული ლირიკისა. მართალია, სულით ობლობაზე თითქმის ყველა რომანტიკოსი მოსთქვამდა, ბარათაშვილს ამ მხრივ პრიორიტეტი ვერ მიეკუთვნება, მაგრამ ერთი რამ არის საინტერესო: როგორ უნდა მივუდგეთ საერთოდ რომანტიკოსებთან მსგავსება-განსხვავებას? გვაქვს რაიმე საზომი, თუ მარტოოდენ ჩვენს სუბიექტურ მოსაზრებებს უნდა დავემყაროთ?

იდეების გარდა, როგორც ცნობილია, ჩვენ ხშირად ვპოულობთ ხოლმე საერთო ნიუანსებს რომანტიკოსების შემოქმედებაში, განსხვავების პარალელურად. ონეგინი და პეჩორინი, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსნი არ არიან, რამდენ საერთო ნიშანს ატარებენ აზრის, გრძნობის. შინაგანი სამყაროს მხრივ? და რა მკაფიოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ისინი, როგორც ინდივიდუალობანი, თუმცა ორივეს არსებაში ადვილად შეიძლება დავინახოთ ჩაილდ ჰაროლდის სახეობრივი შარავანდედი. პუშკინმა ხომ თვითონვე შეადარა თავისი გმირი ბაირონის ორეულს, პირქუშსა და დაღვრემილს, დაღლილსა და გულაცრუებულს. ბაირონიზმი გასული საუკუნის 20-იან წლებში მთელი თაობის „ფიქრთა მპყრობელი“ იყო და თუ მთლიანად არა, მისი ელემენტები მაინც აშკარად იგრძნობოდა თითქმის ყველა განათლებული ქვეყნის ლიტერატურის არენაზე. იგივე შეიძლება ითქვას ქართული პოეზიის მიმართ. ბაგრამ, ისიც უეჭველია, რომ თავისი განწყობილებით ბაირონიზმთან ყველაზე ახლო დგომა ქართველ პოეტთაგან გვაგრძნობინა ბარათაშვილმა, რომლის სულით ობლობა დაუნათესავდა ჩაილდ ჰაროლდის ურვა-წუხილს. ჩვენ ვიცით, თუ როგორ მოსთქვამს ქართველი გენიოსის ობოლი სული: ის ტოლს ვერ პოულობს, მას არავის ნდობა არა აქვს. მხოლოდ საკუთარ თავთან არის დარჩენილი, ამქვეყნიურ სიამეს გაურბის და მარტოოდენ ოხვრაა მისი შვება. ის მხოლოდ საკუთარ არსებაში პოულობს ცხოვრებას, მსგავსად ჩაილდ ჰაროლდისა, რომლის შესახებაც ბაირონმა თქვა: „მუდამ მშფოთვარეს არ შეეძლო შერიგებოდა სხვათა აზრებს, რომლებიც მასში ზიზღს იწვევდნენ; უბედურებაშიც ამაყმა გადაწყვიტა კვლავ ეძებნა ცხოვრება უადამიანებოდ, მხოლოდ საკუთარ არსებაში“. თუ გავიხსენებთ ბარათაშვილის თეჯლისით დაწერილ „სულით ობოლს“ და მის ცნობილ წერილს მაიკო ორბელიანისადმი, წერილს, რომელიც აღსავსეა ამ ვრცელ ქვეყანაში სულით ობლობის, მარტოობის ფილოსოფიით, შეუძლებელია არ ვიგრძნოთ

მსგავსება არამარტო ამ ნიშნების მიხედვით, არამედ, „უბე-დურებაში სიამაყითაც“. და ბარათაშვილის ლირიკული გმირი, სულით ობოლი, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი, შვე-ბას ვერ პოულობს ვერც იმ დიდ გრძნობაში, რომელსაც კაც-თა ენაზე სიყვარული ეწოდება. აზრებმა შეიძლება დაგვაჯაბოს ერთმანეთს, გაგვთიშოს ერთმანეთისაგან, მტრე-ბადაც გვაქციოს, მაგრამ სიყვარულის გრძნობას ნარტოოდენ ერთი კანონი აქვს — შეგვაეროოს, დაგვაცხროს, დაგვამშვიდოს, ბედნიერების ნექტარი გვასვას, ხოლო, როცა აღარც ეს არის, მაშინ ცხოვრებისგანაც თითქმის აღარაფერი რჩება. ბარათაშვილის ლირიკულ გმირს სწორედ ასე დაემარ-თა. სიყვარულმაც გასწირა, უფსკრული გაუთხარა, ობოლი სული კიდევ უფრო დაუობლა, ერთადერთი, უკანასკნელი ბედნიერი დღეებიც წაართვა, და მას აღარაფერი დარჩენოდა. გარდა მწარე მოგონებისა და ისევ ურვა-წუხილისა. ამიტომ იყო ასე დიდი სევდით სავსე პოეტის ლირიკული გალობა:

„სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი
მშვენიერნი ცრემლით კრთოდენ,
და ბაგენი მდუმარენი
ხვაშიადსა მიმალვიდნენ!
მაგრამ, სულო, იგი ცრემლი
არ სტიროდა ამ სოფელსა;
სახე შენი მოწყენილი
არა ჰგავდა ხორციელსა!
აწ მივხედი მე, უბედური,
თვალთა შენთა მეტყველებას:
თურმე ცრემლი უცნაური
მოელოდა ჩემს ობლობას!
ახლაც, ოდეს ვნახავ სადმე
ცრემლთა თვალთა მშვენიერთა,
გულამოსკვნით ვიგონებ მე
დღეთა ჩემთა ბედნიერთა!“

ეს მოთქმა-გოდება, რომელიც 1840 წელს ჩახრუხაული შაირით დაიწერა, ეს საოცარი სინაზითა და უღრმესი ადამია-ნური გრძნობით სავსე პოეტური მეტყველება არამარტო ქარ-თული, მსოფლიო სალირიკო პოეზიის მარგალიტად შეიძლე-ბოდა ეღიარებინა ყველა ქვეყნის კრიტიკოსს, მოსახერხებელი

რომ იყოს სხვა ენებზე მისი ადექვატური გადაღება. რა სინატიფე, რა სილამაზე, რა ცოცხალი, პირდაპირ ფერწერული წარმოსახვაა დამსხვრეული სიყვარულისა, და რა უშუალობა, ადამიანური გრძნობის როგორი ბუნებრივი გაშლაა მაღალი პოეტური სულით სავსე — არა, ეს მხოლოდ გ ე ნ ი ო ს ი ს შ თ ა გ ო ნ ე ბ ა ა!

და რაღა რჩება ბარათაშვილის ლირიკულ გმირს, რომელსაც ყველგან და ყველაფერში ოცნების ტაძრები დაენგრა, გარდა იმისა, რომ სასოება მარტოოდენ უზენაესზე დაამყაროს, მას მიმართოს, როგორც „ცთომილმა“ შვილმა და მასთან ეძიოს „სადგური მყუდროებისა“. მისი „ჩ ე მ ი ლ ო ც ვ ა“, იმავე 1840 წელს მცირებესიკური ფორმით დაწერილი, აღ-ს ა რ ე ბ ა ც ა ა და გ ა ნ ს ვ ე ნ ე ბ ა ც, ამქვეყნიური ცხოვრებისაკენ ლ ტ ო ლ ვ ა ც და მყუდრო სადგურის ძ ი ე ბ ა ც. მთელი ლექსი არაჩვეულებრივი შინაგანი ძალითა და იდეური ლოგიკურობით გამოირჩევა. ბარათაშვილის ლირიკულ გმირს იმედი დაკარგული არა აქვს, რომ არ შეუნდობენ „ძე შეცთომილს“, არ განასვენებენ „ვნებათაგან ბოროტ-ღელვილს“; უმანკო ადამმაც ხომ შესცოდა უზენაეს მცნებას, როცა სასუფეველის ხილვის შემდეგ წადილში გასცვალა „სამოთხის მშვენიერება“. ამიტომ მან რად უნდა წარიკვეთოს სასოება? არა, ის ცხოვრების შვილია და სურს „ცხოვრების წყარო“ ბოლომდე სვას. როგორც ვხედავთ, პ ე ს ი მ ი ს ტ უ რ ი ჰანგებით სავსე ლექსში ძლიერი ლ ტ ო ლ ვ ა ა ა მ ქ ვ ე ყ ნ ი უ რ ი ს ა კ ე ნ და ეს სრულებით არ არის შემთხვევითი ან გამონაკლისი. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი მ ე ბ რ ძ ო ლ ი ს უ ლ ი ს პ ო ე ტ ი ყ ო და მ ი ს თ ვ ი ს ბ ე დ თ ა ნ მ უ დ მ ი ვ ი შ ე რ კ ი ნ ე ბ ა უ ფ რ ო გ ა მ ო ხ ა ტ ა ვ დ ა ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ც ხ ო ვ ე ლ ა ზ რ ს, ვ ი დ რ ე ბ ე დ თ ა ნ ს ა მ უ დ ა მ ო შ ე რ ი გ ე ბ ა. ამიტომ მიისწრაფოდა მ ზ ი ს ა დ ს ი ნ ა თ ლ ი ს ა კ ე ნ, ამიტომ ეზმანებოდა სასოება, რომლის რწმენა არასოდეს დაუკარგავს.

რა ვუყოთ, თუ ბარათაშვილის ლირიკული გმირი ზოგჯერ ეძიებს მყუდროების სადგურს?! რომელ მებრძოლს არ ენატრება ხანგრძლივი რუდუნების შემდეგ წამით მაინც შეისვენოს და ძალები აღიდგინოს!? რა გასაკვირია, თუ ბარათაშვილიც

ზანდახან ამგვარ შესვენებას ეძებს, უზენაესსაც ეუდრება განარიდოს მისი ნავი ვნების ქარს და მყუდრო მისადგომი უჩვენოს!?

ბარათაშვილი არ არის დაცემულობის პოეტი, როგორც არ არის სულმოკლეობის გამოძახებელი. მისი ლირიკული გმირის ამაყი სული, მაღალი შეგნება და მებრძოლი გული მუდამ ესწრაფვის ნათელსა და მზიანს, კეთილშობილსა და სპეტაკს, ნატიფსა და მშვენიერს. განა ამას არ გვიდასტურებს 1840 წელს დაწერილი უმშვენიერესი პოეტური ქმნილება „აღმოხდა მნათი", სადაც ყველაფერი გაცისკროვნებულია, როგორც მზის ამოსვლის შემდეგ ცას ღრუბლები გადაეყრება და ბნელში გახვეულ ქვეყანას ნათელი მოეფინება!? ეს პოეტური შედევრი, კლავ მცირებესიკუური ფორმით დაწერილი, საოცარი მხატვრული ძალით გვხიბლავს და დიდი ესთეტიკური გრძნობით გვატკბობს. შაგრამ ჯერ თვით ლექსი წავიკითხოთ, რომლის ექსპოზიცია უნებლიედ მოგვაგონებს სიქსტის კაპელის ფრესკაში სამყაროს პირველი ნათელის ანთებას:

„აღმოხდა მნათი აღმოსავალს,
მზეებრ ცხოველი,
მცირითა შუქით გარდუყარა ცასა ღრუბელი,
დიდ სამქუხარო, საავდარო,
და მეც გლახ გული
მსწრაფლ განმითენა, შავ-ბედისგან
დაღამებული!
ნუ თუ აღმიჩნდი ცხოვრებისა
ჩემის მნათობლად;
ნუ თუ შენ პფინო შვების სხივი
ჩემს გულსა კვალად;
კვლავ აღმიტეხო გულის ჭირნი მიყრუებულნი
და განმიახლო ნეტარების დღენი წარსულნი?
მაშ გამობრწყინდი, მფინე შუქი ეგ საოცარი
და განანათლე კვლავ ცა ჩემი, ესრეთ საზარი!
მეცა ხელი ეჰყო დაჟანგებულს ჩემსა სანთურსა
და შევაერთო ფიქრნი ჩემნი შენს ხმას ციურსა!
დავმღერდე მას დროს, როს ვარსკვლავი
მშვენიერის ცით

მინეტარებდა სიცოცხლისა დღეთა სიამით;
მოვსთქვამდე, თუ ვით მიმეფარა
იგი მსწრაფლ ღრუბელს.
ბოლოს ვუმღერდე შუქსა შენსა
შვების მომფენელს!
ვჰფიცავ ძლიერსა სხივსა შენსა,
ჰოჲ, მნათო ჩემო!
ოდეს ვიხილო მცირე ბინდი
შენს შუქს გარემო,
მყის დამიღამდეს ამ სოფლისა სიამოვნება
და შენთვის დავთმო ტრფობის წინდად
ყოველი დიდება!“

მართლაც ბრწყინვალეა ნათელის ეს უეცარი გამოჩენა, როცა საშინლად პირქუში ცა, მეხისა და ელვა-ტეხვის ნაცელად, საავდარო ღრუბლებს გადიყრის და შავი ბედისაგან დაწყლულებულ პოეტის „გლახ გულსაც“ შვებას მოჰფენს. თითქოს ეს ნათელი — მისივე ცხოვრების მნათობია, შვების სხივი, რომელმაც ბარათაშვილის ლირიკულ გმირს მიყრუებული „გულის ჭირნი“ გაახსენა და წარსული ნეტარების დღეები განუახლა. და როგორც „ფაუსტის“ პირველ მიმართვაში გოეთე შთაგონებულად მოუხმობს „ყრმობის დროინდელ ცდომილ აჩრდილებს“ წარსული ტრფობის გამოსაწვევად, ისე აქ, ბარათაშვილს გენია თავის მნათობს საოცარი შუქის გამობრწყინებას ევედრება, რათა მისი „ესრეთ საზარი“ ცა კვლავ განანათლოს და შეიძლოს სანთურის ძალით საკუთარი ფიქრები მის ციურ ხმას შეურთოს. პოეტს სურს სანთურზე დამღერდეს იმ წარსულ დროს, როცა ბედის ვარსკვლავი მშვენიერი ციდან სიცოცხლის დღეებს სიამით უნეტარებდა, სურს მოსთქვამდეს იმასაც, თუ რა სწრაფად გაჰქრა ყოველივე, როგორ მიეფარა ყოველივე ღრუბელს და. ბოლოს უმღეროს ამ ახალ მნათობს, რომელმაც შვება მოჰფინა. აქვეა ფიცი, რომ თუ ოდესმე მის ძლიერ სხივს თუნდ მცირე ბინდი მოეფინება, პოეტი მზადაა უარი სთქვას ამქვეყნიურ სიამოვნებაზე და დათმოს ყოველგვარი დიდება. ჩვეულებრივი მოკვდავის ენით რომ გამოვთქვათ, აქ სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ ბარათაშვილის ლირიკული გმირი, პირადი ხვედრით გულგასენილი, ბედნიერებას ეტრფის და ერთგულებას ეფი-

ცება. მაგრამ როგორაა გამოთქმული, როგორი პოეტური სახეებით, როგორი შთაგონებით, როგორი ღრმა გრძნობებითა და უშუალობით. არავის შეეძლო ასე გამოეხატა საკუთარი „მეს“ შინაგანი არსება, გარდა გენიოსისა.

და ამ მნათობის გამოჩენამ პოეტს 1841 წელს დააწერინა ორ ვარიანტად, მცირებესიკური ფორმით, ნახევრად ანაკრეონტული ლექსი — „ჩემთ მეგობართ“. ბარათაშვილს არ შეეძლო ალექსანდრე ჭავჭავაძის მსგავსი ყოფილიყო ანაკრეონტულ ლექსებში, მაგრამ, ეტყობა, წამიერი ბედნიერების დროს, მასაც სურდა სათანადო ძიეზღო თავისი დროის მოთხოვნილებისათვის. მართალია, აქ არ გვესმის „ლოთებო ნეტავი ჩვენას“ მაჟორი, მაგრამ ცხოვრების ანაკრეონტული ფილოსოფია მაინც არაჩვეულებრივი მკაფიობით ჩანს. პოეტი თავის მეგობრებს ურჩევს, ვიდრე ჭაბუკები ხართ, „დილა გინათებთ“ და სიყვარული ჭირსაც სიამოვნებად გიქცევთ, შავი ბედის ლახვარს ნუ დაიჩხვევთ, მწარე ცრემლებიც კი „შეუპოვრად წარიხოცეთო“. ეს უკვე ანაკრეონტული მოტივია, რომელიც მომდევნო სტროფებშიც განმიმდევრულად გრძელდება.

კიდევ რას ურჩევს ახაკრეონტულად განწყობილი პოეტი თავის მეგობრებს?

დასტკბით ამქვეყნიური სიამოვნებით, სოფელი არავის შერჩება, სიყმაწვილეს ტრფობის ალს ნუ მოაკლებთ, გახსოვდეთ, ასაკის შესაფერად უნდა მოიქცეთ, ვინაიდან „სასაცილოა ბერი კაცი, რომ ყმაწვილობდეს, და საბრალოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდესო“. აქედან ბუნებრივი დასკვნაც კეთდება:

„მას ვაქებ, ვინცა თვის სიცოცხლე ასე ატარა,
რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა!
მაშინცა კმარა დადუმება გულის ვნებათა,
კისრად ტვირთება წუთის-სოფლის მძიმე ზრუნვათა,
ოდეს მზის სხივნი შეგვიცვლიან ჩვენ დილას მას ნელს
და ცრუ სოფელი სიყვარულსაც შეჰყრის სარგებელს!“

დროის შესაფერად მოხმარების ფილოსოფია თითქოს სრულებით არ ეთანხმება ბარათაშვილის ფსიქო-იდეოლოგიას. აქ რომ ლაპარაკი იყოს თვით ცხოვრების გაუმჯობესე-

ბისათვის ზრუნვაზე და „დროის მოხმარება“ ამას გულისხმობდეს, მაშინ სადაო არაფერი იქნებოდა. ეს ხომ ორგანიული ნაწილია ბარათაშვილის პოეზიისა! მაგრამ, „დროის მოხმარება“ გართობის, ლხინის, ტრფობის ალთა მორევში, როგორღაც ეთიშება ბარათაშვილის ლირიკული გმირის მთლიან კონცეფციას, და მას ვერ გავიგებთ, თუ შემდეგი რამ არ გვეცოდინება: ბარათაშვილი ევროპულად განათლებული პოეტია, მან კარგად იცის დასავლეთის კულტურა, შესწავლილი აქვს არა მარტო მსოფლიო ლიტერატურა, ანტიკური ფილოსოფიაც, ეჰვი არ არის, ეპიკურეს მოძღვრებასაც იცნობს და ანაკრეონტის პოეზიასაც, რომ აღარაფერი ვთქვათ ანაკრეონტიზმზე რუსულ ან ქართულ მწერლობაში (პუშკინის ადრინდელი ლექსები, ალექსანდრე ჭავჭავაძე). ამიტომ ის ვერ გაექცეოდა ანაკრეონტულ ლექსს, მიუხედავად მძიმე პირადი ხვედრისა, თუმცა ისიც ვნახეთ, პოეტის ბიოგრაფიის გადმოცემის დროს, რომ თვითონაც არაიშვიათად იმას მისდევდა, რასაც მეგობრებს ურჩევს. ყოველი შემოქმედი ადამიანი, როგორი სულიც არ უნდა ჰქონდეს, თავისი ეპოქის შვილია და თანამედროვეობის ბეჭედით არის აღნიშნული. როგორადაც არ უნდა ვეცადოთ, დროს ვერსად გავექცევით და ეპოქის ზოგიერთი ცდუნება, თუნდაც მისი სიყალბე ბოლომდე გვქონდეს შეგნებული, შესაძლოა უნებლიედ გავიმეოროთ. ასეა ბარათაშვილის ლექსშიც — „ჩემთ მეგობართ“, თუმცა იგი, როგორც აღნიშნული გვაქვს, მხოლოდ სანახევროდ არის ანაკრეონტული. მაგალითად, ვაკხური გატაცება მასში სრულებით არა ჩანს.

მაგრამ ამ ციკლში უნდა მოთავსდეს აგრეთვე ორი ვაკხური ნაწარმოები: 1842 წელს დიდბესიკური ზომით დაწერილი „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“ და უთარიღო „ვლოცავ დღეს“, რომლის ლექსალური წყობა რუსთველური შაირია. პირველი ლექსი, რომლის შესახებაც პოეტის ცხოვრების აღწერაში უკვე გვქონდა საუბარი, მოცულობით ძალიან მცირეა, მინიატურული (სამი სტრიქონია, არსებითად კი ერთი, როგორც სარგის გორგაძე შენიშნავს), მაგრამ სრულიად დამთავრებულ ნაწარმოებს წარმოადგენს; აზარ-

ფეშა შეზარხოშებული კაცივით ლაპარაკობს: „ამავსებ ღვინით, აგავსებ ლხინით. შესვი? გაამოს!“ თუ აქ აზარფეშა გველინება ლექსის ობიექტად, მეორეში პოეტს ამეტყველებული აქვს თასი, რომელიც თვითონვე ლოცავს თავისი გაჩენის დღეს:

„ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის, ბედნიერი ვარ მე, თასი;
სამღერალო ვარ ტურფა ხელთ და მოსალხინო მართასი!
მოვედით სევდით მაშვრალნო, გასვათ სასმელი ღმერთასი
და მყის გიქარვოთ გულისა, ვით ერთი, პირი ათასის!“

თუ აქ ორივეგან შეგვეძლო დაგვენახა ის, რაც ალექსანდრე ჭავჭავაძის ლათაიურ მუხამბაზში („ლოთების ნეტავი ჩვენა“) ასე მკაფიოდ ჩანს, სამაგიეროდ, სულ სხვა აქცენტით წარმოგვიდგება „ჩემთ მეგობართ“. მასში არ ტრიალებს ბახუსის ძალა, არ არის სრული უზრუნველობა, რაც, საერთოდ, ანაკრეონტულ ნაწარმოებს უნდა ახასიათებდეს. მისი მორალი უფრო თავდაჭერილი და ზომიერია: ახალგაზრდა კაცმა ქედი არ უნდა მოიხაროს შავი ბედის წინ, მოხუცის სახე არ უნდა მიიღოს, მაშინაც ეყოფა დაიცხროს გულის ვნებანი, როცა ამქვეყნიური მძიმე ტვირთი კისრად დააწვება მოწიფულობაში, როცა ლაღ სიყვარულსაც პრაქტიკული ცხოვრება შეერევა, და სიყვარული ჰქრება, რაკი მას, როგორც შექსპირი ამბობს, ანგარება, ანგარიში დაეხრთვის, ხოლო ბარათაშვილის ენით რომ ვსთქვათ, სარგებელი შეეყრება! ეს არის და ეს! შემდეგ კი ისევ სკეპტიკური აზრი სიყვარულისა: პოეტი ურჩევს მეგობრებს — ნაცადი მაქვს, მშვენიერ სქესს ნუ მიენდობითო:

„არ შეემსჭვალოთ, მოკისკასეს, კეკელა ქალსა
სულის დამტყვევნელს და გრძნობათა ცრუდ მომღერალსა!
აშიკის ენა მას ახარებს, მას ასულდგმარებს,
ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს!“

არაფერი ისე რომანტიკული არ არის ბარათაშვილის რომანტიზმში, როგორც სიყვარულის გაგება. რომანტიკოსები საერთოდ ორგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ სატრფოსადმი: ისინი, ერთის მხრივ, გუნდრუკს უკმევენ მას,

ჩამუდამო სიყვარულს ეფიცებიან, ხოლო, მეორეს მხრივ, მისტირიან წარმავალ გრძნობას და ქალის გაუტანლობას. ბარათაშვილის პოეზიაში ორივე გვაქვს და ორივე ტიპიურად რომანტიკული ხასიათისა. თუ აქ, ლექსში — „ჩემთ მეგობართ“ პოეტი სრულ უ ნ დ ო ბ ლ ო ბ ა ს უცხადებს მშვენიერ სქესს, სხვაგან (მაგალითად, „ღამე ყაბახზედ“, „ჩემს ვარსკვლავს“, „თავადის ჯ... ძის ასულს, ეკატერინას“, „საყურე“, „სატრფოვ, მახსოვს“, „არ უკიჟინო სატრფოო“, „მიყვარს თვალები“, „შენი დალალნი“, „რად ჰყვედრი კაცსა“, „შევიშრობ ცრემლსა“, „მადლი შენს გამჩენს“, „ნა..., ფორტოპიანოზედ მომღერალი“, „როს ბედნიერ ვარ“) ს ა ტ რ ფ ო ს სახე პირდაპირ გ ა ი დ ე ა ლ ე ბ უ ლ ი ა და უნაზესი გრძნობებითაა წარმოსახული. მაგრამ, დასამალი არ არის, რომ ზოგჯერ ეჭვიც თანა სდევს, თუმცა არ არსებობს ნამდვილი სიყვარული, რომელსაც თვით სიყვარულით გამოწვეული ეჭვი არ ახლდეს, როგორც მისი უერთგულესი კავალერი. ბარათაშვილმა ეს შესანიშნავად იცის და ამ მხრივ ჩვენ მას ვერაფერს ვასწავლით.

მაგრამ არის აბსოლუტურად იდეალური სიყვარული, რომელსაც ჯერ ეჭვის ნატამალიც კი არ მიჰკარებია. ამგვარი სიყვარულის ერთი უმშვენიერესი პოეტური ქმნილებაა 1841 წელს დაწერილი „არ უ კ ი ჟ ი ნ ო ს ა ტ რ ფ ო ო“, რომელშიაც ბარათაშვილის ლირიკული გმირი მთელი თავისი არსებით დგას ჩვენს წინაშე, როგორც ა დ ა მ ი ა ნ ი, სავსე ნაზი გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ი თ ა და ასევე ნაზი ს უ ლ ი თ. მაგრამ ორივე ამ ღირსებას შარავანდედით ამკობს მაღალი რ ე ფ ლ ე ქ ს ი ა, რასაც გრძნობიერება დაუმსხვრევად გადაჰყავს მიმზიდველი აზრების სამეფოში და იქ აგვირგვინებს, როგორც მიმზიდველ ადამიანურ მთლიანობას. რუსთველური შაირით დაწერილი ეს უნიკალური ნაწარმოები ჰარმონიული შეერთებაა გ რ ძ ნ ო ბ ი ს ა და ა ზ რ ი ს ა, პ ო ე ზ ი ი ს ა და ფ ი ლ ო ს ო ფ ი ი ს ა. მაღალი რანგის პოეტური მეტყველება ამშვენებს ასევე მაღალი რანგის ფილოსოფიურ დეფინიციებს, და პირიქით, ფილოსოფიური განსჯა ორგანიულად ერთვის პოეტურ ყღერადობას. ძნელია დავადგინოთ: რა უფრო ძლიერია — გრძნობა, თუ აზრი, აზრი, თუ გრძნობა, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, მაგრამ ერთი რამ სრულიად უეჭველია, ის, რომ „არ უკი-

ჟინო სატრფოო“ მსოფლიო სალირიკო პოეზიის ნამდვილად ობოლი მარგალიტია.

წაიკითხეთ ეს მარგალიტი, სადაც პოეტი თავის სატრფოს ეუბნება: შენს მგოსანს ნუ დაუძრახავ გულისთქმას, ვინაიდან „მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმაო“. ბარათაშვილის ლირიკული გმირის ზღვა გულში იმდენი გრძნობაა დაბუდებული, იმდენი სათნოება, იმდენი სისპეტაკე და იმდენი სიწრფელე, უსაზღვრო სიყვარულად ქცეული, რომ კაცთა ენას მართლაც როდი შეუძლია ყოველივე ეს ერთბაშად გამოთქვას, ან ისეთი ფორმით, რომ თვითეული მათგანის ადექვატურ გამოხატულებად იქცეს. ამიტომ პოეტს სურს მეტამორფოზის ძალით სხვად გარდაიქმნას, სატრფოს იმ საგნად იხილოს, რომელთანაც უშუალოდ შეეძლება ურთიერთობის დამყარება, როგორც მზის სხივებს მშვენიერ ცის ცვართან შეერთებით ამქვეყნიური სიცოცხლე მოაქვთ. და პოეტის სურვილია განთიადის მორბედი ვარსკვლავი იყოს, რომლის ამოსვლას ასე ელოდებიან სულდგმულნი. რაღაც დიდი, ამაღლებული გრძნობა გვიპყრობს, როცა ბარათაშვილის გრძნეულ სიტყვებს ვკითხულობთ:

„მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი
ჩემთ დღეთა გარსა მოვაცლო,
საღამოს მისთვის შთავიდე,
რომ დილა უფრო ვაცხოველო.
მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი,
განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ
ტყეთა ფრინველნი და ვარდი.
მინდა შენ იყო, სატრფოო,
შვენიერისა ცის ცვარი,
რომ განაცოცხლო, შავარნო,
მდელო, სიცხითა დამჭკნარი,
რომ მხოლოდ მზისა ციგი
მას დილის ნამსა იშრობდეს,
და, ერთად შესხივებულნი,
შვებას მოჰფენდნენ სიცოცხლეს!
არეს ავსებდენ სიამით,
მცენარეთ განმაცხოველებლად.
იყვნენ მარადის, უხსნელად,
სოფლისა განსათავებლად!“

და თვით პოეტიც ამაღლებულია თავის უსაზღვრო ტრფობაში. ამიტომ ასე თავდადებულად ეფიცება სატრფოს ერთგულებას, მიიჩნევს მას რაღაც ზეადამიანურ არსებად, ეჩვენება, რომ განა ეს ტრფობა, ეს გრძნობა ჩვეულებრივი სიყვარულია? არა, ასე რომ იყოს, მაშინ ყველაფერი უკუღმა შემობრუნებულა, მაშინ მზეც უსხივოდ უნდა ანათებდეს, ვარდი განთიადისას ვეღარ იშლებოდეს, ხოლო ცვარმა მდელო ვეღარ უნდა ააყვავოს. მაშინ თვით სატრფოც ჩვეულებრივ მომაკვდავ ბანოვანს უნდა ჰგავდეს, და თუ ასეა, რატომ არის იგი გამორჩეული მათ შორის ან რატომ ჰგავს ციურ მშვენებას? არა, პოეტის სატრფო ცისიერი მშვენიერებაა, მისი სილამაზე უხრწნელია, და ამიტომაა, რომ ბარათაშვილის ლირიკული გმირი თავის გრძნობებს ადამიანურ სახელსაც ვერ აძლევს, იმდენად ზეადამიანურად მიაჩნია ისინი. მაგრამ, რა საჭიროა ჩვენი კომენტარი, როცა პოეტი თვითონვე გვეუბნება:

„ნუ თუ ამ სულის წადილსაც
ჰრქვა სიყვარული სხვათაებრ?
მაშინ მზეც უსხივ-უცეცხლოდ
შეიძლებს ნათვას ვარსკვლავებრ;
მაშინ ვარდიცა განთიადს
ვერღარა გარდაიშალოს
და ცისა ცვარმან მდელოი
არღარა გააბიბინოს.
მაშინ შენც სხვათა მოკვდავთა
ბანოვანთ მიემსგავსები!
მაშ რად ერჩევი მათ შორის
და ციურთ დაედარები?
მაგრამა მშვენიერება
გაქვს, ცისიერო, უხრწნელი,
და ჩემთა გრძნობათ შენდამი
ვერ დასდვან კაცთა სახელი!“

მაგრამ ამ უსაზღვროდ ამაღლებული, ნაზი, სპეტაკი სიყვარულის გრძნობიდან, ბარათაშვილის ლირიკული გმირი ისევ უბრუნდება ძველ ურვა-წუხილს, ძველ სევდასა და გოდებას; პოეტის არსებას ისევ სტანჯავს იმედების სრული გაცრუება, ამქვეყნად ბედნიერების მოჩვენებითი ხასიათი, რასაც თან ერთვის ირგვლივ გამეფებული ბოროტება.

ასე იწერება 1841 წელს ტიპიური რომანტიკული ლექსი — „ვეფხვის ტყაოსანი“, რომელშიაც ბარათაშვილის ობოლმა სულმა ერთი უმშვენიერესი, მაგრამ ვარიაციულად სრულიად ახალი გამოხატულება ჰპოვა. ლექსი დაწერილია მცირებე-სიკური ფორმით და მასში არაფერი არ არის, რაც არ იყოს ტიპიურად რომანტიკული და რომანტიზმს არ განეკუთვნებოდეს. ჩვენ მას უფრო დაწვრილებით იქ განვიხილავთ, სადაც ბარათაშვილის „მიუსაფარი მწირის“ ფილოსოფიას გავარჩევთ, აქ კი მხოლოდ იმას მივუთითებთ, რომ პოეტის სული აღშფოთებული ჩანს, ხოლო გული მოკლული ადამიანთა ავენაობით. ეს ერთხელ კიდევ ხაზგასმით გამოყოფს ბარათაშვილის ლირიკულ გმირს, როგორც სათნოსა და სპეტაკს, რომელსაც მხოლოდ „წრფელი ზრახვანი“ ამოძრავებენ და გზას წმიდა ლამპარნი უნათებენ. ის ეტრფის უანგარო, სპეტაკ სიყვარულს, რომელსაც მზად არის საკურთხად მიართვას გულიცა და სულიც, აღსავსენი ამქვეყნიური ნეტარების სურვილით. თითქოს გრძნობდა კიდეც ამ ბედნიერებას, მაგრამ წუთისოფლის ამაოებამ ყველაფერი დაუმსხვრია, ოცნების ტაძარიც გაუქრო, სასუფეველის ნაცვლად კი მარტოოდენ სევდა და წყვდიადი დაუტოვა. და ის დგას, როგორც მოძულე „ცრუ და მუხთალი“ სოფლისა, სადაც აღარაფერი დარჩენია, გარდა „დამჭრალი ცეცხლისა“. აქედან მოდის სიყვარულის უძლურების, უნუგეშობის, ობლობისა და მიუსაფარი მწირის ფილოსოფია, რომელსაც ჩვენ ქვემოდ ცალკე შევეხებით.

მთელი ლექსი, როგორც აღვნიშნეთ, ტიპიური რომანტიკული ნაწარმოებია თავისი ფილოსოფიით, განწყობილებით, ყველაფრით, რაც მასში არის, მაგრამ ის, რაც არის, იმასაც გვიმტკიცებს, რომ ბარათაშვილზე უფრო „მიწიერი“ პოეტი, მიუხედავად მისი რომანტიკოსობისა, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიას ნამდვილად არა ჰყოლია. „მიწიერი“ ცოტა როდია ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების შემოქმედებაში, მაგრამ არცერთ ძათგანს ისე ღრმად არ უგრძვნია და ისე სრულად არ გამოუხატავს ლირიკულ ფორ-

მაში საკუთარ „მესთან“ ერთად თანამედროვეობის ტკივილი, როგორც ბარათაშვილს. მისი რომანტიზმი „მიწიერია“ და არა „ზეციერი“, ცხოვრებისეულია და არა ოცნებისეული. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ ბარათაშვილმა და მხოლოდ ბარათაშვილმა მოუმზადა ლიტერატურული წინაპირობები ქართულ რეალიზმს, რომელიც 50-იანი წლებიდანვე დაიწყო; რა გასაკვირია, რომ ბარათაშვილი ახალი ქართული მწერლობის ფუძემდებელია და თითქმის მთელი საუკუნე ლიტერატურაში მისი შთაგონებით მიემართებოდა.

ყველაფერი, რაც ბარათაშვილმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე დაგვიტოვა, ისე ორგანიულად შეუთავსდა ქართველი კაცის შინაგან არსებას, მის სულისკვეთებას, აზრსა და გრძნობას, როგორც გენიალური ქმნილება რუსთაველისა. და ქართული ლიტერატურის ისტორიაში ბარათაშვილის შემოქმედებამ ისე მოხდენილად დაიკავა თავისი დიდი ადგილი, როგორც ბეჭედში მარგალიტმა. უეჭველად დიდი პოეტები არიან მისი წინამორბედნი — თეიმურაზ პირველი და თეიმურაზ მეორეც, არჩილი, გურამიშვილი და ბესიკი, მაგრამ არცერთ მათგანს არა აქვს თავის ერთან ორგანიული სულიერი კავშირის ის გრძნეული ნერვი, რომლითაც ბარათაშვილის მთელი შემოქმედება, თუნდაც ცალკეული ნაწარმოები გამოირჩევა. რასაც წერს, ან ამბობს, როგორღაც უმალ იპყრობს ქართველი კაცის არსებას, თითქოს მის სულსა და გულში იხედებოდეს და იქიდან გველაპარაკებოდეს. უფრო მეტი სიახლოვე ადამიანთან მწერლობას არ შეუძლია და ბარათაშვილი სწორედ იმ ერთეულებთანაა, რომლებსაც ბუნებამ ეს საოცარი მხატვრული ნიჭი უწყალობა.

ამ ნიჭით არის დაწერილი ეჭვმირეული სიყვარულის, რომლის შესახებაც ზემოდ ვლაპარაკობდით, ერთი ძვირფასი ლირიკული მარგალიტი — „მიყვარს თვალები მიბნედილები“. ლექსი დათარიღებულია 1842 წლით და პოეტიკურად წარმოადგენს დიდბესიკური ზომის შავთელურთან შეერთებას. აქ კიდევ უფრო ნათლად ჩანს „მიწიერი“,

ვიდრე ლექსში — „არ უკიჟინო სატრფოო", უფრო მეტად გვაგრძნობინებს ბარათაშვილის ლირიკული გმირი სიყვარულშიც თავის მებრძოლ სულს, ვიდრე „ვჰპოვე ტაძარში". მეტია აქ სილაღეც და იმედიანი გზნებაც. აბა დააკვირდით:

„მიყვარს თვალები მიბნედილები,
ეშხისა ცეცხლით დაქანცულები;
მაგრამ როს ვუპვრეტ, ზამბახ-ვარდთ
ველად
განეწონიან მათი ისრები.
მიეხვდი, თვალებო, ჩემო მკელელებო,
მაგ თქვენსა ქცევას,
მაგრამ ვით ელით თქვენგან კოდილის
თქვენგან გაქცევას?
ვიცი, რომ მტრობენ გულსა
მგრძნობელსა,
უწყალოდ სტანჯვენ უენო მსხვერპლსა,
მაგრამ რა ისართ ზეცად აღმართვენ,
მათშივე ჰპოვებს საკურნებელსა!
თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენსა
ძლიერს ბასრობას,
თუ არა სპვრეტდეს თქვენგან სიკვდილში
თვით უკვდავებას?"

სიკვდილში უკვდავება! ეს მარად ძველი და მარად ახალი ფილოსოფია ადამიანის არსებობისა, სიყვარულთან ასე მჭიდროდ ასოცირებული, ბარათაშვილის პოეზიაში დასადგურებულია, როგორც სიცოცხლის განუყოფელი აზრი და ასევე განუწყვეტელი ჰარმონიული გამა, რომელიც მარადიულია. ამ აზრსა და მარადიულობას ბარათაშვილზე ადრე დაუკვირდა ანტიკური ფილოსოფია, რომელმაც საუკუნეობრივი მნიშვნელობის ორი ძირითადი დასკვნა გააკეთა. პირველი ამოდიოდა წმინდა რელიგიურ-იდეალისტური საწყისიდან, რომ მატერია მოკვდავია, სული უკვდავი, ამდენად, სიკვდილი უკვდავებაა, რაკი სიკვდილის შემდეგ უკვდავი სული მატერიის ახალ გარსში (სხვა ადამიანის სხეულში) გადადის. მეორე დასკვნა, პირიქით, ემყარებოდა მატერიის უკვდავებას და სულის მოკვდაობას. ადამიანის სიკვდილის შემდეგ კვდება მისი სული და არა მატერია, რომელიც ახალ ფორმას ღებულობს და უბრუნდება

თავის ორგანიულ საწყისს, საიდანაც კვლავ განმეორდება; ამიტომ, სიკვდილის შემდეგ, ჩვენ ისევ გავჩნდებით სადღაც შორეულ დროში, ისევე, როგორც სიკვდილამდე ოდესღაც ვიყავით, მაგრამ აღარ გვახსოვს, რაკი ხსოვნა იქ დაიმარხა, სადაც სული გაჰქრა.

ანტიკურ ფილოსოფიას ისიც სწამდა, რომ ძალა, რომელიც მატერიას აერთებს, ჰკრავს და აკეთილშობილებს — სიყვარულია, ხოლო რაც მის დაშლას, რღვევას, დამახინჯებას იწვევს — სიკვდილი. მაგრამ ეს უკანასკნელი უძლურია სიყვარულთან შედარებით, მას მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია მოერიოს სიყვარულს; ამიტომ სიკვდილი ეპიზოდურია, ხოლო სიყვარული მარადიული, როგორც მატერია, და საყოველთაო ხასიათს ატარებს.

შეუძლებელია ყველა ეს ანტიკური ფილოსოფიური დოქტრინა ბარათაშვილს არ სცოდნოდა ან გენიოსის გონებით დამოუკიდებლად მაინც არ მიეკვლია. ყოველ შემთხვევაში, უკვდავების ორგანიული კავშირის დანახვა სიკვდილში, რომელიც მთლიანად ასოცირებულია სიყვარულთან, სიტყვის უბრალო თამაში კი არ არის, ღრმად მოაზროვნე კაცის პოეტურად ამეტყველებული ფილოსოფიური დეფინიციაა.

მაგრამ რა არის სიყვარული, თუ მას არ აცისკროვნებს ის დიადი ფენომენი, რომელსაც ჩვენს ენაზე თავისუფლება ეწოდება და ურომლისოდ ადამიანის ცხოვრება, როგორი უზრუნველყოფილიც არ უნდა იყოს, ტანჯვას წარმოადგენს? ბარათაშვილამდე დიდი ხნით ადრე ანტიკურმა ფილოსოფიამაც სიყვარული ხომ თავისუფლებას დაუკავშირა? სიყვარული ხომ მაშინ არის სრული ბედნიერება, როცა თავისუფლებით ნეტარებს?

ბარათაშვილის ლირიკულ გმირს ბოლომდე შეცნობილი აქვს ეს ელემენტარული ჭეშმარიტება. ამიტომ ეტრფის თავისუფლებას, რაც ასე დაუფარავად ჩანს 1842 წელს დაწერილ ლექსში „სუმბული და მწირი". ჩვენ მას სხვა ადგილას გავარჩევთ უფრო დაწვრილებით. ნაწარმოები დაწერილია დიალოგის ფორმით, რომლის პოეტიკური ზომა მცირებესიკურია. მასში კარგად ჩანს, თუ რა ღრმად ჰქონდა

შეგნებული ბარათაშვილის ლირიკულ გმირს არა მარტო თავისუფლების ცხოველმყოფელობა, არამედ, სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის დიადი გრძნობა, რასაც პატრიოტიზმი ეწოდება.

ბარათაშვილის პატრიოტიზმი!

ეს თემა ვრცელი გამოკვლევის საგნად შეიძლება იქცეს, ვინაიდან „სუმბულისა და მწირის“ გარდა, პატრიოტიზმის გრძნობაა გაშლილი აგრეთვე 1842 წელს მცირებესიკური ფორმით დაწერილ ლექსში — „საფლავი მეფისა კრაკლისა“, რომელსაც მონოგრაფიის სხვა თავში განვიხილავთ, ისევე, როგორც 1844 წელს რუსთველური შაირით დაწერილ ლექსს — „ძრწოდე კავკასო“. აღარაფერს ვამბობთ გენიალურ „მერანსა“ და პოემაზე „ბედი ქართლისა“. მაგრამ პატრიოტული გრძნობით სავსე ლექსებიც რომ არ ჰქონოდა, ბარათაშვილი მაინც დიდ პატრიოტ პოეტად უნდა მიგვეჩნია. რატომ? იმიტომ, რომ პატრიოტი პოეტი ის კი არ არის, ვინც ყოველ ლექსში სამშობლოს სიყვარულს იფიცებს. პატრიოტი პოეტი ის არის, ვინც თავისი შემოქმედებით სამშობლოს ემსახურება. დიდ გოეთეს სიკვდილის წინადღეებში მართალი უთქვამს ეკერმანისათვის: „ოუ პოეტი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ცდილობდა ებრძოლა მავნე ცრურწმენებთან, აღმოეფხვრა ლაჩრული შეხედულებანი, გაეშუქებინა თავისი ხალხის სული, გაეწმინდა მისი გემოვნება და გაეკეთილშობილებინა მისი გრძნობები და აზროვნება: ამაზე უკეთესს ის რაღას გააკეთებდა? და კიდევ როგორღა იმოქმედოს მან პატრიოტულად?“*

ბარათაშვილი ხომ მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ებრძოდა მავნე ცრურწმენებს, ლაჩრულ შეხედულებებს, ამით კი ყველაზე უკეთესად გამოხატავდა მშობელი ერის სულს, აფაქიზებდა მის გემოვნებას, აკეთილშობილებდა ქართველი ხალხის გრძნობებსა და აზროვნებას! ეს მართლაც იყო დადასტურება მშობელი

---

* ეკერმანთან გოეთეს საუბრების ეს ადგილი მოგვყავს შაგინიანის წიგნიდან; Гете, 1950 წ., გვ. 31.

ერისადმი მისი უსაზღვრო სიყვარულისა და მეტი პატრიოტული საქმე რაღა უნდა გაეკეთებინა? მეტი რაღა შეიძლება მოვთხოვოთ ბარათაშვილის ლირიკულ გმირს?

როგორც მოქალაქე, ბარათაშვილი პატრიოტი იყო, რომელიც თავისი ერის კეთილდღეობისათვის დაუღალავად ზრუნავდა. ჩვენ ეს ნათლად დავინახეთ მისი ცხოვრების აღწერის დროს. როგორც პოეტი, ბარათაშვილი ნამდვილად პატრიოტია და პატრიოტიზმი ერთი ძირითადი მოტივია მისივე შემოქმედებისა. ასე რომ არ იყოს, როგორღა ავხსნათ პოეტის მემკვიდრეობაში მწვავე განცდა იმდროინდელი საქართველოს მძიმე მდგომარეობისა? როგორღა შეიძლებოდა თვით პოეტი ასე დიდი პოლიტიკური სიმართლით მიდგომოდა თავის თანამედროვეობას, ყოფილიყო მისი აქტუალური პრობლემების ღრმად გამგები, ჰქონებოდა პროგრესული აზროვნება და ყოველთვის გამოეჩინა პოლიტიკური გონიერება გონებამახვილობასთან ერთად?

მეტიც შეიძლება პირდაპირ ითქვას: რუსთაველის შემდეგ ბარათაშვილამდე უფრო ეროვნული პოეტი ჩვენ არც გვყოლია და მარტოოდენ ერთი — გურამიშვილი შეიძლება მის ახლოს დავაყენოთ ეროვნული სახის გამომეტყველებით. ბარათაშვილმა ღრმად ჩაგვახედა საკუთარ თავში, საკუთარი ხმა გაგვაგონა, გვიჩვენა ჩვენივე ანფასი და საკუთარი კეფაც დაგვანახა. და ჩვენ ვიგრძენით, რომ ისევ მთელი ვართ, ისევ ძლიერი სული, ძლიერი გონება გვაქვს, ისევ შეგვიძლია ფეხზე ვიდგეთ და ისევ დიდი ვიყოთ. მეტის გაკეთება მის თანამედროვე არც ერთ პოეტს არ შეეძლო, ეროვნული გრძნობის გამოხატვაც იმ დროს უკეთესად არ შეიძლებოდა. ბარათაშვილის ლირიკული გმირი ზოგადკაცობრიულთან ერთად ღრმად ეროვნული, ღრმად ნაციონალურია მთელი თავისი არსებით, მაშასადამე, პატრიოტულია როგორც შინაგანი, ისე გარეგნული კორელაციებით.

და პატრიოტიზმთან ერთად, ბარათაშვილის პოეზიის ერთერთი ძირითადი მოტივი სიყვარულია, რასაც მის შემოქმედებაში მიძღვნილი აქვს ერთმანეთზე უკეთესი სატრფია-

ლო ლირიკის შედევრები. პოეტი სიყვარულს განუყოფლად უკავშირებს მშვენიერებას, სილამაზეს, ორივე კი რომანტიკული გაგებით ესმის. მაგრამ ამ რომანტიკულ გაგებას ყველგან თან ახლავს რეალური, ცხოვრებისეული ელემენტი, „ზეციერს“ ავსებს ან აგვირგვინებს „მიწიერის“ ძლიერი შენაკადი, როცა მხატვრული სამკაულები თუ შედარებები პირდაპირ ბუნების უშუალო წიაღიდან ამოიზრდებიან ხოლმე. განა ასე არ არის ლექსში — „შენი დალალნი“, რომელიც შავთელური ზომით 1812 წელს დაიწერა? აქ სატრფოს მშვენებას მხოლოდ რეალური, ცხოვრებისეული ეპითეტები ამკობენ, და კაცმა რომ სთქვას, „ზეციური“ აღარაფერი რჩება, ყველაფერი „მიწიერს“ ემორჩილება. აი, თვით ლექსიც:

„შენი დალალნი ყრილობენ გველად
სპეტაკს მკერდზედა, ტრფობისა ველად,
და თვალთა ჩემთა ადავრიშებენ
ხან ნუგეშის თვის, ხან დასაწველად!
ოდეს ნიავი ლამაზს დალალებს
მიგიშლ-მოგიშლის და სიამოვნებს,
მაშინ ჩემს თვალებს აღაგზნებს შური
და გლახ ჩემს გულსა ის ავალალებს!“

განა აქ ყველაფერი „მიწიერი“ არ არის? განა სატრფოს დალალნი რომ „ყრილობენ გველად“ მთლიანად რეალისტურ ხედვას არ განეკუთვნება? და განა ასეთივე არ არის ნიავის მიერ ლამაზ დალალთა მიშლა-მოშლა? საერთოდ, იმ რომანტიზმს, რომელსაც ჩვენ ბარათაშვილს ვაკუთვნებთ, ყოველთვის ახასიათებდა რომანტიკულისა და რეალისტურის ორგანიული ურთიერთშეჭრა, რასაც ქვემოდ უფრო ნათლად დავინახავთ. მაგრამ, ამავე რომანტიზმს, სრულიად ანალოგიურად, ახასიათებდა აზროვნებაში იდეალიზმისა და მატერიალიზმის ურთიერთშეჭრა, როგორც სრულიად ბუნებრივი შედეგი რომანტიკოსი პოეტის გაორებული სულისა. ერთერთ საუკეთესო ნაწარმოებად, რომელიც ხსენებული დებულების ილუსტრაციას წარმოადგენს, ჩვენ მიგვაჩნია 1842 წელს მცირებესიკურით დაწერილი გენიალური ლექსი — „რად ჰყვედრი კაცსა,

ბანოვანო, პირუმტკიცობას?“ ეს ნაწარმოები ჩვენ ვრცლად გავარჩიეთ 1938 წელს დაწერილ მონოგრაფიაში „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა“. ამიტომ აქ აღარ გვინდა გავიმეოროთ, მაგრამ ზოგადად ერთი რამ მაინც უნდა შევნიშნოთ: ამგვარი პოეტური ხილვა მშვენიერებისა ბარათაშვილს არ შეეძლო სპეციალური ფილოსოფიური განათლება რომ არ ჰქონოდა მიღებული. ლექსი მიმართვაა ბანოვანისადმი, რომელიც სიყვარულში მამაკაცის პირუმტკიცობასა და გრძნობის ცვალებადობას უჩივის. ეს მხოლოდ საბაბია პოეტისათვის განაზოგადოს მშვენიერისა და სილამაზის ცნებები უმაღლეს მხატვრულ-ფილოსოფიურ რანგში. პირველივე პასუხი ბანოვანის საყვედურზე ის არის, რომ მიზეზად თვით მაყვედრებელია მინიშნებული: თუ საუკუნო ტრფიალებით მამაკაცი არ გემსჭვალება, ალბად იმიტომ, შენ მას მშვენიერი სულით არ თანაუგრძნობო. ამის შემდეგ მოცემულია მშვენიერისა და სილამაზის ის კლასიკური პოეტურ-ფილოსოფიური დეფენიციები, რომლებიც უშუალოდ ეკრებიან ჰეშმარიტებისა და მარადიულობის კატეგორიებს. სილამაზე გაგებულია, როგორც ხორციელი, ამდენად წარმავალი ფენომენი, ხოლო მშვენიერება — ნათელი, ზეციერი და ამდენად მარადიული. უკვდავება, მარადიულობა სხვა არაფერია, თუ არა „მშვენიერი სული“, უჭკნობი და უბერებელი; თუ ორ არსებას ეს სული აქვთ, მაშინ მათი სიყვარული უშლელი, მარადიული, უტკბილესია, რომელიც გაცისკროვნებულია მშვენიერებით და უკვდავებად არის ქცეული ჰეშმარიტებით.

ეს ფილოსოფია, უმაღლესი პოეტური ფორმით გამოხატული, იდეალისტურია, რაც ბარათაშვილის ლირიკული გმირის მაგალითზე ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ იდეალიზმი, მატერიალისტურ ელემენტებთან ერთად, ნამდვილად იყო არამარტო რეგრესული (რეაქციული), არამედ, პროგრესული (თავისი დროისათვის მოწინავე, რევოლუციური) რომანტიზმის თეორიული საფუძველი.

ბარათაშვილი, გოეთეს მსგავსად, მატერიალიზმისა

და იდეალიზმის ხარკის მიმცემი, სწორედ მოწინავე. პროგრესული რომანტიზმის წარმომადგენელია და მთელი მისი შემოქმედება ამგვარი ლიტერატურული მიმართულების დადასტურებაა. მის ყველაზე კლასიკურ ნაწარმოებად უნდა დავასახელოთ 1842 წელს დაწერილი გენიალური ლექსი — „მერანი“, არა მარტო ქართული, მსოფლიო რომანტიკული სკოლის ეს უბრწყინვალესი მხატვრული შედევრი. პოეტიკური თვალსაზრისით, ბარათაშვილის „მერანი“ წარმოადგენს მცირებესიკური და შავთელური ზომის შეერთებას, მაგრამ, როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებს, თავისი ესთეტიკურ-ემოციური ძალით, განა შეიძლება რომელიმე ზომა ან მეტრი მიეუყენოთ? ბარათაშვილის ლირიკული გმირის დიდი შემოქმედებითი სული „მერანში“ გამოჩნდა ყველაზე უფრო სრული ადექვატურობით, მომავლისაკენ ელვისებრ მისწრაფებული, რომ იმავე წელს აწმყოს დაბრუნებოდა, მეფე ერეკლეს საფლავთან მუხლმოდრეკილი, და წარსულის განსჯით, აწმყოზე დაფიქრებულს, ისევ მომავალი განეჭვრიტა. ერეკლე მეორე ხომ ქართველი რომანტიკოსების ისეთივე შთაგონება იყო, როგორც დიდი კორსიკელი ევროპელი პოეტებისათვის.

მაგრამ ბარათაშვილის მბორგავი სული, ერთი წლის შემდეგ, ისევ მიუბრუნდება პირად ხვედრს, რომელმაც გონება და სიცოცხლე აღუშფოთა, სიმშვიდე დაუკარგა. ყმაწვილის ბრმა რწმენა მოუკლა, წრფელი ზრახვანი აუძღვრია, დატოვა ცხოვრებაში უსაგნოდ, მარტოდ, „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“. რა მაღალი იდეალები ჰქონდა ყმაწვილობიდანვე, და რა დაბალი ხვედრი შეხვდა — სასამართლოში მაგიდის უფროსობა. გვეტყვიან, ჰაბუკი გოეთეც მუშაობდა ვეტცლარის სასამართლოში, სტრასბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგო. მართალია, მაგრამ ეს სულ სხვა იყო. გოეთე, როგორც იურისტი, ვექილობის პრაქტიკას ღებულობდა, მაგრამ შეიძლო სულ მალე გასცლოდა მას. გოეთე უბედნიერესი კაცი იყო პირად ცხოვრებაში. თუ ვეტცლარის შემდეგაც „დიდ ოლიმპელს“ მოხელეობა არ ასცდენია, თუ მან ათეული წლები მოახმარა ვაიმარის მინისტრობას, რის გამო ბევრჯერ მოუსმენია გაკილვა და კრიტიკა, ეს მაინც იყო უფრო „შესაფერი ადგილი“, ვიდრე

ნაგიდის უფროსობა ან ყაჩაღების დევნა. ბარათაშვილს მთელი ცხოვრების მანძილზე მოხელეობა არ ასცდენია, ისიც მისი დიდი მოწოდებისათვის სრულიად შეუფერებელი. განა ეს არ გააძლიერებდა მის ურვა-წუხილს, პირადი მძიმე ხვედრით უკმაყოფილებას და არ შთააგონებდა „სულო ბოროტოს“ ტრაგიკულ გოდებას?

ეს უკმაყოფილება, ტრაგიკული განცდები, სულისა და ხორცის მწვავე ჭრილობანი მართლაც საოცარი მხატვრული ძალით გამოითქვა 1843 წელს დაწერილ ლექსში — „სულო ბოროტო“, რომელშიაც ზომად მცირებესიკური წყობაა გამოყენებული. ამ ლექსში ბარათაშვილის ლირიკული გმირის შინაგანი ტრაგიკული გოდება ისეთ სიმაღლეზე ავიდა, რომ მეტი უკვე აღარაფერი შეიძლებოდა. არსებითად და ქრონოლოგიურადაც აქ დამთავრდა ბარათაშვილის დიდი შინაგანი ტრაგედია. შემდეგ მას უკვე აღარ დაუწერია „სულო ბოროტოს“ მსგავსი ნაწარმოები. მგონი ვეღარც დაწერდა, ვინაიდან მეტის თქმა, უფრო ძლიერი ამ საგანზე, აღარ შეიძლებოდა. მას შეეძლო „სულო ბოროტოში“ დაღვრილი ცრემლი მხოლოდ შეემშრალებინა, დასანანაცრებელი გული დაეწვა და მისი ფერფლი, როგორც საკმეველი, ისევ თავის სამლოცველ სატრფოსთვის შეეწირა. ყოველივე, ეს ბარათაშვილმა ხომ მართლაც დაიმღერა შავთელურით დაწერილ უნაზეს ლექსში:

„შევიშრობ ცრემლსა, ჰირთ მანელებელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევსწირავ სატრფოს, ჩემსა საღოცველს!
მისთ თვალთა ხარობს სამოთხე ჩემი,
მისი ღიმია შვების მომცემი,
მისი წარმწყმედი, მაცხონებელი,
განმაბრძნობელი, გამხელებელი!
ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა!
ყოვლნი კეთილნი მან შეიერთა,
სულსა მოჰბერა ცის ნიჭნი ქვეყნად
და თავის მკობად ქმნა იგი მგოსნად!“

არა, ეს მარტოოდენ პოეზია არ არის. ეს არ არის სიყვარულის მარტოოდენ რაფინირებული ოდა, რომელიც დი-

დების ტახტრევანზე ჰვრეტს ამ უმაღლეს ადამიანურ გრძნობას, და როგორც საკურთხეველს, ყველაფერს მას მიუძღვნის!

არა, ეს მარტოოდენ პოეტური აღთქმა არ არის, რომ ბარათაშვილის ლირიკულ გმირს სატრფოს თვალები სიხარულის მიზეზად მიაჩნია, ხოლო ღიმილი — შვების მომცემად; მან იცის, თუ რა შეუძლია ორივეს: ადამიანის წარწყმედაც და ცხონებაც, ადამიანისათვის გონების მიცემაც და წართმევაც!

არა, ეს მარტოოდენ პოეტის გულიდან აღმომსკდარი გრძნობა არ არის, რომ მას არ შეუძლია ტრფობის ღვთაებას გუნდრუკი არ უკმიოს, რაკი სიყვარულში ყოველგვარ სიკეთესა და უზენაესის უხილავი ნების გამოვლენას ხედავს!

ეს არის პოეტური ენით დაწერილი მუსიკალური რომანსი, რომელიც ტრფობას უმშვენიერესი ჰანგებით ამკობს და ადამიანში სიყვარულის უსპეტაკეს გრძნობას, უდიდეს სინაზესთან ერთად, ასევე უდიდესი სინატიფით უმღერის.

მაგრამ ბარათაშვილს არა აქვს არცერთი ლექსი, სადაც მუსიკა არ იყოს და საიდანაც მუსიკალური ხმები არ ისმოდეს. ყველა მისი ლექსი უაღრესად მუსიკალურია და ვისაც სურს ამ ლექსების მიხედვით მუსიკა დაწეროს, მან მხოლოდ ერთი რამ უნდა გააკეთოს: ბარათაშვილის ლექსების მუსიკა ამოიკითხოს და შემდეგ მუსიკალურ ნიშნებზე გადაიტანოს, როგორც გლინკა ან ჩაიკოვსკი პუშკინის გენიას ნოტების ენით ამეტყველებდნენ.

ბარათაშვილის პოეზიის ულამაზეს შინაგან მუსიკას ათობობს და მეტ მიმზიდველობას აძლევს სათუთი გრძნობიერება, რომელიც უნაზეს ლირიზმთან ერთად, ყოველთვის გამოირჩევა დიდი ადამიანური უშუალობით.

ეს პოეტური მინორია.

ბარათაშვილის პოეზიის ულამაზეს შინაგან მუსიკას ამაღლებს და საოცარი ძალით აჟღერებს მებრძოლი რაინდული განწყობილება, რომელიც თავდავიწყებასთან ერთად, ყოველთვის გამოირჩევა დიდი ადამიანური გონიერებით.

ეს პოეტური მაჟორია.

ხოლო ორივეს — ბარათაშვილის პოეზიის მინორსა და

მაჟორს შარავანდედით მოსავს სიყვარული, ურომლისოდ საერთოდ მუსიკას არსებობა არ შეუძლია; მუსიკა ხომ რაფინირებული სიყვარულის ვერბალური გამოხატვაა.

სადაც სიყვარული არ არის, იქ არც მუსიკაა, და რამდენიკ სიყვარულია, იმდენივე მუსიკაა. სატრფო, სამშობლო, მეგობარი, ბუნება, ბრძოლა — ყველაფერს თავისი სიყვარული და ასევე თავისი მუსიკა აქვს. ბარათაშვილმა უფრო მეტი გვითხრა „ჩინარში“: მწამს, რომ უასაკო და უსულო საგნებს შორის საიდუმლო ენა არსებობსო. მუსიკის არსებობა ხომ უფრო სარწმუნო და უეჭველია. იმავე „ჩინარში“, რომელიც პოეტის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1844 წელს, შავთელური წყობით არის დაწერილი, ისიც ნათქვამია, რომ ამ „საიდუმლო ენით“ მეტყველებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვა ენებზე საუბარსო. აქ ალეგორიაა და ბარათაშვილი უეჭველად გულისხმობდა ბუნების წიაღში იმ ურთიერთობას, რომლის შედეგადაც ყველაფერი წარმოიშობა, ჩვენ კი, ადამიანები, გრძნეულ ნაყოფს ვღებულობთ, ამ ნაყოფით ვცხოვრობთ და ვარსებობთ.

რა არის ეს? სიყვარული? უწოდეთ რაც გსურდეთ, მაგრამ ანგარიში გაუწიეთ ბუნებრივი შერჩევის პრინციპს, რომელიც არა მარტო ადამიანებსა და ცხოველებს ახასიათებთ, არამედ, ფლორასაც. ბარათაშვილი ამას შორეულად გვეუბნება, ალეგორიის ფორმით გვიხატავს ფრიალო კლდეზე ამაყად მდგარი ჩინარისა და მტკვრის ურთიერთობას, შემდეგ კი პარალელს ავლებს ადამიანურ სიყვარულთან. მაგრამ ჯერ წავიკითხოთ თვით ლექსი:

„განმარტოებულს ფრიალოს კლდეზე
სდგას ალვის ხისა ნორჩი ახალი,
მრავალ-შტოვანი, მაგრილობელი,
პაეროვანი, ტურფა, მაღალი.
საამო არის მის ჩრდილში ოცვნა
და მისთა ფოთოლთ შრიალთა სმენა,
და წყალთ დუდუნზე უკუღმართისა
ამა სოფლისა ჭირთა დათმენა!..
ვითა მიჯნური სატრფოს ამაყსა,
მტკვარი მას ნორჩსა ფერხთა ეცლების,

და აღმოარხევს უფსკრულებიდამ,
და აღელვილი კლდესა ეხლების!
მაგრამ ჩინარი, მაღლად მჩინარი,
დგას მედიდურად და სიამაყით,
და მხოლოდ თავსა გარდმო-გარდიღებს
სევდიანისა შერხევის სახით.
რამდენჯერ ქარი შეარხევს საროს,
იმდენჯერ მტკვარი უმეტეს ოხრავს,
თითქოს სიშურით შეშფოთებული,
და კლდის პირებზე ზვირთთა შემუსრავს.
ესრეთ იდუმალ, მაგრამ ძლიერად,
დაიტანჯების მარად მიჯნური,
თუ მას ნამდვილად ეგზნების გულსა
ტრფიალებისა ცეცხლი ციური".

ბუნება აქ გ ა ნ ს უ ლ ი ე რ ე ბ უ ლ ი ა, მაგრამ ეს არ არის არც ა ნ ი მ ი ს ტ უ რ ი, არც პ ა ნ თ ე ი ს ტ უ რ ი განსულიერება. ბარათაშვილს ბუნების უტყვი საგნები სიყვარულის ასპექტში ჰყავს ამეტყველებული, ადამიანური ტრფობის სრული ა ნ ა ლ ო გ ი თ. მაგრამ შეუძლებელია მას არ სცოდნოდა, რომ ცხოველებსაც აქვთ ურთიერთმიდრეკილება, ირმებს მონოგამია, ცხოველთა ერთი ჯგუფი თანხმობით ცხოვრობს მეორესთან, ხოლო მესამე და მეოთხე სპობს მეხუთეს და მეექვსეს. ერთი ჯგუფის მცენარეები კარგად ეწყობიან მეორეს, ხოლო მესამეს გვერდით მეოთხეს არსებობა არ შეუძლია და იღუპება. ს ი გ ნ ა ლ ე ბ ი, რომელთაც ფაუნის სამყაროში აქვთ ადგილი, შესაძლოა ცხოველთა იმდენივე ენას წარმოადგენდეს, რამდენიც ცხოველის გვარი არსებობს. ყველაფერი ეს ბ უ ნ ე ბ ი ს ე ნ ა ა, და ვინ იცის, იქნებ ბარათაშვილის პოეტური დეფინიცია მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ჰეშმარიტებასაც წარმოადგენდეს. ჩვენი დროის უკანასკნელი დაკვირვებანი, ექსპერიმენტებზე დამყარებულნი, რომ დელფინებს თავიანთი ენა აქვთო, დღეს ხომ არავის მიაჩნია პარადოქსად!

მაგრამ შორს ნუ წავალთ, ისევ იმ პოეტურ იდეალს დავუბრუნდეთ, რომელიც „ჩინარში" გვაქვს.

რა არის ეს იდეალი?

მიზანმიუღწეველი სიყვარულის ა პ ო ლ ო გ ი ა, როცა ერთგული მ ი ჯ ნ უ რ ი ფარულად იტანჯება ა პ ო ლ ო ნ ი ს

ცეცხლით, ამაყი სატრფო კი ვერა გრძნობს მის ოხვრა-კვნესას, როგორც მრავალშტოვანი, ჰაეროვანი, ნორჩი ჩინარი, მტკვრის ალერსის ნაცვლად, მარტოოდენ ქარის შემოქროლვაზე არხევს ხოლმე თავის სარო ტანს. მშვენიერი მხატვრული შედარებაა და ანალოგიაც სავსებით პოეტური!

მაგრამ აქაც, „ჩინარშიც“ ჩვენ გვესმის ბარათაშვილის ლირიკული გმირის შეწუხებული სულის მოთქმა-გოდება, სიამედ მიჩნევა თუნდაც იმ წუთიერი გატაცებისა, როცა მას შეუძლია დროებით მიივიწყოს ამქვეყნიური ცხოვრების ჰირ-ვარამი, შეისვენოს ალვის ხის ჩრდილში, ოცნებას მიეცეს და დატკბეს ფოთოლთა შრიალით. სიყვარული კი, თუ ის ნამდვილად აღგზნებულია ტრფობის ცეცხლით, ხოლო მიჯნური საპასუხო გრძნობას ვერ პოულობს ამაყი სატრფოს მხრივ, პოეტს ტანჯვის გარეშე ვერ წარმოუდგენია. დაახლოებით იგივე აზრია გატარებული რუსთველური წყობით დაწერილ ლექსში — „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“, რომელიც სავსეა მიწიერი სილამაზით, სპეტაკი გრძნობითა და სიყვარულში ერთგულებით. ბარათაშვილს ეს ნაწარმოები დაუწერია საბედისწერო წელს, როცა ის უდროოდ გარდაიცვალა ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკი. ლექსს თარიღად უზის 1845 წლის 10 იანვარი. ამ დროს პოეტი ნახიჭევანში იყო, მაზრის უფროსის — ლევან მელიქიშვილის თანაშემწედ. მას ერთხელ კიდევ ეწერა თბილისში დაბრუნება, მშობლებისა და ნათესავების ხილვა. ამის შემდეგ ჩვენ მარტოოდენ უთარიღო ლექსები გვაქვს. ამიტომ „მადლი შენს გამჩენს“ ის ლექსია, რომელიც პოეტის გარდაცვალებამდე 10 თვით ადრე დაიწერა და სადაც უზადო სიყვარულის უმშვენიერესი ტახტრევანია აღმართული:

„მადლი შენს გამჩენს, ლამაზო,
ქალო შავთვალებიანო,
დღისით მზევ, ღამით მთოვარევ,
წყარო და ამოდ ხმიანო!
შენის ლოდინით ვჰსულდგმულვარ,
თაყვანს ვჰსცემ შენსა სახელსა
დედის ერთა ვარ, ნუ მამკლავ,
ნუ დამინანებ სოფელსა!

ღარიბი ვინმე მოვსულვარ,
სოფლისა მუშა საწყალი,
ამხანაგად მყავს ნაბადი,
ძმობილად — ბასრი ხანჯალი,
მე სხვა სიმდიდრე რად მინდა?
მე შენი გულიც მეყოფის,
მის ფასი კიდე საუნჯე
ცას ქვეშეთ განა იმყოფის?"

ეს უეჭველად არის სწორედ ის ლექსი, რომელსაც თვით ბარათაშვილი იხსენიებს მაიკო ორბელიანისადმი ნახიჩევნიდან გამოგზავნილ პირად წერილში. თარიღებიც ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს. რაკი ლექსი 1845 წლის 10 იანვარს დაიწერა, პოეტს შეეძლო იმავე წლის 9 თებერვალს იგი გამოეგზავნა თავისი მეგობრისათვის შემდეგი ცნობის თანდართვით: „აი ამ ქართულს ლექსს გიგზავნი მდაბიურულად დაწერილს, როგორღაც ფიქრში მამივიდა. — მე ვარ და ჩემი ნაბადი, იმის ხმაზედ".* შემთხვევითი არ არის, რომ ნაბადი თვით ლექსშიაც იხსენიება, როგორც მისი ერთერთი პოეტური სამკაული.

მაგრამ რას ნიშნავს „მდაბიურულად დაწერილი"? განა რუსთველური თექვსმეტმარცვლოვანი ლექსი „მდაბიურულია"? მერე რა, რომ ხალხური „მე ვარ და ჩემი ნაბადიც" თექვსმეტმარცვლოვანია! განა ფოლკლორში ცოტა გვხვდება ამგვარი ლექსი? და განა ბარათაშვილს ცოტა აქვს რუსთველური? მაგალითად, რუსთველურით დაწერილი „არ უკიჟინო" მდაბიურულია? მაშ, რატომ უწოდებს ბარათაშვილი თავის ლექსს „მდაბიურულს"?

მხოლოდ თემატიკის გამო, რაკი მისი ლექსის ობიექტი „ღარიბი ვინმე... სოფლისა მუშა საწყალია", ნაბადმოსხმული და ბასრი ხანჯლით შეიარაღებული, რომელ-

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა. წერილები. 1922 წ., გვ. 120. წერილი მაიკო ორბელიანისადმი. ხაზგასმა ბარათაშვილისაა. იხ. აგრეთვე გვ. 147, განმარტებანი, სადაც ეს საკითხი საეკვო ფორმითაა დაყენებული.

საც არავითარი სიმდიდრე არ სურს, გარდა თავისი სატრფოს გულისა; მიაჩნია, რომ ამქვეყნად უფრო დიდი საუნჯე, ვიდრე სიყვარული, არ არსებობს და მასაც არაფერი მეტი არ უნდა. ამას ათქმევინებს პოეტი მდაბიო კაცს — სოფლელ გლეხს, „დედის ერთას“, და იმასაც გვეუბნება, რომ სიყვარული ერთნაირად წვავს და ერთნაირად აღაგზნებს ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს. აქ პოეტი გამოსულია სუბიექტურობიდან, ხოლო ისევ დაბრუნებულია დიდბესიკური ზომით დაწერილ ლექსში — „...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“. ეს ნაწარმოები ისეთივე სინაზისაა, როგორც „საყურე“ ან „თავადის ჭ... ძის ასულს, ეკ... ნას“. მიწიერი სილამაზე ლექსში პლასტიკურადაა წარმოსახული და მისი ყველა ელემენტი ჰაეროვნებით სუნთქავს, როგორც ჯადოსნური მუსიკის ხმა:

„ხმა საკრავისა,
ნელ ნარნარისა,
სულს განახარებს;
და მშვენიერის
ენა ამიშლის
გულისა ჰირებს!
ვჰვრეტდი ლამაზსა,
სევდითა ნაზსა,
და შევეტრფოდი;
ყოველთ გრძნობათა
ყოვლთ გონებათა
მას მივაპყრობდი.
ღაწვნი ნაცრემლნი,
ტრფიალთ დამწველნი,
უფროს შვენოდენ;
თმანი ნაშალნი,
მკერდზედ დაყრილნი,
ემუქმკებოდენ.
ჟუჟუნა თვალნი,
გულთა მომკვლელნი,
მოცინარობენ;
პაწაწა ტუჩნი,
ვარდებრ ნაფურცლნი,
ლხენას მოჰბერვენ!“

ბარათაშვილის ლირიკული გმირი ამ ლექსშიაც თავისი სრული სახით დგას ჩვენს წინაშე, რომლის „გულის ჭირები" კვლავ წუთიერ შვებას პოულობენ სატრფოს მშვენიერებით. მაგრამ ეს ბედნიერებაც, ეს სიხარულიც, ეს ტრფობაც პოეტისათვის ჰქრება და იგი ისევ უბრუნდება ჩვეულ ურვა-წუხილს, რომლის სიმწარე მან არაერთგზის იგემა.

ბარათაშვილი უდიდესი ოსტატია კაცის გულისთქმათა, და ისე ორგანიულად უთავსებს ადამიანის შინაგან ტკივილს „სოფლის ბრუნვას", როგორც ამას ახერხებდნენ ბაირონი და მისი მიმდევარი დიდი პოეტები. მაგრამ ნუ დაგვაეჭვებს, რომ აქ იგივეობაზე ლაპარაკი სრულიად გამორიცხულია. არის მხოლოდ დიდი მსგავსება, მაგრამ ასევე დიდი განსხვავებაც. ამიტომაა, რომ ბარათაშვილის ლირიკული გმირი კიდევაც ემსგავსება და კიდევაც განერიდება ბაირონისტულს. თუ ინგლისელი ლორდის ლირიკული გმირი „ძეტმაძღრობის ნაღველითაა" სავსე, თუ მას მწარე ფიქრებით სული ეხუთება, აღარც მშვენიერება იზიდავს და აღარც სატრფოს ულამაზესი სახე. ჩაილდ ჰაროლდისაგან განსხვავებით ბარათაშვილის ლირიკულ გმირს სიცოცხლე უყვარს, მან არც იცის რა არის მეტმაძღრობა, იგი ცხოვრების ნაკლებობის გამო მისცემია მწარე ფიქრებს, მისთვის მშვენიერება „ნათელია, ზეცით მოსული", იგი უმღერის და ეთაყვანება სატრფოს სახეს, რომელიც ხორციელს არც კი ჰგავს, იმდენად შთაგონებულია მისი სილამაზით. მაგრამ, არ იფიქროთ, რომ მართლაც ხორციელს არა ჰგავდეს! არა, ბარათაშვილისათვის სატრფო ყოველთვის ამაღლებულად ხორციელია და ზეციერს მხოლოდ ამქვეყნიური სილამაზის აღსამეტებლად იშველიებს.

განა ასე არ არის იმ ლექსშიაც, ჩვენ რომ ახლა ვიხილავთ? ყველაფერი მასში, ვიმეორებთ, ამაღლებულად მიწიერია, და მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ ბარათაშვილს, მიუხედავად „გულის ჭირებისა", უსაზღვროდ უყვარს სწორედ ეს ამაღლებულად მიწიერი.

მაგრამ შეადარეთ ტრფობაში მისი კვნესა ბაირონის გოდებას! ინგლისელი პოეტი თავის სატრფოს იმას ეუბნება, რასაც ბარათაშვილი თითქმის არასოდეს არ ეტყოდა:

წუხარება მტანჯავს, ტრფობის ღიმილს ნუ მესვრი, ხსნის იქედი არა მაქვს, შენი ცდაც ამაოა ეს აზრი შემიცვალოს, შენი ვერც სიტურფე და ვერც სახე ვერა მძლევს, და ვით ურია ისე ვიტანჯებიო. ეს ბაირონია. ხოლო ბარათაშვილი, პირიქით, იტანჯება სატრფოს დაკარგვით, იგი წუხს და მოჰქვამს დაკარგულ სიხარულზე, რომელსაც ეძებდა, თითქოს ჰპოულობდა კიდეც, მაგრამ ისევ ეკარგებოდა. ეს მწვავე ტკივილი, ტანჯვა და წუხილი დიდი შინაგანი განცდებითაა პოეტურად ამეტყველებული რუსთველური შაირით დაწერილ ლექსში, რომელსაც „დამჭროლა ჭარმან“ ეწოდება და რომელსაც ჩვენ მთლიანად მოვიტანთ:

„დამჭროლა ჭარმან სასტიკმან,
თანწარმიტანა ყვავილი,
მაცხოვლებელი სიცოცხლის,
სუნნელებითა აღვსილი,
იგი ნიადაგ ციურთა
ცვართაგან იყო ნამილი;
დრომ უჟამურმან აწ ცრემლით
შესვარა მისი ადგილი.
აწცა თუ სადმე ვიხილავ
მისს ფურცელს, მისსა დანაკნობს,
მოძულებული სიცოცხლე
მყისვე კვალადცა დამატკბობს.
მაგრამ მსწრაფლადვე გახშირდნენ
მწარენი ჰირნი გულისა,
რა ფიქრთა წარმოუდგებათ
დაკარგვა სიხარულისა“.

ცხოვრების ეს სასტიკი ჭარი ყოველთვის ართმევდა ბარათაშვილის ლირიკულ გმირს მაცხოვლებელ ყვავილს, უჭკნობდა მის ფოთლებს, უჟამური დრო ცრემლს აღვრევინებდა, სიცოცხლესაც აძულებდა, მაგრამ იგი მაინც ეჭიდებოდა ბედს, ტანჯვაშიც სიხარულს ეძებდა, როგორც ილია ჭავჭავაძემ, ჩვენი გენიოსის ღირსეულმა მემკვიდრემ, გასული საუკუნის 60-იან წლებში ანალოგიურად ამოიგმინა, როცა სატრფოს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მისთვის მიყვარხარ, რომ მაძლევ ტანჯვას და იმ ტანჯვაში სრულ სიცოცხლესაო“. არის აქ რაღაც ძლიერი ლტოლვა ცხოვრების სილამაზისადმი, რაღაც უჩ-

ვეულო გრძნობა გიყვარდეს სიცოცხლე მთელი მისი აელა-დიდებით, ტკივილითა და სიტკბოებით, ტანჯვითა და სიხარუ-ლით. და ბარათაშვილის ლირიკული გმირი, რომელიც კაე შ-ნ ი თ ა ა სავსე, თავს მაინც ბ ე დ ნ ი ე რ ა დ გრძნობს, თუ სატრფო მის გვერდითაა, როგორც ამას ჩვენ ვხედავთ ლექს-ში — „რ ო ს ბ ე დ ნ ი ე რ ვ ა რ შ ე ნ თ ა ნ ყ ო ფ ნ ი-თ ა“. ლექსი დაწერილია შავთელური ზომით და ქართულ ლირიკული პოეზიის ერთი უმშვენიერესი ნაწარმოებია, თუმ-ცა ასე ენათესაებება ძველ რუსულ სიმღერას: „«Как счастлив я коль с тобой бываю»:

„როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა,
ღიმილით გეუბარ მაისის დღესა,
მე შენს თვალებში ვსჭვრეტ სამოთხესა
და მათი მკვრეტი*ვიწვი ცეცხლითა!
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ,
არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ,
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!
როს უბედურ მყოფს მე მოშორება
გონებამტაცის მშვენიერების,
ვსთელი მოწყინებით ჟამთ მჭმუნვარებას
და სევდა გლახ გულს დამეფარება!
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!
ხან ძილსა იკრთობს, ხან სევდით ოხრავს,
ხანცა ყოველს სულს ამხიარულებს,
ხან სიკვდილს იწვევს, ხან შორით ოცნებს,
ხან ჰყვება სოფელს, ხან ცად მიფრინავს!
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!“*

---

* ნ. ბარათაშვილის ლექსების 1922 წლის გამოცემის 147 გვერდზე ეკითხულობთ: „ამ ლექსისა და შემდეგის „ცისა ფერს“ შესახებ ნ. ბარა-თაშვილის მესამე გამოცემის (ტფ. 1886, სტამ. გრ. ჩარკვიანის) წინასიტყ-ვაობაში შემდეგი აზრია გამოთქმული: „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფ-ნითა და „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“ არიან მიბაძვა რუსულისა, თუმცა შენიშნულნი კი არ არიან ამგვარად. ბარათაშვილის დროს ეს ლექსები იყო სამღერალი ფორტეპიანოზე და რუსულად ასე იწყებიან: «Какъ счастливъ я коль съ тобой бываю»... (ბოლოს) Ты не поверишь, ты не поверишь და სხვ. 2) Черный цветъ, мрачный цветъ, ты мне милъ... ცვლილება იქნება იმაში იყოს მხოლოდ, რომ შავი თვალები-ცის ფერ თვალებად გადაუკეთებია პოეტს“. ეს წინასიტყვაობა პ. უმიკ-შვილს უნდა ეკუთვნოდეს“.

ეს ლექსი ისე ეთანხმება ბარათაშვილის ლირიკული გმირის მთელ შინაგან სულიერ სამყაროს, როგორც ყველა მისი ორიგინალური ნაწარმოები. აქაც სიყვარულის ის ფილოსოფიაა გადმოცემული, რომელიც შედარებით სრულად უკვე დავახასიათეთ. ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში ბაირონისტული ბობოქარი სულიც ტრიალებს მეამბოხისა და მიუსეს ლირიკული გმირის სინაზეც კდემამოსილად იცქირება. თქვენ იქ შეგიძლიათ იგრძნოთ ლეოპარდის სიღრმემდე დაყვანილი სევდაც და ალფრედ დე-ვინის ან ლამარტინის პოეტური სათნოებაც. ბარათაშვილი ზოგჯერ ისე უყურებს ქვეყანას, როგორც მატერიალისტი გოეთე, და ისე იჭრება ტრანსცენდენტის მეტაფიზიკაში, როგორც იდეალისტი შილერი. აღარაფერს ვამბობთ ლერმონტოვზე, რომლის პოეტური ხმა რაღაც ახლო ნათესაობაშია ქართველ გენიოსთან. და ყოველთვის ბარათაშვილი რჩება ეროვნულ ნიადაგზე, იგი არ არის არც ბაირონი, არც მიუსე, არც ლეოპარდი, არც ვინი ან ლამარტინი, არც გოეთე, არც შილერი, ცხადია არც ლერმონტოვია — ბარათაშვილი მხოლოდ ბარათაშვილია — დიდი ქართველი პოეტი. და თუ იგი ასე ფართოდ გვაგრძნობინებს მსოფლიო პოეზიას, მხოლოდ იმიტომ, რომ გენიოსია, ხოლო გენიოსები შემოქმედებითი ძალის მხრივ ძალიან უახლოვდებიან და საოცრად ემსგავსებიან ერთმანეთს. ისინი შეუზღუდველნი არიან შემოქმედებითი მასშტაბებით და როგორც ხელოვანნი — უნივერსალურს განასახიერებენ. ბარათაშვილი, როგორც ხელოვანი, შემოქმედებითი ძალისა და მასშტაბების მხრივ უნივერსალურია. მისი ლირიკული გმირი, ყმაწვილობის ასაკის მიუხედავად, ამიტომ არის ასე ღრმა მოაზროვნე, სავსე სათნოებით, უშიშარი რაინდი, მგზნებარე პატრიოტი და მშვენიერებით გაცისკროვნებული.

და კიდევ ერთი ძირითადი ნიშანიც:

ბარათაშვილის, როგორც რომანტიკოსის იდეალია ცის-

ფერი, რომელსაც იგი „პირველად ქმნილსა ფერს“ უწოდებს. თუ რატომ იქცევა ასე ბარათაშვილის ლირიკული გმირი, ჩვენ ქვემოდ დავინახავთ, როცა შევეხებით რომანტიზმის ზოგად პრობლემატიკას. აქ კი მხოლოდ იმის აღნიშვნა გვსურს, რომ „ცისა ფერს“ დაწერილია იმ ზომით, რომელსაც სარგის გორგაძემ სამართლიანად უწოდა ბარათაშვილური. „ამ უკანასკნელი გვარის ლექსი, — ამბობდა იგი, — მართალია, სხვა პოეტების ნაწერებშიაც გვხვდება, მაგრამ ჩვენ უპირატესობა ბარათაშვილის ხსოვნას მივეცით და სახელიც მისი დავარქვითო“*. სწორედ ამ სახელით უნდა დარჩეს „ცისა ფერს“ ქართულ პოეტიკაში, ვინაიდან ლექსის ეს ზომა არავის ისე ოსტატურად არ გამოუყენებია, როგორც ბარათაშვილის გენიას. თუ შეადარებთ ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ რუსულიდან თარგმნილ „ფერსა ბნელს, ფერსა შავს“, რომელიც ამავე ზომითაა დაწერილი, თქვენ მკაფიოდ დაინახავთ რა განსხვავებაა ამ ორ ლექსს შორის და ჰეშმარიტად რა დიდია ბარათაშვილის პოეტური ძალა.

და აქაც, ამ პოეტურ მარგალიტში, რომელიც სავსეა რომანტიკული სინაზითა და სილამაზით, ბარათაშვილი თითქოს სიკვდილის აგონიას განიცდის, თითქოს სისხლი გაციებული აქვს, უერთდება ცისიერს, კვდება ისე, რომ არ ეფრქვევა მშობლიური ცრემლები, ხოლო სამარეს ნისლი ედება — რა საოცარი წინათგრძნობაა და როგორი სიზუსტით ასრულდა ორივეგან — „ცისფერსა“ და „მერანში“ ნათქვამი სიტყვები — ჩემს მამულში, წინაპართ საფლავებს შორის ვერ დავიმარხები, მშობლების ცრემლი არ დამედინებაო!

ასე ტრაგიკულად დაიღუპა გენიოსი პოეტი და ასეთია ბარათაშვილის ლირიკული გმირის სრული ბიოგრაფია. სრული-თქო ვამბობთ, და უმალ ახალი პრობლემა გვებადება: თუ ლექსებში ამგვარად გაიშალა ბარათაშვილის ლირიკული გმირი, როგორი სახე მიიღო პოემაში — „ბედი ქართლისა“, რომელიც ისტორიული ხასიათის ნა-

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 221—222.

წარმოებია და იმდენადვე რ ე ა ლ ი ს ტ უ რ ი, რამდენადაც რ ო მ ა ნ ტ ი კ უ ლ ი, იმდენადვე ე პ ი კ უ რ ი, რამდენადაც ლ ი რ ი კ უ ლ ი?

პოემაში ეს გმირი მთლიანად ინარჩუნებს თავის თავა, როგორც ლირიკული ფენომენი, მაგრამ ძლიერია მისი სახის ეპიკური ნიშნები, რომლებიც შემდგომ კიდევ უფრო მკაფიოდ გამოვლინდნენ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1839 წლის (როცა „ბედი ქართლისა“ შეიქმნა) შემდეგ დაწერილი ისეთი შედევრები, როგორიცაა „ს ა ფ ლ ა ვ ი მ ე ფ ი ს ი რ ა კ ლ ი ს ა“ (1842) და „ო მ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს თ ა ვ ა დ-ა ზ ნ ა უ რ გ ლ ე ხ თ ა პ ი რ ი ს პ ი რ დ ა ღ ი ს ტ ნ ი ს ა და ჩ ე ჩ ნ ე ლ თ ა“ (1844). მაგრამ ეს საკითხი უკვე სცილდება ლ ი რ ი კ უ ლ ი გმირის ფარგლებს და ამიტომ სრულად განვიხილავთ მონოგრაფიის იმ თავში, სადაც პ ო ე მ ი ს ანალიზია მოცემული. ჩვენ დავინახავთ, რომ ბარათაშვილის ლირიკული გმირი ყველგან მ თ ლ ი ა ნ ი ჩანს, მიუხედავად დიდი შინაგანი დრტვინვისა, ყველგან პ ო ე ტ უ რ ა დ ამაღლებული, მიუხედავად პ რ ო ზ უ ლ ი მასალისა, და ყველგან გ ე ნ ი ო ს ი ს შარავანდედით დამშვენებული.

მაგრამ პოემის განხილვამდე აუცილებლად უნდა შევეხოთ რ ო მ ა ნ ტ ი ზ მ ი ს ზ ო გ ა დ პ რ ო ბ ლ ე მ ა ტ ი კ ა ს, რაც მხოლოდ ნაწილობრივ გავაკეთეთ წინა თავში, სადაც ბარათაშვილს ვახასიათებდით, როგორც ქართველ რომანტიკოსს. მომდევნო თავში რ ო მ ა ნ ტ ი ზ მ ი ს, როგორც ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ი ს ანალიზი არამარტო ქ ა რ თ უ ლ ი, არამედ, რ უ ს უ ლ ი და ე ვ რ ო პ უ ლ ი პარალელების ასპექტში მოხდება მისი ისტორიულ-ფილოსოფიური და მხატვრულ-ესთეტიკური საფუძვლების ჩვენებით. ამ თავს ეწოდება „ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი და ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი“, ვინაიდან ქართველი ბ ა ი რ ო ნ ი რომანტიკოსთაგან არავის ისე არ ენათესავება თავისი სულითა და შემოქმედებით, როგორც გენიალურ ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვს.

თავი IV

## ბარათაშვილი და ლერმონტოვი

დასავლეთ ევროპაში რომანტიზმმა დაგმო პსევდო-კლასიციზმის ნორმატიული ლიტერატურული კატეგორიები და აღმართა ახალი ხელოვნების დროშა, რომელზედაც წარწერილი იყო: შემოქმედი თავისუფალია, მისთვის არ არსებობს არავითარი პოეტური კანონები, რადგან იგი თვით ქმნის შემოქმედების კანონებს. ამგვარად, ბუალოს პოეტიკა, რომელსაც თავისი საფუძველი არისტოტელესა და ჰორაციუსის ესთეტიკურ სამყაროში ჰქონდა გადგმული, საჯაროდ იქნა გამოტანილი საზოგადოებრივი ბრძოლის ასპარეზზე. მაგრამ ბუალოს პოეტიკის წინააღმდეგ ბრძოლა როდი ნიშნავდა მხოლოდ ბუალოს, როგორც პსევდო-კლასიციზმის თეორეტიკოსის წინააღმდეგ გალაშქრებას. ეს იყო ოფიციალური საზოგადოებრივი ბრძოლა პსევდო-კლასიციზმთან, მისი თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ. და თუ რომანტიზმის თეორეტიკოსებმა ბუალოს დაუპირისპირეს საკუთარი დეკლარაციები ხელოვნებაში, ეს იმიტომ მოხდა, რომ ბუალოს პოეტიკა წარმოადგენდა მთელ პსევდო-კლასიკური ლიტერატურის თეორიულ საფუძველს.

„ძირს ბუალო მთელი თავისი კანონებით!“ — ასეთი იყო რომანტიკოსების ლოზუნგი ხელოვნების თეორიაში. ამ ლოზუნგს შედეგად უნდა მოჰყოლოდა ერთგვარი გადატრიალება ხელოვნებაში. და მართლაც, ერთის მხრივ, ფიხტეს სუბიექტური იდეალიზმი, რომელმაც ფილოსოფი-

ური ნავსაყუდელი მისცა გერმანელი რომანტიკოსების თეორიულ შეხედულებებს, მეორეს მხრივ, თვით რომანტიკოსებს „კრიტიკული ექსკურსიები“ ობიექტურ რეალობასა და ლიტერატურულ ცხოვრებაში სრულიად ახალ ფურცელს შლიდა ხელოვნების დიდ წიგნში. პიროვნების, „მე“-ს ფილოსოფია, რითაც დაიწყო გოტლიბ ფიხტემ, არსებითად წარმოადგენდა რომანტიზმის იდეურ თავშესაფარს, იმ დეკლარაციის თეორიულ დასაბუთებას, რომლის ძირითადი დებულება მარტივად ასე შეიძლება გამოიხატოს: „ყველა სისტემა ყალბია, მხოლოდ გენიოსი შეიცავს თავის თავში ჭეშმარიტებას“. ეს გენიოსი, რომანტიკოსების გაგებით, ის შემოქმედია, რომელსაც უნდა უკუეგდო პსევდო-კლასიციზმის მიერ გათელილი გზა, დაემსხვრია ბუალოს პოეტიკის პრინციპები და აღემართა თავისუფალი ხელოვნების, თავისუფალი ხელოვანის დროშა. ანდრეევიჩს თავის წიგნში მოჰყავს დამახასიათებელი სიტყვები პტი დე ქიულვილის „ფრანგული ლიტერატურიდან“: „ძირს კრიტიკა“ — აცხადებდნენ რომანტიკოსები, — რომელიც პარნასიდან მეორე სორბონას ქმნის, ძირს ბუალო მთელი თავისი კანონებით, ძირს «Comedie francaise», რომელსაც მხარი უნდა დაეჭირა კლასიკური ტრაგედიისათვის, მეფის მიერ მისთვის მინიჭებული პრივილეგიებით, ძირს ინსტიტუტი, აკადემია „წმიდათა-წმიდა კანონებისა“ და მათი განმმარტებელი კოდექსი“*.

ამგვარად, ლიტერატურული ცხოვრების ისტორიაში შეიჭრა ახალი სტილი, რომელიც რადიკალურად დაუპირისპირდა ძველს. ეს სტილი წარმოადგენდა იმ სოციალურ-ეკონომიური ძვრების გამოძახილს ხელოვნებაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნის გარიჟრაჟზე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. მაგრამ აქ ცხადად და გარკვევით უნდა ითქვას, რომ ლიტერატურული სტილის ისტორია არ წარმოადგენს შემთხვევით ფაქტს, რომელიც მოწყვეტილია საზოგადოებრივ-ეკონომიური რიგის მოვლენების კანონზომიერებას. იდეალისტური ესთეტიკა ლიტერატურული სტილის ისტორიაში ხედავ-

* Андреевич, «Опыт философии русской литературы», გვ. 61.

და დამოუკიდებელ კანონზომიერებას, რომელსაც თითქოს საერთო არაფერი აქვს ცხოვრებასთან. ეს დებულება თავისთავად წარმოადგენდა კანტიანური „ხელოვნება-თამაშის“, ხელოვნების თვითმიზნობრიობის ან კიდევ თეორიის — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ განმეორებას. მართალია, ხელოვნებას, თვით სტილს აქვს თავისი განვითარების კანონზომიერება, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს კანონზომიერება გამომდინარეობს თვით სოციალურ-ეკონომიური განვითარების კანონზომიერებიდან. ამ დებულებას უარყოფს იდეალისტური ესთეტიკის ზოგიერთი წარმომადგენელი, ემყარება რა იმ ყალბ თეორიულ პოსტულატს, რომ ხელოვნება თვით არის თავისი თავის მიზანი, და ამდენად რეალურის კანონები მისთვის უცხოა. მეორე ფრთა, მართალია, ცნობს სინამდვილის ლოგიკის ძალას ხელოვნების განვითარებაში, მაგრამ ისევ უკიდურესობის გზით მიდის. მაგალითად, ტენის თეორია, თითქოს სხვა ფაქტორებთან ერთად გეოგრაფიული ფაქტორი არსებითი და გადამწყვეტია ხელოვნების სტილის დადგენაში, ძალიან დაშორებულია ჰეშმარიტ მეცნიერულ აზრს. ცხადია, გეოგრაფიული ფაქტორი თავისებურ გავლენას ახდენს სტილზე, მაგრამ მას არასოდეს არ უთამაშნია გადამწყვეტი როლი ხელოვნების სტილის დადგენაში.

გავიხსენოთ ყველასათვის ცნობილი ფაქტი, რომელიც განსვენებულმა ფრიჩემ ოდესღაც მოიყვანა ტენის წინააღმდეგ: დავიდი და დელაკრუა. ცნობილია, რომ დავიდი მხატვრობაში ავითარებდა ფლორენციულ სტილს, რომლის ტიპიური ნიშანია მოვლენის ხაზობრივი შემეცნება. სულ სხვაა დელაკრუას მხატვრობა. იგი ბოლომდე იცავს მხატვრობის ვენეციურ სტილს, რომელსაც ახასიათებს ფერადობა. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდმა „დავიდის მხატვრობის სახით თავისებური სტილი შექმნა, რომელიც სავსებით შეეფერებოდა რევოლუციის პერიოდს: ეს იყო ფლორენციული სტილი. მაგრამ დელაკრუას დროს უარყო დავიდის მიმართულება მხატვრობაში, რადგან მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი ბურჟუაზიის პოლიტიკური გამარჯვებით დაგვირგვინდა და, რევოლუციის ნაცვლად, ეს კლასი მიისწრაფოდა წუნარი, უშფოთველი და

უზრუნველი ცხოვრებისაკენ. ამ ისტორიულ ფაქტს სავსებით შეეფერებოდა მხატვრობის ვენეციური სტილი, რომელმაც ფრანგული მხატვრობის ისტორიაში თავისი პირველი და ამავე დროს სრულყოფილი სახე დ ე ლ ა კ რ უ ა ს შემოქმედებაში ჰპოვა.

ნუთუ ერთი საუკუნის და მით უმეტეს რამდენიმე წლის განმავლობაში შეიძლებოდა შეცვლილიყო საფრანგეთის გეოგრაფიული ან კლიმატური პირობები? ცხადია, დავიდის დროსაც, პირობითად, ისევე მწვანე იქნებოდა ბ უ ლ ო ნ ი ს ტყე, როგორც დელაკრუას ეპოქაში; მაშინაც ისე იქროლებდა პარიზში ქარი, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. მაგრამ თუ ბუნებას არ უყვარს არსებობის სტატიური ფორმები, თუ იგი მოძრავი და ცვალებადია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პარიზი რამდენიმე წლის განმავლობაში უდაბნოდან აწწვანებულ ქალაქად თავისთავად გადაიქცევა, ან რადიკალურად შეიცვლება კლიმატური პირობები. ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს. აქედან ნათელია, რომ ტ ე ნ ი ს დებულება პოზიტივისტურ-იდეალისტური ხასიათისაა, რომელსაც არ შეუძლია სტილის განვითარების კანონზომიერების ჭეშმარიტი მეცნიერული ახსნა.

და რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული სტილი, ისტორიული ხასიათის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მოვლენების კანონზომიერების შედეგია ხელოვნებაში. მ ა რ ქ ს მ ა გენიალური დახასიათება მოგვცა იმისა, რომ გარკვეულ მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ წ ა რ მ ო ე ბ ა ს შეესაბამება გარკვეული ს უ ლ ი ე რ ი წ ა რ მ ო ე ბ ა. „იმისათვის, რომ გამოვარკვიოთ კავშირი მატერიალურსა და სულიერ წარმოებას შორის, — წერს მ ა რ ქ ს ი, — უპირველესად ყოვლისა აუცილებელია ეს უკანასკნელი განვიხილოთ არა როგორც საერთო კატეგორია, არამედ მის ცალკე ისტორიულ ფორმაში. ასე, მაგალითად, კაპიტალიზმს შეესაბამება სულიერი წარმოების სხვა სახე, ვიდრე წარმოების საშუალო საუკუნეების საშუალებას".* მართლაც, საშუალო საუკუნეებში, ფეოდალური არისტოკრატიის პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის

* К. Маркс, «Теории прибавочной стоимости».

დროს, სხვა იყო ხელოვნების სტილი, ვიდრე ბურჟუაზიის, როგორც ისტორიულად აღმავალი კლასის, მოძრაობის ეპოქაში. პსევდო-კლასიციზმი, რომელიც ასე განვითარდა დასავლეთ ევროპასა და რუსეთში, წარმოადგენდა ფეოდალური არისტოკრატიის სტილს ხელოვნებაში. მაგრამ ბურჟუაზიის მიერ იმ დროს შექმნილ მატერიალურ წარმოებას, თავისთავად ცხადია, აღარ შეესაბამებოდა ფეოდალური არისტოკრატიის მატერიალური წარმოების საფუძველზე შექმნილი სულიერი წარმოება. ამიტომ ბურჟუაზიის მატერიალური წარმოების ნიადაგზე წარმოიშვა გარკვეული სულიერი წარმოება, რომელიც დაუპირისპირდა წინა პერიოდს.

ლიტერატურაში ბურჟუაზიის პირველი ტალღა, მიმართული ფეოდალური არისტოკრატიის ლიტერატურის წინააღმდეგ, იყო სენტიმენტალიზმი. გაიხსენეთ 1768 წელს გამოქვეყნებული ლორენს სტერნის რომანი „სენტიმენტალური მოგზაურობა“, რომელმაც მთელ ევროპულ ლიტერატურაში დასაწყისი მისცა სენტიმენტალურ მიმდინარეობას. ამ უკანასკნელმა გამოხატა გრძნობები და ვნებანი ჩვეულებრივი „პატარა“ ადამიანებისა, იქადაგა რა მათდამი სიბრალულის გაღვივება ხალხში. კარამზინის «Бедная Лиза»-ს რუსული სენტიმენტალიზმის მნიშვნელოვანი ნაწარმოები იყო და მისი იდეა არაფრით არ განსხვავდებოდა საერთოდ სენტიმენტალისტების, მათ შორის კოზლოვის „შეშლილისაგან“. მსოფლიო ლიტერატურაში სენტიმენტალიზმის დამსახურება ის არის, რომ მან აბსტრაქტული, აისტორიული ტიპის ხაცვლად წამოაყენა კონკრეტული პიროვნება, რომელიც არსებულ სინამდვილეს სენტიმენტალურად უყურებდა. ეს უკვე უპირისპირდებოდა იმდროინდელ გაბატონებულ ლიტერატურას და მის მთავარ გმირს, ვინაიდან, როგორც ცნობილია, პსევდოკლასიკურმა ლიტერატურამ შექმნა კოსმოპოლიტური ტიპი. ეს ტიპი წარმოადგენდა აბსტრაქციას, რომელიც მოწყვეტილი იყო კონკრეტულ-ისტორიულ პირობებს. პსევდო-კლასიციზმი იყენებდა ანტიკურ სახეებს, როგორც, მაგალითად, კორნელი და რასინი, მოსავდა მათ ფრანგული ტანსაცმლით, და ისე შორის მიდიოდა, რომ თვით ბუალოს,

მეტად ფხიზელი გონების ადამიანს, დასჭირდა გამაფრთხილებელი სიტყვები ეთქვა: „კატონს და ბრუტს ნუ ხატავთ ფრანგული ტანსაცმელითო“.

პსევდო-კლასიციზმის წინააღმდეგ ბრძოლა ლიტერატურაში საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. მაგალითად, საფრანგეთში, სადაც მე-19 საუკუნის ორმოციან წლებამდის თეატრსა და დრამატურგიას პსევდო-კლასიციზმი აბატონებდა, მის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა თეორიულად და პრაქტიკულად ვიქტორ ჰიუგომ ააფრიალა. ჰიუგომ თავის დრამა „კრომველში“, პსევდოკლასიკური, განყენებული, აისტორიული ტიპის ნაცვლად, კონკრეტული ისტორიული პიროვნება გამოიყვანა. იმავე დრამის წინასიტყვაობაში ჰიუგომ გაჰაქვეყნა ახალი დრამატურგიის დეკლარაცია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი უნდა ყოფილიყო ისტორიზმი. ამით ფრანგულ ლიტერატურაში პსევდო-კლასიციზმი განდევნილ იქნა თავისი უკანასკნელი თავშესაფარიდან და მის ისტორიაში გადაიშალა სრულიად ახალი ფურცელი. ეს იყო რომანტიზმი.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში პსევდო-კლასიციზმის წინააღმდეგ მოქმედი ფრთა პირველად სენტიმენტალიზმი იყო. მართალია, სენტიმენტალიზმს არ წამოუყენებია ხელოვნების რაიმე თეორიული პრინციპი პსევდო-კლასიციზმის წინააღმდეგ, მაგრამ სენტიმენტალისტური რომანები შინაარსით და ფორმით პსევდო-კლასიციზმის უარყოფას წარმოადგენდნენ. ანალოგიური ფაქტი განმეორდა რუსეთშიც. ხერასკოვის, სუმაროკოვისა და ლომონოსოვის სტილის ნაცვლად, რუსული ლიტერატურის ისტორიაში იჭრება სრულიად ახალი ლიტერატურული სტილი—სენტიმენტალიზმი. კარამზინის „უბედური ლიზა“ დარადიშჩევის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვამდის“, კოზლოვსა და მისი რანგის მწერლებს თავი რომ დავანებოთ, — სრულიად ახალი ფურცელი იყო რუსული ლიტერატურის სინამდვილეში. ხერასკოვის „როსიადა“ და ლომონოსოვის „პეტრიადა“ ადგილს უთმობენ კონკრეტულ-ისტორიულ ტიპებს თავიანთი პიროვნული იდეებითა და გრძნობებით, რაც ასე

იდეენებოდა პსევდო-კლასიკური ლიტერატურის სინამდვილიდან. როგორც ბელინსკიმ აღნიშნა, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რუს საზოგადოებას უკვე აღარავითარი მისწრაფება აღარ ჰქონდა ხერასკოვისა და სუმაროკოვის პოეზიისადმი. ისინი მხოლოდ ლიტერატურის სპეციალისტების საგანს წარმოადგენდნენ. „კორნელისა და რასინის პოეზია ჩვენთვის, — ამბობდა ბელინსკი, — ყალბია, რიტორიული პოეზია, და ჩვენ იგი ისევე ტკბილად გვაძინებს, როგორც სუმაროკოვის პოეზია“*.

ქართულ ლიტერატურას თავისი განვითარების გზაზე არ განუცდია პსევდო-კლასიკური ლიტერატურის უშუალო გავლენა, იმიტომ, რომ მე-17—18 საუკუნეების საქართველო არ იყო პოლიტიკურად და ეკონომიურად დამოკიდებული რუსეთზე ან საერთოდ ევროპულ ქვეყნებზე. იგი იმ დროს მოქცეული იყო ირანისა და თურქეთის პოლიტიკური ბატონობის რკალში და ამ ისტორიულ ვითარებასთან დაკავშირებული იდეოლოგიური რიგის მოვლენებიც წარმოადგენდნენ მის ბუნებრივ რეზიუმეს. მე-17—18 საუკუნეების ქართული ლიტერატურის მთავარი დამახასიათებელი ნიშნები იყო ეროვნული მოტივი, ლირიკული სიმღერა, ელეგიურობა და ბუნების ხოტბა. ეს ოთხი მომენტი, როგორც ვიცით, თავისებური ელფერით ახასიათებს მთელ რომანტიულ მიმდინარეობას დასავლეთ ევროპაში, რუსეთსა და საქართველოში.

მაგრამ თუ დასავლეთ ევროპასა და რუსეთში პსევდოკლასიციზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნიადაგი რომანტიზმამდე სენტიმენტალისტურმა მიმდინარეობამ მოამზადა, ხოლო რომანტიზმს მის წინააღმდეგ მხოლოდ უკანასკნელი იერიშის მიტანა მოუხდა, საქართველოში რომანტიკულ სკოლას არ დასჭირებია პსევდო-კლასიციზმის ნორმატიული კატეგორიების წინააღმდეგ ბრძოლა. წინაპერიოდის ლიტერატურამ მას არათუ საბრძოლო ფრონტი დაუტოვა, არა-

* В. Белинский, «Сочинения Александра Пушкина», кн. I. 1923 г., стр. 25.

შედ. მეგობრული ხელიც კი გაუწოდა ზრდისა და აყვავებისათვის.

არა მკვლევარის, არამედ, დაინტერესებული მკითხველის თვალით შევხედოთ ამ ფაქტს. ჩვენს წინაშეა დავით რექტორის ლექსები. აი, ერთი ადგილი ამ ლექსებიდან:

„ჰე საწუთროო, რად შთამაგდე ესოდენ ჭირსა?
დატყვევდა გული, მოუთმენლად ნიადაგ სტირსა,
ვერ ვპოვე შემწე, მან ნუგეშ-მცეს სიცოცხლეს მწირსა,
ამად მივეცი დაუცადლად სულთ-თქმასა ხშირსა,
ჰოი უწყალოვ, მაქვს ქცევანი ცვლადნი და ხლათნი".

უდავოა, რომ ეს ლექსი ძალიან უახლოვდება ნიკოლოზ ბარათაშვილის „სულო-ბოროტოს". აქაც კრულვა და ურვაა ცხოვრების მიმართ, აქაც გოდებაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ის, რაც ბარათაშვილის „სულო-ბოროტოს". „რად შთამაგდე ესოდენ ჭირსა", — ეუბნება დავით რექტორი ცხოვრებას. ბარათაშვილიც ხომ ამასვე უსაყვედურებს ბოროტ სულს, რომ ამ უკანასკნელმა მას წაართვა „სულის სიმშვიდე" და „მოუკლა ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება". ეს ელეგიური გოდება, რომელიც ასე მძლავრად ისმის დავით რექტორის პოეზიიდან, ძალიან უახლოვდება მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რომანტიკულ სკოლას საქართველოში. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ჩვენ მხოლოდ შემთხვევით ფაქტს წავაწყდით, რომელიც ერთი გაელვების მსგავსად მოჩანს მთელი ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში? არა, იგივე ჰანგი ისმის, თუ გნებავთ, სოლომონ მდივან-ბეგის ლექსებიდანაც:

„ჰე გულო კრულო, ისარ კრულო, ბედსა ხარ მწარეს,
გიხმს თაო, ზღვათა შესართაო, რბოდე მის არეს,
სადა იწდოთა, ბნელ ბინდოთა სათნი შესარეს,
ღარიბად ელიდე, კართა ელიდე თუ შეგიწყნარეს,
მონებდე ხლებით, მისის თნებით სტრფოდე ურვილი".

ასეთივე მოტივები ახასიათებს ქეთევან ბატონიშვილის პოეზიასაც. უკიდურესი პესიმიზმი, რომელიც სკეპტიციზმში პოულობს თავის სრულყოფილ სახეს, — ასეთია ქეთევან ბატონიშვილის პოეზია. ჩვენი

დებულების დასამტკიცებლად არ დაგჭირდება შორს წასვლა. დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ერთი ფრაგმენტით:

„რად არ დაგვიწყდი სოფელო,
არ ხანიერო, ცუდ საყოფელო,
ჩემებრ უბედოთ ცუდ სამყოფელო,
მაგრამ ბედნიერთ პირ-დამყოფელო?
ვინ არ გენდობის, ვარ მადლობელი.
ჰოი ვითარ ვსთქვა"...

განა ესეც შემთხვევითია? განა უეცარ გაელვებად შეიძლება ჩაითვალოს სკეპტიციზმი, რომელიც მარტივად ასეთ უბრალო სტრიქონში გამოხატა პოეტმა: „ვინც არ გენდობის, ვარ მადლობელიო"?

მაგრამ, ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომანტიზმის წინაპერიოდის ქართულ ლიტერატურაში თითქოს რომანტიზმი უფიქრიყოს გამეფებული. რაც დავახასიათეთ, შეიძლებოდა მისთვის ქართული პრერომანტიზმი გვეწოდებინა. ამიტომ ჩვენც მხოლოდ იმ უტყუარ ფაქტზე მივუთითებთ, რომელიც მარტივად ასე შეიძლება გამოიხატოს: ეროვნულობა, ლირიკა, ელეგია, კონკრეტული ისტორიული იდეა, ხალხური პოეზია, — აი, საერთო ენა, რომელიც ქართულმა რომანტიზმმა გამონახა მისი წინაპერიოდის (ქართულ პრერომანტიკულ) ლიტერატურასთან, ბატონიშვილების პოეზიის ჩათვლით. ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ამ დებულების მკაფიო ილუსტრაციაა.

მაგრამ რა არის რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული სტილი, როგორც ანტითეზა, რეაქცია პსევდო-კლასიციზმის წინააღმდეგ?

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რომანტიზმი დასავლეთ ევროპასა და რუსეთში განვითარდა ფეოდალური არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის კლასობრივი ბრძოლის პირობებში. ეს ის პერიოდი იყო, როცა ფეოდალური არისტოკრატიის საუკუნოებრივ განცხრომასა და იდილიას დაუპირისპირდა მისი მესაფლავე კლასი — ბურჟუაზია. პიროვნების თავისუფლება! — ასეთი ლოზუნგი გადმოისროლა რომან-

ტიზმმა დასაელეთ ევროპის ქვეყნებში. ამ ლოზუნგით გაიშალა მთელი ევროპული რომანტიზმი, რუსული რომანტიზმი, და შეთხვევითი როდია ის გარემოება, რომ ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებაშიაც პიროვნების თავისუფლების იდეა მოქალაქეობრივ უფლებას მოითხოვს. ესაა თავისებური ლიტერატურული ა ბ ო ლ ი ც ი ო ნ ი ზ მ ი მთელ რომანტიკულ სკოლაში. ინგლისური რომანტიზმის კლასიკური წარმომადგენლის ბ ა ი რ ო ნ ი ს პოეზია ამ დებულების განსახიერებაა. ბ ა ი რ ო ნ მ ა, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო შეუპოვრად, ძლიერად და მთელი თავისი პოეტური გატაცებით ააფრიალა გაცრეცილი დროშა ა ბ ო ლ ი ც ი ო ნ ი ზ მ ი ს ა, რომელიც ნიშნავდა მოთხოვნას: პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს, ა ს ე ვ ე თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს პ ო ე ტ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი ფ ო რ მ ე ბ ი ს ა რ ჩ ე ვ ა ში; ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა უ ნ დ ა გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ დ ე ს ძ ვ ე ლ ი ნ ო რ მ ე ბ ი ს ა გ ა ნ. ჩაილდჰაროლდი, მანფრედი — აი ტიპები, რომელნიც თავისუფლების დროშის აღებას ცდილობენ. მაგრამ ეს დროშა გაცრეცილია, არ შეიძლება მისი გამოტანა ქარში, ქარი მას დაფლეთს, ბოლოს მოუღებს ისე, როგორც ძირგამომპალ ხომალდს აღელვებული ოკეანის მრისხანე ტალღა. ეს იწვევდა კ ო ნ ფ ლ ი ქ ტ ს ი დ ე ა ლ ს ა და ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ს შ ო რ ი ს, ისტორიულ კონფლიქტს, რომელიც რომანტიკოსების შემოქმედებას წითელი ზოლივით მიჰყვება. ეს კონფლიქტი პირველი მიზეზია, რომელმაც რომანტიკოსების მხატვრულ შემოქმედებაში ერთი დიდი შტრიხი გააელო — ეს იყო პ ე ს ი მ ი ზ მ ი.

სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ, ა ბ ო ლ ი ც ი ო ნ ი ზ მ თ ა ნ და პ ე ს ი მ ი ზ მ თ ა ნ დაკავშირებით უნდა განვიხილოთ ორი დიდი პოეტის — ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ა და ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი ს მხატვრული შემოქმედება, მაგრამ თუ გაკვრით შევჩერდით ევროპულ რომანტიზმზე, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი ს მხატვრულ შემოქმედებას ისევე აახლოვებდნენ ევროპულ რომანტიზმთან, როგორც ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს პ ო ე ზ ი ა ს ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი ს პოეზიასთან. აქ შემ-

თხზვევითი პარალელი როდია. რუსული რაზნოჩინცული ლიტერატურის ბელადმა ჩერნიშევსკიმ თავის კრიტიკულ სტატიაში — „Лермонтов и Байрон: Сравнительная характеристика поэтических произведений" აღნიშნა ლერმონტოვის პოეზიის ნათესაობა ბაირონთან. „ჩვენი ესთეტიკური გემოვნების განვითარებაში, — წერს ჩერნიშევსკი, — უცხოეთის ლიტერატურის მონაწილეობა ხდებოდა განსაკუთრებით წმინდა თარგმანებით. გამონაკლისია მხოლოდ ერთი — ბაირონისტული მიმდინარეობა, რომელსაც ნაწილობრივ პუშკინისა (აქ ნაგულისხმევია პუშკინის მხატვრული შემოქმედების პირველი პერიოდი — გ. ჯ.) და ნაწილობრივ ლერმონტოვის სახით ჩვენში ჰყავდა ღირსეული წარმომადგენლები, იმ დროს, როცა თვით ბაირონს ჩვენ ძალიან ნაკლებად ვიცნობდით"*. ჩერნიშევსკის გარდა, შემთხვევითი როდი იყო აგრეთვე სხვა რაზნოჩინელების სრულიად ანალოგიური შეხედულებანი. სავსებით ბუნებრივია, როცა „ნიღილისტების ბელადმა" ზაიცევმა ლერმონტოვს „ჩვენი ბაირონი", „რუსეთის ბაირონი" უწოდა**. ეს იყო დასკვნა, რომელსაც მაშინ არ გამოუწვევია რაიმე კონფლიქტი, მიუხედავად იმისა, რომ ზაიცევის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის ხანა იდეებისა და საზოგადოებრივი კლასების მკვეთრი დაპირისპირების, ინტენსიური შეხლა-შემოხლისა და ძველი ქვეყნის წინააღმდეგ რადიკალური ამხედრების ხანა იყო. მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მსგავსება და ნათესაობა ყოველთვის გავლენას არ ნიშნავს, განსაკუთრებით ლიტერატურაში.

როცა ერთმანეთს ვადარებთ, ბაირონისა და ლერმონტოვის პოეზიის მოჩვენებითი სიახლოვეც კი ცხადად მიგვითითებს იმ ურყევ დებულებაზე, რომ რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მოძრაობა, წარმოიშვა განსაზღვ-

---

* Н. Г. Чернышевский, «Полное собр. сочинений», т. III, 1918, стр. 1, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

** В. Зайцев, «Избранные произведения», т. I, 1934 г., стр. 51—52.

რულ ეპოქაში, — გარკვეული საზოგადოებრივი კლასის ლიტერატურად*. მეცნიერული სიზუსტისათვის ჩვენ ვანსხვავებთ გერმანულ რომანტიზმს ინგლისური ან ფრანგული რომანტიზმისაგან, ისევე, როგორც ქართულ რომანტიზმს — რუსული რომანტიკული სკოლისაგან, რამდენადაც ისტორიულად განსხვავებული იყო ინგლისის ან საფრანგეთის ფეოდალური არისტოკრატიის ყოფა რუსეთისა და საქართველოს ფეოდალური არისტოკრატიის ყოფისაგან, რამდენადაც, რუსეთთან და საქართველოსთან შედარებით, სხვა იყო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ინგლისი. ამდენად, საეჭვოა, რომ განსხვავებულია ამ ლიტერატურული სკოლის ხასიათი ცალკე ქვეყნების მიხედვით. მაგრამ, ძირითადი ტენდენცია, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის რომანტიკულ სკოლას ერთი ლიტერატურული მოძრაობის სახეს აძლევს, — ესაა ფეოდალური არისტოკრატიის კლასობრივი ტკივილები, გამოწვეული ამ კლასის ისტორიულად აუცილებელი დამარცხებით.

რომანტიზმი ევროპის ლიტერატურაში, რუსეთის ჩათვლით, კანონზომიერად როგორც რეაქცია პსევდო-კლასიციზმის ნორმატიული კატეგორიების წინააღმდეგ და როგორც მისი ანტითეზა. ჩვენ ეს უკვე ვნახეთ. მაგრამ ქართული რომანტიზმი ამ მხრივ ერთგვარი გამონაკლისია მსოფლიო ლიტერატურის რგოლიდან, რადგან ქართული მხატვრული ლიტერატურის ისტორია არ იცნობს პსევდო-კლასიციზმს, როგორც ლიტერატურულ გზას. თუ დასავლეთში რომანტიზმმა ააფეთქა პსევდო-კლასიციზმისა და ბუალოს პოეტიკა, ამ მხრივ ქართულ რომანტიზმს თითქმის არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი, რადგან ბესიკის, გურამიშვილის, დავით რექტორის, ქეთევან ბატონიშვილისა და სხვათა

---

* ყველგან, სადაც რომანტიზმზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ მე-19 საუკუნის ლიტერატურაში გაბატონებულ რომანტიკულ მიმდინარეობას. როგორც მარქსმა დაახასიათა, ეს რომანტიზმი იყო „საფრანგეთის რევოლუციისა და მასთან დაკავშირებული განმანათლებლობის წინააღმდეგ პირველი რეაქცია“ (იხ. მარქსი და ენგელსი, ხელოვნების შესახებ, 1938 წ., გვ. 265).

ლირიკული ლექსები, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ — ყოველივე ეს რომანტიკოსების მხატვრული შემოქმედებისათვის მრავალ მომენტში უახლოეს ნათესავს წარმოადგენდა.

ამგვარად, ჩვენი უშუალო ამოცანა თავისთავად კონკრეტულია: იგი მიზნად ისახავს აღნუსხოს პსევდო-კლასიციზმთან რომანტიზმის ისტორიული ბრძოლის თუნდაც მთავარი მომენტები, ერთმანეთს შეუდაროს ამ ორი ლიტერატურული სტილის თავისებურებანი თუ მოთხოვნები. ჩვენი ნაშრომის მიზანია ბარათაშვილისა და ლერმონტოვის პოეზიის მეცნიერული ანალიზი არა შიშველი პარალელიზმის გზით, არამედ, იმ იდეებისა და შეხედულებების ერთგვარი სისტემის სახით წარმოდგენა, რომელიც გამომდინარეობს ბარათაშვილისა და ლერმონტოვის პოეზიიდან. ერთის მხრივ — ქართული რომანტიზმის ტიპიური წარმომადგენელი — ბარათაშვილი, ხოლო მეორეს მხრივ — რუსული რომანტიზმის მწვერვალი ლერმონტოვი, — ასეთია წინამდებარე თავის ძირითადი თემა.

*

როგორც ისტორიამ დაადასტურა, ლერმონტოვმა პუშკინის შემდეგ რუსულ პოეზიას დაანახა ახალი სიმაღლეები, სადანაც კიდევ უფრო მიმზიდველად გამოჩნდნენ რუსული ლექსის დიდი მხატვრული შესაძლებლობანი, რომლებმაც ასე ორიგინალური განხილვა ჰპოვეს ბესარიონ ბელინსკის ლიტერატურულ კრიტიკაში.

პუშკინი, ლერმონტოვი, ბელინსკი! — ამ სახელებმა მთელი ეპოქა შექმნეს და არაჩვეულებრივად გააშიდრეს გასული საუკუნის რუსული ლიტერატურა.

ჯერ კიდევ ლერმონტოვის სიცოცხლეში ბელინსკიმ თავის მეგობარს მისწერა: ლერმონტოვი არის პუშკინის მემკვიდრე. დიდი რუსი კრიტიკოსი ერთგვარ შიშს გამოთქვამდა და მას ჰქონდა ამის საფუძველი: ბოსალოდნელი იყო ლერმონტოვის სიცოცხლის ისეთივე ტრაგიკული დასასრული, როგორც პუშკინისა.

ბელინსკის გენიალური გონება არ შემცდარა. თუ პუშკინი მეფის მონარქიამ 37 წლის ასაკში გამოაცალა ცხოვრებას, ლერმონტოვი კიდევ უფრო ახალგაზრდა დაიღუპა: 27 წლის პოეტი 1841 წლის 27 ივლისს ოფიცერმა მარტინოვმა ვერაგულად მოჰკლა დუელში.

მწარე და აუტანელი იყო მეფის თვითმპყრობელობის, ბატონყმური წყობილების პირობებში ბევრი მოწინავე ადამიანის ხვედრი. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ რადიშჩევა თავი მოიკლა, ჩაადაევი გიჟად გამოაცხადა ნიკოლოზ პირველმა, ახალგაზრდა პოეტმა — 22 წლის ვენევიტინოვმა ხელი აიღო ცხოვრებაზე, საყოველთაოდ ცნობილია ბელინსკის, შევჩენკოს, რილეევის, ჩერნიშევსკის ტრაგედია, ხოლო რუსული ლიტერატურის ორი უდიდესი მწვერვალი — პუშკინი და ლერმონტოვი თვითმპყრობელობამ მუხანათურად გაასწორა მიწასთან. მართალია, ისინი დუელში დაიღუპნენ, მაგრამ დღეს, საბჭოთა ეპოქაში, როცა უდიდესი მზრუნველობით ფასდება კულტურის ყველა ძვირფასი მონაცემი, როცა დამტვერიანებული არქივიდან მზის სინათლეზე გამოტანილია მრავალი დოკუმენტი, რომლებიც ფარდას ხდიან და ამხელენ სიმართლეს, საბოლოოდ დადასტურებულ იქნა, რომ პუშკინისა და ლერმონტოვის მკვლელობა, ისევე როგორც ილია ჭავჭავაძისა, წინასწარი განზრახვით მოაწყო მეფის თვითმპყრობელობამ თავისი აგენტების საშუალებით.

პუშკინის შემდეგ ლერმონტოვი უდიდესი რუსი მწერალია, რომელმაც შემდგომ განავითარა თავისი გენიალური წინამორბედის ახალი სიტყვა და მთელი რუსული ლიტერატურა დიდ შესაძლებლობათა გზაზე დააყენა. მის პოეზიაში გაისმა ისეთი ხმებიც, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ არ ვიცოდით პუშკინის შემოქმედებაში. დიდი რუსი მწერალი, სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი მიუთითებდა: „ლერმონტოვის ლექსებში ხმამაღლა ჟღერას იწყებენ ისეთი ნოტები, რომლებიც თითქმის სრულებით შეუმჩნეველია პუშკინის ნაწარმოებებში, — ეს არის საქმის ცხოვრებაში აქტიურად ჩარევის მგზნებარე სურვილი“.

სამწერლო ასპარეზზე ლერმონტოვი გამოვიდა რო-

გორც თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილების შეუპოვარი მამხილებელი. 1837 წელს პუშკინის დაღუპვასთან დაკავშირებით დაწერილ ლექსში — „პოეტის გარდაცვალება“, ლერმონტოვმა გაბედულად ამხილა ტირანი მეფე და მისი სისხლიანი სასახლე. პოეტმა ისინი გამოაცხადა თავისუფლების, გენიისა და დიდების ჯალათებად. ამ ლექსს, რომელიც ხელნაწერის სახით მოედო მთელ რუსეთს, შედეგად მოჰყვა სასტიკი რეპრესიები პოეტის წინააღმდეგ. ლერმონტოვის პოეზიაში ძალუმად ისმის ბრძოლის, სიმართლის, კეთილშობილების ჰანგები. უკეთესი ცხოვრების რწმენა პოეტის სანუკვარი ფიქრი და ოცნება იყო, მაგრამ თუ მან ვერ შეძლო პრაქტიკულად დაეწყო ბრძოლა ამ ოცნების განსახორციელებლად, სამაგიეროდ, შემოქმედებაში ამ მხრივ ცოტა როდი გააკეთა. ეპოქა, როცა ლერმონტოვი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, სულ სხვა იყო პუშკინის ლიტერატურული დებიუტის ეპოქასთან შედარებით. პუშკინის პოეტური ცხოვრება ყალიბდებოდა დეკაბრისტული აჯანყების ისტორიულ პირობებში. როგორც ცნობილია, 1825 წლის დეკემბერში ეს აჯანყება დამარცხებით დამთავრდა. დაიწყო სასტიკი რეაქციის ხანა. და როცა ლერმონტოვი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, მაშინ მხოლოდღა ცოცხალი იყო ხსოვნა დეკაბრისტებზე. მაგრამ ამ ფაქტს ამაოდ არ ჩაუვლია. როგორც დიდი ლენინი გვასწავლის, დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი*. ლერმონტოვის მხატვრულ შემოქმედებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა როგორც დეკაბრისტების დამარცხებამ, ისე 1825 წლის შემდეგ დაწყებული რეაქციის სუსხიანმა სინამდვილემ.

ლერმონტოვი თავადაზნაურ, მემამულე რევოლუციონერთა იმ ფრთის მისწრაფებათა გამომხატველია, რომელიც, მართალია, საშინლად შორს იდგა ხალხისაგან, მაგრამ, როგორც ლენინი ამბობს, მისი საქმე არ დაღუპულა. „თავადაზნაურებმა მისცეს რუსეთს ბირონები და არაკჩეევები, მრავლისაგან მრავალი ლოთი ოფიცრები, მოჩხუბრები, კარტის მოთამაშენი,

---

* იხ. ლენინი, თხზ., ტ. XV, გვ. 581.

ბაზრობათა გმირები, მეძაღლეები, შფოთისთავნი, მწკეპლავები, მოჯალაბენი“ და გულკეთილი მანილოვები. „და მათ შორის, — წერდა გერცენი, — განვითარდნენ 14 დეკემბრის ადამიანები, იმ გმირთა ფალანგა, რომელნიც, ვითარცა რომული და რემი, გარეული მხეცის რძით გამოიკვებენ... ესენი იყვნენ ბუმბერაზები, თავით-ფეხებამდე წმინდა ფოლადისაგან გამოჭედილი მოლაშქრე-თანამოსაგრენი, რომელნიც შეგნებულად და აშკარად გამოვიდნენ თავის დასაღუპავად, რათა ახალი ცხოვრებისათვის გამოელვიძებინათ ახალი თაობა და გაეწმინდათ ჯალათობის და მონურობის წრეში დაბადებული შვილები“.

ასეთ შვილთა რიცხვს ეკუთვნოდა გერცენი“*. ამ შვილთა მრავალი მისწრაფება გამოიხატა ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი ს მხატვრულ შემოქმედებაში. და არ იყო შემთხვევითი, რომ ლერმონტოვის დრამებში, ლექსებსა და პროზაში მოცემულია ამ მწკეპლავების, არაკჩეევების, კარტის მოთამაშეების, ბაზრობათა გმირების, მოჯალაბეებისა და გულკეთილი მანილოვების დაუნდობელი, მკაცრი კ რ ი ტ ი კ ა. ამით ლერმონტოვი მეგობრულ ხელს უწვდიდა თავისი დროის მოწინავე, პ რ ო გ რ ე ს უ ლ იდეებს, გამოხატავდა მათ, თავის შემოქმედებას კი აძლევდა დიდ ისტორიულ ღირებულებას.

მაგრამ ვინ იყო ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი?

* *

მიხეილ იურის ძე ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი დაიბადა მოსკოვში, 1814 წელს. დედის მხრივ, მართალია, იგი არისტოკრატიას წრეს ეკუთვნოდა, მაგრამ მამამისი ხელმოკლე იყო. 3 წლის ბავშვს დედა გარდაეცვალა, მამა კი იძულებული შეიქნა ადრევე მოშორებოდა ოჯახს. „გადამდგარი კაპიტნის“ იურ ი ლერმონტოვის ნაცვლად პოეტს ზრდიდა ე ლ ი ს ა ბ ე დ არსენიევა — პოეტის დიდედა.

ოჯახურმა ტრაგედიამ ღრმა კვალი გაავლო ჭაბუკის ცხოვრებაში. ადრინდელ ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ლექსებსა და

---

* იხ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. XV, გვ. 575.

დრამებში გაისმის პოეტის ღრმა გულისტკივილი იმის გამო, რომ იგი „ტანჯვის შვილია“, რომ მამამისმა არ იცოდა, რა იყო სიმშვიდე, ხოლო დედის სიცოცხლე ჩაქრა ცრემლებში. 1831 წელს დაწერილი ტრაგედია „უცნაური კაცი“ მთლიანად ავტობიოგრაფიული თხზულებაა, რომელიც ალეგორიულად აგვიწერს იური ლერმონტოვისა და მარია მიხეილის ასულის — პოეტის დედ-მამის ოჯახურ ტრაგედიას. დიდედის მზრუნველობით ლერმონტოვი ბავშვობიდანვე სწავლობს ევროპულ ენებს, სრულიად ყმაწვილი ფრანგულ ენაზე წერს თავის პირველ პოეტურ თხზულებებს, ხოლო შემდეგ დიდი გატაცებით კითხულობს რუსული ლიტერატურის კლასიკოსებს — ლომონოსოვის, დერჟავინის, ბატიუშკოვის, კრილოვის, ოზეროვის და სხვ. ლექსებს. მის პოეტურ ცნობიერებას განსაკუთრებით იზიდავენ ევროპული ლიტერატურიდან ბაირონი და რუსეთში პუშკინი. იმ გარემოებამ, რომ პოეტი ბავშვობიდანვე დაუკავშირდა კავკასიას, სადაც იგი დიდედას მინერალურ წყლებზე დაჰყავდა, ხოლო ახალგაზრდა კორნეტი, შემდეგ კი პორუჩიკი ორჯერ გადაასახლეს კავკასიაში სასჯელის მოსახდელად (ლექსისათვის — „პოეტის გარდაცვალება“ დ. ერნსტ დე ბარანტთან დუელის გამო), ლერმონტოვის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო კავკასიის ზღაპრულ ბუნებას, გაცილებით მეტი, ვიდრე თვით პუშკინის პოეზიაში.

ლერმონტოვის შთამაგონებელ ლექსებში კავკასიის ზვირთები და ამაყ ბუნებას განმაცვიფრებელი მხატვრული სახეები ამკობს. მისი პოემების დიდი ნაწილის სიუჟეტი კი კავკასიის ფონზეა გაშლილი. დაწყებული „იზმაილ ბეით“ და დამთავრებული „დემონით“, რომ არაფერი ვთქვათ ისეთ პოემა-ლექსებზე, როგორიცაა, მაგალითად, „ლტოლვილი“, ლერმონტოვის შემოქმედება კავკასიასთან რაღაც განსაკუთრებული ძაფებითაა დაკავშირებული. პირველად გრიბოედოვმა და პუშკინმა, ხოლო შემდეგ, კიდევ უფრო ფართოდ, ლერმონტოვმა დაამკვიდრა კავკასია რუსულ ლიტერატურაში.

პუშკინისა და ბაირონის პოეზიის გაცნობით დაიწყო ლერმონტოვის მძლავრი პოეტური მაჯისცემა. შემთხვევითი არ იყო, რომ ჩერნიშევსკი ლერმონტოვს პუშკინთან ერთად თვლიდა რუსულ ლიტერატურაში ეგრეთწოდებული „ბაირონის თემის“ ღირსეულ წარმომადგენლად. ლერმონტოვმა ჯაბუკობაშივე იგრძნო ბაირონის პოეზიასთან სიახლოვე. ტომას მურის წიგნმა ბაირონზე მას კიდევ უფრო შეაცნობინა ეს პოეტური ნათესაობა. მაგრამ ბაირონისა და ლერმონტოვის პოეზია იგივეობის სფეროში ვერ თავსდება. თუ ლერმონტოვს მსოფლიო რომანტიზმის კორიფეისთან საერთო ჰქონდა, როგორც თვითონვე ამბობს, ტანჯვის, სიმშვიდის ამაოდ ძიების, საშობლოდან განდევნილობის მხრივ, შემდეგ მკვეთრად შეიცნო, რომ იგი არ არის ბაირონი, რომ იგი მასავით ქვეყნად დევნილია, მხოლოდ «с русскою душою».

ეს იყო იმის ხაზგასმაც, რომ ლერმონტოვი საკუთარ შემოქმედებას ორგანულად უკავშირებდა თავისივე ქვეყნის ცხოვრებას, მის ჭირ-ვარამს, ზრუნავდა მისი ხალხისათვის, მისი ინტერესებისათვის, ცდილობდა სამშობლო ქვეყანას ეცხოვრა უკეთესად, თუმცა ბრწყინვალედ გრძნობდა, როგორც ეს აღნიშნა ლექსში — „გამომშვიდობება“, რომ „სამშობლო მას არ ჰქონდა“, ვინაიდან „სამშობლო იქ არის, სადაც ჩვენ ვუყვარვართ“. მეფის თვითმპყრობელობას და ბატონყმურ წყობილებას კი სძულდა ლერმონტოვი. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ პოეტის ტრაგიკულ დაღუპვას თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილება ასეთი სიტყვებით შეხვდა: „ძაღლს ძაღლური სიკვდილი“. მაგრამ სამშობლო, არა სისხლიანი მეფეებისა და მისი აგენტებისა, არამედ ხალხის სამშობლო ლერმონტოვს უსაზღვროდ უყვარდა. მრავლისმეტყველად გაისმის პოეტის სიტყვები:

«Москва, Москва!... Люблю тебя как сын,
Как русский — сильно, пламенно и нежно»*.

ამ სიყვარულს მკითხველი ყველგან გრძნობს მის შემოქმედებაში. ეს იყო სიყვარული დიდი რუსი ხალხისადმი,

* М. Ю. Лермонтов, т. II, стр. 371.

რუსეთის ველების, ტყეების, მდინარეებისა და ზღვების, მისი მოწყენილი სოფლებისადმი. ამ სიყვარულის ადგილს ვერავინ იკავებდა პოეტის გულში. ლერმონტოვი ხომ თვითონვე ამბობს:

„მიყვარს სამშობლო, მაგრამ უცხო, სხვა სიყვარულით!
და მას ვერ დაძლევს ვერასოდეს გონება ჩემი.
არც სისხლის ფასით შეძენილი დიდება სრული,
არც მყუდროება, ავსებული ამაყი რწმენით
და არც წარსულის გადმოცემა, ძველი თქმულება
ჩემს სულს საამურ ოცნებით არ ეხმაურება".

რომანტიკოსი პოეტი გამოხატავდა სიყვარულს რუსეთის სოფლისადმი და მის ლირიკულ ხმაში სახიერდებოდა წარმტაცი სურათები:

„სხვებისთვის უცნობ, უცხო სიამით
მე პურით სავსე კალოს ვუცქერი,
ვხედავ გლეხის ქოხს, დახურულს ჩალით,
სარკმლის დარაბას ნაზ ჩუქურთმებით.
დღესასწაულზე მთვრალი გლეხების
ცეკვა-თამაში მე მიყვარს გულით,
სტვენა, ბაკუნი მისი ფეხების,
მთვრალ საუბართან შეერთებული".

რამდენადაც ძლიერი იყო ეს მხურვალე პატრიოტული გრძნობები ლერმონტოვის არსებაში, რამდენადაც მძაფრ ფორმებს ღებულობდნენ ისინი პოეზიის ენაზე, მით უფრო სასტიკი და შეუპოვარი სახით წარმოგვიდგებოდა დიდი პოეტის პროტესტანტული ხმა ძალმომრეობის წინააღმდეგ. ხომ ცნობილია, რომ ლერმონტოვის შემოქმედებაში თავიდანვე გაისმა თვითმპყრობელური სინამდვილისადმი შეურიგებლობის ჰანგი, რომელმაც მის პოეზიას პუბლიცისტური სიმახვილე მისცა. დიდი პოეტი ამ მხრივ წინ უბიძგებდა რუსულ ლექსს. მართალია, თავდაპირველად ეს იყო იდეალსა და სინამდვილეს შორის ზოგადი კონფლიქტის გამოხატვა, მაგრამ შემდეგ მან მიიღო კონკრეტული ფორმა და გადაიზარდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოეტის აშკარა ამხედრებაში. 1831 წელს 17 წლის ახალგაზრდა იგონებს, რომ ბავშვობიდანვე იგი რაღაც უცნაურს ეძებდა, მაგრამ

ვერ ჰპოვა; სწორედ ისევე, როგორც დიდმა ქართველმა პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, რომელიც, ეჭვი არ არის, ახლოს იდგა ლერმონტოვთან შემოქმედებით, ვერსად ჰპოვა ყმაწვილკაცობის დროინდელი აღთქმანი. და სწორედ ისე, როგორც ბაირონის პოეზიაში გაისმა მძლავრი ხმა თავისუფლების ძიებისა, ლერმონტოვის შემოქმედებაშიც დაუცხრომელი ლტოლვაა თავისუფლებისაკენ. მაგრამ აქ სრულიადაც არ არის ბაირონის გავლენა; ეს თვით ლერმონტოვია თავისი მღელვარე სულით და თვითმპყრობელობის საპყრობილეში თავისუფლებაზე ოცნებით. სწორედ ეს არის ლერმონტოვის ლირიკა, რომლის ხმა ასე მძაფრად გაისმა რუსულ ლიტერატურაში.

მძლავრი და მღელვარეა ლერმონტოვის ლირიკა. იგი არ არის მინორული, თუ ზოგიერთი იშვიათი გამონაკლისი არ მივიღეთ მხედველობაში. ლერმონტოვის ლირიკა გამოირჩევა მებრძოლი ტემპერამენტით, ჭარიშხლისებური სიძლიერით. მისი ლირიკისათვის უცხო არ იყო რევოლუციის თემაც. ჯერ კიდევ ჭაბუკმა პოეტმა მთელი არსებით თანაუგრძნო საფრანგეთის 1830 წლის რევოლუციას მშვენიერი ლექსით — „30 ივლისი. — 1830 წლის (პარიზი)". ამ ლექსში მძლავრი პროტესტია მეფის ტირანიისადმი და ხალხის გულმხურვალე სიყვარული ჩანს:

«О! чем заплотишь ты, тиран,
За эту праведную кровь,
За кровь людей, за кровь граждан»*.

თავისუფლების წყურვილით არის აღსავსე ლერმონტოვის მთელი მხატვრული შემოქმედება. მისი „რკინის ლექსი" არის ბრძოლა და ძიება ამ თავისუფლებისა. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ლერმონტოვი რაღაც განსაკუთრებული სიყვარულით მოსავს ჭარიშხალს, რომელშიაც იგი ამ თავისუფლების იდეალის განსახიერებას პოულობს. ლექსში — „სურვილი" ლერმონტოვი წუხილს გამოთქვამს იმის გამო, თუ რატომ არ არის ფრინველი, რომ

* М. Ю. Лермонтов, «Избр. стих.», 1933 г., стр. 16.

ამაყად გადასცუროს ცის ტატნობი და მხოლოდ ერთი თავისუფლება უყვარდეს. ამ თავისუფლების ლირიკული სიმღერაა „ტუსაღიც“. თავისი მღელვარე აზრებისა და ჰუმანური გრძნობების თავშესაფარს ლერმონტოვი შემთხვევით როდი ეძებდა ქარიშხალში. „იალქანი“ ამ ტენდენციის გენიალური მხატვრული სახეა. ეს აჯანყებული იალქანი არც ბედნიერებას ეძებს და არც მისგან გარბის. ივი ეძებს ქარიშხალს, თითქოს ქარიშხალში იყოს სიმშვიდე. მაგრამ ამ იდეების დასაყრდენი არსად ჩანდა და აქედან სავსებით გასაგები ხდება ის პესიმიზმი, მარტოობის ის ფილოსოფია, რომელიც ასე დამახასიათებელია ლერმონტოვის მსოფლმხედველობისათვის, მისი აზრებისათვის, რომლებიც მხატვრულ სახეებში გამოჰკვეთა პოეტმა ლექსებად, პროზად, დრამატულ თხზულებებად.

რა იყო ეს ფილოსოფია?

რომანტიზმის ფილოსოფიური საყრდენი იყო იდეალიზმი, თავისი მრავალი მიმდინარეობით, როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპაში. თუ ამ უკანასკნელს ავიღებთ, განსაკუთრებით ფიხტე და შელინგი იყვნენ ის ფილოსოფოსები, რომლებმაც თვალსაჩინო გავლენა იქონიეს ევროპულ რომანტიზმზე. მათი ფილოსოფია, მათ მიერ სამყაროს იდეალისტური განმარტება რომანტიკოსი პოეტების მხატვრულ შემოქმედებაში სპეციალურ სახეს ღებულობდა, როგორც პოეტური შემეცნების ყველაზე ძლიერი პრეროგატივა.

მაგრამ, საერთოდ, როგორ განმარტავს იდეალიზმი სამყაროს?

იდეალიზმი სამყაროს უყურებს, როგორც „აბსოლუტური იდეის“, „მსოფლიო სულის“, „ცნობიერების“ გახსახიერებას. იგი არ ცნობს სინამდვილის ობიექტურ რეალობად არსებულობას და მიაჩნია, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი ქვეყანა ეს მხოლოდ იდეათა სამყაროა, როგორც ამას პლატონის ფილოსოფია „ამტკიცებს“. იდეალიზმისათვის პირველადს წარმოადგენს იდეა, სული, აზროვნება, სუბიექტური იდეალიზმი კი თავის გამოსავალ წერტილად ღებულობს ადამიანის ცნობიერებას, უარყოფს რა რეალური საგნების ობიექტურ არსებულობას. ამიტომაა, რომ იდეალიზმი განმტკი-

ცებს მისტიციზმს და არსებითად დაკავშირებულია სამყაროს წარმოშობის რელიგიურ ახსნასთან.

ასეთია ზოგადად იდეალიზმის ბუნება.

როგორც ვთქვით, იდეალიზმი იყო რომანტიზმის ფილოსოფიური წყარო. სამყაროს განმარტების იდეალისტური კონცეპცია გაბატონებულია რომანტიკოსების მხატვრულ შემოქმედებაშიც. მაგრამ, ცნობილია, ლერმონტოვის პოეზია, ისევე როგორც ბარათაშვილისა, მებრძოლი განწყობილებით განირჩევა, მაგალითად, ლეოპარდისა და ნოვალისის უკიდურესი პესიმიზმის, სამყაროს პასიური ჰვრეტისაგან. ამიტომ მათ შემოქმედებაში ჩვენ შემთხვევით არ ვპოულობთ მატერიალისტურ შეხედულებებსაც, თუმცა ეს მატერიალიზმი გულუბრყვილოა, რომელიც ეპოქის ჩარჩოებს არ სცილდება. ეს მატერიალიზმი გამოიხატება მიწიერ სინამდვილესთან იმ ცნობილ დაბრუნებაში, რომლის ჰანგები ისმის ლერმონტოვის ლექსებში — „ლოცვა“, „მკვდრის სიყვარული“, აგრეთვე ბარათაშვილის ლექსებში — „მერანი“ და „ფიქრნი მტკვრის პირას“. ბარათაშვილისა და ლერმონტოვის შემოქმედება კი ძლიერ ახლოა ერთმანეთთან. მათ შორის ბევრია საერთო, რასაც ჩვენ ქვევით დაწვრილებით გავეცნობით. მანამდე კი საჭიროა ვიცოდეთ, რომ ლერმონტოვმა წარუშლელი გავლენა მოახდინა ქართულ ლიტერატურაზე. გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდანვე ლერმონტოვი პოპულარული მწერალი იყო საქართველოშიც. ადრევე მის ლექსებს თარგმნიდნენ გიორგი ერისთავი, ილია ჭავჭავაძე და მრავალი სხვა ქართველი მწერალი. ბარათაშვილი რომ ახლოს იცნობდა ლერმონტოვის პოეზიას, ნათლად ჩანს გრიგოლ ორბელიანისადმი 1843 წლის 21 აგვისტოს მის მიერ გაგზავნილი წერილიდან, სადაც ჩვენს სახელგანთქმულ პოეტს მოჰყავს ორი სტრიქონი ლერმონტოვის ცნობილ ლექსიდან „И скучно и грустно“, ლექსიდან, რომელშიაც თვითმპყრობელობისადმი მძულვარება ლერმონტოვმა იმით გამოხატა, რომ ცხოვრება „ცალიერ და სულელურ ხუმრობად“ გამოაცხადა.

როგორც აღნიშნული გვაქვს, თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილება სძულდა ლერმონტოვს. ამიტომ ცდილობდა მისგან თავის დაღწევას. ჯერ კიდევ 1838 წელს ლერმონტოვმა დაწერა ლექსი „ფიქრი“, სადაც უაღრესად სკეპტიკური შეხედულება გამოთქვა. „მოწყენით ვუცქერ მე ჩემს თაობას, — ამბობდა პოეტი, — მისი მომავალი ან ცალიერია, ან ბინდითაა მოცული“. კიდევ უფრო ადრე ლერმონტოვმა მწუხარედ ამოიგმინა, რომ იგი შიშით უცქერის მომავალს და წარსულს მოწყენით. პოეტი ოცნებობს იმ სანუკვარ მომავალზე, რომელიც უჩვენებს მისი ცხოვრების დანიშნულებას. მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ „ტყვე რაინდმა“ ვერ ჰპოვა ეს უკანასკნელი. თითქოს ყველაფერი ისე ეწყობოდა, რომ გამოსავალი არ ჩანდა. პირადი ხვედრიც თანდათან მძიმდებოდა, თანდათან აუტანელი ხდებოდა.

1840 წლის დასაწყისში, დე ბარანტთან დუელის გამო, ლერმონტოვი დააპატიმრეს და მოათავსეს „ორდონანს ჰაუზში“, სადაც იგი ინახულა ბელინსკიმ. ეს იყო ბელინსკისა და ლერმონტოვის პირველი შეხვედრა. ბელინსკი აღფრთოვანებული დარჩა ლერმონტოვთან საუბრით. იმავე წლის 16 აპრილს ვ. ბოტკინისადმი გაგზავნილ წერილში გენიალური რუსი კრიტიკოსი წერდა: „მე პირველად ვნახე ნამდვილი ლერმონტოვი, როგორიც ყოველთვის მსურდა მენახა იგი“. იმავე წლის მაისში ლერმონტოვი ემშვიდობება რუსეთს, ვინაიდან ნიკოლოზ პირველმა გადაასახლა კავკასიაში. რაღაც უცნაური ძალით იგრძნო ლერმონტოვმა ზიზღი და მძულვარება მეფისადმი. ეს სიძულვილი მან უძლიერესი პოეტური სახეებით გამოხატა თავის ლექსში — «Прощай намытая Россия», რომლითაც გამოეთხოვა რუსეთს.

1841 წლის თებერვალში ლერმონტოვი ორი თვით ისევ პეტერბურგშია. ეს იყო უკანასკნელი გამოთხოვება პოეტისა სამშობლოსთან. ამის შემდეგ რუსეთს ცოცხალი ლერმონტოვი აღარ უნახავს.

1840 წლის შემოდგომაზე გამოვიდა ლერმონტოვის ლექსების წიგნი. ამ დროს პოეტი კავკასიაში იყო:

ბელინსკიმ აღფრთოვანებული წერილი უძღვნა ახლადგამოსულ წიგნს. ამ მაღალ შეფასებას ნათლად მოწმობენ დიდი რუსი კრიტიკოსის შემდეგი სიტყვები: „ჯერ კიდევ არ ვუწოდებთ ჩვენ მას არც ბაირონს, არც გოეთეს, არც პუშკინს და არ ვიტყვით, რომ მისგან თავის დროზე გამოვა ბაირონი, გოეთე ან პუშკინი, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ მისგან არ გამოვა არც პირველი, არც მეორე, არც მესამე, არამედ გამოვა — ლერმონტოვი". ამავე წელს გამოვიდა ლერმონტოვის მხატვრული პროზა — განმაცვიფრებელი შედევრი „ჩვენი დროის გმირი", რომელმაც ერთბაშად ასტყორცნა პოეტის სახელი დიდების მწვერვალზე. საკმარისია ითქვას, რომ ლერმონტოვის მხატვრულ პროზას უაღრესად მაღალი შეფასება მისცა სიტყვის გენიალურმა ოსტატმა ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოიმ. „ანა კარენინას" ავტორს განსაკუთრებით მოსწონდა რა „ჩვენი დროის გმირი", ის მაინც ცალკე გამოჰყოფდა „ტამანს".

ლერმონტოვის მხატვრული პროზის პირველი ექსპერიმენტები იყო „ვადიმი" და „თავადის ასული ლიგოვსკაია". პირველი ნაწარმოები საყურადღებოა იმით, რომ მკვეთრად ამხელს ბატონყმური წყობილების საძირველებას. აქ დაყენებულია გლეხთა საკითხი და არის მოწოდება თავისუფლებისაკენ. ეს ნაწარმოები ლერმონტოვს არ დაუმთავრებია, ხოლო მეორე გამოყენებული იქნა რომანში — „ჩვენი დროის გმირი".

გრიგოლ ალექსანდრეს ძე პეჩორინი, რომანის მთავარი გმირი, ლერმონტოვმა დახატა როგორც თავისი თანამედროვე თაობის პორტრეტი. დიდი პოეტი რომანის წინასიტყვაობაში მიუთითებდა: „ჩვენი დროის გმირი, მოწყალენო ხელმწიფენო, მართლაც რომ პორტრეტია, მაგრამ ერთი კაცისა კი არა: ეს არის პორტრეტი მთელი ჩვენი თაობის მანკთაგან შეთხზული, მათი სრული განვითარებული სახით"*. როცა პუშკინისა

* М. Ю. Лермонтов, «Герой нашего времени», 1933 г., стр. 4.

დაონეგინის, ლერმონტოვისა და პეჩორინის ურთიერთობა გაარკვია, მაქსიმ გორკიმ სწორად მიუთითა, რომ პეჩორინის პროტოტიპი იყო ონეგინი. მაგრამ მაი შორის ერთგვარ სხვაობას მაინც ვპოულობთ. პეჩორინი უფრო მეტად პესიმისტია, უფრო მეტად პასიური და სინამდვილისადმი ინდიფერენტულად განწყობილი, ვიდრე მისი პროტოტიპი. პეჩორინის მთელი ტრაგედია არ არის პერსონალური. ეს იყო ნიკოლოზ პალკინის დროინდელი ზედაფენური ახალგაზრდა თაობის ერთი ნაწილის ტრაგედია. იგი გაორებული იყო. რეაქციის სუსხიანი სინამდვილე მას უკარგავდა ცხოვრების მიზანს, ისინი ზედმეტ ადამიანებად გრძნობდნენ თავს. ამიტომაა, რომ პეჩორინის პიროვნებაში ორი ადამიანი ცხოვრობს. მაგრამ ორივე ეს ადამიანი სუსტია. პირველი თითქოს მიისწრაფვის პრაქტიკული ცხოვრებისაკენ, მაგრამ მას ოდნავაც არ ყოფნის ძალა საამისოდ; აქედან პესიმიზმი და ცხოვრებისაგან განდგომა; მეორე კრიტიკულად უყურებს პირველს, თვითანალიზის საზღვარს არ სცილდება; აქედან თეორიული წყარო უმოქმედობისა. სულში რაღაც საშინელი ყინვა, როცა სისხლში ცეცხლი გიზგიზებს—ეს პეჩორინის გაორებული პორტრეტის მოხდენილი ცხადყოფაა. პეჩორინი თავის თავს უახაღებინის გემის ბაქანზე აღზრდილს უწოდებს. ეს იყო მაგარი სილის გაწვნა მეფის თვითმპყრობელობისადმი.

ნიკოლოზ პალკინის სუსხიანმა რეჟიმმა, მემამულურ-ბატონყმური წყობილების — ადამიანის ამ უსაზიზღრესი დამამცირებელი ინსტიტუტის უხეშობამ და ძალმომრეობამ პეჩორინში დაბადა ავანტურისტული მიდრეკილება. ვერას ისტორია, ბელას მოტაცება, ჰაზამატთან შემპარავი დიალოგები, მერი ლიგოვსკაიას სიყვარულის მთელი ფონი, მისდამი დამოკიდებულება, გრუშნიცკისთან დუელი, უარი იმ ქალის ცოლად შერთვაზე, ვისთვისაც საკუთარი სიცოცხლე ტყვიის წინაშე დააყენა, ბოლოს ტამანში მომხდარი ამბები, რასაც იგი სრულიად შემთხვევით გადაურჩა, — ყოველივე ეს პეჩორინის არსებაში რაღაც ცივ, გაყინულ, ავანტურისტულ ბუნებას ამჟღავნებს. პეჩორინის ხელი რასაც კი შეეხება, ყოველივეს ამსხვრევს. ამას თვითთ-

ნაც კარგად გრძნობს. მან დაამსხვრია ბელას და კაზბიჩის, მერის და გრუშნიცკის, ვერას და სეთონ ვასილიევიჩის ბედნიერება, თუნდაც წამიერად შეარყია მაქსიმ მაქსიმიჩის, იანკოს და მისი შეუვარებულის მყუდროება ისე, რომ თვითონაც არ ყოფილა დამშვიდებული, ყოველთვის საკუთარი სიცოცხლის რაღაც შემაძრწუნებელი გულცივობით განწირვის პირობებში.

და ხშირად პეჩორინი, კრიტიკულად გადახედავს რა განვლილ დღეებს, ნანობს, რომ იგი ასე მოიქცა. ტამანის ამბავმა სერიოზულად ჩააფიქრა და დააღონა მისი არსება. ეს პეჩორინის მიზეზით დარჩა უსინათლო ბიჭი სრულიად უპატრონოდ, რომელიც „... დიდხანს, დიდხანს ტიროდა... მე დავღონდი, — ამბობს პეჩორინი, — რად შემაგდო ბედმა პატიოსან კონტრაბანდისტთა მშვიდობიან წრეში? ვით ქვამ დამშვიდებული რუს ზედაპირზე, მე შევარყიე მათი მყუდროება და ქვასავით კინაღამ თვითონ მეც დავიძირე!“ პეჩორინი გრძნობს, რომ იგი სიყალბესა და პირმოთნეობაზე აშენებულმა საზოგადოებამ გააფუჭა, გარყვნა. ამიტომ ჰგოდებს ასე მკაცრად და ნაღვლიანად, ცხოვრებას ამიტომ უცქერის ასე გულცივად, ასე ინდიფერენტულად. მისი სახის ეს მტანჯველი იარები შეუმჩნეველი არ რჩება ნაზ და სათუთ მერი ლიგოვსკაიასაც კი, რომელიც პეჩორინში ხედავს რაღაც მაგიურ, დემონურ ძალას, ეშინია მისი, ბაგრამ შესაძლოა ამ შიშის წყალობით ეცოდება და ებრალება იგი.

პეჩორინის ენა ბასრია და გამგმირავი. იგი დაუნდობლად სპობს და ანადგურებს მოწინააღმდეგეს. „თქვენ საშიში კაცი ხართ! — ეუბნება პეჩორინს მერი... — მე ვირჩევდი ტყეში დანით მკვლელს ჩავუვარდე ხელთ, ვიდრე თქვენი ენის წერა გავხდე... მე გულწრფელად გთხოვთ: თუ თქვენ განიზრახოთ ჩემზე ავის თქმა, სჯობს აიღოთ დანა და დამკლათ, მე ვგონია ეს თქვენთვის მეტად ძნელი არ იქნება“[1]. პეჩორინის ხასიათის ეს მხარე, ეს უცნაურობა პირველი დაახლოებისთანავე იგრძნო ჰარმაგმა მაქსიმ მექსიმიჩმაც. „შემიძლია

---

[1] М. Ю. Лермонтов, «Герой нашего времени», 1933 г., стр. 115.

გულდადებით ვთქვა, — ამბობს მაქსიმ მაქსიმიჩი პეჩორინზე, — რომ მშვენიერი ყმაწვილი იყო, მხოლოდ ცოტათი უცნაური". პეჩორინი ყველაფერზე თანახმაა, გარდა თავისუფლებისა დაკარგვისა. ამიტომ გაურბის იგი ოჯახურ ბედნიერებას, ჰგონია რა იგი მისი ბორკილი. „ოცჯერ ჩემს სიცოცხლეს, პატიოსნებასაც კი წავაგებ, მაგრამ თავისუფლებას კი არ გავყიდი". ეს არის მისი არსების შინაგანი მოთხოვნილება. იგი, როგორც თვითონ ამბობს, „დიდი ხანია ცხოვრობს თავით და არა გულით". პეჩორინი გაურბის სულიერ სიმშვიდეს, ვინაიდან მას ვერ ურიგდება. იგი ცხოვრების ჭარიშხალმა ააფორიაქა და სურს მუდამ აფორიაქებული იყოს, ვინაიდან სხვა გზას ვერ ხედავს. მას ჰქონდა დაბადებიდანვე თანდაყოლილი კარგი თვისებები, კეთილშობილი მიდრეკილება, ნიჭი, მოწოდება, მაგრამ ყველაფერი წაართვეს. ვინ იყო ამაში დამნაშავე? რომანი ბრალსა სდებს თვითმპყრობელურ-ბატონყმურ სინამდვილეს და ამაშია მისი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა.

სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ „ჩვენი დროის გმირი" რუსულ ლიტერატურაში მკვიდრ საფუძველს უყრის მამხილებელ ლიტერატურას, რომელიც ასე განვითარდა 50-იან და 60-იან წლებში. ეს იყო რომანტიკულ-რეალისტური რომანი, რომელმაც რუსულ ლიტერატურაში მთელი ეპოქა შექმნა.

მსგავსად დიდი რომანტიკოსებისა, ლერმონტოვმა ზოგადკაცობრიულ იდეებს უძღვნა გენიალური პოემა „დემონი". პოეტური სიძლიერის მხრივ ამ პოემის გვერდით უნდა მოვიხსენიოთ „სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე", რომელიც მდიდარი რუსული ფოლკლორული მასალის ოსტატურ გამოყენებას წარმოადგენს, „ბოიარინი ორშა" და „მწირი".

კავკასიის ხალხის ბრძოლას მეფის დამპყრობელი პოლიტიკის წინააღმდეგ ლერმონტოვმა უძღვნა პოემა „იზმაილ ბეი".

„იზმაილ ბეი" ტიპიური რომანტიკული პოემაა. ეგზოტიკური მიდრეკილება ჩანს ამ პოემაში ისევე, როგორც ბაირონის აღმოსავლურ პოემებში, მაგრამ მათ შორის,

არსებითად, საერთო არაფერია. „მოგესალმები, კავკასიავ ქედებჭაღარავ“, „რა რიგ მიყვარდა კავკასიავ, ლაღო ბუნებავ, შენი შვილების მეომრული ზნე-ჩვეულება“ — ეს ლირიკული სიმღერები მკვეთრად ამჟღავნებენ ლერმონტოვის სიყვარულს კავკასიისადმი. პოემის მთელი სიუჟეტი ისეა გაშლილი, რომ იგი რელიეფურად გვიხატავს ავტორის მისწრაფებას — თანაუგრძნოს მთიელთა უთანასწორო ბრძოლას თვითმპყრობელური მონარქიის კოლონიზატორულ-დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ, მის გადამწვარ აულებს, კავკასიის ხალხს.

ეს თანაგრძნობა და სიმპათიები პოემის განუყრელი ნაწილია თავიდან ბოლომდე. დრამატიზმს აძლიერებს ორმხრივი წინააღმდეგობის რკალი — გარეგანი და შინაგანი. პირველი რთულია და ტრაგიზმით სავსე, არანაკლებია მეორეც, ხოლო პოემის ცენტრალური გმირი იზმაილი რომანტიკული ფერებით არის დახატული: „თუმც უცოდველმა, მან დაიწყო ცხოვრება თვისი, როგორც მრავალნი ამთავრებენ: დანაშაულით“. მისი დაბადებაც და აღსასრულიც მთიელთა ზნე-ჩვეულების დარღვევა იყო. რუსეთში აღზრდილს, ჩერქეზთა ადათებს დიდხანს მოშორებულს, მას, მართალია, გულწრფელად სტანჯავდა თავისი სამშობლოს ბედი, მაგრამ ახალ კულტურას მაინც თავისი გავლენა მოეხდინა მის არსებაზე. თითქოს ეს არ არის მიზეზი განხეთქილებისა. ამის შესახებ ჩვენ მხოლოდ პოემის ფინალში ვგებულობთ, როცა გაბოროტებული როსლამბეგი ჰკლავს თავის ძმას იზმაილს და მოკლულს უპოვეს „ოქროსფერი ზილფი ქალისა“, „თეთრი ჯვარი ზოლებიან ლენტით შებმული“, როცა გამომჟღავნდა რომ იზმაილი „რჯულის მოღალატეა“, რომელსაც „საფლავს არ გაუთხრის მაჰმადიანი“.

და, ბოლოს, როცა პოეტი მთიელთა გულისწყრომას გამოხატავს სიტყვებით — «Пусть кончит жизнь, как начал — одинок» — ეს მარტოობა, განდგომილება და განდევნა ბაირონისტული პოეზიის ფილოსოფიური წყარო, პესიმიზმის საფუძველი და არსებითი ნიშანი იყო. ამას მიიჩნევდნენ საბუთად „იზმაილ ბეი“ დაეკავშირებინათ ბაირონის პოემებთან და მათ შორის განსხვა-

ვებაზე არაფერი ეთქვათ; თითქოს შემთხვევითი არ იყო შემდეგი ფაქტიც: ამ სამნაწილიან პოემას ლერმონტოვმა საჭი ეპიგრაფი წაუმძღვარა და აქედან ორი ეკუთვნოდა ბაირონს: პირველ ნაწილს ბაირონის „გიაურიდან“, მეორე ნაწილს ვალტერ სკოტის პოემიდან „მარმიონი“ და მესამე ნაწილს ბაირონის პოემიდან „ლარა“. ბაირონი თვით პოემის ტექსტშიც იხსენიება. იგი დაწერილია 1832 წელს, როცა პოეტი 18 წლის ახალგაზრდა იყო. ამ ფაქტების მიუხედავად, პოემა „იზმაილ ბეი“ სავსებით დამოუკიდებელი, ორიგინალური ნაწარმოებია. ეს პოემა ისე ძლიერია, რომ მის შესახებ ზოგიერთი რუსი კრიტიკოსი ასეთ აზრს გამოთქვამდა: „იზმაილ ბეი“ ლიტერატურულად აჭარბებსო ბაირონის აღმოსავლურ პოემას და მიცკევიჩის „კონრად ვალენროდს“.

ჟანრობრივად ლერმონტოვი მრავალმხრივი შემოქმედია. ახალგაზრდობიდანვე დაეწაფა იგი დრამატურგიას და დაგვიტოვა ისეთი დრამები, როგორიცაა „ესპანელები“, „ორი ძმა“, „უცნაური კაცი“, «Menschen und Leidenschaften» და „მასკარადი“. ზოგიერთი მათგანი თავისუფლების იდეებით სუნთქავს. ნაწილი კი მთლიანად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. საგულისხმოა, რომ ჭაბუკობაში დაწერილი ეს დრამები (როგორი მსგავსებაც არ უნდა ვიპოვოთ შექსპირის, შილერისა და სხვა დრამატურგებისა), მის ავტორს მაინც ამხელენ, როგორც დრამის დიდ შემოქმედს.

ლერმონტოვის დრამებზე აღბეჭდილია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მოსკოვის თეატრის გავლენა.

მოსკოვის თეატრს, რომელიც დაკავშირებულია მიხეილ მედოკსის, თედორე კოკოშკინის, რუსული თეატრალური კულტურის კორიფეების შჩეპკინისა და მოჩალოვის სახელებთან, ლერმონტოვი ახლო იცნობდა. ერთერთ წერილში, 1827 წელს, ლერმონტოვი სწერდა თავის ნათესავ მარიამ შან-გირეის: „... მე ვიყავი თეატრში, სადაც ვნახე ოპერა „უჩინარი“, სწორედ ის, რომელიც მოსკოვში

ვნახე 8 წლის წინათ"*. 1827 წელს ლერმონტოვი 13 წლის ახალგაზრდა იყო. ამგვარად, მას 5—6 წლის ბავშვს პირველად უნახავს თეატრი და ისეთი დიდი შთაბეჭდილება დარჩენია, რომ კიდეც დამახსოვრებია.

მოსკოვის უნივერსიტეტის პანსიონში შესვლამ, 1828 წელს, ლერმონტოვი მჭიდროდ დააკავშირა თეატრთან. მოსკოვის თეატრი ამ დროს ახლო კავშირში იყო უნივერსიტეტის პროფესორებთან და სტუდენტებთან. შჩეპკინი და მოჩალოვი იყვნენ მიზეზი ამ დაახლოებისა. მათი თამაში, როლების გაგება, აქტიორული ოსტატობა, შილერის ტრაგედიები უნივერსიტეტის პროფესურისა და სტუდენტების მხურვალე მსჯელობის საგნად იქცეოდნენ ხოლმე. ცნობილია ბელინსკის წერილი მოჩალოვზე — „ჰამლეტი, შექსპირის დრამა და მოჩალოვი ჰამლეტის როლში". ეს წერილი დაწერა 1838 წელს, იმასთან დაკავშირებით, რომ 1837 წლის 22 იანვარს მოჩალოვი პირველად გამოვიდა ჰამლეტის როლში. უფრო ადრეც, ლერმონტოვის სტუდენტობაში, მოსკოვის თეატრი უკვე ბრწყინავდა შჩეპკინისა და მოჩალოვის გენიალური აქტიორული თამაშით. ორივე მსახიობი აღიარებული იყო სცენის ვირტუოზებად. პეტერბურგში ასევე ბრწყინავდა დიდი მსახიობი კარატიგინი. ზოგიერთი მას მოჩალოვზე მაღლა აყენებდა, უმრავლესობა კი, შჩეპკინთან ერთად, მოჩალოვს აქტიორული თამაშის მიუწვდომელ მწვერვალად თვლიდა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ლერმონტოვის წერილში მ. შან-გირეისადმი, 1829 წელს, პირდაპირ არის ნათქვამი: „... მოჩალოვი ბევრ ადგილზე აჭარბებს კარატიგინს" (გვ. 484).

თუ რამდენად ღრმად ერკვეოდა ახალგაზრდა ლერმონტოვი თეატრისა და დრამატურგიის საკითხებში, ნათლად მოწმობს შემდეგი ფაქტიც: როგორც ცნობილია, მოჩალოვის დროს შექსპირის „ჰამლეტის" ინგლისურიდან თარგმანი რუსულ ენაზე არ არსებობდა. იყო მხოლოდ ფრანგულიდან თარგმანი ვისკოვატოვისა, ისიც შემცირებული და

* М. Ю. Лермонтов, Полное собрание сочинений, т. IV, 1940 г., стр. 481.

არაზუსტი. ლერმონტოვი ამის გამო გულისტკივილით სწერდა თავის ერთ-ერთ ნათესავს მ. ა. შან-გირეის, რომ „... ამ თარგმანებს, სამწუხაროდ, თამაშობენ ჩვენს თეატრში"*. ამგვარად, ლერმონტოვი ბავშვობიდანვე დაუკავშირდა თეატრს, რამაც დიდი გავლენა იქონია მომავალ პოეტზე. ისიც ცნობილია, რომ დრამატული თხზულების შექმნის პირველი ცდა იყო პუშკინის პოემის „ბოშების" ოპერისათვის ლიბრეტოდ გადაკეთება. პატარა ნაწყვეტში, რომელიც ჩვენამდე არის მოღწეული**, შენარჩუნებულია სახელი ზემფირა და სიუჟეტი უცვლელად არის დატოვებული. გარდა ამისა, დარჩენილია ლერმონტოვის მიერ დაწერილი რამდენიმე სიუჟეტი დრამებისათვის. მაგალითად, ყაჩაღი მამისა და დის, ახალგაზრდა მხედრის ტრაგედია, აგრეთვე სიუჟეტი ტრაგედიისა, რისთვისაც გამოყენებული უნდა ყოფილიყო შატობრიანის ცნობილი რომანი „ატალა", ასევე ჩანაწერები ტრაგედიისა „მარია" და მრავალი სხვა. პირველი დიდი სერიოზული დრამატული თხზულება იყო „ესპანელები", რომელიც დაიწერა 1830 წელს.

არსებობს მოსაზრება, რომ ლერმონტოვის წინაპარი იყო ესპანელი ჰერცოგი ლერმი, რომელიც შემდეგ შოტლანდიაში გაიქცა. არ ვიცით, რამდენად მართალია ეს. შესაძლებელია თავის დროზე ამ მოსაზრებამ მიიყვანა პოეტი იმ დასკვნამდე, რომ ტრაგედიის სიუჟეტი გაეშალა ესპანეთის ცხოვრებიდან. ამ ტრაგედიის პირველი და მეორე აქტი ზოგიერთი ადგილით ემსგავსება შილერის „ყაჩაღების", აგრეთვე „ვერაგობა და სიყვარულის" სცენებს. სიუჟეტის მხრივ იგრძნობა ლესინგის „ნათან ბრძენის" ზოგიერთი განწყობილება. შილერის ტრაგედიები ლერმონტოვმა მოსკოვის თეატრის სცენაზე ნახა მოჩალოვის განმაცვიფრებელი შესრულებით. სიუჟეტში გვხვდება პოეტის ოჯახური ტრაგედიის ნაცნობი სცენებიც.

თავისი ხასიათით „ესპანელები" მძაფრი სოციალური

* М. Ю. Лермонтов, Полное собрание сочинений, т. IV, 1940 г., стр. 485.

** М. Ю. Лермонтов, Полное собрание сочинений, т. III, 1940 г., стр. 481—482.

თხზულებაა. ახალგაზრდა პოეტი ადამიანთა უთანასწორობის საკმაოდ მკაცრ სურათებს გვიხატავს და ამავე დროს ამხელს რელიგიის მსახურთა სიყალბეს. უთვისტომო, უსახლკარო ახალგაზრდა ფერნანდოს უყვარს ესპანელი თავადის დონ-ალვარეცის ქალიშვილი ემილია. მამა, რომელიც ამაყობს თავისი გვაროვნული წარმოშობით და ქონებით, ფერნანდოს უკრძალავს ამ სიყვარულს. იგი ამტკიცებს, რომ ცოლქმრობა უბედურებაა, როცა ქმარსა და ცოლს შორის ქონებრივი უთანასწორობაა. ასეთივე აზრისაა მისი მეუღლე, ემილიას დედინაცვალი, დონა მარია. ფერნანდო დასცინის ამ შეხედულებას. იგი გრძნობს, რომ თავისი არსებით მაღლა დგას მთელი ამ ალვარეცების აცლა-დიდებაზე. და რატომ უნდა იყოს მათი მონა? იგი ვერ ურიგდება მონობას. მას ურჩევნია შიმშილით მოკვდეს, ვიდრე აიტანოს მაღალი წრისაგან დამცირება. ტრაგედია ამხელს პატრი სორინის შინაგან გახრწნილებას: იგი დამნაშავე უფროა, ვიდრე „სულიერი მამა" და „ღვთის მსახური". სორინი არაფერს ერიდება, არც ფულს, არც მკვლელობას, არც მოტაცებას, ოღონდ ემილია, რომელიც მას უყვარს, ხელში ჩაიგდოს. სორინისათვის, ისევე როგორც დონ-ალვარეცისა და დონა მარიასათვის, ოქრო, ფული ყველაფერია. ისინი მზად არიან ყოველგვარი დანაშაულის ჩასადენად, ვინაიდან სწამთ, რომ ფულით შეიძენენ ინდულგენციებს და ღმერთი დანაშაულს აპატიებს. „ესპანელებში" მთელი რიგი ოსტატური სცენებია, რომლებიც მკვეთრად გვიხატავენ სოციალური უთანასწორობის საშინელებას. ეს პიესა დიდი შემოქმედებითი გზნებით არის დაწერილი და თავიდან ბოლომდე რომანტიკულია.

1830 წელს დაიწერა ლერმონტოვის მეორე დრამაც «Menschen und Leidenschaften» („ადამიანები და ვნებანი"). ნაწარმოებში 16 წლის ახალგაზრდა ლერმონტოვი ბრძოლას უცხადებს ბატონყმობას და გვიხატავს მის მკაცრ სინამდვილეს. აქაც ვხვდებით ლერმონტოვის ავტობიოგრაფიიდან ნაცნობ სურათებს. მოხუცი მემამულე ქალის მართა ივანოვნას პორტრეტში, მის სისასტიკეში ძნელი არ არის გამოვიცნოთ პოეტის დიდედა ელისაბედ არსენიევა, ხოლო მართას შვილიშვილის — იურის

პიროვნებაში, მის პროგრესულ შეხედულებებში — თვით ლერმონტოვი. ამ დრამაში ასახულია ბატონყმური სინამდვილე მთელი თავისი სიმკაცრით, ბარბაროსობით, რასაც პოეტი ბრძოლას უცხადებს, და წამოჭრილია გლეხთა საკითხიც. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ეს ნაწარმოები ბატონყმური წყობილების არანაკლები მკაცრი კრიტიკაა, ვიდრე ახალგაზრდა ბელინსკის „დიმიტრი კალინინი". ამ პიესაში უკვე აღარ არის ეგზოტიკა, მთელი მასალა აღებულია რუსეთის ცხოვრებიდან.

ერთი წლის შემდეგ ლერმონტოვმა დაწერა დრამა „უცნაური კაცი", რომელშიაც კიდევ უფრო მკვეთრად აისახა ბატონყმური წყობილების კრიტიკა და პროტესტი მის წინააღმდეგ. ამ დრამის წინასიტყვაობაში ლერმონტოვი მიუთითებს, რომ მის მიერ ეს ამბავი აღებულია სინამდვილიდან. „პიროვნებები, რომლებიც მე გამოვხატე, ყველანი აღებულია ბუნებიდან, — წერს ლერმონტოვი, — და ვისურვებდი, რომ ისინი ყოფილიყვნენ გამოცნობილნი..."* თუ ასეთი მსგავსების პოვნა შეიძლებოდა ლიტერატურულ ტიპებსა და რეალურად არსებულ ადამიანებს შორის, ცხადია, ეს ყველაზე მეტად მიუთითებდა „უცნაური კაცის" მჭიდრო კავშირზე სინამდვილის კონკრეტულ ფაქტებთან. როგორც ვხედავთ, დიდია ამ დრამის სოციალური დიაპაზონი და ასევე დიდია მისი მნიშვნელობა რუსული ლიტერატურის ისტორიის შესწავლისათვის. აქ, ამ „უცნაურ კაცში", საკმაო სიძლიერით გაისმის თავისუფლების განმადიდებელი სიტყვები.

ლერმონტოვის დრამატულ თხზულებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს „მასკარადს". 1835 წელს მეფის ცენზურამ აკრძალა მისი დადგმა. 1836 წელსაც იგივე განმეორდა. მესამე რედაქცია კი ბენკენდორფმა არ გაუშვა. მარტო აქედან გასაგები ხდება ამ დრამის შინაარსი. „მასკარადი" ამხელს არისტოკრატიას, მის ზნედაცემულობას, გარყვნილებას, უშინაარსო, ფუჭსავატურ ცხოვრებას. ეს ნაწარმოები გასული საუკუნის 30—40-იან

---

* М. Ю. Лермонтов, Полное собрание сочинений, т. III, 1940 г., стр. 220.

წლების თავადაზნაურული საზოგადოების მძლავრი კრიტიკაა. ინტრიგები, კარტის თამაში, განუწყვეტელი ქეიფი, გარყვნილება, პირფერობა, სხვისი ძარცვითა და გათელვით პირადი ბედნიერების მიღწევა — აი „მაღალი საზოგადოების“ სურათი, რომელიც ლერმონტოვმა დაგვიხატა „მასკარადში“. მთელი ამ არისტოკრატიის ფილოსოფიას გამოხატავს პიესის მთავარი მოქმედი პირის არბენინის მეგობარი კაზარინი, რომელიც ამბობს:

«Что ни толкуй Вольтер или Декарт,
Мир для меня — колода карт,
Жизнь — банк, рок мечет, я играю,
И правила игры я к людям применяю»*.

„მასკარადი“ შევიდა რუსული კლასიკური დრამატურგიის იმ ოქროს ფონდში, რომელმაც შეადგინა მყარი რეპერტუარი. „მასკარადი“ დღესაც წარმატებით იდგმება საბჭოთა კავშირის თეატრების სცენაზე.

ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ პროტესტი ისმის დრამაშიც „ორი ძმა“, რომელიც ლერმონტოვმა 1836 წელს დაწერა. პიესის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია თავადი ლიგოვსკი, რომელიც ყოველივეს ფულითა და გვაროვნული წარჩინებით ზომავს. ლიგოვსკის აქვს ორი მამული და 3000 უმა გლეხის მფლობელია. ფულის ძალა, ქონების ძალა მის თვალში ფეტიშად არის ქცეული. ყველა მას უნდა დაემონოს. თვითონაც ამ ფულში ხედავს თავის ძალას. იგი მზად არის ქალის თვითეულ ხვევნაში გადაიხადოს ათი ათასი მანეთი. ამ ფულის ძალას ხედავს იური რადინიც. იგი ტყუილად კი არ ამბობს: „ბატონი მილიონი — აქ ყველაფერია“.

* *

ლერმონტოვის მხატვრული შემოქმედება სუნთქავს მხურვალე პატრიოტიზმით. კერძოდ, „ბოროდინოში“ პოეტმა უდიდესი ძალით უმღერა რუსი ხალხის გმირობასა და

* М. Ю. Лермонтов, Полное собрание сочинений, т. III, 1940 г., стр. 220.

სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს. ეს ნაწარმოები რუსული პატრიოტული ლირიკის ერთ-ერთ უმშვენიერეს ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. დიდ პატრიოტს სძულდა მშობელი ქვეყნის მტრები, განსაკუთრებით გერმანელი დამპყრობნი და მათი აგრესიული მისწრაფებანი — დაემონებინათ სხვა ხალხები. სწორედ ამიტომ ზნეობრივ პოემაში „საშკა“ ლერმონტოვმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა გერმანული ქედმაღლობა, მისი უსაფუძვლობა და სასაცილო ხასიათი, თუმცა ამ სასაცილო ქედმაღლობამ ბევრ ხალხს უდიდესი უბედურებანი თავს დაატეხა. დააკვირდით რა ძლიერად ისმის დაუმთავრებელი პოემის ეს ადგილი:

«И чем же немец лучше славянина?
Не тем ли, что куда его судьбина
Ни кинет, он везде себе найдет
Отчизну и картофель?.. Вот народ:
И без таланта правит и за деньги служит,
Всех давит сам, а бьют его — не тужит!
Вот племя: всякий чорт у них барон!
И уж профессор — каждый их сапожник!

Кричит, шумит... но что ж? — он не рожден
Под нашим небом; наша степь святая
В его глазах бездушных — степь простая,
Без памятников славных, без следов,
Где б мог прочесть он повесть тех веков,
Которые, с их грозными делами,
Ужасны забвения волнами...»*.

ამ პატრიოტულ ნაკადს აძლიერებდა სოციალური უსამართლობის მძიმე შედეგთა მხატვრული გადმოცემა. სწორედ ამიტომ ლერმონტოვის შემოქმედების მძაფრი სოციალური შინაარსი, ნიკოლოზ პირველის დროინდელი საზოგადოების, ბატონყმური წყობილების კრიტიკა დიდ რუს პოეტს გვი-

* М. Ю. Лермонтов, Полное собрание сочинений, т. II, стр. 424—425.

ხატავენ როგორც ძალადობის, ექსპლოატაციის, სოციალური უთანასწორობის შეუპოვარ მამხილებელს, გვიხატავენ ლერმონტოვს, რომელიც იდეურად ერთი იყო პოეზიაში, პროზაში და დრამატურგიაში. იდეურმა თანმიმდევრობამ ლიტერატურულ ჟანრებშიც ლერმონტოვის შემოქმედებას მთლიანი და დასრულებული სახე მისცა. ეს სახე რომანტიზმი იყო.

* *

დოსტოევსკიმ სადღაც შენიშნა, რომ რუსეთში არასოდეს არავითარი რომანტიზმი არ ყოფილაო. იგი შეეცადა დაემტკიცებინა თავისი დებულების მართებულობა: რუსი, უპირველეს ყოვლისა, სინამდვილის ადამიანია, ხოლო დანარჩენი მისთვის შემთხვევითია, — ასეთია დოსტოევსკის არგუმენტაცია. ამ იდეალისტური თვალსაზრისის კრიტიკა არ წარმოადგენს რთულ ამოცანას. ანდრეევიჩმა თავის წიგნში «Опыт философии русской литературы» ვაკრიტიკა დოსტოევსკის აღნიშნული დებულება. მაგრამ მან წამოაყენა აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთში რომანტიზმი, როგორც „ფილოსოფიური ან საზოგადოებრივი მოძრაობა“, თითქოს არ არსებობდა, რადგან რუსულ რომანტიზმს რუსული პსევდო-კლასიციზმის წინააღმდეგ არ დაუწყია ოფიციალური საზოგადოებრივი ბრძოლა და არ წამოუყენებია ხელოვნების გარკვეული პრინციპები. „ვაგრამ რომანტიზმს, როგორც ფილოსოფიურ ან საზოგადებრივ მოძრაობას, ჩვენ, რუსები, თითქმის არ ვიცნობდით“*,—წერს ანდრეევიჩი. „ჩვენთვის, — განაგრძობს ქვევით ანდრეევიჩი, — რომანტიზმი უპირველეს ყოვლისა სკოლაა, დიდებული ლიტერატურული სკოლა“**. ცხადია, არც დოსტოევსკის დებულება, რომელიც ან-

---

* Андреевич, «Опыт философии русской литературы», გვ. 60, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, ხაზი ანდრეევიჩისაა.

დრეევიჩმა გააკრიტიკა, და არც თვით ანდრეევიჩის დებულება არ შეეფერება სინამდვილეს. მართალია, რუსულ რომანტიზმს რუსული პსევდოკლასიციზმის წინააღმდეგ არ დაუწყია ისეთი ბრძოლა, როგორიც, ვთქვათ, გერმანიის ან საფრანგეთის რომანტიზმს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს რუსული რომანტიზმი არ იყო საზოგადოებრივი მოძრაობა. მართალია, ამ მოძრაობას არა ჰქონია ისეთი მწვავე ხასიათი, როგორც საფრანგეთში ან გერმანიაში, მაგრამ, თავისთავად, ის საზოგადოებრივი მოძრაობის გარკვეულ სახეს წარმოადგენდა. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ, ცხადია, არც ჩვენ და მით უმეტეს არც ანდრეევიჩს არ ექნებოდა უფლება ეწოდებინა მისთვის ლიტერატურული სკოლა. და რა უნდა იყოს ლიტერატურული სკოლა, თუ იგი გარკვეული საზოგადოებრივი მოძრაობის ანარეკლს არ წარმოადგენს? თუ მას არა აქვს თავისი სახელმძღვანელო პრინციპები, თუ იგი არ უპირისპირდება მეორე ძალას? განა ლომონოსოვის პოეზია ან ხერასკოვის ასე მძიმე ლექსი რაიმეთი მაინც უახლოვდება ლერმონტოვის პოეზიას? ცხადია, მათ შორის მხოლოდ იმდენია საერთო, რამდენიც ლეოპარდსა და რასინს შორის.

ეს განსხვავება კიდევ უფრო ხელშესახები ხდება, როცა ვეცნობით რომანტიზმის ფილოსოფიასთან ერთად მისი მხატვრული შთაგონების სპეციფიკას. თუ პსევდო-კლასიციზმი ანტიკურ საბერძნეთსა და რომს მიმართავდა, რომანტიკოსებმა შუა საუკუნეებს მიაშურეს. გარდა ამისა, რომანტიკული სკოლის სიმბოლოს წარმოადგენდა „ცისფერი ყვავილი", რომელიც ნოვალისის დაუმთავრებელ რომანში პირველად გამოჩნდა განსულიერებული სახით: ეს ყვავილი გერმანული რეაქციული რომანტიზმის იდეალად იქცა, იდეალად, სიყვარულსა და გატაცებას რომ აერთებდა. 29 წლის ასაკში 1801 წელს უდროოდ გარდაცვლილი ნოვალისი (ფრიდრიხ ფონ ჰარდენბერგი) გერმანულ რომანტიზმს მეტ-ნაკლებად უტოვებს რომანს „ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენს", რომელსაც მეგობრის სიკვდილის შემდეგ აქვეყნებს პოეტი და კრიტიკოსი ლუდვიგ ტიკი. იგი თვითონვე აწვდის მკითხველს ცნობას, თუ როგორ დამთავრდებო-

და ხსენებული ნაწარმოები, მისი ავტორი ასე მოულოდნელად რომ არ გასცლოდა სიცოცხლის კარიბჭეს. ნოვალისის რომანში, რეაქციული რომანტიკოსების მსგავსად, გაიდეალებულია შუა საუკუნეები. ოფტერდინგენი სიზმარში ხედავს ცისფერ ყვავილს, როგორც იდეალური სიკვარულის სიმბოლოს, და შემდეგ მას ველარ შორდება. ეს გატაცება მისტიკურ, ავადმყოფურ ხასიათს ატარებს და მთლიანად იდეალურში იძირება. „მე მხოლოდ იმაზე ვოცნებობ, — ამბობს ჰაინრიხი, — რომ ვიხილო ცისფერი ყვავილი. ის დაუცხრომლად იპყრობს ჩემს აზრებს, მე არ შემიძლია არც წერა, არც ფიქრი სხვა რამეზე. ამის მსგავსი მე არასოდეს არაფერი განმიცდია: თითქოს ყველაფერი წინანდელი იყო სიზმარი, ან თითქოს მე სიზმარში გადავსახლდი სხვა სამყაროში. იმ ქვეყანაში, რომელშიაც მე ვცხოვრობდი, არავინ არ დაიწყებდა ფიქრს ყვავილის შესახებ; ხოლო ყვავილისადმი მიმართულ ასეთ განსაკუთრებულ ვნებათა შესახებ მე არასოდეს არ მსმენია. კაცმა რომ თქვას, საიდან მოგვევლინა უცნობი? არც ერთ ჩვენთაგანს არასოდეს არ ეხილა ასეთი ადამიანი; არ ვიცი, მარტო მე რატომ ვიყავი მისი სიტყვებით ასე ელდაცემული; მას სხვებიც უსმენდნენ, მაგრამ არც ერთს არ მოსვლია ის, რაც მე დამემართა. სიტყვებითაც კი არ შემიძლია გადმოვცე ჩემი უცნაური მდგომარეობა. მე ხშირად მაქვს საუცხოო განცდები, და მხოლოდ მაშინ, როდესაც სავსებით ცხადად ვერ წარმოვიდგენ ყვავილს, მე ღრმა შეშფოთება მიპყრობს; ამას ვერავინ ვერ გაიგებს და არც შეუძლია გაიგოს. ასე ცხადად რომ არ შემეგრძნო ყოველივე, რაც ჩემში ხდებოდა, ასე გარკვევით რომ არ მეაზროვნა, ალბათ ჭკუაშეშლილად მომეჩვენებოდა ჩემი თავი; მე ნამდვილად უკეთესად ვიცი ყოველივე. გამიგონია, რომ ძველ დროში ცხოველები, ხეები და კლდეები ადამიანებს ესაუბრებოდნენ. ახლა მე ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ისინი ყოველ წუთს კვლავ ეშურებიან ჩემთან სალაპარაკოდ, და მეც თითქო ცხადად ვხედავ, რისი თქმაც მათ სურთ ჩემთვის. ალბათ ჯერ კიდევ ბევრია ისეთი სიტყვა, რომელთა აზრი მე არ მესმის. მე რომ ისინი უკეთ მცოდნოდა, უკეთესად შევიცნობდი მათ. წინათ მე

ცეკვა მიყვარდა, ახლა კი მუსიკის ჰანგებს ქვეშ ფიქრს ვამჯობინებ".*

აღტაცებით მთვრალი ჰაინრიხი იწყებს „ცისფერი ყვავილის" ძიებას და დედის თანხლებით მიემგზავრება აუგსბურგში. გზადაგზა ისინი შუა საუკუნეების ამბებს ისმენენ, ნახულობენ კოშკებს, შემდეგ კი აუგსბურგში გაეცნობიან მომღერალ კლინგსორს, რომლის ქალიშვილი მატილდა აღმოჩნდება სწორედ ის, ვისაც ოფტერდინგენის ავადმყოფური ფანტაზია ეძებდა და რომელიც მას „ცისფერი ყვავილის" სახით მოევლინა. ეს უკვე საკმარისი შეიქნა, რომ „ცისფერი ყვავილი" გადაქცეულიყო რომანტიკოსებისათვის სიყვარულის ემბლემად და იდეალად, ცისფერი კი არაამქვეყნიურად, ფერთა შორის ყველაზე მიმზიდველ და „პირველად ქმნილ ფერად". მოიგონეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი ლექსი, რომელშიაც გენიალური პოეტი უმანკო ხარკს უხდის რომანტიზმს ჰაეროვანი მელოდიით:

„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს,
სიყრმიდგან ვეტრფოდი.
და ახლაც, როს სისხლი
მაქვს გაცივებული,
ვფიცავ (მე) — არ ვეტრფო
არ ოდეს ფერსა სხვას.
თვალებში მშვენიერს
ვეტრფი მე ცისა ფერს;
მოსრული იგი ცით
გამოკრთის სიამით.
ფიქრი მე სანატრი
მიმიწევს ცისა ქედს,

* ვსარგებლობთ ზ. ვენგეროვასა და ვ. გიპიუსის რუსული თარგმანით, რომელიც შესულა წიგნში: «Хрестоматия по зарубежной литературе XIX века», часть I, 1955 г., стр. 37.

რომ ეშხით დამდნარი
შეეერთო ლურჯსა ფერს.
მოვკვდები — ვერ ვნახავ
ცრემლსა მე მშობლიურს, —
მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამაფრქვევს ცვარს ციურს!
სამარეს ჩემსა, როს
გარს ნისლი მოეცვას,
იგიცა შესწიროს
ციავმან ლურჯსა ცას"*.

ეს იყო ბარათაშვილის ერთ-ერთი უკანასკნელი ლექსი, რომელშიაც მან ასე ლირიკული ტონებით გამოხატა რომანტიკული იდეალი, თითქო იწინასწარმეტყველა მომავალი საშინელი ხვედრი, რომ ვერ იხილავდა მშობლიურ ცრემლს, მის ნაცვლად ლურჯი ცა დააფრქვევდა ციურ ცვარს და ამიტომ პოეტი თავის უკანასკნელ განძსაც კი მას სწირავდა. ეს ლოცვა-კურთხევის მსგავსი სიტყვები, მიმართულნი ციფერისადმი, არა მარტო ბარათაშვილს ახასიათებს, არამედ, თითქმის ყველა რომანტიკოსს. ისინი მართლა მიიჩნევდნენ ცისფერს არა ამქვეყნიურ, პირველად ქმნილ ფერად, მართლა ფიცულობდნენ არ შეტრფოდნენ სხვა ფერს, მართლა მიაჩნდათ, რომ ლურჯი ფერი ციდ მოსულია, სიამით გამოკრთის, და მზად იყვნენ მას შერთვოდნენ, როგორც ამას ცდილობდა მისტიკით გატაცებული ნოვალისის გმირი. იგი თავდავიწყებამდე ეძიებდა, ეტრფოდა, ეალერსებოდა ცისფერს, როგორც თავისი სიყვარულის ერთადერთ საგანს. ეს ფერი ხორციშესხმულ რეალობად იქცა, სატრფოს სახე მიიღო და ნოვალისის ჰაინრიხიც მთელი არსებით შეიყვარებს მატილდას, სთხოვს მას დაუკრას გიტარაზე, შეყვარებულები ეხვევიან ერთმანეთს, კლინგსორსაკ მოსწონს ოფტერდინგენი და აღტაცებულია ყმაწვილის ნაზი სიყვარულით მატილდასადმი. ეს დღე ჰაინრიხს მთელი თავისი სიცოცხლის ყველაზე ბედნიერ დღედ მიაჩნია და იგი გაოგნებული ეუბნება თავის თავს: „მე სულში ისეთივე გრძნო-

* ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსები, 1945 წ., გვ. 89—90, ი. გრიშაშვილის რედაქციით.

ბა მაქვს, როგორიც მქონდა სიზმარში ცისფერი ყვავილის ხილვის დროს. ეს რა უცნაური კავშირია მატილდასა და ამ ყვავილს შორის? ის სახე, რომელიც ჩემსკენ იხრებოდა ყვავილის გაშლილი ბუტკოდან, იყო მატილდას ციური სახე, და მე ახლა ვიგონებ, რომ ის სახე ვნახე იმ წიგნშიც. მაგრამ მასში მყოფი რატომ არ ეკარებოდა ჩემს გულს? ო, იგი სიმღერის განსახიერებული სულია, თავისი მამის ღირსეული ქალიშვილია. იგი გარდაქმნის ჩემს ცხოვრებას მუსიკად, გახდება ჩემს სულად, ჩემი წმინდა მგზნებარების მფარველად. როგორ სამარადისო ერთგულებას ვგრძნობ მე საკუთარ თავში! მე დაბადებული ვარ მხოლოდ იმისათვის, რომ მას ვეთაყვანო, მას ვემსახურო, ვიფიქრო მასზე და შევიგრძნო იგი. საჭიროა განუყოფლად მთელი სიცოცხლე მისი ჰვრეტისა და მისდამი თაყვანისათვის. და ნუთუ მე ვარ ის სვებედნიერი, ვისი სულიც ბედავს გახდეს მისი სულის გამოძახილად? შემთხვევით არ შევხვედრივარ მე მას ჩემი მოგზაურობის დასასრულს და არც ის იყო შემთხვევითი, რომ სანეტარო ზეიმმა აღნიშნა ჩემი ცხოვრების უდიდესი წამი, სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო: მისი სიახლოვე ყველაფერს ზეიმად აქცევს"*.

და ცისფერი ყვავილის რ ე ა ლ ო ბ ა დ გადაქცევამ ზეიმის განწყობილება დაასახლა ჰაინრიხის სულში. იგი ხედავს ცისკრის მაუწყებელ აღმოსავლეთის ნათელ ზოლს, მიმართავს რა ვარსკვლავთა გუნდს: „თქვენ, მარადიულო ვარსკვლავებო, მშვიდნო მგზავრებო, თქვენ გიხმობთ ჩემი ფიცის მოწმეებად. მე ვიცოცხლებ მატილდასათვის, და სამუდამო ერთგულება შეაკავშირებს ჩემს გულს მის გულთან. ჩემთვისაც დგება მარადიული დღის დილა"**.

ისევ იწყება სიზმრები, ისევ ცხადდება მატილდა, ისევ ალერსი, სამუდამო ერთგულების ფიცი...

რომანის სიუჟეტის მიხედვით, მ ა ტ ი ლ დ ა შემდეგ გარდაიცვლება, მაგრამ ჰ ა ი ნ რ ი ხ ს აღარ შორდება მისი იდუმალი ხმა... ჰაინრიხი კვლავ აგრძელებს ცისფერი ყვავილის ძიებას.

---

* აქაც იგივე რუსული თარგმანით ვსარგებლობთ.

** იქვე.

ლიუდვიგ ტიკმა აღნიშნა, რომ საბოლოოდ რომანი უნდა დამთავრებულიყო ჰაინრიხის მიერ ცისფერი ყვავილის პოვნით.

მაგრამ ის, რაც ნოვალისმა შეჰქმნა, მსოფლიო ლიტერატურაში რომანტიზმის განვითარებისათვის იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ ცისფერი ყვავილი, როგორც აღვნიშნეთ, მის ემბლემადაც კი გადაიქცა. ამ ემბლემას ყველა რომანტიკოსმა თავისი ხარკი მიუძღვნა, სულ ერთია, ნოვალისივით განადიდებდა თუ არა შუასაუკუნეებს ან უარყოფდა ფეოდალურ ყოფას, საერთოდ, რეალური ქვეყნიდან გაქცევით. ორივე შემთხვევაში რომანტიზმი ფეოდალური არისტოკრატიის ისტორიული ყოფის გამოძახილი იყო და ამდენად ლიტერატურაში მან შეინარჩუნა ამ კლასთან დაკავშირებული სახელი.

რომანტიზმი ჩვენ უკვე დავახასიათეთ, როგორც ფეოდალური არისტოკრატიის ლიტერატურა, რომელიც წარმოიშვა ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობისათვის ბრძოლის პერიოდში. ამიტომ ამ ლიტერატურაში თავისი გამოძახილი უნდა ეპოვა იმ კლასობრივ ტკივილებს, რომლებითაც ხასიათდებოდა და ისტორიის ავანსცენიდან მიმავალი კლასი — ფეოდალური არისტოკრატია. ერთი მხრით, არსებობისადმი მისწრაფება, ზრუნვა ცხოვრებისათვის, ბედნიერებისათვის, ხოლო, მეორე მხრით, მკაცრი სინამდვილე, რომელიც სამარეს უთხრიდა ამ იდეებს, — ასეთი იყო ფეოდალური არისტოკრატიის საზოგადოებრივი განწყობილება რომანტიზმის ეპოქაში. ამ განწყობილებამ ყველა რომანტიკოსის მხატვრულ შემოქმედებაში თავისი სახე ჰპოვა. სწორედ ამიტომ იყო, რომ მაქსიმ გორკი ერთმანეთისაგან ასხვავებდა პასიურ და აქტიურ რომანტიზმს. პირველი რეაქციული იყო, მხოლოდ წარსულს უყურებდა, მეორე წინ იხედებოდა, მომავლისათვის ზრუნვის ფილოსოფიას ქადაგებდა. პირველი სინამდვილეს თითქმის სულ მოწყვეტილი იყო, მეორე კი მასში აქტიურად ჩარევას მოითხოვდა. ამდენად, აქტიურ რომანტიზმს პროგრესული იდეები ახასიათებდა. როგორც, მაგალითად, ბაირონის, პუშკინის, ლერმონტოვის, ჰიუგოს, ბარათაშვილის შემოქმედებას. როგორც ვხე-

დავთ, ლერმონტოვისა და ბარათაშვილის პოეზია ამ მხრით მსოფლიო ლიტერატურის გამოჩენილი მწერლების გვერდით დგას. მათ შემოქმედებაშიც ერთ-ერთი მთავარი საკითხია კონფლიქტი იდეალსა და სინამდვილეს შორის, რაც თავისებური სახით გამოიხატა ბარათაშვილისა და ლერმონტოვის პოეზიაში.

რომანტიკოსები, როგორც ცნობილია, გაურბოდნენ ობიექტურ რეალობას, ცდილობდნენ გაქცეოდნენ სინამდვილის მკაცრ ლოგიკას და თავი შეეფარებინათ იქ, სადაც ვერ მისწვდებოდა პრაქტიკული ცხოვრების ფილოსოფია. ასეთი ნავთსაყუდელი მათ შემოქმედებაში გამოისახა ირეალური ქვეყნის სახით. ლერმონტოვმა ჯერ კიდევ ბავშვობისდროინდელ ერთ-ერთ ლექსში შენიშნა:

> «Моя душа, я помню с детских лет
> Чудесного искала».*

ამ უცნაური ქვეყნისაკენ მიისწრაფოდა არა მარტო ლერმონტოვი, არამედ, ყველა რომანტიკოსი, და მათ შორის არანაკლები სიძლიერით ნიკოლოზ ბარათაშვილი. მაგრამ ცნობილია, რომ, როგორც დასავლეთ ევროპის რომანტიკოსებმა, ისე ვერც ლერმონტოვმა და ბარათაშვილმა ვერაფერი ჰპოვეს ამ იდეალური ქვეყნის ძიებაში. ეს იყო მათი იდეალისტური ფილოსოფიის კრახიც, იმ იდეალიზმისა, რომელიც სამყაროს უცქერის როგორც „აბსოლუტური იდეის", „მსოფლიო სულის", „ცნობიერების" განსახიერებას. რაკი ვერც ერთი, ვერც მეორე და ვერც მესამე ვერ ნახეს, ამიტომ თვით მათი პოეზიიდან გაისმა ამ იდეალური ქვეყნისადმი უკმაყოფილების, მასთან შეურიგებლობის ჰანგი. ლერმონტოვის პირველი პერიოდის მხატვრული შემოქმედება, გადაჭრით შეიძლება ითქვას, მხოლოდ ამ იდეალური ქვეყნის ძიებაა. მაგრამ მისი პოეზიის თვით ამავე პერიოდიდან ისმის ზეციურ სინამდვილესთან კონფლიქტის ჰანგი.

---

* М. Ю. Лермонтов, «Избр. стих.». 1933 г., стр. 23.

„Молитва“-ში ლერმონტოვი „ყოვლისშემძლეს“ სთხოვს, ნუ გაამტყუნებს მას, რადგან უყვარს მიწიერი სინამდვილე მთელი თავისი საშინელებით:

„ყოვლისშემძლეო, ბრალს ნუ დამწამებ
და ნურც დამტანჯავ, გემუდარები,
რადგანაც მიყვარს სამარის მიწის
წყვდიადი თავის საშინელებით“*.

აქ გარკვევით ისმის მიწიერ სინამდვილესთან დაბრუნების სიმღერა. თუ ამავე წელს დაწერილ ერთერთ ლექსში ლერმონტოვი სავსებით უარყოფს მიწიერ სინამდვილეს და მეგობრულად უწვდის ხელს ზეციურს, „Молитва“-ში ეს იდეური ხაზი, როგორც ვნახეთ, გადაზნექილია მიწიერისაკენ. მთელი რომანტიზმის, როგორც ერთიანი ლიტერატურული სკოლისათვის, ამ ორი მომენტის დაპირისპირება ტიპიურ სიმბოლოდ რჩება, ხოლო ბრძოლა ამ ორი მომენტის ირგვლივ თავისებური ფორმითა და შინაარსით ვლინდება ყოველი რომანტიკოსის მხატვრულ აზროვნებაში. მაგრამ იქ, სადაც რომანტიკოსი პოეტი არღვევს ლეოპარდისებური პასიურობის რკალებს, სადაც მებრძოლი განწყობილება იკავებს სრული დავრდომილობისა და უძლურების გაცრეცილ ადგილს, — მიწიერი სინამდვილის ნიღილისტური უარყოფა იხსნება და ეს სინამდვილე იქცევა, როგორც ობიექტი, რომელიც ზრუნვის საგნად უნდა იქცეს. ლერმონტოვის პოეზიის განვითარების ხაზი მიწიერი სინამდვილის აბსოლუტური უარყოფიდან ამავე სინამდვილისათვის ზრუნვას უბრუნდება. ამიტომ უერთდება ლერმონტოვი რომანტიკოსების იმ პლეადას, რომელიც, ლეოპარდისა და ნოვალისისაგან განსხვავებით, მებრძოლი ტემპერამენტიო, მოქმედებისაკენ მოწოდებით გამოირჩევა. ნიკოლოზ ბარათაშვილიც თავისი „მერანის“ ძახილით და „ფიქრნი მტკვრის პირას“ ღრმა

---

* М. Ю. Лермонтов, «Избр. стих.», 1933 г., გვ. 6, თარგმანი ნ. ჯგიაშვილისა.

ფილოსოფიური კონცეპციით რომანტიკოსი პოეტების იმ პლეადას ეკუთვნის, რომელსაც ჩვენ ლერმონტოვი მივაკუთვნეთ. ეს ფაქტი შემთხვევითი როდია. „Молитва"-ს იდეური ხაზი ერთგვარ გაგრძელებას პოულობს ლერმონტოვის შემდგომი პერიოდის ლექსში — „მკვდრის სიყვარული". აქაც მიწიერი სინამდვილისაგან თავდაუღწეველობის ჰანგები ისმის, აქაც უკმაყოფილებაა ზეციური სინამდვილისადმი:

„ზენაარ ძალთა ელვარება რა არის ჩემთვის,
ანდა სამოთხის უმანკოება.
თან წარვიტაცე
მიწიერი ყოველი ვნება".*

მიწიერი სინამდვილე ლერმონტოვის პოეზიაში გადაქცეულია ზრუნვის საგნად, მაგრამ იგი მაინც აკრთობს მის პოეტურ შემეცნებას. ლერმონტოვის მხატვრული პროზის ცნობილი გმირი პეჩორინიც ცდილობს გაექცეს პრაქტიკულ ცხოვრებას, რადგან მან ვერ იპოვა საერთო ენა ამ სინამდვილესთან. ესაა ფეოდალური არისტოკრატიის მთელი კლასობრივი აგონია, როცა ეს უკანასკნელი თავის საკუთარი თვალებით ხედავს ისტორიის ავანსცენიდან ჩასვლას და ის ნეგატიურად უყურებს ამ სინამდვილეს. რეალური სინამდვილე მახინჯია მისთვის, ბოროტია, გაუტანელი, დაუნდობელი და მკაცრი. „ადამიანების თვალებში ვკითხულობ ბოროტებისა და ბიწიერების ფურცლებს", — ამბობს ლერმონტოვის გმირი გრიგოლ ალექსანდრეს-ძე პეჩორინი. იგი ამ ბიწიერების მსხვერპლია. ცხოვრებამ ისე გადააკეთა მთელი მისი პიროვნული „მე", რომ პეჩორინს ხშირად საკუთარი თავის ცნობაც კი უჭირს, როცა ასე კარგად მსჯელობს ყოველგვარ პიროვნულ ნაკლზე. იგი ცხოვრების ბრძმედიდან გამოვიდა „მტკიცე და ცივი, როგორც რკინა", მაგრამ სამუდამოდ დაჰკარგა „სიცოცხლის საუკეთესო ყვავილი". ამიტომ პეჩორინის წინაშე ხშირად

* М. Ю. Лермонтов, «Избр. стих.», 1933 г., стр. 96.

ისმის კითხვა, თუ რატომ ცოცხლობს იგი ან რატომ დაიბადა? ეს კითხვა გაცვდა რომანტიკოსი პოეტების აზროვნებასა და ლექსებში, ამ კითხვამ მწუხარედ შეაკრა პეჩორინის შუბლი და აი, გრუშნიცკისთან დუელის წინა ღამეს, იგი უნებურად ეკითხება თავის თავს: „რატომ ვცოცხლობდი მე? რა მიზნისათვის დავიბადე?.. ხოლო იგი ნამდვილად არსებობდა — და მე მჭონდა მოცემული ნამდვილად მაღალი დანიშნულება, იმიტომ, რომ ჩემს სულში ვგრძნობ უზარმაზარ ძალას... მაგრამ ვერ მივუხვედი ამ დანიშნულებას, მე გამიტაცა ქარაფშუტა და არაკეთილშობილ ვნებათა მიზიდულებამ; მათი ბრძმედიდან გამოვედი მტკიცე და ცივი, როგორც რკინა, მაგრამ დავკარგე სამუდამოდ კეთილშობილ მისწრაფებათა ალმური — სიცოცხლის საუკეთესო ყვავილი. და იმ დროიდან რამდენჯერ მითამაშნია ნაჯახის როლი ბედის ხელში. როგორც სასჯელის იარაღი, მე ვეცემოდი თავზე განწირულ მსხვერპლთ, ხშირად გაბოროტების გარეშე, ყოველთვის შენანების გარეშე. ჩემმა სიყვარულმა არავის მოუტანა ბედნიერება, იმიტომ, რომ მე არავითარი მსხვერპლი არ მიმიტანია მათთვის, ვინც მიყვარდა: მე მიყვარდა საკუთარი თავისათვის, საკუთარი სიამოვნებისათვის; მე მხოლოდ ვაკმაყოფილებდი გულის ახირებულ მოთხოვნილებას, გაფთრებით ვნთქავდი მათ გრძნობებს, მათ სინაზეს, მათ სიხარულსა და ტანჯვას — და ვერასოდეს ვერ შევძელი, რომ გავმძღარიყავი“*.

პეჩორინი გრძნობს, რომ მას ნამდვილად აქვს „უზარმაზარი ძალა“. მაგრამ არ შეუძლია ამ ძალის გამოყენება, რადგან ის გაიტაცა „ქარაფშუტა და არაკეთილშობილ გრძნობათა მიზიდულებამ“. ცხოვრებამ მას დააკისრა ნაჯახის როლი, რომელიც დაუნდობლად უნდა ეკვეთოს მტერს და გაანადგუროს. ეს არის ნეგატიური დამოკიდებულება რეალური სინამდვილისადმი და მისი უარყოფაც. პეჩორინი ბორგავს და ვერ ეტევა საკუთარ პიროვნებაში; მთელი ქვეყანა მისთვის რაღაც კომედიაა, სადაც გამეფებულია უკიდურესი ბორო-

---

* М. Ю. Лермонтов, «Герой нашего времени», 1933 г. стр. 143.

ტება და შური. ამ მომენტში პეჩორინს რომანტიზმის იდეები მოახვია ლერმონტოვმა. ჩვენ ვიცით, რომ რომანტიკოსებისათვის ვიწროა მიწიერი ქვეყანა. ბაირონის გმირები თავიანთი მწუხარე სახეებით დაეხეტებიან ამქვეყნად, მაგრამ ადგილი მაინც ვერ უპოვიათ. თვით ბაირონისთვისაც ვიწრო იყო მსოფლიო. ლერმონტოვმა ჯერ კიდევ 1829 წელს, როცა მისი პოეტური ფანტაზია თხუთმეტ წელს ეთამაშებოდა, ერთ ლექსში („ლოცვა") დიდი ტრაგიკოსივით წამოიძახა, რომ მისთვის „ვიწრო მიწიერი ქვეყანა". ობიექტური რეალობა თითქმის ყველა რომანტიკოსის შემოქმედებაში წარმოდგენილია ნეგატიურად. თანამედროვეობის უარყოფა, არსებულიდან არარსებულისაკენ ლტოლვა — რომანტიზმის ტიპიური ნიშანია. ბარათაშვილიც სკეპტიკურადაა განწყობილი თავისი თანამედროვეობის მიმართ:

„არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?"

ბარათაშვილი გრძნობს, რომ მისი დრო ფუჭი და ამაოების განსახიერებაა, მაგრამ მას მიზეზი მაინც არა აქვს შემეცნებული. ისე, როგორც სხვა რომანტიკოსებს, ბარათაშვილს შეუძლია გაბედულად დაახასიათოს არსებული სინამდვილის ყოველი დეტალი, მაგრამ მიზეზის მეცნიერული ახსნა, საფუძვლის სრული შემეცნება ისევე არ ძალუძს, როგორც რუსეთის ან დასავლეთის რომანტიკოსებს. ბარათაშვილისათვის ყოფა, წუთისოფელი არის „საწყაული აღუვსებელი", სადაც გაბუფებულია უკიდურესი ეგოიზმი, სიცრუე და ბოროტება, უსაშინელესი „სულით ობლობა" და ღალატი, ერთი სიტყვით, თითქოს ჰამლეტმა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის გარიჟრაჟიდან გადმოსძახა მე-19 საუკუნის რომანტიკოსებს მათ პესიმისტურ დროშაზე წარწერილი სიტყვები: „ქვეყანა არის ბაღი გაუმარგლავი, რაშიაც ჩარობს მხოლოდ ღვარძლი, ცუდი ბალახი". და ლერმონტოვის დემონიც ხომ ასეთივე შეხედულებისაა ცხოვრებაზე? თავის შეყვარებულს — თამარს იგი

ეუბნება, რომ მიწიერ სინამდვილეში არ არსებობს „ჭეშმარიტი ბედნიერება“, არც „ხანგრძლივად მარადიული მშვენიერება“, რომ იქ, სადღაც დედამიწაზე, განეფებულია მხოლოდ დანაშაული, დასჯა, უმნიშვნელო ვნებები, იქ უშიშრად არ იციან არც სიძულვილი და არც სიყვარული. ასეთია მიწიერი სინამდვილე დემონის მებღვნებაში. თითქოს რომანტიკოსის მანტია მოუხურავს დემონს, როცა ასეთი პესიმისტური ჰანგებით მიმართავს თამარს:

„ეთერის შვილი თავისუფალი
აგაფრენ მხარეს ვარსკვლავეთს ზემოთ,
იქნე სამყაროს შენ დედოფალი,
უპირველესო დობილო ჩემო.
დედამიწა არ მოგენატრება,
არც სიბრალულით, არც სიძულვილით,
სად არ არსებობს ბედნიერება,
და არც მშვენება მარადჟამული.
სად მხოლოდ ცოდვა და სასჯელია,
ცხოვრება წვრილმანს მოუკლავს ენებას,
შეუძრწუნებლად არ მოელიან
არც სიძულვილს და არც შეყვარებას“.*

ბარათაშვილის ლექსიც — „ფიქრნი მტკვრის პირას“ რეალობის ასეთივე უსასტიკესი კრიტიკაა, სადაც უკანასკნელი ტაეპის გამოკლებით, გაკიცხულია არა მარტო ცხოვრება და ობიექტური სინამდვილე, არამედ, თვით სინამდვილის ისეთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, როგორიცაა ადამიანი. მისი სული გაუმაძღარია, ეგოიზმი — უაზრო, რადგან არ შეიძლება გამართლებულ იქნას „იმავე მიწისთვის“ აღძვრა, რაც „დღეს თუ ხვალ“ თვით ადამიანი გახდება, — ასეთია ბარათაშვილის თვალსაზრისი. ბარათაშვილის ფილოსოფიურ მატერიალისტურ თეზაში დაგმობილია ადამიანის ეგოისტური ბუნება, მისი ფილისტერული განსჯა და მოქმედება. თუ ბარათაშვილისათვის არ არსებობს ადამიანი, როძელიც ერთხელ ნატვრით მიღებულს დასთანხმდება, ლერმონტო-

* М. Ю. Лермонтов. «Избр. стих.», 1933 г., стр. 361.

ეი ადამიანის სახეს გვიხატავს და გვეუბნება: ეს ადამიანი სრულებითაც არ არის გამონაკლისი ან შემთხვევითი:

«Никто не получал, чего хотел,
И что любил...»*.

ამბობს ლერმონტოვი. ამ მომენტში ბარათაშვილი უფრო მეტად კონკრეტულია. მისთვის ადამიანი არ წარმოადგენს აბსტრაქტულ ცნებას.

ბარათაშვილისათვის არ არსებობს ზოგადად ადამიანი, რომელიც მოწყვეტილია მოვლენებისა და ფაქტების კანონზომიერებას. ის ამ მომენტში არ მიჰყვება მიხეილ ლერმონტოვის პესიმიზმის გზას. თუ ლერმონტოვისათვის ამქვეყნად არ არსებობს არც ერთი ადამიანი, ოომელსაც მიეღოს ის, რაც სურდა ან რაც უყვარდა, თუ მისთვის ადამიანი წარმოადგენს სურვილისა და სიყვარულის განუხორციელებლობის ცოცხალ ილუსტრაციას, ბარათაშვილისათვის არსებობს ადამიანი, რომელსაც სურვილი ან ნატვრა აუსრულდა, მაგრამ ულმობელი კრიტიკოსის მწვავე მათრახით უმასპინძლდება მის უმაძღრობას და ეგოიზმს:

„ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, იგი ეკმაროს".

ამით ბარათაშვილი ნაწილობრივ დაშორებულია ლერმონტოვის პესიმისტურ კონცეფციას.

როგორც აქტიური რომანტიზმის წარმომადგენელი, ლერმონტოვი უარყოფს უმოქმედობისა და უწყინარი სიმშვიდის ფილოსოფიას. მას არ სურს უმოქმედოდ უცქიროს ცხოვრების ქარიშხლის ხმაურს ან ეძიოს განსასვენებელი ადგილი, სადაც არ იქნება პრაქტიკული ცხოვრების ღელვა. ის ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ „ესაჭიროება მოქმედება" და არ იცის, „თუ რას ნიშნავს დასვენება":

---

* М. Ю. Лермонтов. «Избр. стих.», 1933 г., გვ. 23.

«Мне нужно действовать, я каждый день
Бессмертным сделать бы желал как тень
Великого героя и понять
Я не могу, что значит отдыхать».*

მაგრამ მას იპყრობს შიში: ცხოვრება მოკლეა, შესაძლებელია ვერ შეასრულო ის, რაც გსურს გააკეთო. პ ე ჩ ო რ ი ნ ი თვითონვე ამბობს, რომ მასში დიდია ცხოვრებისადმი სიყვარული, თუმცა ეზიზღება სხვა ადამიანების სიცოცხლე. „ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს ა ძ ა გ ე ლ ი ა, მ ა გ რ ა მ ს ა შ ი ნ ე ლ ი ა ს ი კ ვ დ ი ლ ი ც“, — ამბობს ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი. და თითქოს აქ მთელი მე-19 საუკუნის ფეოდალური არისტოკრატია ლაპარაკობს საკუთარ თავზე: იგი ხედავს, რომ მისთვის ცხოვრება საძაგელი ხდება, მაგრამ სიკვდილიც საშინელია. მან არ იცის: მისთვის ცხოვრება სწორედ იმიტომაა საძაგელი, რომ საშინელი სიკვდილის კლანჭებშია მოქცეული და არ შეუძლია თავის დაღწევა, ცხოვრებაში ბოროტებაა, — ასეთია პირველი დასკვნა ლერმონტოვის პოეზიიდან. „ე რ თ შ ი უ ვ ე ლ ა ფ ე რ ი წ მ ი ნ დ ა ა, ხ ო ლ ო მ ე ო რ ე შ ი უ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ბ ო რ ო ტ ი ა“, — ამბობს ლერმონტოვი. პირველში იგი გულისხმობს ზ ე ც ი უ რ სინამდვილეს, ხოლო მეორეში — მ ი წ ი ე რ ს. ზეციურისა და მიწიურის ეს დაპირისპირება, ჩინური ზღუდის აღმართვა რეალურ და იდეალურ ქვეყანას შორის ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი ს პოეზიაში არ არის კალმის შემთხვევითი თამაში. მაგრამ ეს ტენდენცია ბოლოს საკუთარი თავის სრულ უარყოფამდე მიდის, ისევე, როგორც ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს პოეზიაში რეალური ქვეყნის სრული დაგმობა, — მის მიღებამდე.

მაგრამ როგორ უნდა ავხსნათ ლერმონტოვისა და ბარათაშვილის შემოქმედებაში სინამდვილესთან დ ა ბ რ უ ნ ე ბ ი ს ტენდენცია? რა უდევს საფუძვლად ამ ლტოლვას რეალური ქვეყნისადმი?

პრაქტიკული ცხოვრებისათვის ზრუნვის ფილოსოფია, რომელიც ბარათაშვილის პოეზიიდან ისმის, იდეალისტმა კი-

---

* М. Ю. Л е р м о н т о в, «Избр. стих.», 1933 г., стр. 29.

ტა აბაშიძემ პოეტის ქრისტიანიზმით, ქრისტიანული მორალით ახსნა: „ძლიერებამ ქრისტეს სარწმუნოების გავლენისამ, — წერს კ. აბაშიძე, — ბარათაშვილშიაც იჩინა თავი და მთელი მისი ლექსები სულითა და გულით ქრისტიანის დაწერილია; ადამიანის, რომელსაც მტკიცედ აქვს თავისი მოვალეობა შეგნებული; ადამიანის, რომელიც კაცთა სისუსტეს სიბრალულითა და მოთმინებით დასცქერის; ადამიანის, რომლისთვისაც ცხოვრების საზიზღრობას გული კი, ვერ აუცრუებია ამ ცხოვრებაზე, არა, წინააღმდეგ მისი განკარგებისა და გაუმჯობესების ცდა იდეალად დაუსახავს“.* მიწიერი სინამდვილის გაუმჯობესებისა და გაკეთილშობილებისათვის ზრუნვა, რომელიც ბარათაშვილის პოეზიას ახასიათებს, შეუძლებელია აიხსნას ამ ულტრაიდეალისტური, წმინდა რელიგიური თვალსაზრისით. ჩვენ არა ერთხელ მივუთითეთ, რომ ფეოდალურმა არისტოკრატიამ, საკუთარი თვალით დაინახა რა მოახლოებული განსაცდელი, ხელი კი არ აიღო პრაქტიკული ცხოვრებისათვის ზრუნვაზე, არამედ, ყოველმხრივ შეეცადა დაეცვა საკუთარი კლასობრივი ინტერესები და გადაერჩინა თავი ისტორიულად აუცილებელი მოსპობისაგან. ასევე პრაქტიკული ცხოვრებისათვის ზრუნვის ფილოსოფია ახასიათებს არა მარტო ბარათაშვილსა და ლერმონტოვს, არამედ, ხშირად უკიდურეს პესიმისტებსაც კი. ხომ ფაქტია, რომ პეჩორინს თითქოს არაფერი არ აინტერესებს ამ ცხოვრებაში, ცხოვრება მისთვის ხომ უდიდესი უბედურებაა, მაგრამ რა თავდადებით, რა თავგანწირვით ცდილობს იგი დაიკმაყოფილოს თავისი პატარა მისწრაფებებიც კი. საზოგადოების ისტორია, რომელიც კლასთა ბრძოლის ისტორიაა,** ნათლად გვეუბნება, რომ ისტორიის ავანსცენიდან არც ერთი კლასი არ ჩამოსუ-

---

* კ. აბაშიძე, „ეტიუდები“, ტ. I, გვ. 80.

** К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. V, 1929 г., стр. 483.

ლა ძირს სასიკვდილო გაბრძოლების, უსასტიკესი ბრძოლის გარეშე. აქტიური რომანტიკოსები თავიანთ მხატვრულ შემოქმედებაში, ცხოვრების უარყოფასთან ერთად, მიწიერი სინამდვილისათვის ზრუნვის ფილოსოფიას ავითარებდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ლერმონტოვმა საკუთარი თავის შესახებ ასე კატეგორიულად თქვა: მე არ ვიცი, თურა არის დასვენება. ამიტომ იყო, რომ ბარათაშვილმა, პრაქტიკული ცხოვრების უარყოფითი მხარეების გაკიცხვასთან ერთად, „გვესმას სოფლის“-ს ფილოსოფია წამოაყენა. ამიტომაა, პეჩორინსაც ასე უყვარს საკუთარი თავი, იცავს მას მტრების ყოველგვარი თავდასხმისაგან, როცა სძულს და ეზიზღება კიდეც სხვისი ცხოვრება. სწორედ ამიტომ მიუთითა ბელინსკიმ, რომ პეჩორინი არის „მწუხარე ფიქრი ჩვენი მომავლის შესახებ“.

რომანტიკოსები მიისწრაფოდნენ სულიერი სიმშვიდისაკენ. ზევით აღვნიშნეთ, რომ სულიერი სიმშვიდის პოვნას ისინი ცდილობდნენ ირრეალურ ქვეყანაში, მაგრამ ამ ქვეყანამ ვერ მისცა მათ სულიერი სიმშვიდე, ისევე, როგორც ბარათაშვილს ხმა იდუმალმა, რომელიც პირდებოდა ხვედრის პოვნას, ვერ მისცა ეს უკანასკნელი. და, აი, ლერმონტოვი ერთერთ თავის ლექსში პირდაპირ ამბობს, რომ მისთვის თვით სამარეშიც კი არ იქნება სიმშვიდე:

„და ეს ხატებაც, მას ჩემთან ერთად
სურს, რომ იხილოს სამარის კარი,
იქ, სადც აღმითქვი, ჩემთვის დაგეთმო
შენ სამუდამო თავშესაფარი.
მაგრამ ვერ ვპოვებ. ვგრძნობ, მოსვენებას,
იქაც და აქაც ის არ იქნება,
იმ განუზომელ და საშინელ წლებს
ტანჯული მარად ვერ დაივიწყებს“.*

ბარათაშვილიც მიისწრაფვის სიმშვიდისაკენ. მაგრამ ეს სიმშვიდე რეალურ ქვეყანაში მისთვისაც ისევე არ

* М. Ю. Лермонтов, «Избр. стих.», 1933 г., стр. 14—15.

არსებობს, როგორც ლერმონტოვისათვის. ირრეალური ქვეყანა, რომელიც მოწყვეტილია „საწუთროებას“, სადაც არ იქნება მიწიერი ცხოვრება თავისი მკაცრი კანონებით და ყოველდღიურობის პრაქტიციზმით, „ზენაართ სამყოფი“, — აი, სად უნდა იქნას მონახული სიმშვიდე, ბარათაშვილის აზრით. ესაა ერთერთი პირველი გაგება „ზენაართ სამყოფისა“, მაგრამ, არის მეორეც, რომანტიკოსებისათვის არა ნაკლებ მნიშვნელოვანი. იგი ეხება მეტაფიზიკის სფეროს, როგორც სამყაროს შეცნობის განყენებულ გზას. ორივე შემთხვევაში პოეტი უიმედობის რკალიდან თავს ვერ აღწევს, ვინაიდან მისთვის ამჯერად ძნელია ჰპოვოს რაიმე რეალური დასაყრდენი. თუ ერთ შემთხვევაში „ზენაართ სამყოფი“ თითქოს პრაქტიკული აზრით წარმოსახული სინამდვილეა, უსაზღვროების სამყაროს მოწყვეტილი, მეორე შემთხვევაში იგი წმინდა განსჯის საგანია. მაგრამ იმ ქვეყნის ხილვა, არსებულიდან არარსებულის, ანუ უკეთ, რეალურიდან ირრეალურის ხილვა მისთვის მიუღწეველი ოცნების კლდეა. ბარათაშვილისათვის „ზენაართ სამყოფი“, კანტის ენით რომ ვთქვათ, ნოუმენების ქვეყანაა, რომელსაც თვით პოეტის ფიქრიც კი ვერასოდეს ვერ მისწვდება:

— „ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!
აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან!
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და პაერშიეე განიბნევიან!“

შესძლებს თუ არა საერთოდ ადამიანი მისწვდეს „განგებას ციურს“, როგორც იგი რომანტიკოსებს ეხატებოდა? არა, ამ კითხვაზე რომანტიკოსების პასუხი უარყოფითია. მართალია, სამყაროს საკვირველების ჰვრეტა ადამიანს ამქვეყნიურ ცხოვრებასაც კი ავიწყებს და მთელი არსებით გადასტყორცნის ხოლმე უსაზღვროებათა ციალში, მაგრამ...

„მე, შენსა მჭვრეტელს მავიწყდების საწუთროება,
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...
მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდაენი განგებას ციურს!“

„ზენაართ სამყოფის“ ეს გაორებული ფილოსოფია ამ შემთხვევაში შეიძლება გავიგოთ, როგორც მეტაფიზიკური იდეალი, რომლის საწყისებს რომანტიკოსები პირველ ყოვლისა იდეალისტური სისტემებიდან კრებდნენ. ისინი გრძნობდნენ, რომ სამყაროს ურიცხვ მნათობთა ციალში ადამიანის თვალი უსაზღვროებას ჰვრეტს, ესთეტიკურ სიამოვნებასაც განიცდის, მაგრამ მისი სულის შინაგანი ძახილი ვეღარ ეტევა ხილულის საზღვრებში და ცდილობს გაარღვიოს ადამიანური შემეცნების არტახები, შორს, კიდევ უფრო შორს გაიჭრას, რათა უხილავი იხილოს. ძველად ეს უხილავი რელიგიური ფანატიზმის მანტიაში იყო გახვეული და მას ღვთაების ან მისი ძალის უთვალავი გამოსახულება ჰქონდა. ახლა უხილავი გათავისუფლებულია ყოველგვარი მისტიკური გარსისაგან, მას ადამის სამოსელი შეუძენია და ძველი ყოფის მხოლოდ ერთი ნიშანი შერჩენია — მიუწვდომლობა. რა არის იმის იქით, რასაც ურიცხვი მნათობებისა და მზის სისტემის სახით ვხედავთ? არაფერი? მაშინ უსაზღვროება რას ნიშნავს ან რას წარმოადგენს? თუ არის, მაშინ უსაზღვროება არ ყოფილა, მაგრამ რა არის ეს „არის“? დაუსრულებელი გრეხილი მატერიით წარმოშობილი უთვალავი მზის დაუსრულებელი სისტემებისა, თუ სისტემები დასრულებულია და მათ შორის ისეთივე გამავალი საზღვრებია, როგორც პალაცოს დარბაზებს შორის? შეუძლებელია ასე იყოს, მაგრამ რით არიან ისინი გამოყოფილი ერთმანეთისაგან ან შეერთებული თუ დაკავშირებული ერთმანეთთან? ამ კითხვებს წინათ ადამიანები ღმერთის არსებობის რწმენასთან მიჰყავდა, ხოლო დღეს მიუწვდომელის თანდათანი დამორჩილების ოპტიმისტურ რწმენასთან და მისი განხორციელების პრაქტიკულ გზებთან მიჰყავს. ასე წყვეტს კაცობრიობა „წუეულ კითხვებს“ და შეუპოვრად მიემართება წინ სამყაროს საკვირველებათა შეცნობისა და დამორჩილებისათვის.

მაგრამ თუ ტრანსცენდენტური ქვეყანა, რომელიც ატყვევებს პოეტს, მიუწვდომელია, თუ მას არ შეუძლია შეიფაროს მისკენ მსრბოლი არსება, შეიძლება თუ არა იგი გახდეს ზრუნვის ერთადერთ საგნად? ეს კითხვა ბა-

რათაშვილისათვის ჩვეული ფილოსოფიური სიღრმით წყდება და ირრეალური ქვეყნისადმი მიმართული ფიქრები პრაქტიკული ქვეყნის აღელვებულ ხმაურს უბრუნდება:

„ჰოი, საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად! როს მკვნესარებაა შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად! მწუხრი გულისა — სევდა გულისა — ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს, რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს".

ირრეალური ქვეყნისადმი მიმართული ფიქრები პოეტმა ასევ პრაქტიკულ ცხოვრებას დაუბრუნა. მაგრამ იგი ვერ ურიგდება ობიექტურ სინამდვილეს, რადგან მან ვერ ნახა საერთო ენა ადამიანებთან. იგი გულისტკივილით ამბობს, რომ ამქვეყნად მან ვერ იპოვა მეგობარი და განიცდის „სულით ობლობას". მისთვის სულიერი ობლობა ბევრად უფრო მწვავე და აუტანელია, ვიდრე ფიზიკური, რადგან „მეგობართა, ნათესავთ მოკლებული, ისევ ჩქარა ჰპოვებს სანაცვლოს გული". რატომ განიცდის პოეტი ამ ობლობას? „ვინც მაღალის გრძნობის მექოხი მეგონა, — ამბობს ბარათაშვილი, — იგივნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია; ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განჰსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლი მეგონებოდნენ, ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერი სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი?"*

მარტოობის ფილოსოფია ბარათაშვილმა გამოხატა თავის ლექსში — „სული ობოლი". ამ ლექსის იდეური კონცეფცია სავსებით იგივეა, რაც მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი ბარათისა. ამ ლექსშიაც ჩივილია საკუთარ უთვისტომობაზე, ჩივილია სულით ობოლზე, რომელსაც ვერ უპოვია თავისი ტოლი, — ერთხელ დაკარგა რა ეს უკანასკნელი, მისი ყოფა ტანჯვა და ურვაა:

* ნ. ბარათაშვილის წერილი მაიკო ორბელიანთან 1842 წლის 31 ოქტომბრის თარიღით.

„არღა რა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;
ეშინიან, იკრძალვის, არღა იცის,
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,
ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობაI
ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა.
მარად ახსოვს მას დაკარგვა პსწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა".*

ლერმონტოვის პოეზიაშიც არანაკლები სიძლიერით ისმის მარტოობის მწუხარე ჰანგი. ლერმონტოვის „ლოცვა" თითქმის იგივეა თავისი იდეური მრწამსით, რაც ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა". ამ ლექსებში ერთი ძირითადი იდეა მხოლოდ ისაა, რომ ირრეალური ქვეყნის ნაცვლად, რეალურ ქვეყანას დაუბრუნდეს ადამიანი. ასეთივე იდეური მსგავსებაა ბარათაშვილის „სული ობოლისა" და ლერმონტოვის „К П У. ну"-ს შორის. ეს ლექსი ლერმონტოვმა 1829 წელს დაწერა. აქაც იგივე ტანჯვა და წუხილია, ისეთივე გოდებაა სულით ობლობის შესახებ, როგორც ბარათაშვილის ლექსში. ლერმონტოვი ამბობს, რომ იმ ადამიანს, რომელმაც ყმაწვილობაშივე დაკარგა „ოქროს წლები" და რომელსაც ჰმუნვის ბეჭედი აზის, ვერავითარ სიამოვნებას ვერ მისცემს ვერც მეგობრობა და სიყვარული, ვერც საბრძოლო განწყობილებით სავსე ლექსები:

„მაგრამ მას, ვისაც თავს დასხმია სეედების ჯარი,
ოქროს დღეები ვინც დაჰკარგა სიჭაბუკეში, —
ვერც მეგობრობა, სიყვარული, ხმა საომარი
ვერ შეიძლებენ მის დატკბობას, რომ სცენ ნუგეში".**

გეგონება თითქოს ლერმონტოვის ეს ლექსი წაუკითხავს ბარათაშვილს, როცა მან თავისი „სული ობოლი" დაწერაო. თითქოს ეს ლექსი დაუდვია მას სარჩულად იმ წერილისათვის, რომელიც მაიკო ორბელიანს მისწერა. განა ბარათაშვილი იმასვე არ იმეორებს ამ წერილში, რასაც ლერმონტოვი? „ყმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული, ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას და ვიდ-

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, 1922 წ., გვ. 25.

** М. Ю. Лермонтов, Сочинения, 1934 г., стр. 32.

რემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი". ამავე წერილში ბარათაშვილი უფრო ღრმა პესიმისტური ჰანგების ტყვეობაში იმყოფება: „შენ წარმოიდგინე მაიკო, — სწერს ბარათაშვილი მაიკო ორბელიანს, — სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში". რა ღრმა საზოგადოებრივი ტკივილის შემცველია ბარათაშვილის ეს პიროვნული გოდება. იგი ისევე სავსეა საკუთარი ქვეყნის მთელი ისტორიული ყოფით, როგორც ლერმონტოვის პესიმიზმი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ლერმონტოვი ბავშვობაშივე მიისწრაფოდა უცნაურისაკენ, მაგრამ ეს უკანასკნელი მან ვერ ჰპოვა. ბარათაშვილიც ტრაგიკულად გოდებს, რომ ბავშვობაში:

„რბოდა ნათლად დრო ყმაწვილობის
ჰსწორთა, თანზრდილთა მეგობართ შორის".*

და ამ დროიდან მას თან სდევდა ხმა იდუმალი, რომელიც „ცხადად თუ სიზმრად" ეუბნებოდა პოეტს:

„ეძიე, ყრმაო, შენ მხვედრი შენი
ვინძლო იპოვნო შენი საშვენი".**

მაგრამ ბარათაშვილმა, ისევე როგორც ლერმონტოვმა, ვერ ჰპოვა ეს უკანასკნელი. მან თითქოს წინასწარ იცოდა, რომ იგი ვერ ჰპოებდა თავის „საშვენს":

„მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ
და მით კაეშანს ვერღა ვიშორებ!"***

მაგრამ პოეტი მონურად არ იხრის ქედს ამ იდუმალი ძალის წინაშე. მას სურს გაარკვიოს თავისი სახე ამქვეყნად, გაიგოს, რას განუმზადებს მას ხმა იდუმალი, რომ შეიცნოს იგი და გაიგოს ამ სოფლად „თავის წილობა".

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, 1922 წ., გვ. 10.

** იქვე.

*** იქვე.

ბარათაშვილი დაუცხრომელ ძიებაშია. მან ჰპოვა „ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი“, სადაც „ენთო მარად უქრობელი, წმინდა ლამპარი“ და ის „მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით“, იქ განიზრახავს „განსვენებას წრფელითა ზრახვით“. მას ეგონა, რომ იგი ხედავდა „სასუფეველს, აქ დაშენებულს“, მაგრამ მოსტყუვდა პოეტი, რადგან:

„...საწუთრო განა ვისმეს დიდ-ხანს ახარებს?
განჰქრა ტაძარი — და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს;
მის ნაცელად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!
ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი,
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!“*

განა პეჩორინიც „მიუსაფარი მწირის“ სახით არ დაეხეტება ამქვეყნად? განა პეჩორინიც ამ მარტოობის ფილოსოფიას არ ავითარებს, როცა ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მას ამქვეყნად არა ჰყავს არც ერთი მეგობარი? ჩვენ ვიცით, რომ პეჩორინი მიისწრაფვის სიცოცხლისაკენ, მას უნდა ცხოვრება, აზროვნება, შემოქმედება, მაგრამ მისთვის არ არის არც დრო, არც პირობები და საშუალება ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად. აქედან წარმოდგება მისი უკიდურესი პესიმიზმი და უქნარობა. სწორედ ამიტომ აღნიშნა ბელინსკიმ, რომ „პეჩორინი ჩვენი დროის ონეგინია, ჩვენი დროის გმირი“.** პეჩორინს არ შეუძლია შეებრძოლოს არსებულ ყოფას, რომელიც ღრღნის და ანადგურებს მის პიროვნებას; არ შეუძლია შესცვალოს ისტორიის ჩარხის ბრუნვა, რადგან იგი ვერ ხედავს გამოსავალს მდგომარეობიდან. ესაა პეჩორინის დროინდელი ფეოდალური არისტოკრატიის. კლასობრივი ტკივილი.

გმირი! — აი, რა ესაჭიროება ფეოდალურ არისტოკრატიას ისტორიულად აუცილებელი დაღუპვის წინ. მაგრამ ეს

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, 1922 წ., გვ. 43.
** «Избр. сочинения Белинского», т. I, 1907 г., стр. 457.

გმირი არსად ჩანს, მის ნაცვლად ონეგინებისა და პეჩორინების მწუხარე სახეები იხედებიან ისტორიის დათოვლილი ფანჯრებიდან. განა ისინი შეძლებენ ისტორიის შემობრუნებას? არა, ისინი უძლურნი არიან ამ დიდი ისტორიული აქტისათვის, რადგან მათი კლასობრივი ყოფა მოკლებულია საამისოდ აუცილებელ წინამძღვრებს. ისტორიას ადამიანები ჰქმნიან. მაგრამ პეჩორინს თავისი კლასობრივი ყოფის გამო არ შეუძლია „ისტორიის შექმნა". აქაა უკიდურესი პესიმიზმის საფუძველი, რომელიც ღრღნის პეჩორინის გონებას და ანადგურებს მას.

ლერმონტოვი ნათლად ხედავს, რომ პეჩორინს არ შეუძლია შესცვალოს ისტორიის განვითარება. თუ რატომ, ამაზე ნაწილობრივ თვით ავტორი მიგვითითებს. მაგრამ ეს ხომ თანამედროვეობის დაცინვაა? ეს ხომ მთელი იმ საზოგადოებრივი ყოფის უარყოფაა, რომელსაც ნიკოლოზ პირველი თავისი ჟანდარმერიის ქუსლით და ხიშტებით იცავდა? სრული სიმართლეა. სწორედ ამიტომ მიაკერა ლერმონტოვმა მკითხველს ის აზრი, რომ პეჩორინი არსებითად წარმოადგენს „ბოროტ ირონიას" მის თანამედროვე საზოგადოებაზე. პეჩორინი არ არის დადებითი საზოგადოებრივი ტიპი. იგი თვითონვე აღბობს, რომ საზოგადოებამ წაართვა მას ყველაფერი, რაც კარგი იყო მის პიროვნებაში. უკიდურესი პესიმიზმი, არისტოკრატიული გატაცება, პრაქტიკული ცხოვრებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, გულცივობა ყველას მიმართ, — აი, ის, რაც ცხოვრებამ შესძინა პეჩორინს. არ შეიძლება ითქვას, რომ პეჩორინი უნიჭო ადამიანია. არა, მას აქვს ნიჭი, უნარი, ენერგიაც კი, მაგრამ ნიკოლოზ პირველის ეპოქა ყოველივეს ახშობს მის პიროვნებაში.

ისტორიას ადამიანები ქმნიან, — პეჩორინმა ამის შესახებ არაფერი იცის. იგი თვით ადამიანებსაც ვერ ხედავს, რომლებსაც საერთო ინტერესები აქვთ. მთელი საზოგადოება მისთვის მკაცრად განკერძოებული პიროვნებებისაგან შედგება, სადაც არ არსებობს საერთო ინტერესები, საერთო აზრი, საერთო ენა. ამიტომ მას არ შეუძლია ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე პრაქტიკულ გავლენას.

მის პიროვნებაში ჩანს რუსეთის მე-19 საუკუნის 40-იანი წლების ფეოდალური არისტოკრატიის იმ ახალგაზრდობის სახე, რომელიც ასე თუ ისე კრიტიკულად უცქეროდა საკუთარ ყოფას ნიკოლოზ პირველის თვითმპყრობელური ბატონობის მძლავრ კლანჭებში. აქ ჩანს იმდროინდელი მთელი თაობის ის ტკივილები, რომლებიც ასე მძაფრად აისახა ლერმონტოვის პოეზიაში. ამ მხრით, როგორც ზევით მივუთითეთ, ბელინსკიმ სამართლიანად შენიშნა, რომ „ჩვენი დროის გმირი", — ეს მწუხარე ფიქრია ჩვენი დროის შესახებ".* ეს დრო უდევს საფუძვლად ლერმონტოვის პოეზიას. ეს დრო იყო, რომელმაც იქ, ლერმონტოვისაგან მრავალი ასი კილომეტრის დაშორებით, ახალი ფურცელი გადაშალა რომანტიზმის წიგნში — ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის სახით. ამ დროს უჩიოდა და ჰკიცხავდა ლერმონტოვი. ეს დრო იყო, რომელმაც მწუხარედ შეჰკრა ახალგაზრდა პოეტის შუბლი:

«Печально я гляжу на наше поколение.
Его грядущее — иль пусто, иль темно».

და ეს მწუხარე ცქერა, თავისი თაობის ეს მწვავე ტკივილები ასე ოსტატურად გამოხატა ლერმონტოვმა პეჩორინის სახით. „ცხოვრების ჭარიშხალიდან" პეჩორინმა გამოიტანა „მხოლოდ რამდენიმე იდეა და არც ერთი გრძნობა". ის „დიდი ხანია ცხოვრობს არა გრძნობით, არამედ გონებით".** ეს მძაფრი სიძულვილი არსებული საზოგადოებრივი ყოფის მიმართ, ყინულივით გულცივი დამოკიდებულება ადამიანებისადმი ისე ძლიერია პეჩორინის პიროვნებაში, რომ მას ამქვეყნად ვერ უპოვია მეგობარიც კი, ეს მეგობარი მისთვის არ არსებობს. გრუშნიცკისთან დუელის წინ, ექიმ ვერნერთან საუბარში პეჩორინმა ინდიფერენტულად აღნიშნა, რომ მას არა ჰყავს არც ერთი მეგობარი. ისე ცივი და უსულგუ-

* «Избр. соч. Белинского», 1907 г., стр. 458.

** М. Ю. Лермонтов, «Герой нашего времени», 1938 г., стр. 146.

ლოა პეჩორინის დამოკიდებულება მეგობრობის საკითხისადმი, რომ მას ამის შესახებ არც კი სურს სიტყვა თქვას. იგი მხოლოდ თავს გაიქნევს, რომ არა ჰყავს მეგობარი:

„— დასწერეთ თუ არა თქვენი ანდერძი?“ — უცებ ჰკითხა ვერნერმა.

„არა“.

მაგრამ თუ მოგკლეს?

„მემკვიდრეები თვით მოიძებნებიან“.

— ნუთუ არა გყავთ მეგობრები, რომლებსაც გსურთ გაუგზავნოთ თქვენი უკანასკნელი გამოთხოვება?..

მე თავი გავიქნიე.

— ნუთუ ქვეყანაზე არ არსებობენ ქალები, რომლებსაც თქვენ გსურთ დაუტოვოთ რაიმე სახსოვარი?..

„გსურთ თუ არა, ექიმო, — ვუპასუხე მე, — გადაგიშალოთ ჩემი სული?.. ხედავთ თუ არა, რომ მე გავიარე ის ჰასაკი, როცა კვდებიან თავიანთი შეყვარებულის სახელის წარმოთქმისას და მეგობარს უანდერძებენ გალაქული თუ გაულაქავი თმის კულულებს? მოახლოებული და შესაძლებელი სიკვდილის შესახებ ფიქრის დროს მე ვფიქრობ მხოლოდ ჩემს შესახებ: სხვები ამასაც კი არ სჩადიან“.*

პეჩორინის პიროვნებაში ორი ადამიანი ცხოვრობს. იგი გაორებულია, მაგრამ ეს გაორება არ არის მექანიკური ხასიათისა, სადაც ერთი ჩინური კედლითაა გამოთიშული მეორისაგან. „ჩემში ორი ადამიანია, — ამბობს პეჩორინი, — ერთი ცხოვრობს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მეორე აზროვნებს და ასამართლებს მას; პირველი შეიძლება ერთი საათის შემდეგ გამოგეთხოვოთ თქვენ და ქვეყანას სამუდამოდ, ხოლო მეორე...“** აქ პეჩორინს ალარაფერი ათქმევინა ლერმონტოვმა, რადგან იმ „მეორე ადამიანის“ განსაზღვრა, რომელიც „აზროვნებს და ასამართლებს“ პირველს, ასე ადვილი როდია. ეს

---

* М. Ю. Лермонтов, «Герой нашего времени», 1933 г., стр. 146.

** იქვე.

„მეორე ადამიანი“ ის პროტესტანტია, რომელიც სკეპტიკურადაა განწყობილი მისი თანამედროვეობის მიმართ. მას გონებაც აქვს და გრძნობაც. ხოლო მისი დახასიათება ლერმონტოვის ძალას აღემატებოდა, რადგან ეს იქნებოდა უკვე აშკარად ყოველივე იმის თქმა, რაც რომანის მთელ სივრცეზე ასე მალულად და თავისებური პოეტური ფორმით ვლინდება.

„ცხოვრების ქარიშხლიდან მე გამოვიტანე რამდენიმე იდეა და არცერთი გრძნობა. მე დიდი ხანია ვცხოვრობ არა გულით, არამედ გონებით“, — ამბობს პეჩორინი. ბელინსკის მოხდენილად დაახასიათა ეს „ორი ადამიანი“. მისთვის პეჩორინის პიროვნებაში მართლა „ორი ადამიანია“, მაგრამ პირველიც და მეორეც სუსტი, — პირველი, რომელიც პრაქტიკულია, მოქმედებს, მიისწრაფვის ცხოვრებისაკენ, ხოლო მეორე, რომელიც კრიტიკულად უყურებს პირველის მოქმედებას, ასამართლებს მას — მსჯავრმდებელია.

და, მართლაც, პეჩორინის პიროვნებაში ეს „ორი ადამიანი“ ის სუსტი რგოლია, რომელიც ლერმონტოვმა თავისი სარკაზმის ქვაკუთხედად აქცია. „...პეჩორინი, მოქმედებს რა არასწორად, უფრო არასწორად ასამართლებს თავის თავს“, — წერს ბელინსკი. მართალია, ბელინსკი შეეცადა დაემტკიცებინა თავისი დებულების სისწორე, მაგრამ მან მხოლოდ ნაწრალობრივ მიუთითა საკითხის ობიექტურ მხარეზე. მან ვერ შესძლო პეჩორინის მთელი სულიერი ტრაგედიის, მისი მოქმედებისა და აზროვნების სისუსტის ღრმა, მეცნიერული ანალიზი, რადგან ბელინსკი პეჩორინის პიროვნებაში ხედავდა არა გარკვეული საზოგადოებრივი კლასის წარმომადგენელს, არამედ თაობას, რომელიც უკმაყოფილოა თავისი თანამედროვეობით. ლიტერატურული ტიპის ასე განყენებულად განხილვა იდეალისტური ესთეტიკის ტიპიური ნიშანია და ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ აქ ბელინსკი ისევ იდეალისტური ესთეტიკის თეზისს ემორჩილება. მან სამართლიანად დაგმო პეჩორინის უმოქმედობა, მაგრამ მეცნიერულად ვერ გაარკვია ამ უმოქმედობის საფუძველი. პეჩორინის გულ-

ცივობა, უმოქმედობა, უანგარიშო მწუხარება, ერთი სიტყვით, მთელი მისი დამახასიათებელი მხარეები ბელინსკიმ ორგანულად დაუკავშირა ნიკოლოზ პირველის ეპოქის იმ იდეალისტურ გაგებას, რომელიც გამოხატულია დებულებაში: „ჩვენი საუკუნე, უპირველეს ყოვლისა, არის რეფლექსიის საუკუნე“*.

სად უნდა ვეძიოთ ამ ღრმა პესიმიზმის, უმოქმედობის, ჰაროლდისებური ჭმუნვისა და ობიექტური სინამდვილისადმი ნეგატიური დამოკიდებულების საფუძველი? როგორ უნდა ავხსნათ პეჩორინის, ამ უდავოდ ნიჭიერი ადამიანის სულიერი ტკივილების მიზეზები? სად იწყება ამ დიდი ტრაგედიის სათავე და, ბოლოს, სად უნდა იქნას მონახული მისი დასასრული, თუკი იგი არსებობს? — აი, იმ საკითხების მთელი გალერეა, რომლებიც პეჩორინის პიროვნების ანალიზის დროს ჩვენს წინაშე იჭრებიან და რომელთა გადაწყვეტა მთელი რომანტიკული სკოლის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს გაარკვევს. აქ საჭიროა მოკლე ლიტერატურული ექსკურსი, რომ უფრო ნათლად გავარკვიოთ ამ საკითხების დედაარსი.

1838 წელს ლერმონტოვმა დაწერა უძლიერესი ლექსი „Дума“, სადაც ისმის არა მარტო თვით ავტორის მთელი სულიერი ქვეყნის ხმაური, არამედ, რუსეთის 40-იანი წლების ახალგაზრდობის ერთი ნაწილის ისტორიული გოდება.

„Дума“-ში ლერმონტოვი თავის თაობას უსაყვედურებს, რადგან ისინი „Перед властью — презренные рабы“. მაგრამ ეს სოციალურ-პოლიტიკური მოტივი ლერმონტოვის პოეზიას ჯერ კიდევ ბავშვობის პერიოდიდან მოჰყვება. 1829 წელს, როცა ლერმონტოვი 15 წლისა იყო, მან დაწერა ლექსი „Портреты“, სადაც საკუთარი თავი „თავისუფლების მეგობრად“ გამოაცხადა. ამავე წელს იგი თავის სამშობლოს შესახებ ამბობს, რომ „იქ ობრაზ ადამიანი მონობისა და ბორკილისაგან“. ამ ახალგაზრდობას, რომელსაც თვით ლერმონტოვი გვიხატავდა, არ ჰქონდა მომავალი. ეს მომავალი ან ბინდით იყო მოცული

* «Избр. соч. Белинского», 1907 г., т. I, стр. 446.

ან წარმოადგენდა სიცარიელეს. ამიტომ იყო, რომ ამ ახალგაზრდობამ დაკარგა ოპტიმისტური რწმენა მომავლისადმი. პესიმიზმის ჭია დაეუფლა მის ყოფას და ჩაჰკლა პრაქტიკული ცხოვრებისადმი ძლიერი ინტერესი. ამ კლასის მთელი ეს ისტორიული აგონია ლერმონტოვმა დიდი მხატვრის ოსტატობით გამოხატა 45 სტრიქონიან ლექსში. აქ არის გენიალური მხატვრის მიერ მითითება ფაქტზე, მისი სრული დახასიათება, მაგრამ უგულებელყოფილია თვით ფაქტის კაუზალური მხარე:

«И царствует в душе какой-то холод тайный,
Когда огонь кипит в крови».*

ბელინსკიმ სამართლიანად შენიშნა, რომ ეს სიტყვები პირდაპირ პეჩორინს ეხებაო.** განა პეჩორინის პიროვნებაში მართლაც არ ღრღნის მის ყოფას ეს ორი მომენტი — სიცივისა და ცეცხლის მომენტი? ეს სიცივე ის „პირველი ადამიანია“, რომელსაც თვით პეჩორინმა მოქმედი — სიცოცხლისაკენ მიმსწრაფი უწოდა, ხოლო ცეცხლი „მეორე ადამიანია“, რომელიც აკრიტიკებს პირველს, მსჯავრი გამოაქვს მის ყოველ ნაბიჯზე, უარყოფს პირველის ინდიფერენტულ მოქმედებას, ინდიფერენტულ სწრაფვას სიცოცხლისაკენ. პეჩორინის პიროვნებაში მართლა რაღაც „სიცივეა საიდუმლოების“ როცა მის „სისხლში ცეცხლი დუღს“. ეს მომენტი დამახასიათებელია მთელი რომანტიზმისათვის, და ვისაც სურს ნამდვილად გაიგოს მთელი ამ მოვლენის არსი, ის აუცილებლად საფუძვლიანად უნდა გაეცნოს არა მარტო ქართულ ან რუსულ, არამედ, დასავლეთ ევროპის რომანტიკული სკოლის წარმომადგენლებს.

ლერმონტოვის მსგავსად, ბარათაშვილიც „ცხოვრების წყაროს“ ემუდარება — მისცეს მას „სადგური მუდროებისა“. საკუთარი თავი ბარათაშვილს წარმოდგენილი აქვს განსაცდელში, როცა საჭიროა დახმარე-

* М. Ю. Лермонтов, «Избр. стих.», 1933 г., стр. 62.
** «Избр. соч. Белинского», т. I, стр. 447.

ბა, მეგობრული ხელი — არა უძლური, არამედ უძლიერესი არსებისა:

„ნუ თუ მამასა არღა ჰქონდეს გულის ტკივილი,
ოდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შვილი?“*

თითქოს მუდარით ამბობს ბარათაშვილი. ეს პესიმისტური ჰანგი ზეციურ სინამდვილესთან კონფლიქტის გამომხატველია, რაც თავისებურად აისახა რომანტიკოსების ბნელ შემოქმედებაში. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ლერმონტოვის პოეზიაში „იმქვეყნიური სინამდვილიაკენ“ ლტოლვა, თავისი განვითარების მანძილზე, ამავე სინამდვილესთან კონფლიქტით დასრულდა, ხოლო საბოლოო ანგარიშში — მისი უარყოფით. ეს უარყოფის ჰანგი ძრაწაკლები სიძლიერით ისმის ბარათაშვილის პოეზიაში. თუ 1840 წელს ბარათაშვილი თავის ლექსში — „ჩემი ლოცვა“ გაუბედავი საყვედურით მიმართავს გულთამხილავს, სახიერს, სასუფეველს, 1841 წელს ლექსში — „სულო ბოროტო“, კატეგორიულ ბრძოლას უცხადებს იმ სინამდვილეს, რომელმაც წაართვა „სულის სიმშვიდე“ და მოუკლა „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“:

„ცხოვრების წყაროვ, მასვე წმიდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში სალმობანი გულისა სენთა!
არა დაჰკრონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!“**

მოკრძალებული თხოვნა „მყუდროების სადგურისა“ ბარათაშვილმა შესცვალა რადიკალური დაპირისპირებით ზეციური სინამდვილისადმი. მაგრამ ეს „სინამდვილე“ ძისთვის შემდგომ პერიოდში ია-ვარდით დაფენილი ან სულიერი სიმშვიდის ნავსაყუდელი კი არაა, არამედ, ბოროტი სულია. რომელმაც წაართვა მას თავისუფლება, სულის სიმშვიდე და ააცდინა ბედნიერების გზას. თუ ერთ დროს პოეტი მუდარით და თითქოს შემარიგებლური

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, 1922 წ., გვ. 27.
** იქვე.

ჰანგებით მიმართავდა იდეალურ ქვეყანას, თუ ამ მიმართვაში გარკვევით ჩანდა დაეჭვება და უკმაყოფილება, თუ იგი არწმუნებდა „გულთა მხილავს“, რომ მან წინასწარ იცის მისი ზრახვები და არაფერი დარჩენია მისთვის სათქმელად, რის გამო დუმილიც კი მისადმი ლოცვად უნდა მიეთვალოს, შემდგომ პერიოდში ყოველივე ეს პროტესტის სახეს იღებს და პოეტი მზადაა მებრძოლის პირდაპირობით მიმართოს ბოროტს. რომელმაც წაართვა მას ბედნიერება:

„წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად ვუმსხვერპლიდი, მივანდობდი, ჩემთ გულისთქმათა!
მას აქეთ არის დავუკარგე მშვიდობა სულსა,
და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!
განვედი ჩემგან, ჰე მაცდურო, სულო ბოროტო!
რა ვარ აწ სოფლად დამთენილი უსაგნოდ, მარტო,
ჰკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?
ვაი მას ვისაც მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი!“*

ასე ძლიერია ბარათაშვილის სულიერი ტრაგედია. ამ ტრაგედიასთან ძალიან ახლოა პეჩორინის. თვით ლერმონტოვის სულიერი ქვეყანა. განა პეჩორინიც „ჰკუით ურწმუნო“, „გულით უნდო“, „სულით მახვრალის“ ფილოსოფიას არ ავითარებს ყოველთვის, როცა იგი გულწრფელად მსჯელობს საკუთარი თავის შესახებ? განა პეჩორინი იმიტომ არ არის ასე ცინიკურად განწყობილი როგორც საზოგადოების, ისე ცხოვრებისადმი, რომ მას გზა დაუკარგეს, წაართვეს პიროვნული ღირსებები და გადააქცევს „ნაჯახად“, რომელიც ულმობლად ესხმის თავს მსხვერპლთ?

მაგრამ პეჩორინი მაინც დაშორებულია ბარათაშვილის სულიერ ტრაგედიას. მართალია, იგი მზადაა მტერთან საბრძოლველად, მოხარულია კიდეც, რომ „უყვარა მტრები, თუმცა არა ქრისტიანულად“, ისინი თავს აქცევინებენ მას, „სისხლს“ უღელვებენ, მაგრამ ესაა პეჩორინის არისტოკრატიზმი აზროვნებასა და მოქმედებაში, ნაწილობრივ მიდრეკილება ავანტიურისადმი, რომელიც, მარტივად თვით პე-

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები 1922 წ., გვ. 27.

ჩორინმა დაახასიათა: „მე ვლაპარაკობდი სიმართლეს, არ მიჯერებდნენ: დავიწყე მოტყუება“*. ცხადია, აქ მთელი უფსკრულია ბარათაშვილსა და პეჩორინს შორის. ბარათაშვილის პოეზიას არ ახასიათებს ასეთი ტენდენცია: ბოროტებას ბოროტებით უნდა უპასუხო. მისი პოეტური პროფილის დამახასიათებელია: არ ბრძოლა მოპირდაპირე ძალის წინააღმდეგ („სულო ბოროტო“), ან თავდადებული ზრუნვა პიროვნული და საზოგადოებრივი მორალის დასაცავად, შესანარჩუნებლად. „დაიმარხე მშვენიერება სულისა, — სწერს ბარათაშვილი მაიკოორბელიანს, — უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან“. პეჩორინს კი არ შეუძლია გულგრილად უყუროს „სხვათა ბედნიერებათა“. ის მზადაა თავს დაესხას ყველას ბედნიერებას, თუ წინ გადაეღობა ვინმე ცხოვრების გზაზე. უყვარს საკუთარი პიროვნული ყოფა. „ჩემმა უფერულმა ახალგაზრდობამ, — ამბობს პეჩორინი, — გაიარა ბრძოლაში საკუთარ თავთან და ქვეყანასთან; ჩემი საუკეთესო გრძნობები, მეშინოდა რა დაცინვის, დავმარხე გულის სიღრმეში. და ისინი იმგვარად ჩაკვდნენ“**. და პეჩორინი, რომელმაც დაკარგა „საუკეთესო გრძნობები“, ზოგჯერ მიზანტროპულ დამოკიდებულებაშია თავის ირგვლივ მოქმედ თუ მოფუსფუსე ბევრ ადამიანთან. მას სძულს, თავდავიწყებამდე სძულს, ქედმაღალი, მაგრამ ფრანტი გრუშნიცკი; იგი ირონიულად დასცინის მაქსიმ მაქსიმიჩის ჰუმანიურ გრძნობებს, სათამაშო ბურთად აქცევს ბელას, მერი ლიგოვსკაიას და ვერას. მოწინააღმდეგის პირველი შეტევისთანავე პეჩორინი მზადაა განადგურებით უპასუხოს მას. იგი მკაცრია და დაუნდობელი, პატივმოყვარე და გაქნილი, რად-

---

* М. Ю. Лермонтов, «Герой нашего времени», 1933 г., стр. 116.

** იქვე.

გან თვით მოუწესრიგებელმა ცხოვრებამ ასწავლა მას ყოფილიყო დაუნდობელი და დემონიურის მოყვარული. პეჩორინს ყველასათვის მხოლოდ უბედურება მოაქვს. ბარათაშვილის პოეზიაში კი ამის ნატამალიც არ მოიპოვება. აქ არის დაუცხრომელი ზრუნვა ადამიანებისათვის:

„მაგრამ მე ჩემში ვერ ვპოვებ ავსა.
მისს საშფოთველოს და საქენჯნავსა?"

ამბობს პოეტი. პეჩორინი კი ბოროტებას ბოროტებით უმასპინძლდება. მტრის პირველი შემოტევისთანავე იგი მზადაა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს მას. ბარათაშვილის მსოფლმხედველობა საკმაოდ შორსაა ასეთი კონცეფციისაგან.

პეჩორინის აზროვნებაში ცხოვრება ნეგატიურადაა წარმოდგენილი. მან ასეთი დასკვნა გამოიტანა სინამდვილიდან, ისე, როგორც იტალიელი ლეოპარდისათვის ცხოვრება დამნაშავეებისა და დანაშაულის თაიგულია, პეჩორინის აზრითაც ეს უკანასკნელი ბოროტი ადამიანებისა და მტრებისაგან შედგება. ეს მტრები შეთქმულებას აწყობენ პეჩორინის წინააღმდეგ, პეჩორინი კი მზადაა დაანგრიოს მათ მიერ „დიდი შრომით" შექმნილი გაიძვერობისა და ბნელი ზრახვების შენობა. ეს მტრები აიძულებენ პეჩორინს „ყოველთვის იყოს საგუშაგოზე, დაიჭიროს ყოველი გამოხედვა, თითოეული სიტყვის მნიშვნელობა, გაანადგუროს შეთქმულება" — „აი რას ვეძახი მე ცხოვრებას",* — ამბობს პეჩორინი. ადრე რომ არ მომკვდარიყო, ის უეჭველად ფანატიკური მეომარი იქნებოდა. რადგან ქვეყნად პეჩორინს ვერ უპოვნია მეგობარი, რადგან იგი ირგვლივ მხოლოდ მტრების შეთქმულებასა და მათ ბოროტ სახეებს ხედავს, თვითონაც მზადაა ყველას ბოროტებით უპასუხოს, ისე, როგორც გრუშნიცკის. პეჩორინი ხომ თვით ქალებთანაც დემონიურია. ის საკუთარი პირით ამბობს, რომ იმ ქალებისთვისაც კი, რომელნიც მას უყვარდა, არავითარი

* М. Ю. Лермонтов, «Герой нашего времени», 1933 г., стр. 123.

ბედნიერება არ მოუტანია. სწორედ ამიტომ უსაყვედურებს პეჩორინს ვერა: „მითხარი, — ეუბნება პეჩორინს ვერა, — ...ძალიან გახარებს ჩემი წვალება? მე ხომ უნდა მძულდე? იმ ხნის განმავლობაში, რაც ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ, არაფერი არ მოგცია, გარდა ტანჯვისა... „შეიძლება“, გავიფიქრე მე: „შენ სწორედ იმიტომაც გიყვარდი: სიხარული დავიწყებას ეძლევა, ხოლო მწუხარება არასოდეს...“* ასეთ პასუხს აძლევს პეჩორინი ვერას. მისი აზრით, „საოცარი საგანია ადამიანის გული საერთოდ და ქალისა განსაკუთრებით“.

როგორც ვთქვით, პეჩორინი ნეგატიურად უყურებს ცხოვრებას. ცხოვრება ამაოა და ფუჭი, — ასეთია პეჩორინის თვალსაზრისი. ექიმ ვერნერთან საუბარში პეჩორინმა პირდაპირ განაცხადა, რომ საკუთარ დაბადებას იგი უბედურებას უწოდებს. აი ფრაგმენტი ამ საუბრიდან:

„...დარწმუნებული ვარ მხოლოდ ერთ რამეში“... — სთქვა ექიმმა.

სახელდობრ? — ვკითხე მე, მინდოდა რა გამეგო აზრი ადამიანისა, რომელიც აქამდის სდუმდა.

„იმაში, — მიპასუხა მან, — რომ ადრე თუ გვიან, ერთ მშვენიერ დილას მოვკვდები.

— თქვენზე მდიდარი ვარ, — ვუპასუხე მე: — ჩემთვის გარდა ამისა, კიდევ არის რწმენა, სახელდობრ ის, რომ ერთ მშვენიერ ღამეს მქონდა უბედურება დავბადებულიყავი“**.

განა სკეპტიციზმს ამაზე მეტის თქმა შეუძლია? ეს არ არის პეჩორინის არტისტიზმი ან ენაზე მომდგარი სიტყვიერი მასალა. იგი ბოლომდის იცავს ამ აზრს, მისთვის ბოლომდის უბედურებაა ამქვეყნად ცხოვრება.

სწორედ პეჩორინის სულის ერთ ძირითად მხარეს კარგად გამოხატავს ლერმონტოვის „იალქანი“, რომელიც მთელ

---

* М. Ю. Лермонтов. «Герой нашего времени», 1933 г., გვ. 95.

** იქვე, გვ. 85—86.

რომანტიულ პოეზიაში ერთ-ერთ უძლიერეს ლექსად არის მიჩნეული. რით ხასიათდება ეს ლექსი?

ლერმონტოვმა ლექსში — „Парус“ ძიების მხატვრული სახე შექმნა. მისი იალქანი არც ბედნიერებას ეძებს და არც გარბის ბედნიერებისაგან. ეს აჯანყებული იალქანი ითხოვს ქარიშხალს, „თითქო ქარიშხალში იყოს სიმშვიდე“.

„ქარიშხლის ძმას ვუწოდებდი ჩემს თავსო“, — ამბობს ლერმონტოვი ერთერთ ლექსში. ეს კი მისი „იალქანის“ ლოგიკური დასკვნაა; ეს გაგრძელებაა პეჩორინის იმ გოდებისა, რომელიც ასე აშკარად ისმის მისი სიტყვებიდან საკუთარი თავის შესახებ. პეჩორინიც ხომ თავისი თავი იმ მეზღვაურს შეადარა, რომელიც დაბადებული და აღზრდილია „ყაჩაღთა გემის ბაქანზე“. რა უნდა უყვარდეს მეზღვაურს, თუ არა მრისხანე ზღვა და მისი ზვირთების დაუცხრომელი ღელვა? რა უნდა შეადგენდეს მეზღვაურისათვის იმაზე მეტ ბედნიერებას, რომ ზღვის ტალღებს ებრძოლოს და გემი უვნებლად მიიყვანოს ნაპირზე? ლერმონტოვსაც უყვარს ეს ქარიშხალი. მისი იალქანი, ეს ამბოხებული იალქანი „ითხოვს ქარიშხალს, თითქოს ქარიშხალში იყოს სიმშვიდე“. თვით პეჩორინის პირადი ავანტიურებიც, ეს ხომ ცხოვრების ქარიშხლის ძიებაა, რომელსაც უნდა გაენელებინა მისთვის ურვა და მიეცა სიმშვიდე. ვერავინ ვერ იტყვის, რომ პეჩორინი არ გრძნობს ერთგვარ კმაყოფილებას, როცა მისი დემონი წარმატებას მოიპოვებს. ბელას გატაცება, მასთან ერთად ცხოვრება, თვით მისი განშორებაც პეჩორინისათვის ერთგვარი კმაყოფილებაა. და რა მწვავე უნდა ყოფილიყო ჰუმანური იდეებით გატაცებული პატარა მაქსიმ მაქსიმიჩის დიდი მწუხარება, როცა გლოვის მომენტში მან შეხედა პეჩორინს, რომელიც ასე სარკასტულად დასცინოდა არა მარტო ცხოვრებას. არამედ ბელას სიკვდილსაც კი? განა გრუშნიცკისთან დუელი, გრუშნიცკის დაღუპვა, მერი ლიგოვსკაიას ასე სასაცილოდ აგდება იმას არ ნიშნავს, რომ პეჩორინი, ეს თავისებური გაგებით ამბოხებული პიროვნება, „ითხოვს ქარიშხალს, თითქოს ქარიშხალში იყოს სიმშვიდე“?

ჩვენის აზრით, თვით ლერმონტოვიც ამბოხებულია, როგორც პიროვნება და პოეტი. ასეთია მისი პოეზია, პროზა, თითოეული მოქმედი პირი, დრამატურგია.

მაგრამ არსებობს მეტად ყალბი შეხედულება, რომელსაც სათავე მისცა ა. პ. შან-გირეიმ. თავის მოგონებაში ლერმონტოვის შესახებ, იგი წერს, რომ 1829-33 წლებში ლერმონტოვის მიერ დაწერილი ლექსების პესიმისტური და სკეპტიკური ხასიათი აიხსნება არა პოეტის საზოგადოებრივ-პიროვნული ყოფით, არამედ, ბაირონის პოეზიის გავლენით თ. მოვუსმინოთ თვით შან-გირეის: „საერთოდ, ლერმონტოვის ამ ეპოქის, ე. ი. 1829-33 წლამდის დაწერილი ნაწარმოებების დიდი ნაწილი ატარებს სკეპტიციზმის, მოწყენილობისა და უიმედობის დაღს, მაგრამ სინამდვილეში ეს გრძნობები მისგან შორს იყო".* შან-გირეის აზრით, ბაირონმა გამოიწვია ლერმონტოვის ლექსებში პესიმისტური და სკეპტიკური განწყობილება, ხოლო თვით ლერმონტოვი შორს იყო ასეთისაგან. ცხადია, ლერმონტოვი ძლიერ კარგად იცნობდა ბაირონს შემოქმედებით. ინგლისელი პოეტის რამდენიმე ლექსი მან კიდეც თარგმნა. მაგრამ, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ პოეტის შინაგანი ბუნება ამ განხრით შევაფასოთ და არ მოვნახოთ გოდებისა და სკეპტიციზმის სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლები, რომლებიც ლერმონტოვის პოეზიაშია ასახული. კონდრატი რილეევიც იცნობდა ბაირონის პოეზიას, მაგრამ ბაირონისტული სევდა არ ახასიათებს მის ლექსებს. არ შეიძლება ლერმონტოვი შორს მდგარიყო იმ განცდებისაგან, რომლებიც მის პოეზიაში ასე მძლავრი და ძლიერია. მაშინ ის იქნებოდა არა შემოქმედი, ხელოვანი, არამედ, ლიტერატურის ისეთი ტიპის ოსტატი, რომელიც, მართალია, ქმნის, მაგრამ არ განიცდის შექმნილს. და რა შორსაა ლერმონტოვი ასეთი ტიპის შემოქმედისაგან! მისი პოეტური სახის ეს უტყუარი თვისება მოხდენილად შენიშნა ტურგენევმა თავის მოგონებაში: „Внутренно Лермонтов, вероятно, скучал глу-

* А. П. Шан-Гирей, «М. Ю. Лермонтов».

ნოკო". ლერმონტოვი. მართლაც, ღრმად იყო მოწყენილი მაშინაც კი, როცა პეჩორინის მსგავსად „მისი თვალები არ იცინოდნენ, როცა ის იცინოდა". ტურგენევმა დაკვირვებული რომანისტის იშვიათი მიხვედრით მიუთითა ამაზე.

სულიერი სიმშვიდის ძიება, როგორც ბარათაშვილის, ისე ლერმონტოვის პოეზიაში იხრება ქარიშხლისაკენ, მოქმედებისაკენ, და პეჩორინიც, რომანტიკოსის მანტიაში გახვეული, სულიერი სიმშვიდის ნაცვლად, ქარიშხალს ეტრფის. პეჩორინი ვერ ურიგდება წყნარ სიხარულს და სულიერ სიმშვიდეს. განა მან თვითონვე არ დაგმო მერი ლიგოვსკაიას მიერ შეთავაზებული ბედნიერება? მას ხომ შეეძლო მოეპოვებინა სულიერი სიმშვიდე მერისთან? მაგრამ არა, იგი ამ სიმშვიდეს ვერ მოიპოვებდა.

„და, აი ახლა აქ, ამ მოსაწყენ ციხეში, — ამბობს პეჩორინი. — ხშირად. აზრით გავინავარდებ რა წარსულში, ვეკითხები ჩემს თავს: რატომ არ მიხდომდა დავდგომოდი ამ გზას, რომელიც გამიხსნა ბედმა, სადაც მელოდა წყნარი სიხარული და სულიერი სიმშვიდე?.. არა, მე ვერ შევურიგდებოდი ამ ბედ-იღბალს! ისე როგორც მეზღვაური, მე დაბადებული და აღზრდილი ვარ ყაჩაღთა გემის ბაქანზე: მისი სული შეუთვისდა ქარიშხალს და ბრძოლას, და გარიყული ნაპირზე იგი მოწყენილია და იტანჯება, როგორც არ უნდა უხმობდეს მას ხეივნის ჩრდილი, როგორც არ უნდა უნათებდეს მშვიდობიანი მზე; იგი მთელი დღეების განმავლობაში დადის ქვიშიან ნაპირზე, ყურს უგდებს მოხეთქილი ტალღების ერთფეროვან ხმაურს და გასცქერის ნისლოვან სივრცეს: ხომ არ გამოჩნდება იქ მკრთალ ხაზზე, რომელიც ჰყოფს ცისფერ უფსკრულს რუხი ღრუბლებისაგან, სანატრელი იალქანი ზღვის დედამთვრალას ფრთის მსგავსი, რომელიც თანდათან სცილდება ტალღების ქაფს და სწორი სვლით უახლოვდება უდაბურ ნავსადგურს..."*

პეჩორინი საკუთარი მხრებით ატარებს თავისი კლა-

* М. Ю. Лермонтов, «Герой нашего времени», 1933 г., стр. 161.

სის ტკივილებს. თვით ლერმონტოვის მხატვრული შემოქმედება ამ განცდების უძლიერესი მხატვრული უკუფენაა. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის არისტოკრატია, რომელმაც 1825 წლის 14 დეკემბერს საკუთარი თვალით დაინახა სენატის მოედანზე მოძხდარი აჯანყება, რომელიც გრძნობდა, თუ როგორ უტევდა მის ისტორიულ პრივილეგიებს სრულიად ახალი ძალა, მისი მესაფლავე კლასი. შეუძლებელი იყო სიმშვიდეს მისცემოდა და განსვენების ადგილზე ფეხი მოერთხა. ამ განწყობილებას გამოხატავს პეჩორინი. მან უარი თქვა მერი ლიგოვსკაიას სიყვარულზე. პეჩორინისათვის მისი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება „გემია“, და ამ გემის ბაქანზე დაიბადა ის. მაგრამ დაბადება ხომ ჯერ კიდევ ყველაფერს არ ნიშნავს. „ამავე გემის ბაქანზე აღვიზარდეო“, — ამბობს პეჩორინი. ეს აშკარად ალეგორიული ფორმით გამოთქმული პროტესტია თავისი თანამედროვე საზოგადოებრივი ყოფის მიმართ. ეს პროტესტი მთელი რომანტიზმის სოციალური სარჩულია, რომელმაც განსხვავებულად მოგვცა იტალიაში ჯაკომო ლეოპარდის პესიმისტური ლირიკა, ინგლისში ბაირონის ჭწუხარე პოეზია, ხოლო საქართველოში ბარათაშვილის „სულო ბოროტო“. პეჩორინი ამბობს, რომ მისი „სული შეუთავსდა ქარიშხალს და ბრძოლებს“, რომ „წაპირზე გარიყული“, იგი „მოწყენილია და იტანჯება, როგორც არ უნდა უხმობდეს მშვიდობიანი მზე“. აქ პეჩორინის პირით ლერმონტოვის მთელი სულიერი და პოლიტიკური ქვეყანა ლაპარაკობს. ერთი მხრით — გზის ძიება სულიერი სიმშვიდისაკენ, როცა პეჩორინი ცდილობს მოიგოს მერის გული, მეორე მხრით — ამ გზის უარყოფა, როცა მერი ლიგოვსკაია მზადაა არისტოკრატიული სინაზე წუთით გვერდზე გადადოს და დაიძახოს: „Я вас ненавижу...“ ამავე დროს, პეჩორინის გულწრფელი სიტყვები, რომ ის ვერ შეურიგდებოდა ამ ბედ-იღბალს, — ისტორიულად განწირული ფეოდალური არისტოკრატიის მწვავე კლასობრივი აგონიაა.

ნიკოლოზ ბარათაშვილიც მიისწრაფვის სულიერი სიმშვიდისაკენ, ეძებს მყუდროების ქვეყანას, მაგრამ იგი ვერ

უპოვნია და ბოლოს იძულებული ხდება მოქმედების ფილოსოფიას დაუბრუნდეს. „ფიქრნი მტკვრის პირას“ ეპილოგი და „მერანი“-ს ძახილი, რომ მის მიერ გათელილი „გზა მაინც დარჩება“, — ლოგიკური დასკვნაა, რომელიც ნათლად გამოხატავს ბარათაშვილის პოეზიის მთელ შინაგან ბუნებას.

ბარათაშვილმა ეგოისტური ცხოვრებისა და ადამიანების ყალბ მისწრაფებათა უარყოფასთან ერთად, ისევ ცხოვრების, ადამიანთა მისწრაფებების გაკეთილშობილების, გაუმჯობესების ოპტიმისტური დეზიი წამოაყენა. თუ ბარათაშვილი, ერთი მხრით, იდაყვდაყრდნობილი ყურს უგდებს მტკვრის ჩხრიალს და გოდებას:

„ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!..
არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდ ამაოება?
მაინც რა არის ჩვენი ყოფა — წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?“*

მეორე მხრით, იგი რეალური ქვეყნის, ადამიანთა ეგოისტური მისწრაფებების უარყოფის გვერდით ჯანსაღ, ოპტიმისტურ განწყობილებებს გამოხატავს:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!“

თუ „მერანში“, ერთი მხრით, არის გაქცევა ობიექტური რეალობიდან, მეორე მხრით, იქ ისმის მებრძოლი სმა, არა ქედის მოხრა პრაქტიკული ცხოვრების წინაშე, არამედ, მასთან ბრძოლის ფილოსოფია. ბარათაშვილი ბიძართავს თავის მერანს — „გაჰკვეთოს ქარი, გააპოს წყალი, გადაიაროს კლდენი და ღრენი“ და მოუთმენელ პოეტს „შეუ-

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, 1922 წ., გვ. 17.

მოკლოს სავალნი დღენი". ასეთი მაჟორული ძახილით ძიმართავს ბარათაშვილი თავის მერანს:

„ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაჭანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!
რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა,
ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილმოუბარსა, —
სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო;
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!
კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას,
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!
გასწი, მერანო, შენს ჰენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!"*

პოეტი შორდება თავის მამულს და მისი სურვილია არ დაიმარხოს „წინაპართა საფლავებს შორის", არ დაიტიროს მისმა სატრფომ და „არ დაეცეს ცრემლი მწუხარის". მას ურჩევნია მდელოთა შორის ტიალი საფლავი გაუთხაროს შავწა ყორანმა და ქარიშხალმა, ძვლებად ქცეულს, ზარით, ღრიალით მიწა მიაყაროს. პოეტის ოცნებაა:

„სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა, დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად, მივალალებენ სავანი მყივარნი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გადამატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი".

პოეტი დარწმუნებულია, რომ ეს თავგანწირული ბრძოლა, უშიშარი მერანის თავდადებული ჰენება უქმად არ ჩაივლის და მის მიერ გათელილი გზა მაინც დარჩება, რომელზედაც გაუადვილდება სვლა თანამოძმეს:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება.
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს."**

ასეთია ის ოპტიმისტური იდეები, რომლებიც ბარათაშვილმა მოხდენილად შეათავსა პესიმიზმთან,

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, 1922 წ., გვ. 40.

** იქვე, გვ. 41.

როგორც ლერმონტოვმა რ ე ა ლ უ რ ი სინამდვილის უარყოფის ტენდენცია — ი დ ე ა ლ უ რ სინამდვილესთან.

აი, ეს ო რ გ ვ ა რ ი თვალსაზრისი ანუ მიდგომა ბოველნებისა და საგნებისადმი დამახასიათებელია რომანტიკოსების მხატვრული შემოქმედებისათვის. გარდამავალი პერიოდი, როცა ჯერ კიდევ მთლიანად და სავსებით არ არის მოხსნილი წინა პერიოდი, ხოლო მომავალს ჯერ კიდევ ვერ უპოვნია თავისი სრულყოფილი სახე, წინაპერიოდის წარმომადგენელის შემეცნებაში ამ ორგვარობის საფუძველს ქმნის. ასე შეაფასეს მ ა რ ქ ს მ ა და ე ნ გ ე ლ ს მ ა გოეთეს მხატვრული შემოქმედება. გ ო ე თ ე თავის ნაწარმოებებში მართლაც ო რ გ ვ ა რ ა დ უდგებოდა იმდროინდელ გერმანულ საზოგადოებას. ერთის მხრივ, ის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი იყო მისი, ცდილობდა მისგან გაქცევას, მხედრდებოდა მის წინააღმდეგ, როგორც გ ე ც ი და ფ ა უ ს ტ ი, როგორც პ რ ო მ ე თ ე ა ამხედრებული ზევსის წინააღმდეგ, ხან კიდევ მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი ვ ი თ მწარედ დასცინოდა მას, მეორეს მხრივ კი მეგობრობდა და უ რ ი გ დ ე ბ ო დ ა ამ საზოგადოებას.

მარქსმა და ენგელსმა ასე ბრწყინვალედ დაახასიათეს გოეთეს ორმაგი ბუნება. თავისი სპეციფიკური ფორმით ორმაგი ბუნება ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი ს მხატვრულ შემოქმედებაშიც აისახა. თუ ლერმონტოვი თავის ერთერთ უკანასკნელ ლექსში — „მ შ ვ ი დ ო ბ ი თ დ ა უ ბ ა ნ ე ლ ო რ უ ს ე თ ო“ სამუდამოდ შორდება ნიკოლოზ პალკინის რუსეთს, თუ ჯერ კიდევ პ უ შ კ ი ნ ი ს გარდაცვალებასთან დაკავშირებით ლერმონტოვმა ნიღაბი ჩამოგლიჯა ნიკოლოზ პირველს და მის ირგვლივ შემოკრებილ ფეოდალურ არისტოკრატიას, ამაყ დროს, ის პ ა თ ე თ ი უ რ ა დ ახასიათებს იმ ჯარისკაცს, რომელიც სიკვდილის წინ შემდეგ ანდერძს სტოვებს:

«Скажи им, что навылет в грудь
Я пулей ранен был.
Что умер честно за царя,
Что плохи наши лекаря.
И что родному краю
Поклон я посылаю».

(«Завещание»).

და როგორ უნდა შევათავსოთ ამ ჰანგთან ასეთი სიტყვები:

«Прощай, немытая Россия,
Страна рабов, страна господ,
И вы, мундиры голубые,
И ты, послушный им народ.
Быть может за хребтом Кавказа,
Укроюсь от твоих пашей,
От их всевидящего глаза,
От их всеслышащих ушей»*.

ლერმონტოვმა წინასწარი პირობები შეუქმნა რევოლუციონერ-დემოკრატებს. დეკაბრისტების აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, როცა გაუგონარი სისასტიკით ამოქმედდა ნიკოლოზ პალკინის მესამე განყოფილება, „ინტელიგენციის თვალში... ჟანდარმის მუნდირი თითქოს აერთიანებდა ყველაფერს ნიკოლოზის ეპოქისას. ეს კარგად გამოიხატა ლერმონტოვის ცნობილ ლექსში „მშვიდობით დაუბანელო რუსეთო“, — წერდა ერთი მეცნიერი. იგი ფიქრობდა, რომ ლერმონტოვი არ იყო რევოლუციონერი, მაგრამ მის პოეზიაში თავისებური გამოძახილი ჰპოვეს დეკაბრისტულმა იდეებმა. ახალგაზრდა ლერმონტოვის ლექსი „К***“ ამ დებულების ნათელი ილუსტრაციაა. ამასვე ადასტურებს მისი მთელი რიგი ნაწარმოებები და განსაკუთრებით ლექსი „პუშკინის გარდაცვალებაზე“.

როგორც აღვნიშნეთ, ორი ისტორიული ფაქტი უძღოდა წინ ბარათაშვილისა და ლერმონტოვის პოეზიას: დეკაბრისტების აჯანყება სენატის მოედანზე 1825 წელს და 1832 წლის თავადაზნაურული შეთქმულება საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

დეკაბრისტების აჯანყებამ, მიუხედავად მისი სრული დამარცხებისა, შეიძლება ითქვას კატასტროფისა, გარკვეული კვალი დააჩნია რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების ის-

* М. Ю. Лермонтов, «Избр. стих.», 1933 г., стр. 114.

ტორიას. პრაქტიკულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მართალია, მას რეალური შედეგები არ მოჰყოლია, ოდნავაც კი არ შეუცვლია რუსეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სისტემა, მონარქიული წყობილება ისევ მონარქიულ წყობილებად დარჩა, მაგრამ სულიერი ცხოვრების დარგში მან თვალსაჩინო როლი შეასრულა. გერცენის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, სენატის მოედანზე დეკაბრისტების გამოსვლა 1825 წელს თითქოს ელვა იყო ღამის წყვდიადში, როგორც ცოტა ხნის შემდეგ კვლავ შეარხია თვითმპყრობელობის დახუთული ატმოსფერო ჩაადაევის „ფილოსოფიური წერილებმა". რუსული რომანტიზმისათვის როგორც დეკაბრისტების გამოსვლას, ისე ჩაადაევის „ფილოსოფიურ წერილებს" დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საკმარისია გავიხსენოთ პუშკინის ლექსები, მიძღვნილი დეკაბრისტებისადმი, და მისივე სახელგანთქმული ლექსი „ჩაადაევს".

საქართველოში 1832 წლის შეთქმულებამ თითქოს ანალოგიური როლი შეასრულა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას უფრო ნაციონალურ-პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე წმინდა სოციალურ-პოლიტიკური. ეს შეთქმულებაც კატასტროფით დამთავრდა. მასაც არავითარი პოლიტიკური ცვლილება იმდროინდელი საქართველოს ყოფაში არ გამოუწვევია. სახელმწიფოებრივი წყობილება არათუ შეუცვლია, არც კი შეურყევია. მაგრამ ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში 1832 წლის შეთქმულებამ უდავოდ მნიშვნელოვანი კვალი გაავლო, და ამდენად, მას არ შეიძლება გარკვეული ყურადღება არ მიექცეს. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ იმდროინდელი მოწინავე ინტელიგენციის ყველაზე თვალსაჩინო ნაწილი შეთქმულების მონაწილე, მასთან დაკავშირებული ან თანამგრძნობი აღმოჩნდა. ისეთი ბრწყინვალე ნიჭის მქონე ადამიანი, როგორიც სოლომონ დოდაშვილია, რუსულ ენაზე ლოგიკის პირველი სახელმძღვანელოს ავტორი, შესანიშნავი ლიტერატურული კრიტიკოსი და ფილოსოფოსი, შეთქმულების ერთერთი ყველაზე აქტიური ხელმძღვანელი იყო. 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი

იყვნენ იმ დროს უკვე ცნობილი მწერლები: სოლომონ რაზმაძე, გრიგოლ ორბელიანი და ბერი ფილადელფოს კიკნაძე. შეთქმულებაში მონაწილეობისათვის სასიკვდილო განაჩენი ელოდათ ალექსანდრე და ეახტანგ ორბელიანებს. მძიმე ხვედრი გაიზიარა ასალგაზრდა გიორგი ერისთავმა, როგორც შეთქმულების მონაწილემ, რომელმაც სამშობლოს მოშორებით გამოწვეული გოდება კარგად გამოხატა თავის ლექსებში. 1832 წლის შეთქმულების გამო დაპატიმრებული იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე, მაშინ უკვე გენერლის ჩინის მქონე, რომელსაც შეთქმულები მინისტრის პოსტს უმზადებდნენ. უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იმ გარემოებას, რომ ბარათაშვილის ნათესავთა და ახლო მეგობართა შორის ბევრი იყო შეთქმულების მონაწილე. თვით ბარათაშვილი ამ დროს არ შეიძლებოდა არ მოქცეულიყო იმ სულიერი ატმოსფეროს ძლიერი გავლენის ქვეშ, რომელიც მაშინ სუფევდა და რომელიც ჩვენ უკვე გავიცანით პოეტის ცხოვრების აღწერაში.

ამდენად, როცა რომანტიზმის საკითხს ვეხებით, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ სენატის მოედანზე 1825 წელს დეკაბრისტების გამოსვლის მნიშვნელობას რუსული რომანტიზმის, ხოლო 1832 წლის შეთქმულებას ქართული რომანტიზმის განვითარებისათვის.

ასეთი იყო საქმის ფაქტიური ვითარება. ლერმონტოვისა და ბარათაშვილის შემოქმედების განხილვა კი გვარწმუნებს, რომ მათ ბევრი რამ ჰქონდათ საერთო როგორც ისტორიული პირობების მომზადების, ისე პოლიტიკური დაძაბულობის მხრივაც. 1825 წლის შეთქმულება რუსეთში, ხოლო 1832 წლის შეთქმულება საქართველოში, მათი განსხვავებული ხასიათის მიუხედავად, ისტორიულად წინუსწრებდნენ ლერმონტოვისა და ბარათაშვილის მხატვრული შემოქმედების ფორმირებას, მაგრამ, თუ მწერალი სინამდვილის გამომხატველია, რითაც მსჯავრსა სდებს ამავე სინამდვილეს, შეუძლებელი იყო მათ შემოქმედებაში ერთგვარი გამოძახილი არ ეპოვა ამ ორი ისტორიულ მომენტს. არ შეიძლე-

ბა ეჭვი ვიქონიოთ, რომ პირველმა თავისებური გავლენა იქონია ლერმონტოვის პოეზიაზე, ხოლო მეორეს არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ბარათაშვილისათვის. როცა ლერმონტოვი ამათრახებდა ნიკოლოზ პალკინის თვითმპყრობელურ რეჟიმს, და რომანტიკულად, ერთგვარი სიამაყით წარმოიდგენდა ბოროდინოს ბრძოლას, ბარათაშვილი მუხლმოდრეკილი იდგა მეფე ერეკლეს საფლავთან და სოფიოს სიტყვებით აღფრთოვანებული ძველ დედებს მოუხმობდა ასე ღრმა და გულწრფელი სიმპათიით:

„პოი დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილ სახსოვარნოს!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ"!*

ეს იყო წარსულის განდიდების ჰიმნი, ისევე როგორც რომანტიკოსებმა გააიდეალეს წარსული და კერპად აქციეს მისი ადამიანები.

მაგრამ წარსულის გაიდეალებამ ისევე ვერ მისცა რომანტიკოსებს ვერაფერი, როგორც იდეალური ქვეყნის ძიებამ. ისინი ბუნებასაც მიმართავდნენ სულიერი წუხილისა და ურვის დროს. ბუნება მათთვის მეგობარი და სულის მესაიდუმლე იყო. ლექსში — „შემოღამება მთაწმიდაზედ" ბარათაშვილმა ხომ პირდაპირ განაცხადა, რომ მისთვის მთაწმიდა „გულ-დახურულთა მეგობარია":

„მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვნოს და არ დაჰხსნას გულსა ვაება,
გულ-დახურულთა მეგობარო, მთაო ღრუბლიანო!"**

და არა მარტო ბუნება, სიყვარული გაიდეალებულია რომანტიკოსი პოეტების მხატვრულ შემოქმედებაში.

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები..., 1922 წ., გვ. 84.
** იქვე, გვ. 7.

ისინი გუნდრუკს უკმევენ ა პ ო ლ ო ნ ი ს მადლს და სატრფოს ერთგულებას ეფიცებიან. ამიტომაც არის, რომ ლექსში „ღამე ყაბაჩზედ“ ბარათაშვილი ამბობს:

„ჰგმადლობთ, მითხრა მან, რომ თქვენ მაინც გახსოვართ კიდევ: ახლა მოდაა, ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ“.
„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები ვერ მომიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები“.*

დ რ ო ხომ ყველაზე უფრო მეტად აშინებდა რომანტიკოსებს; დ რ ო ხომ ყოფის ის უძლიერესი პირობაა, რომელმაც ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი კუნძულ ელბაზე გადაისროლა, სენატის მოედანზე გაათამაშა დ ე კ ა ბ რ ი ს ტ ე ბ ი ს შემაძრწუნებელი ტრაგედია, გილიოტინის სათამაშო ბურთად აქცია ერთ დროს მისი მბრძანებელი რ ო ბ ე ს პ ი ე რ ი და მრავალჯერ ძირს დაამხო მეფეების გვირგვინი, — ასეთია დ რ ო რომანტიკოსების გაგებით. მაგრამ მის წინაშეც არ უნდა იცვლიდეს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თავის სახეს. ამ ძალისაც არ უნდა ეშინოდეს მას, და თუ შეეშინდება ან შეიცვლის სახეს, იგი დაკარგავს უფლებას თავის თავზე, — ასეთია ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს შემეცნებაში. მაგრამ ასეთ სიყვარულს რომანტიკოსებმა ვერ მოუნახეს ადგილი რეალურ სინამდვილეში. ისინი მაინც მარადიული სიყვარულის ძიებაში იყვნენ. და თუ ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი, ერთის მხრივ, სარკასტულად დასცინის თავის შეყვარებულს, ირონიულად მადლობას უძღვნის მას ყველა იმისათვის, რითაც ის მოტყუებული იყო ცხოვრებაში, მეორეს მხრივ, უმღერის „მ კ ვ დ რ ი ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს“ და ეფიცება თავის სატრფოს: „ო, მ ე გ ო ბ არო, ჩ ე მ ი ს უ ლ ი ყ ო ვ ე ლ გ ა ნ დ ა ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს შ ე ნ თ ა ნ ა რ ი ს“. მაგრამ ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი მარტო ამით როდი კმაყოფილდება. ის კატეგორიულად აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ მის სატრფოს არა აქვს სხვა ადამიანის შეყვარების უფლება: „შ ე ნ ა რ უ ნ დ ა გ ი ყ ვ ა რ დ ე ს ს ხ ვ ა, ა რ ა, ა რ უ ნ დ ა გ ი ყ ვ ა რ დ ე ს“, — ეუბნება ლერმონტოვი თავის სატრფოს.

---

* ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, „ლექსები...“, 1922 წ., გვ. 15.

მაგრამ როგორ უნდა ავხსნათ იმ პესიმიზმის საფუძველი, რომელიც მოცემულია ბარათაშვილსა და ლერმონტოვის პოეზიაში? როგორ უნდა განვიხილოთ ბარათაშვილისა და ლერმონტოვის პოეზიის პესიმისტური ხასიათი მათ ოპტიმისტურ ჰანგებთან ერთად? ან რა საფუძველზე წარმოიშვა ის ურვა და გოდება, სკეპტიციზმი და პესიმიზმი, რომელიც ასე ამკარად გვევლინება ბარათაშვილისა და ლერმონტოვის პოეზიაში?

პესიმიზმის ისტორიული საფუძვლების შესახებ ლენინმა ამომწურავი პასუხი მოგვცა: „პესიმიზმი, წინააღუდგომლობა, აპელაცია „სულისადმი“ არის იდეოლოგია, რომელიც აუცილებლად აშკარავდება ისეთ ეპოქაში, როცა მთელი ძველი წყობა „გადატრიალდა“, და როცა მასა, რომელიც აღიზარდა ამ ძველ წყობაში, დედის რძესთან ერთად შეიწოვა ამ წყობის საწყისები, ჩვევები, ტრადიციებიც, რწმენანი, ვერ ხედავს და არ შეუძლია დაინახოს — როგორია „მყარებადი“ ახალი წყობა, როგორია საზოგადოებრივი ძალები და სახელდობრ როგორ „ამყარებენ“ მას. როგორ საზოგადოებრივ ძალებს შეუძლიათ მოიტანონ ხსნა აურაცხელ, განსაკუთრებულად მწვავე უბედურებათაგან, რომელიც მოდგამს „მსხვრევის“ ეპოქას“.*

ასეთია პესიმიზმის საფუძვლების, მისი ხასიათის მეცნიერული ახსნა.

*

თუ დავაკვირდებით პესიმიზმის ხასიათითაც კი ლერმონტოვისა და ბარათაშვილის პოეზია ლეოპარდის, ნოვალისის, მიუსესა და ტიკისაგან განსხვავებით, საბრძოლო განწყობილებით გამოირჩევა. იქ, სადაც ლეოპარდი გულხელდაკრეფილი უყურებდა ობიექტურ სინამდვილეს, სადაც მას არ შეეძლო მაღალი სიტყვა ეთქვა და წარსულის ნაცვლად მომავლისაკენ

* იხ. ლენინი, „ლ. ნ. ტოლსტოი და მისი ეპოქა“.

მიეთითებინა საზოგადოებრივი აზრისათვის, ბარათაშვილი და ლერმონტოვი, თუ ერთის მხრივ, წარსულისაკენ იცქირებოდნენ, აიდეალებდნენ მას და უგალობდნენ დიდებას, მეორეს მხრივ, ოცნებობდნენ მომავალზე. ლერმონტოვმა მონურად როდი მოიხარა ქედი ნიკოლოზ პალკინის თვითმპყრობელური რეჟიმის წინაშე; მან სასტიკად გაკიცხა დეკაბრისტებისა და პუშკინის დამღუპველი მეფე. ბარათაშვილმა ფუჭი ცხოვრების, ადამიანის ბრმა, ხარბი მისწრაფებების უარყოფასთან ერთად, მოქმედების, წინსვლის, ბრძოლის ფილოსოფია შეიმუშავა, რითაც თვითონვე შეუნგრია მკერდი თავის პოეზიაში ოკეანის ხომალდივით შეჭრილ პესიმიზმს.

ასეთია ბარათაშვილისა და ლერმონტოვის პოეზიის ზოგადი ხასიათი, ამ ორი დიდი პოეტის მბატვრული შემოქმედების პროფილი.

*

ლიტერატურის ისტორიას რომ არ მოეპოვებოდეს მასალა, რომელიც ცხადყოფდა ლერმონტოვისა და ბარათაშვილის სიახლოვეს, ჩვენ შეგვეძლო ბარათაშვილის ბახტრული შემოქმედების მეცნიერული ანალიზით დაგვემტკიცებინა ეს დებულება. თუ ქრონოლოგიას მოვიშველიებთ, დავინახავთ, რომ ბარათაშვილს სრული შესაძლებლობა ჰქონდა გაეცნო ლერმონტოვის პოეზია და პროზა, რადგან ლერმონტოვის ლექსები და „ჩვენი დროის გმირი" 1840 წელს ცალკე წიგნებად დაიბეჭდა. ყველაფრიდან ჩანს, რომ ბარათაშვილი კარგად იცნობდა ლერმონტოვის ლექსებს. გრიგოლ ორბელიანთან მიწერილ ბარათში 1843 წლის 21 აგვისტოს თარიღით იგი სწერს: „სხვა რაღა მოგწერო, მეც სამსახურში მიევშურები, и вообще здесь

И грустно, и скучно, и некому руку подать в минуту душевной невзгоды.

ჩემი ახალი ლექსი ეს არის (მოყვანილია „Сулло Борото")".*

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, 1922 წ., გვ. 10.

აქედან ნათელია, რომ ბარათაშვილი არათუ იცნობდა ლერმონტოვის პოეზიას. არამედ, ადგილებიც კი ზეპირად იცოდა მისი ლექსებიდან. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ბარათაშვილმა ლერმონტოვის გავლენით დაიწყო ლექსების წერა, მაგრამ არც იმას, თითქოს მათ შორის ბევრი რამ საერთო არ იყოს.

ყოველი ხელოვანი, გენიოსია იგი, თუ პატარა გაქანების შემოქმედი, თავისი მხატვრული აზროვნების გარიჟრაჟზე ამჟღავნებს რომელიმე ხელოვანისადმი მისწრაფებას ან სიახლოვეს. მაგრამ მათ შორის მაინც რჩება განმასხვავებელი ტენდენცია. ლიტერატორთა ერთი კატეგორია, განიცდის რა რომელიმე დიდი შემოქმედების ძალას, ბოლომდის რჩება მის ტყვეობაში, ვერ სცილდება ამ ძალის საზღვრებს. ლიტერატორთა მეორე კატეგორია კი, მართალია, ჯანსაღი ბავშვივით, ფეხის ადგმის დროს მოითხოვს დედის დახმარებას, მაგრამ, როცა იგი ფეხს აიდგამს, არათუ სიარულში, სირბილშიაც აღარ საჭიროებს სხვის წამოშველებას. აი, ამ ჯანსაღ ბავშვს შეიძლება შევადაროთ ლიტერატორთა მეორე კატეგორია. ისინი, მართალია, სხვა მწერლის შთაგონებით იწყებენ ფეხის ადგმას, მაგრამ, სიარულის დაწყების შემდეგ აღარ საჭიროებენ თავიანთ მასწავლებელს. ცნობილია, რომ ევროპაში ბევრმა პოეტმა ბაირონის დიდი გავლენით დაიწყო ლექსების წერა. ისიც ცნობილია, რომ ამ გავლენამ თვალსაჩინო პერიოდი შექმნა, რომელსაც ლიტერატურის ოფიციალური ისტორიკოსები ხსენებული პოეტების შემოქმედების პირველ პერიოდს ანუ ბაირონისტულს უწოდებენ. მაგრამ გადააველეთ თვალი ოუნდაც ბაირონისტული სკოლის პოეტებს, მათი მხატვრული აზროვნების განვითარებას: რა ორიგინალობითა და შეუპოვრობით იდევნება ბაირონი ყველაზე ნიჭიერი პოეტების მხატვრული შემოქმედებიდან, ხოლო მის ნაცვლად როგორი სიძლიერით ყალიბდება მათივე საკუთარი პოეტური სახე.

ამ საკითხზე მეტის თქმა საჭიროდ აღარ მიგვაჩნია. ამიტომ მივუბრუნდეთ ლერმონტოვისა და ბარათაშვილის აქტიური რომანტიზმის დახასიათებას.

• •

აქტიური რომანტიზმის ერთერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს რეალისტური ტენდენციების გამომჟღავნება როგორც რუსულ, ისე ქართულსა და ევროპულ ლიტერატურაში. ავიღოთ ლერმონტოვი და ბარათაშვილი. ლერმონტოვი პოეზიაში რომანტიკოსად დარჩა, მაგრამ იმავე პოეზიასა და მხატვრულ პროზაში მან შესძლო რომანტიზმისა და რეალიზმის სინთეტური შეერთება. ანალოგიური ფაქტები გვაქვს სხვა ერის ლიტერატურაში. მაგალითად, ვიქტორ ჰიუგომ რომანტიზმის გვერდით ორგანულად მოათავსა რეალიზმი.

ბარათაშვილის პოეზიაშიც პოემა „ბედი ქართლისა“ წარმოადგენს იმ უღელტეხილს, სადაც რომანტიზმი თავისუფალ ადგილს ტოვებს რეალიზმის მოსათავსებლად. მაგრამ პარადოქსად ნუ ჩამოგვერთმევა, თუ ეს პოემა ჩვენ მიგვაჩნია რომანტიკული ხასიათის პოემად, მიუხედავად იმისა, რომ მასში არის რეალისტური ელემენტები. პოემის ფაბულა, ჩვენის აზრით, აშკარად რეალისტურია. რეალისტურია თვით ისტორიული ფაქტი. მაგრამ რომანტიკულია პოემის იდეური ტენდენციები, რომანტიკულია პოეტის მიდგომა დასაძუშავებელი თემატიკისადმი, ბუნებისადმი, რომანტიკულია მთელი რიგი პასაჟი, თვით მოქმედი გმირების დახატვა.

თუ აღნიშნული დებულებები გამოხატავენ ისტორიული სიმართლის შინაარსს, თუ მათ გააჩნიათ არსებობის ობიექტური საფუძველი, მაშინ როგორ უნდა მოთავსდეს ერთად ცეცხლი და წყალი, მზე და ყინული ისე, რომ ცეცხლმა არ აორთქლოს წყალი, ხოლო მზემ არ გამოიწვიოს ყინულის გადნობა?

არა, ცეცხლი ყოველთვის აორთქლებს წყალს. მზე ყოველთვის გაადნობს ყინულს, თუ ურთიერთგავლენის დაძოკიდებულებაში მოთავსდებიან, მაგრამ ვინ არ იცის. რომ წყლის აორთქლებისათვის, ისევე, როგორც ყინულის გადნობისათვის, აუცილებელია სითბოს კალორიების განსაზღვრუ-

ლი რაოდენობა. და თუ ლერმონტოვის შემოქმედებაში შეჭრილი რეალიზმი ვერ ამარცხებს რომანტიზმს, ხოლო ბარათაშვილის პოეზიაში რეალისტურ ტენდენციებს არ შეუბღალავთ რომანტიზმის ისტორიული უფლებები, მოხდა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთიც და მეორეც საჭიროებდა დროისა და ისტორიული გარდატეხის გარკვეულ პერიოდს, რომელსაც ვერც ლერმონტოვი მოესწრო, ვერც ბარათაშვილი.

* *

ჩვენ უკვე დავახასიათეთ ბარათაშვილისა და ლერმონტოვის პოეზია, როგორც მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი სინამდვილის გარკვეული კლასობრივი უკუფენა მხატვრულ შემოქმედებაში. მაგრამ რომანტიზმის საერთო ხაზიდან ეს პოეზია ჩვენ განზე დავაყენეთ, როგორც საბრძოლო განწყობილებებისა და მომავლისათვის ზრუნვის პოეზია. ახლა ვიკითხოთ, რა უდევს საფუძვლად ამ ბუნებრივ ისტორიულ ფაქტს: სუბიექტური ქვეყანა, თუ ობიექტური სინამდვილის კანონზომიერება? პიროვნული „მე“ თუ არაპიროვნული ქვეყანა?

მეტაფიზიკური თვალსაზრისის წინააღმდეგ, ამ ფაქტს საფუძვლად უდევს ერთიც და მეორეც, ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებაც და მით განსაზღვრული სუბიექტური ქვეყანაც პოეტისა. თუ ლერმონტოვისა და ბარათაშვილის ეპოქა იყო გარდატეხის, წინააღმდეგობათა მკვეთრი დაპირისპირების ეპოქა, ეს გარდატეხა, ობიექტური სინამდვილის განვითარების ეს გარღამავალი ხასიათი, თავისებურად უნდა ასახულიყო იდეოლოგიაში. და, მართლაც, ფეოდალური არისტოკრატიის წრიდან გამოსული, ამავე არისტოკრატიის პრივილეგიებსა და იდეებზე მაღლა მდგომი ბარათაშვილი და ლერმონტოვი აშკარად გრძნობენ ამ კლასის მზის ჩასვლას, მაგრამ, ამავე დროს, მისი მესაფლავე კლასის ძალასაც.

მართალია, ამ მესაფლავე კლასს, რომელიც ფეხს იდგამდა, ბრძოლას იწყებდა პოლიტიკური ბატონობისა და კლასობრივი პრივილეგიებისათვის, ჯერ არ მოეხდინა დიდი გადატრიალების აქტი, როცა მთელ პოლიტიკურ ბატონობას წაართმევდა ფეოდალურ არისტოკრატიას და თვით დაიწყებდა ისტორიის საჭის მართვას, მაგრამ, მისი ძალა იმდენად შესამჩნევი, იმდენად აშკარა იყო, მისი იდეოლოგიური, „სულიერი წარმოების“ გავლენა ისე ნათელი, რომ მან თავისებური გავლენა მოახდინა ლერმონტოვის შეხედულებებზე.

ეს კლასი ბურჟუაზია იყო.

მაგრამ ლერმონტოვის აზროვნებაში თავს იჩენს არა მსხვილი, არამედ წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგია. ეპოქის მოწინავე იდეები იყო საფუძველი, რომელმაც ლერმონტოვის პოეზიაში მომავლისათვის ზრუნვისა და საბრძოლო განწყობილებების ტენდენციას მისცა ნაყოფიერი. ისტორიის განვითარების კანონზომიერებამ, თავისებურად განსხვავებულმა ყოფამ, ბარათაშვილის იდეოლოგიური ასპექტის შემუშავებაში საქართველოს რუსეთთან შეერთების აქტით გამოწვეულმა სინამდვილემ შეასრულა ისეთივე როლი, როგორიც ლერმონტოვის აზროვნებისათვის სენატის მოედანმა.

თუ ეს დებულება ნამდვილად გამოხატავს ჩვენ მიერ დასაბუთებული ფაქტის შინაგანი და გარეგანი შინაარსის შეწოკლებულ აზრს, მაშინ მეორე დებულება უცილოდ ასეთი იქნება: ლერმონტოვისა და ბარათაშვილის რომანტიზმი არის ნაციონალური ფორმით ეპოქის მოწინავე იდეების გამოხატვა, ზოგჯერ გახვეული მსოფლიო, „კაცობრიულ“ სამოსელში, მაგრამ კლასობრივი იდეოლოგია, რომელმაც თავისთავში ადგილი დაუთმო მომავლის განჭვრეტასა და მისთვის ზრუნვას.

ცნობილია, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგიის იერიშმა ვერავითარი ძვრა ვერ მოახდინა იტალიელი რომანტიკოსის ლეოპარდის მსოფლმხედველობაზე. ამიტომაა, რომ ლე-

ოპარდის პოეზიაში მხოლოდ წარსულისა და მისკენ დაბრუნების მწუხარე ჰანგი ისმის. მომავალი კი უარყოფილია. ჰეგელის მეგობარი, გერმანელი პოეტი ფრიდრიხ ჰელდერლინიც ასეთივე იდეური უსასოობის რკალში იყო მომწყვდეული. მართალია, ჰელდერლინი არ იყო რომანტიკოსი, მაგრამ, სინამდვილესთან კონფლიქტით, ობიექტური ქვეყნის უარყოფის ტენდენციებით იგი უახლოვდებოდა გერმანული რომანტიზმის იდეურ კონცეფციას, როგორც სამართლიანად შენიშნა განსვენებულმა ა. ვ. ლუნაჩარსკიმ.* ჰელდერლინმა გერმანელ რომანტიკოსებზე უფრო მწვავე სარკაზმით უარყო თავისი თანამედროვეობა. „არ არსებობს უფრო ბეჩავი ხალხი, — წერდა ჰელდერლინი, — ვიდრე გერმანელები. თქვენ მათ შორის ნახავთ ხელოსნებს, მაგრამ არა ადამიანებს, მოაზროვნეებს, მაგრამ არა ადამიანებს, მღვდლებს, მაგრამ არა ადამიანებს, ბატონებსა და მონებს, ახალგაზრდებსა და მოხუცებს, მაგრამ არა ადამიანებს".

„პოლიტიკა უაზროა, — წერდა ჰელდერლინი, — ადამიანს, როგორც ბატს, თანამედროვეობის ჭაობში უხდება ღგომა". ასეთი შეუპოვარი, შეიძლება ითქვას, მკაცრი დებულებები არ გამოუთქვამს არც ერთ გერმანელ რომანტიკოსს. ისე, როგორც ლეოპარდის იდეოლოგიურ მრწამსზე, ჰელდერლინზედაც ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა ბურჟუაზიის ძლიერმა მოძრაობამ იდეოლოგიაში და იგი ბოლომდის დარჩა თავისი თანამედროვეობისა და ობიექტური სინამდვილის არა მარტო კრიტიკოსად, არამედ, შეურიგებელ მოწინააღმდეგედაც. ორიენტ ფილოსოფია იყო „მსოფლიო სევდის" ფილოსოფია, რომელსაც ისტორიაში აღმავალი არც ერთი კლასი არ იზიარებდა.

რას წარმოადგენს „მსოფლიო სევდის" ფილოსოფია?

ეს ფილოსოფია წარსულს მისტირის, მისი დაკარგვით სევდას ეძლევა, მომავალს ან ეჭვის თვალით უყურებს, აკრიტიკებს, უარყოფს ან სულ არ

---

* Литер. энцикл., т. II, стр. 459—460.

სცნობს. აქედან მომდინარეობს თეორიაც რომანტიკოსების გამოცხადებისა იმ ადამიანებად, რომლებმაც თავიანთ შემოქმედებაში „მსოფლიო სევდა“ გამოხატეს. ეს თეორია შეიმუშავა იდეალისტურმა სალიტერატურო კრიტიკამ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო შემდეგ თანდათან განავითარეს მომდევნო თაობებმა. მისი წარმომადგენლები გვხვდებიან მეოცე საუკუნის პირველ ნახევარშიც, გამოდიან რა ცნობილი დებულებით, რომ რომანტიკოსები „მსოფლიოს სევდის პოეტები“* არიან. მართალია ბაირონის, ლეოპარდის, ტიკის, ნოვალისის, ლერმონტოვის, ბარათაშვილის პოეზია არის სევდის, გოდების გამომხატველი, რომელიც გახვეულია მსოფლიო, კაცობრიულ სამოსელში, მაგრამ თვითეული მათგანი თავისივე ქვეყნის კონკრეტულ-ისტორიული ყოფის ამსახველია და ამიტომ არ შეიძლება ამ მომენტს მთავარი ყურადღება არ მიექცეს. იდეალისტური კრიტიკა, როცა „მსოფლიო სევდის“ თეორიას აყენებდა, სწორედ ამ გარემოებას აქცევდა ნაკლებ ყურადღებას, ცდილობდა „მსოფლიო სევდისათვის“ კოსმოპოლიტური ხასიათი მიეცა. ამავე დროს არ ასხვავებდა ერთმანეთისაგან პასიურსა და აქტიურ რომანტიზმს, არ ცდილობდა დაენახა, რომ ერთნაირი როდია „მსოფლიო სევდა“, ვთქვათ ბაირონისა, და მეორეს მხრივ ნოვალისისა. გარდა ამისა, სულ სხვანაირად უყურებენ მომავლის საკითხს. ხომ უდავო ფაქტია, რომ პასიური რომანტიზმისაგან განსხვავებით, აქტიური რომანტიკოსები მომავალს არ უარყოფდნენ, ისინი წინ იხედებოდნენ და წინ უბიძგებდნენ თავის დროს.

ლერმონტოვი და ბარათაშვილი, წინამორბედ ლეოპარდ-ჰელდერლინისა, მომავლისაკენ იხედებოდნენ და თავიანთი თანამედროვეობის სასტიკ კრიტიკა-უარყოფასთან ერთად, მისი შეცვლის, გაუმჯობესებისა და გარდაქმნის ფილოსოფიას ემსახურებოდნენ.

---

* Н. Котляревский, «Мировая скорбь», 1910 г.

ამგვარად, მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი, როგორც გარდატეხის ეპოქა, თავისი დამახასიათებელი ჭხარეებით, ძირითადად თითქმის ყოველმხრივ აისახა ლერმონტოვისა და ბარათაშვილის შემოქმედებაში, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ უცილობელ დებულებას, რომ გენიოსი პოეტი სწორედის ადამიანია, რომელიც ყველაზე უფრო მეტად მიხვდება, მსჯავრს დასდებს, გაიგებს, იგრძნობს და შეიმეცნებს, მხატვრულად განაზოგადებს ისტორიის კანონზომიერებას, ისტორიის დიალექტიკურ წინსვლას და განვითარებას.

ისტორიის სწორედ ეს განვითარება ქართული სინამდვილის გარკვეულ მონაკვეთზე გენიალურად ასახა ბარათაშვილმა თავის უკვდავ პოემაში, რომელსაც „ბედი ქართლისა“ ეწოდება და რომელსაც ჩვენ მომდევნო თავში დაწვრილებით განვიხილავთ.

თავი V

## „ბედი ქართლისა“

გენიოსი რომ მართლაც ყველაზე მეტად შეიმეცნებს ისტორიის კანონზომიერებას, წინსვლას და განვითარებას, საუკეთესოდ მოწმობენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ისეთი პოეტური ქმნილებანი, როგორიცაა „ძია გ...სთან“, „ბედი ქართლისა“, „სუმბული და მწირი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პიოისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა წელსა 1844-ს, მძღვანელობასა ქვეშე ღუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა“. ისინი ქმნიან მხატვრული შთაკონებისერთიანრკალსთითქმისერთიდაიმავე საკითხის ირგვლივ. მიუხედავად იმისა, რომ „ბედი ქართლისა“ დაწერილია 1839 წელს, სამი წლით ადრე, ვიდრე დანარჩენი პოეტური თხზულებანი, გარდა ლექსებისა „ძია გ...სთან“ და „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“...

ეს უკანასკნელი ნაწარმოებნი შედარებით სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება: პირველი — ადრინდელს, 1836 წელს, როცა პოეტის ბიძა გრიგოლ ორბელიანი შეთქმულებაში მონაწილეობის გამო გადასახლებაში იმყოფებოდა, ხოლო მეორე — 1844 წლის 23 სექტემბერს, თვით ომის მსვლელობის დროს, როცა ქართული ნაწილის წარმატებები ცნობილი შეიქნა და ყველა სიხარულს გამოთქვამდა, რომ ლეკებისა და ჩაჩნების „ჯავრი ამოყრილია“. ეს თითქოს უკანასკ-

ნელი ნაწარმოებია, რომელშიაც პოეტი ამთავრებს თავისი შემოქმედების ერთ რკალს — ქართლის ბედის მხატვრულ ცხადყოფას.

დასაწყისი ამ რკალისა უთუოდ არის ლექსი „ძია გ... სთან". მასში პოეტი პირველად აღძრავს იმ საკითხს, რომელსაც შემდეგ მიუძღვნის მთელ პოემას — „ბედი ქართლისა", აგრეთვე ისეთ უაღრესად მნიშვნელოვან ნაწარმოებებს, როგორიცაა „საფლავი მეფის ირაკლისა", „სუმბული და მწირი".

როცა ვკითხულობთ მინიატურულ ლექსს „ძია გ...სთან", ჩვენთვის სავსებით ცხადდება ის სულიერი განწყობილება, რომელსაც არა მარტო ბარათაშვილი განიცდიდა, არამედ, იმდროინდელი ყველა მოწინავე ადამიანი, ვინც თანაგრძნობით ეკიდებოდა სამშობლო ბედთან ერთად მისი შვილების მწარე ხვედრსაც. გრიგოლ ორბელიანი ერთ-ერთი ამ შვილთაგანი იყო და პოეტს მასთან აკავშირებდა არა მხოლოდ ნათესაური გრძნობა, არამედ, მოქალაქეობრივი მოვალეობაც — გაეზიარებინა სამშობლოს მოშორებული პატრიოტის მძიმე სულიერი განცდა. ამ ლექსში ბარათაშვილი ჩვენს წინაშე დგას როგორც გრიგოლ ორბელიანის შინაგანი სულიერი განცდის მოზიარე. ორივეს აწუხებს „სამშობლოს წართმევა", რომლის ტკივილსაც, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებთან ერთად, იმ დროს ნიკოლოზ ბარათაშვილიც განიცდიდა. ეს იყო ქართული რომანტიზმის ერთერთი წამყვანი თემა, და შემთხვევითი არ არის, რომ ჭაბუკი პოეტის ოცნებაც ამ თემას დასტრიალებდა, ცდილობდა მისთვის მხატვრული ამეტყველება მიეცა. უფრო ადრე, 1834 წელს დაწერილ ლექსში—„ბულბული ვარდზედ" პოეტი ალეგორიულად გვიხატავს გულმოკლულ ბულბულს, რომელიც ვარდის გაშლას მოელის, მაგრამ ბნელ ღამეში, როცა „ქროდა ნიავი ნელი", ვარდი დაჭკნება და ბულბულიც მძიმე სევდას მიეცემა. ცხადია, არ შეიძლება ეს ლექსი იმდროინდელი ცნობილი სიტუაციის უშუალო გამოძახილად მივიჩნიოთ, მაგრამ მასში რომ 1832 წლის შეთქმულების დამარცხებით გამოწვეული სევდა ჩანს, ალეგორიული ფორმით გამოხატუ-

ლი, სავსებით უდავოა. პირდაპირ კი ეს გრძნობა გამოხატულია ლექსში — „ძია გ...სთან“, რომელშიაც პოეტი შემდეგი სიტყვებით მიმართავს გადასახლებაში მყოფ გრიგოლ ორბელიანს:

„ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი
წაგართო ავის ენისა გესლმან;
სატრფონი მისნი შემოგარენი,
გარდახვეწილსა დაგიხშო ეტლმან!
მაგრამ გაჩნს კიდეც გულში მის არე;
გიყვარს ყაბახის კარგიც და ავი,
თუმც უცხო, უცხო თემად იარე,
მრავალი კარგი ნახე ამბავი.
მაგრამ რას ხედავ აწ კრული ჩრდილოს?
აჰა ის ღამე, ოდეს სატრფონი
ალამაზებდნენ შენს ყაბახს ამოს,
შენის სიყრმისა თან-ზრდილნი სწორნი“.

ეს გრძნობები და განცდები სავსებით ბუნებრივი, სრულიად ორგანული იყო ბარათაშვილისათვის, რომელიც თავის არსებაში ინახავდა მოწოდებას — ემსახურა სამშობლოს კეთილდღეობის მისაღწევად და დაფერფლილიყო მის სამსხვერპლოზე. გრიგოლ ორბელიანიც პოეტს ასეთ ადრიასად ჰყავდა წარმოდგენილი, თუმცა ჯერ კიდევ შორს იყო ის დრო, როცა „დაღესტნის გმირი“ შეიძლებოდა ზოგიერთ თავის ლექსში სამხედრო მუნდირის ფერი გამოეჩინა და ორდენ-მედლების ჟღრიალი გაეგონა. ბარათაშვილისათვის იმ დროსაც კი საოცრად მელოდიური იყო სამხედრო მარშების აკომპანიმენტით დაწერილი გრიგოლ ორბელიანის ლირიკული სიმღერები, ვინაიდან მისი პოეზია ვაჟკაცური სულის, რაინდული გულისა და პატრიოტული გრძნობის გამოძახილია. ეს გრძნობები და განცდები ხომ საუკეთესოდ ჩანს თვით ბარათაშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში, ხოლო პოეტური სახით წარმოდგენილია 1841 წელს დაწერილ უმშვენიერეს ლექსში —. „არ უკიჟინო სატრფოო...“. რომელშიაც პოეტი მხატვრული მეტაფორებით მეტყველებს:

„მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვაველო,
საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დღე უფრო ვაცხოველო.
მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდნი".

ამ სპეტაკ მოქალაქეობრივ გრძნობას და მაღალი ადამიანური მოვალეობის შეგნებას პოეტი არ გამოჰყოფდა თავისი სატრფოს მშვენიერი სახიდანაც. პირიქით, ნატრობდა, რომ მისი სატრფო ყოფილიყო ცისკრის ვარი, რათა განეცოცხლებინა სიცხით დამწვარი მდელო და შვება მიეცა სიცოცხლისათვის. ეს იყო იგივე მრწამსი, რომელსაც ბარათაშვილი არა ერთგზის დაუბრუნდა თავის ლექსებსა და პირად წერილებში; ეს იყო ფილოსოფია, რომელიც მან ასე ღრმად, ასე ფართოდ წარმოგვიდგინა უბრწყინვალეს პოეტურ შედევრებში — „ფიქრნი მტკვრის პირას" და „მერანი".

მაგრამ მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნება პოეტა ორგვარი სახით ეხატებოდა: როგორც სამსახური საერთოდ „სოფლისა", და სამსახური სამშობლო ქვეყნისა, რომლის ხანგრძლივი ისტორიის ანალებში ამოკითხული ჰქონდა მამაცური ბრძოლის, მშობელი მიწისათვის თავდადების ურიცხვი მაგალითი.

ერთ-ერთი გმირული ფურცელი ამ ისტორიისა იყო 1795 წლის სექტემბერს, თბილისთან ახლო, კრწანისში მომხდარი უთანასწორო ბრძოლა, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა ირანულ-თურქული აგრესიისა და ქვეყნის შინაური აშლილობის მძიმე პირობებში საქართველოს ორიენტაციის საკითხი. ეს საკითხი საუკუნეების მანძილზე მწიფდებოდა, განსაკუთრებით სერიოზულად კი მე-17—18 საუკუნეებში დაისვა, თეიმურაზისა და ვახტანგ მეექვსის დროს. რაც შეეხება ერეკლე მეფეს, მას წილად ხვდა საბოლოოდ მიეღო გადაწყვეტილება რუსეთთან საქართველოს სამუდამო დაკავშირებისა, ვინაიდან სხვა გამოსავალი მართლაც არ არსებობდა. როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, მე-9 საუკუნიდან ქართველებს ურთიერთობა ჰქონიათ ჩრდილოეთელ მეზობელთან, მე-12 საუკუნეში, თამარ მეფის დროს, დანათესავებაც მომ-

ხდარა, რაც მაშინ ტრაგიკულად დამთავრებულა, ხოლო შემდეგ, დროთა ბრუნვას, მონღოლების შემოსევით, დიდხანს შეუწყვეტია დაწყებული საქმე. მე-18 საუკუნეში საქართველოს ორიენტაციის საკითხს მწვავე ალტერნატივის სახე მიუღია, რაც გადაუდებელ ამოცანად აყენებდა მის ღადებითად გადაწყვეტას. ამის შესახებ მოწინავე ქართველ ინტელიგენციას ხშირად ჰქონია მსჯელობა რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგაც, რასაც მოწმობს ბარათაშვილის მეგობრის — კონსტანტინე მამაცაშვილის ცნობა. როგორც მამაცაშვილი გადმოგვცემს, ბარათაშვილს ერთხელ, საქართველოს წარსულზე მსჯელობის ჟროს, ცრემლმორეულს აღმოხდენია სიტყვები: „ვაი ჩვენო ქართლის ბედო!“ ეს სიტყვები, რომელიც მემდეგ ბარათაშვილის პოემის სათაურად იქცა, პოეტს წარმოუთქვამს, როგორც პირველ თავში ვნახეთ, 1838 წლის ივლისის ერთ-ერთ ღამეს, გარეუბანში, ხოლო 1839 წელს უკვე დაუწერია თავისი უშესანიშნავესი ნაწარმოები „ბედი ქართლისა“.

თავისთავად, ის გარემოება, რომ ბარათაშვილმა პოემას მოჰკიდა ხელი, შემთხვევითად არ ჩაითვლება. ვინაიდან რომანტიკოსებმა ლირიკასთან ერთად ფართოდ განავითარეს მხატვრული ლიტერატურის ისეთი მნიშვნელოვანი ჟანრი, როგორიცაა პოემა. ბაგრამ რომანტიკოსებმა პოემას არსებითად ორგვარი სახეს მისცეს: სიუჟეტიანი, რომელსაც თავიდან ბოლომდე მთავარი მოქმედი გმირის თავგადასავლების, განცდებისა და შეხედულებების აღწერა აქვს დაკისრებული, და უსიუჟეტო, რომელიც წარმოადგენს გარკვეული იდეებისა თუ შეხედულებების თავმოყრას რომელიმე ძირითად საკითხთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ ბარათაშვილის დროს, კლასიკური გაგებით, პოემა ნიშნავდა საგმირო-საეპოსო, რომელსაც უმთავრესად უნდა მოეთხრო ცალკეული გმირების თავგადასავლები საქვეყნო ან სამიჯნურო მოტივების ჩვენებით. ამდენად, ბარათაშვილის დროსაც პოემა არ ნიშნავდა მარტოოდენ გრძელ ლექსს; მას აუცილებლად უნდა ჰქონოდა გარკვეული შინაარსი, გმირთან და-

კავშირებული. ოუნდაც ეს შინაარსი ყოფილიყო ეპიზოდური, ფრაგმენტული ხასიათისა. მაგრამ საკითხის დამთავრება, მისი დასრულება და მთლიანი სახით გააზრება პოემისათვის რომ საერთოდ სავალდებულო იყო, რომანტიკოსების მხრივ დავას არ იწვევდა. ბარათაშვილის პოეზიაც ამ განასერში უნდა მოთავსდეს. მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში იგი ახალი რომანტიკული პოემის პირველი მერცხალია და ამდენად გარკვეული ტრადიციის დამწყებიც.

თუ შევეცდებით საკითხს ისტორიული თვალთახედვით მივუდგეთ, შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ პოემას როგორც ჟანრს, მრავალი სახე აქვს, ასევე მრავალი ფორმა და თითქმის ყოველ ეპოქაში განსხვავებულია მისი ხასიათი. რომანტიზმმაც პოემის თავისებური გაგება მოგვცა, და ასე რომ არ ყოფილიყო. მაშინ ის ვეღარ დაუპირისპირდებოდა კლასიციზმს ამ ჟანრში, ვერ მიაღწევდა იმ ორიგინალობას, რაც მისთვის არის დამახასიათებელი. მაგრამ არა მარტო ევროპული რომანტიკული პოემა, არამედ, ქართულიც გარკვეული სპეციფიკური ნიუანსებით გამოირჩევა. მაგალითად, აღორძინების ხანის სიუჟეტიანი პოემების ტრადიცია მე-19 საუკუნის დასაწყისში ტკვე სახეს იცვლის, და თითქმის სრულიად უარს ეუბნება მის როგორც ფორმას, ისე შინაარსს. ამ მხრივ ბარათაშვილი პირველი პოეტია, რომელიც საფუძველს უყრის ახალ პოემას. რომანტიკულ პოემას რეალისტური ელემენტებით. ამ ტრადიციას აგრძელებს გრიგოლ ორბელიანი თავის „სადღეგრძელოში“, ხოლო 60-იან წლებს მოაქვთ რეალისტური პოემები ხშირად რომანტიკული ელემენტებით. ასე წარმოგვიდგება ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი თავიანთი სიუჟეტიანი პოემებით, ხოლო ვაჟა-ფშაველა 90-იან წლებში თავისი გენიალური ქმნილებებით, რომლებსაც, უკლებლივ ყველას, დახვეწილი და დამთავრებული სიუჟეტი აქვთ.

რა არის ბარათაშვილის პოემის სიუჟეტი ან რა შეადგენს „ბედი ქართლისას“ ძირითად თემატიკურ მასალას?

ბარათაშვილმა თავისი პოემისათვის აიღო ნაწილი-

ლად მომხდარი ისტორიული ფაქტი და ამასთან დაკავშირებით პოემის ცენტრალურ გმირებად გამოყვანა ისტორიულად არსებული ადამიანები, რომლებიც შთამომავლობისათვის ცნობილნი არიან თავიანთი მოღვაწეობით, აზროვნებითა და პრაქტიკული საქმეებით. პოემის ცენტრალური პრობლემაც — საქართველოს ორიენტაცია სწორედ ამ რეალური ადამიანების თვალთახედვით, მათივე ისტორიული რეალიების მიხედვითაა მხატვრულად გააზრებული. უკვე ამ ფაქტს, თავისი ხასიათით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან უმრავლეს რომანტიკულ პოემებში, სულერთია, ევროპული თუ რუსული ლიტერატურიდან ავიღებთ, მთავარ გმირებად გამოყვანილი არიან შეთხზული პერსონაჟები, ძალიან მცირე ნაწილის გამოკლებით. „ბედი ქართლისა“ კი თემატიკურად სხვა გზით მიდის: კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს, ნამდვილად არსებულ ადამიანებს გვიჩვენებს, რომლებიც ნაწარმოებში აღწერილი ამბების უშუალო შინაწილენი იყვნენ. ისინი ქმნიან პოემის მთავარ იდეურ მიმართულებასაც ძირითადად ისტორიული ჰეშმარიტების დაცვით. ჩვენ ახლა არ შევეხებით საკითხს იმის შესახებ, რომ პოემის ცენტრალური, მაგისტრალური ხაზის ერთგვარ სიმბოლოდ გვევლინება უფრო გვიან, 1842 წელს დაწერილი ლექსი „სუმბული და მწირი“. ამ ნაწარმოებშიც პოეტი სუმბულისა და მწირის დიალოგის სახით თითქმის იმავე საკითხებს აღძრავს, რასაც არაგვის ხეობაში ერეკლე მეფისა და სოლომონ ლეონიძის საუბარი, მაგრამ ამ საკითხს ქვევით დავუბრუნდებით, ახლა კი თვით პოემის ანალიზს უნდა შევუდგეთ.

როგორც ისტორიული ფაქტებით ცნობილია, ირანის შაჰი აღა-მაჰმად ხან-ყაჯარი, მას შემდეგ, რაც ირანის მფლობელი გახდა, ვერაგულად ცდილობდა საქართველო ისევ მოექცია თავისი ქვეყნის გავლენის ქვეშ და ბოლო მოეღო იმ ადამიანისათვის, რომელმაც ირანს საქართველოში ბატონობის უფლება წაართვა. 1795 წლის ამბები საქართველოს დასამონებლად აღა-მაჰმად-ხანის მრავალწლიანი მზადების ბუნებრივი დასასრული იყო.

...და აი, საბედისწერო მომენტიც დადგა.

1795 წლის 10 სექტემბერს ირანის ლაშქარი აღა-მაჰმად-ხანის წინამძღოლობით საქართველოში შემოიჭრა. 35 ათასიანმა არმიამ ომი აუტეხა ერეკლე მეფეს, რომელსაც მაშინ სულ უმნიშვნელო რაოდენობის ჯარი ჰყავდა. იმდროინდელი საქართველოს შინაგანი აწეწილობისა და ფეოდალური აშლილობის შედეგად ერეკლე უმძიმეს განსაცდელში ჩავარდა. მას მუხანათურად უღალატეს არა მარტო ფეოდალებმა, არამედ, ზოგიერთმა მისმა ახლობლებმაც და ნათესავებმაც კი. ეს იყო მიზეზი, რომ 35 ათასიანი მტრის წინააღმდეგ ერეკლეს მხოლოდ 5 ათასი მებრძოლი დარჩა და იგი შეიძულერ უფრო მეტ ძალებს უნდა შებმოდა. მიუხედავად ძალთა ასეთი საშინელი უთანასწორობისა, მოხუცი ერეკლე მაინც გულდაგულ დახვდა მტრის ლაშქარს და პირველი შეტევის დროს, დიდი მსხვერპლის მიუხედავად, როშელიც საბოლოო ანგარიშით პიროსის გამარჯვება აღმოჩნდა, მტერს დამარცხება მიაყენა. ამ დამარცხებას შეეძლო დადებითი შედეგი მოეტანა ქართველებისათვის, ვინაიდან, ირანის ვერაგ შაჰს ჰგონებია — ერეკლეს დიდი ლაშქარი ჰყავსო, და განუზრახავს უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ, მომხდარა ტრაგიკული ამბავი, რასაც სულ უკუღმა დაუტრიალებია ბედის ჩარხი. რომელიღაც გამცემს მტრისათვის უცნობებია ქართველთა სარდლობის მძიმე მდგომარეობა. ამ საზიზღარი ღალატის შედეგად აღა-მაჰმად-ხანს გაუგია, რომ ერეკლეს ფაქტიურად ჯარი აღარ ჰყავდა, და უკან გაბრუნების ნაცვლად, შესევია ნარიყალას ციხეში გამაგრებულ ერეკლეს უკანასკნელ ჯარს. ქართველებს დიდი მამაცობა გამოუჩენიათ, მაგრამ საქმე წაგებული იყო. აღა-მაჰმად-ხანმა საბოლოოდ დაამარცხა ქართველთა ლაშქარი და 1795 წლის 14 სექტემბერს თბილისი აიკლო. თვით მოხუცი მეფე ძლივს გადაურჩა დატყვევებასა და სიკვდილს. მხოლოდ ერთგულთა გმირობისა და საყვარელი შვილიშვილის იოანე ბატონიშვილის დახმარებით, ერეკლე გამოუყვანიათ ბრძოლის ველიდან, მტრის რკალიდან და გაუხიზნავთ. როგორც ისტორიული მასალები გადმოგვცემენ, მას გადაწყვეტილი ჰქონია

ბრძოლაში დაღუპულიყო და ამით დაემთავრებინა თავისი სიცოცხლე. მოხუცი მეფე მთიულეთისკენ გაუხიზნავს თვით იოანე ბატონიშვილს ერეკლეს სხვა ერთგულ დამცველებთან ერთად.

აი, ამ ისტორიულ ამბავსა და ისტორიულ ფაქტებს ეხება ბარათაშვილი თავის პოემაში, მხატვრულად გაღმოგვცემს რა სამშობლო ქვეყნის ცხოვრებიდან ერთ-ერთ უაღრესად ტრაგიკულ ფურცელს.

როგორ მიუდგა პოეტი თავის ნაწარმოებში აღებულ თემას, საიდან დაიწყო მან მშობელი ქვეყნის ოდისეა?

მთელი პოემა არსებითად ორი მიმართვით იწყება: პირველი — თვით პოეტის მიმართვაა კახელებისადმი, ხოლო მეორე — ერეკლე მეფისა — ღვთაებისადმი, ანუ გულთამხილავისადმი, როგორც ავტორი ერეკლეს ათქმევინებს. პირველ მიმართვაში პოეტი ქებას უძღვნის კახელებს, რომელთა წიაღშიაც ერეკლე მეფე, პატარა კახი, აღიზარდა და რომლებსაც იგი უყვართ მხურვალე გულით. ეს ქება, თუ რამდენად გულწრფელი იყო, იქიდანაც ჩანს, რომ 1844 წელს დაწერილ ლექსშიაც — „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა...“ პოეტი კვლავ იმეორებს თავის სიტყვებს კახელთა მიმართ, აღნიშნავს, რომ ისინი, მტერზე გულამღვრეულები, არიან „მეფის ირაკლის გაწრთვნილნი, გმირებად დასახულები“, რომ ნურავის ჰგონია მათ შორის აღარ იყვნენ „ძველნი მამაცნი“, პირიქით, თვითეულ მათგანს დარჩა „შვილები, საშვილიშვილოდ ვაჟკაცნი!“ ბარათაშვილს ჰქონდა სავსებით რეალური საფუძველი ასეთი სიტყვებით მიემართა კახელებისათვის ორივე შეთხვევაში, საფუძველი ჰქონდა იმიტომ, რომ მთელი მე-18 საუკუნის მანძილზე მათ მართლაც გმირული ბრძოლები გადაიტანეს ერეკლეს სარდლობით გარეშე მტრების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ თავის ნაწარმოებს ბარათაშვილი მიუძღვნის კახელებს, რომ მათ ერეკლეს დიდ ამბებთან ერთად მოიგონონ პოემის ავტორი — ყარიბი ჰგოხახიც:

„ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სულით,
თქვენში აღზრდილა პატარა კახი მეფად და გმირად;
თქვენ გიყვართ მისთა დროთა ხსენება მხურვალეს გულით,
როს თქვენებრ მლხენი ევლინებოდა მტერსაც გამგმირად!
და რაც საყვარლის ჩვენის ირაკლის ჟამმან მეფობის
მოუვლინა აწ გამოხატვასა ჩემს ყმაწვილობის, —
მეც, ძმანო კახნო, თქვენ შემოგიძღვნით მას არმაღანად,
ერთსულობისა, ვაჟკაცობისა, ლხინის საგანად.
როს თქვენებურად მამულის ღვინით გულს ახარებდეთ,
ხელთ ჯამის მპყრობნი წარსულსა დროებს მოიხსენებდეთ
და მორიგისად სმიდეთ წინაპართ შესანდობარსა,
მოიგონებდეთ ყარიბს მგოსანსაც, თქვენდა მბობარსა!“*

ასე მიართმევს პოეტი თავის ნაწარმოებს არმაღანად კახელებს, სავსებით დინჯი, ეპიკური ფორმით გამოხატავს რა იმ გრძნობებსა და აზრებს, რასაც თავის პოემაში აქსოვს. ირკვევა, რომ ბარათაშვილს შემთხვევით კი არ დაუწერია „ბედი ქართლისა“, არამედ, გარკვეული საფუძველი ჰქონია სწორედ ისე ეჩვენებინა ერეკლე მეფე. როგორც ჩვენ მას ხსენებულ პოემაში ვხედავთ. პირველი მიმართვა არსებითად საკითხის დაყენებაა და მიზეზის გარკვევაა, რომლის შემდეგაც იწყება პოემის პირველი კარი. აქ ჩვენს წინ აღიმართება ცისაკენ ხელაპყრობილი მოხუცი მეფე, როგორც პოემის მთავარი მოქმედი პირი, მთავარი პერსონაჟი. იგი ბრძოლის წინ მიმართავს გულთამხილავს, ავედრებს თავის სამეფოს ღვთაებას, რომელმაც მხოლოდ მან ერთმა იცის, რა ჭირიც მიადგა საქაროველოს. და მეფის სიტყვები, რომ საქართველოს მრავალი მტერი ჰყავს, მისი ვედრება, რომ გულთამხილავმა აღადგინოს საქართველო — სასოებასთან ერთად ერეკლეს მამობრივი ღრმა შინაგანი სულიერი განცდის მშვენიერ გამოხატულებას წარმოადგენს.

ამ მოკლე შესავლის, შეიძლება ითქვას, პორტატულ პროლოგის შემდეგ ბარათაშვილი კმაყოფილდება სურათი დაამთავროს თითქოსდა ფერმწერლის მინაწერით —

---

* აქაც და შემდეგ ყველა ციტატი ამოღებული გვაქვს ნ. ბარათაშვილის ლექსების 1945 წლის პორტატული გამოცემიდან — რედაქტორი ი. გრიშაშვილი.

„ასე ილოცდა მეფე ირაკლი ბანაკსა თვისსა გულით მხურვალი". და შემდეგ, სულ ოთხი სტრიქონით, პოეტი გვეუბნება, რომ ერეკლეს თავისი ჯარი დაბანაკებული ჰყავს კრწანისის მინდვრად ირანის ლაშქართან შესაბმელად:

„პატარა კახი აღა-მაჰმად-ხანს
უპირებს შებმას ძლიერს, რისხვიანს".

ეს არის სულ, რაც პოემის პროლოგს, შესავალს, დასაწყისსა თუ პირველი კარის პირველ თავს განეკუთვნება. თუ 16 სტრიქონით ამდენის თქმა შეიძლო პოეტმა, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ყოველგვარი ზედმეტობის, თხრობაა რაიმე გაჭიანურების გარეშე ამბავს ავითარებს პირდაპირ ექსპრესიულად, რითაც აღწევს დაძაბული მდგომარეობის კიდევ უფრო მკაფიოდ დასურათებას. ყოველივე ეს მთელ პოემაში შემოქმედებით პრინციპად არის ქცეული და ამითვე უნდა აიხსნას სიუჟეტის სწრაფი განვითარება. მაგალითად, დაამთავრა თუ არა ერეკლე მეფემ ღვთაებისადმი მიმართული ლოცვა, პოეტი სულ რვასტრიქონიანი პასაჟის შემდეგ პირდაპირ იწყებს სიუჟეტის მაგისტრალური ხაზების განვითარებას. ეს არის მიზეზი, რომ სწორედ ამ დროს გაჰკრნდება სამხრეთით მოსული მტერი და მისი გამოჩენისთანავე ერეკლე მამობრივი ხმით მიმართავს თავის ჯარს გასამხნევებლად:

„ხედავთ, ვითარის კადნიერებით
შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება!
საქართველოს დღეს გარდაუწყდება
თავისი ბედი და უბედობა!
დღეს ეპირება მამულს მხნეობა!
დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,
ვითა თქვენგანი ერთი მხედარი:
დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული,
ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული".

მშვენიერი, ნათლად და მხატვრულად გამოთქმული პატრიოტული მიმართვაა, აღსავსე ტრაგიზმის ელემენტებით, რაც გამეღავნებულია სიტყვებით, რომ მტერი უმაგალითო კადნიერებას იჩენს, სამშობლო — საქართვე-

ლო განსაცდელშია, და დღეს უნდა გადაწყდეს მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი. შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა მოხუც მეფეს აიძულებს, მიუხედავად ხანდაზმულობისა, თავის ჯართან ერთად გამოვიდეს ბრძოლის ველზე, როგორც მეომარი, „ერთი მხედარი“, ვისაიდან სწორედ ახლა ესაჭიროება „შამულს მხნეობა“, სწორედ ახლა გამოჩნდება ვინ არის ერთგული და ვის უფრო მეტად უყვარს სამშობლო. ისიც საგულისხმოა, რომ მეფე ჯარისკაცებს „ძმებს“ უწოდებს, ისევე როგორც სუვოროვი ბიმართავდა თავის „ძმა დევგმირებს“.

მეფისა და ჯარის ეს სიახლოვე, მათი ერთსულოვნება ძველი ომის წინ, პოეტმა გვიჩვენა იმ პასუხში, რომელსაც მოხუც ერეკლეს მისი მებრძოლები აძლევენ. მართალია, ჭინასწარ ისეთი სურათია დახატული, ერეკლე ისეთ სიტყვებს ამბობს, რომ შეუძლებელია ჯარი მხურვალე მიწონებით არ შეხვდეს, მაგრამ მკითხველისათვის მაინც თითქოს მოულოდნელი, თანაც აღმაფრთოვანებელია, როცა მეფის სიტყვებს მთელი ჯარი ასე ღრმა თახაგრძნობით, ერთგულების ასეთი მტკიცე ფიცით ხვდება. ამ მომენტს პოეტი განსაკუთრებული სიძლიერით გვიხატავს, რათა ჩაიელყოს, ერთის მხრივ, მეფის სიყვარული თავისი ქვეყნის, ხალხისა და სამშობლოს დამცველი ჯარისადმი, ხოლო, მეორეს მხრივ, თვით ჯარის ერთგულება, მისი თავდადება, მისი ღრმა რწმენა მეფისადმი, რომ საქმე, რომელსაც ისინი ემსახურებიან, სამართლიანია; ეს არის საშობლოს დაცვა, საკუთარი ქვეყნის გადარჩენა სრული ოსრების საფრთხისაგან. ამ მიზნით პოეტი ორ ხერხს მიმართავს: ერთის მხრივ გვიჩვენებს ჯარის ერთგულების ფიცს მეფისადმი, მეორეს მხრივ კი საკუთარ ლირიკულ ხმას უერთებს აღწერილ ამბავს. აი, ყოველივე ეს პოემაში ისე დიდი ოსტატობით გამოიხატა: მოისმინა თუ არა ჯარმა მეფის მიმართვა, პოეტი შემდეგ ასე აღწერს მთელ სურათს:

„— შენი გამჩენის ჭირიმე, შენი
რომ გაგვაგონე კვლავ ხმა სალხენი!“
შებღავლა მეფეს ჯარმა ერთის ხმით.
„ჩვენ თუნდ სულ ერთ დღეს დავიხოცებით,

ოღონდ შენ იყავ, მეფევ, დღეგრძელი!
მტერი რა მტერი, ოდეს ქართველი
ბატონს ირაკლის ნუგეშად ხედავს;
მისთვის სიცოცხლეს ვინღა დაზოგავს!"

პოემის ეს ადგილი, რომელშიაც მეფისადმი ჯარის ერთსულოვანი თავდადებაა აღწერილი, პოეტს მარტოოდენ ფანტაზიით, ცხადია, არ შეუქმნია. მას უთუოდ ხელთ ექნებოდა წერილობითი საბუთები ერეკლესა და მისი ჯარის ასეთი ურთიერთობის შესახებ, ან, ყოველშემთხვევაში, მრავალ გადმოცემათაგან, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული, მას შეეძლო შეემუშავებინა შეხედულება, რომ მეფე და მხედართმთავარი ერეკლე თავისი მებრძოლებისადმი მამობრივ დამოკიდებულებას იჩენდა. გარდა ამისა, ბარათაშვილს შეუძლებელია არ სცოდნოდა, რომ ისეთი დიდი სარდლები, როგორიც იყვნენ ჰანიბალი, კეისარი, სუვოროვი, ნაპოლეონი, კუტუზოვი, ბაგრატიონი გამოირჩეოდნენ ჯარისკაცებისადმი ძმრუნველობით, რითაც ისინი სიყვარულს იხვეჭდნენ არმიაში. სწორედ ეს სიყვარული იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ელბას კუნძულიდან გამოქცეულმა ბონაპარტეც საფრანგეთი თითქმის უბრძოლველად დაიკავა. პირველივე შეხვედრას თავისივე ყოფილი არმიის ნაწილთან, რომელსაც იმპერატორის უკუგდება ჰქონდა დავალებული, ნაპოლეონი ამთავრებს უსისხლო გამარჯვებით. გადმოგვცემენ, რომ ეს ისტორიული ფაქტი მეტად თავისებურ პირობებში მომხდარა. მისი განსაკუთრებული, თითქმის უპრეცენდენტო ხასიათი, სავსებით შეესაბამება ისეთ განსაკვირვებელ ადამიანს, როგორიც ბონაპარტე იყო. „ვინ ესვრის თავის იმპერატორს!", — უთქვამს ნაპოლეონს ჯარისათვის, მარტო წასულა წინ მკერდმიშვერილი და ტყვიის ნაცვლად მიუღია შეძახილები: „გაუმარჯოს იმპერატორს!"*

დიდი მხედართმთავრების ცხოვრებიდან ასეთი ფაქტები ბარათაშვილისათვის რომ ნამდვილად ცნობილი

* იხ. ე. ტარლეს წიგნი «Наполеон». ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

იყო, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ დაწერდა კლასიკურ ლექსს „ნ ა პ ო ლ ე ო ნ ს", რომელშიაც ეს „ტ რ ა გ ი კ უ ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ი", როგორც ბონაპარტე თავის თავს უწოდებდა, მთელი მისი გულზვიადობით, შინაგანი ღრმა სულიერი ღელვითა და საკვირველი ხასიათითაა წარმოდგენილი. უამისოდ როგორ შეეძლო პოეტს ასე ღრმად დაეხატა ჩვენთვის ნაპოლეონის საშინელი ე გ ო ი ზ მ ი, გ ა ნ დ ი დ ე ბ ი ს მ ა ნ ი ა, საკუთარი ძალების საოცარი გადაჭარბებით შეფასება. იმის გრძნობა, რომ მისი მსგავსი თუ ტოლი ქვეყნად არ იპოვება, და, ბოლოს, კალმის გენიოსური მოსმა:

„ბევრი დღე გავა, რომ ჯერ ბევრი ვერ ვცნათ ჩვენ მისი!
თვითონ სიკვდილიც მას უებროდ აღმოგვიჩინებს:
დამჭრალი ცეცხლი და ზღვის ღელვა წარმოგვიდგინებს
მისს ცეცხლსა სისხლსა და ზღვა-გულსა განსაკვირველებს!"

ვიმეორებთ, როგორ შეეძლო ყოველივე ეს დაეწერა სრულიად ჭ ა ბ უ კ პ ო ე ტს ნიკოლოზ ბარათაშვილს, როგორ შეეძლო მას ასე ღრმად ჩაეხედა ფენომენალური ადამიანის ბობოქარი სულის ურთულეს ლაბირინთში, თუ მას ბ ე ვ რ ი რამ არ ეცოდინებოდა ბ ო ნ ა პ ა რ ტ ე ს პირადი ცხოვრებიდანაც და თუ ეს ცოდნა ბოლომდე ნათლად არ ექნებოდა გააზრებული. თვით ლექსი ხომ კიდევ უფრო ადრეა დაწერილი, ვიდრე „ბ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა", დაახლოებით ერთი წლით ადრე — 1838 წელს. შესაძლოა, ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, რომელსაც სწორედ 1838 წელს წარმოუთქვამს სიტყვები ქ ა რ თ ლ ი ს ბ ე დ ი ს შესახებ, გადაწყვეტს რა ხელი მოჰკიდოს ეპიკურ ნაწარმოებს, რომელშიაც ე რ ე კ ლ ე უკანასკნელი ბრძოლები იქნება აღწერილი, სპეციალურად შეუდგა დიდი მ ხ ე დ ა რ თ მ თ ა ვ რ ე ბ ი ს ცხოვრების შესწავლას, რათა მყარი ცოდნა ჰქონოდა როგორც სამხედრო გენიოსთა ს ა ხ ე ე ბ ი ს, ისე ომის ს უ რ ა თ ე ბ ი ს აღსაწერად. ე რ ე კ ლ ე ს სახის წარმოსახვა და ბ ა ტ ა ლ უ რ ი სცენების გადმოცემა ასეთ ცოდნას პოეტისაგან უთუოდ მოითხოვდა. ამიტომ ის აუცილებლად ხელს მოჰკიდებდა სპე-

ციალური სამხედრო ლიტერატურის, ისტორიაში ცნობილი დიდი მხედართმთავრების ცხოვრებისა და მთავარი ბრძოლების შესწავლას და შესაძლოა ნაპოლეონი ამ მხრივ პირველი იყო, ვისაც პოეტმა შესწავლისათვის მიმართა, მაგრამ, შთაგონებაც მიიღო და ასე ღიწერა პოეტური შედევრი „ნაპოლეონი“, როგორც დიდი ადამიანების, ისტორიული პირების მხატვრული ასახვის პირველი ცდა პოემამდე „ბედი ქართლისა“. ალბათ ამ ცოდნამ შეაძლებინა ბარათაშვილს არა მარტო ერეკლესა და სოლომონის სახეები მოეცა იშვიათი სისწორითა და ფერწერული ოსტატობით, არამედ, ასევე ღრმა შთაგონებითა და ცოცხლად წარმოესახა პოემაში ბატალური სცენები. ამ საკითხს ქვევით შევეხებით, ვინაიდან აქ გვინდა გავაგრძელოთ მსჯელობა, თუ რა ხდება პოემაში ერეკლესადმი ჯარის ეროგულების ფიცის შემდეგ.

დაამთავრა თუ არა ეს სცენა, ბარათაშვილი იყენებს პასაჟს, როგორც სურათის უფრო გამოკვეთილად ჩვენებისა და განწყობილების გაძლიერების ერთ-ერთ საშუალებას. ჯარის სიტყვები, რომლებიც ერეკლესადმია მიმართული, აღფრთოვანებას იწვევს თვით პოეტში და იგი ლირიკული ინტონაციით გაამჟღავნებს თავის აღტაცებას:

„ნეტარ მეფისა გულს მამობრიულს,
ოდეს მოყმენი, ვით მამას შვილნი,
განუცხადებენ თავისს სიყვარულს!“

გადმოსცა რა დაძაბული ვითარების მთელი სურათი ლირიკული განწყობილების ჩართვით, პოეტს შეეძლო დაწვრილებით აღეწერა ყოველივე ის, რაც საჭირო იყო ომის უშუალო წარმოებისათვის, მაგრამ დეტალიზაციის ეს გზა მან უკუაგდო, რათა საგანი უფრო მკაფიოდ გამოეხატა და მკითხველისათვის იგი უფრო მეტი ძალით ეგრძნობინებინა. ამიტომ პოეტი თავისი ლირიკული პაუზის შემდეგ მოულოდნელად, თანაც ქარიშხლისებური ძალით იჭრება ომის კორიანტელში და უშუალოდ ბატალური სცენის აღწერას გვაძლევს:

„დაჰკრეს ნაღარა, გულნი შეზარა
და მტერთ საომრად ჯარნი შეჰყარა.
ხმა ნაღარისა, ხმა ეს ბრძოლისა
ვით არ აღგანთებს, გმირნო ქართლისა!
მხდალსა განამხნევს, მხნეს განაღვივებს
და მიჯნურსაცა სულს შეუშფოთებს!
შეექმნათ მწარე, ძლიერი ომი;
ვითა ნადირსა მშიერი ლომი.
ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი,
და მტკვარსა შერთეს სისხლისა ღვარნი!
ორნივე იბრძვიან გამწარებულნი,
ორნივ ომებში გაქეზებულნი.
ომაზ, ენისენთ მოურავის ძე,
და იოანნე, კახთ აბაშიძე,
განუმტკიცებენ მკლავთა ქართველთა;
მეფის ირაკლის ღვაწლი ყოველთა
შთაუდგამს სულსა ვაჟკაცობისას, —
მაინც ვერ ხედვენ ბოლოს ბრძოლისას.
რა ნახეს ქართველთ, გაჭირდა საქმე,
მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე,
ხმალს ხელი იკრეს მამაპაპურად
და დაერივნენ თავისებურად!
ბინდმა გაჰყარა მებრძოლნი მტერნი,
გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი“.

თუ პოემის ამ ადგილს კარგად დააკვირდებით, შეუძლებელია არ შენიშნოთ, რომ მისი ავტორი არაჩვეულებრივად სწრაფად ავითარებს ნაწარმოების სიუჟეტს, ლექსალური თხრობა ექსპრესიულობაში კადაჰყავს. მაგრამ ეს ნაკლი კი არ არის, არამედ მიღწევა. ვინაიდან პოეტი შეგნებულად ცდილობს აღწერილ სიტუაციას მეტი დაძაბულობა და გამოკვეთილობა მისცეს. დააკვირდით რამდენი რამ არის ნათქვამი ამ 24 სტრიქონში: მკითხველი ღებულობს სრულ წარმოდგენას ომის დაწყებაზე, ქართველ მეომართა გმირულ შემართებაზე, თვით ომის სისასტიკეზე; ვხედავთ წითლად შეღებილ მტკვარს, ორივე მსრივ მეომართა უმოწყალო ხოცვა-ჟლეტას; ამავე დროს ჩვენს თვალწინ გაიელვებენ კრწანისის გმირთა ცოცხალი სახეები, რომლებიც შთამაგონებლად მოქმედებენ სხვა მებრძოლებზე თავიანთი მამაცობით. ესენი არიან რეალურად

არსებული პირები, საქართველოს მატიანეში მოხსენიებულნი. მათ შორის ცნობილია, რომ იოანე აბაშიძე სწორედ კრწანისის ომის დროს დაიღუპა 1795 წელს. გარდა ამისა, ეს პატარა ნაწყვეტი გვიჩვენებს ერეკლეს მამაცობას, მის გმირულ სულს, ქართველ მხედართა ძალების დაძაბვას, მამაპაპურ გაბრძოლებას და სურათი ერთბაშად თავდება იმის აღნიშვნით, რომ დაღამდა, ბინდმა შეწყვიტა ომი, პირველი ბრძოლა ქართველების გამარჯვებით დამთავრდა.

ყოველივე ამის თქმა და ჩვენება პატარა ნაწყვეტში ასე ოსტატურად, ომის სურათების ასე ლაკონიური, მოკლე, სხარტი, თანაც ნათელი და ყოველმხრივ მკაფიოდ წარმოსადგენი აღწერა შეეძლო მხოლოდ პოეტური მეტყველების უბადლო ოსტატს, ჰეშმარიტად დიდი მხატვრული შთაგონების ადამიანს. ამიტომ პირდაპირ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბარათაშვილი ქართულ პოეზიაში ჰქმნის ბატალური სცენების აღწერის შესანიშნავ ტრადიციას თავისი მკაფიობით, გამოკვეთილობით, არაჩვეულებრივი დაძაბულობითა და სიმკაცრით. ეპიკური პოემებისათვის დამახასიათებელი აღწერა პოტანილ ნაწყვეტში შენარჩუნებულია, მაგრამ, ამასთან ერთად, მას მიცემული აქვს წარმოსახვის უფრო ცოცხალი, ჰორიზონტალური, დინამიკური ძალა, რითაც „ბედი ქართლისა“ ღრმა კვალს ავლებს საერთოდ ქართულ პოეზიაში.

ან, კიდევ, აიღეთ პოეტის მიერ აღწერილი სურათი ბრძოლის დამთავრებისა, როცა მკვდრები და დაჭრილები განუკითხავად ჰყრიან ბრძოლის ველზე; აიღეთ ავტორის ლირიკული მიმართვა სამშობლოს დამცველებისადმი! რამდენი გრძნობა, რამდენი სითბო და სიყვარული ვამოსჩვივის პოეტის სიტყვებში იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც სამშობლოს მამაცურად თავი შესწირეს:

„მრავალთ ყმაწვილთ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის,
დასდვეს აქ თავი მამულისათვის!
აწ საფლავიცა არსად ჩანს მათთვის;
ჰაერში განქრა მათი სახელი
და არსად ქამთა მოწამე ქვეგლი

არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა;
დუმილნი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა!..
მაგრამ, ჰოჲ გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
თქვენ სახსოვარნი გაქვთ თვით განგებით:
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდება,
საშვილიშვილოდ გარდაეცემის;
ქართლი თქვენს ღვაწლსაც ვერ დაიდუმებს,
აღა-მაჰმად-ხანს ვიდრე ახსენებს!"

ამ მშვენიერი ლექსის შემდეგ იწყება იმის აღწერა, თუ რა ღონეს მიმართა მოხუცმა ერეკლემ, რათა თავიდან აეცილებინა კარს მომდგარი განსაცდელი. მართალია, პირველი ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ, იმდენი მსხვერპლი იქნა გაღებული, ერეკლემ იმდენი მეომარი დაჰკარგა ბრძოლის ველზე, რომ მას „გამარჯვება აღარ ახარებდა". ეს გამარჯვება არსებითად „პიროსის გამარჯვებისაგან" როდი განსხვავდებოდა. ამიტომ მეფემ ყველა ზომა მიიღო, რათა ქართველთა „პიროსის გამარჯვების" კატასტროფული შედეგები ბოლომდე არ მისულიყო. სწორედ ამ მიზნით მეფემ ურჩია თავის ერთგულებს დაეხიათ ქალაქისაკენ, სწრაფად გაემაგრებინათ ციხე, ვინაიდან მარტოოდენ მხნეობითა და თავდადებით ძეორე დღეს ვერაფერს გააწყობდნენ რიცხვმრავალი ირანის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერეკლე ვარაუდობდა, თუ თავისი ჯარით ციხეში გამაგრდებოდა, შესაძლოა აღა-მაჰმად-ხანს ეფიქრა ქართველებს დიდი ძალები ჰყავთო და ხელი აეღო მეორე ბრძოლაზე. სწორედ ამიტომ განიზრახა ერეკლემ გამაგრებულიყო ნარიყალას ციხეში, ღობის მაგიერ ხერხი ეხმარა და ამით დაღუპვისაგან ეხსნა საშობლო.

მეფის აზრს ყველა დაეთანხმა და ქართველთა ჯარიც სწრაფად გამაგრდა ნარიყალას ციხეში.

მეორე დღეს, როცა მნათობმა შუქის ნაცვლად „ბნელი მოჰფინა თბილისის არეს", აღა-მაჰმად-ხანი მოადგა ციხეს. ბრძოლამ სამი დღე-ღამე გასტანა, მაგრამ მტერმა ვერ შეძლო ციხის აღება. იმედმიხდილ აღა-მაჰმად-ხანს ამ დროს გადაუწყვეტია უკან გაბრუნებულიყო, მაგრამ ღალატით შეუტყვია, თუ რა ჰირი ადგა საქართველოს. ამ

ღალატმა მამულს აჰყარა „სიმტკიცის ბჭენი“ და მრავალი ქართველი ვაჟკაცი მსხვერპლად შეიწირა. გასაგებია, თუ რა მძიმე განსაცდელში ჩავარდა მეფე, როცა მას ღალატი შეიტყო. ერეკლე აღამფოთა ამ ვერაგობამ, ბაგრამ ომი უკვე წაგებული იყო.

აღწერს რა შექმნილ დაძაბულ ვითარებას, პარათაშვილი პოემის პირველ კარს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„სცნა რა ირაკლიმ ესე მუხთლობა,
მოყმეთა თვისთა ეზდენ დამცრობა,
მყისვე აღენთო ხელმწიფე-გული,
მტერზედ ამაყად გამზადებული!
მაგრამ ცუდ იყო ყოველი ღონე:
აღა-მაჰმად-ხან, კვლავ თავმომწონე.
შემოეპარა ციხისა კართა,
და მოევლინა მსწრაფლ ქართველთ ჯართა.
გაფოთებული ეძიებდა მას,
ვინცა ჰერანის ტახტს, ხელმწიფობას
ქართველთა შორის წაართვა ძალა;
მაგრამ ირაკლიმ უკვე გაქუსლა
მთიულეთისკენ თავისი ცხენი
და შეუმცირა სპარსთ ტკბილნი დღენი!“

ასე დაიხურა კრწანისის ომის სახელწოდებით ქართულ მატიანეში შესული ერთერთი უაღრესად ტრაგიკული ფურცელი, რომელმაც არსებითად საბოლოოდ გადაწყვიტა საქართველოს ორიენტაციის საკითხი. ამით დაამთავრა პოეტმა თავისი ნაწარმოების პირველი კარი, რომ შემდეგ მკითხველისათვის ცხატვრულ სახეებში ეჩვენებინა კატასტროფიდან თავდაღწევის ერთადერთი სწორი გზა, რომელიც ერეკლემ გამონახა შექმნილი მძიმე მდგომარეობის ყოველმხრივი გათვალისწინებით.

პოემის მეორე კარი იწყება მშვენიერი მხატვრული აღწერით არაგვის ხეობისა, სადაც ერეკლე მეფე ეროგულ თანამებრძოლებთან ერთად „განასამართლებს“ ქართლის ბედს და პირველად გაამჟღავნებს თავის გულისწადილს.

ისტორიული ფაქტებით ჩვენ არ ვიცით, მართლაც ჰქონდა თუ არა ადგილი ერეკლე მეფისა და მისი მსაჯულის სოლომონ ლეონიძის იმ საუბარს, რომელსაც პოეტი აგვიწერს; მაგრამ, თავისთავად, იმდროინდელი საქართველოს ორიენტაციის ორი მიმართულება ისე მკაფიოდ, ნათლად და ყოველმხრივ არის დახასიათებული, რომ შესაძლოა ბარათაშვილი სარგებლობდა რაიმე ზეპირი გადმოცემით, თუ ხელთ არ ჰქონდა უშუალო წერილობითი წყარო.

ვიდრე ერეკლესა და სოლომონის დიალოგს შევეხებოდეთ, გვერდს ვერ ავუვლით იმ მხატვრული საშუალების ჩვენებას, რომელსაც პოეტი მიმართავს. უაღრესად დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე მეფისა და მისი მსაჯულის დიალოგს ავტორი გადმოგვცემს არა პირდაპირ, უშუალოდ, არამედ, ბუნების წარმოგვიდგენს უმშვენიერესი პანორამის სახით და მის ფონზე გვიჩვენებს მთიულეთში გახიზნულ მეფეს. არაგვის ხეობის გრანდიოზული პეიზაჟი საუცხოოდ, პირდაპირ ფერწერულად არის გადმოცემული, რაც ნიკოლოზ ბარათაშვილს საქართველოს მიმზიდველი ბუნების ერთერთ უველაზე ნიჭიერ მომღერლად წარმოგვიდგენს. პოემის ეს ადგილი თვითეულმა ქართველმა ცოდნის ზეპირად იცის და მას ხშირად იმეორებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა არაგვის ხეობის ამ შესანიშნავ ადგილებს ეწვევა და მისი საკვირველი სანახაობით ესთეტიკურ ტკბობას განიცდის.

ვისაც ერთხელ მაინც გაუვლია ამ საარაკო ხეობაში და თვალი შეუვლია მისი გოლიათური მთებისა თუ კლდეებისათვის, ვისაც არაგვის ჩქარი ზვირთების დენასთან შეთანხმებული მშვენიერი ბუნების უტყვი მელოდია მოუსმენია, ის პოეტთან ერთად მიეცემა რაღაც სანეტარო წუთებს ამწვანებული, მაღალტყიანი გარემოს ასეთივე მაღალპათეტიკური ფერწერული აღწერით:

„მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი,
და შეუპოვრად მოუთმაშებს,
გარემო თვისსა ატეხილ ჰალებს.
ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შეებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შეენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს,
როგორ იქნება არ განისვენოს?
სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს,
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,
გამოიღვიძებს — შუბლს განიგრილებს,
ერთს ქართველურად კიდეც შესძახებს,
არაგვო, მაგ შენს ამწვანებულ მთებს,
და მერე თუნდაც დაუგვიანდეს,
იგი იმისთვის აღარ დაღონდეს!"

ისმენთ ამ შესანიშნავ ლექსს და თქვენს ყურს იგი ისევე სასიამოვნოდ ესალბუნება, როგორც მუსიკალური ნაწარმოების მიმზიდველი ჰანგი. პოეტური მეტყველება აქ თითქოს პირდაპირ მუსიკალურ ენაზეა დათარგმნილი, თითქოს რაღაც მძლავრი ხელი, მუსიკალური ინსტრუმენტების ნაცვლად, თქვენს გრძნობებს გამოაცემინებს განცვიფრების მინორსა თუ მაჟორს, თითქოს ყოველივე ამას თქვენ იტყოდით, თქვენ ამბობთ, თქვენ გამოხატავთ. ყველაფერი აქ თქვენია და თქვენ ვეკუთვნით: ბუნებაც, განცდაც, ეთნოგრაფიულ ისტორიებიც. ეს არის კალმის გენიალური მოსმა, რომელსაც ადამიანი მუდამ აღტაცებაში მოჰყავს და თავისი შოულდნელობით ანცვიფრებს. ბარათაშვილმა საქართველოს ბუნების ისეთი საიდუმლოება შეიცნო, რასაც ყველა გრძნობდა, მაგრამ ვერ ხატავდა. ამით მან ერთმა გამოთქვა ყველას ფიქრი და გრძნობა, რითაც სათავე დაუდო ქართული პეიზაჟის რომანტიკულ-რეალისტურ აღწერებას. თვითონაც ხომ არაერთგზის უვლია არაგვისა და თერგის ხეობაში დარიალამ-

ღე. როგორც ეს ჩვენ უკვე ვნახეთ ცხოვრების აღწერის დროს, და განუცდია მისი ა მ ა ღ ლ ე ბ უ ლ ი მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ა.

სწორედ ამ ქართული ბუნების უშუალო წიაღში პოეტი გაასაუბრებს მ ე ფ ე ს ა და მ ს ა ჯ უ ლ ს, ამავე დროს, ე რ ე კ ლ ე ს ისე მოულოდნელად წარმოათქმევინებს თაკის განზრახვას, რომელსაც მანამდე არავის უმჟღავნებდა, რომ ს ო ლ ო მ ო ნ თ ა ნ ერთად მკითხველიც იმავე გრძნობით იმსჭვალება, რითაც განცვიფრებული მსაჯული. მან სრულიად მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ად მოისმინა მეფის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. დამწუხრებული ე რ ე კ ლ ე მეფე მდუმარედ უცქერის არაგვის წყალთა მჩქეფარე დენას, და თავის მსაჯულს განუმარტავს, თუ რა მდგომარეობაშია საქართველო, რა გარდახდა მას, ისევე, როგორც თვით ხელმწიფეს; რა მიზნები ამოქმედებს სპარსეთს ა ტ ა მ ა ხ მ ა დ-ხ ა ნ ი ს სახით; რას განიცდის ლ ე კ ე ბ ი ს ა გ ან შევიწროებული საქართველო; რას მოელის ო ს მ ა ღ ე თ ი, რომელიც სიხარულით შეჰყურებს საქართველოზე შტერთა მიტყდომასთან ერთად ქვეყნის შ ი ნ ა უ რ ა წ ე წ ი ლ ო ბ ა ს და ყმათა უ რ თ ი ე რ თ ბ ძ ა რ ვ ა ს; რა მდგომარეობაშია თვით მეფე, რომელსაც წელთა სიმრავლემ ღონე წაართვა; რას ფიქრობს მეფე და რით ცდილობს მ ი ე შ ვ ე ლ ო ს თავის ქვეყანას, ფაქტიურად უკვე დ ა რ ღ ვ ე უ ლ ს, რომელიც თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის.

ასეთია განუწყვეტელ უ ბ ე დ უ რ ე ბ ა თ ა გრეხილი, რის გამოც ე რ ე კ ლ ე ს გადაწყვეტილი აქვს, სხვა გამოსავალიც ვერ უპოვია, გარდა იმისა, რომ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ე უ ე რ თ ო ს ე რ თ მ ო რ წ მ უ ნ ე დ ი დ რ უ ს ე თ ს და მ ა ს ჩ ა ა ბ ა რ ო ს მ შ ო ბ ე ლ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს მ ო მ ა ვ ა ლ ი. ეს არის მეფის უკანასკნელი განზრახვა, რასაც იგი პირველად უმჟღავნებს თავის მსაჯულს, როგორც ერთგულსა და სანდარეულ შვილს.

ჩვენ გვინდა პოემის ეს ე რ თ ე რ თ ი ყველაზე ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ადგილი, იდეური თვალსაზრისით კი ყ ვ ე ლ ა ზე მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი, მთლიანად მოვიტანოთ, რათა მკითხველმა სრული წარმოდგენა მიიღოს, თუ რა ღრმად, აზა-

ვე დროს რა ზუსტად ერკვეოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი ერეკლეს ორიენტაციაში, როგორი დიდი პოეტურიც უშუალობით ახერხებდა იგი გადმოეცა ყოველივე ეს თავის ნაწარმოებში. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ პოეტი ერეკლეს ისეთ სიტყვიერ მასალას აძლევს, ისეთი დინჯი თხრობით წარმოგვიდგენს, როგორც ნამდვილად შეჰფერის ბრძენ მეფესა და ასევე ბრძენ სარდალს. მისი გულისტკივილი, წარსულისა და აწმყოს შეპირისპირებით, ბოლოს კი საშინელი შედეგების აღიარებით, — ტრაგიზმით აღსავსე გოდებაა, რაც ესოდენ დამახასიათებელია რომანტიკული გმირებისათვის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელთ პიროვნული, სუბიექტური წინა პლანზე აქვთ წამოწეული, ხოლო მეფის ურვა-წუხილი მშობლიური ქვეყნის უბედურებით არის გამოწვეული. ერეკლე ირწმ პირდაპირ ასე მიმართავს თავის მსაჯულს:

„შენ იცნობ კარგად, სოლომონ, ჩემს გულს,
შენ უწყი ქართლის აწ ვითარება,
მისი აწ ძალა, ყოფა, ცხოვრება;
ბევრჯერ რჩევანი შენნი, ვითა წყლულს,
მსალბუნებიან მე შეწუხებულს;
აწც ჩემს სულის ტკივრთს, ჩემს გულის წადილს,
შენ გაგიმეღავნებ, ვით საყვარელს შვილს!
არ მითვისებდა ქართველთა გული,
რომ ვიყავ მათი მეფე ეული;
ჩემი მეფობა ზე დაეასრულე,
რომ ძლივს იგინი გავიერთგულე!
და ახლა, ოდეს ჩემს ხელმწიფობას
განუმზადებდი ჟამ-კეთილობას,
აი მის ნაცვლად რაი მომაპყრეს,
მე ჩემთა ძეთა და ვინ ახარეს!..
ამიერითგან გაქეზებული
მაჰმად-ხანისა მოსისხლე გული
არ დაგვაწყნარებს სიამაყითა:
მას ჟამი შესწევს ყოვლის ღონითა;
ეს ხმა ლეკთაცა აგვიყაყანებს;
ოსმალი მხოლოდ დროს შემოჰყურებს,
და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,
როს ყმანი ჩემნი ურთიერთს ბძარეენ!

მე თუმც კიდევ ვგრძნობ სულის სიმტკიცეს,
გარნა ღონენი წელთ წარმიტაცეს;
შენი ირაკლი ის აღარა ვარ,
პატარა კახად რომ გინახივარ!
აბა რომელს შვილს ვხედავ ღირსეულს,
რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?.
ჰოდ, ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად
ნუღარ განსწირავ ქართველთა ტანჯვად!
აბა რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?
კარგად იფიქრე, შვილო ერთგულო:
ან განთქმულია რუსთა სახელი,
ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი.
დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი, — სარწმუნოება, —
მას მინდა მივცე მემკვიდრეობა
და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა!"

ასეთი ალტერნატივის წინაშე დგას ერეკლე მეფე და თავის მსაჯულსაც ამ რთული პრობლემის გადაწყვეტაში დახმარებას სთხოვს. დახმარებას იმიტომ, რომ მას, როგორც მეფეს, შეგნებული აქვს, მარტოოდენ თვითმპყრობელი ძალით შეუძლებელია ამ დიდი საქმეყნო საქმის გადაწყვეტა, ვინაიდან, არსებობს სერიოზული ოპოზიცია, რომელიც სრულიად სხვა თვალსაზრისს აყენებს.

ისტორიულად ეს მართლაც ასე იყო. ერეკლეს სავსებით სწორი თვალსაზრისი პირველ ხანებში გარკვეულ წინააღმდეგობას ხვდებოდა. მიუხედავად დიდი ავტორიტეტისა, რომლითაც ხალხში სარგებლობდა, ყველა როდი ეთანხმებოდა მას და ყველა ერთსულოვნად როდი იზიარებდა მეფის აზრს ამ საკითხზე. სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისის ერთერთი მკაფიო გამომხატველი უთუოდ იყო მსაჯული სოლომონ ლეონიძე, რომელმაც შესაძლოა სწორედ ამ საკითხებზე მეფესთან მსჯელობის დროს, უფრო ადრეც, გამოთქვა თავისი უარყოფითი თვალსაზრისი, რამაც მათ შორის ერთხანს განხეთქილება ჩამოაგდო, როგორც ამას ისტორიული მასალები მოწმობენ. ყოველშემთხვევაში, სოლომონ ლეონიძეს ერეკლე დიდ ნდობას უცხადებდა, მეფესთან ერთად მას ხალხიც თანაგრძნობით ეკიდებოდა, და მის აზრს, ბუნებრი-

ვია მომხრეებიც ჰყავდა. სოლომონის სახით პოეტმა შესძლო წარმოედგინა მეორე თვალსაზრისი სავსებით დამაჯერებლად, ამავე დროს. მეფესა და მსაჯულს შორის დიალოგს მისცა სრულიად ბუნებრივი, ძალდაუტანებელი ხასიათი. მთელი მსჯელობა უაღრესად მნიშვნელოვან, საჭირბოროტო, ყოფნა-არყოფნის შემცველ საქვეყნო თემაზე მიმდინარეობს დარბაისლური ტონით, საკითხის ღრმა ცოდნით, ყველა პლიუსისა და მინუსის გათვალისწინებით. მოკამათენი თავიანთი აზრების დასამტკიცებლად ფრთხილად ეძებენ არგუმენტებს, ცდილობენ ნათელჰყონ ჭეშმარიტება, როგორც მათ წარმოუდგენიათ, და ერთმანეთს პასუხს აძლევენ პირადი მოვალეობის სრული შეგნებით. ეს იგრძნობა მთელი დიალოგის მანძილზე. რა პასუხს აძლევს, მაგალითად. მსაჯული თავის მეფეს დაყენებულ კითხვაზე? აი მისი სიტყვები:

„რასა მიბრძანებ“, ჰკადრა მან მეფეს,
„ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს,
ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა,
ეზდენ შენზედა მსასოებელთა!
ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება?
იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.
ვინ იცის, მაშინ როგორ მოეხდეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი:
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა?
მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცთ მართალ
მოუკლან გულნი ტანჯვათ იდუმალ!
მაშინ ირაკლის სახსენებელი
ვინღა ახსენოს, აწ საქებელი?
ნუ, ხელმწიფეო, მას ნუ ინებებ:
შენგან კი მაგას ნუ გაგვაგონებ,

და მერმე ქართლი ვინც ვერ განაგოს,
მაშინ მან უნყის, რაც მოაგვაროს,
ხოლო ირაკლი ვიდრე ჰყავთ ქართველთ,
უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ!"

მსაჯულის ამ სიტყვებს თუ ღრმად დავაკვირდებით, მრავალი საგულისხმო ფაქტის მონიშნება შეუძლია. ჯერ ერთი, პირველივე ფრაზა კატეგორიული ფორმით უარყოფს ერეკლეს აზრს, მეორეს მხრივ კი, სოლომონის პოზიცია განსხვავებულია მეფისაგან ერთერთ ძირითად საკითხშიც: იმ დროს, როცა ერეკლეს მიაჩნია, რომ საქმე საბოლოოდ წაგებულია, მსაჯული ასე არ ფიქრობს: „ჯერ სამაგისო რა გვემართება, რომ განვისყიდოთ თავისუფლებაო". ეს არის სოლომონის ფრიად მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომელმაც დღის წესრიგიდან უნდა მოხსნას დაყენებული საკითხი. მართლაც, თუ აუცილებლობით არ არის გამოწვეული, რა საჭიროა დაისვას ან გადაიჭრას მტკივნეული საკითხი? ასე ფიქრობს სოლომონი, მაგრამ მისი შეცდომის ძირი სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. მსაჯულს სწორად არა აქვს წარმოდგენილი, თუ რა კატასტროფის წინაშე დგას ქვეყანა. რა საშინელი იქნება მისი ხვალინდელი დღე; ყოველივე ეს მთელი არსებით შეგნებული აქვს ერეკლეს, რომელიც ხახვევარი საუკუნე თავის ხალხს სათავეში ედგა და ფიზიკურ არსებობას უნარჩუნებდა გარეშე მტრებთან მამაცური ბრძოლით. მაგრამ ახლა ყველა საშუალება ამოიწურა. საქართველოს ორიენტაციის საკითხი ისეთ სიმაღლეზე ავიდა, ისე მწვავედ დაისვა, რომ დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს. ერეკლეც ასე ფიქრობს. სოლომონს კი პირიქით წარმოუდგენია: საამისო ჯერ არაფერი გვჭირსო. ეს მართლაც ორი სრულიად დაპირისპირებული შეხედულებაა არა მარტო თვით ორიენტაციის საკითხში, არამედ, მისი დღის წესრიგში დასმის თვალსაზრისითაც. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება სოლომონის კონკრეტული მსჯელობა, რომ საკითხავია: ამ აქტით იველიელები მიიღებენ თუ არა ბედნიერებას, რომ მარტოოდენ სარწმუნოებრივი ერთობა არაფერს ნიშნავს სახელ-

მწიფოში, თუ ერთა თვისებები განსხვავებულია; ამიტომ, ვინ იცის რა მოხდება, როგორ შეითვისებენ ეს ერები ერთმანეთს; თუ ვერ შეითვისეს, ბევრ მართალ ადამიანს იდუმალი ტანჯვა მოუკლავს გულს და ერეკლეს განთქმულ სახელს ქებით ვინღა მოიხსენიებს! ამიტომ სოლომონი ემუდარება მეფეს ხელი აიღოს თავის განზრახვაზე, ერეკლე ნუ იქნება ამ საქმისა თუ ამ აზრის გამტარებელი, და მომავალში რაც მოხდება, დეე მოხდეს; მომავალმა თვითონვე აგოს პასუხი მომავლისათვის. ერეკლე კი ნუ გააგონებს თავის ხალხს ამ სიტყვებს. დაე, მომავალმა მეფემ, თუ ვერ შეიძლოს ქართლის მართვა, თვითონვე მონახოს გამოსავალი, „მაშინ მან უწყის, რაც მოაგვაროს“. ახლა კი სხვა მდგომარეობაა, — ფიქრობს მსაჯული, — ახლა ქართველებს ერეკლე მეფე ცოცხალი ჰყავთ, და ამიტომ ისინი ყოველგვარ განსაცდელს გაუძლებენ, ვინაიდან „...ირაკლი ვიდრე ჰყავთ ქართველთ, უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ“.

ასეთია სოლომონ ლეონიძის პასუხის დედააზრი იმ ღრმა რწმენიდან გამომდინარე, რომ ჯერ საქართველოს ორიენტაციის საკითხის დაყენება აუცილებლობით არ არის გამოწვეული, ხოლო, მეორეს მხრივ, ერეკლეს მისიას არ შეადგენს მისი გადაწყვეტა და პატარა კახმა ეს ნაბიჯი არ უნდა გადადგას. ასეთია სოლომონის მცდარი შეხედულება.

ამით მთავრდება სოლომონის პირველი პასუხი მეფის კითხვაზე და იწყება თვით ერეკლეს პასუხი.

თავიდანვე, მსაჯულის ამ სიტყვებს, ერეკლე არავითარ არგუმენტს არ უპირისპირებს, გარდა იმისა, რომ შენიშნავს: მან ყოველივე ესიცის, მაგრამ სხვა გზა არ არსებობს, ვერ გამოუნახავს და უფრო უკეთეს საშუალებას ვერ ხედავს. ერეკლე თან დასძენს, რომ იგი არ ფიქრობს თავისი განდიდებისათვის; არა, მისი მიზანი მხოლოდ ისაა, რომ შემწედ ექცეს ქართველ ხალხს; და ისე, როგორც ყოველი კეთილი მამა ცდილობს თავისივე სიცოცხლეში დაასახლკაროს თავისი შვილი, ასევე მას სურს ქვეყანას მისცეს მშვიდობა და გამოსტაცოს იგი ყოველდღიური მძვინვარე ომის ბრჭყალებს. მეფის მიზანია

საქართველომ იხილოს მშვიდობა, და იცის, რომ ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ერთადერთი გზით, რომელიც ყველა სხვა გზაზე უკეთესია; ეს არის რუსეთის გზა და მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ შეუძლია საქართველოს სპარსეთის ჯავრი ამოიყაროს:

„ჩემო სოლომონ", მეფემ უბრძანა,
„მე ეგ ყოველივ არ ვიცი განა?
მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის
რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?
მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე,
თვისს დიდებისთვის სისხლთა აღმჩქეფე;
არამედ ვითა მამა კეთილი,
რომელსა სურს რომ თავისი შვილი
თვის სიცოცხლეშივ დაასახლკაროს.
ძნელ არს ცხოვრება სამეფოსი, როს
უპვრეტდეს იგი ომსა დღე-დღითი!
აი ხომ ნახე აწ მაგალითი,
რა ქნა ამ ერთმან დამარცხებამან!
კარგი, რომ კიდევ აღა-მაჰმად-ხან
ქალაქს დასჯერდა განძვინებული,
სხვით არ აღივსო მან საწყაული!
ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა.
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის,
და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გვრწამდეს,
რომ ქრისტეანთ ხმა მარად ისმოდეს,
საფლავთ ზედ ჩვენთა მამა-პაპათა,
და განისვენონ აჩრდილთა მათთა!"

ერეკლეს ამ სიტყვებს, გარდა იმისა, რაც ზევით აღვნიშნეთ, წითელი ზოლივით გასდევს იმის შეგნება, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია მუდამ დაძაბულ მდგომარეობაში იყოს, განუწყვეტელ ნერვიულობას განიცდიდეს, ყოველდღე ომის საფრთხეს თვალებში უცქეროდეს. ეს ერთადერთი ჰეშმარიტი აზრი გამომდინარეობს ერეკლეს სიტყვებიდან, რომ „ძნელ არს ცხოვრება სამეფოსი, როს უპვრეტდეს იგი ომსა დღე-დღითი!" მშვიდობისაკენ

ერეკლეს მისწრაფება ნაკარნახევია არა მარტო თავისი ქვეყნის მძიმე მდგომარეობით, როცა ერთმა დამარცხებამაც კი შეწვეზე ჩამოჰკიდა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი, არამედ, მთელი ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებითაც.

მიუხედავად ასეთი ნათელი და საფუძვლიანი არგუმენტაციისა, სოლომონი მაინც არ ეთანხმება ერეკლეს. მეტიც შეიძლება ითქვას: მეფის სიტყვებს მსაჯულის გულმა ვერარ გაუძლოო, — შენიშნავს პოეტი, — სოლომონს აღშფოთებული ტონითაც კი მიუმართავს მეფისათვის და უთქვამს:—მაკვირვებს შენი განზრახვა, ვინაიდან კარგად იცი „ქართველებს არად მიაჩნიათ უბედურება, თუ აქვთ თვისთჰერთ-ქვეშთავისუფლებაო“

მსაჯულის სიტყვებს ერეკლე მეფე კვლავ ეთანხმება, მაგრამ ისევ ამტკიცებს, რომ ამ საშინელი რღვევის, კარსმომდგარი უბედობის ხანაში იგი სხვა გამოსავალს ვერ პოულობს ქვეყნისათვის მშვიდობის მოსატანად. აი, დაგეთანხმები, მივიღებ შენს რჩევას, აღარაფერს ვიტყვი ჩემს განზრახვაზე, მაგრამ გახსოვდეს და ნუ დაივიწყებ:

„რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!“

ეს არის ერეკლეს უკანასკნელი სიტყვა დასმულ საკითხზე, სიტყვა, რომელიც გამოხატავს მეფის ღრმა რწმენას, რომ ადრე თუ გვიან, დღეს თუ ხვალ, საქართველო აუცილებლად ამ გზით წავა და მისთვის სხვა გამოსავალი არ არსებობს. მან თავისი ხსნა უნდა ჰპოვოს ერთმორწმუნე რუსეთის მფარველი კალთის ქვეშ.

ასეთია ირაკლისა და მისი მსაჯულის მთელი საუბრის დედააზრი.* ეს საუბარი მიმდინარეობდა უაღრესად კრიტიკულ მომენტში, და იმ დროს, როდესაც ისინი ქარ-

* ამ საკითხზე იხ. აგრეთვე პროფ. მ. ზანდუკელის მოსაზრებანი წიგნში — „ახალი ქართული ლიტერატურა“, ტ. I, 1956 წ., გვ. 214—219.

თლის ბედს განასამართლებდნენ, ქართველები დაკარგული მამულის გლოვაში იყვნენ.

პოეტი გზადაგზა ავითარებს პოემის ამ ძირითად მაგისტრალურ ხაზს, გვიჩვენებს ერეკლეს სახეს, გვეუბნება, რომ ლამაზმა ღამემ, ვარსკვლავებით მოჭედილმა ცამ, მთის სუფთა ჰაერმა, ბადრმა მთვარემ და მის შუქზე არაგვის წყლის ჩხრიალმა მეფეს დარდები კვლავ აუშალეს, მოაგონეს კახთა შორის გატარებული ყმაწვილობის დრო, როცა იგი ჯერ კიდევ არ მეფობდა, ჯერ კიდევ უზრუნველი და კახეთის საყვარელი გმირი — „ნიადაგ მტერთა განმგმირი“ პატარა კახი იყო.

დიდხანს ყოფილა მეფე ამ მდგომარეობაში, მწუხარედ და ღრმად დაფიქრებული; შემდეგ კი მსაჯულისათვის უთქვამს, რომ ახლა საჭიროა ქალაქს მივხედოთ, მე კახეთს გავემგზავრები, რათა შევიტყო თუ იქ რა მდგომარეობაა, შენ კი თბილისში გაემგზავრე და შეხვედრის სამზადისს შეუდექიო. ვინაიდან აღა-მაჰმად-ხანმა დარბევისა და დანგრევის შემდეგ თბილისი დასტოვა, ერეკლეს გადაწყვეტილი აქვს ქალაქში დაბრუნდეს და მის აღდგენას ხელი მოჰკიდოს.

ასე ვითარდება პოემის სიუჟეტი, მაგრამ ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველმა იცოდეს, რომ პოეტმა განზრახ აუარა გვერდი ერთ ფრიად მნიშვნელოვან ფაქტს.

სწორედ ამ პერიოდში ერეკლესა და აღა-მაჰმად-ხანს შორის მოლაპარაკება იყო გამართული. ანახურში მყოფი ერეკლე ამ მოლაპარაკებით ცდილობდა დრო მოეგო — მას რუსეთის მხედრობის დახმარების იმედი ჰქონდა, რევანშს აპირებდა, რათა შეერთებული ძალით ირანელები საქართველოდან განედევნა, მაგრამ ეს მოლაპარაკება ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, როდესაც აღა-მაჰმად-ხანმა მოულოდნელად ალყა მოხსნა. იგი ირანისაკენ გაემართა, ვინაიდან თავის ქვეყანაში შექმნილი დაძაბული მდგომარეობა მას დიდი საფრთხით ემუქრებოდა. ამავე დროს, აღა-მაჰმად-ხანს გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ ერეკლე ირანის გავლენის ქვეშ არ მოექცე-

ოდა, ქვლავ შემოსეოდა საქართველოს, ახლა კი მხოლოდ იმ ერთადერთი განზრახვით, რომ მთლიანად მოესპო მისი არსებობა, ქვა-ქვაზე არ დაეტოვებინა, უველაფერი ცეცხლად და ფერფლად ექცია. სწორედ ამ განზრახვით დაიძრა საქართველოსაკენ ირანის მპყრობელი დიდძალი ჯარით 1797 წლის ზაფხულში, ე. ი. დაახლოებით ორი წლის შემდეგ, მაგრამ ამჯერად მას უკვე აღარ ეწერა თავისი ვერაგული ზრახვების აღსრულება. საქართველოს მიწას მან ფეხი ვეღარ დაადგა, ვინაიდან, იმავე წლის 4 ივნისს ყარაბახში აღა-მაჰმად-ხანის ვერაგული გულის ცემა შეწყვიტა სადიხას მარჯვე ხელმა. როგორც გადმოცემა ამბობს, „შენირანი მოჰკალიო“, — უთქვამს სულთმობრძავ აღა-მაჰმად-ხანს სადიხასათვის. უთქვამს, თუ არ უთქვამს, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, რომ აღა-მაჰმად-ხანის სიკვდილის შემდეგ ირანში საშინელი არეულობა დაიწყო და შაჰის ძალაუფლება გარკვეული დროის მანძილზე ნაფლეთებად იქცა.

ვიმეორებთ, პოემის ავტორმა გვერდი აუარა ერეკლესა და აღა-მაჰმად-ხანის მოლაპარაკების ფაქტს, შესაძლოა იმ მოტივით, რომ მან პოემის მთავარი სიუჟეტური ხაზი არ დაამძიმა სხვა მეორეხარისხოვანი მოვლენებით, რომლებსაც შეეძლოთ ძირითადი იდეისათვის წრდილი მიეყენებინათ. ამიტომ პოეტმა უმჯობესად მიიჩნია პირდაპირ გაეგრძელებია ნაწარმოების ძირითადი იდეური ხაზი, რისთვისაც ოსტატურად გამოიყენა თბილისისაკენ მიმავალი მსაჯულის შესვლა ქსნის ხეობაში, სადაც სოლომონს ომიანობის დროს ცოლ-შვილი ჰყავდა შეხიზნული, და მისი დიალოგი მეუღლე სოფიოსთან. მაგრამ, ვიდრე ამ დიალოგს შეეხებოდა, ბარათაშვილმა დაგვიხატა ღეონიძის მინაგანი არსება, მარტოდმარტო დარჩენილი ადამიანი, რომელიც მონარქიის პირობებში, მონარქიისადმი ერთგულების მიუხედავად, წამიერად მაინც გაიფიქრებს სრულიად სხვა წესწყობილებაზე და შექმნილი კონრეტული სიტუაცია რესპუბლიკურ იდეასთანაც კი მიიყვანს.

ჩვენ არ ვიცით, ისტორიული წყაროებით არ მტკიცდება, ჰქონდა თუ არა ასეთი იდეები სოლომონ ლეონიძეს, მაგრამ, შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს ისეთ ადამიანს, როგორიც ბარათაშვილი იყო. რაკი მან ასეთი იდეებით აღჭურვა თავისი გმირი, ალბად, რაღაც საფუძველი ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ზეპირი გადმოცემით უთუოდ ხელმძღვანელობდა, როცა სოლომონ ლეონიძეს რესპუბლიკელის ენითა და იდეებით ამეტყველებდა. ამ ფაქტის უგულვებელყოფა არ შეიძლება. მით უფრო, რომ სოლომონ ლეონიძის ბევრი ახლომცნობი იმ დროს ცოცხალი იყო და შესაძლოა ბარათაშვილის პოემასაც ხელნაწერში კითხულობდა. მართალია, ალექსანდრე ორბელიანი არ ეთანხმებოდა პოეტს ისტორიული ფაქტების გაშუქებაში, სადავოდ მიიჩნევდა ლეონიძის ბარათაშვილისეულ წარმოსახვასაც, მაგრამ, ყოველივე ამას ჩვენ ჯერ ვერ მივიჩნევთ საკითხის საბოლოო გადაწყვეტად. ყოველ შემთხვევაში, ისტორიის წინაშე ვრავითარი შეცოდება არ არის, თუ პოეტმა ისტორიული პიროვნების სულში ჩაიხედა, ამოიკითხა მისი გულისნადები, რაც საჯაროდ არ გამოუთქვამს, მაგრამ სავსებით შესაძლებელი იყო ეფიქრა, განეზრახა ან კიდევ თავისივე თავისათვის ეთქვა.

და რას ათქმევინებს პოეტი სოლომონ ლეონიძეს?

მსაჯული მადლობას უხდის ღვთაებას, რომ გულთმხილავი ერთკაცს ყველა უფლებას აძლევს, ისეთ პირობებში ჩააყენებს, როცა მის ერთ სიტყვას ყველა უნდა დაემორჩილოს, ერი და ბერი, განურჩევლად იმისა, სულელია თუ ბრძენი, ხოლო მეფე ხალხის ბედს ისე განაგებს, „ვითა ამღერდეს იგი კამათლებს“.

და, აი, დაეჭვებული მსაჯული ფიქრობს, თუ ვინ მისცა მეფეს ნება, რომ თავის ქვეშევრდომთ წაართვას თავისუფლება, ყმად გაიხადოს სხვა ადამიანი, რომელიც ვალდებული ხდება მისდევდეს მის „გულისკვეთებას“. რატომ ივიწყებს მეფე, რომ თუ ერმა მას „პირველი ღირსება“ მიანიჭა, მისი გულისთქმაც ერს ეკუთვნის და არა თვით მეფეს; მით უფრო, რომ ერმა ასე ძლიერად შე-

იყვარა თავისი ხელმწიფე, და მზად არის მასთან ერთად ყოველგვარი განსაცდელი გადაიტანოს.

ასე ფიქრობს მსაჯული და პოეტს სრული უფლება ჰქონდა, ისტორიული წყაროების არარსებობის მიუხედავადაც კი, ამ აზრებით წარმოედგინა თავისი გმირი, ისევე, როგორც მას შეეძლო დაეეჭვებინა იგი თავისივე შეხედულებების სისწორეში. ბოლოს ხომ სოლომონ ლეონიძე, ნათქვამით დაეჭვებული, თვითონვე სწრაფად შეჰღაღადებს ღვთაებას: ვინ იცის, იქნებ სწორედ ისეა საჭირო, როგორც მეფე ბრძანებს, მაგრამ ამ ბრძანების აზრს სხვები ვერ მიხვდებიანო:

„მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
ერთს კაცს მომადლებ ყოვლთა უფლებას,
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,
განურჩეველად სულელნი, ბრძენნი,
და იგი მათს ბედს ისე განაგებს,
ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!
მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
მისდევდე შენსა გულისკვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?
შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,
რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,
და რად ივიწყებ, რომე მარადის
ერსა ეკუთვნის გულის თქმა მეფის!..
იქნება მეფე ციხის გატეხას
აბრალებს მოყმეთ მუხანათობას?
იქნება ამან აჰყარა გული
ბატონს ქართლზედა შეუორგული?
მაგრამ ირაკლიმ უკეთეს უწყის,
თუ ვით საყვარელ არს ქართველთ შორის.
მაშ რამ უცვალა მას გული მყარი,
ქართველებისთვის ესთ თანამკედარი?..
მაგრამ ვინ იცის! იგი იქნება
უკეთ ფიქრობდეს, რაც გვეჯერება:
ბევრ-ჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის
გონება ყმათა ვერა მიხვდებისს!"

ამ მძიმე ფიქრებით უახლოვდება მსაჯული თავის სახლ-კარს. მას წინ შემოეგებება მეუღლე სოფიო, რომელ-

საც პოეტი თავდაჭერილ პანეგირიკს უძღვნის, როგორც სათნო ადამიანს, ზრდილს, მშვენიერსა და გულკეთილს. სოფიომ თავის მეუღლეს პირველი შეხედვისთანვე შეამჩნია სახეცვლილება, მოწყენილობა და ჰკითხა ერეკლეს ამბავი, როგორც მისმა ერთგულმა ადამიანმა. სოლომონი ეუბნება სოფიოს, რომ მეფე აღელვებულია, ქართველებზე გულნაკლულია, მკაცრ დასჯას უპირებს ურჩ შვილებს, რომლებმაც გასაჭირში მყოფ სამშობლოს დახმარება არ გაუწიეს. ამასთან ერთად, მსაჯული თავის ეროგულ მეუღლეს გაუმჟღავნებს, რომ ერეკლეს გადაწყვეტილი აქვს ქართლის სამეფო რუსეთს შეუერთოს. მაშინ თქვენ ნახეთ რა კარგ ყოფაში ჩავარდებით: იცხოვრებთ პეტრეს ქალაქში, კეთილ მამად გეყოლებათ ხელმწიფე, დედოფალი კი დედის ნაცვლად, არ მოგაკლდებათ თავისუფლება, განცხრომა და ფუფუნება; მდიდრულ პალატებში მტრის ხმას ვერ გაიგონებთ, მრავალ სიამეს ნახავთ და... სოლომონი მოელის, ნამდვილად ფიქრობს, რომ ყოველივე ამით სოფიო მოიხიბლება, კმაყოფილებას გამოთქვამს, აღფრთოვანებას მიეცემა.

მაგრამ, სრულიად სხვა სურათს ვღებულობთ. მსაჯულის მეუღლე კატეგორიული ფორმით უარყოფს ასეთ ბედნიერებას, სხვა თვალსაზრისს გამოთქვამს, პირდაპირ აცხადებს, რომ მას ურჩევნია თავის ჰერქვეშ თუნდაც გაჭირვებით იცხოვროს, ოღონდ ნუ მოაკლდება თავისუფლება:

„უწინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე,
სადაცა ვერ ვის იკარებს სული
და არს უთვისო, დაობლებული?
რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული?
და ველად იგი, ამხანაგთ შორის,
ჰირსაც, ვით ლხინსა, ერთგვარ დამღერის!
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?
თავის მამულში მას გაჭირება

სხვადასხვა რიგად ენუგეშება:
მუნ სულსა სული თვისად მიაჩნის
და გულსა გულის პასუხი ესმის!
რა დაგვრჩომია სხვაზედა თვალი,
ოდეს მეფეცა და დედოფალი
გვყვანან კეთილნი და ღირსეულნი,
და ვართ მათთანა შვილებრ ჩვეულნი?
ჩვენის დედოფლის გულისა ნაცვლად,
მწუხარებათა სანუგეშებლად,
რასა ვიპოვით ჩვენს სიცოცხლეში?-

სოფიოს ამ მშვენიერი სიტყვებით პოეტს სურდა აემეტყველებინა სამშობლოს მხურვალედ მოყვარული ადამიანი, პატრიოტი, რომელიც მზად იყო ყველა და ყოველგვარი მსხვერპლი გაეღო, ოღონდ თავისი მშობელი ქვეყანა არ დაეკარგა და განსაცდელში არ ჩაეგდო. განა გადაჭარბებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ მსაჯულის მეუღლე სოფიო პოეტის მიერ წარმოსახული ქართველი პატრიოტი ქალის მართლაც იდეალურ განსახიერებას წარმოადგენს? არა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა იგი არაჩვეულებრივად მიმზიდველი ფერებით დაგვიხატა, რითაც ქართულ ლიტერატურაში შეჰქმნა მკაფიოდ გამოძერწილი ქართველი ქალის პატრიოტული სახე. პოეტმა ეს სახე გააცისკროვნა, გააკეთილშობილა, მხატვრის პალიტრიდან ყველა საღებავი გამოიყენა მისი სრულყოფისათვის და მკითხველსაც პატივისცემის მძლავრი გრძნობები აღუძრა. გარდა ამისა, სოფიოს სიტყვებს მეტი ეფექტი რომ მოეხდინა და ასევე მეტი დამაჯერებლობა ჰქონოდა, ბარათაშვილმა დახატა მთელი სურათი: მოისმენს თუ არა მეუღლის აზრს, მსაჯული, რომელიც დარწმუნებული იყო იხილავდა „ცვალებულ გულს დედაკაცთაცა“, მხურვალედ გადაეხვევა სოფიოს და სწორედ აქ, ამ მომენტში პოეტი ისევ ჩიმართავს მისთვის ჩვეულ ლირიკულ პასაჟს, წერს მთელ ლირიკულ ინტერმეცოს, რათა სურათი უფრო დასრულებულად წარმოგვიდგინოს. აი ეს პოეტური ინტერმეცო:

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?
ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული ახლა თქვენგვარი?
ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!
„ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს;
რის ქართველობა, რა ქართველობა!
მითომ რას გვაუნებს უცხო ტომობა?“

ბარათაშვილის ესლირიკული მიმღერება, ისტორიული ყოფის გამოხატვასთან ერთად, გარკვეულ განწყობილებათა პოეტური ასახვაც იყო და შემთხვევითი არ არის, რომ ანალოგიურ საკითხს „ბედი ქართლისას“ ავტორი უფრო გვიან კვლავ დაუბრუნდა. ეს მოხდა 1842 წელს, როცა დაიწერა მთლიანად ალეგორიული ხასიათის ლექსი „სუმბული და მწირი“. მისი იდეური შინაარსი თითქოს ახალი ვარიანტით, ახალი სამკაულით, ახალი რედაქციით გადმოგვცემს „ბედი ქართლისას“ ისტორიულ კონცეფციას, ხოლო სოფიოს სიტყვებს აძლევს ერთგვარი ალეგორიული ფორმის ილუსტრაციას.

რა წარმოადგენს ხსენებული ნაწარმოების შინაარსსა და დედააზრს?

პოეტი თავის ლექსში ალაპარაკებს სუმბულს, რომელიც ტყრო-ვერცხლით შემკობილ სადგურშია მოთავსებული. მართალია, მას ვერც მზე დააჭკნობს და ვერც სიცივე დაზრავს, მაგრამ სუმბული მაინც უბედურია, ვიხაიდან მოკლებულია სამშობლოს გულს, მშვენიერ ცას, თავის საყვარელ ბულბულს. მას არ ეკლება ცივი კამკამა წყარო, არც სიცოცხლის ნამი, გრილი ნიავი არ უალერსებს. ამიტომ მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს „სახლს დიდ-მშვენიერს“. მართალია, გარეთ, ზამთრის ყინვაში მას განსაცდელი მოელის, აქ კი სიცივე ვერ სწვდება, მაგრამ, რა არის მკაცრი ზამთარი? ბუნება მაშინ

კი არ კვდება, როგორც ეს მწირს წარმოუდგენია, მხოლოდ სევდით იმოსება, ხოლო გაზაფხულზე კვლავ შეიფურცლება, როცა მერცხლები მის მოსვლას ქვეყანას ახარებენ. და სუმბულიც იმის მოლოდინშია, რომ კვლავ იხილოს ველად თავისი ბულბული და კვლავ გაიშალოს სიტურფით.

ამ ლექსის მთელი ფილოსოფია „ბედი ქართლისას“ ძირითადი იდეური ხაზის ერთგვარ მეტაფორულ გამოხატვად უნდა მივიჩნიოთ. ამიტომ მკითხველმა რომ უფრო სწორად წარმოიდგინოს ამ ორი ნაწარმოების ეს იდეური მსგავსება, საჭიროა თვით ლექსი მთლიანად გაიცნოს.

აი, ეს ლექსიც, ეს მშვენიერი დიალოგი მწირსა და სუმბულს შორის:

მწირი

სუმბულო, სად არს ფეროვნება შენი საამო,
რომ შენსა მკვრეტელს არ გააჩნდა დილა, საღამო?
მარქვი, სადა არს სუნი შენი, ამო და ნელი,
რომლით ათრობდა სიცოცხლის ჟამთ ღამაზი ველი?

სუმბული

მწირო, ხომ ხედავ, მოჰკლებივარ ჩემს სამშობლოს გულს,
ჩემთ სწორთა ყვავილთ, მშვენიერს ცას და ჩემსა ბულბულს.
აგერ მაისი ააყვავებს ტურფად ბუნებას,
მოვა ბულბული და დაუშტვენს სიყვარულის ჰმას,
ხოლო მე ხშული ბნელსა სადგურს და სევდიანსა,
ველარ ვიხილავ ჩემსა ტურფას და ტკბილს მგოსანსა!

მწირი

ნუთუ ვერ ჰპოვებ აქ სანაცვლოს, ვერც რას საამურს,
სადაც ოქროთი და ვერცხლითა გიმკობენ სადგურს;
სადაცა კაცი შენს შვენებას ესრეთ ინახავს,
რომ მზე ვერ გიპკნობს და სიცივე ვერა დაგაზრავს?

სუმბული

მაგრამ მარქვ, რა არს ჩემთვის სახლი
დიდ-მშვენიერი,
ვით გააღიმებს ჩემს მშვენებას ხშული ჰაერი?
არღა მევლება გარე წყარო, ცივი, კამკამი,
არღა მეცემის დილით გულსა სიცოცხლის ნამი;
გრილი ნიავი ჩემთა ფურცელთ არ უალერსებს
და მაყვლის ბუტკი მზისა სხივთა არღა
უჩრდილებს.

მწირი

სუმბულო ტურფავ, მოიგონე მკაცრი ზამთარი,
მისგან შენ ახლა იქნებოდი უწყალოდ მკვდარი;
ნახე, რა ძალუძს შენთვის მზრუნველს კაცისა ხელსა,
რომ მისი სუსხი ვერ შეგირყევს ვერც თუ ფერცელსა.

სუმბული

ჰე, მწირო, სოფლად ყოველსა აქვს ჟამი და ბოლო,
მაგრამ ამას ვწუხ, რომ უჟამოდ მეღების ბოლო!
ზამთრით ბუნება არა კვდება,—სევდით იმოსვის,
რომ თავისს სატრფოს, გაზაფხულსა,
განეშორების!
და მყის ვითარის შვენებითა კვლავ
შეიფურცვლის,
ოდეს მერცხალნი ახარებენ მოსვლას საყვარლის!
ახ, როდის ვნახო მეცა ველად ჩემი ბულბული,
რომ განვიშალო კვლავ სიტურფით მისი სუმბული!

მწირი

მშვიდობით, წავალ, მეც მოვძებნი ჩემსა ყვავილსა;
ისიც შენსავით განაშორეს სამშობლო ველსა!
ვაი თუ მასაც უდროდ აკნობს უწყალო ხელი,
და არღა მომხვდეს სუნი მისი, ჰირთ უკუმყრელი!"

სამშობლო ველს მოშორებული სუმბულისა და მწირის ეს დიალოგი მრავალმხრივ საყურადღებოა, თუნდაც იმიტომ,

რომ ხელს გვიწყობს სრულად წარმოვიდგინოთ მისი ავტორის იდეურ-ესთეტიკური სამყარო. პოეტმა, ეჭვი არ არის, განზრახ მისცა თავის ლექსს მინორული სახე, რაკი ცდილობდა მკითხველისათვის მწუხარე ფურცელი გადაეშალა. მთელი ლექსის დაკვირვებული შესწავლა გვარწმუნებს, რომ ამ ალეგორიულ ნაწარმოებში, ისევე როგორც პოემაში „ბედი ქართლისა“, ბარათაშვილ გვევლინება ჰუმანისტ პოეტად, რომელსაც ანბანურ ჭეშმარიტებად მიაჩნია ადამიანთა დახალხთათვის თავისუფლებისა და ბედნიერების მინიჭების აუცილებლობა. გარდა ამისა, მთელ ნაწარმოებში პოეტი მკაფიოდ გამოთქვამს თავის აზრს, რომ ყველა ერს, სხვა დიდი ერის მფარველობაში მყოფს, უნდა ჰქონდეს თავისუფლება, საკუთარი სპეციფიკური ეროვნული თვისებების ხელშეუხებლობის სრული გარანტია. მაგრამ, ამავე დროს, არც „ბედი ქართლისა“, არც ლექსი „სუმბული და მწირი“ არავითარ საფუძველს არ იძლევა განვაცხადოთ, რომ თითქოს ნიკოლოზ ბარათაშვილი ერეკლეს ორიენტაციის მომხრე არ იყო. პირიქით, სხვა ქართველ მოწინავე მოაზროვნეებთან ერთად, ბარათაშვილი მთელი არსებით გრძნობდა ერეკლეს ბრძნული აზრის ჭეშმარიტებას; ამიტომ მუხლს იყრიდა მისი ნათელი ხსოვნის წინაშე, რაც მანასენათლად გამოხატა ბრწყინვალე ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“.

მაგრამ ჩვენ უკვე დავშორდით ძირითად თემას და ამიტომ ისევ მას უნდა მივუბრუნდეთ, რათა თვით პოემის შესახებ გავაგრძელოთ საუბარი.

როგორც ცნობილია, „ბედი ქართლისას“ უკანასკნელი სტრიქონები ეძღვნება იმის აღწერას, თუ რა იხილა თბილისში ჩამოსულმა მეფემ და რა საშინელ სურათს წარმოადგენდა აღა-მაჰმად-ხანის მიერ აოხრებული დედაქალაქი. ბარათაშვილი ასე გადმოგვცემს 1795 წლის თბილისის სახეს:

„რა მოახლოვდა ქალაქსა მეფე,
დიდხანს უკვრეტდა ცრემლთა აღმჩქეფე!
პალატნი მისნი გარდმონგრეულან,
სახლნი-სამშობლო დანაცრებულან;
მიდამო ხედავს უპატრონობას,
აღოხრებასა და ნატამლობას!
დუმილი სუფევს მის არემარე!
მხოლოდ ბუტბუტებს მტკვარი მწუხარე,
შემრთველი მრავალთ სისხლთა ქართველთა:
იგი გადარჩა მხოლოდ სპარსელთა!"

ერთადერთი, რაც მტრის აოხრებას გადაურჩა, იყო მტკვარი, სხვა ყველაფერი ომის გენიამ შთანთქა და გაანადგურა. ასეთია ის გულსაკლავი სურათი, რომელიც პოეტმა დაგვიხატა და რომლითაც არსებითად მთავრდება „ბედი ქართლისა" მთელი იდეური შინაარსი.

მაგრამ პოემაში არის ეპილოგის მსგავსი სტრიქონები, აკორდს რომ მოგაგონებთ, რომელშიაც ავტორი, ერთის მხრივ, გვიხატავს ქართველი ხალხის ეპიკურ შრომაა დანგრეული დედაქალაქის აღსადგენად, ხოლო, მეორეს მხრივ, დრო-ჟამის შეუწყვეტელ დენას. პოეტი გვეუბნება, რომ ირაკლიმ კვლავ არა ერთგზის აიღო ხმალი, რათა შეემუსრა ლეკები; დამარცხებას ვერც სპარსელები გადაურჩნენ! სიბერის ჟამს პატარა კახმა თითქოს კვლავ დაიბრუნა ძალ-ღონე, ისევ შეაძრწუნა ომალი, კვლავ ასახელა თვისი სახელი:

„მაგრამ ამაო იყო ყოველი:
დიდი ხანია გულს ირაკლისა
გარდუწყვეტია ბედი ქართლისა!"

ამით დამთავრდა მთელი ნაწარმოები, რომელშიაც ნიკოლოზ ბარათაშვილმა უდიდესი მხატვრული ძალით წარმოსახა საქართველოს ისტორიული ყოფა მე-18 საუკუნის მიწურულში.

ამგვარად, ჩვენ დაწვრილებით გადმოვეცით ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა" მთელი შინაარსი, ნაწარმოების ყველა დამახასიათებელი ადგილიც ვრცლად მოვიტანეთ, ვინაიდან გვინდოდა მკითხველისათვის სრული წარ-

მოდგენა მიგვეცა პოემის ხასიათსა და მხატვრულ ღირსებებზე. არავის შეუძლია ეჭვი შეიტანოს, რომ „ბედი ქართლისა“ სრულიად განცალკევებით დგას მთელ ქართულ ლიტერატურაში, როგორც მისი ობოლი მარგალიტი, რომელმაც ასე ღრმად, ასე მხატვრულად გააშუქა მე-18 საუკუნის დასასრულის ქართლის ბედი. ეს მშვენიერი პოემა თავისი მომაჯადოებელი ლექსალური ბუნებრივობითა და მხატვრული ოსტატობით, ძდიდარი შინაარსითა და ტრაგიზმით აღსავსე გრძნობით დააამშვენებდა რომელიც განებავთ კულტურული ერის მხატვრულ საგანძურს.

ამით თითქოს დავამთავრეთ, რაც გვინდოდა გვეთქვა, მაგრამ უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ კიდევ ერთ საკითხს, რომელიც „ბედი ქართლისას“ მჭიდროდ უკავშირდება. მხედველობაში გვაქვს ბარათაშვილის იდეური კონცეფციის განვითარება 1839 წლის შემდეგ, რაც ნაწილობრივ ზემოთაც მოვიხსენიეთ. საკითხი ეხება „ბედი ქართლისას“ დამამთავრებელ სიტყვებს, რომლებშიაც პოეტმა, მართალია, ფაქტი აღნიშნა — დიდი ხანია ირაკლის გულჩ ქართლის ბედი გადაწყვიტაო, მაგრამ, თავისი დამოკიდებულება მისდამი პირდაპირ არ გაუმეღავნებია. სამაგიეროდ, პოემის უკანასკნელი სიტყვების აპოთეოზად გვევლინება სამი წლის შემდეგ დაწერილი დიდი მხატვრული ძალის ლექსი — „საფლავი მეფისირაკლისა“, რომელიც ბარათაშვილს იმ დროს საქართველოში მყოფი ცნობილი მეცნიერის მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევისადმი* მიუძღვნია. ამ ლექსში პოეტი თავის თავს წარმოგვიდგენს მუხლმოდრეკილს მხცოვანი გმირის — ერეკლეს საფლავის წინ, ცრემლს ანთხევს მის საჭელზე, სინანულს გამოთქვამს — რად არ ძალუძს განცოცხლდეს მისი წმინდა აჩრდილი, რათა გადმოხედოს თავის პირმშო შვილს — ახალ ქართლს!

* მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილს (ბარათაევს) ეძღვნება აგრეთვე ლექსი „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“, როგორც მონოგრაფიის პირველ თავში უკვე ვნახეთ.

ეს ახალი ქართლი — საქართველო იყო, რომელიც ერეკლემ უანდერძა თავის დიდ მეზობელს და მისი მოშავალიც მთლიანად მას მიანდო. შესაძლოა გვიან, მაგრამ ქართლი მაინც მალე მიხვდა მეფის ქველ ანდერძნაბაგს, ჰპოვა რა სწორი გზა ნათელი და ბედნიერი მომავლისაკენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ პოეტი სასოებით შეჰღაღადებდა ერეკლე მეფის წმინდა აჩრდილს შემდეგ სიტყვებს:

„თაყვანს ვსცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად
თქმულს!
გახსოვს, სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქაოლს დაობლებულს?
აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,
და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი
ძენი.
ჟამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;
მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული.
და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს
ქვეყანად,
მსუქრალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!
სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა
ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!
აწ არღა ერჩის ქართვლის გულსა კასპიის ღელვა.
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყინება:
შავი ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე
მტერთა,
აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა
მოძმეთა!
მშვიდობა შენსა წმინდას აჩრდილს, გმირო განთქმულო,
უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო!
აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნაბაგსა,
და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით
აღნაგსა!“

ამით გასრულდა ის იდეური კონცეფცია, რომელიც ბარათაშვილმა შეიმუშავა პოემაში „ბედი ქართლისა“. ეს იყო ახალი ქართლი, რომლის დიდებასა და სახელს მთელი თავისი უზადო პოე-

ტური ნიჭი და შთაგონება მსხვერპლად მიუტანა ჰაბუკური გენიით დაჯილდოებულმა ამ შესანიშნავმა პატრიოტმა.

გადმოგვცემენ, როგორც ეს მოხსენიებული აქვს კონსტანტინე მამაცაშვილს, და ზევით უკვე ვნახეთ, რომ პოეტის კალამს ეკუთვნოდა მეორე დიდი პოემაც „ივერიელნის“ სახელწოდებით. ეს პოემა თვით მამაცაშვილს წაკითხული ჰქონია და ისიც აღნიშნული აქვს, რომ მასში აღწერილი ყოფილა საქართველოს ყოფა მე-10—12 საუკუნეების მანძილზე. ბარათაშვილს განზრახული ჰქონია გადაეკეთებია ეს პოემა, რომელიც თურმე ისედაც „მშვენიერი იყო“. შემდეგ ეს პოემა დაკარგულა. ჩვენამდე რომ მოეღწია, ხელთ გვექნებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ისტორიული პოეტური ტრილოგია „ივერიელნის“, „ბედი ქართლისას“ და „საფლავი მეფის ირაკლისას“ სახით. მაშინ უფრო ზუსტად წარმოვიდგენდით ჩვენი დიდი პოეტის ისტორიულ კონცეფციას.

ახლა პასუხი გავცეთ კითხვაზე: რა ხასიათისაა პოემა „ბედი ქართლისა“ — რომანტიკული თუ რეალისტური ნაწარმოებია?

ჯერ კიდევ 1935 წელს ჩვენ აღვნიშნავდით, რომ „ბედი ქართლისა“, მართალია, რომანტიკული ხასიათის პოემაა, მაგრამ მასში არის რეალისტური ელემენტები, ისევე, როგორც რეალიზმი ახასიათებს ლერმონტოვის შემოქმედებას, განსაკუთრებით მის რომანს „ჩვენი დროის გმირს“, მთელ რიგ პოემებსა და დრამებს თავი რომ დავანებოთ.* ეს რეალიზმი ახასიათებს რომანტიკოს ვიქტორ ჰიუგოსაც და ადამ მიცკევიჩსაც, პუშკინსაც და ბაირონსაც, საერთოდ, პროგრესული რომანტიზმის ყველა დიდ წარმომადგენელს. რაც შეეხება პოემას „ბედი ქართლისა“, მისი ფაბულა მთლიანად რეალისტურია, ასევე რეალისტურია თვით ისტორიული ფაქტის ბარათაშვილისებური გააზრება და იდეური ტენდენციები.

---

* „მნათობი“, 1936 წლის № 5—6, ჩვენი წერილი — „ლერმონტოვი და ბარათაშვილი“.

რა თქმა უნდა, ამით არ შეიძლება ბარათაშვილის პოემა მთლიანად რეალისტურ ნაწარმოებად გამოვაცხადოთ, მაგრამ, იგი რომ არა ჰგავს საერთოდ რომანტიკულ პოემას, ესეც უდავო ფაქტია. შესაძლოა ამის მიზეზი ვეძიოთ პოემის თვით ხასიათში, მისი თემატიკური მასალის უაღრესად ნაციონალურ სპეციფიკაში. პრობლემა, რაც აწუხებს ბარათაშვილსა და მისი პოემის გმირებს, დამახასიათებელია სწორედ საქართველოსა და ქართული რომანტიზმისათვის. სამშობლოს დაკარგვა, სხვა სახელმწიფოთა მხრივ აგრესიის შედეგად, ვთქვათ, ისეთ პირობებში, როგორშიაც საქართველო იყო მოქცეული მე-18 საუკუნის ბოლოს, თურქეთირანის ვერაგობის გამო, არ აწუხებდა არც ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და არც რუსულ რომანტიზმს. ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი თუ რუსი რომანტიკოსი უმთავრესად ან ძველს მისტიროდა, ადრინდელი პრივილეგიების დაკარგვას, ან სოციალურ უსამართლობას, ცხოვრების წარმავლობას. მათ სამშობლოს დაკარგვის საფრთხე სულს არ უშფოთებდა, გულს არ უღრღნიდა, ვინაიდან ეს საფრთხე რეალურად არ არსებობდა. თუ ხსენებული ქვეყნების რომანტიკოსი პოეტები „ჰკარგავდნენ სამშობლოს“, ეს იყო არა თვით სამშობლოს დაკარგვა, არამედ, მისგან განშორება გარკვეული კონფლიქტის გამო, როგორც ამას ბაირონისა და შელის ან კიდევ ლერმონტოვის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ვხედავთ. ქართველ რომანტიკოსებს, ჩვენ მიერ ჩამოთვლილ ყველა სხვა საკითხთან ერთად, აწუხებდათ ნაციონალური საკითხი, სამშობლოს სამუდამოდ დაკარგვის საფრთხე გარეშე ძალების მხრივ დამორების შედეგად, და სავსებით ბუნებრივია, რომ ამ გარემოებამ ქართულ რომანტიზმს თავისებური იერი მისცა. ამ იერითაც განსხვავდება „ბედი ქართლისა“ საერთოდ რომანტიკული პოემებისაგან.

რა საერთოა, მაგალითად, ბაირონის „გიაურსა“, „აბიდოსელ საცოლესა“, „კორსარსა“, „დონ-ჟუანსა“, „მანფრედსა“ და ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ შორის? თუ

ბაირონის, პუშკინის, ლერმონტოვის ე. წ. ორიენტალისტური ანუ აღმოსავლური პოემები რომანტიკული ქმნილებანია, ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ შეუძლებელია მათ რკალში მოთავსდეს. მართალია, რომანტიკულია პოეტის მიდგომა თემატიკისადმი, ბუნების სურათებისადმი; მთელი რიგი პასაჟი, მოქმედი გმირების დახატვაც რომანტიკულ იერს ატარებს, მაგრამ პოემა რომანტიზმისა და რეალიზმის ისეთი ორიგინალური შერწყმაა, როგორიც ბევრი რომანტიკოსის ნაწარმოებს ახასიათებს. მაგალითად, ამ შერწყმას ვხედავთ ლერმონტოვის ზოგიერთ პოემასა და პროზაულ თხზულებებში, პუშკინის „ევგენი ონეგინში“, „ბაირონის“ „ჩაილდ ჰაროლდშიც“. განა შეუძლია ვინმეს თქვას, რომ ბაირონის პოემა „ჩაილდ ჰაროლდი“ თავისი რომანტიკული გმირით არ შეიცავდეს რეალისტურ ელემენტებსაც? გავიხსენოთ თუნდაც ის შესანიშნავი სცენა, როდესაც სამშობლოსთან გამოთხოვების დროს ჩაილდ ჰაროლდი ესაუბრება თავის მსახურს, თანაუგრძნობს მას და მთელი სცენა რეალისტურად არის წარმოსახული. თეზისი იმის შესახებ, რომ რომანტიკოსი პოეტების, განსაკუთრებით აქტიური რომანტიზმის წარმომადგენლების, შემოქმედება რეალისტურ ელემენტებსაც შეიცავს, უდავოა და ეს ერთხელ კიდევ მტკიცდება „ბედი ქართლისას“ მაგალითზე.

სწორედ ქართლის ბედი იყო მიზეზი, რომ გულგასენილი პოეტის ამბოხებულმა სულმა მითიურ პეგასს მიაშურა და მის თავაწყვეტილ ნავარდში სცადა განეფანტა თავისი დროის მღელვარე ფიქრები. მთელი თავისი ტანჯვა, ვაება, ბრძოლა და თავდადების გრძნობა, რასაც ასე მწვავედ განიცდიდა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა უნაკლოდ გამოხატა იმ საოცარ პოეტურ ქმნილებაში, რომელსაც „მერანი“ ეწოდება.

თავი VI

## „მერანი“

ქართული ლიტერატურის საგანძურში ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ შევიდა ფილოსოფიური აზროვნების, მხატვრული შთაგონებისა და პოეტური მოზაიკის მარადუკვნობ ძეგლად, რომლის გენიალურ სტროფებში მომავალდაბელი ძალით აღერდნენ ადამიანური შემეცნების ურთულესი საკითხები, ყველაზე უმაღლესი განცდები და აზრები. „მერანში“ პოეტმა ჩააქსოვა და უმშვენიერესი ფორმებით გამოხატა არა მარტო მისი სულის პერსონალური თვითმყოფობა, არამედ, მთელი ქართველი ხალხის ისტორიული სახე, განცდები და მისწრაფებანი. ამიტომ, ეს ნაწარმოები, მიუხედავად მისი ლირიკული ინტონაციისა, ღრმად ნაციონალური მოვლენაა. პოეტის სუბიექტურ სამყაროსთან ერთად, „მერანში“ ხორცშესხმულია ქართველი ხალხის ეროვნული გულისძგერა, მისი ნამდვილად სახალხო იდეალები. რუსთაველის გენიალური ქმნილების შემდეგ, მთელი ქართული ლიტერატურის ისტორიაში არ გვეგულება მეორე ძეგლი, რომელსაც ასეთი ცხოველი ინტერესი გამოეწვიოს და იმდენი მკვლევარი ჰყოლოდეს, როგორც „მერანს“. მისი ფილოსოფიური, მხატვრულ-ისტორიული და იდეური ანალიზი ყოველთვის იყო დაუცხრომელი ძიების საგანი. „მერანით“ თითქოს დაიმთავრდა ბარათაშვილის მთელი მხატვრული შემოქმედება. მასში დასრულებული სახე ჰპოვა

იმ განცდებმა, ფილოსოფიურმა იდეებმა და მხატვრულმა სრულყოფამ, რაც ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ გენიას შეადგენს პირველი ლექსიდან უკანასკნელ სტრიქონამდე. მიუხედავად იმისა, რომ ქრონოლოგიურად „მერანი" არ არის უკანასკნელი ლექსი. მის შემდეგ პოეტმა შექმნა მრავალი ნაწარმოები და მათ შორის საოცარი ძალის „სულო ბოროტო". „მერანის" მაჟორული ხმა, მისი პოეტური ინვენტარი, ლექსალური სამკაული. უღრმესი აზრები, გმირული სულისკვეთება, ბრძოლისა და გამარჯვების ყიჟინა რაღაც უცნაური ძალით იზიდავენ მკითხველს და მის ფიზიკურ არსებაში არ ტოვებენ არც ერთ ნერვს რომ არ შეარხიონ, არ განაცდევინონ, არ აგრძნობინონ!

სულის რაღაც სპარტანული სიძლიერე და მთლიანობა, გაუტეხელი ნებისყოფა და შინაგანი სიდიადე ჩანს ბარათაშვილის შემოქმედებასა და პიროვნებაში. როცა ბარათაშვილის პირად წერილებს ვკითხულობთ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს მისი ჯადოსნური ლექსების პროზაულ თარგმანებს ვეცნობოდეთ. ვკითხულობთ მის ლექსებს და გვგონია ეს არის მისი განმაცვიფრებელი პირადი წერილების ამეტყველება უმაღლეს პოეტურ ენაზე. ბარათაშვილი მთელი არსებით განსახიერდა თავის დიდ შემოქმედებაში. მისი გონებისა და სულის ყველა ძაფი ისე ორგანულად ჩაექსოვა ყოველ სტროფს და სტრიქონს, ყოველ პოეტურ ნიუანსს, რომ მე მგონია იგი ფიზიკურადაც მათ შეუერთდა. ასეთი დიდი ამოსუნთქვის შემდეგ პოეტს თითქოს სუნთქვა აღარ შეეძლო, ხოლო გულსა და გონებას — შემოქმედებითი წვა. მისი ფიზიკური არსება ამ დიდ შემოქმედებად გადასახიერდა.

ქართველი რომანტიკოსებიდან ბარათაშვილი ყველაზე უფრო დიდი პოეტი და დიდი ფილოსოფოსია. მის მხატვრულ შემოქმედებაში ფილოსოფიური აზრი ისე ორგანულად ექსოვება მხატვრულ სახეს, რომ ეს უკანასკნელი ფილოსოფიურ თეზისად გვეელინება მთელ რიგ ლექსებშიც. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ

1837 წელს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში ბარათაშვილი გამოხატავდა იმავე ფილოსოფიას, რაც მთელი მისი შემოქმედების იდეურ ქვაკუთხედად იქცა. პირადი ცხოვრებით გულგატეხილს, რომელსაც დაუმსხვრიეს „ცისარტყელისებურ ოცნებაში“ წარმოდგენილი მომავალი — არც ჯარისკაცი გახადეს და არც უნივერსიტეტში გაგზავნეს, უნებლიეთ არ წარმოუთქვამს ბედთან ბრძოლის ეს ტრაგიკული სიტყვები: „...დავუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმცა ხანდისხან დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი ან ჩემი სურვილის აღსრულება“.* ეს „ან-ან“ ბარათაშვილის პოეზიის იმ ფილოსოფიურ მაჯისცემად იქცა, რომელმაც ერთნაირი ძალით დაუდო სათავე მის შემოქმედებაში იდეალიზმსა და მატერიალიზმს, რომანტიზმსა და რეალიზმს, საკაცობრიო სევდას და მშობლიური ქვეყნის გულისტკივილს.

ბარათაშვილი მთლიანი და განუყოფელია როგორც ადამიანი და პოეტი, მოქალაქე და ხელოვანი. თავისი დროის ჰირვარამში იგი გაუბზარავი და გაუტეხელი დარჩა. საერთო მოდუნება მას არ დამჩნევია. მისი გონება შემთხვევით როდი ამჩნევდა და სიხარულით აღნიშნავდა, რომ „საზოგადო სული“ ცოცხლობდა, რომ მაშინაც კი „ქართველთ არ ეძინათ გონებით“. 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ გაბეფებულმა საზოგადოებრივმა ინდიფერენტიზმმა ვერ მოდრიკა იგი და ვერ ჩაახშო მისი დიდი სულის დიდი ღელვა. ის ყოველ წვრილმანშიც კი მაღალი ჩანდა, ყოველ წარმავალში — უკვდავი და გენიალური. ბარათაშვილის ადამიანურ კეთილშობილებას და მოქალაქე-მხატვრის მთლიანობას მოწმობს მისი სამსახურებრივი ინტილერანტობაც. რა უნდა ყოფილიყო ამ გენიოსისათვის „Экспедиция суда и расправы“, ან ის საცოდავი „სტოლონაჩალნიკობა“, სადაც ჰაბუკმა პოეტმა დღეები კი არა, წლები გაატარა.

---

* ნ. ბარათაშვილი, „ლექსები...“, 1922 წ., გვ. 89.

მაგრამ ჩვენთვის აღარ არის გასაკვირი, რომ „ფიქრნი მტკვრის პირას“ ავტორი, რომელიც ამ ლექსში საერთოდ ადამიანობისა და კაცურ-კაცობის უმშვენიერეს, უმაღლეს ფილოსოფიას რ უ ს თ ვ ე ლ უ რ ი ლექსის სიძლიერით გვაძლევს, კანცელარიის დაბალი მოხელის პოსტზედაც მაღალ ადამიანად გვევლინება. ამ ფაქტით განცვიფრება მხოლოდ მის უფროსებს სამსახურში — პ ო ზ ე ნ ს ა და ი ლ ი ნ ს კ ი ს შეეძლოთ. პირად ცხოვრებაში რა დარდიმანდი ან დაუდეგარიც უნდა ყოფილიყო, ბარათაშვილი თვითონვე წერდა თავის თავზე: „ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვისაც მეჯავრება. ჰეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას...“* ამ „ს ო ფ ლ ი ს ბ რ უ ნ ვ ა ს“ ბარათაშვილმა ჩასოფლიო მნიშვნელობის შ ე დ ე ვ რ ე ბ ი მიუძღვნა და მთელი ეს ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა, დაწყებული პ ი თ ა გ ო რ ე ლ ე ბ ი ს ჰარმონიული თეორიიდან, დ ო დ ა შ ვ ი ლ ი ს ლოგიკურ კატეგორიებამდე, უღრმესი ჰეშმარიტებით გამოხატა: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

ეს ფილოსოფია კულმინაციურ წერტილს აღწევს „მერანის“ მღელვარე სტროფებში. ამ ფილოსოფიას თავისი დიდი ისტორიული წარსული და ღრმა ფესვები აქვს. იგი დაიწყო მარტოობის მწუხარე განცდიდან და მივიდა თავგანწირულის სულისკვეთების ფილოსოფიამდე. ბარათაშვილი თავის თანამედროვეთა შორის სულით ობოლი იყო „ამ ს ა ვ ს ე დ ა ვ რ ც ე ლ ს ო ფ ე ლ შ ი...“ ფიზიკური ობლობა მისთვის არ არსებობდა, მაგრამ იყო ს უ ლ ი თ ო ბ ლ ო ბ ა, რომელიც უფრო გადაულახავ დაბრკოლებად იქცა. მიუხედავად ამისა, მან შეინარჩუნა ს უ ლ ი ს ი მ ტ კ ი ც ე და ბ რ ძ ო ლ ი ს უ ნ ა რ ი. ის მებრძოლი ვეტერანივით აღიმართა თავისი დ ე მ ო ნ ი ს წინაშე და დაამსხვრია ადამიანური შიშის ყველა კერპი. ოდესღაც, ჭაბუკობაში, ეს დემონი მას იდუმალი სახით ევლინებოდა, რომელიც საშვენ ხვედრს

* ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, „ლექსები...“, 1922 წ., გვ. 90.

ჰპირდებოდა. თუმცა ეს დემონი პოეტს ჯერ კიდევ არ ჰყავდა შეცნობილი. მან არ იცოდა, ვინ იყო იგი, მფარველი ანგელოზი, თუ მაცდური ეშმაკი, მაგრამ ჭაბუკი მზად იყო შეხვედროდა მას და ეთქვა:

„ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ!
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?
რომ ვსცნა მე შენი საიდუმლობა,
რომ მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?“*

მაგრამ საშვენი მხვედრის ძიებას თან დაჰყვა ის „ა ნ-ა ნ“, ეჭვი და მიზანმიუღწეველი სწრაფვა, რაც „ხ მ ა ი დ უ მ ა ლ ღ ა ნ“ შემდეგ განივრცო ბარათაშვილის მთელ შემოქმედებაში. 1836 წელს დაწერილ ამ ლექსში პოეტმა უკვე გარკვევით გამოხატა ის იდეა, რომელიც 1843 წელს „ს უ ლ ო ბ ო რ ო ტ ო შ ი“ მთელი სისტემის სახით ჩამოაყალიბა. რომ ის მხვედრს ვერ პოულობდა, რომ ამის გამო კაეშანს ვერ იშორებდა — ეს პოეტისათვის ცხადი იყო 1836 წელსაც. მაგრამ ამ დროს მან ჯერ კიდევ არ იცოდა ეს „შეუწყალი სინიდისის“ დევნის ხმა იყო, თუ სხვა რამ. ყოველ შემთხვევაში, ის ვერ პოულობდა თავის არსებაში საყრდენს ამ უწყალო დ ე მ ო ნ ი ს ა ს, ვინაიდან გრძნობდა: „მე ჩემში ვერ ვპოვებ ავსა, მის საშფოთველოს და საქენჯნავსა“. ეს ღრმად სწვამდა პოეტს. მისი სული მართლაც ისე ფ ა ქ ი ზ ი, კ ე თ ი ლ შ ო ბ ი ლ ი და ჰ ე შ მ ა რ ი ტ ა დ გ მ ი რ უ ლ ი იყო, რომ თავშესაფარს არ მისცემდა ბოროტ ძალას. ეჭვს შეეძლო გამოეძახებინა იგი, მოეთხოვა მისგან პირისპირ დადგომა, ნიღაბის ჩამოხსნა, მკაცრად დ ა ე პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ი ნ ა აღთქმანი და შესრულება, მაგრამ მოკლებული იყო უნარს გ ა ე ბ ზ ა რ ა პოეტის მაღალი სულის კრიალა სარკე, რომელშიც ჯერ დემონს ვერ ჩაეხედა და რომელსაც ს ე მ ი რ ა მ ი დ ი ს ზღაპრული ბაღის მშვენიერებად ეხატებოდა მომავალი. ისე მაღალი და გმირული იყო ეს სული, რომ დემონმა ოდნავაც ვერ შესძლო მასში შეღწევა. ასე ჩავიდა გ ე ნ ი ო ს ი საფლავში

---

* ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, „ლექსები...“, 1922 წ., გვ. 10.

და მას სულის არც ერთი ქსოვილი შებღალული არ ჩაჰყოლია.

იდუმალი ხმა პოეტმა 1843 წელს შეიცნო, მაგრამ ბოროტის სახით, რომელმაც მას წაართვა სულის მშვიდობა, მოუკლა ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება და გადაექცა „გონების და სიცოცხლის აღმაშფოთრად“. განა ამას უქადდა ეს იდუმალი ხმა მის ცხოვრებას, ყმაწვილ-კაცობას? იგი ხომ ჰპირდებოდა „ამა სოფლად თავისუფლებას“, ტანჯვათა შორის სიამეს და თვით ჯოჯოხეთის სამოთხედ გადაქცევას? მაგრამ დ ე მ ო ნ მ ა არ დაინდო მისი „წრფელი ზრახვანი“, და როგორც უმძაფრეს ბრძოლაში სასიკვდილო შეტაკებისათვის აბჯარასხმული რ ა ი ნ დ ი, ბარათაშვილი ასე მიმართავდა ბ ო რ ო ტ ს უ ლ ს:

„სად ხარ, აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?“*

ბედთან შ ე უ რ ი გ ე ბ ლ ო ბ ა, თავგანწირული პ რ ო ტ ე ს ტ ი და ქ ე დ მ ო უ ხ რ ე ლ ო ბ ა ბარათაშვილის მთელ პოეზიაში მის პ ე ს ი მ ი ს ტ უ რ ჰანგებთან ისეა შეჭრილი, როგორც აფორიაქებულ ზღვაში სწრაფმავალი ხომალდი, რომელიც ზღვის გაფთრებას და ტალღების გრიალს ოდნავაც არ ე მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა, უშიშრად სძლევს მათ და განაგრძობს თავის შ ე უ პ ო ვ ა რ ს ვ ლ ას ბუნების სტიქიაში. თუ ლექსში — „ფიქრნი მტკვრის პირას“ ბარათაშვილი იონიელი ბრძენის სიდინჯით ფილოსოფიურ ასპექტში სწყვეტს ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს პ რ ო ბ ლ ე მ ას და უკმაყოფილების, სულიერ ზრახვათა უ ს ა ს რ უ ლ ო ბ ი ს, ა მ ა ო ე ბ ი ს კორიანტელში გაბედულად პოულობს პრაქტიკულ ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს თ ა ნ დ ა ბ რ უ ნ ე ბ ი ს ერთადერთ მართებულ გზას, როცა ჩაგვაგონებს უღრმეს ჭ ვ შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა, უნდა კიდეცა მივდიოდ მას, გვესმას მშობლისა. არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს; იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“**, ლირიკულ სიმღე-

* ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, „ლექსები...“, 1922 წ., გვ. 47.
** იქვე, გვ. 17.

რებშიც, ყველაზე უფრო სათუთსა და პირადს განცდებშიც იგი ასეთივე ძლიერი, ვაჟკაცური, პირდაპირი და უმაღლესობამდე ადამიანურია. პოეტი განდგომის ფილოსოფიას არ აყენებს, როგორც ბედისაგან ან გასაჭირისაგან გაქცევას. სადაც კი ლაპარაკია წუთისოფლის, მშობელი ქვეყნის, საყვარელი არსებისაგან განშორებაზე, არა ნებისყოფის სისუსტის ან ბრძოლაში შიშის გამო, არამედ, ერთადერთი აზრით — ჰპოვოს უკეთესი, მაგრამ ჰპოვოს არა ლაჩრულად, არამედ ბრძოლით, თავისი ადამიანური ღირსების შესაფერისად. ამიტომ უმშვენიერეს რომანტიკულს ქმნილებაში „მიყვარს თვალები, მიბნედილები“ მრავლისმეტყველად გაისმის პოეტის სიტყვები:

„მივხვდი თვალებო, ჩემო მკვლელებო, მაგ თქვენსა ქცევას,
მაგრამ ვით ელით თქვენგან კოდილის, თქვენგან გაქცევას?“*

ბარათაშვილისათვის უცხოა ეს გაქცევა და თუ 1842 წელს დაწერილ ამ ლექსში, ლირიკულ სიმღერაშიც მან ჩვეული გამბედაობით წამოაყენა შეურიგებლობის ეს მკაცრი ფილოსოფია, „მერანში“ იგი უმაღლესობამდე განავითარა.

ადრინდელ ლექსებში ბარათაშვილი ყოველთვის გარკვეულ მიზანს ისახავდა და ეს მიზანი შედარებით უწ-ციერესიდან, პატარა იდეური საწყისიდან თანდათან ვითარდებოდა და მაღლდებოდა. ჭაბუკობის დრო-ინდელს ლექსში — „ბულბული ვარდზედ“, რომელიც 1834 წელს არის დაწერილი, პოეტი ამბობს:

„მჭონდა მცირე წადილი, ვერ მიეხვედი კი ძნელობას:
მსურდა გაშლა ვარდისა, არ ვფიქრობდი დაჭკნობას!“**

ერთი წლის შემდეგ დაწერილ ლექსში „ქეთევან“ ისევ ამ ვარდსა და სუსხზეა ლაპარაკი: „რად დამიჭკნე მე ყვავილი ყმაწვილობის, ჯერ უშლელი?“ — კითხულობს პოეტი, და

---

* ნ. ბარათაშვილი, „ლექსები“., 1922 წ., გვ. 34.

** იქვე, გვ. 3.

დიდი რომანტიკოსივით თვითვე პოულობს პასუხს, გამოსავალს მდგომარეობიდან:

„ეს ნუგეშს მცემს, საყვარელო,
რომე არის სხვა სოფელი;
ოდეს ჰსცნა, რომ ვარ უბრალო,
მოვედ, მოვედ, მუნ მოგელი!“*

ეს მიზანი პოეტმა ვერ ჰპოვა და იგი „მერანში“ გვაძლევს მღელვარე სულის უდიდეს შებრძოლებას მუხანათ ბედთან, რომელმაც პოეტს სიცოცხლე გაუმწარა და არ მისცა საშუალება ეპოვა თავისი მხვედრი.

„მერანის“ პოეტური სახე ისე ღრმა და ორიგინალურია, ისე ნამდვილად ნაციონალური და თვითმყოფია, რომ ვერც ერთი კრიტიკოსის ძიება, ეპოვათ მისი პროტოტიპი, წარმატებით ვერ დასრულდა. ამაო შრომად მიგვაჩნია ასეთი ძიება. კიტა აბაშიძემ სცადა დაემტკიცებინა, თითქოს ბარათაშვილმა დიდი პოლონელი რომანტიკოსი პოეტის ადამ მიცკევიჩის „ფარისის“ გავლენით დაწერა თავისი გენიალური ლექსი. „ჩვენ კარგად ვიცითო, — წერდა „ეტიუდების“ ავტორი, — რომ ეს ლექსი („მერანი“ — გ. ჯ.) დაწერილია მიცკევიჩის „ფარისის“ შიმსგავსებით“** მართალია, ერთ დროს კიტა აბაშიძის თვალსაზრისს ბევრი მიემხრო, მაგრამ ეს შეხედულება მალე სწრაფად იქნა უარყოფილი, ვინაიდან მას მტკიცე საყდრენი არ გააჩნია. სამაგიეროდ, ის გარემოება, რომ „მერანში“ ჩვენ არავითარი გავლენა არა გვაქვს, არც მიბაძვა და არც განმეორება, განა უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ, თითქოს რაიმე საერთო არ არსებობდეს მსოფლიო ლიტერატურის ამ ორ უდიდეს ძეგლს შორის? რა თქმა უნდა, ბარათაშვილის „მერანი“ მაღლა დგას მიცკევიჩის „ფარისზე“, როგორც ფილოსოფიური სიღრმით, ისე მხატვრული სამკაულით. მაგრამ არ არის მართებული ჩვენი

* ნ. ბარათაშვილი, „ლექსები“..., გვ. 5.
** კ. აბაშიძე, „ეტიუდები“, ტ. I, გვ. 85.

ზოგიერთი კრიტიკოსისა და ისტორიკოსის შეხედულება, თითქოს „აბსოლუტურად განსხვავებულია ამ ორი ნაწარმოების პოეტური მონაფიქრი, იდეური მიზანდასახულება, განცდათა რკალი და მხატვრული ქსოვილი". ჩვენის აზრით, „მერანისა" და „ფარისის" პრობლემა მსოფლიო ლიტერატურის სენტენციური თემაა, და თუ რაიმე მსგავსებას ეპოულობთ მათ შორის, ანდა შილერისა და ჟუკოვსკის ანალოგიურ ლექსებში, ესარ ნიშნავს გავლენას ან გადმოღებას. დავიწყებული ტიმოფეევის „მხედარის" ოდნავი შეპირისპირებაც, თითქოს მან ერთგვარი ბიძგი მისცა ბარათაშვილსო, უსაფუძვლოა და არ შეიძლება მხოლოდ იმით დავასაბუთოთ, რომ პოეტი მას იცნობდა.

მართალია, „მერანი" უღრმესი ნაციონალური ნაწარმოებია, მაგრამ იქ ისეთი დიდი პრობლემაა წამოყენებული, რომ არ იფარგლება მარტოოდენ ერთი ქვეყნის, ერთი კუთხის მასშტაბით. მასში მსოფლიო მნიშვნელობის იდეებია გაშლილი უაღრესად ნაციონალური ფორმით, გენიალური შემოქმედებითი ოსტატობით და ამაშია „მერანის" ორიგინალობის უძლიერესი მხარე. მეორეს მხრივ, ლიტერატურის ისტორიის წინაშე ტენდენციურ დამოკიდებულებად მიგვაჩნია მტკიცება, თითქოს „მერანისა" და „ფარისის" არც ერთი მხატვრული სამკაული, არც ერთი ეპითეტი მსგავსი არ იყოს, მაშინ, როცა გვეუბნებიან: „მერანში" გვხვდება მთელი რიგი რემინისცენციები სხვადასხვა პოეტური ძეგლიდანო. ჩვენ პირიქით გვგონია. „ფარისსა" და „მერანს" შორის ზოგიერთი მსგავსება არსებობს. მაგრამ განა ეს ცუდია ერთის ან მეორისათვის? ეს ოდნავადაც არ ამდაბლებს მათ ღირსებას, ისევე, როგორც არაფერს მატებს, ვინაიდან აქ არავითარი გავლენა, არავითარი მიბაძვა არ არის, არის მხოლოდ ზოგიერთი პოეტური სახის უნებლიე დამთხვევა. ასეთ შეხვედრათა მრავალი მაგალითი იცის არა მარტო ლიტერატურის, არამედ, გამოყენებითი მეცნიერების ისტორიამაც. ცნობილია, რომ გენიალურმა ლომონოსოვმა ლავუაზიეზე ადრე

აღმოაჩინა ნივთიერების მარადისობის კანონი, ხოლო მისგან დამოუკიდებლად დიდმა ფრანგმა ქიმიკოსმა ექსპერიმენტით მიიღო ანალოგიური შედეგი. თუ აქ შედეგთა აბსოლუტური ერთიანობა მეცნიერებას საფუძველს არ აძლევდა ემტკიცებინა ლომონოსოვის გავლენა ლავუაზიეზე,* განა რამდენიმე მხატვრულის სახის უნებლიე დამთხვევა შეიძლება მიეჩნიოთ გავლენად ან მიბაძვად?

მეტი შეიძლება ითქვას.

ფრანგული პოეზიის ტიუტჩევმა — რენე ფრანსუა არმანმა „მერანის" დაწერიდან ორი ათეული წლის შემდეგ შექმნა თავისი სახელგანთქმული „ჰენება", რომელიც ძლიერ უახლოვდება ბარათაშვილის გენიალურ ლექსს. როცა რენე არმანის — სიული პრუდომის „ჰენების" რუსულ თარგმანს კითხულობთ, ოდნავი ეჭვიც არ გებადებათ, რომ იგი „მერანის" სრული მიბაძვითაა დაწერილი, თუმცა ჩვენ არაფერი ვიცით — იცნობდა თუ არა ფრანგი პოეტი ქართველი გენიოსის ლექსს. უფრო გვგონია, რომ სიული პრუდომის ლექსი დაწერილია იმავე მოარულ თემაზე, როგორც ბარათაშვილისა. მაგრამ ფრანგულ ლიტერატურაში ფილოსოფოსად ცნობილმა პოეტმა ეს პრობლემა ისე ვერ გაშალა, როგორც „მერანის" ავტორმა, თუმცა მათ შორის არა მარტო მსგავსება ან უნებლიე შეხვედრები, არამედ, ხშირად სრული იგივეობაც კი არსებობს. ჩვენ მთლიანად მოვიტანთ ამ ლექსს და გავარჩევთ, თუ როგორია ეს შეხვედრები და მსგავსება.

აი სიული პრუდომის მთელი ლექსი „Вскачь":

«Мчись, мой конь, вздымая искры огненным дождем!
По горам и по долинам вихрем промелькнем!
Пусть далеко раздается стук твоих копыт,
И его собою звонко эхо повторит.
Нам навстречу свищет ветер и журчат струи.
Ты окрасил алой пеной удила свои,

---

* ასე ვწერდით მაშინ, როცა მეცნიერთა დიდი ნაწილი არ აღიარებდა ლომონოსოვის პრიორიტეტს. დღეს საბოლოოდ დამტკიცებულია ის დებულება, რომ არ შეიძლება ლავუაზიეს არ სცოდნოდა ლომონოსოვის აღმოჩენა და არ განეცადა მისი გავლენა — გ. ჯ.

Но вперед летишь ты смело через лес и дол.
Как в своем полете быстром царственный орел,
Так степей необозримых вольные сыны
Мчатся бешено в набеги, удалью полны;
И вперед стремится каждый, мужеством объят,
Для себя не признавая никаких преград.
Уноси меня в пространство! жажду грудью всей
Я упиться на свободе воздухом полей.
И с какой бы ты ни мчался страшной быстротой
Я тебя опережаю пылкою мечтой.
Ураганом, конь мой верный, бурею лети,
Сокрушая все преграды на своем пути!
Улетим туда, где слышен крик орлиных стай,
В неизведанную область, в незнакомый край!»*

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ „მირბის მიმაფრენს“... და „Мчись, мой конь“ ერთი და იგივე მიმართვაა. მსგავსებას გვაგრძნობინებენ ეს „ქარიშხლები“, „მთები“, „წინ გაბედული ფრენა ტყესა და ველში“. ერთი და იგივე პოეტური სახეა — „შენს ჭენებას არაქვს სამძღვარი — „Для себя не признавая никаких преград“. ფრანგი პოეტი მიმართავს თავის ცხენს და ეუბნება წაიყვანოს სადღაც შორს, სრულიად უცნობ მხარეში. მთელი ლექსი ძლიერ ენათესავება „მერანს“. მაგრამ სულ სხვაა მისი ფილოსოფიური იდეა და სოციალური დიაპაზონი. აქ პირველ ყოვლისა თვალში გეცემათ უკიდურესი ინდივიდუალიზმი და შეზღუდულობა.

ძირითადად ასე წარმოგვიდგება ამ ორი ლექსის მსგავსება და განსხვავება. არავინ იფიქროს, თითქოს ეს ფაქტი იმიტომ მოვიტანეთ, რომ რაიმე საერთო არსებობდეს ბარათაშვილსა და პროდუმს შორის. არა, ეს ფაქტი იმას მეტყველებს, რომ „მერანის“ თემა ზოგადია და თუ ჩვენ იმით დავინტერესდებით, რომ პარალელები ვეძიოთ, ასეთ შეხვედრებს ყველა ერისა და ხალხის ლიტერატურაში ვნახავთ. მაგრამ ეს ძიება იმასაც გარკვევით

* Сюлли-Прюдом, стихи, стр. 46.

გვეტყვის, რომ მსოფლიო ლიტერატურაში „მერანის“ თემა არავის არ მოუციათ ისე ღრმად, ძლიერად და უნივერსალურად, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილს. ამ მხრივ „ფაუსტი“ და „მერანი“ განუმეორებელ ძეგლებად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ „ფარისს“. ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ რომ სრულიად სხვა მიზანდასახულების, სხვა მხატვრული და იდეური მონაცემების პოეტური ძეგლია, ვიდრე მიცკევიჩის პოემა, რომ მათ შორის არსებობს მხოლოდ რამდენიმე უნებლიე შეხვედრა, ჩვენს თავს უფლებას მივცემთ მოკლედ დავახასიათოთ „ფარისი“.

მიცკევიჩმა „ფარისი“ მიუძღვნა ტაჯ-ულ-ფეხრს — რენეგატ გრაფს ვენცესლავ რჟევუსკის, რომელმაც აღმოსავლეთში სახელი გაითქვა და ემირის სახელწოდება მიიღო. „ფარისი“ წარმოადგენს — კასიდას — იგი პოემის მსგავსი ლექსია, თვით „ფარისი“ კი ნიშნავს არაბ მხედარს. ჩვენს წინაშეა „ფარისის“ პოლონურიდან თარგმანი, რომელიც ნიჭიერმა პოეტმა ბენედიქტოვმა შეასრულა. იგი შეტანილია ადამ მიცკევიჩის თხზულებათა კრებულის ცნობილი ოთხტომეულის მესამე გამოცემაში, რომელიც 1913 წელს გამოვიდა.

„ფარისის“ მოკლე შინაარსი ასეთია: ფრიალო კლდიდან თავაწყვეტილი მიექანება არაბი მხედარი — ბედუინი თავისი ცხენით და მიჰქრის სადღაც შორს, დასავლეთში, ეძებს ვარსკვლავების იმ საოცნებო ქვეყანას, სადაც ჯერ ადამიანი არ ყოფილა. „ფარისის“ ცხენი მიფრინავს, როგორც ჯადოქრული ზღაპრული რაში:

«Шибче! Шибче! Он скользит,
До песку едва касаясь.
Дальше! Дальше! Поднимаясь
С вихрем пыли, он летит».*

მიცკევიჩის ფარისის ცხენი შავია, როგორც ჰექა-ქუხილის მაუწყებელი ღრუბელი, შუბლზე კი ვარსკვლა-

* А. Мицкевич, Собрание сочинений, 1913 г., т. I, стр. 169.

ე ი უბრწყინავს, როგორც დღის სინათლე. იგი ისე მიჰქრის, თითქოს

«Конь — огонь; мелькают ноги,
Лес и горы! Прочь с дороги».*

ეს სტროფი მცირედი ცვლილებით მთელ კასიდაში რეფრენად არის ქცეული. ფარისს გზაზე ხვდება პალმა, რომელიც მას ამაოდ სთავაზობს ჩრდილსა და ნაყოფს. დაუდგრომელი ცხენი მაინც წინ მიისწრაფვის. პალმას შერცხვა და თავის ოაზისში მიიმალა. უდაბნოს საზღვართან ფარისს შესცქერიან ფრიალო კლდეები, რომლებიც მას ეუბნებიან ხელი აიღოს გიჟურ და უაზრო განზრახვაზე, ვინაიდან იქ, სადაც მხედარი მიისწრაფვის,

«Только скалы там ночуют;
Только звезды там кочуют».**

მაგრამ ფარისი როდი ისმენს ამ მუქარას. იგი კვლავ შემოჰკრავს ცხენს და უფრო სწრაფად გაფრინდება. უკან მოიხედავს, მაგრამ სადღა არიან ის ფრიალო კლდეები, ძლივსღა შესამჩნევი გამხდარან შორს, ჩრდილში. ამ დროს მხედარს წამოეწევა ძერა, რომელმაც გაიგონა ფრიალო კლდეების მუქარა და დარწმუნდა, რომ ბედუინი დაიღუპებოდა და მას ტყვედ ჩაიგდებდა. ძერა გამოედევნება მხედარს შესაპყრობად. ფარისის თავზე ის სამჯერ გააკეთებს შავ წრეს. მას ეჩვენება, რომ მსხვერპლს ლეშის სუნი სდის და მალე მართლაც ლეშად გადაიქცევა. მისთვის „ეს ცხენიც და ეს მხედარიც ბრიყვია“, თორემ არ მოვიდოდნენ ამ ადგილზე, ვინაიდან

«Только трупы здесь ночуют,
Здесь лишь коршуны кочуют».***

ძერის ბრჭყალებმა მხედარს თვალწინ გაუელვეს. მან სამჯერ შეხედეს ერთმანეთს, მაგრამ ვინ ვერ გაუძლო ამ ცქე-

* А. Мицкевич, Собрание сочинений, 1913 г., т. 1, стр. 169.
** იქვე, გვ. 170.
*** იქვე, გვ. 171.

რას? ბრძოლაში მარცხდება ძერა, კვლავ იმარჯვებს შეუპოვარი ფარისი. ცხენი წინ მირბის. ტყეებისა და მთების შემდეგ ახლა უკან დარჩნენ კლდეები და ფრინველები. თავგამეტებული ფარისი მიჰქრის. აი, მზის ქვეშ უცბად გედივით გამოჩნდა ღ რ უ ბ ე ლ ი, რომელსაც ფარისივით სურს მიაღწიოს ცისიერს და ემუქრება მხედარს, რომ ის გ ა ნ წ ი რ უ ლ ი ა დასაღუპავად. ფარისი არც ამ მუქარას ისმენს. უფრო სწრაფად მიჰქრის, ხოლო ღრუბლის სრბოლა უფრო დაბალი და სუსტი ხდება. მალე ეს ღრუბელიც დაღლილი და დამარცხებით გაბოროტებული, საუკუნეობრივ ფრიალო კლდეს შეაფარებს თავს, რათა დამალოს თავისი სირცხვილი. ცხენი კვლავ წინ მიჰქრის, უკან რჩებიან ფრინველები და ღრუბლები. ფარისი ირგვლივ იცქირება ისე, როგორც მ ს ო ფ ლ ი ო სივრცეში იხედება მზე და უკვე აღარც ერთი მ დ ე ვ ა რ ი აღარ ჩანს, რომ მას შეეჯიბროს ან დაეჯიდოს. ასეთი მ ე ტ ო ქ ე აღარც მიწაზეა და აღარც ეთერში. აქ მთელი საუკუნეების მანძილზე ბუნებას მარადიული ძილი ჰფარავს. ადამიანთა ნაბიჯების ხმაური მას ძილს ვერ უფრთხობს. მ ს ო ფ ლ ი ო ს ტ ი ქ ი ა, უ მ ო ძ რ ა ო და მ უ ნ ჯ ი, მ ა რ ა დ ი უ ლ ა დ თ ვ ლ ე მ ს ს ი ჩ უ მ ე შ ი. ფარისის მიახლოებაც მას ვერ მოიყვანს მოძრაობაში. მაგრამ ფარისი გრძნობს, რომ იგი პირველი არ არის, ვინც აქ მოვიდა. ქვიშანი ვიღაცას ამოუთხრია, სჩანს ორმოები და მ ი წ ა ყ რ ი ლ ე ბ ი. მათ ეფარებიან ჩასაფრებული მ ტ ა ც ე ბ ლ ე ბ ი, რომლებიც მ ს ხ ვ ე რ პ ლ ს ელოდებიან. ფარისი ხედავს მხედრებსაც და ცხენებსაც. ი ს ი ნ ი ი ხ რ ი ნ წ ე ბ ი ა ნ. უახლოვდება და გრძნობს: უ მ ო ძ რ ა ო დ ყ რ ი ა ნ. ეძახის, მაგრამ დ უ მ ა ნ. მარტოოდენ ჩ ო ნ ჩ ხ უ ბ ი და გ ვ ა მ ე ბ ი ა, ურაგანის მიერ ოდესღაც დ ა ფ ლ უ ლ ი ქ ა რ ა ვ ა ნ ი ა. აი, მ გ ზ ა ვ რ ი ს ჩ ო ნ ჩ ხ ი აქლემის ჩ ო ნ ჩ ხ ზე ზ ი ს და ყრუდ, ბოროტი საყვედურით ეჩურჩულება მას: „გაგიქებულო ბედუინო! მარტოდ-მარტო საით მიფრინავ?“ „ხომ ხედავ ქარავნების ძვლებს? აქ ურაგანების სამფლობელოა! მძლავრი გრიგალი შენ მოგკლავს!“* მაგრამ ფარისი მასაც უ შ ი შ რ ა დ

* А. Мицкевич, Собрание сочинений, 1913 г., т. I, стр. 174.

ხვდება, მაინც წინ მიჰქრის. უკან დარჩნენ გვამები და გრიგალები. უცებ გამოჩნდება ამ ქვეყნების მთავარი დამანგრეველი, ჭირვეული ურაგანი, რომელიც ფარისს დაღუპვით ემუქრება. ურაგანი აღშფოთებულია, თუ როგორ გაბედა ვინმემ ფრენა იმ ადგილებში, რომლებიც მისი საშფლობელოა, იმართება უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა. ურაგანი მთელი ძალით დააცხრება მიწას ისეთი ხმაურით, რომ მთელ არაბეთს შესძრავს. იგი ცდილობს ქვიშაში ჩაფლას თავხედი მხედარი. ნახევრადდამარცხებული ფარისი კვლავ აღიმართება საბრძოლველად. უმძიმესი განსაცდელის წუთებში იგი ძალას იკრებს, და როგორც დავითმა გოლიათი დაამარცხა, ფარისი ამარცხებს ამ გიგანტს.

დაღლილმა მხედარმა აქ უკვე დაისვენა. იგი ამაყად უცქერის ვარსკვლავებს. ყველანი ოქროს თვალებით შეჰყურებენ მას, ვინაიდან უდაბნოდან ის ერთადერთია, რომლის ნახვაც მათ შეუძლიათ. „მთელი მკერდით ვსუნთქავ, — ამბობს ფარისი, — და მე მგონია, რომ მთელი არაბეთის ველის ჰაერი აქ მცირეა ჩემი გაუმაძღარი სუნთქვისათვის“. მას მხედველობაც უსაზღვროდ გაუფართოვდა. აზრები სულ მაღლა და მაღლა მიდიან. და ისე, როგორც ფუტკარი თავის ნესტარს ღრმად ასობს ხოლმე სხეულში, ხოლო შემდეგ აძ ნესტართან ერთად იქ გულსაც სტოვებს, ფარისის აზრს, როგორც კი ცისაკენ გაემართა, მას უმალვე სულიც დაედევნა.*

ამით თავდება „ფარისი“. ადამიანი შეუერთდა მარადიულს და თვითონაც მასში გაჰქრა. აზრმა შეიცნო არსი. თავგანწირული ბრძოლით ფარისმა ჰპოვა პირადი ბედნიერება.

ასეთია „ფარისის“ ფილოსოფიური იდეა.

რომ არ ვიგრძნოთ „მერანისა“ და „ფარისის“ ზოგიერთი მხატვრული სახის შეხვედრა, თემატიკური შეხვედრაც, შეუძლებელია. მაგრამ, როგორც ვთქვით, „მერანი“ გაცი-

* А. Мицкевич, Собрание сочинений, 1913 г., т. I, стр. 175.

ლებით მაღლა დგას „ფარისზე“ და აქ არავითარი გავლენა ან მიბაძვა არ არის, თუმცა ვის შეუძლია უარჰყოს, რომ მიცკევიჩის კასიდაც მსოფლიო ლიტერატურის შედევრია.

სამაგიეროდ, სულ სხვაა ბარათაშვილის „მერანის“ ფილოსოფიური კონცეფცია.

ბარათაშვილის „მერანის“ ფილოსოფია არსებითად აყენებს იმავე ძირითად თეზისს, რასაც გენიალური ლექსი „შემოღამება მთაწმინდაზედ“. ეს არის თეზისი აზრისა და არსის, „მესა“ და „არა მეს“ დამოკიდებულების შესახებ და მთელი ლექსი გარკვევით გვეუბნება, რომ მისი ავტორისათვის სავსებით ცნობილია დებულება: თუ აზრმა არსი, ადამიანმა ბუნება პოლომდე შეიცნო, მაშინ აზრი გაქრება და ადამიანი ითქვიფება ბუნებაში. მაგრამ, მეორეს მხრივ, ადამიანის სული უსაზღვროა, იგი მიისწრაფვის უმაღლესისაკენ. მას სურს ჩასწვდეს ამ უმაღლესს. ხოლო, თუ ეს სურვილი საბოლოოდ მიზანმიუღწეველია, სამაგიეროდ რჩება მუდმივი სწრაფვა და მისი პოზიტიური შედეგი, რომელიც წინ სწევს, აზრსა და დანიშნულებას აძლევს ადამიანის ყოფას, არსებობას, ცხოვრებას, ამშვენიერებს და აკეთილშობილებს მას.

ამ ფილოსოფიას ეყრდნობა პოეტი და ამიტომ არის, რომ „მერანში“ უდიდეს ოპტიმიზმთან ერთად ისმის პესიმიზმის ჰანგიც. რა არის ან რა უნდა იყოს საოცარი იმაში, რომ ბარათაშვილს მებრძოლ ოპტიმიზმთან ერთად თავის მძიმე დროს ჰქონდა პესიმისტური განწყობილებანი? სამაგიეროდ, მან შესანიშნავად იცოდა თავისი მაღალი დანიშნულება, როგორც დიდ ოპტიმისტს კარგად ესმოდა, რომ ნისლს ყოველთვის მოსდევს მზიანი დღე, მომავალი არ შეიძლება ნათელი, უკეთესი არ იყოს, რომ ცხოვრების აზრი უკეთესისაკენ არ მიდიოდეს. თუ ბარათაშვილს თავის შემოქმედებაში პესიმიზმი მართლაც არა აქვს, როგორც ზოგიერთი თეორეტიკოსი ფიქრობს, მაშინ რატომ დააყენა მან თავისი თავის წინაშე მამულის, მეგობრების, მშობლებისა და სატრფოსაგან

განშორების იდეა? რატომ დასჭირდა მას განშორებოდა ყოველივე იმას, სადაც დაიბადა, დავაჟკაცდა, რასაც შეეზარდა და შეესისხლხორცა, რამაც გამოკვება მისი შავად მღელვარე ფიქრი, დაუმცხრალი ეჭვი და შეუპოვარი, გმირული თავგამეტება? მაშინ აუხსნელი რჩება თვით „მერანის" შინაგანი ღელვის მიზეზები.

„მერანში" დასმულია ის მსოფლიო პრობლემა, რომელიც საერთოდ რომანტიკულმა სკოლამ წამოაყენა ევროპის ლიტერატურაში, ბარათაშვილის, ლერმონტოვისა და ბაირონის შემოქმედებაში. ეს არის კონფლიქტი იდეალსა და სინამდვილეს შორის. და იმის მიხედვით, თუ როგორ წყდება ეს კონფლიქტი, ჩვენ ვღებულობთ განსხვავებულ მიმდინარეობას თვით რომანტიკულ სკოლაში. ეს პრობლემა სულ სხვაგვარად გადაწყვიტეს ტიკმა და ნოვალისმა, ლეოპარდიმ და მიუსემ, ბაირონმა და ბარათაშვილმა, ლერმონტოვმა და ლამარტინმა. ამაშია განსხვავება რომანტიკული სკოლის მიმდევრებს შორის. ლერმონტოვი, ბარათაშვილი, ბაირონი რომანტიკულ სკოლაში ქმნიან იმ მებრძოლსა და გმირულ სულს, რომელმაც თავის დროშაზე აბოლიციონიზმის პრინციპები წააწერა და თავისუფალი, მაღალი, სპეტაკი და კეთილშობილი გმირი ადამიანის იდეალი განასახიერა. ბარათაშვილი თავის „მერანში" მიუღებელი სინამდვილიდან ადამიანის განდგომის, მაგრამ არა გაქცევის ყველაზე უფრო ამაღლებულ პოეტურ სახეს გვაძლევს. ეს ადამიანი სინამდვილეს შორდება არა შიშის გამო, ინდივიდუალისტური ან ეგოისტური მიზნებით, რაკი პირადი კმაყოფილება ვერ ჰპოვა, არამედ, აღფრთოვანებულია უმაღლესი, ზოგადკაცობრიული იდეით, რომელსაც მომავლის უანგარო სამსახური ეწოდება. ამიტომ ასე ერუანტელის მომგვრელად გვესმის ჩვენ ბარათაშვილის სიტყვები:

„მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ, ჩემი ფერანი,
უკან მომჩხავის თვალ-ბედითი შავი ყორანი!

გასწი, მერანო, შენს ჰენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!"

რამ მისცა სტიმული ბარათაშვილს, რა ბედნიერი წამი იყო, რომელმაც მას „მერანი" შთააგონა? ან რა შემთხვევამ დააწერინა ეს გენიალური ნაწარმოები?

ამ კითხვებს ხშირად აყენებდა ჩვენი ლიტერატურა, მაგრამ ისე, როგორც სურთ „მერანის" ორიგინალობა იმით დაამტკიცონ, რომ უარყონ მისი რაიმე მსგავსება რომელიმე სხვა, თუნდაც დიდ ნაწარმოებთან, აქაც იმ მეტაფიზიკური თვალსაზრისით გამოდიან, რომ „მერანს" სიდიადე აუცილებლად დაუკავშირონ რაღაც ასევე დიად ცხოვრებას თუ შემთხვევას. განა ჩვენ იმის ცოტა მაგალითი მოგვცა მსოფლიო ლიტერატურამ, რომ ხშირად სრულიად უნებლიე, უმნიშვნელო ფაქტს მწერალში ისეთი სულიერი მღელვარება გამოუწვევია, რაც შემდეგ სტიმულად გადაქცეულა ჰეშმარიტად მონუმენტური მხატვრული ქმნილებისათვის? „ჰაჯი-მურატი" — რუსული პროზის ეს უბრწყინვალესი შედევრი ტოლსტოის „გადატეხილმა ბირკმა" შთააგონა. რა უნდა იყოს საეჭვო, დაუჯერებელი, ან გულუბრყვილო იმაში, რომ ბარათაშვილს „მერანი" დაეწერა თავისი ბიძის — ილია ორბელიანის შამილის მიერ დატყვევების გამო? განა ეს ასჯერ და ათასჯერ უფრო მეტი სტიმული არ უნდა ყოფილიყო, ვიდრე „გადატეხილი ბირკი"? და მაინც არავის შეუტანია ეჭვი ტოლსტოის სიტყვებში, რომ მან ჰაჯი-მურატი ნამდვილად „გადატეხილი ბირკის" ნახვის შემდეგ გაიხსენა და გადაწყვიტა დაეწერა ეს უმშვენიერესი მოთხრობა. ან რა უფლება გვაქვს არ დავიჯეროთ პოეტის გულწრფელობით აღსავსე სიტყვები, რომლებსაც იგი ამბობს ასეთი ძლიერი მღელვარებით და ღრმა შინაგანი განცდით?

1842 წლის 2 მაისს ბარათაშვილი სწერდა თავის ბიძას გრიგოლ ორბელიანს, თუ შამილს როგორ ჩაუვარდა ტყვედ ილია და რა ვაჟკაცობა გამოიჩინა მან. როცა დაღესტნის ლეგენდარულ იმამს უშიშრად უპასუხა

მის სასტიკ მოქცევაზე. წერილში მთლიანად არის მოყვანილი ლექსი „მერანი" შემდეგი სიტყვების წაძძღვარებით: «Вот что поэт думает за Илико». ამ წერილში ბარათაშვილი თითქოს ერთგვარ განმარტებასაც კი აძლევს გრიგოლ ორბელიანს: „არ ვიცი ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვაზე, რასაკვირველია იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში, და არა მე, — ილიას დაჰერა რომ შევიტყვე, ჰსწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილებით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამე დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივაწოდო, ვიცი, გულში ჩაიცინებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა".*

არა გვგონია პოეტის ეს სიტყვები გულწრფელი არ იყოს!

არა გვგონია საჭირო იყოს რაღაც სხვა მიზეზების ძიება. გენიოსის ძალაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პირადი შემთხვევა ასეთ უმაღლეს, ზოგადკაცობრიულ ფორმაში განასახიეროს, ისე როგორც ოდესღაც ნიუტონმა მსოფლიო მიმზიდველობის კანონი უნებლიე ფაქტიდან გამოიყვანა.

ბარათაშვილის დიდ სულიერ ღელვას და მის ბობოქარ სამყაროს მარტოოდენ ინდივიდუალურს პრიზმაში არ განუჰვრეტია ილია ორბელიანის ტრაგიკული ბედი. მას განზოგადებული სახე მისცა და თავისი სუბიექტური ქვეყნის ხმაურიც ღრმად ჩაუქსოვა. ამიტომ არის, რომ ადამიანურ მორალს, მის სულიერ მღელვარებას და თავისი თავის დანიშნულების შეგნებას უდიდესი ძალით ეხმაურება შეუპოვრობის, თავგამეტების, თავდადებისა და გმირული ნებისყოფის ის უმაღლესი მხატვრული

---

* იხ. ნ. ბარათაშვილი, „ლექსები...", 1922 წ., გვ. 98. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

განსხეულება, რომელსაც ბარათაშვილის პოეტური მაჯისცემა „მერანში“ პოულობს:

„გაქცეთე ქარი, გააპე წყალი, გადაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაჭურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაქანცულობით, თავგანწირულსა შენსა მხედარსა“*

ოდესღაც ჰამლეტი აყენებდა „ყოფნა-არყოფნის“ პრობლემას და მან ვერც თეორიულად, ვერც პრაქტიკულად ვერ გადაწყვიტა ეს თავსატეხი საკითხი. ბარათაშვილიც ლექსში „შემოღამება მთაწმიდაზედ“ გაბედულად აყენებს ამ პრობლემას. პოეტის ფიქრი მიისწრაფვის ცის ლაჟვარდისაკენ, თუმცა ბრწყინვალედ ესმის ადამიანური შემეცნების სუვერენულობა, რომ იქამდის ვერ მიაღწევს, ჰაერშივე განიბნევა, მიუხედავად იმისა, რომ გულისთქმა ზენაართ სამყოფს იქით ეძიებს სადგურს, რომ დაშთოს აქ ამაოება. „მერანშიც“ ბარათაშვილის შავად მღელვარე ფიქრი და დაუცხრომელი გონება ეძიებს იმ ქვეყანას. ასტრალურ ქვეყანას, სადაც ვარსკვლავებს გაუზიარებს გულის საიდუმლოს:

„რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა;
ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილმოუბარსა.
სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო;
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო“**.

ეს საიდუმლო კი უაღრესად დიდი, ღრმა და მართლაც ჭვავე იყო. ამის შესახებ პოეტი შემთხვევით არ სწერდა მაიკო ორბელიანს 1842 წლის 31 ოქტომბერს, რომ მან ვერ ჰპოვა თავისი სულის მეგობარი, განიცდის ობლობას და სიცოცხლე მოსძულდა ამდენის მარტოობით. მართლაც დიდი იყო მისი გულის კვნესა, საზღვარი არ ჰქონდა მისი აზრების კეთილშობილ დენას, და ყოველივე ეს პოეტმა ასეთი უმშვენიერესი მხატვრული სახეებით გამოკვეთა:

* ნ. ბარათაშვილი, „ლექსები...“, 1922 წ., გვ. 40.

** იქვე.

»კვნესა გულისა, ტრფობისა ნაშთი, მიეცე ზღვის ღელვას,
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!«*

როგორც უდიდესი ტრაგედია და უნაპირო გლოვის ზარი, ისე გაისმის პირველი სტროფი, სადაც მღელვარე ადამიანურ განცდას ამაღლებულ რეფრენად მიჰყვება დაუცხრომელი მოქმედების, თავგამეტების, ბედთან შეურიგებლობის ოპტიმიზმით აღსავსე სიმღერა. ამ მოქმედებას, მშვენიერ, აღტაცებულ ლტოლვას პოეტი ყველაფერს სწირავს და თავის მჩაგვრელ ბედს არავითარ შემთხვევაში არ ემონება:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლაებს შორის;
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის, —
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა, ზარით, ღრიალით, მიწას მიმაყრის!
სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა, დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად, მივალალებენ სევანი მყივარნი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გადაბატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!«**

ეს უდიდესი თავგამეტება და შეუპოვრობა ბარათაშვილის მთელი შემოქმედების ორგანული თვისებაა.

ჩვენ შესავალში აღვნიშნეთ, რომ ბარათაშვილის შემოქმედებაში არსად არა გვაქვს სიკვდილისადმი შიშის გრძნობა. პოეტი ყოველთვის შეუპოვარ ბრძოლას უცხადებს სიკვდილს, უმოქმედობას, უმოძრაობას, სიზარმაცეს, და როცა ასე კეთილშობილურ, უზადო ადამიანურ გრძნობებთან გვაქვს საქმე, არ შეიძლება ჩვენს არსებაში ღრმად არ შეიჭრას უსაზღვრო სიმპათიების გრძნობა პოეტის თავგანწირული, თავგამოდებული შეტაკებისადმი მოსისხლე მტერთან, ვინაიდან ეს

* ნ. ბარათაშვილი, „ლექსები...", 1922 წ., გვ. 40—41.
** იქვე, გვ. 40—41.

შეტაკება ჰეშმარიტად ადამიანური ღირსების დაცვის ერთადერთი კანონიერი გზაა:

„დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა, მოსისხლე ბტერი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!“*

მთელი ეს სიცოცხლის განწირვა, უპატრონოდ სიკვდილი, მერანის თავგამეტებული ჭენება შთაგონებულია ერთადერთი, უდიდესი, ნამდვილად ნაციონალური და უმაღლესი საკაცობრიო მისწრაფებით, რომ პოეტმა ბედნიერება მისცეს არა თავის თავს, არამედ მოძმეთ, მშობელ ქვეყანას, ხალხს და კაცობრიობას! _აქ მართლდება მერანის გიჟური თავგამეტება, და ერთი შეხედვით თითქოს უაზრო ჭენება უსაზღვრო სივრცეში, კლდესა და ღრეში, სიცხესა და სიცივეში, ქარიშხალსა და მდუმარებაში თავის აბსოლუტურ დასაბუთებას პოულობს. პოეტმა იცის, რომ

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება!
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“**

ასეთია ის მაღალი დანიშნულება, რომელიც „მერანმა“ ჰპოვა თავის თავწყვეტილსა და ზეადამიანურს ქროლვაში. ეს იყო პოეტური სახეებით გამოხატვა იმ ღრმა ფილოსოფიური აზრისა, რომელიც ასე კარგად შენიშნა ილია ჭავჭავაძემ თავის წერილებში მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე. ამ წერილებში ორგდალეულთა ბელადმა შემთხვევით არა თქვა, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ბარათაშვილი „...ერთად-ერთი მწერალია, რომელიც სხვაზედ უფრო

---

* ნ. ბარათაშვილი, „ლექსები...“, 1922 წ., გვ. 41.
** იქვე.

ზეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალ-გადაუწვდენელს სფეროში, საცა ზოგად-კაცობრიობის დაუსრულებელი საჭირბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არრწმენისა. მყოფობისა და არ-მყოფობისა, საცა ღაღადებაა ყოველგვარ სულისკვეთებისა და ვნებათა ღელვისა. თ. ნ. ბარათაშვილის დიდი მნიშვნელობა, ჩვენის ფიქრით, ამაშია; ამიტომაც მართალი სთქვა, რომ მის მიერ გავლილი გზა ჩვენში ჯერ უვალი იყო, მან თავისს მერანს გადაათელინა და ნავალიც დააჩნევინა, ვინ იცის ვისთვის და საროდიოდ? ამის პასუხს ჩვენი აზრთა ზრდა შემდეგ როდისმე იტყვის".*

ბარათაშვილის ეს უანგარო ზრუნვა ამ მაღალი და საკაცობრიო იდეალებისათვის ადამიანის გულსა და სულს ისე ღრმად ეთვისება, რომ ძნელია მისი დავიწყება. მთელი თავისი ნიჭი, ცხოვრება, სანუკვარი ფიქრები და აზრები, თვით სიცოცხლეც კი პოეტს მსხვერპლად მიაქვს მომავლისათვის, კაცობრიობისათვის. და როგორც ჭეშმარიტად დიდ პატრიოტს, მას თავისი ქვეყნისათვის სურს ყოველგვარი ბედნიერება, ყოველგვარი სიკეთე. თუნდაც საკუთარი არსების მსხვერპლად მიტანით.

რა საერთოა „ფარისის" მიზანსა და „მერანის" ღრმად ნაციონალურ, ამავე დროს საკაცობრიო იდეალს შორის?

ჩვენ ვნახეთ, რომ ფარისმა პირადი ბედნიერება ჰპოვა, როცა იგი ასტრალურ ქვეყანაში შევიდა, შეიგრძნო მისი სილამაზე, სითბო და სიტკბოება, როცა მისმა აზრმა არსი შეიცნო და მარადიულ ბედნიერებას მიეცა. ამით ღამთავრდა ფარისის თავგამეტებული ბრძოლა — პირადი ბედნიერების მიღწევით.

„მერანში" კი სრულიად საწინააღმდეგო იდეასთან გვაქვს საქმე. ბარათაშვილის „მერანს" თავისი ბრძოლა მოძმეთათვის, თავგამეტებული ჭენება არ

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1927 წ., გვ. 241—212.

დაუმთავრებია და შემთხვევითი არ არის, რომ ლექსის უკანასკნელ ტაეპშიაც ჩვენ ვხედავთ, რომ:

მირბის, მიმაფრენს, უგზოუკვლოდ, ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!"*

„მერანი" კვლავ დაუსრულებლად მიჰქრის და თავისი თავგამეტებული ბრძოლით ემსახურება მშობელ ხალხს, ადამიანის ბედნიერ მომავალს, მთელ კაცობრიობას. ამაშია ბარათაშვილის შემოქმედების, კერძოდ, „მერანის" საკაცობრიო მნიშვნელობა. შეადარეთ მისი სულისკვეთება გოეთეს ყველაზე დიდ პოეტურ ქმნილებას: ფაუსტმა ხანგრძლივი ტანჯვა-წამების შემდეგ, მეფისტოფელისათვის თვით უმაღლესის — სულის მიყიდვის შემდეგ თავისი ცხოვრების დანიშნულება ჭაობების ამოშრობასა და ადამიანებისათვის იქ ახალი, ლამაზი ცხოვრების გაშენებაში ჰპოვა. ბარათაშვილის „მერანიც" თავის დანიშნულებას მშობელი ხალხისა და კაცობრიობის სამსახურში ხედავს. მაგრამ „მერანი" იდეურად „ფაუსტზე" მაღლა დგას, ვინაიდან ძას ფაუსტის მსგავსად მეფისტოფელისა და ბოროტი სულისათვის თავისი სული არათუ არ მიუყიდნია, არასოდეს არც განუზრახავს, პირიქით, ბოროტ სულთან, მეფისტოფელთან შეუპოვარ გმირულ ბრძოლაში აღმოაჩინა ეს უმაღლესი კაცობრიული ჰეშმარიტება.

ეს იყო ისეთივე ჰუმანისტური, დემოკრატიული, საკაცობრიო იდეა, რომელმაც ბაირონის გენია 1823 წელს აჯანყებულ ბერძნებთან მიიყვანა ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად და მთელი მისი სიცოცხლე შეიწირა. მებრძოლი რომანტიკოსები ამ იდეას არა მარტო ქადაგებდნენ, თავიანთი პრაქტიკული ცხოვრებითაც განასა-

* ნ. ბარათაშვილი, „ლექსები...", 1922 წ., გვ. 41.

ხიერებდნენ. არ შეიძლება ოდნავი ეჭვიც კი ვიქონიოთ, რომ ბარათაშვილს ასცდებოდა ანალოგიური გზა. მას რომ კიდევ რამდენიმე წელი ეცოცხლა. ის ბაირონზე შვიდი წლით ახალგაზრდა დაიღუპა. მის არსებაშიც ისევე გამოკვეთილად სჩანდა მისოლუნგის გმირის მღელვარება, როგორც „მერანში“ შეუპოვრობა.

ბარათაშვილის გენიალური ლექსი ადამიანური სიკეთის, მისი ამაღლებული მორალის, ბედნიერებისა და ნათელი მომავლის მომაჯადოებელი ჰიმნია. ამიტომ მასში აბსოლუტურად არაფერია რეტროსპექტიული. აქ ყველაფერი დაკავშირებულია მომავლის ნათელ, ოპტიმისტურ განჭვრეტასთან. ბარათაშვილის პოეტური გენიის უდიდესი სიძლიერეც იმაში მდგომარეობს, რომ მან დაწყვიტა „მსოფლიო სევდის“, პესიმიზმის უდიდესი არტახები, ოპტიმისტურად განჭვრიტა კაცობრიობის ბედნიერი მომავალი, რომელიც მხოლოდ თავგანწირული ბრძოლითა და უდიდესი მსხვერპლით მოიპოვება. ამიტომ არის, რომ „მერანში“ ჩვენ გვესმის „ვეპვე ტაძარის“ მელანქოლიაც და „ჩონგურის“ მელოდიაც, „ბედი ქართლისას“ ისტორიული კონცეფციაც და „ჩინარის“ ფილოსოფიაც. ისე როგორც „მერანში“, ბარათაშვილის შემოქმედებაშიც აბსოლუტურად არაფერია ფატალისტური. „მერანი“ არის უდიდესი პოემა, რომელშიც განსახიერდა მთელი ქართველი ხალხის გმირული სულისკვეთება და ისტორიული პერსპექტივა. მასში განსახიერდა რუსთაველის ლექსის ძალა და სილამაზე. ამიტომ, თუ „მერანის“ მართლაც რაიმე ლიტერატურული ნათესაობა გვინდა დავადგინოთ, აქ, პირველ ყოვლისა, ჩვენს წინაშე აღიმართება „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ეს პირველად შენიშნეს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურული კრიტიკის წარმომადგენლებმა და როგორც მონოგრაფიის წინა თავებში ეს უკვე ვნახეთ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი უდიდესი პოეტური მოვლენაა არა მარტო ქართულ, არამედ, მთელ მსოფლიო ლიტერატურაში. ამიტომ

ბართებულად არ მიგვაჩნია, თითქოს იგი ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის გავლენას განიცდიდა. მათი ახლო ურთიერთობის სფერო და მისი ანალიზი სავსებით ამართლებს დებულებას, რომ ბარათაშვილი თავის მხრივ თვალსაჩინო გავლენას ახდენდა უფროსი თაობის მწერლებზე, რომ არაფერი ვთქვათ იმ მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებზე, რომლებიც მის ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი. პავლე ინგოროყვამ წამოაყენა დებულება, რომ ბარათაშვილის გავლენა ისეთმა დიდმა პოეტმაც კი განიცადა, როგორიც იყო ქართული რომანტიზმის ფუძემდებელი ალექსანდრე ჭავჭავაძე. მისი უკვდავი „გოგჩის ტბა“ ნამდვილად არის დაწერილი ბარათაშვილის გენიალური ლექსის გავლენით. „გოგჩის ტბასა“ და „ფიქრნი მტკვრის პირას“ ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ეს გავლენა უდავოდ იყო. „ფიქრნი მტკვრის პირას“ არა მარტო ტენდენცია, მხატვრული სამკაულიც და მეტრიც გვაგრძნობინებენ თავის თავს ოთხი წლის შემდეგ დაწერილ „გოგჩის ტბაში“.

„მერანი“ ბარათაშვილის პოეტური სულის ყველაზე ძლიერი პროექციაა. ამიტომ „მერანი“ ბარათაშვილის შემოქმედების გენიალურ და გრანდიოზულ აპოთეოზად უნდა ჩაითვალოს, რომელშიც ახალი ძალით წამოიმართა რუსთაველის ჯადოსნური პოეზიის გრიგალი მეცხრამეტე საუკუნეში და ჩვენს მხატვრულ შემეცნებას გადააფარა ის დიდი კალთა, რომლის დედობრივ მფარველობას მთელი საუკუნის ლიტერატურა ეძრძნობდა. „მერანი“ არა მარტო ქართული მწერლობის შედევრია, არამედ, მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში ლექსალური ორკესტრობით, პოეტური კულტურის სილამაზით და იდეურ-ფორმალური დიაპაზონით იგი ისევე უპაგინაციოდ შედის, როგორც „ვეფხისტყაოსანი“ და „ილიადა“, „ევგენი ონეგინი“ და „ფაუსტი“, „ჩაილდ ჰაროლდი“ და „დაკარგული სამოთხე“, „ღვთაებრივი კომედია“ და „ჰამლეტი“. ჰეშმარიტად პროგრესული მიზნებისათვის მებრძოლი ყოველი თაობა „მერანში“ ჰპოვებს დიდ სულიერ

ძალას და უმაღლეს, უკეთილშობილეს, საკაცობრიო იდეალებისადმი ჭეშმარიტად უანგარო სამსახურის მსოფლიო მნიშვნელობის სიმღერას!

ამიტომ იყო, რომ ბარათაშვილის პოეზიას როგორც მომდევნო თაობები, ისე თანამედროვენი საკუთარ აზრთა და გულისთქმათა უმშვენიერეს გამოხატულებად მიიჩნევდნენ.

თავი VII

## ბარათაშვილი და თანამედროვეობა

ქართულმა პოეტურმა გენიამ, როგორც ვნახეთ, რუსთაველის შემდეგ უმშვენიერესი გამოხატულება ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში ჰპოვა. საუკუნეზე მეტია მისი შთამაგონებელი ლექსები და უძლიერესი ეპიკური ქმნილება პოემა „ბედი ქართლისა“ განმაცვიფრებელ შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველზე, ხიბლავენ ადამიანის სულსა და გონებას, ასაზრდოებენ მის მისწრაფებებსა და ფიქრებს. ბარათაშვილის რომანტიკულ პოეზიაში რეალისტურ ნაკადთან ერთად არის ბევრი რამ ისეთი, რაც ჩვენს დროს, ჩვენს მღელვარე დღეებს არაჩვეულებრივი ძალით ეხმაურება. სოციალისტური ეპოქის ადამიანი ამ პოეზიაში ბევრ საგულისხმოს ხედავს და გრძნობს სიახლოვეს იმ ძირითადი მოტივებისას, რომლებიც ბარათაშვილის შემოქმედების პროგრესულ, აქტუალურ მხარეს შეადგენენ.

მეცხრამეტე საუკუნის ორმოციანი წლებიდანვე ბარათაშვილი მთელი თაობების ფიქრი და იმედი, მასწავლებელი და მედროშე იყო. დღეს უკვე აღარ შეიძლება სადავოდ მივიჩნიოთ, რომ იგი გავლენას ახდენდა არა მარტო თავისი ასაკის პოეტებზე, რომლებიც მის ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი, არამედ, ქართული რომანტიზმის უფროსი თაობის წარმომადგენლებიც — ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი ერთგვარად დავალებული იყვნენ ბა-

რათაშვილის ძლიერი პოეზიისაგან. თავისი შემოქმედებით ბარათაშვილი იმ აქტიური რომანტიზმის ტიპიური წარმომადგენელია, რომელსაც თავის დროზე მაქსიმ გორკიმ მიაკუთვნა ბაირონი და ლერმონტოვი. რაც უფრო გადის დრო, მით უფრო მეტად მეტყველდებიან ყრმა ჭაბუკის ფორმით ულამაზესი და შინაარსით უძლიერესი პოეტური სახეები. ბარათაშვილმა დასაწყისი მისცა ახალ ქართულ ლიტერატურას, და თუ ოდესღაც დობროლუბოვი ოცნებობდა ისეთ პოეტზე, რომელიც შეიძლებდა პუშკინის ლექსის სილამაზით და ლერმონტოვის სიძლიერით განევითარებინა კოლცოვის პოეზიის ჯანსაღი მხარე, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბარათაშვილის პოეტურ გენიაში რაღაც საოცარი ბედნიერებით შეერწყა ერთმანეთს ლექსის სილამაზეც და სიძლიერეც. ბარაოაშვილი იყო დიდი ქართველი ნოვატორი პოეტი, რომელმაც ძალიან ფართო მასშტაბით შეძლო სწრაფად ასულიყო პოეტური მეტყველების ისეთ თვალუწვდენელ სიმაღლეზე, სადაც მხოლოდ გენიოსებს შეუძლიათ მძლავრად გაშალონ თავიანთი შთაგონების არწივისებური ფრთები. ამ მწვერვალზე მან ყველაზე უფრო ოსტატურად შესძლო ქართული ლექსის განთავისუფლება პოეზიის მოძველებული მანტიისაგან და მისთვის ნამდვილად ნაციონალური ხასიათის მიცემა. ამით ის ერთბაშად წარმოდგა ჩვენს წინაშე, როგორც დიდი ნაციონალური პოეტი.

მაგრამ პოეზიის ძველი ტრადიციების გავლენისაგან ქართული ლექსის განთავისუფლება არ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც მარტოოდენ შინაარსობრივი ცვლილება. ბარათაშვილმა ჩვენს მწერლობაში შემოიტანა პოეტური მეტყველების ახალი ფორმები, ახალი სტყვიერი სამკაული, საოცარი ძალით აამაღლა იგი და ამავე დროს მისცა სისადავის ელვარება, მხატვრულ სახეებს ამოუკვეთა ისეთი ორნამენტი, რომელიც ქართულ ლექსს აახლოებდა სასაუბრო ენას, ფოლკლორს.

როცა ჩვენ ვკითხულობთ ბარათაშვილის ფილოსოფიური ხასიათის ლექსებს — „შემოღამება მთაწმიდაზედ“, „ფიქრ-

ნი მტკვრის პირას“, „ჩინარი“, „ხმა იდუმალი“. „სულო ბოროტო? გაოცებული ვრჩებით ამ ნაწარმოებთა აზრის სიღრმითა და ლირიკული იერით, გამოხატვის დარბაისლური მანერითა და ენობრივი სისადავით. მის ლექსებში ჩვენ ოდნავაც ვერა ვგრძნობთ ჭარბ სამკაულს ან ზედმეტ აქსესუარს, პოეტური ხმის მელოდიურობას თან სდევს რიტმის ექსპრესიულობა, რამაც ყველაზე უმაღლეს სახეს „მერანში მიაღწია. პოეტმა ყოველ ლექსს თავისი შესატყვისი ფორმა, ნიუანსი და საკუთარი ენობრივი ელერადობა მისცა. ის თვითეულ ლექსს ისე ძლიერი ხელით აქანდაკებდა, როგორც მიქელანჯელო ბუონაროტი მარმარილოს ქვას, ისე უხამებდა ყველაფერს ერთმანეთს, როგორც რაფაელ სანციო მადონას გამოსახვისას უცნაური პალიტრის ფერებს. ამ პოეტური ღირსებებით, ბუნებრივია, ბარათაშვილი შეიქნა ქართულ ლიტერატურაში მთელი თაობების შთამაგონებელი. ადვილი გასაგებია, თუ რატომ თვლიან ქართველი საბჭოთა მწერლები ნიკოლოზ ბარათაშვილს თავიანთ ერთერთ უდიდეს წინამორბედად და მასწავლებლად პოეტური მეტყველების ოსტატობაში.

ბარათაშვილის შემოქმედებაში ბრწყინვალედ განსახიერდა რუსთაველის ჯადოსნური პოეზიისა და აღორძინების ხანის დიდი პოეტების საუკეთესო ტრადიციები. ჩვენამდე რომ არ მოეღწია მის განმაცვიფრებელ ლექსებს, მარტოოდენ ეპისტოლარული მეშკვიდრეობა გვაფიქრებინებდა, რომ ამ ჰაბუკის სახით საქმე გვქონდა თავისი დროის მოწინავე. პროგრესულ, დიდ პატრიოტ მოქალაქესთან, გენიოს ადამიანთან, რომელმაც შესანიშნავად იცოდა სამშობლო ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავალი, ჰქონდა სინამდვილის ჰერეტის მეტად მახვილი თვალი, წინ უსწრებდა ეპოქის კულტურულ ღონეს ცოდნითა და მოწოდებით, მეცნიერის სიდინჯით აფასებდა საგნებსა და მოვლენებს. ზოგიერთმა ახალმა ბიოგრაფიულმა ფაქტებმა ნათელი მოფინეს ბარათაშვილის დიდ პიროვნებას. კიდევ უფრო ცხადი გახდა, თუ რა ღრმა ცოდნა, ჭეშმარიტად მეცნიერული პორიზონტი ჰქონდა იმ-

ტორიული პოემის „ბედი ქართლისას“ ჰაბუკ ავტორს. ქართველი მკითხველი ყოველთვის განცვიფრებული იყო ამ პოემაში დასმული საკითხების პრობლემური ხასიათით, სახეების გამოკვეთისა და სიუჟეტის განვითარების ორიგინალობით. მარტოოდენ ღრმად განათლებულ, გენიოსის გონების ადამიანს შეეძლო ასეთი დიდი, ისტორიული პოეტური ტილოს შექმნა: იმ დროს, როცა ეს საკითხი ბევრი მოწინავე ადამიანისათვის ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გაღაწყვეტილი მომავალი ისტორიული თვალთახედვით, ბარათაშვილმა ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ სამშობლოს ორიენტაციის პრობლემა სავსებით სწორად გადასჭრა, რითაც საუკუნეებს გაუწოდა თავისი ნორჩი ხელი.

თანამედროვე ადამიანს ხიბლავს ბარათაშვილის პოეზიის უმანიზმი, მისი მაღალი მოქალაქეობრივი შეგრძნება, შეუპოვრობა ბრძოლაში, მხურვალე პატრიოტიზმი, ზოგადკაცობრიული იდეების ისეთივე უმაღლესი პოეტური ფორმებით გამოხატვა, როგორც ეს შეძლეს პუშკინმა და ბაირონმა, ლერმონტოვმა და რომანტიზმის ამ ფრთის ყველა დიდმა წარმომადგენელმა. მის პოეზიას ჰქონდა და აქვს დიდი შემეცნებითი და ესთეტიკური ღირებულება, საზოგადოებრივი აქტუალობა და ემოციურობა.

გასული საუკუნის სამოციანი წლების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე ილია ჭავჭავაძე თავის კლასიკურ წერილში მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ მიუთითებდა ბარათაშვილის დიდბუნებოვნებასა და უკვდავებაზე, მისი იდეების ცხოველმყოფელობასა და პოეტის მიერ დასმული საკითხების სიღრმეზე, რომელთა გადაწყვეტას მიანდობდა მომავალ დროებს. ამ დიდი ქართველის მოსაზრებას უცილობლად ეთანხმებოდნენ სახელოვანი თანამედროვენი აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა და მთელი წყება მოწინავე ქართველი ინტელიგენტებისა. ეს იმიტომაც მოხდა, რომ რუსთაველისა და გურამიშვილის შემდეგ ბარათაშვილი პირველი პოეტი იყო, რომელმაც ასკ ღრმად ჩაგვახედა ადამიანის სულში, საკუ-

თარი ქვეყნის ისტორიაში, ასე მძლავრად შეატოკა ჩვენი გულის სიმები და მეტი ძალით გვაგრძნობინა ქართული პოეზიის სილამაზე, მისი მშვენიერება; ბარათაშვილმა შეძლო როგორც სატრფიალო ლირიკასა და ფილოსოფიურ აზროვნებაში, ისე ინტიმურ სიმღერასა და ეპიკურ ტილოში გამოეხატა სახალხო იდეალები, მიეცა მათთვის ზოგადკაცობრიული, ამასთან უაღრესად ნაციონალური ხასიათი. კითხულობთ მის ლექსებს, პოემას, წერილებს და არ შეიძლება მისი ავტორის გენიალობით არ იგრძნოთ ქანონიერი სიამაყე!

ბარათაშვილმა პოეტური მეტყველება მძიმე დროს იმავე იდეებით დაიწყო, რითაც პუშკინმა და ლერმონტოვმა. მისი პესიმიზმი თავდაპირველად სახიერდებოდა ბუნებისა და ბედისადმი ჩივილში:

„რად დამიჭკნე მე ყვავილი
ყმაწვილობის, ჯერ უშლელი?..“*

ჰკითხულობდა ჰაბუკი პოეტი, ხოლო „ხმა იდუმალში“ საკვირველ ხმას ისმენდა, რომელიც თან სდევდა ცხადად თუ სიზმრად, მოუწოდებდა ეძია თავისი მხვედრი, მაგრამ პოეტი თითქოს წინასწარ დარწმუნებული იყო, რომ თავის საშვენს ვერ ჰპოვებდა. ეს იყო ხმა დევნისა, თუმცა თავისთავში ის ვერ პოულობდა მის საშფოთველოს და საქენჯნავს. როგორც პუშკინი და ლერმონტოვი, ბარათაშვილიც მზად იყო ქედი კი არ მოეხარა თავისი შეუპოვარი ბედის წინაშე, არამედ, ამაყად განეცხადებინა მისთვის მძაფრი სურვილი — წარმსდგარიყო მის წინაშე, ვინც არ უნდა ყოფილიყო — მფარველი ანგელოზი, თუ მაცდური ეშმაკი, რათა შეეცნო ამ უხილავი ძალის საიდუმლოება და ეპოვა თავისი წილი ქვეყნად. ამ ბრძოლით ბარათაშვილი უახლოვდებოდა აქტიური რომანტიზმის ხაზს, თუმცა ჯერ კიდევ მის ლექსებში ჩვენ არ გვქონდა ის დიდი შეუპოვრობა, ბრძოლა და

---

* ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945 წ., გვ. 4

იავგამეტება, რომლებმაც სრულყოფილი განსახიერება „სულო ბოროტოსა“ და „მერანში“ ჰპოვეს.

თანამედროვე ადამიანის, საბჭოთა ადამიანის ვაჟკაცურსა და გმირულ შემართებას, მის შეუპოვრობას სიძნელეების გადალახვაში მრავალმხრივ ეხმაურება, თითქოს ენათესავება პოეტის თავგამეტებული ბრძოლა ბოროტი სულის წინააღმდეგ, მისი გმირული, თავგანწირულის სულისკვეთება და რაინდული ქედუხრელობა. „სულო ბოროტოში“ პოეტმა პირდაპირ საბრძოლველად გამოიწვია ბოროტი სული, შერისხა იგი და მახვილი აღმართა მისი მსახვრალი ხელის წინააღმდეგ. „მერანში“ პოეტმა გენიოსური ძალით დაგვიხატა მებრძოლი ადამიანის შეუპოვრობა, მზადყოფნა— მსხვერპლად მიიტანოს საკუთარი თავი მიზნის მისაღწევად. საბჭოთა ადამიანის კეთილშობილურ მისწრაფებებს, მის პატრიოტულ თავდადებას არ შეიძლება თავისებურად არ ეხმაურებოდეს პოეტის მიმართვა მერანისადმი:

„გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი,
გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაჰკურცხლე და შემიმოკლე
მოუთმენელსა სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო,
ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაჭანცულობით
თავგანწირულსა შენსა მხედარსა!..•

დიდ ომში, ჩვენ რომ გადავიტანეთ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან, ბევრი ქართველი მებრძოლი, რომელსაც ბავშვობიდანვე დედის რძესავით შეთვისებული ჰქონდა პოეტის სიტყვები, სასიკვდილო განსაცდელის წუთებში, მრისხანე შეტაკებისა და გამოუვალი მდგომარეობის დროს ალბათ მღელვარებით წარმოთქვამდა მას თავის გულში და ჰპოვებდა ახალ ძალას მტერთან თავგანწირულ შემართებაში. ასევე, ბრძოლის ველზე დაცეძულ ქართველ მებრძოლს იმედად წაჰყვებოდა და შორეულ

• ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1845 წ., გვ. 33.

მიწაზე გაუთხრელ საფლავთან მის ცხედარს დიდების შარავანდედით შეამკობდა ეს რაინდული შეძახილი:

„ნუ დაიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,
ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის;
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით, მიწას 'მამაყრის'.*

ამ უებრო თავგამეტების მიზანს თვით პოეტი აძლევდა ახსნას და დასაბუთებას — გადაელახა ბედის საზღვარი და თუ შავს ყორანს, ბოროტ ძალას, მტერს აქამდე არ ემონებოდა, არც მომავალში გამხდარიყო მისი მოწჩილი. ბარათაშვილის მაღალპათეტიური, გმირული სულისკვეთების გამომხატველი სიტყვები უეჭველად პირდაპირ ხვდებოდა შებრძოლის სულსა და განწყობილებას:

„დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა, მოსისხლე მტერი!
გაისწი, მერანო, შენს ჰენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!"**

დიდი სამამულო ომის ისტორია აღსავსეა აღმაფრთოვანებელი გმირული მაგალითებით, როცა მებრძოლი სიკვდილის წინ ამხანაგს მოუხმობდა შური ეძია, წინ წასულიყო, მტერი გაენადგურებინა; მას სწამდა, რომ თავისი დაღუპვით სამშობლოს იცავდა, გზას უკაფავდა მომავალ ამხანაგებს, ბედნიერებას ანიჭებდა მომდევნო თაობას. ბევრი საბჭოთა მებრძოლი საკუთარი სხეულით ეფარებოდა მტრის იარაღს, რათა ჩაეხშო იგი და გადაერჩინა თავისი თანამებრძოლები აშკარა დაღუპვისაგან. და განა ასეთ უმაღლეს პატრიოტულ იდეას, ასეთ დიდ ჰუმანიზმს არ გამოხატავს და არ უმღერის ბარათაშვილი, როცა იგი ამ-

---

* ნ. ბარათაშვილი„ თხზულებანი, 1845 წ., გვ. 33.
** იქვე, გვ. 34.

რანის მიერ უვალი გზის გაკაფვას მიიჩნევს მომავალი მოძმისათვის სიძნელის გადვალებად: ისევე, როგორც ბარათაშვილს სწამს განწირული სულისკვეთების მაღალი ჰუმანური დანიშნულება, ასევე საბჭოთა მებრძოლს დაღუპვის წინ ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ ამით ის აგებდა გამარჯვების მონუმენტურ შენობას:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაიცლის
ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“*

თანამედროვე ადამიანის ასეთი დამოკიდებულება ბარათაშვილის „მერანის“ გმირულ ნებისყოფასთან, დიდი ძალით მოსავს პოეტის მთელ მემკვიდრეობას. გამორიცხული არ არის, რომ პოემაში „ბედი ქართლისა“ ნაჩვენები ბატალური სცენები, კრწანისის ისტორიულ ბრძოლაში ქართველი მხედრების უმაგალითო მამაცობის აღწერა ბევრ ქართველ მებრძოლს ედგა თვალწინ და აღაფრთოვანებდა, როცა ის სამამულო ომის ფრონტზე კაცობრიობის უბოროტეს მტერს ეომებოდა. პოეტის სიტყვები:

„რა ნახეს ქართველთ, გაჰირდა საქმე,
მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე,
ხმალს ხელი იკრეს მამაპაპურად
და დაერივნენ თავისებურად!
ბინდმა გაყარა მებრძოლნი მტერნი,
გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი!“**

შორეულად, მაგრამ ძალიან მოგვაგონებენ ჩვენს მიერ გადატანილ გუშინდელ დღეს, მოგვაგონებენ განუზომლად უფრო დიდი მასშტაბის გმირულ თავგამეტებას საბჭოთა

* ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945 წ., გვ. 34.
** იქვე, გვ. 55.

არმიისა, რომელმაც მოსკოვის კართან მოსული მტერი ბერლინში შეჰყარა და საბოლოოდ გაანადგურა.

ჩვენს დიდ დროს ასევე ეხმაურება პოეტის მრავლისმეტყველი მიმართვა დაღუპული გმირებისადმი, რომელთათვისაც საფლავი არსად ჩანს, ჰაერში განჭრა მათი სახელი, შაგრამ ხსოვნა სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის, ქართლი მათ ღვაწლს ვერასოდეს ვერ დაივიწყებს. ეს დიდი პატრიოტული სიტყვები და მხურვალე სიყვარული სამშობლოსადმი ბარათაშვილს ქართულ ლიტერატურაში აყენებენ რუსთაველის გვერდით, გამოხატავენ იმავე იდეას, რაც „ვეფხისტყაოსნის“ გენიალურმა ავტორმა ჩააქსოვა აფორიზმში: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

სამშობლოს ულამაზესი ბუნება, საქართველოს მშვენიერი მთები, სერები და გორაკები, მდინარეები და უხვი ფერადები, რასაც ასე შთამაგონებლად, ასე მიმზიდველი პოეტური სახეებით უმღერეს გრიბოედოვმა, პუშკინმა, ლერმონტოვმა, რაც ასე წარმტაცად დახატა ლევ ტოლსტოიმ, — ბარათაშვილმა წარმოგვისახა როგორც ცოცხალი პანორამა. ამ მხრივაც ბევრია საერთო ლერმონტოვსა და ბარათაშვილს შორის. ბარათაშვილი ახლო იცნობდა ამ დიდი თანამედროვე მწერლების შემოქმედებას, ტოლსტოის გამოკლებით. როგორც ადრე უკვე მივუთითეთ, ის ერთერთ პირად წერილში ზეპირად იხსენიებს ლერმონტოვის ცნობილ ლექსს «И грустно, и скучно, и некому руку подать в минуту душевной невзгоды».* მის შემოქმედებაში დიდი ექსპრესიით არის წარმოსახული ნაცნობი ადგილები: მთა წმინდა, ყაბახი, კოჯორი, მტკვრის ლამაზი ნაპირები. ბუნების მშვენიერება პოეტისათვის მაშინაც მიმზიდველი იყო, როცა იგი იფარებოდა ღრუბლითა და ნისლით. მისი სულის სილამაზე და მშვენიერება ორგანულად ექსოვებოდა ბუნების საიდუმლოებით მოცულ

---

* ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945 წ., გვ. 85.

წიგნს. ყოველი მისი ნიუანსი პოეტის სულში აღვიძებდა კეთილშობილურ განცდებსა და მისწრაფებებს:

„ხანდისხან ნელად მჭროლნი ნიავნი
ღელეთა შორის აღმოკვნესოდენ
და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი
ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდნენ".*

მთაწმინდის წყნარი საღამო დამაფიქრებელი, ვერანი და უდაბური ადგილები პოეტისათვის მეგობარი იყო, მასავით მწუხარე და სევდიანი. ბარათაშვილის მიმართვა ამ ლამაზი, მინაზებული ბუნებისადმი, როცა პოეტის გონება და თვალი მიპყრობილია ლაჟვარდი ცისაკენ:

„აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ,
მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ
და პაერშივე განიბნევიან".**

ადამიანს უძლიერებდა რეფლექსიას და აღუძრავდა დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას.

ბარათაშვილი მაღალი გრძნობითა და ასევე მაღალი აზრებით გასცქეროდა მთაწმინდის სანახებიდან ულამაზესად გაშლილ თბილისის ლაჟვარდოვან ცას, რომელიც ყოდოსნურად მოხატა თავის გასაოცარ პოეტურ ტილოზე. ამით მან კიდევ ერთი დიდი როლი შეასრულა ჩვენი სამშობლოს მრავალფეროვანი ბუნების მშვენიერებათა ღრმად შეცნობასა და გაგებაში, უფრო შეგვაყვარა იგი, გააძლიერა მკითხველის პატრიოტული გრძნობები. ამავე ლექსში უმღერა მზიანი დილის გათენებას, რომელიც ყოველს ბინდს განანათლებდა. ჰეშმარიტად, ბარათაშვილი იყო არა მარტო სევდის, ნისლისა და ღრუბლის მომღერალი, პესიმისტი პოეტი, როგორც დიდხანს მიაჩნდა იგი ქართველ კრიტიკოსთა ერთ ნაწილს, არამედ, ბუნების, სიყვარულისა და მშვენიერების რომანტიკული გაგების ეს უდიდესი წარმომადგე-

* ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945 წ., გვ. 6.

** იქვე.

ნელი, რომანტიზმის ერთერთი დამამშვენებელი, ასევე მთელი ძალით უმღეროდა თელსა და მზიურს, განახლებასა და სიჭაბუკეს. ამ მხრივ იგი თანამედროვე ადამიანს, მის ოპტიმისტურ ჰვრეტას აწმყოსა და მომავლისას არაჩვეულებრივად უახლოვდება. მსგავსად რუსთაველისა, რომელიც ერთნაირი ძალით ესაუბრება მიწიერსა და ზეციერს, ბარათაშვილიც ხშირად მიმართავს ასტრალურ სამყაროს, როგორც ადამიანური აზრის ყველაზე უსასრულო სარბიელს. „ჩემს ვარსკვლავში“ პოეტი პირდაპირ ძოუხმობს ციურ ცეცხლს — „ნაპერწკალნი ეშხისა მომაყარეო“, ხოლო ლექსში — „აღმოხდა მნათი“ გაისმის ვაჟკაცური, სიცოცხლისადმი სიყვარულით აღსავსე, სამოქმედოდ და საბრძოლველად მომწოდებელი სიტყვები.

ბარათაშვილმა სწორედ ამ გამამხნევებელი სიმღერით მიმართა თავისი ცხოვრების მნათობს, იმ დროს, როცა მის ირგვლივ არსებული ატმოსფერო მოდუნებული, თითქოს ჩამქრალი იყო და საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმი ახშობდა სამოქმედოდ მოწოდებული ბევრი ადამიანის ნებისყოფას. პოეტს კი ჰქონდა მისწრაფება ასეთი სიტყვები ეთქვა თავისი მნათობისათვის:

„მაშ გამობრწყინდი, მფინე შუქი ეგ საცარი
და განანათლე კვლავ ცა ჩემი, ესრეთ სახარო!
მეცა ხელი ვჰყო დაჟანგებულს ჩემსა სანთურსა
და შევაერთო ფიქრნი ჩემნი შენს ხმას ციურსა!“*

ხოლო ერთ ლექსში — „არ უკიჟინო სატრფოო“ პოეტმა პირდაპირ გამოთქვა აზრი, რომ მისი სურვილია იყოს მზე, რათა თავისი სხივები ირგვლივ მოავლოს, საღამოს მისთვის შთავიდეს, რომ დილა უფრო აცხოველოს; მას სურს იყოს განთიადის მორბედი ვარსკვლავი, რათა მის ამოსვლას მოუთმენლად ელოდნენ ტყის ფრინველები და ვარდი. ბუნების რომანტიკულ გაგებაში ბარათაშვილმა ქებათა ქება უძღვნა მშვენიერებას, სილამაზეს. სიყვარულს, თავისუფლებას. მისი წყურვილი თავისუფ-

* ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945 წ., გვ. 23.

ლებისა საამურად ეხება ჩვენს ყურთასმენას, გვატკბობს და სიხარულს განგვაცდევინებს.

არ შეიძლება თანამედროვე ადამიანი არ მოხიბლოს ამ მორალურმა სისპეტაკემ და სილამაზის მაღალმა გრძნობამ, რასაც ბარათაშვილმა უმღერა. მან დიდი კდემამოსილებით დახატა თავისი სატრფოს სახე. აქ არ არის არავითარი უხეში ვრძნობა, ხორციელი ვნებების არავითარი გაშიშვლება. ეროტიკული გრძნობა კი არ იხატება — გაძოკრთის დიდი თავდაჭერილობით. ულამაზეს ლექსში — „საყურე", რომელიც მთელ ქართულ პოეზიაში ამ თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის უბადლოდ უნდა ჩაითვალოს, პოეტმა საყურეს რხევა პეპელას მიერ სპეტაკ შროშანას რხევას შეადარა, სიყვარული უკვდავ გრძნობად გამოაცხადა და ხორციელი ვნება დიდი ზომიერებით წარმოგვიდგინა... სატრფოს თვალებს, რომლებიც მშვენიერის ცრემლით კრთოდნენ, ის რაღაც დიდი სათნოებით უყურებდა. მას უყვარს „თვალები, მიბნედილები, ეშხისა ცეცხლით დაქანცულები". მაგრამ პოეტი მონურად კი არ იხრის ქედს მშვენიერების წინაშე, კი არ გაურბის სინამდვილეს, არამედ, უმღერის მასთან შეერთების სურვილსა და წყურვილს. პოეტისათვის მშვენიერება ანათლებს ადამიანის ყოველ გრძნობას, გულსა და სულს, მას ვერავითარი შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს. ასეთ სულთა შორის კავშირი ნამდვილად შობს მაღალ გრძნობის სიყვარულს. სილამაზე პოეტმა გამოაცხადა მარტოოდენ ხორციელების ნიშად, მიიჩნია იგი ისევე სწრაფ წარმავალად, როგორც გაზაფხულის ყვავილის ჭკნობა. ბარათაშვილი დიდისულის, კეთილშობილების, მაღალი ჰუმანიზმისა და მშვენიერების პოეტია თავის თავგანწირულ ბრძოლასა და შეუპოვრობაში. მან ბევრი ისეთი საიდუმლოება გვიჩვენა ადამიანური გრძნობისა, რომელსაც რუსთაველის გამოკლებით, ასეთი ძალით არც მანამდე და არც მის შემდეგ არც ერთი ქართველი პოეტი არ შეხებია. მხოლოდ ვაჟა ფშაველამ შესძლო ბუნების დიდი საიდუმლოებით აღსავსე წიგნი ამოეკითხა ასე ღრმად და მრავალისმეტყველად. ბარათაშვილი ბუნების დიდი მხატვარია და

ის ამ მხრივაც თამამად იკავებს ადგილს მსოფლიო პოეტების გვერდით:

„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო
უასაკოთაც და უსულთ შორის,
და უცხოველეს სხვათა ენათა
არს მნიშვნელობა მათი საუბრის!-*

ბარათაშვილის ლექსებში დიდი პოეტური ექსპრესიით აღ ე რ დ ა ც ი ს ფ ე რ ი, ლ უ რ ჯ ი ფ ე რ ი; მათ თითქოს კალმის ერთი მოსმით დახატეს საქართველოს ესოდენ უხვი პეიზაჟი, რომელიც პირდაპირ იდეალურად უყვარდა პოეტს. ჭ ე შ მ ა რ ი ტ ად, იგი უდიდესი ქართველი პ ა ტ რ ი ო ტ ი პ ო ე ტ ი ა. არ არის შემთხვევითი, რომ მის შემოქმედებაში ერთერთ ძირითად მოტივს სწორედ ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი შეადგენს. ეს იდეა მან გამოხატა ლექსებში — „ს უ მ ბ უ ლ ო დ ა მ წ ი რ ი“, „ს ა ფ ლ ა ვ ი მ ე ფ ი ს ი რ ა კ ლ ი ს ა“ და პოემაში „ბ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა“. ამ პოემამ სათავე დაუდო მე-19 საუკუნის ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში ე რ ო ვ ნ უ ლ-ი ს ტ ო რ ი უ ლ ი პ ო ე ტ უ რ ი ე პ ო ს ი ს დიდ ტრადიციებს. პოეტმა რეალისტურად გადმოგვცა ისტორიული სინამდვილე და „ბედი ქართლისა“ გვხიბლავს არა მარტო დიდი ლექსალური ორკესტრობით, ტიპების ცოცხალი, რეალისტური დახატვით, არამედ, იდეების სიღრმით, პოლიტიკური სიმძაფრით, სიმახვილით, აქტუალობითა და პროგრესულობით.

თავის რ ე ა ლ ი ს ტ უ რ-რ ო მ ა ნ ტ ი კ ულ პოემაში ბარათაშვილმა დაგვიხატა ისტორიული ადამიანები, კერძოდ, ე რ ე კ ლ ე მ ე ფ ე წარმოგვიდგინა, როგორც ბრძენი პოლიტიკოსი, დიდი სამხედრო სტრატეგი, თავისი ქვეყნისა და ხალხის ერთგული წინამძღოლი. მეფის მსაჯული ს ო ლ ო მ ო ნ ლ ე ო ნ ი ძ ე, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, გვხიბლავს დიდი პატრიოტის ძლიერი ვნებათაღელვით. მისი მეუღლე ს ო ფ ი ო, ასევე მხურვალე პატრიოტი, იდეალური ქართველი დედის ტიპიური განსახიერებაა. თვით პოემას ბა-

* ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, 1945 წ., გვ. 44.

რათაშვილმა მე-18 საუკუნის დასასრულის საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა დაუდო საფუძვლად და ისე ცოცხლად წარმოგვიდგინა ამ საკითხში ორი ძირითადი მიმდინარეობა, რომ შეიძლება ითქვას: დასახელებულ თემაზე ეს ერთადერთი ქართული პოეტური ძეგლია, რომელსაც ესოდენ ფართო რეზონანსი აქვს.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას ერეკლე მეფე უყურებს, როგორც ერთადერთ სწორ გზას და ისტორიულად გარდუვალ აქტს. მისი აზრით, მხოლოდ ამ აქტს შეუძლია იხსნას სამშობლო ქვეყანა ირანული აგრესიისაგან. ამიტომ ამბობს ერეკლე, რომ სურს რუსეთს მისცეს მემკვიდრეობა, ხოლო მან საქართველოს მოანიჭოს კეთილდღეობა. ამ პრობლემის დასრულებული სახით წარმოდგენას პოეტი გვაძლევს ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“, სადაც ის მუხლმოდრეკილი დგას მხცოვანი გმირის საფლავის წინაშე და ცრემლს ანთხევს მის სახელზე. პოეტის სურვილია განცოცხლდეს წმინდა აჩრდილი, რათა გადმოხედოს ახალ ქართლს, მის პირმშო შვილს, რომელსაც ესოდენ დიდი ღვაწლი დასდო. მეფისა და სარდლის ამაგი დაუვიწყარია და მუხლმოდრეკილი ბარათაშვილიც თაყვანს სცემს ერეკლეს ხაანდერძევს, წინასწარად თქმულს, სიკვდილის ჟამს რომ უთხრა მან ქართლს დაობლებულს. დროთა სვლამ მისი ნაანდერძევი სინამდვილედ აქცია, გამართლდა ბრძენის სიტყვები, და ისტორიულად სავსებით კანონზომიერია, რომ პოეტი ამბობს: „აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი, და ვსჭამთ ნაყოფსა, მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენიო“.

დღეს უკვე სავსებით ნათელია დიდი პოეტის ამ ისტორიული სიტყვების ღრმა აზრიცა და ფართო მნიშვნელობაც. დღეს კიდევ უფრო ცხადი შეიქნა, რომ ბარათაშვილმა მთელი ერთი საუკუნით ადრე განსჭვრიტა საქართველოს ისტორიული მომავალი, მან შესანიშნავად აღწერა საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგი და მისი პერსპექტივა, ამავე დროს, ორი ქვეყნის ძმურ მეგობრობასა და კავშირში დაინახა ორმხრივი ბედნიერება:

„ქამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;
მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული,
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული.
და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მჭურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!
სადაც აქამდის ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!“*

ბარათაშვილმა დიდი ისტორიული სიმართლით წინასწარ განსჭვრიტა მომავალი, როცა თქვა: „შავის ზღვის ჭვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა, აწ მოგვეგებრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთაო“. ამ ძმობას და მეგობრობას შეტრფოდა მისი დიდი პოეტური გონება. ამ ძმობასა და მეგობრობას უკარნახებდა მას მაღალი მოქალაქეობრივი მეგნება და თავისი ქვეყნის ისტორიის ღრმა ცოდნა. ისტორიამ კი დიდი ხნით ადრე დააკავშირა ერთმანეთთან რუსეთი და საქართველო, რუსი და ქართველი ხალხი. ეს ისტორია თავის სათაეს ღებულობს მონღოლების შემოსევამდე დიდი ხნით ადრე. მე-9 საუკუნიდან, გრძელდება მონღოლების შემოსევის შემდეგაც და მე-19 საუკუნეში თანდათან ძლიერდება. თეიმურაზ პირველი და მეორე, ვახტანგ მეექვსე და ერეკლე მეფე შემთხვევით არ იყვნენ დაინტერესებული რუსეთის ორიენტაციით. მე-19 საუკუნის დიდმა მოღვაწეებმაც ბევრი გააკეთეს ამ მიმართულებით. მათ შექმნეს მთელი დოქტრინა, რომელიც ყველაზე მკაფიოდ ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა გამოხატეს. ისინი ამოდიოდნენ იმ პრინციპიდან, რომ ერთი ერის უბედურება მეორეს სიკეთეს ვერ მოუტანს, რომ ქართველობის გზაა მჭიდრო კავშირში იყოს „ახალგაზრდა რუსეთთან“, გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის, ბელინსკის, გერცენის, ტოლსტოის რუსეთთან და ებრძოლოს ცარიზმს. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ძირითადად ამ იდეით ხელმძღვანელობდა. ეს იდეა თავისებურ საწყისს ღებულობს.

---

* ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945 წ., გვ. 36.

მართალია სუსტად, მაგრამ მაინც შესამჩნევად, ბარათაშვილის ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“. ამიტომ იყო, რომ პოეტი ერეკლეს წმინდა აჩრდილს მშვიდობას უძღვნიდა, ივერიის სიმტკიცის სულს, განთქმულ გმირს ეუბნებოდა ამ ერთი საუკუნის წინად: ქართლი მიხვდა შენს ანდერძს, თაყვანს სცემს შენს საფლავს, თუმცა მაშინ, მონარქიის მძიმე პირობებში, საამისოდ არც ისე დიდი საფუძველი არსებობდა.

ბარათაშვილი თავისი გენიალური შემოქმედებით არა მარტო აქტიურად ეხმაურება ჩვენს დროს, არამედ, იგი ისევე თანამედროვე პოეტია, როგორც პუშკინი და ლერმონტოვი. მისი მემკვიდრეობა გადაქცეულია ხალხის საკუთრებად, განძად ქართული კულტურისა, რომლის მრავალსაუკუნოვან ისტორიაშიც ერთერთი პირველი ადგილი უკავია. ამიტომ ვსწავლობთ „ბედი ქართლისას“ ავტორის პოეტურ მემკვიდრეობას მეცნიერული თვალსაზრისით, სიყვარულითა და გატაცებით; ამიტომ მიგვაჩნია ბარათაშვილი საბჭოთა ხალხის კულტურული შემოქმედების ღირსეულ, სახელოვან დადიდ წინამორბედად.

და რა სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანის ტრაგიკული ხვედრი თითქოს მისი სახის პორტრეტულ გამოხატულებასაც გადაედო. ჩვენ ყოველთვის გულისტკივილით აღვნიშნავთ, როგორც უკვე მივუთითეთ, რომ დაიკარგა ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთადერთი დაგეროტიპული სურათი, რომელიც 70-იან წლებში ხელთ ჰქონია ილია ჭავჭავაძეს, ფოტოგრაფისათვის გადაუცია გასამრავლებლად, მაგრამ, უბედურად შემთხვევის დროს — ხანძრის გაჩენის შედეგად — დაღუპულა. ამიტომ აღარა გვაქვს დიდი პოეტის სახის ნამდვილი გამოხატულება.

მაგრამ ბარათაშვილის თანამედროვეთა მოგონებებში ცოცხლად არის წარმომდგარი პოეტის სახესთან ერთად მთელი მისი შინაგანი არსება და დაუდგრომელი ხასიათი. ბარბალე ვეზირიშვილს, პოეტის დას, უკვე მოხუცებულს, 1915 წელს, როგორც აღნიშნული გვაქვს, ასე დაუხასიათებია თავისი საყვარელი ძმა: „ნიკო ძალიან მალხაზი, მარდი იყო და მიმზიდველი სახის. შუათანა ტანის, არც გამხდარი, არც

მსუქანი; წაბლის ფერი თმა, ბუდეშურად მოყვანილი თვალები; წარბები შეერთებული; წვერულვაშს იპარსავდა. იცვამდა ევროპიულს სამოქალაქო ტანისამოსს. იმპერატორი ნიკოლოზ პირველი რომ ჩამოვიდა ქალაქში, ნიკოს ქულაჯა ეცვა, — ქულაჯა ჟოლოსფერისა ბეწვ-მოვლებული, ახალოხი ციგი მკრთალი, შალვარი შავი მაუდისა. წაღა თეთრი ქართული, წვეტიანი. ხელმწიფეს ძლიერ მოეწონა ნიკო და უთხრა: შენ ჩემი ორდინარეცი ხარო".*

მარტო ეს ფაქტი გვეუბნება, თუ რამდენად საინტერესო, რამდენად მიმზიდველი უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა პოეტი სიცოცხლეში, როგორც პიროვნება, როგორც ადამიანი. მაგრამ ამ გარეგნულ სილამაზესთან ერთად, ბარათაშვილს ჰქონდა დიდი სულიერი კდემამოსილება, უბადლო ნიჭი და მოძრავი ხასიათი. ამას გვიდასტურებს ბარბალე ვეზირიშვილის შემდეგი სიტყვები: „სახლში (იგულისხმება მელიტონ ბარათაშვილის სახლი — გ. ჯ.) წიგნი ბევრი ჰქონდათ. ნიკო საუცხოოდ ჰკითხულობდა საღვთო წერილს. ჰქონდათ სხვადასხვა საკრავები: დაირა, დიპლიპიტი, ჩიანური, თარი, სანთური. ნიკომ არ იცოდა დაკვრა. მაგრამ სიმღერა და მუსიკა ძლიერ უყვარდა. ასეთი მხიარული იყო, რომ ვერავინ შეატყობდა, მწერალიაო. ყოველ ღხინზე სათარას მოიყვანდა. მთელი ქვეყნის გასათხოვარი ქალების ამბავი დაწვრილებით იცოდა. უყვარდა ნათესაობა და მუდამ დღე მათში დადიოდა. ნიკოს ახლობელი ამხანაგები იყვნენ გრიგოლ, ილია, ზაქარია, ივანე, ალექსანდრე ორბელიანები. ხშირად დადიოდა აგრეთვე ნიკოსთან მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი"...**

ნაცნობ მეგობართა ფართო წრე, რომელიც მშობლიური ქვეყნისათვის სამსახურით იყო გატაცებული, ბარათაშვილში ხედავდა საიმედო ძალას, უნიჭიერეს მოღვაწეს, მომავალში რომ ბევრ რამეს აღუთქვამ-

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 242, პოეტის დის ბარბალე ვეზირიშვილის ნაამბობი.

** იქვე.

და თავის ხალხს, როგორც ამის შესახებ ლაპარაკობდა მიხეილ თუმანიშვილი თავის პირად წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების გამო.

და მართლაც, ასე დიდი ადამიანის უდროოდ დაკარგვას არ შეიძლებოდა ღრმა გულისტკივილი არ გამოეწვია თანამედროვეთა შორის, ვისთვისაც ძვირფასი იყო სამშობლო ქვეყნის წინსვლა და მომავალი. ამიტომ უველა ისე შეხვდა ბარათაშვილის გარდაცვალებას, როგორც ეროვნულ დანაკლისს. ნათესავებიცა და ნაცნობ-მეგობრებიც დასტიროდნენ პოეტს, როგორც დაკარგულ იმედს. მათ ტანჯვას ისიც აათკეცებდა, რომ ადამიანი, რომლის ცხედარსაც ვერ ხედავდნენ, რაღაც უჩვეულოდ გაქრა, მიეფარა თვალთაგან და ასტრალური ქვეყნის მკვიდრი შეიქნა. სწორედ ამ გრძნობას, თანამედროვეთა ღრმა გულისტკივილს ნიკოლოზ ბარათაშვილის უდროოდ დაკარგვის გამო კარგად გამოხატავს გიორგი ერისთავის ლექსი, რომელიც დაწერილია პოეტის გარდაცვალებიდან შვიდი წლის შემდეგ. ამ ლექსში „მერანის“ ავტორი ჩვენს წინაშე დგას უკვდავების შარავანდედით მოსილი; ის თითქოს ახალ არსებად იქცა, ახალ სოფელს დაუმკვიდრდა; მასში ახალი ძალით ხედავენ იმ მომავალდებულ ადამიანობას, რითაც ბარათაშვილი თავის სიცოცხლეში ასე მიმზიდველი და ახლობელი იყო ტოლ-ამხანაგებისათვის. მისი დაკარგვის გამო ნათესავთა გლოვას თან ერთვოდა მეგობართა გულწრფელი ცრემლი, და მართალი იყო პოეტი, როცა მის აჩრდილს მიმართავდა სიტყვებით: „უოვლის კეთილით აღსავსეო მამულის შვილო“... აი, გიორგი ერისთავის ეს ლექსიც:

„ჰეი, ჰაბუკო, ახლად სოფელს კნინ გადაშლილო,
უოვლის კეთილით აღსავსეო მამულის შვილო!
რა სოფელს შეხვედ, სათნოება ისხივ-ცისკარე,
შენ მშობელს მამულს რად შემოსწყერ, ობლად დაგვყარე?
ნუთუ სოფლისა მღელვარება ვერ შეიწუნარე?
ანუ ანგელოსთ შეიშურეს და აღგაფრინეს,
თვისთა გუნდშიგან დაგამკვიდრეს, ფრთანი შეგასხეს?
რა მოგვეფარე, ცას შევცქერი, რა დღე ბნელდების,
უცურებ, ტატო რომელ ვარსკვლავად გამოჰრწყინდებიხ!

თითქო გხედავ შენ მოარულსა რძისა გზაზედან,*
ანგელოსთ დასნი გეხვევიან, ყურს დაგიგდებენ!
ეკონებ, ჰმუნვითა ქვე დამზერი ჩვენსა ცხოვრებას,
ჰკადავ რა შენ ძმათ და მათ შორის შურსა, მტერობას.
მაგრამ შეგვინდონ, შეგვაყედრე ცისა მცხოვრებთა
და ნუ მოგვკითხვენ სოფლიურსა ჩვენთა ცოდვებთა".**

გიორგი ერისთავთან ერთად, უდროოდ დაკარგული პოეტი სხვებმაც დაიტირეს, გრიგოლ ორბელიანმა, ლევან მელიქიშვილმა, მიხეილ თუმანიშვილმა, კონსტანტინე მამაცაშვილმა, მაგრამ ჩვენ მაინც ცალკე უნდა გამოვყოთ 60-იანი წლების ისეთი მოღვაწენი, როგორიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ამ უკანასკნელმა ბარათაშვილს უწოდა „წინამორბედი ჩვენის ახალის ცხოვრების განთიადისა", პატრიოტი პოეტი, რომლის „კუბოა ყველა ქართველის გული და ისე ხშირი, როგორც თვით მგოსნის მთელ საქართველოსადმი სიყვარულით ავსებული გულის ძგერა". ბარათაშვილი აკაკი წერეთელს წარმოდგენილი ჰყავს, როგორც „მგოსანი... უპირველესი მთესველი გონებრივის ნაყოფისა; არა მარტო ერთი კუთხისა, — მთელი საქართველოსი. ნაყოფიერი იყო ეს ხორბალი როგოროც დღემდე, ამიერიდანაც, რომელთანაც ერთად დაუვიწყარი იქნება სახსენებელი ნიკოლოზ ბარათაშვილისა".***.

უფრო ადრე, 1865 წელს დაწერილ სტატიაში — „ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია" აკაკი წერეთელმა პარალელი გაავლო ილია ჭავჭავაძესთან და აღნიშნა ამ ორ პოეტს შორის მსგავსება. ისიც მიუთითა, რომ ლექსში „მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული" ილიას სიტყვები მამულის შესახებ („...შენ მიწაზედ ამდენ ხალხში კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო,

---

* გიორგი ერისთავი შეცდომით ხმარობს გამოთქმას „რძის გზას" «Млечный путь»-ის აზრით. უნდა იყოს „ირმის ნახტომი". შეცდომა გამოწვეულია პირდაპირი თარგმანით — გ. ჯ.

** გიორგი ერისთავი, თხზულებანი, 1936 წ., გვ. 47.

*** იხ. აკაკი წერეთელი, „სიტყვა წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე 1893 წ., 25 აპრილს".

გრძნობა ჩემი განუზიარო"). თითქოს „ეკუთვნოდა ბარათაშვილს და არა ჭავჭავაძეს, რომელმაც გადაიტანა თავისი თავი ბარათაშვილის დროინდელ ქართველებში". ცხადია, ეს აზრი მიუღებელია, მაგრამ, მთავარი ის არის, რომ აკაკიმ შენიშნა რაღაც საერთო ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ილია ჭავჭავაძეს შორის. ეს არ იყო შემთხვევითი ფაქტი, ვინაიდან ილია ჭავჭავაძემ ხამდვილად გახიცადა წინაპრობედი დიდი პოეტის უშუალო გავლენა. ამ გავლენის აცალს ჩვენ ნათლად ვგრძნობთ და ვხედავთ ილიას ლიტერატურულ მემკვიდრეობაში*.

ილია ჭავჭავაძის კრიტიკულ წერილებსა და ლექსებში სრული სახით არის წარმოდგენილი ნიკოლოზ ბარათაშვილი როგორც პიროვნება, ადამიანი და შემოქმედი, რომლის დაკარგვა ეროვნულ უბედურებად, ერის დაობლებად ცხადდება. ილია ჭავჭავაძეს ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ოჯახის საშუალებით**, წაუკითხავს ბარათაშვილის ლექსების კრებული და ისე მოხიბლულა, რომ იმ ხანებში ლექსები ვიუძღვნია დიდი პოეტისადმი. ყურადღებას იქცევს 1860 წლის 19 ივლისის თარიღით პავლოვსკს დაწერილი ლექსი, რომელიც ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ილიას ცნობილ ლექსზე ერთი თვით ადრეა შექმნილი. ორივე ნაწარმოები, დაწერილი განსხვავებული ლექსთაწყობით, იმეორებს ზოგიერთ სენტენციას; მიუხედავად ამისა, ისინი სხვადასხვა შთაგონებისა და ასევე სხვადასხვა მხატვრული ძალის თხზულებანია. პირველი უფრო მეტად გადმოგვცემს ილიას სუბიექტურ განცდებს, გამოწვეულს დიდი პოეტის შემოქმედების პირველი გაცნობით, ხოლო მეორე უმთავრესად ბარათაშვილის შემოქმედების როლისა და მნიშვნელობის საზოგადოებრივ-ეროვნული ხასიათის ხაზგასმაა დინჯ, ეპიკურ

---

* დაწვრილებით იხ. გიორგი ჯიბლაძე, „ილია ჭავჭავაძე", 1966 წ.,

** ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. პ. ინგოროყვას წერილი — „ნიკოლოზ ბარათაშვილი" წიგნში. ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945 წ., გვ. LI; აგრეთვე ი. ბალახაშვილის „ბარათაშვილის ცხოვრება", 1967 წ.

ფორმაში. ამ მხრივ პირველი ლექსი უფრო „ავტობიოგრაფიულია“, ხოლო მეორე თითქო პოეტური შესავალია ბარათაშვილის შესახებ ილიას კრიტიკული წერილებისა, რომლებიც მომდევნო წლებში მოგვიანებით დაიწერა. ბარათაშვილის ლექსების პირველი გაცნობით გაჩენილ გრძნობებს ჭაბუკი ილია ჭავჭავაძე ასე გადმოგვცემს:

„როს წარვიკითხე მისი ლექსები,
ვერა რა ვსთქვი რა განცვიფრებულმა!..
ვით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა
ცას განუბნიოს შავი ღრუბლები,
ისე იდარა ჩემ მწუხარ შუბლმა!
ხალხო ობოლო, შენ მებრალები,
რომ დაგაობლა მის ციურ შუქმა
და განგვაშორა თვისი სხივები!..
როს წარვიკითხე მისი ლექსები,
აღმოვიკვნესე დაობლებულმა!..“*

ამ ლექსის განცდას თუ შეადარებთ იმ ცნობას, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული, დაინახავთ, რომ ილია ჭავჭავაძეს მართლაც დიდი სულიერი ღელვა განუცდია ბარათაშვილის ლექსთა კრებულის წაკითხვის დროს და იგი მართლაც ამ გაოგნებულ მდგომარეობაში ჩავარდნილა. ბარათაშვილის ლექსებს მისთვის მართლაც მიუღია გამომაფხიზლებელი და გამამხნევებელი მნიშვნელობა, როგორც მშვენივრად ჩანს თვით ილიას მოხდენილი შედარებიდან: როგორც ქარიშხლის ატეხილი სტიქია ცას განუფანტავს შავ ღრუბლებს და ინათლებს, ისე გამოიდარა ჩემმა მწუხარე შუბლმაო.

მეორე ლექსში, რომელიც ახალგაზრდა პოეტს ილია ჭავჭავაძეს 1860 წლის აგვისტოში ისეკ პავლოვსკს დაუწერია, უდიდეს გულისტკივილთან ერთად, დახასიათებულია ბარათაშვილის როლი და მნიშვნელობა ქართველი ხალხისათვის. ეს ნაწარმოები ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს ბა-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, პ. ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით, ტ. I, 1937 წ., გვ. 571.

რათაშვილისადმი არა მარტო ილია ჭავჭავაძის, არამედ, მთელი ახალი ქართული ლიტერატურის დამოკიდებულების გასაგებად და ამიტომ მას მთლიანად მოვიტანთ. აი, რა სიტყვებით დაიტირა ილია ჭავჭავაძემ ნიკოლოზ ბარათაშვილის უდროოდ დაკარგვა და რა მაღალი შეფასება მისცა მის პოეტურ შემოქმედებას:

„ვაი, დაგკარგეთ!.. უღრმთო იყო შენი სიკვდილი!
ვინ უწყს, რავდენი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა...
ეგე ზღვა გული, სიყვარულის სხივ-ქვეშ გაშლილი,
რაოდენ გრძნობით, ჯერ უთქმელით, ჩვენ ჩაგვესვენა?
ვინ იცის, თანა რაოდენი წარიღე ფიქრნი?
მათ მნიშვნელობა დაგვეკარგა ჩვენ საუკუნოდ...
რაოდენ იმედთ და ნუგეშთა კოკრად ყვავილნი
ჩასკვნენ შენს გულში განუშლელად ეგრე უდროოდ?
არა დედ-მამა, — მაგ სიკვდილით დაობლდა ერი!..
ვინღა მოგვითხრას ჩვენი ურვა, ჭირი და ლხენა?
ვაი ჩვენ, თვარემ, შენ მით მაინც ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თვით მკვდრეთითაც აღგადგენს შენა“.*

ამ მშვენიერი, ღრმა, მიმზიდველი და გრძნობით გამთბარი ლექსის დაწერიდან რამდენიმე წლის შემდეგ, უკვე ცნობილი მწერალი ილია ჭავჭავაძე თავის ბრწყინვალე კრიტიკულ წერილში იძლევა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის უაღრესად ფართო ფილოსოფიურ-ესთეტიკურ ანალიზს და პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მოჰღვნო ქართული კრიტიკა, ძველიც და ახალიც, ამ შეფასებით ხელმძღვანელობდა ძირითად საკითხებში მაინც. დღემდე შეინარჩუნა ღავისი მნიშვნელობა ილია ჭავჭავაძის დებულებებმა იმის შესახებ, რომ ლირიკაში ბარათაშვილი ალექსანდრე ჭავჭავაძესა და გრიგოლ ორბელიანზე უფრო ძლიერია, რომ ბარათაშვილი დიდი პოეტია, რომელმაც ქართველი ხალხის მისწრაფებები საუკეთესოდ გამოხატა, რომ მისი ეროვნული ხასიათის შემოქმედება ზოგადკაცობრიულ საკითხებსაც შეეხო, რომ იგი გენიოსია და მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 572.

ერთ საპატიო ადგილს იკავებს დიდი პოეტების გვერდით. ილია ჭავჭავაძემ პირველმა გახსნა ბარათაშვილის პოეზიის საიდუმლოება, აღნიშნა მისი ნამდვილი ხასიათის ყველა ძირითადი ნიშანი, ამაზე დროს, მკაფიოდ ჩამოაყალიბა თეზისი, რომელიც ამბობს: „...მისნი (ე. ი. ბარათაშვილის — გ. ჯ.) გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჰირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო ძის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა". სწორედ ილია ჭავჭავაძე იყო პირველი, რომელმაც მიუთითა ბარათაშვილის პოეზიის ღრმად ეროვნული ხასიათის შესახებ და თქვა, რომ „...ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჰკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა"*. ამით ბარათაშვილმა უკვდავი ძეგლი აღიმართა ხალხის გულში, როგორც თავის მარადიულ სამყოფელოში.

პოეტისა და ხალხის ეს სულიერი კავშირი, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ დახასიათებული, მშვენიერი სადა პოეტური ფორმით გამოთქვა ქართული ლექსის გენიამ ვაჟა-ფშაველამ, რომელმაც ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს შემდეგი მხატვრული სამკაული მიუძღვნა:

„მშვიდობა შენს ნეშტს, მგოსანო,
ქართლისა წყლულთა მოზარე,
მშვიდობა, სულო ძლიერო,
თავის სამშობლოს მოყვარე!..
დიდება შენს ჩანგს, რომ ბევრჯერ
თვალზე ცრემლები მომგვარე...
არ დარეწყა სამშობლომ
შენი მის ბედზე ტირილი,

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1957 წ., გვ. 444.

მედგარი სულის კვეთება,
შავბედობაზე ჩივილი,
დაუშრეტელი ნაღველი,
წყრომა და გულის ტკივილი.
მადლი შენს თანა-მოძმეთა, —
მიწა გახილეს მშობელი,
შენი სატრფო და სადარდო,
გულს ლახვარ-დამასობელი.
შენი მერანი კვლავაც რბის,
მისი ნავალიც შთენილა,
უმადლოდ არ დაკარგულა,
თუ ოდეს ცრემლი დენილა.
მიიღე ჩემი სალამიც,
გამოგზავნილი მთიდამა,
„ჩვენი არაგვიც“ მუხლს გიყრის,
გადმომქუხარი კლდიდამა;
თვის „ატეხილი ჭალები“
ცრემლით ატირა ცხარითა,
სმენად გადიქცენ ისინიც,
გრგვინვა რომ ესმათ ბარითა,
ქედებმა თავი იდრიკეს,
ფიქრით მოიცვნენ მწარითა,
ამწუანებულნი მწუანედა,
განათლებულნი მთვარითა“

ვაჟას ამ ლექსის გრძნობიერ სტრიქონებში მთელი ხალხის ფიქრები, აზრები და განცდები გამოიხატა. ასეთი სიყვარული, რუსთაველის გარდა, არც ერთ ქართველ პოეტს არ დაუმსახურებია თავისი ხალხისაგან, და მართალი იყო ალექსანდრე ცაგარელი, როცა 1870 წელს მიუწერენს დაწერილ სტატიაში — „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ აღნიშნავდა, რომ „ყველა ამ გასაოცარი დიდი პოეტური თვისებით... ძნელი შესადარებელია ის ყველა დანარჩენ ჩვენ ქართველ პოეტებთან, შოთა რუსთაველის გარდა“, ამიტომ, — დასძენდა ალექსანდრე ცაგარელი, — კაცმა „რაც უნდა... ბევრი თქვას ამ საკვირველ არსებაზედ, კიდევ უფრო მეტი დარჩება სათქმელი და შესატყობი“.

---

* ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, გიორგი ჯიბლაძის შესავალი წერილით, 1961 წ., ტ. I, გვ. 104.

მართლაც ბევრი ითქვა ბარათაშვილზე, მაგრამ სათქმელი რომ კვლავ ბევრი დარჩა, ეს დაამტკიცა პოეტის გარდაცვალების შემდეგ ჩვენი კრიტიკული აზრის მთელმა შემდგომმა მსვლელობამ. თითქმის ყველა კუთხით იქნა განხილული ბარათაშვილის პოეზია, გამოითქვა მრავალი თანხვდენილი მოსაზრება, იდეალური შეხედულებანი, ზოგჯერთი საწინააღმდეგო თვალსაზრისიც, მაგრამ არავის უარუყვია ის უცილო ფაქტი, რომ ბარათაშვილი უნიჭიერესი პოეტია, მრავალსაუკუნოვანი ქართული ლექსის ერთერთი პირველი დამამშვენებელი. ამ აზრს გამოთქვამდა ისეთი მკაცრი და დაუნდობელი კრიტიკოსიც კი, როგორიც ნიკო ნიკოლაძე იყო. მართალია, 1876 წელს გამოქვეყნებულ წერილში* არის სადავო ადგილები, კერძოდ, შეუძლებელია გავიზიაროთ მოსაზრება, რომ თითქოს პოეტის შემოქმედებაში უფრო ძლიერია სატრფიალო ლექსები, ვიდრე ფილოსოფიურ თემებზე დაწერილნი, რაც ანტონ ფურცელაძის მიერ უფრო ადრე გამოთქმული შეხედულების ერთგვარი განმეორებაა, ცხადია, თავისებური ფორმით, მაგრამ, ბთლიანად წერილი ბარათაშვილს მაღალ შეფასებას აძლევს და მას, ცაგარელის მსგავსად, რუსთაველს უკავშირებს. ასეთი მაღალი შეფასების გვერდით პირდაპირ ანაქრონიზმად ისმის ნიკო ნიკოლაძის სიტყვები, რომ თითქოს „...სასიყვარულო თემებზე დაწერილი ლექსები ფორმის დიდი სილამაზისა და სიტყვის სიძლიერეს ამჟღავნებენ, მაშინ, როდესაც ლექსები, რომელნიც ფილოსოფიურ ან ცხოვრების სულიერ მხარეებს შეეხებიან, მკრთალია და დუნე, რასაკვირველია, მის დანარჩენ ნაწერებთან შედარებით"**.

ნუთუ ისეთი მახვილი ალღოს მქონე კრიტიკოსს, როგორიც ნიკო ნიკოლაძე იყო, მართლა „მკრთალ და დუნე" ლექსებად ეჩვენებოდა „შემოღამება მთაწმინდაზედ", „ხმა იდუმალი", „ძია გ...სთან", „ფიქრნი მტკვრის პირას", „ვპოვე

---

* იხ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი", „ტიფლისკი ვესტნიკ", 1876 წ., 22 იანვარი.

** იქვე.

ტაძარი“, „ნაპოლეონი“, „ჩეილი“, „სული ობოლი“, „ჩემი ლოცვა“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „ბედი ქართლისა“ და „მერანი“, რომლებიც ფილოსოფიურ და ცხოვრების სულიერ მხარეებს შეეხებიან? ცხადია, ეს პარადოქსია, მაგრამ იმით გამოწვეული, რომ ნიკო ნიკოლაძე გულწრფელად ფიქრობდა თითქოს „...ქართული პოეზია თავისი ეროტიული სიუჟეტით მეტ საშუალებას აძლევდა პოეტს ადვილად შეეთვისებინა სასიყვარულო მოტივები და დაეწუშავებინა შესაფერი ლექსი, და პირიქით, წინახანის ლიტერატურაში ფილოსოფიური მოტივების უქონლობა ხელფეხს უბოჭავდა პოეტს, საშუალებას არ აძლევდა საგანს დაუფლებოდა და სათანადო გამოთქმა მოეძებნა“. ეს აზრი მცდარი იყო, ვინაიდან ბარათაშვილის „სასიყვარულო თემებზე“ დაწერილი ლექსები გააზრებულია, როგორც „ქართული პოეზიის... ეროტიული სიუჟეტით“ შთაგონებულნი, მაშინ, როცა ბარათაშვილს სრულიად ახალი, სხვაგვარი სამიჯნურო მოტივი მოაქვს, და ის ამ მხრივაც ცალკე დგას ჩვენს ლიტერატურაში, რუსთაველთან ერთად.

ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, თითქოს ბარათაშვილს რუსთაველის გარდა არც ერთი ქართველი პოეტის ნაწარმოები არ წაეკითხოს; პირიქით, როგორც ბიოგრაფიული ფაქტების გადმოცემის დროს ვნახეთ, ის კარგად იცნობდა როგორც XI—XII საუკუნეების, ისე აღორძინების ხანის ჩვენი პოეტების შემოქმედებას, მაგრამ ამით რომ ავხსნათ მისი სატრფიალო ლექსები, და ისინი გამოვაცხადოთ „ეროტიული სიუჟეტის“ რემინისცენციებად, ჭეშმარიტების უარყოფა იქნება. „სასიყვარულო თემაზე“ დაწერილი ბარათაშვილის ყველა ლექსი პოეტის გულიდან, საკუთარი განცდებიდან მოდის და არა ძველი ქართული პოეზიის დაცრეცილ ფოლიანტებიდან, თუ „ეროტიული სიუჟეტიდან“. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ბარათაშვილის ლექსები როგორღა გადადიოდა „ხელიდან ხელში“ ჯერ კიდევ მათ გამოქვეყნებამდე, როგორც ამას თვით ნიკო ნიკოლაძე კმაყოფილებით აღნიშნავს?

კიდევ უფრო აბდერაციულია მოსაზრება თითქოს — „...საუკეთესო ლექსებთან ერთად ბარათაშვილს მოეპოვება სუსტი და გაჭიანურებული ლექსები, რომლებსაც არა აქვთ არც უზადო გარეგნული დახვეწილობა და არც ნათელი შინაარსი“. პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ ეს დებულება თავიდან ბოლომდე მცდარი, ყალბი და პარადოქსალურია. გარდა ამისა, რუსეთში არც ერთ ნიჭილისტს მსგავსი არაფერი უთქვამს არც პუშკინისა და არც ლერმონტოვის მიმართ. ვერ დავასახელებთ ბარათაშვილის ვერც ერთ ლექსს, რომელიც „სუსტი და გაჭიანურებული“ იყოს, და რომელსაც არ ჰქონდეს „უზადო გარეგნული დახვეწილობა“ და „ნათელი შინაარსი“. ეს მცდარი აზრები ნიკო ნიკოლაძის „მიკერძოებული ხასიათით“ უფრო უნდა აიხსნას, ვიდრე ლიტერატურული აზროვნებისათვის სავალდებულო ჰეშმარიტების გარკვევის ინტერესებით.

მაგრამ, თუ ასეთ მცდარ აზრებს გამოთქვამდა, სამაგიეროდ, ნიკო ნიკოლაძე იქვე დასძენდა, რომ ბარათაშვილი „უაღრესად მომხიბლველი და ნიჭიერი პოეტი იყო“, რომ იგი „ქართულ ლიტერატურაში ნოვატორია, თითქმის რუსთაველის ხანიდან არცერთ ქართველ მწერალს საჭიროდ არ მიუჩნევია თავი დაეღწია იმ შეხედულებისათვის, რომ პოეზია შექმნილია მხოლოდ სიყვარულის გამოსათქმელად“. ნიკოლაძე შემდეგ დასძენს, რომ ბარათაშვილი „...პირველად და მთელი სიღრმით ასახავს თავის ნაწერებში თავისი დროის ცხოვრების მოტივებს, პირველად გამოსთქვამს თავისი საუკუნის საუკეთესო ადამიანთა გულისთქმასა და მისწრაფებას“. ამაში მდგომარეობს პოეტის ორიგინალობა და მისი „განსაკუთრებული ადგილი“ ქართული ლიტერატურის ფონზე. გარდა ამისა. ნიკოლაძე სამართლიანად ფიქრობს, რომ „...ბარათაშვილი ლექსის გარეგანი დახვეწისა და ფაქტურის თვალსაზრისითაც ორიგინალურია“.

ყველაფერი ეს სწორია, ბარათაშვილი მართლაც გამოირჩევა ამ ორიგინალობით, ...მას მართლაც შეშოაქვს ჩვენს ლიტერატურაში „...უშაგალითო ენერგია“, „სხარტი ფორმა“, როგორც ნიკო ნიკოლაძე ამტკიცებდა. მანვე მიუთითა ბარათაშვილის შემოქმედებაში „ხალხური ენით მეტყველებაზე“ და წამოაყენა თეზისი, რომ „მისი ლექსებით მიღებული საერთო შთაბეჭდილება შეესაბამება იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც რუსულ ლიტერატურაში ლერმონტოვის ლექსები ახდენენ მკითხველზე“. ნიკო ნიკოლაძემ ასევე სწორად აღნიშნა, რომ ბარათაშვილის პოეზიაშიც ლერმონტოვის „...ძალით ჰქუხს ლექსი, აქაც ფერთა იმავე სიმკვეთრეს ვხედავთ. აქ გვესმის მძიმე უროს ფოლადის გრიალი, რომელიც მკითხველის გონებაში აღბეჭდავს პოეტის ნაფიქრ-ნააზრევსა ან ამა თუ იმ სურათს“.

ყველა ქართველი კრიტიკოსი, ძველიც და ახალიც, ამ დებულებას სავსებით იზიარებს, ვინაიდან ბარათაშვილმა წარუშლელი კვალი დააჩნია მშობლიური ლიტერატურის განვითარებას, ისევე როგორც რუსეთში პუშკინის ან ლერმონტოვის გენიამ. XIX საუკუნის ქართულ მხატვრულ მწერლობაში ნიკოლოზ ბარათაშვილის სახით დგას ეროვნული და ზოგადკაცობრიული დიდი მესიტყვე, გენიოსი, მსოფლიო რანგის პოეტი, მეუფე რომანტიზმისა, რომელსაც ისეთი ოქროპირის შემდეგ უკავია ადგილი, როგორსაც რუსთაველი წარმოადგენს. ბარათაშვილი მეორე რუსთაველია და მისი პოეტური კონგენიაც მხოლოდ ამ სიმაღლიდან ჩანს მთელი თავისი ბრწყინვალებითა და ორიგინალობით.

ბარათაშვილის პოეტური გენია რუსთაველის გენიის აბრევიატურული შთამომავალია! მსგავსად რუსთაველისა, ბარათაშვილის შემოქმედება პოეტურად ამეტყველებული ფილოსოფიაა, რასაც მომდევნო თავში დავინახავთ.

თავი VIII

## ბარათაშვილის პოეზიის ფილოსოფიური პრედიკატები

რუსთაველის პოეტური გენიის შთამომავალ ბარათაშვილს ნამდვილად ახასიათებს ყველა ის ნიშან-თვისება, რითაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი გამოირჩევა. ეს ნიშან-თვისებანი რუსთაველისა ნაჩვენები გვაქვს სპეციალურ მონოგრაფიაში*, მაგრამ ცალკე შესწავლის ობიექტად არ გაგვიხდია ბარათაშვილის ფილოსოფიური სისტემა, თუმცა ყოველთვის ვეხებოდით მას კონკრეტულ პრობლემებზე მსჯელობის დროს.

ბარათაშვილი პოეტია, ხოლო პოეზია მხატვრულად ამეტყველებული ფილოსოფიაა, როგორი ხასიათიც არ უნდა ჰქონდეს — ლირიკული, თუ ეპიკური. აქედან უნებლიედ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ პოეტი თავისებურად ფილოსოფოსია, თუნდაც არავითარი გამოკვლევა ამ დარგში არ დაეწეროს. როცა პოეტი ნაწარმოებს ჰქმნის, მისი ფსიქო-იდეოლოგია, მისი მრწამსი, მისი credo. სინამდვილისადმი მისი დამოკიდებულება ყოველთვის მეღავნდება, როგორც სარკეში აისახება საგანი, რომელიც გამოსახულების პირველ წყაროდ გვეელინება. ამიტომ მკვლევარს შეუძლია ანატომიურად დაშალოს პოეტური სახეები, გადაიტანოს ლოგიკურ კატეგორიებზე და წარმოგვიდგინოს აზროვნების მთელი სისტემა. თუ ამ სისტემას მივაგნებთ,

* იხ. გიორგი ჯიბლაძე, „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“, 1966 წ., გვ. 3—377.

მაშინ ჩვენთვის უფრო განათდება თვით პოეტური შემოქმედების სამყარო.

რა შეიძლება ამ მხრივ დავინახოთ ბარათაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში?

ბარათაშვილის პოეზია მხატვრული ფენომენებით იმდენად ღრმა აზრების შემცველია, რომ საკმარისი არ არის ვილაპარაკოთ მარტოოდენ ოსტატობის, სილამაზის, რაფინირებული განცდების ან ფორმების ორიგინალობის შესახებ. აზრობრივი ჩაღრმავება მისი შემოქმედების ერთი უძლიერესი მხარეა, რაც თავისთავად განეკუთვნება ფილოსოფიურ მიდრეკილებას, და ჭართველ პოეტთაგან, რუსთაველის შემდეგ, ისე არავის ახასიათებს, როგორც ბარათაშვილს. თუ რომელიმე პოეტზე შეიძლება ითქვას — მისი შედევრები ფილოსოფიური განზოგადების შესაძლებლობას იძლევაო, „მერანის“ ავტორი პაო შორის ერთერთ პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ. დიდ მხატვრულ ნიჭთან ერთად, ბარათაშვილს ჰქონდა ღრმა ფილოსოფიური აზროვნების უნარი, რასაც მისივე ლირიკული შედევრები გვიდასტურებენ. თითქმის ყველა ლექსში პოეტი ფილოსოფიურად ამაღლებული ჩანს. თითქმის ყველგან ჩვენ ვგრძნობთ მხატვრული სახიერ ლოგიკურ დატენილობას. ესაა ბარათაშვილის როგორც ლირიკის, ისე ეპისტოლარული მემკვიდრეობის ერთი უძირითადესი ნიშან-თვისება, რომელიც შესწავლის ობიექტად უნდა ვაქციოთ, თუ გვინდა ღრმად ჩავწვდეთ მისი შემოქმედების ფილოსოფიას.

ამ ასპექტში ერთი მომენტიც საჭიროა გავითვალისწინოთ: დიდ პოეტურ ნიჭთან ერთად, ბარათაშვილი არამარტო ღრმა მოაზროვნის ტალანტით იყო დაჯილდოებული, არამედ, ბედმა ჰაბუკობიდანვე დაუკავშირა ისეთ მასწავლებელს, რომელიც თავისი დროის უაღრესად განათლებულ ფილოსოფოსს წარმოადგენდა. ეს მასწავლებელი გახლდათ სოლომონ დოდაშვილი, ავტორი წიგნისა — «Логика»*, რომელიც პეტერ-

* იხ. «Курсъ философии. Часть первая. Логика». Санкт-Петербургъ, 1827. დაიბეჭდა იმდროინდელი ცნობილი გამომცემლის ალექსანდრე სმირდინის სტამბაში.

ჩურგში 1827 წელს დაიბეჭდა. შეუძლებელია ეს წიგნი ბარათაშვილს წ ა კ ი თ ხ უ ლ ი არ ჰქონებოდა, მით უფრო, რომ იგი ასე დიდი პატივისცემით ეკიდებოდა თავის სახელოვან მასწავლებელს, რომლის ერთგულიც ბოლომდე დარჩა.

მაგრამ, რას წარმოადგენს დოდაშვილის ფილოსოფია? რა შეიძლებოდა ჰაბუკ ბარათაშვილს გაეცნო თავისი მასწავლებლის ხსენებული წიგნიდან, ვიდრე საკუთარ ფილოსოფიურ მრწამსს შეიმუშავებდა?

დოდაშვილი გამოვიდა, როგორც ახალი ფილოსოფიური დოქტრინის წარმომადგენელი, მაგრამ არა დოგმატიკური გაგებით. მან შესანიშნავად გაიგო კ ა ნ ტ ი ს ტრანსცენდენტალური სისტემის გენიალობა, მაგრამ ნაკლიც, მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკის მოკლე ისტორიის გადმოცემის დროს (გვ. 10—22) აღნიშნა: „კრიტიციზმმა გაწმინდა, განამტკიცა ამ მეცნიერების საფუძველი, და განსაზღვრაო მისი სფეროო" (გვ. 11). ავტორმა საკუთარიც ცოტა როდი შეიტანა არამარტო თვით ლ ო გ ი კ ი ს მეცნიერებაში, არამედ, ზოგადი ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი აზრის მხრივაც.

დააკვირდით დოდაშვილის მიერ მოკლედ, თითქმის კონსპექტურად გადმოცემულ ლოგიკის ისტორიას:

საბერძნეთი ავტორს მიაჩნია იმ ქვეყნად, სადაც ყველა მეცნიერებამ ს ი ს ტ ე მ ა ტ ი კ უ რ ი სახე მიიღო, ხოლო ლ ო გ ი კ ა მ — თავისი დ ა ს ა წ ყ ი ს ი. ეს მეცნიერება ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე მ დ ე, მოყოლებული ძ ვ ე ნ ი ნ ი ს დროიდან (მეხუთე საუკუნე ჩვენს ერამდე), მარტოოდენ დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა ს, ე რ ი ს ტ ი კ ა ს და ს ო ფ ი ს ტ ი კ ა ს, როგორც „კამათის ხელოვნებას", წარმოადგენდა, ხოლო დიდმა სტაგირელმა მას „მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ს ა ხ ე" მისცა (გვ. 10). შუასაუკუნეებში ლოგიკამ ს ქ ო ლ ა ს ტ ი კ ი ს ნიშნები შეიძინა, მაშასადამე, ღვთისმეტყველურ ჭეშმარიტებათა დაბ ტკიცების საშუალებად იქცა. ასე გაგრძელდა ფრანცისკ ბ ე კ ო ნ ა მ დ ე, რომელსაც დოდაშვილი „ინგლისელ კანცლერ ფილოსოფოსს" უწოდებს.

ბეკონმა, წინააღმდეგ არისტოტელეს დ ე დ უ ქ ც ი უ რ ი ლ ო გ ი კ ი ს ა, შექმნა ი ნ დ უ ქ ც ი უ რ ი ლ ო გ ი კ ა, რომელიც პირველმა, „შუასაუკუნეების შემდეგ. გვიჩვენა, რომ ყველა

ადამიანური შემეცნება არის გამოკვლევა საგნებისა, რომლებიც ჩვენს ირგვლივ არიან“ (გვ. 17). მაგრამ ამ ფაქტის დადებითი მოხსენიება უკვე ნიშნავს კანტის ფორმალისტურ ლოგიკაში უარყოფითის შენიშვნას, ვინაიდან, თუ ნორმალურად ვიმსჯელებთ, შეუძლებელია ერთად მოთავსდეს „საგნების გამოკვლევა“ (ბეკონი) და ტრანსცენდენტი (კანტი). ორივე მოაზროვნეს დოდაშვილი პალალ შეფასებას აძლევს, მაგრამ, ცხადია, ის უფრო მაღლა აყენებს „კენიგსბერგელ ფილოსოფოსს“, რომელიც უწოდებს კანტს, და შემთხვევით არ ამბობს, რომ „კანტის გამომგონებლობითმა გენიამ“ ლოგიკას „მტკიცე საზღვრები“ დაუდგინა, გვიჩვენა „ლოგიკური კანონების წარმოშობა გონების, და არა ცდისეული წყაროდანო“ (გვ. 21).

მაგრამ ბეკონის ინდუქციური ლოგიკა ან თვით დოდაშვილის მტკიცება წიგნის ზოგად შესავალშივე „ჭეშმარიტი ფილოსოფიის“ შესახებ, სადაც ბეკონის აზრი პოზიტიურად იხსენიება, როგორ მოთავსდება კრიტიციზმთან? დოდაშვილი ხომ თვითონვე წერს: „...ჭეშმარიტი ფილოსოფია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა დასცხრებიან ვნებები, და როცა ცრურწმენები, რომლებსაც ბეკონი ასე სამართლიანად უწოდებს ადამიანური გონების კერპებს, შესწყვეტენ მათდამი ხელშეწყობას“ (გვ. 1). თავისთავად მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ დოდაშვილი არამარტო ცნობს „შემმეცნებელი პირისა“ (სუბიექტის) და „შესაცნობი საგნის“ (ობიექტის) აუცილებლობას, ურომლისოდ მას ფილოსოფიის, მსგავსად ყოველი სხვა მეცნიერებისა, არსებობა ვერ წარმოუდგენია, არამედ, ობიექტურად არსებული მოვლენის შესწავლასაც ზოგჯერ კრიტიცისტულ თვალით არ უცქერის. „ლოგიკის“ შესავალში (გვ. 1—9) იგი ხანდახან ისეთ რამეს გვთავაზობს, რაც კანტის კრიტიკულამდელ პერიოდს უფრო განეკუთვნება, ვიდრე კრიტიცისტულს. გვიმტკიცებს, რომ „მსოფლიო კანონების უცოდინაროზა ჯერ კიდევ არ იძლევა უფლებას უარვყოთ მათი არსებობა; უწოდეთ მათ, როგორც გსურდეთ: მექანიზმის კანონები, საყოველთაო მიზიდულობის ან პოლარულობის კანონები — ისინი ყოველთვის იქნებიან უცვლელნი ბუ-

ნებაში“... (გვ. 2—3). დოდაშვილი ცდილობს მოარიგოს კანტის ორივე პერიოდი (კრიტიკულამდელი და კრიტიკული), ამიტომ არის, რომ კენიგსბერგელი ფილოსოფოსის ერთგული ბეკონსაც ხარკს უხდის, ხოლო სხვა ცნობილ მატერიალისტებსაც, ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, კრიტიკულად არ იხსენიებს, მაშინ, როცა ამჟღავნებს შუასაუკუნეების სქოლასტიკური აზროვნებისადმი აშკარად უარყოფით დამოკიდებულებას. ეს არ არის გასაკვირი. თვით კანტის ფილოსოფიაც ხომ მატერიალიზმისა და იდეალიზმის შერიგებას, მათ შორის კომპრომისს წარმოადგენდა, როგორც ლენინმა მიუთითა.

მაგრამ რით უნდა აიხსნას დოდაშვილის გატაცება კანტით და მთელ წიგნში ჰეგელის მოუხსენიებლობა?

იმ ეპოქით, რომელშიაც თვით დოდაშვილი ცხოვრობდა. გასული საუკუნის 20-იან წლებში, როცა „«Логика» დაიწერა, რუსეთის ინტელიგენცია ძირითადად კანტის ფილოსოფიას მისდევდა, როგორც ოფიციალურად ნებადართულს. ჰეგელი მაშინ მოდაში არ იყო. კანტის ადგილი შემდეგ ჰეგელმა დაიკავა, მაგრამ 40-იანი წლებიდან, როცა დოდაშვილი ცოცხალთა შორის უკვე აღარ ითვლებოდა. ამითვე უნდა აიხსნას ჰეგელის სრული მოუხსენიებლობა «Логика»-ში, მაშასადამე, ჰეგელის დიალექტიკური ლოგიკის გვერდის ავლაც.

მაგრამ ეს სპეციალური კვლევის საგანია, რაც ამჟამად ჩვენი განხილვის სფეროში არ შემოდის. გვაინტერესებს მხოლოდ იმის აღნიშვნა, თუ რა აქვს დოდაშვილს და რა შეიძლებოდა მისგან სცოდნოდა ბარათაშვილს.

გარდა იმისა, რაც უკვე ვთქვით, „ლოგიკაში“ ფილოსოფია განსხვავებული არ არის სხვა მეცნიერებათაგან, გარდა თვით საგნისა, რომელსაც იკვლევს, და ამიტომ დოდაშვილი იხსენიებს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ დასაწყისში ფილოსოფიას ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, იტევდა თავისში ყველა ადამიანურ ხელოვნებათა და მეცნიერებათ. მაგრამ ეს არ ნიშნავს ფილოსოფია არ იყოს განსაკუთრებული მეცნიერება, რაც იმას გვასწავლის, რისი მოცემაც სხვას შეუძლია. არა, ფილოსოფია განსაკუთრებული მეცნიერებაა, მავ-

რამ, როგორც მეცნიერება, სხვათა მსგავსია, თუმცა თავისი სპეციფიკა აქვს, როგორც თავისი იდეით, საგნით, ისე გარკვეული სახის ცნობათა სისტემით. აქედან კეთდება სავსებით იდეალისტური დასკვნა, რომ „ფილოსოფია უნდა იყოს ადამიანის სულის ნაწარმოები“ (გვ. 3), რომელიც არავისში თანდაყოლილი არ არის და მოიპოვება ადამიანის საკუთარი გონების ძალებით.

ადამიანი კი, მიისწრაფვის რა თავისი არსების მსგავსი ჰარმონიისაკენ, მას ეძებს გარე ბუნებაშიც, — ამბობს დოდაშვილი, — მაგრამ არ გვეუბნება, რომ თვით ეს ფაქტი არღვევს ფილოსოფიის სოკრატესეულ გაგებას. რომლის მიხედვითაც ძირითად პრინციპად „საკუთარი თავის შეცნობა“ ცხადდება, და რასაც თვით „ლოგიკის“ ავტორი ეთანხმება. მისი მომდევნო განმარტებაც, რომლის მიხედვით ქვეყანა ცხადდება ურთიერთმიმართებათა სისტემად, სადაც ყველაფერი განზომილია, აწონილი და გამოთვლილია, სადაც ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებულია მიზეზებისა და შედეგების, საშუალებებისა და მიზნების უწყვეტი ძაფებით, სადაც ყველაფერი ექვემდებარება წესებს, მარადიულ კანონებს (გვ. 2), — უეჭველად გვანიშნებს, რომ დოდაშვილი ებრძვის მეტაფიზიკას, როგორც უარყოფდა შუასაუკუნეების სქოლასტიკურ ლოგიკას. რაც შეეხება გონების ძალის განდიდებას, აქ იგი მისდევს კანტს, და სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. კანტის ფილოსოფია მას უეჭველად მიაჩნია ყველაზე დიდ მოვლენად ახალ დროში, მიუხედავად ზოგიერთი განსხვავებისა მისგან, ხოლო, თუ გავითვალისწინებთ ჰეშმარიტების მიმართ სიმკაცრეს, ფილოსოფიის ზუსტ მეცნიერებად გადაქცევის მოთხოვნას, რასაც დოდაშვილი ყველგან ამყღავნებს, ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ჰეგელის გაცნობის შემდეგ „ლოგიკის“ ავტორი აპსოლუტური სულის შესახებ მოძღვრებას, იდეალისტურ დიალექტიკას უფრო სარწმუნოდ მიიჩნევდა. ვიდრე კენიგსბერგელი მოაზროვნის ტრანსცენდენტალურ სისტემას. მაგრამ იგი ჰეგელს სულ არ იცნობდა, ყოველ შემთხვევაში, „ლოგიკა» საწინააღმდეგო აზრის საფუძველს არ იძლევა.

ბეკონის შემდეგ დოდაშვილი ბაიერს, კამპანელას, გასენდის, დეკარტეს, ჩირნჰაუზენ მალბრანშს, ლოკს, კონდილიაკს, ვოლფისა და ბაუმგარტენის მათემატიკურ პრინციპებზე აგებულ ლოგიკას ეხება (აღარ ვიხსენებთ წიგნში დასახელებულ სხვა, მეორეხარისხოვან მოაზროვნეებს), და პირდაპირ გადადის კრიტიკულ ფილოსოფიაზე (კანტი). მანამდე გაკვრით აღნიშნავს ფედეროვისა და ულრიხის ფსიქოლოგისტური ლოგიკის რაობას და კანტის დახასიათებას ამთავრებს კიზევეტერის, იაკობის, რეინჰოლდის, შულცის, ბულეს, ბუტერვეკისა და სხვათა მოხსენიებით, რომლებიც ცდილობდნენ კანტის მიერ აღმოჩენილი ახალი გზა ბოლომდე მიეყვანათ (გვ. 22).

ყველაფერი ეს, რაც დოდაშვილის „ლოგიკაში“ გვაქვს, ბარათაშვილს არამარტო წაკითხული ექნებოდა, არამედ, თავის საყვარელ მასწავლებელთან საუბრებში შეუძლებელია მეტიც არ გაეგო. მისი პოეზიისა და პირადი წერილების ფილოსოფიური აზრი, გარდა ამისა, ლოგიკური შეკრულობა, გვაფიქრებინებს, რომ პოეტი უეჭველად სპეციალური შესწავლის საგნად იხდიდა ლოგიკურ ჭეშმარიტებებს, ყოველშემთხვევაში იმას, რაც შეეძლო დოდაშვილის წიგნის მიხედვით გაეცნო. იქ კი განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა აზროვნების კანონები, მსჯელობა, ცნება, დასკვნა, დამტკიცება, რომ აღარაფერი ვსთქვათ კონკრეტულ ლოგიკურ კატეგორიებზე — სილოგიზმი, დილემა, სორიტი, ანალოგია და მრავალი სხვა.

ახლა გადავშალოთ ბარათაშვილის ლექსების წიგნი, წავიკითხოთ პოეტურ შედევრებთან ერთად მისი პირადი წერილებიც, და ვსცადოთ მათი ფილოსოფიური პრედიკატების გაცნობა. დავიწყოთ ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, სადაც უფრო ხელშესახებად ჩანს ხოლმე პოეტის კონკრეტული იდეა.

ბარათაშვილი ერთგან ისე სწერს ზაქარიას, თითქოს დოდაშვილის წიგნიდან ამოეწეროს სიტყვები:

«Углубись въ себя» — „ღრმად ჩაიხედე შენს თავშიო“*. რა არის ეს? სოკრატეს ფილოსოფიის ამოსავალი პრინციპი — „შეიცანი თავი შენი“, თუ კიდევ სხვა რამ? იქნებ დოდაშვილსაც მართლა ასე ჰქონდეს?

გადაშლით „ლოგიკის“ IV გვერდს და თქვენ იქ ამოიკითხავთ მისი ავტორის სიტყვებს, თუ რას ნიშნავს ფილოსოფიური აზროვნება. ამისათვის საჭიროა, როგორც დოდაშვილი წერს, «Вникать въ самого себя». რომ დოდაშვილი და ბარათაშვილი სიბრძნეს სავსებით ერთნაირად განმარტავენ, როგორც ვხედავთ, სრულიად უეჭველია. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ერთი საკუთრივ ფილოსოფიაზე წერს, მეორე კი ადამიანის ცხოვრების გზას არკვევს. დოდაშვილისათვის ფილოსოფიური აზროვნება, ჭეშმარიტების შეცნობა შეუძლებელია, თუ ეს სოკრატესეული პრინციპი დაცული არ იქნა. «Дабы научиться философіи, надлежитъ философствовать; а философствовать значитъ обращать вниманіе на самого себя, вникать въ самого себя, дабы узнать и разуметь насъ самихъ, и чрезъ то установить миръ въ себе и съ собою. Обращать вниманіе на себя, значитъ отвлекать оное отъ всего, что не принадлежитъ къ намъ: сіе бываетъ, когда мысленно оставляемъ все внешнее, и сами себя влечемъ къ одному внутреннему. Вникать въ самого себя, значитъ прилежно размышлять о внутреннихъ явленіяхъ, въ насъ происходящихъ, ставя себя самихъ непосредственнымъ предметомъ изслѣдованія. Познавать себя есть не что иное, какъ уметь правильно судить о всей деятельной силе нашей; а сіе возможно бываетъ только тогда, когда сделаются намъ известны законы деятельности естества нашего, пределы и цель оной. Разумъемъ себя, если можемъ привести достаточныя причины нашихъ мыслей, познаний и поступковъ. Наконецъ, установляемъ миръ въ себе и съ собою, когда устрояем въ себе гармони-

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 107.

ческую деятельность, направляя оную къ нашему назначенію»*.

ვინც ოდნავ ერკვევა ფილოსოფიურ პრობლემატიკაში, მისთვის საჭირო არ არის რაიმე განმარტება მივცეთ. აქ ყველაფერი ნათლად არის ნათქვამი და ზედმეტი იქნება მსჯელობა გავაგრძელოთ. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი მწყობრად გადმოსცემს ი დ ე ა ლ ი ს ტ უ რ გაგებას, რომლის მიხედვითაც ფილოსოფიის შესწავლა ნიშნავს ფილოსოფიურ აზროვნებას, ეს უკანასკნელი კი მოითხოვს ყურადღება მიაპყრო საკუთარ თავს; ჩასწვდე მას, რათა გავიგოთ და შევიგნოთ ჩ ვ ე ნ ი ე ე თ ა ვ ი, ხოლო ამ გზით დავამყაროთ თ ა ნ ხ მ ო ბ ა ჩვენს თავში და ჩვენს თავთან. მაგრამ ეს ნიშნავს ჩვენივე თავი გ ა ნ ვ ა რ ი დ ო თ ყოველივე იმას, რაც არ გვეკუთვნის. ეს ხდება მაშინ, როცა აზრობრივად განზე ვტოვებთ ყველაფერს, რაც ჩ ვ ე ნ ს გ ა რ ე თ ა ა, და მარტოდენ შ ი ნ ა გ ა ნ არსებას მივსდევთ. ამით ა დ ა მ ი ა ნ ი თვითონვე ხდება გამოკვლევის უ შ უ ა ლ ო ს ა გ ა ნ ი. აქედან ბუნებრივად კეთდება დასკვნა, რომ საკუთარი თავის შეცნობა სხვა არაფერია, თუ არ ცოდნა სწორად განსაჯო მთელი ჩვენი ქმედითი ძალა. ეს კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ჩვენთვის ცნობილი ხდება ჩ ვ ე ნ ი ვ ე არსების მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს კანონები, მ ი ს ი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი და მ ი ზ ა ნ ი. შევიგნებთ ჩვენს თავს, თუ შევიძლებთ მოვიტანოთ ჩვენივე აზრების, შეჩვენებათა და ქცევათა საკმარისი მიზეზები. ხოლო ვამყარებთ თანხმობას ჩვენს თავში და ჩვენს თავთან მაშინ, როცა ვაწყობთ ჩვენს თავში ჰ ა რ მ ო ნ ი ულ ქ მ ე დ ე ბ ა ს და წარვმართავთ მას ჩვენივე დანიშნულებისაკენ.

ეს ძირითადი აზრი თითქმის უცვლელად გვხვდება ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს წერილში ზაქარია ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა დ მ ი. წერილი დათარიღებულია 1844 წლის 15 აპრილით. ახალგაზრდა პოეტს მხოლოდ წელიწადნახევრის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი. მისი აზრები ჩვეულებრივად გამოირჩევა

---

* Курсъ философіи. Часть первая. Логика. Сочиненіе Соломона Додаева-Магарского. Санкт-Петербург. Въ Типографіи Александра Смирдина. 1827. გვ. IV. ხაზი ყველგან დოდაშვილისაა.

სიბრძნით, თავის ბიძას — ზაქარიას, რომელსაც პოეტისათვის სევდითა და დაღლილობის გამომხატველი სიტყვებით აღსავსე წერილი გამოუგზავნია, ბარათაშვილი ამშვიდებს და ფილოსოფიური დეფინიციით ურჩევს როგორ მოიქცეს, რათა ამ მტანჯველ განწყობილებას თავი დააღწიოს. ასწავლის, რომ ადამიანის სული, რომელმაც თავის სრულ განვითარებას მიაღწია, განსვენებას მოითხოვს. ზაქარია ორბელიანს კი იმ დროს ბრწყინვალე სამხედრო კარიერა ჰქონდა მოპოვებული ოცი წლის მანძილზე გმირული ბრძოლით თურქებისა და შამილის წინააღმდეგ (1824 წლიდან 1844 წლამდე), როცა ხსენებული მიმოწერა გაიმართა ბიძა-დისწულს შორის). მაგრამ მისი სული, ეტყობა, დაღლილობის გამო, სევდას მოეცვა, და ბარათაშვილი, აღზრდილი დოდაშვილის ფილოსოფიურ მრწამსზე, ურჩევს თავის ბიძას: სრულ განვითარებას მიღწეული ადამიანის სული განსვენებას მოითხოვს; «Я бы отнесъ причину твоей скуки къ этой гипотезе, если бы зналъ, что поприще твое совершилось... Душа твоя ищетъ пищи новой, духъ твой стремится къ большой деятельности, сценамъ более сильнымъ, более патетическимъ. И пока онъ достигнетъ своего назначенія, ему скучно, грустно! Согласись, Захаріи, что еще одинъ случай, подобный Ричинскому*, и ты снова въ волненіи пріятномъ, снова забудешь мирный покой семянина. Углубись въ себя и, тогда, — уверившись, что громъ славы и звукъ оружія не имеют уже для твоего слуха магическаго значенія, — оставь службу, займись именіем»**.

განა აქ ნათლად არა ჩანს ცდა საკუთარ თავში და საკუთარ თავთან ჰარმონიის მიღწევისა? განა ბარათაშვილი თავის ბიძას იმას არ ურჩევს, რომ მთავარია გაიგო და შეიგნო შენივე თავი? განა აქ არ არის მოთხოვნა — განერი-

* ზაქარია ორბელიანმა აულ რიჭასთან ბრწყინვალედ გამოიჩინა თავი ბრძოლებში, რისთვისაც მაღალი ჯილდოები დაიმსახურა.

** ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 107. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

დე გარეგან ფენომენებს და ჩაიხედე საკუთარ თავში, რათა შემეცნების უშუალო საგნად თვითონვე იქცეო? განა აქ არ გვესმის მითითება — საკუთარი თავის შეცნობა სხვა არაფერია, თუ არა იმის გაგება, რომ სწორად განსაჯო შენივე ქმედითი ძალა, შენი არსების მოქმედების კანონები, საზღვრები და მიზნები? განა აქ საკუთარი თავის შეგნება არ ნიშნავს საკუთარი აზრების, შემეცნებათა და ქცევათა საკმარისი მიზეზების მოტანას? განა არ კეთდება დასკვნა, რომ საკუთარ თავში ჰარმონიული ქმედება უნდა წარიმართოს საკუთარი დანიშნულებისაკენ?

ბარათაშვილს რომ ფილოსოფიურ ტრაქტატები დაეწერა, მისი სახით, უეჭველია, ერთი უბრწყინვალესი და უწესანიშნავესი ფილოსოფოსი გვეყოლებოდა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მაგრამ პოეზიასა და პირად წერილებში იმდენი გვითხრა ხსენებულ საგანზე, რომ ბარათაშვილი უნდა მივიჩნიოთ არამარტო პოეტად, არამედ, ფილოსოფოსადაც.

სტანკევიჩმა ფილოსოფიაზე ვერაფრის დაწერა ვერ მოასწრო, მაგრამ რუსეთის ისტორიაში ცნობილ ფილოსოფოსად და ფილოსოფიური სკოლის აღიარებულ მეთაურად დარჩა. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ სადაც ჰეშმარიტი, მაღალი პოეზიაა, იქ ფილოსოფიაც დამკვიდრებულია, როგორც მისი თეორიულ-მეცნიერული საფუძველი.

ყოველგვარი ფილოსოფიის ძირითადი პრობლემა ხომ აზრისა და არსის, აზროვნებისა და ყოფიერების ურთიერთმიმართების გარკვევაა. თუ საკუთრივ პოეზიის, ანუ ხელოვნების შესახებ ვილაპარაკებთ, იქ ეს საკითხი სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულებათა მხატვრული ასპექტების ჩვენებით წყდება. ფილოსოფიას, ცხადია, ამ მხრივ სპეციფიკური კვლევა-ძიების ხასიათი აქვს და პრობლემას უშუალოდ შოიცავს. პოეზია გამოხატვა და ჩვენებაა, ხსენებულ პრობლემასთან უშუალოდ არ მიდის. პირველი იკვლევს პრობლემას ლოგიკური კატეგორიებით, თეორიული პოსტულატებით, მეორე აჩვენებს ესთეტიკური

კატეგორიების, მხატვრული სახეების ჰარმონიული ერთიანობით. რა არის არსი? რა არის აზრი? რომელია პირველადი და რომელი მეორადი? აზრი უფრო ადრე გაჩნდა, თუ არსი? თუ აზრი არსს ანარსებულს არ განეკუთვნება, როგორღა ვიწამოთ, რომ იგი არსებობს, მაშასადამე, აზრია? არსი განაპირობებს აზრს, თუ პირიქით?

დაუსრულებელი წყება ანალოგიური საკითხებისა ფილოსოფიის ისტორიაში პრობლემათა უსასრულო რიგს აყენებდა, რამაც ორ ძირითად ბანაკად დაჰყო ფილოსოფოსები — იდეალისტებად და მატერიალისტებად. ეს პრობლემები პოეტურ შემოქმედებაშიც პოულობდნენ ასახვას მხატვრული სახეებით, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ ლოგიკური კატეგორიების დახმარებით, რაც თავისთავად მოწმობდა ესთეტიკურში ლოგიკურის შეჭრას, ხოლო ლოგიკურში, როგორაც არ უნდა გაგვიკვირდეს, ესთეტიკურისა.

ბარათაშვილი ამ დებულების ერთი უბრწყინვალესი მაგალითია. მისი გენიალური მხატვრული სახეები, უმაღლესი გრძნობიერება, საკვირველი მინორული სინაზე, რაინდული თავგამეტების მაჟორი, ყველაფერი უმაღლეს პოეტურ რანგში აყვანილი, და არც ისე იშვიათად, პირდაპირ ლოგიკური დეფინიციების ჩართვა ბუნებრივად ლირიკულსა თუ პლასტიკურ გამაში — ეს მთელი ბარათაშვილია თავისი ოსტატობით, იდეური და ესთეტიკური მიმღეობით. აქ იშლება მისი ფილოსოფიაც მხატვრულად და თეორიულად.

შორს რომ არ წავიდეთ, შეიძლებოდა იქედან დაგვეწყო, რომ პროგრესული რომანტიკოსების იდეალიზმი, არც ობიექტური, არც სუბიექტური არასოდეს მისულა სოლიპსიზმამდე, რომ მარტოოდენ „მე“ არის რეალობა, ხოლო ყველა დანარჩენი, რაც გარე სამყაროს შეადგენს, არ არსებობს, მხოლოდ ჩემი შეგრძნებებია, არსებობს იმდენად, რამდენადაც მე ვარსებობი. მაგრამ პასუხგაუცემელი რჩებოდა თვით ძირითადი საკითხი: თუ ჩემით არსებობს გარე სამყარო, ხოლო მე არსებობა ვარ, მაშინ გარე სამყაროც არსებულა, რამდენადაც მე ვარსებობ. დეკარტეს ცნობილი

დეფინიცია — „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“ შეიძლებოდა აქამდე მისულიყო, თუ ლოგიკურად განვითარდებოდა იდეალისტური წინააღმდეგობის გაუწევლად.

ბარათაშვილმა შესანიშნავად იცის, რომ ადამიანი ნაწილია ბუნებისა და სამყარო მისი მოქმედების უსასრულო ველი. არსად იგი არ გვეუბნება „მე“ განაპირობებს ყველაფერს, აზრი არსის დამოუკიდებლად არსებობს. პირიქით, მას ბოლომდე სწამს, რომ არსი მეტია აზრზე, პირველი უსასრულოა, ხოლო მეორე ბოლოვადი. ეს უკანასკნელი პოსტულატი მის ფილოსოფიაში ზოგადი სახითაც უცვლელი რჩება და კონკრეტული ადამიანის მიმართაც დაურღვეველი. აქ ედავება მას, სავსებით სამართლიანად, ჩვენი გაგება აზრის ბოლოვადობისა, რომ ადამიანის შემეცნება სუბიექტურიც არის და არასუბიექტურიც. მაგრამ პოეტს ვერავინ დადებს ბრალს, რატომ ასე არ ფიქრობდა. არც შეეძლო ეს გაეკეთებინა როგორც თავისი დროის შვილს, თუმცა ის კი ზედმიწევნით იცოდა, რომ ყველაფერი, რაც არსებობს, მარადიული არ არის, არსებობა მოსპობასაც ნიშნავს, როგორც კანტი ამბობდა, ხოლო პოეტმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს, მაშინ ვილამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..“

შეიძლება გვითხრან: ბარათაშვილი ქრისტიანია, ქრისტეს მორწმუნე, და აქ იმასვე იმეორებს, რასაც აპოკალიპსი ამტკიცებდა — არსებული ქვეყნის აღსასრულს, ვიდრე ქრისტეს მეორედ მოსვლა დასაწყისს მისცემდეს ახალ მეუფებას. მაგრამ ეს სწორი არ იქნება: პოეტი თავის სიტყვებს ლაპარაკობს ყოფნა-არყოფნის, წუთისოფლის, ადამიანური ცხოვრების შესახებ პოეტურ-ფილოსოფიური მსჯელობის დროს და საკითხისადმი რელიგიური მიდგომა აქ არსად გაუმჟღავნებია. მთელს ლექსში — „ფიქრნი მტკვრის პირად“ რელიგიის ნატამალიც არ არის. პოეტი ყოფნა-არყოფნის ზოგადკაცობრიულ პრობლემას ეხება და საკითხისადმი მხოლოდ ფილოსო-

ფიური მიდგომა აქვს პოეტურ ფორმაში. ამიტომ ჭრისტიანული დოგმატიკით, კერძოდ, აპოკალიპსით, ალიარებული დასასრული აქ არ შეიძლება მოვიტანოთ. ლაპარაკია მხოლოდ ფილოსოფიურ ასპექტებზე და მხოლოდ ფილოსოფიურ განსჯაზე.

ბარათაშვილი, რომელიც მუდამ წინ იხედება, მუდამ ცდილობს თავისი მძიმე ეპოქის საზღვრები გაარღვიოს, მომავალს ეტრფის და ემსახურება, მაინც თავისი დროის შვილია. ამიტომ მის აზროვნებაში შეუძლებელია არ იყოს დანაშრევები იმ ფსიქო-იდეოლოგიისა, რასაც ჩვენ ხსენებულ ეპოქას მივაწერთ. მაგრამ გასაკვირი ეს კი არ არის, საოცარი სწორედ ის იქნებოდა, თუ საწინააღმდეგო სურათს მივიღებდით. თავისი დროის ცდუნებას ვერცერთი გენიოსი ვერ ასცდა, როგორი პროგრესულიც არ უნდა ყოფილიყო, მათ შორის ლესინგი და გოეთე, შილერი და ბაირონი, გერცენი და ბელინსკი, პუშკინი და ლერმონტოვი.

ბარათაშვილიც გამონაკლისი არ არის, მიუხედავად მისივე თანამედროვეობისადმი მძაფრი უარყოფითი რეაქციისა, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროს ნეგატიურად უყურებს, მწარე ნაღველით დასცინის კიდეც, და წარსულით გატაცებული, ორიენტაციას მხოლოდ ძომავალზე იღებს.

მაგრამ პოეტმა კარგად იცის, რომ მომავალზე ორიენტაცია ფუჭი ოცნებაა, თუ ანწმყოს არ ემსახურება იმავე მომავლის ინტერესების დასაცავად. ამიტომ კონფლიქტი იდეალსა და სინამდვილეს შორის, რაც ასე დამახასიათებელია ბარათაშვილის როგორც შემოქმედების, ისე ეპისტოლარული მემკვიდრეობისათვის, მართალია, კონფლიქტად რჩება, მაგრამ სათავეცაა მოქმედების ფილოსოფიისა.

ეს ფილოსოფია სამძირითად ფენომენს ემყარება: იდეალურ წარსულს, მწარე ანწმყოს და მშვენიერ მომავალს. პირველი სანიმუშოდ მიაჩნია, მაგრამ, როგორც დაკარგული, მხოლოდ ოცნებაში არსებობს ტკბობისა, ბაგალითად მიჩნევისა და ოხვრისათვის; მეორე თვალწინაა,

როგორც ფიზიკურად ცოცხალი სინამდვილე, თუმცა მკვდარი და უსიცოცხლო მღელვარე სულისათვის — ის მხოლოდ უარყოფითი საყრდენია, რათა იმოქმედო მისივე ნეგაციის მისაღწევად; მესამე შორეულია, მაგრამ ერთადერთი რეალური გზაა ჭეშმარიტებით გაცისკროვნებული, რასაც მთელი არსებით უნდა ემსახურო.

ასე დგას ბარათაშვილის მემკვიდრეობაში ეპოქებისა და დროის პრობლემა, ხოლო ვისაც ამ თვალით არ შეუხედია დიდი პოეტის შემოქმედებისათვის, საეჭვოა მას საერთოდ გაეგებოდეს ჩვენი ოქროპირი. მაგალითად შეიძლება მარტო ორი დიდი მოღვაწე დავასახელოთ აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე. როცა პირველმა მეორე დაასახელა სამოციან წლებში ბარათაშვილის ერთადერთ მემკვიდრედ, მას უეჭველად ეს მომენტიც ჰქონდა გათვალისწინებული. და განა ილია ჭავჭავაძე ამ მხრივაც ბარათაშვილის მემკვიდრე არ არის? განა ილია ჭავჭავაძემ ლაიბნიცის სიტყვებით არ გამოხატა ყოველივე ეს, როცა ჭართულად დაიმღერა: „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა!“ განა ვინმეს შეუძლია უარჰყოს ილია ჭავჭავაძის კონცეფციაში ამგვარი გაგება?

ილია ჭავჭავაძე მსგავსად ბარათაშვილისა, წარსულს იდეალურად მიიჩნევდა, აწმყოს — მწარედ, ხოლო მომავალს — დიდებულად. მაგრამ ეს არ იყო მარტოოდენ ილია ჭავჭავაძის credo. ეს იყო საერთოდ თერგდალეულების კონცეფცია, რომელმაც სათავე ბარათაშვილიდან აიღო და ამიტომაც სწორედ ბარათაშვილი იქნა აღიარებული ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლად, მის დამწყებად. მიუმატეთ ყოველივე ამას ილია ჭავჭავაძის ეპოქალური სიტყვები წარსული დროების დარდებზე, სხვა ვარსკვლავის პოვნისა და მომავლის შექმნისა — მაშინ თქვენ ხელში გექნებათ ახალი ვარიანტით გამოთქმული მოქმედების ფილოსოფია ბარათაშვილისა.

ყოველივე ეს მოხდა იმ ცნობილი კანონის ძალით, რომელსაც ჩვენ მეცნიერებაში დიფერენციაცია — ინტეგრაციის პროცესს ვუწოდებთ, მაგრამ ნაკლებად ვუყენებთ

ხელოვნების სფეროს. მხედველობაში ამჟამად არა გვაქვს რემინისცენციებისა, თუ გავლენების პრობლემა, რაც ასე დამახასიათებელი იყო ისტორიული ლიტერატურათმეტყველებისათვის. ვლაპარაკობთ მეცნიერებაში დიფერენციაცია-ინტეგრაციის შესახებ, რაც ჩვენს დროში იმდენად გაფართოვდა, რომ ძველთან შედარებასაც ვერ უძლებს. თუ ძველად ფილოსოფიიდან მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ლოგიკის, ფსიქოლოგიის, პოეტიკის, ესთეტიკის გამოყოფას ათეული საუკუნეები დასჭირდა (დიფერენციაცია), დღეს ანალოგიური პროცესი ერთიდან მეორის გამოყოფისა წლებსაც აღარ საჭიროებს. გუშინდელი ერთი მეცნიერება — კიბერნეტიკა, დღეს ორ ათეულზე მეტი ახალი დარგის შემცველია, და მასში თავსდება მეცნიერებათა როგორც დიფერენციაცია, ისე ინტეგრაცია — მომიჯნავე დარგების შერწყმა. ამიტომ აღარავის აკვირვებს მეცნიერების ინტეგრაცია. ეს სრულიად რეალური ფაქტია, რასაც ამტკიცებს ერთი აღმოჩენით მეორის განპირობება. მაგალითად, დეკარტემ მე-17 საუკუნის გარიჟრაჟზე საფუძვლები ჩაუყარა ანალიტიკურ გეომეტრიას, მაგრამ ამითვე ჩაეყარა საფუძველი დიფერენციალურ და ინტეგრალურ აღრიცხვას, როგორც მათემატიკური მეცნიერების სრულიად ახალ დარგს. ამიტომ აბსოლუტურად მართალი იყო ენგელსი, როცა მიუთითებდა: ნიუტონმა და ლაიბნიცმა იგი კი არ გამოიგონეს, ზოგადად და მთლიანად დაასრულესო. ანალოგიური მაგალითები იმდენია მეცნიერებათა ყველა დარგში, რომ ტიპიური შემთხვევების მარტოოდენ ჩამოთვლასაც კი ტომები ვერ აუთავდება.

ვინც ღრმად დაჰკვირვებია, დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესს ადგილი აქვს აგრეთვე ხელოვნებაში, სადაც ერთის წარმატება ბიძგს აძლევდა მეორეს, არამარტო რემინისცენციის, არამედ, აუცილებლობის ძალით. ანტიკური ბერძნული ხელოვნება ეგვიპტურის ძლიერი გავლენით შეიქმნა, ხოლო ჩვენ არ ვიცით ვირგილიუსი რა იქნებოდა, ჰომეროსი რომ არ ყოფილიყო, ჰუშკინი—წინამორბედი რუსული პოეზიის გარეშე, ბარათაშვილი — ურუსთაველოდ, ხოლო ილია ჭავჭავაძე—

ძლიერი გავლენა ბარათაშვილისა რომ არ განეცადა. დიდი წარმატება ყოველ დარგში ახალი წარმატების დედაა, და ხელოვნება გამონაკლისი კი არ არის, ცოცხალ ილუსტრაციას წარმოადგენს. ხდებოდა პირიქითაც: სენტიმენტალიზმი და რომანტიზმი განვითარდა, როგორც კლასიციზმის რეაქცია, ხოლო თვით რომანტიზმის რეაქციაა რეალიზმი წარმოადგენდა. რაციონალიზმის ნაცვლად, რაც კლასიციზმის თეორიულ საფუძვლად იქცა, პროგრესულმა: რომანტიზმმა მოქმედების ფილოსოფია წამოაყენა, როგორც თავისი იდეური მრწამსი.

სრულიად ანალოგიური სურათი გვაქვს ქართულ რომანტიზმში. მისი გენიალური წარმომადგენელი — ნიკოლოზ ბარათაშვილი ყველგან გვევლინება მოქმედების ფილოსოფიით, პესიმისტური ხასიათის ლექსებშიც და ოპტიმიზმით სავსე შედევრებშიც. ამ ფილოსოფიის საფუძველი ბრძოლაა, როგორც არსებობის უპირველესი პრედიკატი. გაიხსენეთ „ფიქრნი მტკვრის პირად“ (სოფლისთვის ზრუნვა), „ჩემთ მეგობართ“ (დროის შესაფერად მოხმარება), „სულო ბოროტო“ (ბედთან შეურიგებლობა), „ბედი ქართლისა“ (თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს დასაცავად),—ყველგან ეს ფილოსოფია გვაქვს, რომელსაც სრულყოფილი პოეტური გაფორმება მიეცა ჯადოქრულ „მერანში“.

მაგრამ განა საჭიროა ვამტკიცოთ, რომ ბარათაშვილის მოქმედების ამ ფილოსოფიას საერთო არაფერი აქვს თანამედროვე პრაგმატიზმთან, რომელიც მაშინ, ჯერ ერთი, არ იყო, მეორეც — პრაგმატისტების მტკიცება, რომ მეცნიერებასა და რელიგიას შორის დემარკაცია თითქმის არ არსებობსო—ბარათაშვილთან არსად არ გეხვედება. ბარათაშვილის მოქმედების ფილოსოფია მთლიანად ძევს იდეალიზმისა და მატერიალიზმის იმ საზღვართან, საიდანაც ჩვეულებრივად სათავეს იღებდნენ ძველი რეალისტური მსოფლმხედველობანი, რომლებიც ცდილობდნენ ორივეს მიღწევა. სამყაროს შეუმარიტი ახსნის ცდის პარალელურად, ადამიანის ბედნიერებისათვის სამსა-

ხურში გამოეყენებინათ. ეს ერთი უძლიერესი მხარეა ბარათაშვილის როგორც პოეზიის, ისე მისი ფილოსოფიისა.

აქედან მოდის მეორე ძლიერი ნაკადიც — განდიდება თავისუფლებისა, ურომლისოდ პოეტს ვერ წარმოუდგენია ვერც ადამიანის არსებობა, ვერც პიროვნების ღირსება. მსოფლიო რომანტიზმის ეს ერთი ძირითადი ტენდენცია ბარათაშვილმა ქართულ რომანტიზმში დიდ მხატვრულსა და ფილოსოფიურ განზოგადებამდე აიყვანა. საკმარისია გავიხსენოთ „სუმბული და მწირი“ — თავისუფლების ეს უაღრესად ძლიერი ალეგორიული ჰიმნი, „მერანის“ შინაგანი მაჟორი თავისუფლებისა, „ჩჩვილის“ ოდა — „ვიდრემდის ხარ, ყრმაო თავისუფალი“, „სულო ბოროტოში“ გლოვა აღქმული თავისუფლების დაკარგვისა, ხოლო „ბედი ქართლისას“ ის ადგილები, სადაც პოეტი თავის გმირებს ათქმევინებს: „ჯერ სამაგისო რა გეეძართება, რომ განვისყიდოთ თავისუფლება?“; „ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს არად მიაჩნით უბედურება, თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება“; „მისდევდე შენსა გულისკვეთებას და უთრგუნვიდე თავისუფლებას“: „არ მოგაკლდებათ თავისუფლება, განცხრომილება. ფუფუნეულობა“ (კანცლერი ლეონიძე); „რა ხელჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული?... ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება, თუ მოაკლდება თავისუფლება?“ (სოფიო). ბარათაშვილამდე არცერთ ქართველ პოეტს ასეთი ძლიერი ჰიმნებით არ უმღერია თავისუფლებისათვის და მისი ტახტრევანი ასე ძლიერი გრძნობით არ დაუმშვენებია. თუ ერთ შემთხვევაში თავისუფლება ბარათაშვილთან ზოგადი სახითაა გააზრებული, როგორც იდეალური, მაგრამ აუცილებელი ფენომენი, მეორე შემთხვევაში იგი ღებულობს კონკრეტულ სახეს, გვევლინება ქვეყნის ან პიროვნების თავისუფლებად. აქ შემოდის ის აბოლიციონიზმი, რომელიც მსოფლიო რომანტიზმმა თავის დროშაზე წააწერა და ძნელი არ არის იგი გამოვიცნოთ სუმბულის ნატვრაში, სოფიოს სიტყვებსა და „მერანის“ ლირიკული გმირის თავაწყვეტილ ჰენებაში. მონური ხუნდების მსხვრევა ბა-

რათა შვილის პოეზიიდან ისევე გვესმის, როგორც აბოლიციონიზმის ქადაგება მსოფლიოს პროგრესული რომანტიკოსების შემოქმედებაში. ეს უეჭველად არის მსოფლიო რომანტიზმისათვის დამახასიათებელი აბოლიციონიზმი და ბარათაშვილი ამ მხრივაც გვერდით უდგას პროგრესულ რომანტიკოსებს.

მაგრამ რა უნდა ვიგულისხმოთ რეალისტურ მსოფლმხედველობაში, რომელიც ასე დაუკავშირეთ ბარათაშვილის მოქმედების ფილოსოფიას?

არა ქრისტიანული, ანუ სქოლასტიკური რეალიზმი შუა საუკუნეებისა. არამედ, ის რეალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც იდეალიზმისა და მატერიალიზმის თავისებურად გაგებულ პოზიტიურ ელემენტებს იყენებს, ამ საფუძველზე თავის საკუთარ კონცეფციას იმუშავებს სინამდვილის ახსნისა და საზოგადოების სამსახურისათვის. ეს რეალისტური მსოფლმხედველობა არც იდეალიზმით ისაზღვრება, არც მატერიალიზმით, მაგრამ ორივეს იერთებს მისი გაგებით პოზიტიური ასპექტის მისაღწევად.. ამიტომ მას არ ახასიათებს მკაფიოდ გამოკვეთილი დუალიზმი, როგორც. მაგალითად, კარტეზიულ ფილოსოფიას, სადაც გნოსეოლოგია მთლიანად იდეალისტურია, ხოლო ბუნების მოვლენების ახსნა (ფიზიკის დარგში) მექანისტური მატერიალიზმის პრინციპებს ემყარება. ეს არ ესმოდა მალბრანშს, რომელმაც დეკარტე მართოდენ იდეალისტად მიიჩნია. დავსძენთ, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ მკაფიოდ გამოკვეთილ დუალისტურ თვალსაზრისზე, ვამბობთ ეს არ არის, ხოლო. თუ ანალიტიკურად დავშლით, ცხადია, დუალისტურ თვალსაზრისს ხსენებული რეალისტური მსოფლმხედველობაც ვერ ასცდა და ვერც ასცდებოდა, ვინაიდან ცდა ორი დაპირისპირებული თვალსაზრისის გაერთიანებისა, როგორი ბუნებრივი ფორმა არ უნდა მიიღოს, დუალისტური დანაშრევების გარეშე წარმოუდგენელია.

მაგრამ, თუ ჩვენ დუალისტური არ ვუწოდეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის რეალისტურ მსოფლმხედველობას, მხოლოდ

იმიტომ, რომ მისი კონცეფცია, მხატვრული სახეებით ესოდენ მდიდარი, უფრო მთლიანი გვეჩვენება, ვიდრე თვით დუალისტებისა, მიუხედავად იმისა, რომ იქაც „დუალიზმთან“ გვაქვს საქმე, რაკი იდეალისტურსა და მატერიალისტურ ელემენტებს შეიცავს. სწორედ ამგვარი რეალიზმი გამოარჩევს მსოფლმხედველობას ისეთი გენიოსებისას, როგორიც არიან გოეთე და ბაირონი, პუშკინი და ლერმონტოვი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. რაც შეეხება ბარათაშვილს, მისმსოფლმხედველობაც სწორედ ამ რეალისტურ ნაკადს განეკუთვნება, რასაც საუკეთესოდ გვიდასტურებენ მისივე ფილოსოფიური პრედიკატები: ერთის მხრივ, იდეალისტური გაგება ადამიანური აზრის სუვერენულობისა („შეღამება მთაწმიდაზედ“ — „შენამდინ ვერ მოაღწეენ და ჰაერშივე განიბნევიან“), მეორეს მხრივ, საკმაოდ მატერიალისტური დეფინიცია („ფიქრნი მტკვრის პირად“ — „და აღიძვრიან იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!“). ეს ზოგადი, მაგრამ ძირითადი პოსტულატები ბარათაშვილის შემოქმედებაში ყველგან იჩენენ ხოლმე თავს და კონკრეტულ სახეს ღებულობენ ყველა კონკრეტული შემთხვევის მიმართ, სულერთია, საზოგადოებრივ (სოციალურ-პოლიტიკურ), თუ პიროვნულ (მორალურ-სუბიექტურ) პრობლემებთან გვექნება საქმე.

მაგრამ იქ, სადაც ბარათაშვილი მიხეილ თუმანიშვილისადმი 1838 წლის 6 აგვისტოს გაგზავნილ წერილში ლაპარაკობს „სამარადისო სიცალიერისა“ და „ზეციურ-მიწიერი სანახაობის“ შესახებ, რაც დაგვირგვინებულია ლოგიკური დეფინიციით: „უბედურის ნუგეში, ბედნიერების დასასრული იაო“, სხვას არაფერს ნიშნავს, გარდა ყოფნა-არყოფნის ფილოსოფიური განჭვრეტისა. აქ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: ეს აზრი ბარათაშვილს შემთხვევით არ წარმოუთქვამს. თითქმის იგივეა განმეორებული მაიკოორბელიანისადმი 1842 წლის 31 ოქტომბერს გაგზავნილ წერილშიც. ბარათაშვილი შემდეგი სიტყვებით ანუგეშებს ერთგულ მეგობარს: „თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა

ჰქონდეს. ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადრიელი იყოს ამ წუთის სოფლისა. — დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან!"*

ძნელია უკეთესი დახასიათება წარმავლობის ფილოსოფიისა. თუმცა, როცა ამას ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს არა რომელიმე დოქტრინა, არამედ, ჩვეულებრივი წუთისოფლის მდინარება და მისი გრძნობიერი აღქმა, რაც გონებას თავისი სხივებით გაუნათებია. ადამიანები სტოვებენ ამ ქვეყანას, მაგრამ რჩებიან საქმეები, რომლებიც არსებობას განაგრძობენ.

მაგრამ რა არის იქ, ზეციერში, რაც ასე აწუხებდა ჰამლეტის დაეჭვებულ გონებასაც? მართლაც ხედებიან ერთმანეთს გარდაცვლილთა სულები, როგორც რელიგიები და იდეალისტური სისტემები თავაზობდნენ ადამიანებს?

ბარათაშვილს არსად ეს არ უთქვამს. მაგრამ ორი სულის შეხვედრა იმ ქვეყნად, რასაც პატრისტიკა დოგმატებით განამტკიცებდა, ბარათაშვილის „ქეთევანში" (1835) გვევლინება არა ავტორისეულ. არამედ, გმირისეულ ფილოსოფიად. სიყვარულში ბედგანწირულ ქეთევანს სწამს, რომ სიკვდილის შემდეგ დამტკიცდება მისი უდანაშაულობა, ჭეშმარიტება გაიმარჯვებს, რაც უზენაესს სამეფოში სატრფოს შეახვედრებს. მას სხვაგვარად არ შეეძლო წარმოედგინა ამქვეყნიური ყოფნა-არყოფნის იმქვეყნიური გარდასახვა, როგორც ქრისტიანულ დოგმატებზე აღზრდილსა და იმავე დოგმატების ერთგულს. ქეთევანის ეს თეოსოფიური რწმენა აზროვნული კოლორიტის შემცველია. ხოლო, მეორეს მხრივ, იმის გამომხატველი, რომ ბარათაშვილს დიდი უნარი ჰქონდა ადამიანების — პოეზიის მოქმედი პირების ცოცხლად, მთელი მათი არსების სრული სახით დახატვისა, როგორც ჩვენ ამას ვხედავთ პოემაში „ბედი ქარ-

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 102.

თლისა", სადაც ასე საოცარი ბუნებრივობით წარმოისახებ ერეკლე და მისი კანცლერი, სოფიო და თვით ლირიკული გმირი პოეტისა.

ყოველივე ეს მაინც არ ნიშნავს ბარათაშვილის მემკვიდრეობაში ქრისტიანული რელიგიის კვალი არ იყოს. შემთხვევითი არ არის, რომ პოეტმა ერთგვარი ხარკი გადაუხადა თავისი დროის ცდუნებას, თუმცა არასოდეს მისულა ანდრონიკთა მტკიცებამდე, რომ კეთილი და ბოროტი სული — ორივე თანაბრად სამყაროს შემოქმედიაო. სამყარო პოეტს სიკეთის განსახიერებად ჰქონდა წარმოდგენილი, ხოლო ბოროტი სული მის სიმახინჯედ. ამიტომ ებრძოდა ამ სიმახინჯეს მთელი თავისი გმირული თავგამეტებით მშვენიერების მომღერალი ბარათაშვილი.

არც ის შეიძლება მივიჩნიოთ შემთხვევითად, რომ ბარათაშვილთან გვხვდება მის დროს ასე გავრცელებული მოძღვრების პრინციპი — „ეძიებდე და ჰპოვებდე"; გვხვდება პრინციპი, რასაც ყველა ქრისტიანს შთააგონებდნენ და რასაც ეუბნებოდა, მაგალითად, მოხუცი ეფრაიმი თავის შვილს ეპტონ სინკლერის მოთხრობაში — „სამუელ მაძიებელი". ამ პრინციპს ჩვენმა პოეტმა არა ჩვეულებრივი, არამედ, ნამდვილად ახლებური მხატვრული ჟღერადობა მისცა, როცა თავის ლირიკულ გმირს ათქმევინა: „ეძიე ყმაო, შენ მხვედრი შენი, ვინძლო იპოვო შენი საშვენი!" მაგრამ, თუ თავისთავად აღებული პრინციპი გამოხატავს კატეგორიულ იმპერატივს, კანტის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, თვით პოეტი, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია რომანტიკოსებისათვის, უმალ დგება სკეპტიკურ პოზიციაზე ამ ქრისტიანული დოგმატიკის წინააღმდეგ და იქვე გვეუბნება: „...მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებო!" უფრო ადრე კი პოეტმა ცხოვრების რთული ფენომენი არანაკლები .ძალით გამოხატა ბარათაშვილის პოეტურ თქმაში — „მქონდა მცირე წადილი, ვერ მივხვდი კი ძნელობას" („ბულბული ვარდზედ", 1834), თითქოს წინასწარი პასუხია გაცემული მისივე ცხოვრების მომავალ კოორდინატებზე.

გარდა ამისა, თუ დავაკვირდებით, ორი ძირითადი

ფილოსოფიური დეფინიცია გამომდინარეობს ბარათაშვილის „შემოღამებიდან მთაწმინდაზედ“, უფრო სწორად, იმ ადგილიდან, სადაც პოეტი ადამიანური აზრის შესაძლებლობას სუვერენულ ფორმაში გვიხატავს, ხოლო ზეციური განგების ანუ უმაღლესის ნების შეცნობას მარტოოდენ განვითარებულ სულს მიაწერს. პირველ შემთხვევაში დოდაშვილის გზით კანტთან მივდივართ, მეორე კი შექსპირის „ჰამლეტის“ იმ ცნობილ სცენას მოგვაგონებს, როცა დანიის პრინცი თავის დედას ჰერტრუდას ესაუბრება და მოულოდნელად მამისა ჩრდილი მოევლინება. თავისთავად იმის რწმენა, რომ ადამიანის ფიქრს (აზრს), რომელიც ზეცისაკენ (მიღმური ქვეყნისაკენ) არის მიპყრობილი, არ შეუძლია მისი წვდენა („შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან“), თითქმის იგივეა, რაც კანტის ცნობილი თეზისი ტრანსცენდენტურისა, რომლის მიხედვითაც ადამიანურ შემეცნებას არ ძალუძს მისწვდეს „საგანს თავისთავად“. ადამიანი რჩება მარტოოდენ ფენომენების ქვეყანაში, ხოლო ნოუმენების სამყარო მისი აზრის შესაძლებლობისათვის გამორიცხულია. ამ დასკვნისაკენ ბარათაშვილს უთუოდ წაუბიძგებდა კანტის ცოდნა, თუნდაც დოდაშვილის გზით, ან ქართული ფილოსოფიური აზრის მდგომარეობა იმ დროს, როცა ჩვენი გენიოსი პოეტი ცხოვრობდა.

ბარათაშვილის პოეზიაში შემეცნების ეს პრობლემა შემთხვევით არ გაჩენილა. დოდაშვილის ფილოსოფიური შტუდიები მას უეჭველად ღრმად დააფიქრებდნენ ტრანსცენდენტალური ესთეტიკის საკითხებზე და ლოგიკის პარალელურად, მთელ მოძღვრებას დააწაფებდნენ. ამიტომაა ბარათაშვილის როგორც პოეზიაში, ისე ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ასე ხშირი შეხვედრები ლოგიკურსა და ზოგადფილოსოფიურ დეფინიციებს შორის. ერთგან პოეტი სწერს ზაქარია ორბელიანს: „ჩვენი დანიშნულების მიზნის მიუწვდომლობამ, ადამიანის სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამ ქვეყნიურის ამოებამ ჩემი სული

საშინელი სიცალიერით აღავსეს".* ამ სიტყვებს ფილოსოფიურად განუსწავლელი კაცი ვერ დასწერდა; კიდევაც რომ ეგრძნო, სხვანაირად მოაბრუნებდა, სულ სხვა ფორმაში ჩამოაყალიბებდა. აქ კი გველაპარაკება ადამიანი, რომელსაც არამარტო მიზნის მიუწვდომლობა (ფილოსოფიის ენაზე შემეცნების სუვერენულობა) გაგებული აქვს, არამარტო ხედავს ადამიანის სურვილთა წრეშეუწერელობას (მაშასადამე, შემეცნების იმანენტურ მისწრაფებას), არამედ, ეკლეზიასტეს დეფინიციას უერთებს სუბიექტის შინაგან სამყაროს. რაკი ესმის, შესაძლოა კანტის მსგავსად, რომ მოვლენა (ფენომენი) წარმავალია და ამის შეგნება ადამიანის სულს აცალიერებსო. აქედან გამოსავალი ბევრმა ვერ ჰპოვა, ხოლო ბარათაშვილის გენიამ შეიძლო მისი საზღვრების გადალახვა და სკეპტიციზმამდე კი არ მიგვიყვანა, ამ სოფლისათვის ზრუნვის თეზისს გვაზიარა, რათა ჩვენთვის ოპტიმიზმი შთაენერგა. ბარათაშვილი შუაგზაზეარშეჩერებულა, პირიქით, წინწავიდა, რომ ადამიანური აზრი, გონება, კეთილშობილი მისწრაფებანი განედიდებინა.

მეორე შემთხვევას, რომელიც საწუთროების იქითა სადგურის ძიებას გამოხატავს. მაგრამ თავდება პოეტური დეფინიციით — „ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს", უნებლიედ გადავყავართ, როგორც მოვიხსენიეთ, შექსპირის გაგებასთან, რაც ტრაგედიის მესამე მოქმედების მთელ მეოთხე სურათშია განსაზიერებული — ჰამლეტის ცნობილ დიალოგში ჰერტრუდასთან.

ვიდრე ამ სცენას დავახასიათებდეთ, უნდა გავიხსენოთ შექსპირის გამოთქმები — მაჩაბლისეული თარგმანი: „გონების თვალი"** (ჰორაციო ამბობს). „მე ვხედავ მას (აჩრდილს — გ. ჯ.) გონების თვალით"*** (ჰამლეტი).

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 106.

** ლოზინსკიც ასე თარგმნის შექსპირის ამ გამოთქმას: «Глаз рассудка» (Шекспир, ტ. 6, გვ. 12).

*** ეს ადგილი ლოზინსკის შემდეგნაირად აქვს თარგმნილი. «В очах моей души», (გვ. 20).

ეს გონება ახალ ფილოსოფიაში, რომლის დამწყებად შექსპირსაც თვლიან, გულისხმობს განვითარებულ ისულის ანალოგიას. ერთსაც და მეორესაც ენიჭება უნარი იმას მიწვდეს, რაც შეუძლებელია ჩვეულებრივი ადამიანის, როგორც მარტოოდენ სისხლ-ხორცით სავსე არსებისათვის. მამის აჩრდილი ხომ ჰამლეტს პირდაპირ ეუბნება: „მაგრამ სისხლ-ხორცით ქმნილნი ყურნი ვერ მიჰხვდებიან, რაც ამბავია საუკუნო განსასვენებელსო". ადამიანი, რომელიც მხოლოდ ამქვეყნიური ვნებათა-ღელვით არის შეპყრობილი, და არც სული, არც გონება განვითარებული არა აქვს, მას არ შეუძლია უზენაეს საიდუმლოებას მიწვდეს — ასეა შექსპირთან. ამ თეზისს დიდი ტრაგიკოსი ჰამლეტსაც ათქმევინებს ტერასზე მამის აჩრდილთან პირველ დიალოგში: „სულს და გონებას რათ გვირყევ ჩვენ, ბუნების გლახაკთ, ისეთ ფიქრებით, რასაც ჭკუა ვერ მისწვდომიაო".* ჰამლეტს ისიც სწამს, რომ სამყაროს ბევრ საიდუმლოებას განვითარებული ვერც სული მისწვდება, ვერც გონება. ამიტომ ეუბნება თავის ერთგულ მეგობარს; „ბევრი რამ ჰხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არც კი მოლანდებიათო".

ყოველივე ამის შემდეგ სავსებით გასაგები ხდება ჰერტრუდასთან ჰამლეტის დიალოგში ის ადგილი, როცა მამის აჩრდილი გამოჩნდება. შვილის სასტიკი მამხილებელი სიტყვების შემდეგ ჰერტრუდა სასოწარკვეთილებაშია, მიხვდა თავის დანაშაულს, გაიგო, რომ კლავდიუსს თავისი ძმა მოუკლავს, რძალი ცოლად შეურთავს და ტახტი ძალადობით მიუსაკუთრებია. სწორედ ამ სასოწარკვეთილების დროს მამა — ჰამლეტის აჩრდილი, რომელიც მარტოოდენ სულია, შვილს — ჰამლეტს თხოვს: „...შეხედე დედაშენსა, როგორ თრთის შიშით, ჩადექ შენ იმის შემკრთალ სულსა და იმას შორის, თორემ ოცნება სუსტზედ უფრო ძლიერ

---

* ლოზინსკის თარგმანში ცოტა შეცვლილია, მაგრამ აზრი ძირითადად იგივეა: «И нам, шутам природы, так жутко потрясаешь естество мечтой, для наших душ недостижимой? (გვ. 31).

მოქმედებსო". ჰამლეტი ხედავს მამის აჩრდილს, როგორც „მეფეს მჩვრებში გამოხვეულს", ესაუბრება კიდეც, ხოლო ჰერტრუდას თვალიც და სმენაც დახშული აქვს— ვერც ხედავს, ვერც ისმენს! მისთვის ის, რასაც ჰამლეტი ხედავს და ისმენს — „ცალიერი სივრცეა", როგორც თვითონვე ამბობს. არსებითად ეს არის ჰერტრუდას გონებისა და სულის ციცალიერე, იმის შედეგი, რომ იგი მარტოოდენ „სისხლ-ხორცით ქმნილი" არსებაა, რომელსაც სული ან გონება არ გააჩნია, მარტოოდენ ამქვეყნიურ ვნებათა მორევს მისცემია, მაშასადამე, უზენაესი საიდუმლოების შეცნობას მოკლებულია, რაკი „გლახ მოკვდავთა" კასტის წარმომადგენელია.

ჰამლეტი — პირიქით! მისი გონებაც და სულიც იმდენად განვითარებულია, რომ „ციურ განგებას" სცნობს, თუმცა იმ საზღვრებში, რაც შექსპირის რწმენით ამგვარი ადამიანებისათვის თვით განგების მიერ დაშვებულია. ეს კი ჰერტრუდას მიაჩნია მხოლოდ „წარმოდგენის ნაყოფად", რაკი სწამს, რომ „ბნელით მოცულს ჭკვას (ჰამლეტის განვითარებული გონება მისთვის „ბნელი ჭკუააა", „ჭკვიდამ შეცდენაა" — გ. ჯ.) მოჩვენება ეწვევა ხშირად". მაშასადამე, ის, რაც ჰამლეტისათვის რეალობად ქცეულა, ჰერტრუდას „ცალიერ სივრცედ" ეჩვენება, ვინაიდან „გლახ მოკვდავია" და „ციური განგების" წვდენის უნარი, განვითარებული სულის ადამიანთათვის დამახასიათებელი, მას არ გააჩნია.

განვითარებული სულის ეს ფილოსოფია ბარათაშვილთანაც გვხვდება „გლახ მოკვდავნის" პოეტური თქმით, ხოლო ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში პირდაპირ არის მოხსენიებული, თუმცა რომანტიკულ შუქზე. ეს რომანტიკული იერი დაჰკრავს ხსენებული სულის მოღლილობას თავისი ძიების გზაზე და ბარათაშვილი რჩევას აძლევს ზაქარია ორბელიანს: „ადამიანის სული, რომელმაც მიაღწია თავის სრულ განვითარებას, და შეასრულა ზეცით მისთვის მიჩნეული საქმე, მოქანცული ბოლოს ეძებს განსვენე-

ბას"... * იდეალი კი პოეტისა სწორედ განვითარებული სულია, რომელსაც უნარი აქვს შეიცნოს „ციური განგება", ცხადია, ადამიანური შესაძლებლობის ფარგლებში.

მაგრამ ბარათაშვილის ეს „განვითარებული სული" არ არის და არც შეიძლება იყოს ლაიბნიცის განთქმული მონადა. რა საერთოც არ უნდა ვიპოვოთ მათ შორის (საკმარისია მარტო შემეცნების უნარზე მითითება), ისინი სულ სხვადასხვა კატეგორიებია.

როგორც ვხედავთ, ბარათაშვილის პოეტურ დეფინიციაში ვგრძნობთ არამარტო კანტის ტრანსცენდენტს, არამედ, შექსპირის „გონების თვალსაც", მაშასადამე, განვითარებული სულისა და გონების ფილოსოფიურ პრედიკატს.

მაგრამ აქ არ შეიძლება წერტილი დაისვას, როცა ბარათაშვილის პოეზიის ფილოსოფიურ პრედიკატებს ვიკვლევთ.

ბარათაშვილის ფილოსოფიის არსებით მხარეს განსაზღვრავს მოქმედება და არა განჭვრეტა, სამყაროს მატერიალურობის პრინციპი და არა ქრისტიანული დოგმატიკა სულის უკვდავებისა. თვით სული მისთვის მატერიის პრედიკატია, ხოლო განვითარებული სული — შემეცნების უმაღლესი ნიჭით დაჯილდოებული. თუ ყველგან ეს პრინციპები ბოლომდე არ არის დაცული, მიზეზი უნდა ვეძიოთ არა თვით ბარათაშვილის პიროვნებაში, რამდენადაც იმ ეპოქის თავისებურებაში, რომელშიაც გენიოს პოეტს ცხოვრება მოუხდა. ყოველივე ეს დაწვრილებით გავაანალიზეთ წინამდებარე მონოგრაფიაში, და ახლა ისღა დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ყველაფერი, რაც ითქვა, ცხადად გვიჩვენებს, თუ რა დიდი იყო ბარათაშვილი როგორც პოეტი-ხელოვანი, პატრიოტი-მოქალაქე და ფილოსოფოსი-მოაზროვნე.

ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობა დიდი მხატვრული სულის ქართული რელიქტია. რომელმაც მე-19 საუკუნის

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 107.

პირველ ნახევარში ელვასავით გამოანათა, რათა უკვდავად გადასცემოდა მომდევნო საუკუნეებს. მისი პოეზიაც და ფილოსოფიაც არამარტო გვაზიარებს მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ა ს, არამედ, მუდამ წინ გვეწევა, მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა და ბ რ ძ ო ლ ი ს ა კ ე ნ გვიხმობს, მტკიცედ გ ვ ა მ კ ვ ი დ რ ე ბ ს ამ ქვეყნად მაღალი ადამიანური შეგნებით. პოეტურ შემოქმედებას მეტი არც შეუძლია. აქ მისი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი ა. რაკი ამ საზღვრებს მ ი ა ღ წ ი ა, ბარათაშვილის პოეზიამ თვით უ კ ვ დ ა ვ ე ბ ი ს საზღვრები შეიერთა და გვირგვინად მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა დაიდგა.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ (გვ. 5).

თ ა ვ ი I. **ცხოვრება ბარათაშვილისა** (გვ. 7—179).
გენიოსების ბიოგრაფია. პოეტების ქვეყანა. ბიოგრაფიის განსაზღვრა.

1.

ბარათაშვილის დაბადების თარიღი. მშობლების — ეფემია ორბელიანისა და მელიტონ ბარათაშვილის ცხოვრება. წინაპრები. მელიტონის წარმატებანი და წარუმატებლობანი. მამა-შვილის შეხვედრა ნიკოლოზ პირველთან. ტრაგიკული პიროვნება. ეფემიას და მელიტონის გარდაცვალება.

2.

დიმიტრი ყიფიანის ცნობები ბარათაშვილზე. ზოგიერთი შესწორება. ბარათაშვილის გონებამახვილობანი. სახუმარო ლექსი „ელენეს და მაროს". ახალგაზრდობის წრეში — შთამაგონებელი და ხელმძღვანელი. წრის დაშლა.

3.

კონსტანტინე მამაცაშვილის ცნობები ბარათაშვილზე. მელიტონის სტუმრები. პოეტის დახასიათება. 30-იანი წლების თბილისი. დუელი ილია ორბელიანთან. სამშობლოს ბედი და „ბედი ქართლისა". ლაისტის დახასიათებანი. როდის დაიწყო ბარათაშვილმა ლექსების წერა? კ. მამაცაშვილისა და ზ. ჭიჭინაძის ცნობები „ივერიელნის" შესახებ. რუსთაველის შემდეგ პირველი. ოჯახის უმძიმესი მდგომარეობა და მოწყალებანი.

4.

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობები ბარათაშვილზე. პირველდაწყებითი სწავლა შინ და კალოუბნის სკოლაში. აღმზრდელი მაია. ყმაწვილობის წლები ბიძის გვერდით. კეთილშობილთა სასწავლებელსა და გიმნაზიაში. სოლომონ დოდაშვილი. გრეჩის გრამატიკის ქართული ვარიანტი. დოდაშვილი

და ბატონიშვილები. ფარული საზოგადოება. დიმიტრი ყიფიანის ჩვენება. ბარათაშვილის კავშირი დოდაშვილის წრეებთან. გაჩხრეკა და დაპატიმრება. დოდაშვილის განდიდება ვახტანგ ორბელიანის მიერ. გრიგოლ გურულის ცნობა. კეთილშობილთა სასწავლებლისა და გიმნაზიის მასწავლებლები. ვარლამოვის თარგმანი. ბარათაშვილის დასჯა. ბარათაშვილი IV კლასში. მუდმივი სიკვდილიანობა და-ძმებისა ბარათაშვილების ოჯახში.

5.

ალმანახი და „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ ბარათაშვილის მონაწილეობით. ქართული პოეტიკის ისტორიული ტრადიცია. იამბიკო და თჯილისი. ალმანახში მოთავსებული მოსწავლე ბარათაშვილის პირველი ლექსები. „ვარდი და ია“. მისი დამახინჯებული პუბლიკაცია ბარათაშვილის თხზულებათა 1945 წლის გამოცემაში. „ნარგიზი და ყაყაჩო“. მისი დამახინჯებული პუბლიკაცია ბარათაშვილის თხზულებათა 1945 წლის გამოცემაში. პოემა „კავკასიური მოთხრობა“. მისი დამახინჯებული პუბლიკაცია ბარათაშვილის თხზულებათა 1945 წლის გამოცემაში. პუშკინისა და ლერმონტოვის ორიენტალისტური რომანტიკული პოემები. მიხეილ თუმანიშვილის თარგმანი პუშკინის „კავკასიის ტყვედან“. ბარათაშვილის პოემის ორიგინალობა.

6.

ბუნების გრძნობა ბარათაშვილის ალმანახისეულ ლექსებში. ბარათაშვილი ყაზბეგში (სტეფანწმიდაში). შავთელური ფორმის გამოყენება „კავკასიურ მოთხრობაში“.

7.

„თბილისის გიმნაზიის ყვავილის“ აღწერა და დახასიათება. მისი თანამშრომლები. კუკოლნიკის ლექსი ეპიგრაფად. ბარათაშვილის ფსეუდონიმები. შირიან მეფის განდიდება ბიძა-დისწულის მიერ.

8.

იყო თუ არა ბარათაშვილი საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელი. ადიუნქტ ფრიცეშეს მოხსენებითი ბარათი. სულხან ბარათაშვილის საკითხისათვის. თბილისის პირველი ბიბლიოთეკის დაარსება და ბარათაშვილის მონაწილეობა.

9.

გიმნაზიის დამთავრება და მუშაობის დაწყება ექსპედიციაში. ლოიალობის ფიცი. ბარათაშვილი და ნოვალისი მოხელის სკამზე.

10.

ბარათაშვილის სამიჯნურო გატაცებანი. „ქეთევანი“ და „ღამე ყაბახზედ“. დელფინა ლაბიელი. „ასტრა“, „ჩემს ვარსკვლავს“ და „კ. დ. ჩ.“ გატაცება ეკატერინე პავლავაძის სილამაზით და ლირიკული შედევრები. ლაისტის პარალელი.

11.

ბარათაშვილის ახლობელთა წრე.. მომღერლები სათარა და ჯაფარა. შეგობრების წრე. კავშირი პოლონელ პროფესორებთან და პოეტ ზაბლოცკისთან. იცნობდა თუ არა ბარათაშვილი ბელინსკის? ბარათაშვილი და პეტრე ბარათაევი. ნაცნობობა სუეოროვის შვილიშვილთან. ბარათაშვილის ნაცნობ მოხელეთა სია, თვით ბარათაშვილის მიერ შედგენილი.

12.

ბარათაშვილის გარდაცვალების წინათგრძნობა. გრიგოლ ორბელიანის წუხილი. საშინელი კატასტროფის შეტყობა. უმაღლესი პრძანებულობა. მელიტონის წერილი პანაშვიდის გადახდაზე. სად დაიღუპა პოეტი? გიორგი ლეონიძის მოსაზრება. თბილისი, განჯა, მურუთი. განჯის აღწერა. მურუთში გამგზავრება. მურუთის აღწერა. შვებულებისა და დასვენების საკითხი. ბარათაშვილი მურუთში. ფაქტების დამთხვევა. ჰყავდა თუ არა მურუთს მამასახლისი? ჯალადიანის სახლი. საბედისწერო სამთვენახევარს ბარათაშვილის დაუღალავი მუშაობა. ყაჩაღების დევნა, მამასახლისის დაპატიმრება, პატაკები თბილისს. მურუთს დაავადება. უკან დაბრუნება. სიკვდილი განჯაში.

13.

პოეტის დის ბარბარე ვეზირიშვილის მოგონება. დიმიტრი ყიფიანის მეუღლის ცნობა. სოფიო („აპლიპუტილა“) და ბარათაშვილი. კიდევ ვინ ჰგავდა სახით ბარათაშვილს? ბარათაშვილის დაგეროტიპული პორტრეტის საკითხისათვის. ნახატი სურათი. ყალბი სურათი. 1968 წლის იანვარში მიკვლეული სურათი ბარათაშვილის სახე არ არის. ბარათაშვილის ნაცნობთა მიერ მოცემული პოეტის გარეგნობისა და სახის აღწერები.

14.

გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთიერთობა. წერილების სერია. გრიგოლ ორბელიანის ჩვენება. უნებლიე კრიტიკა. ზაქარია ჭიჭინაძე ბარათაშვილის შესახებ. ბარათაშვილი და მისი დრო.

15.

არ ეგონათ, თუ ასე ღრმად მოაზროვნე და დიდი პოეტი იყო. კოტე ყიფიანის ცნობა და მისი გაგება. ხანგრძლივი მუშაობა ტექსტზე. „ბედი ქართლისას“ დიდი წარმატება ხელნაწერში და გავრცელება; ალექსანდრე

ჩიქოვანის პანეგირიკი. ზაქარია ჭიქინაძის დასკვნა — ბარათაშვილის მსგავსს მე-19 საუკუნის პოეტებში ტყუილად ეძებთო. მისი ნაწერების ხვედრი.

16.

ბარათაშვილის საფლავი განჯაში. „დროება", „ნოვოე ობოზრენიე", „ივერია" აყენებენ საკითხს ნეშტის გადმოსვენების შესახებ. ფრონელის ორი წერილი „ივერიაში". გადმოსვენება. „ივერიის" სპეციალური ნომერი. გრანდიოზული დაკრძალვა. როგორ ნახეს პოეტის საფლავი განჯაში. ალექსანდრე ჭყონიას ცნობა. 1938 წელს გადასვენება მთაწმინდაზე. ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავის იუბილე. ბარათაშვილის განდიდება.

თ ა ვ ი II. ბარათაშვილი — დიდი ქართველი რომანტიკოსი (გვ. 180 — 204).

ბარათაშვილის გენია. მეუნარგიას კრიტიკული შენიშვნების კრიტიკა. ბუნების პლასტიკური წარმოსახვა. „მუზას სძინავს"? ბარათაშვილის პოეტიკის საკითხები და სარგის გორგაძე. ბარათაშვილის ლექსებში რითმების, მუხლების, მარცვლებისა და მახვილების საკითხი. ბარათაშვილი — რუსთაველის შემდეგ პირველი პოეტი. პოეტიკა-ლიცენცია ბარათაშვილის ლექსებში და რომანტიკული პოეზიის განსხვავება კლასიცისტურისაგან. პრერომანტიზმი ევროპაში და მისი წარმომადგენლები. ვიქტორ ჰიუგოს მიერ მოცემული რომანტიკული ლექსის დახასიათება. არისტოტელეს გაფრთხილება. ფრიდრიხ დიდის ხმალი და პოეტური ხმალი. ლონგინის გახსენება. გოეთეს „სულით მდიდარი ადამიანი" და ბარათაშვილი. „მერანი" და „ფარისი". ბარათაშვილის პოეზიის ქართული ძირები. „ვეფხისტყაოსანი" და ბარათაშვილის პოეზია. აკაკი წერეთელი ბარათაშვილის შესახებ. ბალზაკის მიერ ხელოვანთა დაცვა. რუსთაველთან ერთად იკითხეთ და დაიზეპირეთ ბარათაშვილი.

თ ა ვ ი III. ლირიკული გმირი ბარათაშვილისა (გვ. 205—262).

ლირიკული ჟანრი რომანტიზმში. ლირიკული და ეპიკური. ლირიკული გმირის განმარტება. ბარათაშვილის ლირიკული გმირის დაბადება და ისტორიული გარემო. ქართული რეაქცია ნაპოლეონზე. „ვარდი და ბულბული". მცირე წადილის ვერწვდენა და მისი რომანტიკული ბუნება. „ქეთევანი" და ბარათაშვილის ქრისტიანული ფილოსოფია. „შემოღამება მთაწმიდაზედ" და ბარათაშვილის პოეტური გენიის პირველი გამოღვიძება. „მსოფლიო სევდა" და „კოსმოსური სევდა". სუვერენული და არასუვერენული. სურვილის ვერწვდენა და „იდუმალი ხმა". ბედთან პირველი შერკინება. ავენაობის ფილოსოფია. სისპეტაკე ლექსში — „ღამე

ყაბახზედ". ადამიანზე და კაცობრიობაზე დრტვინვა. „ფიქრნი მტკვრის პირად". ეროვნული კოლორიტი რეფლექსიებში. მატერიალიზმი გოეთეს მსგავსად. ცხოვრებისადმი ჩვილი და „ჩონგურის" კვინტ-ესენცია. იმედის პირველი სხივი — „ჩემს ვარსკვლავს". „კ. დ. ჩ." — ბარათაშვილის ლექსია. ზეიადობა და ურწმენობა. „ნაპოლეონი". ცეიდლიცი და ბარათაშვილი. ფრანგული სახე ქართული საღებავებით. კონტრასტები. ქართული სატრფიალო ლირიკის შედევრები. „თავადის ჭ...ძის ასულს, ე... ნას" და „საყურე". ცდა „მსოფლიო სევდისაგან" განშორებისა. „ჩვილი". ისევ „მსოფლიო სევდა" და „სული ობოლი". მსოფლიო რომანტიკული სახეები და ბარათაშვილის ლირიკული გმირი. გენიოსური შთაგონება ლექსში — „სატრფოვ, მახსოვს". მყუდროების სადგურის ძიება და „ჩემი ლოცვა". ნათელისა და მზიანისაკენ ლტოლვა, როგორც მებრძოლი სულის პრედიკატი. „აღმოჰხდა მნათი". გოეთეს „ფაუსტის" პირველი მიმართვა და ბარათაშვილის ლირიკული გმირი. ანაკრეონტიზმი ლექსში „ჩემთ მეგობართ". „ქნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ" და „ველოკაე ღღეს". შექსპირისებური ასპექტი. რეფლექსია ლექსისა — „არ უკიენო სატრფოო". ტიპიური რომანტიზმი ლექსში — „ვპოვე ტაძარი". „მიწიერი" და „ზეციერი" ბარათაშვილის ლექსებში. „მიყვარს თვალები მიბნედილები". სიკვდილში უკვდავების ანტიკური რეფლექსია. ბარათაშვილის პატრიოტიზმი და გოეთე პატრიოტიზმის შესახებ. „საფლავი მეფის ირაკლისა", „ძრწოდე კავკასო", „მერანი", „ბედი ქართლისა", „სუმბული და მწირი". რომანტიკული და რეალისტური ლექსებში — „შენი დალალნი", „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო". მშვენიერება და ჰეშმარიტება. ერეკლე და ნაპოლეონი რომანტიკოსებისათვის. ტრაგედიის აღსასრული „სულო ბოროტოში". ცრემლთა შეშრობა — „შევიშრობ ცრემლთა". მუსიკა ბარათაშვილის პოეზიაში. „ჩინარის" ფილოსოფია. „მადლი შენს გამჩენსო". „ნა... ფორტეპიანოზედ მომღერალი". ჩაილდ ჰაროლდი და ბარათაშვილის ლირიკული გმირი. „დამჭროლა ქარმან". „როს ბედნიერ ვარ" და „ცისა ფერს". ბარათაშვილური ლექსი. ბარათაშვილის ლირიკული გმირი და ლერმონტოვის პოეზია.

თ ა ვ ი IV. **ბარათაშვილი და ლერმონტოვი** (გვ. 263—352).

რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული სტილი. ქართული რომანტიზმის სათავეებთან. ქართული რომანტიზმის ბუნებისათვის. ბარათაშვილისა და ლერმონტოვის პოეზიის სიახლოვე. ლერმონტოვის ცხოვრებისა და შემოქმედების გაგებისათვის. გრიგოლ ალექსანდრეს ძე პეჩორინი. ლერმონტოვის პოემები. ლერმონტოვის დრამები. რუსული კრიტიკული აზრი რუსული რომანტიზმის შესახებ. ევროპული რომანტიზმი. ნოვალისი და მისი რომანი „ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენი". „ცისფერი ყვავილი" და ბარათაშვილის „ცისა ფერს". კონფლიქტი იდეალსა და სინამდვილეს შორის. სამყაროს რომანტიკული პერეტა. მარტოობის ფილოსოფია. ტრაგიზმი. ამბოხებული სული. ოპტიმისტური განწყობილება. წარსული და

აწმყო. პესიმიზმის საფუძვლები. რეალისტური ელემენტები რომანტიზმში. სინამდვილე რომანტიკოსების შემოქმედებაში. გენიოსი პოეტები.

თ ა ვ ი V. „ბედი ქართლისა" (გვ. 353—397).

ქართლის ბედისადმი მიძღვნილი ბარათაშვილის ლექსები. პოემა. როგორც ჟანრი ბარათაშვილის დროს. ისტორიული სინამდვილე პოემაში „ბედი ქართლისა". მიმართვა და არმაღანა. ერეკლე მეფის სახე. ბატალურ სცენათა აღწერის ხელოვნება. ქართული პეიზაჟის ოსტატი. საქართველოს ორიენტაციის საკითხი. ერეკლე მეფის რეალისტური კონცეფცია. სოლომონ ლეონიძის თვალსაზრისი. ერეკლეს საბოლოო გადაწყვეტილება. სოლომონ ლეონიძის რესპუბლიკური იდეები. მსაჯულის მეუღლე სოფიო — ქართველი ქალის პატრიოტული სახე. ლირიკული ინტერმეცცო. ალეგორიული ლექსი — „სუმბული და მწირი". „საფლავი მეფის იოაკიმისა". პოეტური ტრილოგია. რომანტიკული და რეალისტური პოემაში „ბედი ქართლისა".

თ ა ვ ი VI. „მერანი" (გვ. 398—424).

ბარათაშვილის „მერანის" ზოგადი დახასიათება. ფილოსოფიური საფუძვლები. ბედთან ბრძოლა. „მერანის" ორიგინალური ხასიათი. რენე ფრანსუა არმანის — სიული პრუდომის „ჰენება". ადამ მიცკევიჩის „ფარისი". „მერანისა" და „ფარისის" ფილოსოფიური იდეების განსხვავება. „მერანის" სუბიექტური მიზეზი. ბრძოლა და თავგამეტება. „მერანის" დანიშნულება. მომავლის ოპტიმისტური განკვრეტა. რუსთაველი და ბარათაშვილი. განძი მსოფლიო პოეზიაში.

თ ა ვ ი VII. ბარათაშვილი და თანამედროვეობა (გვ. 425—452).

ქართული პოეტური გენია რუსთაველის შემდეგ. ბარათაშვილის გავლენა ქართველ პოეტებზე. მისი ლექსების ხასიათი. ჰუმანიზმი, მოქალაქეობრივობა, შეუპოვრობა, პატრიოტიზმი. ეროვნული და ზოგადკაცობრიული. ბუნების უშუალობის გრძნობა. თავისუფლების, სიყვარულის, მშვენიერების, ნათელისა და მზიანის მომღერალი. ფხიზელი პოლიტიკური ორიენტაცია. დიდი წინამორბედი. ბარათაშვილის თანამედროვენი ბარათაშვილის შესახებ. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, ნიკო ნიკოლაძე — ბარათაშვილის თაყვანისმცემლები და შემფასებლები. რუსთაველის პოეტური გენიის აბრევიატურა.

თ ა ვ ი VIII. ბარათაშვილის პოეზიის ფილოსოფიური პრედიკატები (გვ. 453—480).

მხატვრულად ამეტყველებული ფილოსოფია. ფილოსოფია ბარათაშვილის პოეზიაში. მხატვრული სახის ლოგიკური დატენილობა. „ლოგიკა" დოდაშვილისა. ლოგიკის ისტორიიდან. არისტოტელეს, ბეკონისა და კანტის ლოგიკა. ჰეგელის გვერდის ავლა. ფილოსოფიის დოდაშვილისეული განმარ-

ტება. ბარათაშვილის და დოდაშვილის „ლოგიკა“. ფილოსოფიის სოკრატესეული პრინციპი და ბარათაშვილი. განვითარებული სულის ფილოსოფია. ბარათაშვილი—ფილოსოფოსი. აზრისა და არსის პრობლემა. არა აპოკალიპსი. ორიენტაცია მომავალზე. სამი ძირითადი ფენომენი ბარათაშვილის ფილოსოფიისა. ბარათაშვილის მოქმედების ფილოსოფია. დიფერენციაცია-ინტეგრაცია მეცნიერებასა და ხელოვნებაში. იდეალიზმისა და მატერიალიზმის საზღვართან. მაგრამ არა კარტეზიული დუალიზმი. ჰიმნი თავისუფლებისა. ბარათაშვილის რეალისტური მსოფლმხედველობა. წარმავლობის ფილოსოფია. „ეძიებდე და ჰპოვებდე“. შემეცნების პრობლემები. კანტი. შექსპირი, ბარათაშვილი. ოპტიმიზმი. მოქმედება და არა განჭვრეტა. ბარათაშვილის უკვდავება და მარადისობა.

Георгий Николаевич Джибладзе

**Поэтический гений Бараташвили**

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1968

რედაქტორი ლ. ნანიტაშვილი
მხატვარი დ. დუნდუა
მხატვრული რედაქტორი ო. მესხი
ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორები: ნ. მიქელაძე, პ. ღლონტი

გადაეცა წარმოებას 15/V-68 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VIII-68.
ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂.
ნაბეჭდი თაბახი 25,62.
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 22,9.
უე 01744. ტირაჟი 5000. შეკვ. № 702.

ფასი 2 მან. 2 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის თბილისის სტამბა № 4
Тбилисская типография № 4 Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по печати